


780
1981

გზისკენ




საქართველოს
წიგნების კავშირი


1981

4

15

ISSN 0134-9848







 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ლ. გუდიაშვილი

მ. რუსთაველის კორტრეტი

ლ. გუდიაშვილი

შაგანო



4 1981

ივლისი
(43) 1981 წლის
სექტემბერი

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

შინაარსი

| | |
|---|-----|
| პეტრინ მენსვილი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნეს ელენე გეგელაშვილმა და ლელი აბულაძემ | 261 |
| ვასილე რომანუჰი. ლექსები. თარგმნა გივი აღმაშვილმა | 271 |
| დენიზა ჯუმბაძე. მოწამეობა და აზროვნება | 272 |
| ანდრე სალმონი. ლადო გუდიაშვილი. ფრანგულიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა | 304 |
| მორის რეინალი. ლადო გუდიაშვილი. ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ | 305 |
| ავთანდილ ვარტაგავა. დღეები ლადო გუდიაშვილის გვირგვინით | 311 |
| ლადო გუდიაშვილი. შეხვედრა ფიროსმანთან | 318 |

გარეკანზე: ლადო გუდიაშვილი. „ანანო მიძელანჯალოსა და
ლეონაკდო და ვინჩის ფონო“



«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 4 1981

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

სუნჯე



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

| | |
|---|-----|
| ზრენის სკოტ ფიცჯერალდი. დიდი ბეტსი. რომანი. ინგლისურიდან თარგმნა პორფირე იაშვილმა | 4 |
| სერგეი ესენინი. ლექსები. თარგმნა თედო ბექიშვილმა | 118 |
| ივან ბუნინი. ლექსები. თარგმნა თედო ბექიშვილმა | 115 |
| სიუზან ჰილი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა მანანა ამისულაშვილმა | 118 |
| ანა შვარცბინსკა. ლექსები. პოლონურიდან თარგმნა ნათელა გავაშელმა | 140 |
| ირინა გრეკოვა. ქალთა სალონის მსტატი. მოთხრობა. თარგმნა თენგიზ პატარაიამ | 142 |
| ინგლისელი და ამერიკელი კოვები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანძემ | 188 |
| ვიანესლავ კუზნეცოვი. ლექსები. თარგმნა გივი აღმაშვილმა | 208 |
| მირკა რადუ იაპოზანი. უბათი „ვერიტასში“. პიესა. რუმინულიდან თარგმნეს გ. ჭინჭიბაშვილმა და გ. დოლიძემ | 204 |
| თადეუზ რუჟევიჩი. ლექსები. თარგმნა ვახტანგ ჭავჭავაძემ | 242 |
| ივანტ ჯივლონისი. ნაწყვეტები წიგნიდან „ეპიკურიზმი“ ლატვიურიდან თარგმნა შადიმან შამანაძემ | 247 |



მთავარი რედაქტორი შოთა ნიშნიანია

ხარედაქციო კოლეგია: გიორგი ბაქრაძე, ბანანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი, ნანა ღარჩია (კ. შ. მღივანი), გიორგი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ კვესელაძე, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, როვან მიხეილშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ფიასაშვილი, თამაზ ჩხეიძე, დავით ჟვარციაძე.

ფრენსის სკოტ ფიჩქერალდი

დიდი გეტსბი



რეზანი

ინგლისურიდან თარგმნა ჰორფირა იაშვილმა

თავი I

ყრმობისას, როცა კაცზე ყველაფერი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მამაჩემმა დამარიგა და დღემდე მახსოვს მისი სიტყვები:

— გაკიცხვა თუ დააპირო ვისიმე, გაიხსენე, ამქვეყნად ყველას შენებურად კი არ უცხოვრია.


სხვა არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩვენ უსიტყვოდაც ვუგებდით ერთმანეთს და მივხვდით, რომ ნათქვამზე ბევრად მეტი იგულისხმა. ბოლოს დავეჩვიე ჩემი აზრის გამოთქმისგან თავის შეკავებას და ამის გამოა, რომ ბევრმა აზირობულმა კაცმა გული გამიხსნა და ბევრჯერ აღმოვჩნდი მოსაწყენ პიროვნებათა აღსარების მსხვერპლი. გონებაარეული კაცი მყისვე ცნობს და ეტმასნება ასეთ ადამიანს, მით უმეტეს თუ ნორმალურ პიროვნებადაც დაიგულა. ერთხელ, კოლეჯში, პოლიტიკანობაც კი დამწამეს, რადგან მე ვიყავი ყველა უკარება და მარტოსული კაცის მესაიდუმლე. აღმსარებელთა უმრავლესობას გავურბოდი. როცა შევამჩნევდი, რომ ჰორიზონტზე მორიგი აღსარების ნიშნები ისახებოდა, ან ძილს მოვიგონებდი, ან მოუცლელი ანდა ქარაფშუტა კაცის იერს მივიღებდი; საქმე ისაა — აღსარებანი, ყოველ შემთხვევაში სიტყვები, რომლებითაც ყმაწვილი კაცი გულისნადებს გვიმუღავნებს, უფრო ხშირად ნაპარავივით ჰგავს ერთმანეთს და აშკარად ემჩნევა, რომ სიმართლეს ჩქმალავენ. საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავის შეკავება დიდად საიმედო რამეა. ზოგჯერ ახლაც ვშიშობ, არა წამომცდეს რა, თუ დამავიწყდა, რომ თავაზიანობის გრძნობა — მამაჩემის სნობური ქადაგებით, რასაც მეც სნობურად ვიმეორებ — დაბადების-თანავე უთანასწოროდ ეძლევათ ადამიანებს.

ახლა, ამდენი რომ ვიტრაბახე ჩემი მოთმინების უნარით, უნდა ვაღიარო — მოთმინებასაც საზღვარი ჰქონია. ადამიანის ქცევის ყოველთვის აქვს რაღაც საფუძველი. იგი ან კლდესავით მაგარია, ან ჭაობივით ლბილი, მაგრამ მოთმინების ფიალა ამვსებოდა და აღარაფერს დავეძებდი. გასულ შემოდგომას, აღ-

მოსავლეთიდან როცა დაბრუნდი, იმასაც კი ვფიქრობდი, ნეტავ მთელი მოს-
ლით ერთნაირ ფორმაში გამოეწყოს და ზნეობრივადაც ერთნაირად მოეწყოს-
დეს-მეთქი სამუდამოდ; ვეღარ ვიტანდი შმაგ აღსარებებს, აღმეძაბებოდა სულში
ფოთილს. ერთადერთი გამონაკლისი, ვისაც ზურგი ვერ ვმჯდომარეობდი
გეტსები, კაცი, ვისი სახელიც ჰქვია ამ წიგნს, გეტსები, ვინც თითქოს განააზი-
ვებდა იმას, რაც მე მართლა მეზიზღება. თუ პიროვნების საზომი წარმატებაა,
მაშინ გეტსებიც ჰქონდა რაღაც ღირსება — იგი მძაფრად შეიგრძნობდა ცხოვ-
რებას, თითქოს ჩართული იყო იმ საოცარ მანქანაში, რომელიც მოსალოდნე-
ლი მიწისძვრის ნიშნებს ათი ათას მილზე აღრიცხავს. ასეთ უნარს უნიათო
მგრძნობელობას ვერ დაარქმევდი, მაღალფარდოვნად „შემოქმედებით ტემპე-
რამენტს“ რომ უწოდებენ; არა, ეს გახლდათ ნიჭი იმედისა, თავისებური რო-
მანტიკული ხალხის, რაც სხვისთვის არ შეძინიშნავს. ასეთ ადამიანს ალბათ
ვერც მომავალში გადავეყრები. არა, გეტსები ბოლოს და ბოლოს ალალმართალი
კაცი გამოდგა. მე აღმაშფოთა იმ ამბავმა, რაც თავს დაატყდა მას, აღმაშფოთა
იმ შხამიანმა მტვერმა, კვალდაკვალ რომ სდევდა მის ოცნებას და ერთხანს გამი-
ქარწყლა ინტერესი ადამიანთა ნაადრევი დარღებისა და ნაჩქარევი სიხარუ-
ლისადმი.

ჩემიანები — ეპროფიები მესამე თაობა — აქ, შუადასავლეთის ამ ქა-
ლაქში, სახელგანთქმული და შეძლებული ხალხი იყო. საგვარეულო გადმოცე-
მის თანახმად, ბაკლუს პერცოგის შთამომავლები უნდა ვიყოთ. მაგრამ თვით
ჩვენი შტოს დამფუძნებელი გახლდათ ბაბუაჩემის ძმა, რომელიც აქ ათას
რვაას ორმოცდათერთმეტში ჩამოსულა. სწოქალაქო ომში თავისი მაგიერი გა-
უგზავნია და რკინა-კაველით საბითუმო ვაჭრობისთვის მოუყიდია ხელი; დღეს
პამაჩემი განაგრძობს ამ საქმეს.

ბაბუაჩემის ძმა არასოდეს მინახავს. მარწმუნებენ, ჰგავხარო, და საბუთად
მამაჩემის კანტორაში ჩამოკიდებულ ერთ უხეირო ნახატ პორტრეტს ასახელებ-
ენ. 1915 წელს იელის უნივერსიტეტი დავამთავრე. მეოთხედი საუკუნის წინ
მამაჩემიც თურმე იქ სწავლობდა. შემდეგ ვმონაწილეობდი ტევტონთა გაქია-
ნურებულ მიგრაციაში, რომელიც დიდი ომის სახელით არის ცნობილი. კონტრ-
შეტევები ისეთ სიამოვნებას მგვრიდა, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ მოს-
ვენება დამეკარგა. შუადასავლეთი მთელი ქვეყნის ცხელ გულად კი არა, სამყა-
როს გაცრეცილ კიდედ მომეჩვენა. გადავწყვიტე, წავალ აღმოსავლეთში და სა-
ფინანსო საქმეს შევისწავლი-მეთქი. ყველა, ვისაც კი ვიცნობდა, საფინანსო დარ-
გში მსახურობდა და მწამდა — მეც, მარტოხელა კაცი, უსახსროდ არ დავრჩე-
ბოდი. ჩემმა ბიძებმა და მამიდებმა ამის თაობაზე ისეთი საფუძვლიანი სჯაბა-
ასი გამართეს, გეგონებოდათ, სკოლის რჩევაში იყვნენ და დაწყებით კლასში
მიპირებდნენ შეყვანას. ბოლოს, დაბლვერილებმა, ყოყმანით დასძინეს: „პოო,
რა უჭირს...“ მამაჩემიც დამბირდა, ერთი წლის განმავლობაში ფული ეძლია
და, როგორც იქნა, მრავალი დაბრკოლების შემდეგ, გადავბარგდი აღმოსავლე-
თში, სამუდამოდ-მეთქი — ასე ვფიქრობდი მაშინ. 1922 წლის გაზაფხულზე.



პრაქტიკული თვალსაზრისით ჯობდა ბინა ქალაქშივე მეშოვნა, მაგრამ იქ ცხელოდა, მე კი ბებების ჩრდილს და ფარფო გაზონებს ვიყავი მიჩვეული. როდესაც ერთმა თანამშრომელმა მითხრა, სახლი ზიარად ვიქირაოთ გარეუბანშიო, აღვფრთოვანდი. მართლაც, იმ ყმაწვილმა ერთი ძველი ბანგალო—ტოლით გადახურული ქოხმაზი იშოვა, თვეში ოთხმოც დოლარად, მაგრამ ფირმამ იგი გაშინგტონში გადაიყვანა და გარეუბანში მარტოვან მომინდა დასახლება. ძალით მოვიყვანე — რამდენიმე დღეს მყავდა და მერე გამექცა, ნახმარი „დოჯი“ ვიყიდე, ფინელი ქალი დავიყენე — ლოგინს მისწორებდა, საუზმეს მიმზადებდა და ელექტროლუმელთან ფუსფუსში ფიჭურ სიბრძნეებს დუდუნით აფრქვევდა.

ორიოდე დღეს მარტოობას ვგრძნობდი. ერთ დღიას ვიღაც ჩემ შემდეგ ჩამოსულმა მამაკაცმა შემაჩერა ქუჩაში.

— უესტ-ეგის გზას ხომ ვერ მასწავლით? — მომმართა სასოწარკვეთილმა. მივასწავლე და გზა განვაგრძე. მარტოობის გრძნობა გამიქრა: შემეძლო გზა მესწავლებინა, მეგზურობა გამეწია ვინმესთვის — აქაური ვიყავი. შემთხვევითი გამვლელის წყალობით მოულოდნელად მოვიპოვე თავისუფლება, რასაც მეზობლურ გარემოცვაში თუ იგრძნობ კაცი.

მზემ, ღარმა, კვირტებმა, ისე სწრაფად რომ გაიშალნენ ჩემ თვალწინ, როგორც კინოში, კვლავ აღმავსო ნაცნობი რწმენით, რომ ყოველ გაზაფხულს სიცოცხლე თავიდან იწყება.

რაოდენ ბევრი მქონდა წასაკითხი, რა სალი და სუფთა იყო პაერი, რომელიც ყმაწვილური ძალით მავსებდა! ათზე მეტი წიგნი ვიყიდე კაპიტალდაბანდებათა თუ საბანკო-საკრედიტო საქმის შესახებ. ოქროსფერით და წითლით მოვარაყებულ წიგნები ახალმოჭრილი ფულის დასტებივით აელვარდნენ თაროზე, თითქოს აღმითქვამდნენ — იმ საიდუმლოს გაზიარებით, რომელიც მხოლოდ მიდასმა, მორგანმა და მეცენატმა იცოდნენო. განზრახული მქონდა ამ წიგნების გარდა ბევრი სხვაც წამეკითხა. კოლეჯში ლიტერატურით ვიყავი გატაცებული — ერთ წელს „იელის ახალი ამბებისათვის“ დავწერე სარედაქციო წერილების მთელი სერია. ახლა მსურდა კვლავ დავბრუნებოდი ამ საქმიანობას და გავმხდარიყავი სპეციალისტთა შორის ყველაზე უფრო კარგი სპეციალისტი — „ფართო პორიზონტის“ კაცი. ეს ლიტონი სიტყვები როდია — ცხოვრებას ერთადერთი ფანჯრიდან უკეთ ადევნებ თვალს.

სახლი შემთხვევით დავიქირავე ჩრდილოეთ ამერიკის ამ საოცარ დასახლებაში, ნიუ-იორკიდან აღმოსავლეთით, ვიწრო, პატარა კუნძულზე რომ მდებარეობს. აქ, ბუნების სხვა საოცრებებთან ერთად, ყურადღებას იქცევს ორი უცნაური კონცხი. ქალაქის ცენტრიდან ოც მილზე, ლონგ აილენდის დიდ სრუტეში, რომელიც დასავლეთ ნახევარსფეროს მლაშე წყლის აუზში ყველაზე მეტად არის ათვისებული, შეჭრილია ორი, სრულიად ერთნაირი მოხაზულობის, ვეება კვერცხის მსგავსი კონცხი. პატარა უბე ჰყოფს მათ. კვერცხები ბოლომდე ოვალური როდია — შეერთების ადგილი ორივეს ბრტყელი აქვს. მაგრამ ეს ფიზიკური მსგავსება თოლიებს თუ გაუკვირდება, თორემ უფრო არსებებს ის უფრო გააოცებს, კონცხები, გარდა ზომისა და მოხაზულობისა, ერთმანეთისაგან ყველაფრით რომ განსხვავდებიან.

დასავლეთ კონცხზე, უესტ-ეგში დავბინავდი. ამ ორი დასახლებიდან იკო ნაკლებ... დიახ, ნაკლებ მდიდრულია, თუმცა ეს მეტისმეტად ზერელე და გაც-

ვეთილი გამოთქმა ვერ გადმოგვცემს იმ საოცარ და ავბედით სხვაობას, რომელიც მათ შორის არსებობდა. ჩემი სახლი სწორედ კვერცხის წვერზე იდგა, სრუტიდან დაშორებული იყო ორმოცდაათიოდე იარდით: აქეთ-იქიდან ორი ვეება კარმიდამო ეკვროდა. თითოეული, მთელი ზაფხულით, თორმეტი ან თხუთმეტი ათასი დოლარი ეღირებოდა. ერთ-ერთი, მარჯვნიდან რომ შესაზღვრებოდა, საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო; რომელიც ჩუბმანდიული შენობის ასლი გახლდათ. სუროს ფოთლებში ელვარებდა მზის სხივები, მწვენიერი საცურაო აუზი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. სახლს გარს ერტყა ორმოც აკრზე მეტი ბაღი და მწვანით დაფარული ეზო-მინდორი. ეს გეტსბის სასახლე — ან, უფრო სწორად, რამდენადაც გეტსბის არ ვიცნობდი, — ხსენებული გვარის ვიღაც მამაკაცის სასახლე იყო. ჩემი სახლი უშნო გახლდათ. პატარა იყო და გერავინ ამჩნევდა. სამაგიეროდ, თვალწინ მეშლებოდა მშვენიერი ხედი — გავყურებდი მოლივლივე წყალს და მეზობლის ეზო-ბაღის ერთ ნაწილს: მანუგეშებდა მილიონერთა სიახლოვეც — და ყოველივე ეს თვეში ოთხმოცი დოლარი მიჯდებოდა.

მყუდრო უბის გაღმა ნაპირზე, აღმოსავლეთის კონცხთან, წყალში ლიც-ლიცებდა ფეშენებელური ისტეგის თეთრ სასახლეთა ანარეკლი. ჰოდა, ამბავი, რომელიც გასულ ზაფხულს მოხდა, იმ საღამოს დაიწყო, როცა ჩავჯექი ჩემს მანქანაში და სადილად გაღმა, ტომ ბიუქენენის ოჯახს ვეწვიე. დეიზი ჩემი შორეული ნათესავი გახლდათ, ტომს კოლეჯიდან ვიცნობდი. ომი რომ დამთავრდა, სწორედ მათთან გავატარე ორი დღე ჩიკაგოში.

დეიზის ქმარი, ტომი, ფიზიკურად ყოველმხრივ სრულყოფილი კაცი. უილიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა ნიუ-ჰეივენში — ლამის ეროვნული მნიშვნელობის ფიგურად. ერთი იმათგანი იყო, ვინც ბრწყინვალე წარმატებებს აღწევს ოცდაერთი წლის ასაკში, მაგრამ მერე, რაც უნდა მოიმოქმედოს, მაინც დაღმა სვლად ეჩვენებათ. განუზომლად მდიდარი მშობლები ჰყავდა. კოლეჯშივე საძრახისად ფლანგავდა ფულს, მაგრამ ახლა ჩიკაგოდან აღმოსავლეთში ისეთი ამბით წამოსულა, კაცს თავზარი დაეცემოდა. სათქმელად ისიც კმარა, რომ ლეიკ-ფორესტიდან პოლოს სათამაშოდ წამოუსხამს პონების მთელი რემა. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ჩემი თაობის კაცს ამდენი სიმდიდრე ექნებოდა და ასე ხელგაშლილ ცხოვრებას შეძლებდა.

არ ვიცი რატომ ჩამოვიდნენ აღმოსავლეთში. ერთი წელი საფრანგეთში უქმად გაატარეს. შემდეგ, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ, დაეხეტებოდნენ ყველგან, სადაც კი თავს იყრიდა მდიდარი ხალხი და პოლოს თამაშობდა. დეიზიმ ტელეფონით მითხრა, მოხეტიალე ცხოვრება დავასრულეთო, მაგრამ ვერ დავიჯერე. დეიზის გულში ჩახედვა არ შემეძლო; იმას კი ვგრძნობდი, რომ ფეხბურთელის ძლიერ განცდებს მონატრებული, სევდანარევი ტომი დაუსრულებლად იხეტიალებდა.

ასე იყო თუ ისე, ერთ თბილ საღამოს ისტ-ეგისაკენ გავწიე ჩემს ძველ მეგობრებთან, რომლებსაც სინამდვილეში წესიერად არც კი ვიცნობდი. მათი სახლი უფრო ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოდგენილი მქონდა. გეორგიანულ-კოლონიური სტილით ნაგები თეთრ-წითელი, ნათელი შენობა უბეს გადაჰყურებდა. ხასხასა გაზონი. სანაპიროდანვე იწყებოდა და მთავარ შესასვლელამდე მეოთხედ მილს მაინც გაივლიდა, გზად მზის საათს გადაეცლებოდა, გადაჰყვეთდა აგურის ფხვნილით მოფენილ ბილიკებს, აღმურადენილ ბაღია-ბაღებს და

სახლთან, კედელზე შეფენილ ვაზებში, ტორტმანით ჩაესვენებოდა. სახლს წინა მხრიდან ჰქონდა მაღალი, ფრანგული ფანჯრები. იმ საღამოს თბილისი, საამური სიო დაჰქროდა და ოქროსფერად მოელვარე ფანჯრები ფართოდ გაუღოთ. მხედრის ტანსაცმელში გამოწყობილი ტომ ბიუქენენი გალაჯული იდგა აივანზე.

ნიუ-პეივენის შემდეგ საკმაოდ შეცვლილიყო. ოცდაათი წლის, ჯანღონით სავსე, ჩალისფერთმიანი მამაკაცი თავნება და მზეაობარს ჩანდა. ელვარე თვალები შეტევისათვის გამზადებული თავდამსხმელის იერს აძლევდა; სხეულის განუზომელ სიძლიერეს ვერ უფარავდა ქალურად კოპწია მხედრული ტანსაცმელი. ლაბლაბა, მაღალყელიანი ფეხსაცმლის თასმებს, მგონი, ბოლომდე ვერც კი იკრავდა; მკლავს რომ შემართავდა, თხელ სამოსელში მკაფიოდ გააჩვენებდა, როგორ აღი-ჩადიოდნენ დიდ-დიდი კუნთები. განუზომლად დიდი ძალის კაცი იყო. წვრილი, ხრინწიანი ხმა ჰქონდა. შესახედაობა — ჰირვეული. ყველას, განურჩევლად, იმათაც, ვინც მოსწონდა, ისე ექცეოდა, თითქოს მშობლიური სულგრძელობით უთმობდა რამეს. ნიუ-პეივენში ამის გამო ბევრს ეჯავრებოდა.

ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს გეუბნებოდათ: ჰო, ამ საქმეში ჩემს აზრს საბოლოოდ ნუ მიიჩნევ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ გითმობ, რომ შენზე ძლიერიც ვარ და კაცადაც გჯობივარო. ორივე ერთსა და იმავე საზოგადოებაში ვტრიალებდით. ეჭვიც არასოდეს შემპარვია, კეთილი თვალით მიყურებდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ პირქუშად, უხეშად, გამომწვევად ცდილობდა ჩემი კეთილი განწყობის მოპოვებას.

ცოტა ხანს მზით განათებულ აივანზე ვისაუბრეთ.

— მშვენიერი აღგილი ვიყიდე, — მითხრა. თვალებს მოუსვენრად აცეცებდა.

შემომამბრუნა და ფართო, ბრტყელი ხელი მთავარი ხეივნისაკენ გაიშვირა. თვალწინ გადამეშალა მწვანეში ჩაფლული იტალიური ბაღი. ნახევარ აკრზე გაშენებული ნაირფერი, სურნელოვანი ვარდნარი; ცხვირაბზეკილი მოტორიანი ნაღი ნაპირთან ქანაობდა.

— ვინმე დიმიენს ეკუთვნოდა, ნავთობის მეწარმეს, — მითხრა და კვლავ შემომამატრიალა, მკვეთრად, მაგრამ ზრდილობიანად, — შინ შევიდეთ.

მაღალი დერეფანი გავიარეთ და ნათელ, ვარდისფერ სივრცეში აღმოვჩნდით; ფრანგულ ფანჯრებს იგი სათუთად შემოეზღუდა და ოთახად ექცია.

გამოდებული ფანჯრები აბიბინებული ბალახის ფონზე თეთრად ქათქათებდა. ლორთქო ბალახი ლამის სახლში შემოჭრილიყო. გამჭოლი ნიაღვრადებს ოთახის ერთ ბოლოში შიგნით ეზიდებოდა, ხოლო მეორეში — გარეთ გაჰქონდა თეთრი ბაირაღებივით, საქორწილო ნამცხვარივით მორთულ-მოკაზმულ ჰერისკენ ფრიალით აიტაცებდა, შემდეგ ღვინისფერ ფარდას აქოჩრავდა და ჩრდილს დააფვნდა, ვით ქარი ტალღააშლილ ზღვას.

ოთახში მხოლოდ ვეება ტახტი იდგა. ტახტზე, რომელიც დაბმულ აეროსტატს ჰგავდა, ორი ახალგაზრდა ქალი გაწოლილიყო, თეთრი კაბები უფრიალებდით, თითქოს სახლისთვის გარს შემოეფრინათ და ქარს ახლახან შემოეგდო ისინი უკან. წამით შევჩერდი და ყური მივუგდე ფარდების ტლაშატლუმს, კედელზე ჩამოკიდებული სურათის ღრჭიალს. შემდეგ ჯახანი გაისმა — ტომ ბიუქენენმა უკანა ფანჯრები მიხურა. ქარი ოთახს გარედან ებგერა და იქვე დალია სულა. ფარდებიც, ხალიჩაც და ის ორი ახალგაზრდა ქალიც ნელ-ნელა დაეშვნენ ძირს.

ქალთაგან უმცროსს არ ვიცნობდი. იგი ტახტის ერთ მხარეს იყო გაშლილი. იწვა უძრავად, ნიკაპი ოდნავ აეწია, თითქოს ზედ ჯამბაზივით რაღაცას ათამაშებდა — უნდა გადმოვარდნოდა და მაინც ახერხებდა გაწონასწორებას. იქნებ თვალი მომკრა, მაგრამ არ შეიმჩნია. შევეცბი, ბოდიშის მოხდა დავაპირე — შეგაწუხეთ-მეთქი.

მეორემ დეიზიმ, წამოდგომა სცადა, ოდნავ წინ წამოიწია და სარკვენილმა. მერე უეცრად გაეცინა, რაღაც უაზროდ, მაგრამ ეშხიანად, სიცილში მეც ამიყოლია და ოთახში თამამად შევედი.

— სიხარულით გაოგნებული ვარ, — მითხრა.

ისევ გაეცინა, თითქოს საოხუნჯო ეთქვას რამე. ერთხანს ხელი არ გამიშვა და სახეში მომაჩერდა — აქაოდა, ასე არავის ნახვა არ გამახარებდაო. ეგეთი იყო. ჩურჩულით მაცნობა ჯამბაზი ქალიშვილის გვარი — ბეიკერი (ამბობდნენ — დეიზი ჩურჩულით იმიტომ ლაპარაკობს, მოსაუბრე გადაიხაროსო მისკენ. ეს უადგილო გაკილვა ვერაფერს დააკლებს მის მომზიბლავ ჩურჩულს).

მისს ბეიკერმა ტუჩები შეარხია; ძლივს დამიქნია თავი და სასწრაფოდ უკანვე გადაიხარა, თითქოს ნიკაპზე გაჩერებული საგანი შეუტოკდა და შეშინდაო. კვლავ ბოდიშის მოხდა მომინდა. მაოცებს ხოლმე თვითგმაყოფილების ყოველგვარი გამოვლინება.

ისევ ჩემს ახლობელს მივუბრუნდი. შეკითხვები დამაყარა დაბალი, ხარნარი ხმით. ისეთი მიმზიდველი ხმა ჰქონდა, გეგონებოდა, მშვენიერ მუსიკას ისმენ, რომელიც აღარ განმეორდებაო. სევდიან სახეს მოციმციმე თვალები და კრიალა, ვნებიანი ბაგეები უმშვეენებდა; ერთხელაც რომ მოგეკრა ყური. ვეღარ დაივიწყებდი დეიზის უფლებისმოყვარე, ამღერებულ კილოს, ჩურჩულით წარმოთქმულ „მისმინე“-ს, ლალ დაპირებას, განვლილ მღელვარებას და საამური აღტყინების მოლოდინს.

დეიზის სხვათა შორის ვუთხარი — აღმოსავლეთში რომ მოგდიოდი, ერთი დღით ზიკაგოში შეგბერდი და უამრავმა ხალხმა მოკითხვა დამაბარა-მეთქი შენთან.

— ვენატრები? — წამოიძახა აღფრთოვანებულმა.

— მთელი ქალაქი დაცლილია; გლოვის ნიშნად მანქანებს უკანა მარცხენა ბორბალი შავად აქვთ შეღებილი; ჩრდილოეთ სანაპიროსთან ყოველ ღამით ჭვითინი იწმის.

— დიდებულია! დავბრუნდეთ, ტომ, ხვალვე! — შემდეგ უეცრად დაუმატა, — შენ ჩემი გოგონა უნდა ნახო.

— სიამოვნებით ვნახავდი.

— ახლა სძინავს. სამი წლისაა, ჯერ არ გინახავს?

— არა.

— ოო, უნდა ნახო. ისეთი...

ტომ ბიუქენენი ოთახში მოუსვენრად დაბოროილობდა. უეცრად შეჩერდა. მხარზე ხელი დამადო და მკითხა:

— რას აკეთებ, ნიკ?

— ფინანსების საქმეში ვარ.

— ვისთან მუშაობ?

მე ჩამოვუთვალე.

— არასოდეს გამიგონია, — გადაჭრით მითხრა.

— გაიგონებ, — გაღიზიანებულმა მეც მოკლედ მივუგე, — გაიგონებ, თუ დარჩი აღმოსავლეთში.

— შენ ნუ გეშინია, აღმოსავლეთში დავრჩები, — მითხრა და დეიზის გახედა, მერე ისევ მე შემომხედა, თითქოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანზე შეაშფოთაო, — ბრიყვი ვიქნები, სხვაგან რომ წავიდე.

ამ დროს მისს ბეიკერს აღმოხდა: „ნამდვილად!“ მოულოდნელობისაგან შეკრთი. ეს მისი პირველი სიტყვა გახლდათ, ჩემი მოსვლის შემდეგ წარმოთქმული. უთუოდ თავადაც შეცბა, რადგან დაამთქნარა და სწრაფი, მოხდენილი მოძრაობით წამოიშარა.

— გავშეშდი, — ბუზღუნს მოჰყვა, — რაც თავი მახსოვს, აქ ვწევარ, ამ ტახტზე.

— მე რას გადმომხედე, — მიახალა დეიზიმ, — შუადღიდან გეხვეწები, ნიუ-იორკში წავიდეთ-მეთქი.

— არა, გმადლობთ, — მისს ბეიკერმა უარი თქვა კოკტილზე, — გამუდმებით ვვარჯიშობ.

ოჯახის უფროსი უნდობლად მისჩერებოდა.

— გამუდმებით! — ტომმა კოკტილი ისე გადაკრა, თითქოს ჭიქაში წვეთილა იყო ჩარჩენილი. — ნეტავ როგორ აღწევს რამეს, ვერ გამიგია.

მე მისს ბეიკერი შევათვალე, დამაინტერესა რას „აღწევდა“. სიამოვნებით შევცქეროდი. კენარი, თხელმკერდიანი გოგო ყელმოღერებული, ახალგაზრდა კადეტოვით მხრებგაშლილი იდგა. მკრთალი, მომხიბვლელი, ჭირვეული სახე ჰქონდა; ნაცრისფერი თვალები მოეჭურტა და ცნობისმოყვარეობით მომჩერებოდა. თითქოს მეცნობოდა, თითქოს ნანახიც მყავდა, თვითონ თუ არა, სურათი მაინც.

— უესტ-ეგში ცხოვრობთ? — ამაყად ჩამეკითხა, — ერთს ვიცნობ იქ.

— არ ვიცნობ არც ერთ...

— გეტსბის უნდა იცნობდეთ.

— გეტსბი? — იკითხა დეიზიმ, — რომელი გეტსბი?

ვიდრე ვიტყოდი, ჩემი მეზობელია-მეთქი, სუფრაზე მიგვიწვიეს. ტომ ბიუქენენმა ძლიერი მკლავი გამომდო და ისე წამოკიალა, თითქოს ჭადრაკის პაიკი უჯრიდან უჯრაზე უნდა გადაედგა.

ორმა ახალგაზრდა ქალმა თეძოებზე ნატიფად დაიწყო ხელები და ნაზად, უხალისოდ გაგვიძღვნენ. ჩამავალი მზით განათებულ ვარდისფერ აივანზე გავედით. მაგიდაზე ოთხი სანთელი ენთო. ქარის მისუსტებული ქროლვა აღსაღიცილებდა.

— რად გვინდა სანთლები, — უკმაყოფილოდ შენიშნა დეიზიმ და ალი თითებით მოაქრო, — ორი კვირის შემდეგ მზებუდობაა, — შემოგვხედა სახე-გაბრწყინებულმა. — ყოველთვის დიდი ამბით ველი წლის უდიდეს დღეს, მაგრამ ისე გამეპარება ხოლმე, ვერც ვიგებ. თქვენ?

— რაღაც უნდა მოვიფიქროთ, — დაამთქნარა მისს ბეიკერმა. მაგიდასთან ისე დაჯდა, თითქოს დასაწოლად ემზადებოდა.

— კარგი, — დაეთანხმა დეიზი, — რა მოვიფიქროთ? — სასოწარკვეთილმა მომმართა, — რას აკეთებს ხოლმე ხალხი?

სანამ ვუპასუხებდი, შეწუხებულმა ნეკა თითზე დაიხედა.

— ხედავთ? — დაიწუწუნა, — ვიტყინე.

ყველამ თითზე დავხედეთ. ნეკი სახსარში ჩალურჯებოდა.

— შენ მატკინე, ტომ, — უსაყვედურა, — არ გინდოდა, მაგრამ მაინც შენი ბრალია. ახია ჩემზე, ამ მხეცოვით კაცს რომ გავყევი ცოლად. ამ ვეება, უშველებელ ოყლაყს...

— სიტყვა ოყლაყი მეჩავრება, — შეება ტომი, — თუნდაც მხეცოვით ნათქვამი.

— ოყლაყი, — დაიჩემა დეიზი.

დროდადრო დეიზი და მისი ბეიკერი თოროდ სიტყვით გამოეპასუხებოდნენ ხალხს ერთმანეთს; უაზროდ ჭილიკობდნენ, ამას საუბარი არც კი ეთქმოდა; ცივი, უშინაარსო იყო ყოველი სიტყვა, ვით მათივე თეთრი კაბები და სურვილდაშრეტილი, გულგრილი თვალები. აქ იყვნენ, გემასპინძლობდნენ მე და ტომს, ზრდილობის გამო თავს ძალას ატანდნენ, გვართობდნენ და თვითონაც ერთობოდნენ. იცოდნენ, სადილობაც სულ მალე გათავდებოდა, საღამოც მიიწურებოდა და უდარდელად გადაგორდებოდა ეს დღეც. დასავლეთი ამ მხრივ სულ სხვაა. იქ ჩქარობ, ხელისმოცარვის შიშით ათრთოლებული ფეხდაფეხ მიპყვები საღამოს, დასასრულამდე.

დეიზი, შენს გვერდით არაცივილიზებული ადამიანივით ეგრძნობ თავს.

— ვუსაყვედურე, როცა მეორე ჭიქა შემპარავი, შუშუნა ღვინო გადავკარი, — არ შეგიძლია მოსავალზე ან სხვა რამეზე ისაუბრო?

ამ სიტყვებში განსაკუთრებულს არაფერს ვგულისხმობდი, მაგრამ სხვა-ნაირად ჩამომართვეს. ამას არ ველოდი.

— ცივილიზაცია დალუპვის გზაზეა, — ბრაზით წამოიძახა ტომმა, — საშინელი პესამისტი გავხდი. წაიკითხე გოდდარდის „ფერადკანიანთა იმპერიების აღმავლობა?“

— არა, — მისმა კილომ ცოტა განმაცვიფრა.

— ოო, შესანიშნავი წიგნია. ყველამ უნდა წაიკითხოს. აზრი ესაა: თუ თეთრ რასას არ ვუპატრონეთ, საბოლოოდ დაიღუპება. დასაბუთებულ, მეცნიერულ მონაცემებს ემყარება.

— ტომი ერთობ ბრძენი გაგვიხდა, — მწუხარედ თქვა დეიზიმ. — ღრმავაზროვან და გრძელსიტყვებიან წიგნებს კითხულობს. ის რა სიტყვა იყო...

— დიახ, მეცნიერულ წიგნებს, — ჯიუტად დასძინა ტომმა და უკმაყოფილოდ შეხედა დეიზის. — ეს საკითხი ყოველმხრივ აქვს განხილული. გაბატონებულ რასას სიფრთხილე გვმართებს, თორემ ქვეყანას სხვა რასები დაეპატრონებიან.

— უნდა დავამარცხოთ ისინი, — წაიჩურჩულა დეიზიმ და გავარვარებულ მზეს მკაცრად ჩაუპაჭუნა თვალები.

— კალიფორნიაში უნდა გეცხოვრაო... — წამოიწყო მისი ბეიკერმა, მაგრამ ტომი მძიმედ შეირბა სავარძელში და სიტყვა შეაწყვეტინა.

— საქმე ისაა, ჩვენ ნორდიული მოდგმის ხალხი ვართ. მეც, შენც, შენც... — განაგრძო ტომმა და წამიერი ყოყმანის შემდეგ თავის ოდნავი დაქნევით დეიზიც ჩვენ მოგვათვალა. ქალმა კვლავ თვალი ჩამიკრა. — ჩვენი მონაბოვარია ყველაფერი, რაც ცივილიზაციამ შექმნა: გინდ მეცნიერება, გინდ ხელოვნება და ყველაფერი, გესმით?

ჯიუტად ნათქვამს პათეტური კილო გადაპკრავდა; თვითკმაყოფილების

გრძნობა გახა დაჩლუნგებოდა, არა, გამძაფრებოდა კიდევ და ახლა გული აღარაფრით უჯერდებოდა. ამ დროს ოთახში ტელეფონმა დარეკა და მსახური აივნიდან გავიდა. დეიზიმ დრო იხელთა და ჩემკენ გადმოიხარა.

— ოჯახის საიდუმლოს გაგანდობ, — ხალისიანად წამჩურჩულა, — ჩვენი მსახურის ცხვირზე. გაინტერესებს ჩვენი მსახურის ცხვირის ამბავი?

— მაშ რისთვის მოვედი თქვენთან!

— იცი, ყოველთვის მსახური კი არ იყო. ერთი ნიუ-იორკელის ოჯახში, სადაც ორას კაცზე ჰქონდათ ვერცხლის ჭურჭელი, ვერცხლის მწმენდავად მუშაობდა. დილიდან დაღამებამდე ვერცხლს აპრიალებდა, ვიდრე ამან ცხვირი არ გაუღიზიანა.

— უარესიც დაემართა, — ჩაურთო მისს ბეიკერმა.

— დიახ, უარესიც დაემართა; საბოლოოდ იძულებული გახდა დაეთმო თავისი ადგილი.

ჩამავალმა მზემ სხივი სტუორცნა დეიზის და სახეზე აღმურადენილს ეშხი შემატა; წინ წაბრილი, სუნთქვაშეკრული ვუსმენდი მის მოღუღუნე ხმას. მერე აღმური თანდათან გაუკრთა, ლაციცა სხივი ზღაზვნით, მწუხარედ ტოვებდა ჭალს, როგორც ბავშვები სიამით სავსე ქუჩას მიმწუხრზე.

მსახური დაბრუნდა და ტომს რაღაც ჩასჩურჩულა. ტომი მოიღუშა, სკამი გასწია და უსიტყვოდ შევიდა ოთახში. თითქოს ამან ააფორიაქაო, დეიზი ავლავ გადმოიხარა და აგზნებულმა ნარნარი ხმით მითხრა:

— როგორ მიხარია, რომ ჩემს სუფრასთან გხედავ, ნიკ. იცი, რას მაგონებ... ვარდს, ნამდვილ ვარდს, არა? — თანხმობა გამოსთხოვა მისს ბეიკერს, — ნამდვილ ვარდს!

სტრუობდა. ვარდის აჩრდილიც არა ვარ. რაღაც გამოიგონა. მაგრამ ისეთ ამაღელვებელ სიტბოს აფრქვევდა, თითქოს ლამობდა დაგუდულ ხმასა და მთრთოლვარე სიტყვებში თავისი გულიც ჩაემაღა და მოერთმია. უეცრად ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო, ბოდიში მოიხადა და ოთახში შევიდა.

მე და მისს ბეიკერმა თვალი შევაავლეთ ერთმანეთს, ისე, უაზროდ. საუბარი დავაპირე, მაგრამ იგი სმენად იყო ქცეული და დაუყოვნებლივ ჩამაჩუმა — „შში“-ო. ოთახიდან შეკავებული ჩურჩული ისმოდა. მისს ბეიკერმა ურცხვად წაიგრძელა კისერი, იქნებ რამე გავიგონოო. ჩურჩული თრთოდა გაგონება-არგაგონების ზღვარზე. ხან სულ მიჩუმდებოდა, ხან მღელვარედ აღზევდებოდა და ბოლოს მთლად მიწყდა.

— თქვენ რომ მისტერ გეტსბი ახსენეთ, ჩემი მეზობელია, — ვუთხარი მისს ბეიკერს.

— გაჩუმდით, უნდა გავიგო რა ხდება.

— განა ხდება რამე? — მიაბიტად ვიკითხე.

— რა, გინდათ დამაჯეროთ რომ არაფერი იცით? — შემესიტყვა გულწრფელად გაკვირვებული, — მე მეგონა, ყველამ იცოდა.

— მე არ ვიცი.

— ჰოო, — ყოყმანით წარმოთქვა, — ტომს ნიუ-იორკში სხვა ქალი გაუჩენია.

— სხვა ქალი გაუჩენია? — უგულოდ ჩავეკითხე. მისს ბეიკერმა თავი დამიქნია.

— იმდენი ზრდილობა უნდა ჰქონდეს, სადილობისას მაინც არ დარეკას. ასე არ არის?

ვიღრე ნათქვამის აზრს ჩავწვდებოდი, კაბის შრიალი და ტყავის ტყუპსაღმლის ჭრატუნი გაისმა. ტომი და დეიზი სუფრას დაუბრუნდნენ.

— უჩემოდ ვერაფერს მოაგვარებდნენ, — თქვა ნაძალადევი. — გაჩივრებულმა დეიზიმ და დაჯდა. გამომცდელად მოგვაჩერდა. ზოგჯერ მისი შეავლო თვალი, მერე მე და განაგრძო: — ერთი წუთით გარეთ გავიხედე. მშვენიერებაა. რალაც ფრინველი ბაღში, მგონი, ბუღბუღი უნდა იყოს. თავდავიწყებით უსტვენს, უთუოდ რომელიმე გემს ჩამოჰყვა. — წკრილებდა მისი ხმა, — მშვენიერია, არა, ტომ? — მშვენიერია. — უპასუხა ტომმა და ასოწარკვეთილმა მომშართა. — თუ ნასადილევს ძალიან არ დაბნელდა, ცხენები მინდა გაჩვენო.

ოთახში ტელეფონმა მჭახედ დარეკა. დეიზიმ ტომს შეხედა და ისე მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი, რომ ჩვენი საუბარი საჩინიბოსა თუ სხვა თემებზე ცაში გამოეკიდა. სუფრასთან გატარებული ბოლო ხუთი წუთიდან მესხიერებას ნაწყვეტ-ნაწყვეტ შემორჩა ზოგი რამ. დამამახსოვრდა სანთლების პარპალი — ისინი რატომღაც კვლავ აენთოთ და მტანჯველი სურვილი, ყველა იმ მყოფთათვის ჩამეხედა თვალებში. არც ვიცი, ამ წუთში რას ფიქრობდნენ დეიზი და ტომი, მაგრამ, ჩემი აზრით, თვით მისა ბეიკერიც კი, ეს გამოწრთობილი სკეპტიკოსიც ვეღარ ახერხებდა, ყურადღება არ მიექცია ამ აბეზარი მესხეთე სტუმრისათვის. ზოგს ასეთი ვითარება იქნებ დაინტერესებდა კიდევ, მე პირადად, მხოლოდ ერთი სურვილი აღმებრა — სასწრაფოდ დამერეკა პოლიციაში.

ცხენები აღარავის უხსენებია. ტომმა და მისს ბეიკერმა დინჯად გასწიეს ბიბლიოთეკისკენ. საღამოს ბინდი ჩამდგარიყო მათ შორის, ისე მიდიოდნენ, თითქოს მიცვალებულისათვის ღამე უნდა ეთიათ. მე დეიზის გავყევი ცოტა ურუ, მაგრამ ზრდილი ადამიანის შესაფერისად ყველაფერით დაინტერესებული კაცის იერით. ჯაჭვივით გადამხული აივნები გავიარეთ და მთავარი აივნის ბნელ კუთხეში სელის მერხზე ჩამოვსხედით.

დეიზიმ სახეზე ხელისგულები შემოიწყო. თითქოს მისი ღამაში მოყვანილობის შეგრძნობა სურდა. ზავერდოვან ბინდებუნდა თვალი დინჯად მოავლო. მოზღვავებულ განცდებს ებრძოდა. გავიფიქრე, ბავშვზე საუბარი დაამშვიდებს-მეთქი და დავუწყე გამოკითხვა.

— კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთს, ნიკ, — მითხრა მოულოდნელად. — ნათესავეები ვართ, მაგრამ ჩემს ქორწილზე არც კი ჩამოხვედი.

— მაშინ ომში ვიყავი.

— ჰო, მართლა, — წაილულლულა. — იცი, მძიმე დღეები გამოვიარე. ნიკ, და ყველაფერს საკმაოდ ცინიკურად ვუყურებ.

უთუოდ ჰქონდა საამისო მიზეზი. მე გავილურსე, მაგრამ ხმა აღარ ამოიღო. საქციელწამხდარი კვლავ ბავშვზე საუბარს დავუბრუნდი.

— ალბათ უკვე ლაპარაკობს, თავისით ჭამს...

— ჰო, რა თქმა უნდა, — შემომხედა, მაგრამ სხვაგან ჰქროდა მისი ფიქრი და გონება. — მისმინე, ნიკ. იცი რა ვთქვი, ეგ რომ დაიბადა? გაინტერესებს?

— ძალიან.

— მაშინ მიხვდები ჩემს გულისწუხილს. ბავშვი ერთი საათისაც არ იქ-

ნებოდა, რომ ღმერთმა უწყოდა, სად იყო ტომი. ნარკობი როცა გამომინელდა და გამოვფხიზლდი, მარტოობის საშინელმა გრძნობამ შემიპყრო. მომვლელ ქალს პირველად ის ვკითხე — ბიჭია თუ გოგო-მეთქი. გოგოაო, მითხრა და ავტირდი. ძალიან კარგი, ჩემთვის გავიფიქრე, შინარია, რომ გოგოა, იმედი მაქვს სულელიც იქნება, უკეთესი ბედი გოგოს არც უნდა, ლამაზი პატარა სულელი.

— ასეა თუ ისე, მაინც საშინელია ყოველივე, — განაგრძო დარწმუნებულმა. — ყველა ასე ფიქრობს, ყველა გონიერი ადამიანი. მეც კარგად ვიცი ეს. ქვეყანა მოვიარე, ყველაფერი ნანახი და გაგებული მაქვს, — თვალები ზვიადად აუღელვარდა, როგორც ტომს, და მომხიბლავად, მაგრამ იქედნურად ჩაიცინა, — ღმერთო ჩემო, სოფისტიკაში გადავიჭერი, ესოფისტობ!

როგორც კი გაჩუმდა და ჩემს ყურადღებას, ფიქრსა თუ გონებას აღარ იპყრობდა მისი ხმა, მყისვე ვიგრძენი ნათქვამის სიყალბე. გუნება ამემღვრა. მომეჩვენა, თითქოს ჩემი თანაგრძნობის მოსაპოვებლად თვალთქმაცობდნენ მთელი საღამო. გავყუჩდი. მართლაც, ერთი წუთის შემდეგ, ლამაზ სახეზე კმაყოფილების ღიმილი გადაეფინა. ისე გამომხედა, თითქოს დამიმტკიცა, რომ ტომთან ერთად რაღაც პრივილეგიური, საიდუმლო საზოგადოების წევრი იყო.

* *

უოლოსფერ ოთახში შუქი ციმციმებდა. გრძელი ტახტის ერთ ბოლოში ტომი იჯდა, მეორეში — მისს ბეიკერი. ქალი „სატერდი ივნიგ პოსტს“ უკითხავდა. სიტყვა სიტყვას მისდევდა გაბმით, ღუღუნით, ძილის მომგვრელად. შუქი კაცს ფეხსაცმელს უელვარებდა, ქალს მრუმედ ეფინებოდა შემოდგომის ფოთოლივით ოქროსფერ თმაზე. როცა მისს ბეიკერმა ჟურნალი გადაფურცლა და მკლავის კუნთები ლამაზად შეუთამაშდა, სხივმა ქალაღზეც გაიელვა.

ოთახში შევედით თუ არა, ხელი შემართა — გაჩუმდითო.

„გაგრძელება შემდეგ ნომერში“ — ბოლომდე ჩაიკითხა და ჟურნალი მაგიდაზე დააგდო.

მისს ბეიკერმა მუხლი შეათამაშა, წელში ამაყად გაიშალა და ფეხზე წამოდგა.

— ათი საათია, — ისე გვითხრა, თითქოს ჭერზე აღმოეჩინოს დრო-ჟამი.

— კარგი გოგოს დაძინების დროა.

— ჯორდანს ხვალ შეჯიბრება აქვს, — ამიხსნა დეიზიმ, — უესტჩესტერში უნდა წავიდეს.

— აა, თქვენ ჯორდან ბეიკერი ხართ!

მივხვდი რატომ მეცნობოდა — ეშვილის, პოტსპრინგსის თუ პალმ ბიჩის სპორტულ ქრონიკებში, ფოტოებზე, ბევრჯერ მინახავს ეს სანდომიანად ამპარტავანი სახე. რაღაც საძრახის, უსიამო თავგადასავალსაც ჰყვებოდნენ, მაგრამ რას — დიდი ხნის დავიწყებული მქონდა.

— ღამე მშვიდობისა, — გვითხრა ნაზად, — რვა საათზე გამალვიდეთ, კარგი?

— თუ აღგები.

— ავდგები. ღამე მშვიდობისა, ბატონო კაროუეი. ალბათ მალე გნახავთ.

— რა თქმა უნდა, ნახავ, — კვერი დაუკრა დეიზიმ, — უთუოდ, მგონი, დაგაქორწინოთ კიდევ. ხშირად გამოდი, ნიკ, და მოვახერხებ რამეს... ჰო...

ერთად დაგტოვებთ ხოლმე. ხომ იცი... უცაბედად ჩაგყვითავთ საკუჭნაოში, ან
ზღვაში შეგაცურებთ ნავით, ან...

— ღამე მშვიდობისა, — კიბიდან დაიძვრა მისს ბეიკერმა, — ერთ სიტყვაც არ გამოგონია.

— მშენიერი გოგოა, — ცოტა ხნის შემდეგ დასძინა ტომასი, მანამდე
მა სიარულის ნებას არ უნდა აძლევდნენ.

— ვინ არ უნდა აძლევდეს? — ცივად იკითხა დეიზი.

— տաշուկ ուղանի.

— ოჯახი. ერთადერთი დეიდა ჰყავს, ისიც, მგონი, ათასი წლის ბებრუხანაა. ახლა ნიკი მოუვლის, არა, ნიკ? ამ ზაფხულს, ყოველ შაბათ-კვირას ჩვენთან იქნება. ოჯახური გარემო, მგონი, კარგ გავლენას იქონიებს.

დეიზიმ და ტომმა მდუმარედ შეხედეს ერთმანეთს.

— ნიუ-იორკელია? — საჩქაროდ ვიკითხე.

— ლუისვილიდანაა. ბავშვობის უდარდელი წლები ერთად გავატარეთ.
მშვენიერი, უდარდელი...

— მოასწარი აივანზე ნიკთან გულითადი საუბარი? — უცერად იკითხა ტომმა.

— მე? — შემომხედა დეიზიმ. — არ მახსოვს. მგონი, ნორდისული რასის
შესახებ ვსაუბრობდით. ჰო, მგონი კი არაა ასე იყო სწორედ. სიტყვამ მოიტანა
და პირველ რიგში, მოგეხსენება...

— მაგას ყველაფერი არ დაუჯერო, ნიკ, — მირჩია.

ისეთი არაფერი უთქვამს-მეთქი, უღარდელად ჩავილაპარაკე და რამდენიმე წუთის შემდეგ შინ წასასვლელად გავემზადე. კარამდე მომაცილეს — გაჩირალდნებულ ოთხკუთხედში გვერდი-გვერდ დადგნენ. მანქანა რომ ავამუშავებ, დეიზიმ დამიძახა:

— მოიცა! რაღაც უნდა მეკითხა და დამავიწყდა. ყური მოგვარით, თურმე ჯვარი დაგიწერია ვიღაცაზე დასავლეთში.

— მართლა, — კეთილმოსურნედ დაუდასტურა ტომმა, — ასე გვითხრეს.
საცოლე ჰყავსო.

— ცილისწამებაა. სამაგისოდ ღარიბი კაცი ვარ.

— ეი მაგრამ, ჩვენ გვითხრეს, — დაიჩემა დეიზიმ. ჩემდა განსაცვიფრებ-
ლად კვლავ ყვავილივით გულგაშლილმა და ხალისიანმა, — სამმა ადამიანმა
გვითხრა, მართალი იქნება.

ცხადია, ვიცოდით, რასაც გულისხმობდნენ, მაგრამ არ მქონდა ჯვარი დაწერილი. აღმოსავლეთში გადაბარგების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ამ ქორის გავრცელება გახლდათ — ჯვარი დაიწერათ. უბრალო მითქმა-მოთქმისთვის ძველი მეგობარი ვის მიუტოვებია, მაგრამ, მეორეს მხრივ, არც ის მსურდა ჭორებს ცოლქმრობის უღელში შევები.

ყურადღება მესიამოვნა, მახლობელ ხალხად უფრო დამესახნენ, ვიდრე უსულგულო მდიდრებად. და მაინც უკმაყოფილო და ამრეზილი წამოვედით ჩემი აზრით, დეიზის მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩენოდა — დაეწყო ბავშვისათვის ხელი და სახლიდან გაქცეულიყო. მაგრამ, ეტყობა, არ ჰქონია ასეთი განზრახვა. რაც შეეხება ტომს — ნაკლებად გამიკვირდა, ნიუ-იორკში რომ ვიღაც ქალი გაუჩენია, ვიდრე ის, რომ წიგნმა ააფორიაქა. რაღაც უბიძგებდა

წამოგებოდა ამ დამყაყებული აზრების ანკესს, თითქოს ხორციელი სიამენი აღარ ასაზრდოებდა მის უფლებისმოყვარე გულს.

შუა ზაფხული სუნთქავდა გზისპირა დუქნების სახურავებზე, გარაყების წინ, სადაც ელექტროშუქზე გამოყუნებული იყო ბენზინის ახალი, წითელი ტუმბოები. ჩემს სავანეს რომ მივალწიე, უესტ-ეგში, მანქანა ფარდულში დავაყენე და ეზოში უპატრონოდ მიგდებულ ბალახის საკრეჭელაზე ჩამოვჯექი. ქარი ჩამდგარიყო, გამოთხოვებოდა ამ მომხიბვლელ, ნათელ ღამეს, ხის ტოტებში მოფრთქილ ფრინველთა და ორღანოს ზმასავით გაბმულ ყიყინს — თითქოს ხალისით აღსავსე მყვარნი თან მოჰყვებოდნენ დედამიწის მძლავრ საბერველთა ყოველ ამოჭმენას. მთვარის შუქზე კაცის სილუეტი დავლანდე და იქით გავიხედე. მაშინდა ვიგრძენი, რომ მარტო არ ვიყავი. ჩემი მეზობლის დაბურულ ბაღში ვიღაც ოდგა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მისჩერებოდა ვარსკვლავების ვერცხლისფერ ციმციმს. აუჩქარებელ, დინჯ მიხრა-მოხრაზე და მტკიცე ნაბიჯზე შეატყობდით, რომ ეს თვით მისტერ გეტსბი იყო. ალბათ თავის წილხვედრ ცისთვის სურდა თვალი შეეფლო და გარეთ გამოისეირნა.

გადავწყვიტე, დავუძახებ-მეთქი. სადილობისას მისს ბეიკერმა აჩვენა და ეს გაცნობის საბაბად გამომადგებოდა. მაგრამ არ დავუძახე. აშკარად ემჩნეოდა, მარტო ყოფნა სურდა. ბნელში დანთქმულ ზღვისკენ ხელები უცნაურად გაიშვირა. საკმაოდ შორს გახლდით, მაგრამ დავიფიცებ, რომ მთლად ცახცახებდა. უნებლიეთ ზღვას გავხედე. ვერაფერი გავარჩიე გარდა ეული მწვანე შუქისა, რომელიც უთუოდ ნავსადგურიდან მოჩანდა. ისევ გეტსბისაკენ გავიხედე, მაგრამ იგი სადღაც გაუჩინარებულიყო. ღამის ბინდბუნდში კვლავ მარტო ვიყავი.

თავი II

ვიდრე უესტ-ეგიდან ნიუ-იორკში ჩავიდოდეთ, შუა გზაზე, სამახქანო გზატკეცილი უეცრად რკინიგზას მიებჯინება და მეოთხედი მილის მანძილზე განდგან მიჰყვება, თითქოს გვერდს უვლისო იქვე გაშლილ უკაცრიელ მიდამოს. ეს ნაცრის ველია, უჩვეულო ხოდაბუნი, სადაც ხორბლის ხვავით იზრდება ნაცრის ქედები, მთები თუ მახინჯი ბალნარები, სადაც ნაცარი ხან სახლებს ემსგავსება, ხან საკვამურებს, ხან ახრჩოლებულ კვამლს; და თუ ზებუნებრივ ძალას მოიკრებთ, რაღაც ადამიანთა მსგავსიც გამოისახება ხოლმე — აჩრდილებივით დაბორილებენ ისინი და უმაღვე ქრებიან ნაცრით გაჭერებულ სივრცეში. ნაცრისფერივე მატარებელი დროდადრო შემოგორდება გაუჩინარებულ ღიანდაგებზე, ყურისწამლებად გაიდრჭიალებს და გაინაბება. რუხ-ნაცრისფერი მამაკაცები დაუყოვნებლივ აფუთფუთდებიან და ნიჩბებით იმისთანაბურს დააყენებენ, რომ ნაცარი ნისლივით ნთქავს ისედაც დაბურულ თვალსაწიერს.

მცირე ხნის შემდეგ, ამ რუხი გარემოსა და მორიალე შავი ბოლქვების თავზე, უთუოდ შეამჩნევთ ექიმ ტ. ჯ. ეკლბარგის თვალებს. ექიმ ეკლბარგის უზარმაზარი, თითო იარღის ოდენა ცისფერი თვალები ფხიზლად იმზირებიან ვეება ყვითელი სათვალისად, რომელიც არარსებულ ცხვირზეა წამოდგმული. უთუოდ ვიღაც ახირებულმა თვალის ექიმმა აქ იმ იმედით დაამაგრა იგი, რომ პატარა ქალაქ კვინსში პაციენტები მოემრავლებინა. მაგრამ მერე აღ-

ბათ თვითონაც სამუდამოდ დაეშრიტა თვალის სინათლე, ან საცხოვრებლად
სხვაგან გადავიდა და დაავიწყდა თან წაეღო. მზესა და წვიმაში უპატრონოდ
შთენილი და ჟამთა სვლისაგანადაც გამქრალებული თვალები ფიქრმოთრეული
გაღმოჩნდებოდა ამ ტიალ სანაგვეს.

ნაცრის ვეღს პატარა, მღვრიე მდინარე ჩამოუდის. როცა ორჩნომელების
გასატარებლად მდინარეზე ხიდი იხსნება, მატარებლის მგზავრები ჩამოვლებუ-
ლი არიან ნახევარ საათს მაინც უცქირონ ამ სულისშემხუთავ სურათს. სარ-
კინაგზო მიმოსვლა აქ ყოველთვის ფერხდება, ერთი წუთი მაინც, და სწორედ
ეს შეფერხება გახდა ტომ ბიუჭენენის ქალბატონთან ჩემი პირველი შეხვედ-
რის მიზეზი.

ყველგან, სადაც ტომს იცნობდნენ, ამ ქალის შესახებ იყო ლაპარაკი. ნაცნობ-მეგობრები ირახავდნენ, ხალხმრავალ რესტორნებში დაჰყავსო. დასვამდა მაგიდასთან და თავად დარბაზში დახეტილობდა, ნაცნობებს ესაუბრებოდა. თუმცა ძალიან მაინტერესებდა ამ ქალის ნახვა, მასთან შეხვედრაზე არ მიუღიქრია. მაგრამ მაინც შეეხვდი. ერთ საღამოს მე და ტომი ნიუ-იორკში მატარებლით წავედით. ნაცრის მთებთან რომ შეეჩერდით, უეცრად წამოხტა, მკლავში ხელი ჩამავლო და მატარებლიდან თითქმის ძალით ჩამიყვანა.

— ჩავიდეთ, — დაიჩემა, — ჩემი გოგო უნდა გაჩვენო.

საუზმობისას მგონი გვარიანად ჰქონდა გადაკრული და ახლა ისე უნდოდა ჩემთან ყოფნა, არას დაგიდევდათ, თუნდაც ძალით დავეყოლიებინე. ვერც კი წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა კვირა დღეს მეც მქონოდა საქმე.

რა მექნა, გავყევი. გადავაბიჯეთ თეთრად შეღებულ მესერს და ასამდე იარდი უკან გამოვიარეთ გზის გასწვრივ. ეჭიმი ეკლბარგი ღაჟინებით მოგვჩერებოდა. უკაცრიელი ველის კიდეზე, იმ არემარეში ერთადერთი, ისიც პატარა, ყვითელი აგურის შენობა ჩანდა. იგი არც უკავშირდებოდა რამეს, არც ესაზღვრებოდა. უკაცრიელი ველი გახლდათ მისი მთავარი ქუჩა. შენობის სამი დარაბიდან ერთი გასაქირავებელი იყო; მეორე — სადღეღამისო რესტორანს დაეკავებინა, ნაცრის ბილიკი სწორედ აქეთ მიდიოდა; მესამეში გარაჟი მოეწყობოდა. აბრას ეწერა: „ჯორჯ ბ. უილსონი. მანქანების ყიდვა-გაყიდვა და შეკეთება“. ტომს შიგ შევყევი. შენობაში სილატაკე სუფევდა, ყველაფერი ჩამოტყავებული იყო. ერთადერთი მანქანა ჩანდა, ისიც დამტვრეული „ფორდი“, დამტვრეული და ბნელ კუთხეში მიგდებული. რატომღაც ვიფიქრე, ეს გარაჟის მსგავსი სადგომი თვალის ასახვევადაა მოგონილი და ზედა სართულზე ალბათ მდიდრული, იდუმალებით მოცული დარბაზები იმალება-მეთქი. კანტორის კარში თვით მეპატრონე გამოჩნდა, ჩვრით იწმენდდა ხელს. ქერა თმა ჰქონდა, ბეჩავი, ავადმყოფური იერი, მაგრამ არცთუ ურიგო გარეგნობისა იყო. ჩვენ რომ დაგვინახა, ცისფერ თვალებში იმედის სხივი აუკიაფდა.


— გამარჯობა, უილსონ, შე ძველო, — მიმართა ტომმა და მხარზე შეგობრულად დაუტყაპუნა ზელი. — როგორ გაქვს საქმე?

— საყვედურს ვერ ვიტყვი, გაუბეღავად უბასუხა უილსონმა, — როდის მომყიდით იმ მანქანას? მიგრობოდა.

— იმ კვირაში. ახლა ჩემი ხელოსანი მეუშაობს, წესრიგში მოჰყავს.

— ნელი მუშაობა სცოდნია.

— რაზე ეტყობა? — ცივად მიუგო ტომმა. — თუ ასე ფიქრობთ, ჯობს სხვას მივყიდო.



— არა, ეგ არ მითქვამს, — სასწრაფოდ აუხსნა უილსონმა მე ვთქვი, რომ...

ხმა თანდათან ჩაუწყდა... ტომი ველარისგან და, მთელი გარეგანი მოთვალისწიებით, კიბიდან ფეხის ხმა მომესმა. ვილარს დუნდრუცე დადგომის კენტორის თავში ჩამოდგა და შუქს აეფარა. ოცდაათს გადაცილებული იქნებოდა. სიმსუქნე შეპარვოდა, მაგრამ ხორცსავე ტანს ვნებიანად მოარზევდა, როგორც სჩვევიათ ასეთ ქალებს. კობლებიანი, მუქი ლურჯი კრებ-დეშინის კაბა ეცვა; სახე არ ჰქონდა ლამაზი, მაგრამ თვალში გეცემოდათ მისი ცხოველი აღტყინება, თითქოს ყოველი ნერვი ცეცხლივით უღვივოდა. დინჯად ჩაიღიმა, ჰმარს წინ აეფარა, ვით აჩრდილს, ტომს აგზნებული თვალები მი-აპყრო, ხელი ჩამოართვა და ტუჩები გაიღოკა. ჰმარისკენ არც შებრუნებულა, ისე გადაუგდო განაზებული, ოდნავ ხრინწიანი ხმით:

— სკამები მოიტანე, რაღას უყურებ, იქნებ დაჯდეს ვინმე.

— ჰო, მართლა, — უმაღვე დაეთანხმა უილსონი, გაეშურა პატარა ოთახისკენ და ცემენტისფერ კედლებში გაუჩინარდა. ნაცრის ლეგა მტვერით ჰქონდა გაჯერებული მუქი ტანსაცმელი და უფერული თმა; მტვერით იყო გაჯერებული ირგვლივ ყველაფერი. მხოლოდ უილსონის ცოლს არ ეკარებოდა იგი. ქალი ახლოს მივიდა ტომთან, თითქმის მიეხუტა.

— შენი ნახვა მინდა, — მტკიცედ უთხრა ტომმა, — შემდეგი მატარებ-ლით მივდივართ.

— კარგი.

— ქვემოთ, გაზეთის ჯიხურთან ვიქნებით.

ქალმა თავი დაუქნია და უკან დაიხია. ამ დროს ჯორჯ უილსონიც გამოჩნდა.

ქვემოთ დაეუცადეთ, გზასთან, მოფარებულ ადგილას. ოთხ ივლისამდე¹ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი და გაძვალტყავებული იტალიელი ბიჭუნა ლიანდაგებზე მწკრივად აწყობდა სანიშნებელ ჭეჭუნებს.

— საშინელი ადგილია. არა? — თქვა ტომმა და ექიმ ეკლბარგს თვითონაც შებღვირა.

— საშინელი.

— ამიტომაც უხარია ხოლმე ჩემთან წამოსვლა.

— ჰმარი არაფერს ამბობს?

— უილსონი? დარწმუნებულია, რომ მისი ცოლი ნიუ-იორკში დასთან-დადის. ისეთი გამოჩერჩეტებულია, მგონი, ისიც არ იცის, ცოცხალი რომ არის საერთოდ.

ტომ ბიუქენენმა, მისმა გოგომ და მე ნიუ-იორკისკენ ერთად გავწიეთ. არა, მთლად ერთად კი არა — ქალბატონი უილსონი სიფრთხილისათვის სხვა ვა-გონში იჯდა. ტომი დიდად ერიდებოდა უესტ-ეგელებს; ხომ შეიძლებოდა ისი-ნიც იმ ვაგონში მსხდარიყვნენ!

ქალს ყავისფერი მუსლინის კაბა ჩაეცვა. ნიუ-იორკში, ტომის დახმარე-ბით ბაქანზე რომ ჩამოდიოდა, განიერ თედოებზე² კაბა მჭიდროდ შემოეტმასნა. გაზეთების ჯიხურში „თაუნ თეთლის“² და რომელიღაც კინოჟურნალის ახალი ნომრები იყიდა, სადგურის აფთიაქში კოლდკრემი და პატარა შუშა სუნამო

¹ აშშ-ს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე.

² „ქალაქის ჭორები“.

შეიძინა. ზემოთ, უემურ, ხმაურიან ავტომოსაცდელში, სადაც მანქანები პირდაპირ გადახურულში შემოდისოდნენ, ოთხი ტაქსი დაიწუნა, ვიდრე გული მიუვიდოდა ახალ, ნაცრისფერგამოსაკრავიან ლავანდისფერ მანქანაზე. ჩამოქურთხებულ ვეება სადგურიდან მზის ჩახჩახა შუქზე გავსრილდით. უეცრად ქალბატონმა უილსონმა მანქანის ფანჯარას ზურგი შეაქცია, წინ გადაიხარა და მძღოლს დაუბრაბუნა.

— ძაღლს ყიდის ვილაც, უნდა ვიყიდო, — მტკიცედ გამოაცხადა, — მინდა მინდა მყავდეს. კარგია, ძაღლი როცა გყავს.

მანქანა უკან დავწიეთ და ჭაღარა ბერიკაცის წინ შევჩერდით, საოცრად ჰგავდა ჯონ დ. როკფელერს. ყელზე ჩამოკიდებულ კალათაში გაურკვეველი ჯიშის თორმეტი ახალშობილი ლეკვი ჩაესხა.

— რა ჯიშისა გყავს? — იკითხა უილსონის მეუღლემ, როცა მოხუცი ტაქსის ფანჯარას მოადგა.

— ყველა ჯიშისა, თქვენ რომელს ინებებთ, ქალბატონო?

— პოლიციელთა ძაღლის ჯიშისას. მგონი, არც გყავთ?

მოხუცმა ეჭვით ჩახედა კალათას, სტუცა შიგ ხელი და ასხმარტალებული ლეკვი ქეჩოთი ამოიყვანა.

— ეს არ არის ნაგაზი, — მიახალა ტომმა.

— არა, ზუსტად იმ ჯიშის არ გახლავთ. — გაბზარული ხმით წარმოთქვა იმედგაცრუებულმა ბერიკაცმა, — ეს უფრო ერდელტერიერია, — ლეკვს ყავისფერ ზურგზე ხელი გადაუსვა, — მარტო ბალანს დახედეთ, ერთ რამედ ღირს. არასოდეს გავიცვივდებით, არც ავადმყოფობით შეგაწუხებთ.

— კარგი ძაღლი იქნება, — აღმოხდა გახარებულ ქალბატონ უილსონს. — რა ღირს?

— ეს ძაღლი? — სიყვარულით დახედა მოხუცმა, — ეს ძაღლი ათი დოლარი დაგიჯდებათ.

ერდელტერიერმა — თუმც ლეკვს ხასხასა თეთრი ფეხები ჰქონდა, მის წინაპრებში უთუოდ ერდელტერიერიც ერია — ხელიდან ხელში გადაინაცვლა და ქალბატონ უილსონის კალათაში მოიკალათა. აღფრთოვანებული ქალი ძაღლის სათბურასავით ბალანს მიეალერსა.

— ბიჭია თუ გოგო? — დელიკატურად იკითხა მან.

— ეს ძაღლი? ეს ძაღლი ბიჭია.

— ძუენაა, — გადაჭრით გამოაცხადა ტომმა, — პა, ფული. წადი და კიდევ ათი ძაღლი იყიდე.

განვაგრძეთ გზა და მეხუთე ავენიუზე გავედით. ისეთი სითბო იდგა, ისეთი პასტორალური სიმყუდროვე, არ გამიკვირდებოდა, სადმე ქუჩის კუთხეში ცხვრის დიდი ფარა რომ დამენახა ამ ზაფხულის კვირა დღეს.

— გააჩერე, — გავძახე შოფერს, — აქ უნდა დაგშორდეთ.

— არა, არ წახვიდე, — სასწრაფოდ მომიჭრა ტომმა, — მირტლს ეწყინება, სახლში რომ არ წამოგვყვე. არა, მირტლ?

— წამოდით, — ისიც ჩამაცხვდა, — ჩემს დას, ქეთრინს დავურეკავ. ლამაზია, ასე ამბობს ის ხალხი, ვისაც რამე გაეგება.

— სიამოვნებით, მაგრამ...

გავყევი. გადავსერეთ პარკი და დასავლეთის ასიან ქუჩებს მივაშურეთ. თეთრ ტორტს მოგაგონებთ საცხოვრებელი სახლების გრძელი რიგი 158-ე

ქუჩაზე. ტორტის მოზრდილ ნაჭერთან შევჩერდით. ქალბატონმა უილსონმა სამშობლოში დაბრუნებული დედოფალივით მოავლო თვალი გარემოს, ძალდი და ნაყიდი ნივთები ერთად აიტყუა ხელში და გაბრუნდნა მი-
აშურა ბინას.

— მაკ-კიებიც უნდა ამოვიყვანო, — ლიფტში გამოვეცხადე, — რა თქმა უნდა, ჩემს დასაც დავიბარებ.

ბინა ბოლო სართულზე გახლდათ — პატარა სასტუმრო ოთახი, პატარა სასადილო, პატარა საძილე და სააბაზანო. სასტუმრო ოთახი გობელენგადაკ-
რული ავეჯით იყო გაჭედილი. ამ ოთახისთვის ავეჯი ისე დიდი გახლდათ, რომ ყოველ მიბრუნება-მობრუნებაზე თვალში გეჩხირებოდათ გობელენებზე გამო-
ხატული სანახაობა — ვერსალის ბაღში საქანელებით ქანობდნენ ქალბატო-
ნები. კედელზე ერთადერთი სურათი ეკიდა, მეტისმეტად გადიდებული ფოტო
— ალბათ ქათამი იყო ჩამუჭებული კლდეზე წამოსკუპებული. მაგრამ, შორი-
დან თუ შეხედავდით, ქათამი უფარფლო ქუდად გადაიქცეოდა და სქელი, მო-
ხუცი სახენათელი ქალბატონი მშვიდად შემოგაცქერებოდათ. მაგიდაზე
ეწყო „თაუნ თეთლის“ რამდენიმე ძველი ნომერი, „სვიმონ პეტრედ წოდებუ-
ლის“ ერთი წიგნი და ბროდუეის ჭორების რამდენიმე პატარა ჟურნალი. ქალ-
ბატონი უილსონი უპირველეს ყოვლისა ძალზე ზრუნვას შეუდგა, მელიფტე
ბიჭი უხალისოდ წაიზღაზნა და თივით გატენილ ყუთთან ერთად რძეც მოი-
ტანა; ერთი კოლოფი ხმელი ბისკვიტი თავისით ეყიდნა ძაღლისთვის. მადის
აღმძვრელი ბისკვიტის ნატები მთელი საღამო რძეში ღებოდა. ტომმა ჩაქე-
ტილი ბიურო გააღო და ვისკი გადმოდგა.

ჩემს სიცოცხლეში სულ ორჯერ დავთვერი. იმ დღეს მეორედ იყო ბუნ-
დოვნად მახსოვს, თითქოს ყველაფერი ბნელში იყო დანთქმული, თუმც მზე სა-
ღამოს რვა საათამდე ადგა ბინას. ქალბატონი უილსონი კალთაში ეჭდა ტომს,
ტელეფონით ხან ვის ესაუბრებოდა, ხან ვის.

სიგარეტი არ აღმოგვაჩნდა და გარეთ გავედი, კუთხის აფთიაქში ვიყიდი
მეთქი. უკან რომ დავბრუნდი, ისინი აღარსად ჩანდნენ. წყნარად დავჯექი სას-
ტუმრო ოთახში და „სვიმონ პეტრედ წოდებულის“ ერთი თავი ჩავიკითხე.
მაგრამ ვერაფერი გავიგე — არ ვიცი, არ ვარგოდა თუ ვისკიმ ამიბნა თავგზა.

ის იყო ტომი და მირტლი ოთახში გამოჩნდნენ (პირველი ჭიქის შემდეგ
მე და ქალბატონი უილსონი ერთმანეთს სახელებით მივმართავდით), რომ
მოწვეული ხალხიც მობრძანდა.

მირტლის დაი, ქეთრინი, ცხოვრებაჩანახი გამხდარი ქალი, ოცდაათამდე
წლის იქნებოდა. სქელი წითელი თმა მოკლედ შეეჭრა, წარბები ამოეპუტა და
მერე ხელახლა მოეხატა უფრო აფრენილი. მაგრამ ბუნება ძალას არ იშურებდა
ნაკვთთა ძველი მაჩვენების ასაღორძინებლად და ქალის სახე დათხუბნილ, გაურ-
კვეველ იერა იღებდა. ხელის ყოველ შერხევაზე უთვალავი კერამიკული სამა-
ჯური გაბმული რაჩხარუჩხით ჩამოუცურდებოდა ხოლმე. სახლის მფლობელი-
ვით შემოგვეჭრა და მეპატრონის თვალით გადახედა ავეჯს. მეგონა აქ ცხოვრობ-
და, მაგრამ როცა შევეკითხე, გულიანად გადაიხარხარა, შეკითხვა ხმამაღლა
გაიმეორა და განმიმარტა, მეგობარ გოგოსთან ერთად სასტუმროში მაქვსო ბი-
ნა.

ბატონი მაკ-კი, ფერმკრთალი, ქალაქუნა კაცი, ქვედა სართულზე ცხოვ-
რობდა. ახალგაპარსულს ღაწვზე საბნის ქაფი შერჩენოდა. დიდის თავაზიანო-

ბით მოგვესალმა. მე მითხრა, ხელოვნებას ვემსახურებიო. მოგვიანებით მივ-
ხედი, ფოტოგრაფი იყო. მის მიერ გადიდებული ქალბატონ უილსონის დედის
სურათი უცხო სხეულივით კონწილობდა კედელზე. ყურისწამლები ხმა ჰქონ-
და მის მიბნედილ, ლამაზ, მაგრამ ზიზღისმომგვრელ მეუღლეს. ამაყად მით-
ხრა, გათხოვების შემდეგ ქმარმა ას ოცდამეოთხედი სურათი გადამხილავს.

ქალბატონმა უილსონმა ტანსაცმელი კიდევ გამოიცვალა, ახლა დიდებულ,
ღია ყვითელი შიფონის საღამოს კაბაში გამოწყობილიყო და შარშიშურით და-
გოგმანებდა. ტანსაცმლის გამო თავადაც მთლიანად შეცვლილიყო. ცხოველი,
დაუოკებელი ენერგია, გარაჟში ასე აშკარად რომ ემჩნეოდა. ახლა ამპარტავ-
ნობით შეცვლოდა. სიცილიც, მიხვრა-მოხვრაც, სიტყვა-პასუხიც წამისწამ სულ
უფრო გაპრანჭული და არაბუნებრივი ჰქონდა; თანდათან იფურჩქნებოდა, იფ-
ხორებოდა, ოთახიც კი ვეღარ იტევდა, თითქოს თავისი მეობის კრიალა და ხმა-
ურიან ღერძზე ბრუნავდა ამ კვამლით დაბინდულ სივრცეში.

— ჩემო ქვირფასო, — ხმამაღლა, გადაჭრით ეუბნებოდა დას, — მაგ ბი-
ჭები ყოველთვის მოგატყუებენ. მაგათ მხოლოდ ფული აინტერესებთ, სხვა
არაფერი. გასულ კვირას ქალი მყავდა აქ, პედიკური გამიკეთა. იმდენი ფული
მომთხოვა, თითქოს ბრმა ნაწლავი ამოეჭრას.

— რა ჰქვია იმ ქალს? — იკითხა ქალბატონმა მაკ-კიმ.

— ქალბატონი ებერჰარდტი. ბინაზე დადის, პედიკურს უკეთებს ყველას,
ვინც მოისურვებს.

— როგორ მომწონს თქვენი კაბა, — შენიშნა ქალბატონმა მაკ-კიმ, —
შესანიშნავია.

ქალბატონმა უილსონმა არ მიიღო ეს ქათინაური და წარბები უკმაყოფი-
ლოდ აქაჩა.

— ძველია, უვარგისი, — წაიდუდუნა, — გადავიცვამ ხოლმე, როცა არა-
ვის ვეპრანჭები.

— საოცრად გიხდებათ, თუ დამიჯერებთ, — დაიჩემა ქალბატონმა მაკ-
კიმ. — ჩესტერმა რომ გადაგიღოთ, დამერწმუნეთ, რაღაცას გამოიყვანს.

ყველანი ქალბატონ უილსონს მივაჩერდით. მან თვალებზე დალალები გა-
დაიწია და მომწუსხველი ღიმილით შემოგვაცქერდა. მისტერ მაკ-კის თავი
გვერდზე გადაეხარა და ყურადღებით აკვირდებოდა უილსონის მეუღლეს.
ხელს ხან ახლოს მიიტანდა თვალებთან, ხან თავისივე სახის გასწვრივ ნელა
გასწევდა წინ.

— განათებას შევცვლიდი, — ცოტა ხნის შემდეგ განმარტა. — მიყვარს,
როცა მკაფიოდ ჩანს სახის ნაკვთები. შევეცდებოდი, თმაც მთლიანად გამომე-
ჩინა.

— განათების შეცვლა რა საჭიროა. — წამოიძახა ქალბატონმა მაკ-კიმ. —
მე მგონი, მისი...

— შუ, — ჩააჩუმა ქმარმა. კვლავ მთავარ მოქმედ პირს მივაჩერდით. ამ
დროს ტომმა ხმამაღლა დაამთქნარა და წამოდგა.

— თქვენ, მაკ-კიებო, დალიეთ რამე, — მიმართა მათ, — ყინული და მი-
ნერალური წყალი კიდევ მოიტანე, მირტლ, სანამ ყველას დასძინებია.

— უკვე ვუთხარი ბიჭს, ყინული მოიტანე-მეთქი, — მირტლმა ბრაზით
იზიდა წარბები, აქაოდა, მდაბიოები ზანტები არიანო. — ეს რა ხალხია! სულ
კუდში უნდა სდიო.

შემომხედა და უაზროდ შემომცინა. მერე ძალს ეცა, მაგრად ჩაკოცა და სამზარეულოში ისე გაგოგმანდა, თითქოს მზარეულთა ჯარი ელვადებოდა მის განკარგულებებს.

— კარგი რაღაცები გადავიღე ლონგ-აილენდზე, — დასძინა ბატონმა მაკ-კიმ.

ტომი ქუშად მისჩერებოდა.

— ორი ცალი ქვედა სართულზე, ჩემს ბინაში მაქვს ჩამოკიდებული.

— ორი რა? — ჰკითხა ტომმა.

— ორი ნამუშევარი. ერთს ასე დავარქვით: „მონტაუკ პოინტი — თოლი-ები“, მეორეს დავარქვით „მონტაუკ პოინტი — ზღვა“.

ქეთრინი გვერდით მომიჯდა, ტახტზე.

— თქვენც ლონგ-აილენდზე ცხოვრობთ? — შეშეშებულა.

— უესტ-ეგში ვცხოვრობ.

— მართლა? ერთი თვის წინ ვიყავი იქ. ნადიმზე გახლდით ერთ მამაკაც-თან, გეტყვით პქვი. იცნობთ?

— მის გვერდით ვცხოვრობ.

— იცით, ასე ამბობენ, კაიზერ ვილჰელმის დისშვილია თუ ბიძაშვილი. იმიტომაც აქვს ამდენი ფული.

— მართლა?

თავი დამიქნია.

— მეშინია მაგ კაცის. არ მინდა ჩემ შესახებ იცოდეს რამე.

ამ წარმტაცი ინფორმაციის მიღება ქალბატონმა მაკ-კიმ არ მადროვა, საუბარი შეგვაწყვეტინა და ქმარს ქეთრინზე მიუთითა:

— ჩესტერ, ალბათ ამისგანაც გამოიყვან რამეს, — წამოაყრანტალა მან, მაგრამ გაბეზრებულმა მაკ-კიმ თავი დაუქნია მხოლოდ და ტომთან საუბარი განაგრძო.

— სიამოვნებით შევასრულებდი კიდევ რამდენიმე ნამუშევარს ლონგ-აილენდზე. ხელის შეწყობა მჭირდება. დამაწყებინონ მხოლოდ, სხვას არაფერს ვითხოვ.

— მირტლს სთხოვე, — უთხრა ტომმა და ჩაიქირქილა, ქალბატონი უილსონი ოთახში სინით ხელში შემობრუნდა. — წერილს გაგატანს. არა, მირტლ?

— რა? — იკითხა შემკრთალმა.

— მაკ-კის წერილი გაატანე შენს ქმართან, სურათებს გადაუღებს, — ერთხანს უხმოდ აცმაცუნებდა ტუჩებს, ვიდრე მოიზრებდა, — „ჯორჯ ბ. უილსონი ბენზინის ტუმბოსთან“ ან რაღაც ასეთს დაარქმევს.

ქეთრინი ახლოს მოიწია და ყურში ჩამჩურჩულა:

— არც ერთს არ უყვარს თავისი მეუღლე.

— არა?

— არ უყვარს. — ჯერ მირტლს გადახედა, მერე ტომს. — იმას მოგახსენებთ, რატომ უნდა ცხოვრობდე ისეთ ადამიანთან, ვინც არ გიყვარს? მე თუ მკითხავთ, ერთიც და მეორეც უნდა გაეყაროს თავის მეუღლეს და ერთმანეთზე იქორწინონ.

— უილსონი არ მოსწონს თქვენს დას?

პასუხი მოულოდნელი იყო. თვითონ მირტლმა მიპასუხა, ჩემი შეკითხვისათვის ყური მოუკრავს და ცოფმორეულმა უწმაწური რამ ჩაიდუღუნა.

— იცით, — გამარჯვებულივით წამოიძახა ქეთრინმა და ჩურჩულით მითხრა, — ამათ ქორწინებას, სინამდვილეში, მაგისი ცოლი აბრკოლებს, კათოლიკეა და განქორწინებას ეკლესიას უკრძალავს.

დღეიზი კათოლიკე არ იყო. გამოაცა ასე მარჯვედ მოფიქრებულმა სიცრუემ.

— ჯვრისწერის შემდეგ, — განაგრძო ქეთრინმა, — დასავლეთში წავლენ და იქ იცხოვრებენ, ვიდრე ყველაფერი ჩაწყნარდებოდეს.

— ევროპაში უფრო საიმედო იქნებოდა.

— ოჰ, გიყვართ ევროპა? — წამოიძახა განცვიფრებულმა, — ახლახან დავბრუნდი მონტე-კარლოდან.

— მართლა?

— შარშან ვიყავი. ამხანაგ გოგოსთან ერთად წავედი.

— დიდხანს დარჩით?

— არა, მარსელზე გავლით ჩავედით მონტე-კარლოში და უკან დავბრუნდით. ათას ორას დოლარზე მეტი გვქონდა, მაგრამ ორ დღეში გაგვფცქვენეს სამორინეში. გამოგიტყდებით, უკან დაბრუნებისას ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ღმერთო, როგორ შემჯავრდა ის ქალაქი!

გვიან საღამოს ფანჯარაში ცა აელვარდა, ვით ხმელთაშუა ზღვის საამო ლაქვარდი, მაგრამ ქალბატონ მაკკის მკახე ხმამ კვლავ ოთახში მიმიბატიყა.

— მეც კინალამ შეეცდი, — ღალატებდა იგი, — კინალამ ცოლად გავყევი ერთ პატარა ურიას. რამდენიმე წელს დამდეგდა. არ იყო ჩემი შესაფერი, ვიცოდი. ყველა ამას მეუბნებოდა: ლუსი, ეგ კაცი შენ არ შეგეფერებაო! მაგრამ ჩესტერს რომ არ შევხვედროდი, ალბათ დამითანხმებდა.

— კი მაგრამ, ყური დამიგდე, — თავის ქნევით უთხრა მირტლ უილსონმა, — საბოლოოდ ხომ არ გაყევი.

— რა თქმა უნდა, არა.

— ჰოდა, მე კი გავყევი, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაურთო მირტლ უილსონმა. — აი, ეს სხვაობაა ჩვენ შორის.

— რატომ გაყევი, მირტლ? — ჩაეკითხა ქეთრინი, — ძალას ვინ გატანდა. მირტლი ჩაფიქრდა.

— იმიტომ გავყევი, რომ ღირსეული კაცი მეგონა, — გვითხრა, როგორც იქნა, — მეგონა, ზრდილობისა გაეგებოდა რამე. ეგ კი თურმე ჩემი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს.

— ერთხანს გაგიჟებით გიყვარდა, — ჩაურთო ქეთრინმა.

— გაგიჟებით მიყვარდა?! — შეჰყვირა მირტლმა, — ვინ თქვა, რომ გაგიჟებით მიყვარდა? არასოდეს მყვარებია უფრო მეტად, ვიდრე აი ეს კაცი.

მოულოდნელად ხელი ჩემკენ მოაშვირა და ყველამ ჩიქურ შემომხედა. შევეცადე გამომეტყველებით მაინც დამეჩერებინა თანამესუფრენი, რომ მის წარსულთან საერთო არაფერი მქონდა.

— გიჟი მაშინ ვიყავი, როცა ცოლად გავყევი. ჩემს შეცდომას მალევე მივხვდი. ჯვრისწერაზე თურმე ნათხოვარი ტანსაცმლით მოსულა და არაფერი მითხრა. ერთ მშვენიერ დღეს, თვითონ შინ არ ბრძანდებოდა, ვილაც მამაკაცი მომადგა, ჩემი ტანისამოსი მომეცითო. — ქალმა თვალი მოავლო ყველას, შეამოწმა, უსმენდნენ თუ არა. — ოჰ, თქვენი? მე ვუთხარი. ახლა გავიგე-მეთქი

პირველად. გავატანე თავისი ტანსაცმელი, დავეგდე ლოგინზე და მთელი დღე გულამომჯდარმა ვიტირე.

— ნამდვილად უნდა მოშორდეს იმ კაცს, — თავისი დასკვნა გამიზიარა ქეთრინმა, — თერთმეტი წელია გარაჟის თავზე ცხოვრობენ. ტომთან გარდა სხვა შეყვარებული არა ჰყოლია.

ვისკის ყველა სიამოვნებით მიირთმევდა, უკვე მეორე ბოთლს სვამდნენ. მხოლოდ ქეთრინი არ ეკარებოდა სასმელს, თავს უმაგისოდაც მშვენიერად ვგრძნობო. ტომმა კარისკაცს გამოუძახა და რაღაც განთქმული სენდვიჩის მოსატანად გაგზავნა — კარგი ვახშმის მაგიერიაო. გარეთ მინდოდა გასვლა და დაისის ბინდბუნდში პარკისკენ გასეირნება, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე, უშვერმა, უაზრო ბაასმა თოკივით შემბოჭა და სკამს მიმაკრა. ვინ იცის, იქნებ ჩვენი ბინის ყვითლად მოკაშკაშე ფანჯრები, ზემოდან რომ გადაჰყურებდა სიბნელემოძალეზულ ქუჩებს, ვინმე გამვლელს იდუმალებით მოსილი ერჩვენებოდა და ცნობისწადილით აჩერდებოდა. და ის გამვლელი თავად მე ვიყავი, შინაც მე გახლდით და გარეთაც. კიდევ მზიბლავდა და კიდევ მზარავდა ცხოვრების ეს უსასრულო მრავალფეროვნება.

მირტლმა სკამი ახლოს მოაჩოჩა და ცხელ სუნთქვას ტომთან პირველი შეხვედრის ამბავიც ამოაყოლა.

— მატარებელში გავიცანი. ვისხედით ერთმანეთის მოპირდაპირე ორ პატარა სკამზე, ყოველთვის დაგვიანებულთა ზვედრი რომაა. ნიუ-იორკში ერთი ღამით მივდიოდი დის სანახავად. ტომს საღამოს ტანსაცმელი და ლაქის ფეხსაცმელი ეცვა. თვალს ველარ ვაშორებდი, მაგრამ რამდენჯერაც შემომხედა, ისეთი სახე მივიღე, თითქოს მის თავთან კედელზე გაკრულ სარეკლამო ფურცელს ვკითხულობდი. სადგურზე როცა ჩამოვედი, უკან გამომყვა და პერანგის თეთრი გულისპირით მკლავზე მომეკრა, ჰოდა, მაშინ ვუთხარი, პოლიციელს დავუძახებ-მეთქი. მაგრამ მზიხვდა, ვცრუობდი. ისე ავღელდი, რომ ტომთან ერთად როცა ტაქსში ვსხდებოდით, წესიერად ვერც გავარჩიე, მეტროს ვაგონი იყო თუ მანქანა. თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა: „მუდამ ხომ არ იცოცხლებ, მუდამ ხომ არ იცოცხლებ“.

მერე ქალბატონ მაკ-კის მიუბრუნდა; მისი ნაძალადევი სიცილი ოთახს მოეფინა.

— ჩემო ძვირფასო, — შესძახა, — ამ კაბას მაღე მოგცემ, აღარ დამჭირდება. ზვალ ახალს ვიყიდი. ახლა ჩამოვწერ, რა საქმე მაქვს — მასაჟი უნდა გავიკეთო, თმა დავიხვიო, ძაღლისთვის საყულო შევიძინო, ის მშვენიერი, ზამბარებიანი საფერფლეც მინდა. დედაჩემის საფლავზე მისატანად შევბაფთიან გვირგვინს ვიყიდი — მთელი ზაფხული რომ არ ჭკნება. სიას შევადგენ და აღარ დამავიწყდება რა მაქვს გასაკეთებელი.

ცხრა საათი იყო. თითქოს იმავე წუთს განმეორებით დავხედე საათს და უკვე ათი გამხდარიყო. ბატონ მაკ-კის სკამზე ჩამოსძინებოდა, მუხლებს დაურდნობოდა დამუშტული ხელებით. შესაზღვრად საქმის კაცს ჰგავდა. ცხირსახოცი მოვწმინდე ლაწვზე მიმხმარი საპნის ქაფი, მთელი საღამო რომ მაღიზიანებდა.

ლეკვი მაგიდაზე დასკუპებულიყო. თამბაქოს კვამლში ბრმა თვალებს აცეცებდა და დროდადრო საცოდავად წკმუტუნებდა. ხალხი გადიოდა, შემოდისოდა, ვილაცები სადღაც წასასვლელად ემზადებოდნენ, შემდეგ ერთმანეთი

ეკარგებოდათ, ერთმანეთს ეძებდნენ და ისევ პოულობდნენ თავისგან რამდენიმე ნაბიჯზე. ალბათ უკვე შუალაშე იქნებოდა. ტომ ბიუქენენი და ქალბატონი უილსონი პირისპირ იდგნენ და გახელებული დაობდნენ, ჰქონდათ თუ არა ქალბატონ უილსონს დეიზის სახელის ხსენების უფლება.

— დეიზი! დეიზი! დეიზი! — გაიძახოდა ქალბატონი უილსონი, მომეტყვი, როცა მომესურვება. დეიზი! დეიზი! დეი...

ტომ ბიუქენენმა დაჭიმული ხელის მტევანი მოკლედ, მარჯვდ მოიჭნია და ცხვირი ჩაუტეხა.

სააბაზანო ოთახში სისხლიანი პირსახოცები ეყარა. ქალები იწყევლებოდნენ, ტკივილით გამოწვეული გმინვა-ზღუქუნი ყველას ხმას ფარავდა. მისტერ მაკ-კი გამოფხიზლდა და გაკვირვებულმა კარისკენ გასწია. შუა ოთახში შენობ-რუნდა და ასეთი სურათი გადაეშალა — მისი მეუღლე და ქეთრინი ლანძღვით თუ ნუგეშისცემით ძლიერ დაფორთხილებდნენ ავეჯით გაჭედულ ოთახში და პირველი დახმარების საგნები მიჰქონდ-მოჰქონდათ. გამწარებულ, ტახტზე გაშვართულ ადამიანს სისხლი მოსჩქეფდა, მაგრამ მაინც ცდილობდა ვერსალის სურათისათვის გობელენზე „თაუნ თეთლის“ ნომერი გადაეფარებინა. მაკ-კიმ პირი იქცია და კარებს მიაშურა. მეც დავავლე ქუდს ხელი და უკან გავყევი.

— იქნებ ერთად ვისაუზმოთ, ერთხელ, — შემომთავაზა, როცა ლიფტში ჩავსხდით.

— სად?

— სადაც იქნება.

— სახელურს ხელი გაუშვით, — აჭიკყინდა მელიფტე ბიჭი.

— მაპატიეთ, — საკუთარი ღირსების შეგნებით წარმოთქვა მაკ-კიმ, — არ შემინიშნავს, თუ ვეხებოდი.

კეთილი, — დავეთანხმე მე, — სიამოვნებით.

...მის საწოლთან ვიდექი. იქდა ზეწრებში საცვლებისამარა და ხელში ვეება პორტფელი ეჭირა.

— „მშვენიერება და მხეცი“... „მარტოობა“... „ბებერი დროვის ცხენი“... „ბრუკლინის ხიდი“...

მერე, იმ სიციფეში, პენსილვანიის სადგურის ქვედა სართულზე სკამზე მიწვეჭი და ოთხი საათის მატარებლის მოლოდინში ნახევრად მძინარე ჩავაშტერდი დილის გაზეთს.

თავი III

იმ ზაფხულს ჩემი მეზობლის სახლიდან ყოველ ღამე მუსიკის ხმა ისმოდა. ლურჯ ბალნარში ფარვანებივით დაფარფატებდნენ ყმაწვილები და ქალიშვილები, ჩურჩულებდნენ, შამპანურს შეექცეოდნენ, შეჭხაროდნენ ვარსკვლავთა ციმციმს. სტუმრები მოდიოდნენ ნაშუადღევს, ზღვის მოქცევისას ზოგი გეტსბის წილხვედრ სანაპიროზე ტივტივაზე დადგმული კოშკიდან წყალში ხტომით ერთობოდა, ზოგი მზეს ეფიცებოდა. ცხელ სილაში გაწოლილი, გეტსბის ორი მოტორიანი ნავი უბეს სერავდა და აქაფებული ტალღების თავზე აკვებლანებს და აჭროლებდა. ყოველ შაბათ-კვირას, დილის ცხრა საათიდან ნაშუალამევამდე,

გეტსების „როლს-როისი“ ომნიბუსივით დაატარებდა ხალხს, ხან ქალაქისკენ, ხან ქალაქიდან კუნძულისაკენ. ხოლო მისი საბარგულიანი მსუბუქი მანქანა მკვირ-ცხლი, ყვითელი მწერივით მიჰქროდა ხოლმე სადგურისაკენ და ხან ერთ მატარებელს ეგებებოდა, ხან მეორეს. ორშაბათობით რვა მსახური და მეზაღე მთელ დღეს ცოცხებით, ხის სახეხებით, ჩაქუჩებითა და მძკრატლებით ტყეებდნენ, აწესრიგებდნენ წინაღამით იავარქმნილ კარ-მიდამოს. გიგ-მმმმმმ

ნიუ-იორკელი ზილით მოვაჭრე ყოველ პარასკევს უგზავნიდა ზუთ ვეება ყუთ ფორთოხალსა და ლიმონს — ყოველ ორშაბათს სამზარეულოდან გაჰქონდათ პირამიდებად დახვავებული მათი ჩენჩოები. სამზარეულოში იდგა ხილის საწური მანქანა და ორას ფორთოხალს ნახევარ საათში წურავდა, თუ მოახლე ორასჯერ დააჭერდა ცერა თითს ამ მანქანის პატარა ლილაკს.

ორ კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდის უამრავი მწე, ასობით ფუტი ტი-
ლო და აურაცხელი ფერადი ნათურა ჩამოჰქონდათ, თითქოს საშობაოდ რთავდ-
ნენ გეტსების ვეება ბაღს. სუფრებს ბრწყინვალე საუზმეულით გააწყობდნენ ხო-
ლმე. სანელებლით შეზავებული ლორი დაზვავებული იყო არლეკინის სამოსელი-
ვით ჭრელი სალათების, შემწვარი გოჭებისა და ოქროსფრად დაბრაწული ინდა-
ურების გვერდით. მთავარ დარბაზში იდგა მრავალნაირი ჭინთა და ლიქიორით,
დიდი ხნის დავიწყებული ტკბილი, სურნელოვანი სასმელებით სავსე ბარი, რო-
მელსაც ნამდვილი თითბრის მოაჯირი ჰქონდა, მაგრამ სტუმარი ქალები უმეტე-
სად ისე ახალგაზრდები იყვნენ, რომ ამ სასმელებს ერთიმეორისაგან ვერც კი
არჩევდნენ.

შვიდი საათისთვის ორკესტრიც მოვიდა, ზუთკაციანი მჭლე ჭგუფი კი არა, სრული შემადგენლობა: პობოები და ტრომბონები, საქსაფონები და ალტები, კორნეტები და პიკოლოები, მცირე და დიდი დაფდაფები. ცურვით გულმოჭერებული სტუმრები სანაპიროდან დაბრუნებულან და ზედა სართულზე ტანსაცმელს იცვლიან; ნიუ-იორკიდან ჩამოსული მანქანები სახლის წინ, ზეივნის სიღრმეში, ხუთრიგად დაუყენებიათ; პირველქმნილ ფერთა ზეიშია დარბაზებში, სასტუმრო ოთახებში, აივნებზე; თვალს მოგტაცებთ ახალ ყაიდაზე უცნაურად შეკრეპილი თმები, კასტილიურზე უტურფესი წამოსასხამები. სრული დატვირთვით მუშაობს ბარი. გარეთ, ბალის ყოველ კუთხეში, სტუმრებისთვის ტატიით დაატარებენ კოკტეილს. გარემო ცოცხლობს ჩურჩულითა და სიცილ-კისკისით, გადაკრულად ნათქვამი სიტყვით; ერთიმეორეს ეცნობიან და მყისვე ივიწყებენ; ქალები ერთჟურთს სიხარულით ეგებებიან, თუმც ერთმანეთის სახელიც კი არასოდეს გაუგონიათ.

რაც უფრო შორდება დედამიწა მზეს, მით უფრო ძლიერ ანათებენ ლამპიონები, ორკესტრმა დაუკრა ბულვარული აოპტეილ-მუსიკა, გნიასმა იმძლავრა. სიცილი თანდათან უადვილდებოდათ, სულ უფრო მეტს ხორბოცებენ და კისკისებენ ყოველ ლიზდ სიტყვაზე. სწრაფად იცვლებიან გუნდ-გუნდად მდგომნი. ჯერ ახალი ხალხი ემატება ყოველ მათგანს, მერე ერთმანეთში აირევიან და კვლავ გუნდ-გუნდად დაიშლებიან ხოლმე. უკვე გამოჩნდნენ მოხეტიალენიც — თავდაჯერებული გოგონები, ხან აქ რომ ანცობენ, ხან იქ, უფროს და დარბაისელ დედაკაცთა შორის, და როდესაც მხიარულება მწვერვალს მიაღწევს, ერთი წამით ხდებიან ამა თუ იმ გუნდის სული და გული; მერე, წარმატებით აღფრთოვანებული, შეუმჩნევლად შეერევიან სახეების, ხმების ფერთა უსასრულო ზღვას.

მოულოდნელად რომელიმე ამ ანცთაგანი, ოპალისფერ მთრთოლვარე კაბა-

ში გამოწყობილი, პაერშივე მოიტაცებს კოკტეილს, სითამამისთვის გადაჭრავს, გაშლის ზელებს და მოფარდაგულზე მარტოკა გააჩაღებს ცეკვას. წამით სიჩუმე ჩამოვარდება. დირიჟორი იძულებულია ორკესტრის ელერა ქალის ცეკვას რიტმს ააყოლოს. ჩურჩულით ვრცელდება ჭორი — ეს მოცეკვავე გოგონა ჯალდა გრუ-ის დუბლიორიად ვარიეტეში „ბრიყვები“. ნადიში იწყება.

დარწმუნებული ვარ, იმ საღამოს, როდესაც გეტსბის პარტიდან შეწვიე, ჩემ გარდა სულ რამდენიმე კაცი თუ იქნებოდა ნამდვილად დაბატიებული. ხალხი დაუბატიებლად დადიოდა. ჩასხდებოდნენ მანქანებში. მიაშურებდნენ ლონგ-აილენდს და ბოლოს, როგორღაც, გეტსბის სახლთან ამოყოფდნენ თავს. იქ კი აღმოჩნდებოდა ხოლმე ისეთი კაცი, რომელიც მასპინძელს წარუდგენდა ახალ მოსულს, რის შერეც ყველანი თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს გართობისა და დასვენების პარკში ყოფილიყვნენ. ზოგჯერ ისე მივიდოდნენ და წავიდოდნენ, რომ გეტსბის გერც ნახულობდნენ. ისე გულუბრყვილოდ დაიარებოდნენ ამ ნადიმებზე, თითქოს გულუბრყვილობა იყო მათი მოწვევის ბარათი.

მე ნამდვილად დამბატიყა. იმ შაბათ დილას, უთენია, მეჟოლიას კვერცხივით ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილმა მძღოლმა ჩემი ეზო გადმოკვეთა და თავისი პატრონის ბარათი გადმომცა. ბარათის ოფიციალურმა კილომ გამაოცა: დიდ პარტის დაუდებლი გეტსბის, ასე ეწერა ბარათში, თუ ამალამ ვეწვეოდი „პატარა ნადიმზე“. რამდენჯერ დაუუნახივარ და დიდი ხანია სურდა ჩემი მიბატიყება. მაგრამ სხვადასხვა გარემოებებმა დღემდე დააბრკოლეს. ხელს აწერდა ჯეი გეტსბი, ლამაზად, შთაბეჭდივად.

შეიძეს ცოტა რომ გადასცილდა, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი მივადექი მის ეზოს და უცხო ადამიანთა მორევს ცოტა არ იყოს უხერხულად ავუარ-ჩავუარე, აქა-იქ თვალი მოვკარი ნაცნობ სახეებსაც, რომლებსაც საგარეუბნო მატარებელში ვხვდებოდი ხოლმე. მისვლისთანავე შევეფეთე რამდენიმე ახალგაზრდა ინგლისელს, დაბორილებდნენ ცალ-ცალკე; მშვენივრად ეცვათ, მაგრამ დამშეულებს ჰგავდნენ; თვითუფლს მოენახა დარბაისელი, მდიდარი ამერიკელი და შთამაგონებლად დაბალ ხმაზე რილაცას უქადაგებდა. დარწმუნებული ვარ, ყიდდნენ რამეს: ობლიგაციებს ან დაზღვევის ბარათებს, ანდა ავტომანქანებს. ყოველ შემთხვევაში, აწვალეზდათ იმის შეგნება, რომ აქ, სადღაც, ფულის იოლად შოვნა შეიძლებოდა და ეჭვიც არ ეპარებოდათ — თუ მოსაუბრეს სწორ გასაღებს მოუწახავდნენ, ფული რამდენიმე დღეში მათი იქნებოდა.

მისვლისთანავე შევეცადე მასპინძელი მომენახა. ორ-სამ კაცს ვკითხე კიდევ, ხომ არ იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი, მაგრამ ისე გაკვირვებული მომაშტერდნენ და მტკიცედ იუარეს, არაფერი ვიცითო, რომ სხვა ველარაფერი მოვახერხე და კოკტეილის მაგიდასთან მივიძჟურწე. მთელს ბალში ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც უამხანაგოდ დარჩენილი კაცის სიმარტოვე და დაბნეულობა თვალში არავის ეცემოდა.

უხერხულობის გამო აღბათ სმას გადავწყვებოდი და საშინლადაც გამოვტყვრებოდი, მაგრამ ამ დროს შენობიდან ჯორდან ბეიკერი გამოვიდა, მარმარილოს კიბეზე შეჩერდა, წელში გასწორდა და ამაყად მოათვალისწინა გარემო.

კარგად შემხვდებოდა თუ ცუდად, ამაზე აღარ დავფიქრებულვარ. აუცილებლად უნდა მივკედლებოდი ვილაცას, თორემ ცოტაც და გამვლელ-გამომვლელს გულითადად შევამკობდი.

— გამარჯობათ! — ვიღრიალე და მივაშურე. ჩემი ხმა უჩვეულოდ მჭახელ მოედო მთელს ბაღს.

— ასეც მეგონა, აქ უნდა ყოფილიყო, — სასხვათაშორისოდ მითხრა, როცა მივუახლოვდი, — მახსოვდა, რომ მეზობლად ცხოვრობდა.

ხელი ჩამომართვა და აღარ გამიშვა, ისიც სასხვათაშორისოდ, თითქოს იმის ნიშნად, რომ ერთი წუთის შემდეგ ჩემთვისაც მოიცლიდა, ახლა კი ერთ-ნაირ ყვითელ კაბებში გამოწყობილ ორ გოგონას მიაპყრო ყურადღება. ისინი კიბის ძირას შეჩერდნენ.

— გამარჯობათ! — ერთხმად ამოსძახეს, — ძალიან გვეწყინა, თქვენ რომ ვერ გაიმარჯვეთ.

გოლფში შეჩიბრებას გულისხმობდნენ. ჯორდანმა ფინალური შეხვედრა წააგო ამ ერთი კვირის წინ.

— ვერ გვიცანით, — შენიშნა ყვითელკაბიანმა გოგონამ. — დაახლოებით ერთი თვის წინ შეგხვდით აქ.

— თმა შეგიღებიათ, — მიუგო ჯორდანმა. ამ სიტყვებმა ცოტა შემაკრთო. მაგრამ გოგონებმა უდარდელად გაიარეს. ჯორდანის შენიშვნას აღრიანად ამოსული სავსე მთვარე თულა გაიგონებდა, ცაში რომ იყო გამოკიდული, ვით ვახშმისათვის კალათიდან ამოღებული ნუგბარი რამე. ჯორდანის ნატიფი ოქროსფერი მკლავი მკლავზე დავისვენე და კიბე ჩავიარეთ, ბაღში გავისეირნეთ. როცა ბინდბუნდში კოქტეილის სინი თვალწინ აგვიტივტივდა, ჩვენც შემოვუსხედით მაგიდას. აქ უკვე მოეკალათათ ყვითელკაბიან გოგონებს და სამ მამაკაცს: თვითუფი ასე გაგვეცნო — მისტერ მამბლი (ბლიყინა) გახლავართო.

— ხშირად დადიხართ აქ სანადიმოდ? — შეეკითხა ჯორდანი მის გვერდით მჯდომ გოგონას.

— უკანასკნელად მაშინ ვიყავი, თქვენ რომ შეგხვდით, — მტკიცედ მიუგო მან და თავის თანამგზავს მიმართა: — შენც, არა, ლიუსილ?

ლიუსილიც მაშინ ყოფილა.

— მომწონს აქ, — თქვა ლიუსილმა, — ფიქრით დიდად არ ვიწუხებ თავს, როგორც მსურს ისე ვიქცევი. ასე რომ ყოველთვის მოლბენით ვარ. ამაა წინათ სკამს კაბა გამოვკარი და გამეხა, მასპინძელმა მისამართი და გვარი მკითხა. ერთ კვირაში ამანათით მომივიდა: კრუარეს ფირმის საღამოს კაბა.

— მერე, დაიტოვეთ? — იკითხა ჯორდანმა.

— როგორ არა. ამ საღამოს მინდოდა ჩამეცვა. მაგრამ მკერდში მაქვს ფართო და უნდა გამოვცვალო. ღია ფერისაა, ლავანდისფერი მძივებით ამოქარგული. ორას სამოცდახუთი დოლარი ღირს.

— რა უცნაური საქციელია, — თქვა ცნობისმოყვარეობით მეორე გოგონამ, — ერიდება ყველას და ყოველგვარ გაუგებრობას.

— ვინ? — ჩავეკითხე მე.

— გეტსბი. ვილაცამ მითხრა...

გოგონები და ჯორდანი ერთმანეთისაყენ დაიხარნენ და ისე განაგრძეს საუბარი.

— ვილაცამ მითხრა, კაცი ჰყავს მოკლულიო.

ერუანტელმა დაუარა ყოველ ჩვენთაგანს. სამივე მისტერ მამბლი (ბლიყინა) წაბრილიყო და გაფაციცებით უსმენდა მათს საუბარს.

— არა მგონია, — შეეკამათა ლიუსილი, — სიმართლეს ეს უფრო ჰგავს: ომის დროს გერმანელების მსტოვარი იყო.

ერთ-ერთმა მამაკაცმა თავის დაქნევით კვერი დაუკრა და დასძინა: მეც ასე მითხრა ერთმა კაცმა. ყველაფერი იცოდა მაგის შესახებ, გერმანიაში თურმე ერთად იზრდებოდნენ, — დაგვარწმუნა.

— ოჰ, არა, — თქვა პირველმა გოგონამ, — ეგ შეუძლებელია, — ჩემი ნათესავის დროს ამერიკის ჯარში იყო. — ახლა მას დავუჯერეთ და წახალისებულმა განაგრძო: — დრო შეურჩიეთ, მარტოკა რომ დაიგულებს თავს და ეგონება, ვერაფერს მხედავსო, მაშინ დააკვირდით, სანაძლეოს დავდებ, კაცი ჰყავს მოკლული.

თვალები მოჰუტა და გააფრთხოლა. ლიუსილსაც გააფრთხოლა. ყველამ გარემო მოვათვალიერეთ, გეტსბის ვეძებდით. იდუმალებით მოსილ ამ მითქმა-მოთქმას ისეთი ხალხიც აჰყოლოდა, ვისაც არ უყვარს ჩურჩული და ჭორაობა.

პირველი ვახშამი გაშალეს. ნაშუალამევს მეორე იქნებოდა. ჯორდანმა მთხოვა, ჩემს თანმხლებ პირთ შევუერთდეთო. ისინი ბალის მეორე ბოლოში შემოსხდომოდნენ სუფრას: სამი წყვილი ცოლ-ქმარი და ჯორდანის განუშორებელი თანამგზავრი — მუდმივი სტუდენტი, ქარაგმით, არაკებით რომ უყვარდა ლაპარაკი. სტუდენტს, ცხადია, იმედი ჰქონდა, ადრე თუ გვიან ჯორდანი რამდენადმე მაინც დაჰყვებოდა ჩემს ნებას. ეს ჯგუფი აღმა-დაღმა როდი დაეხეტებოდა, ერთი წრის ხალხი იყო და ამაყად უფრთხილდებოდა საკუთარ ღირსებას; როგორც აჭაური მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთ, თავი მოვალედ მიიჩნდათ ყველასათვის დაენახვებინათ, რომ უესტ-ეგმა მოწყალება მოიღო და ისტ-ეგს ესტუმრა, მაგრამ აქ გაჩაღებულ გასართობთა მდაბალ ცთუნებას ვერ აჰყვებიან და ფხიზლად დაიცავენ თავს.

— მოვშორდეთ ამათ, — წამჩურჩულა ჯორდანმა, როცა უაზროდ გაიფლანგა თითქმის მთელი ნახევარი საათი, — ამდენ ზრდილობასაც ვერ ვეგუებო.

წამოვდექით. ჯორდანმა იქ მყოფთ აუხსნა — მასპინძლის მოსაძებნად მივდივართ, არასოდეს უნახავსო, ჩემზე უთხრა, და ეუხერხულეზო. სტუდენტმა ცინიკურად, მოწყენით გადაიქნია თავი.

ჯერ ბარში შევიხედეთ; ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ გეტსბი არ ჩანდა. ბეიკერმა კიბიდანაც გადაიხედა და ვერსად იპოვა, არც ვერანდაზე იყო. მეორე ლამაზმა კარმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. შევალეთ იგი და მაღალ, გოთური ყაიდის საბიბლიოთეკო ოთახში აღმოვჩნდით. მთელი ოთახი მოჩუქურთმებული ინგლისური მუხით იყო მოპირკეთებული; უთუოდ ოკეანის გაღმიდან, რომელიღაც გაკოტრებული საგვარეულოს სასახლიდან ჰქონდა წამოღებული.

შუახნის ჩასუქებული, შეზარხოშებული მამაკაცი, რომელსაც ბუს თვალეზივით დიდი სათვალე ეკეთა, ჩამომჯდარიყო მაგიდის კიდეზე და თავს ძალას ატანდა, რომ წიგნები და თაროები კარგად გაერჩია. შევედით თუ არა, აღელვებული შემოტრიალდა და ჯორდანი თავით-ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— რას იტყვით? — უეცრად იკითხა.

— რაზე?

ხელი წიგნის თაროებისკენ გაიშვირა.

— ამაზე. დამიჯერეთ და ნუ შეამოწმებთ. მე უკვე შევამოწმე. ყველა ნამდვილია.

— წიგნები?

თავი დაგვიქნია.

— სავსებით ნამდვილი. ფურცლებიც აქვს და ყველაფერი. მე კი მეგონა, მხოლოდ ლამაზი და მაგარი მუყაო იქნებოდა. არა, სავსებით ნამდვილია! გვერდები და... აი, დახედეთ ამ ყდას!

ჩვენს ურწმუნოებაში ეჭვიც არ შეპარვია, ეცა თაროს და სტოდარდის ლექციების“ პირველი ტომი გადმოიღო.

— შეხედეთ! — ყვიროდა გამარჯვებულივით. — ნაბეჭდია ნამდვილად. ამან გადამრია. ეს ყმაწვილი ახალი ბელასკოა. ტრიუმფიც ამასა ჰქვია! რა საფუძვლიანადაა მოწყობილი! რა რეალიზმია! ისიც იცის, როდის შეჩერდეს: წიგნების გვერდები არც კი გაუჭრია. მაგრამ სხვა რა გნებავთ! მეტს რას მოითხოვთ?

წიგნი გამომტაცა და ბურღულუნით დააბრუნა თავის ადგილზე — ერთი აგურიც რომ მოაკლდეს, მთელ ბიბლიოთეკას დასაღუპავად გავწირავთო.

— თქვენ ვან მოგიყვანათ? — იკითხა. — თუ ისე, თქვენით მოხვედით? მე სხვამ მომიყვანა. აქ უმრავლესობა ვილაციის მოყვანილია.

ჯორდანმა მხიარულად ახედ-დახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— მე ერთმა ქალმა მომიყვანა, გვარად რუზველტია, — განაგრძო. — ქალბატონი კლოდ რუზველტი. იცნობთ? წუხელ გავიცანი სადღაც. თითქმის მთელი კვირა მთვრალი ვიყავი და ვიფიქრე, ბიბლიოთეკაში იქნებ გამოვფხიზლდე-მეთქი.

— მერე?

— მეგონი ცოტა გამოვფხიზლდი. ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ერთი საათია, რაც აქ ვარ. წიგნებზე უკვე გითხარით? ნამდვილი წიგნებია. ნამდვ...

— ეგ უკვე გვითხარით.

დარბაისლურად ჩამოვართვით ხელი და გარეთ გამოვედი.

ბაღში, მოფარდაგულზე, ლევა გაეჩაღებინათ. ბერიკაცები წრეს უვლიდნენ; ქალ-ვაენი არ შორდებოდნენ მოფარდაგულის კიდე, ახლებურად როკავდნენ, პრანკვა-გრეხით. ძალიან ბევრი ქალიშვილი მარტო ცეკვავდა, მაგრამ ზოგჯერ რომელიმე მათგანი ორკესტრიდან ცოტა ხნით მაინც გამოთიშავდა ხოლმე ბანჯოზე ან კასტანეტებზე დამკვრელს. შუალამისას მხიარულებამ იმატა. ცნობილმა ტენორმა იტალიურად იმღერა, სახელგანთქმულმა კონტრალტომ ჯაზური სიმღერები შეასრულა. სტუმრები ნომერსა და ნომერს შუა თავს არ იზოგავდნენ ერთმანეთის გასამხიარულებლად. ცას სწვდებოდა მათი უდარდელი სიცილ-ხარხარი. ბავშვურ ტანსაცმელში გამოწყობილმა ტყუპებმა — ესენი ყვითელკაბიანი გოგონები აღმოჩნდნენ, რაღაც საბავშვო სცენა წარმოადგინეს ესტრადაზე. შამპანური მოზრდილი ჭიქებით შემოჰქონდათ. მთვარის სხივი სრუტის მშვიდ წყალში ვერცხლისფერ სამკუთხა ლიბრივით ლივლივებდა და დროდადრო, როცა მოუქნელი, ლითონივით გაბზარული ბანჯოს ხმა ბაღს გადასერავდა, სხივიც წყალში თრთოლვით შეირხეოდა ხოლმე.

ჯორდან ბეიკერი და მე კვლავ ერთად ვიყავით. ჩვენს მაგიდასთან ისხდნენ ვილაც ჩემი ხნის მამაკაცი და ერთი აჭყლოპინებული პატარა გოგო — სულ მცირე მიზეზითაც კი თავშეუჟავებლად კისკისებდა. მე უკვე კარგ გუნებაზე ვიყავი — ორი ჭიქა შამპანური დავლიე და ჩემს თვალში ყოველივემ ფერი იცვალა, ყველაფერი მნიშვნელოვანი, პირველქმნილი და აზრიანი გამხდარიყო.

როცა სიცილ-ხორხოცი წამით ჩაცხრა, უცნობმა მამაკაცმა შემომხედა და გამიღიმა.

— მეცნობით, — თავაზიანად მომმართა, — ომის წლებში მესამე დივიზიაში ხომ არ მსახურობდით?

— როგორ არა, მეცხრე საარტილერიო ბატალიონში.

— 1918 წლის ივნისამდე ფეხოსანთა მეშვიდე პოლკში მსახურობდი. როგორც კი დაგინახეთ, შეგიცანით, სადღაც მინახიხართ.

ერთხანს ვისაუბრეთ საფრანგეთის რომელიღაც ნესტიან, მოქუფრულ სოფლებზე. უთუოდ სადღაც ახლოს ცხოვრობდა, რადგან მთხოვა, პიდროპლანი ვიყიდე და ხვალ დილით ერთად გამოვცადოთ.

— წამოხვალთ, ძმაცაცო? სანაპიროზე მობრძანდით, სრუტის მახლობლად.

— რა დროს?

— რა დროსაც გერჩიოთ.

სახელი მინდოდა მეკითხა, მაგრამ ამ დროს ჯორდანმა მოიხედა და შემოშინა.

— რასა იქმთ, გამხიარულდით?

— ბევრად უკეთ ვარ. — ავლავ ჩემს ახალ ნაცნობს მივუბრუნდი, — რა უჩვეულო წვეულებაა. ჯერ მასპინძელი არ მინახავს. აქვე ვცხოვრობ... — ხელი ჩემი ეზოსკენ გავიშვირე, — და ამ კაცმა გეტსბი, შოფრის ხელით გამომიგზავნა მოპატიჟების ბარათი.

ერთხანს ისე მოყურა თითქოს ვერ გაიგო, რას ვეუბნებოდი.

— მე ვარ გეტსბი, — უეცრად დასძინა.

— რაა?! — აღმომხდა მოულოდნელობით გაოგნებულს, — ოჰ, ბოდიშს ვიხდი.

— მე მეგონა, იცოდით, ძმაცაცო. ეტყობა, მასპინძლად არ ვარგევარ.

თანაგრძნობით გამიღიმა, თანაგრძნობით კი არა და უფრო მეტიც. იშვიათია ასეთი ღიმილი, ნდობით და რწმენით რომ აგავსებს კაცს; იშვიათად თუ შეხედები ცხოვრებაში. ისე იღიმებოდა, თითქოს მთელს ქვეყანას შეჰხაროდა; უმაღვე იგრძნობდით, რომ ამ სანდომიანი ღიმილის მომნუსხავი სხივი ნდობით, კეთილად გელაციცებათ. იგრძნობდით, რომ თქვენი ესმის, თანაც ისე, როგორადაც ისურვებთ; სჯერა თქვენი, მაგრამ ისე, როგორც თქვენვე გსურთ გჯეროდეთ. საკუთარი თავის; რწმუნდებით, რომ სწორედ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეთ, როგორიც გსურდათ. და აი, ღიმილი გაუქრა და პირისპირ შევეჩი ოცდაათ წელს გადაცილებულ, კარგად გამოწყობილ, მაგრამ გაურაზრავ კაცს, რომელსაც მეტყველებაც კი აბსურდულად ნაძალადევი, ხელოვნური ჰქონდა. სანამ გავიგებდი მის ვინაობას, მანამდე შევამჩნიე, რომ ფრთხილად, დაკვირვებით არჩევდა სიტყვებს.

ბატონი გეტსბი ის იყო გამეცნო, რომ მსახური ეახლა და აცნობა, ჩიკაგოდან გირეკვენო. გეტსბი წამოდგა და ბოდიშის ნიშნად თავი დაგვიკრა.

— რასაც ისურვებთ, მოითხოვეთ, ძმაცაცო, არ მოგერიდოთ, — გამათამაშა, — ბოდიშს ვიხდი, მალევე გეახლები.

როგორც კი წავიდა, ჯორდანს ვეცი გაოცებული. რატომღაც მეგონა, ბატონი გეტსბი ლოყებდაჟდაჟა, ჩასუქებული, შუახნის კაცი უნდა ყოფილიყო უსათუოდ.

— საერთოდ რას წარმოადგენს ეს კაცი? — ჩავეკითხე, — არ იცით?

— გეტსბია გვარად, ეს არის და ეს.

— საიდან არის-მეთქი, ამას ვგულისხმობ, ან რას აკეთებს?

— თქვენც დაიწყეთ სხვებსავეთი — გამარჯვებულის ღიმილით მრმიგო. — იცით, ერთხელ მითხრა, ოქსფორდში ვსწავლობდიო.

გეტსბის ჩემს წარმოდგენაში თითქოს ბუნდოვანი ფუნქცია გამოვსახე, მაგრამ ჯორდანის მომდევნო სიტყვებმა ისიც გამიჭრო.

— მე კი არ მჭერა.

— რატომ?

— არ ვიცი, — დასძინა, — რატომღაც არ მჭერა, რომ იქ სწავლობდა.

ჯორდანის კილომ იმ გოგოს ნათქვამი მომაგონა: „მგონი, კაცი მოუკლავსო“. ცნობისმოყვარეობა ამან უფრო გამიღიზიანა. ადვილად დავიჯერებდი, რომ ეთქვათ, გეტსბი ლუიზიანას ჭაობიდან ამობოზლდა ან ნიუ-იორკის ისტ-საიდის უმდაბლესი ფენიდან არის გამოსულიო. ეს გასაგებიც იქნებოდა. მაგრამ როგორ შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში ჩემი პროვინციული წარმოდგენით, ახალგაზრდა კაცი ასე არსაიდან გამომტყვრალიყო და იმწამსვე სასახლე ეყიდა ლონგ-აილენდის ყურეში.

— დიდ წვეულებებს აწყობს, — ქალაქური ზიზლით მოერიდა ჯორდანი კონკრეტულ თემაზე საუბარს, — მეც ხალხმრავალი ნადიმი მიყვარს. ბევრად უფრო მყუდროდ გრძნობ თავს, ვიდრე პატარა ნადიმზე. როცა ხალხი ცოტაა, შენთვის ვერ იქნები.

ამ დროს დოღს შემოჰკრეს და ორკესტრის დირიჟორმა მძლავრი ხმით გადაფარა სტუმართა საზეიმო ეივილ-ხივილი.

— ქალბატონებო და ბატონებო! — დაიგრგვინა. — ბატონ გეტსბის თხოვნით თქვენთვის შევასრულებ ბატონ ვლადიმერ ტოსტოვის უახლეს ნაწარმოებს, რომელმაც ფართო ყურადღება მიიპყრო კარნეჯი ჰოლში გასული წლის მაისს. გაზეთებს თუ კითხულობთ, გეცოდინებათ, დიდი წარმატება ხვდა, სენსაცია გამოიწვია! — შემწყნარებლური ღიმილით, მხიარულად დაუმატა, — სენ-სა-ცია! — ამაზე ყველამ გადაიხარხარა.

— ნაწარმოებს ჰქვია, — როგორც იქნა, დაასრულა თავისი სათქმელი, — „სამყაროს ჯაზური ისტორია“ — ვლადიმერ ტოსტოვისა.

ბატონ ტოსტოვის ნაწარმოებს ვერც კი მოვუსმინე, რადგან გეტსბი სწორედ მაშინ დავინახე, როცა ორკესტრმა დაკვრა დაიწყო. იგი მარმარილოს კიბეზე იდგა. მარტოდმარტო, კმაყოფილი გადაჰყურებდა ხან ერთ ჯგუფს, ხან მეორეს. გარუჯული სახე საამურად გადატყეცოდა, მოკლე თმა კოხტად დაეგარცხნა. ახლად გაკრეჭილს ჰგავდა. ავისმქმნელობას ვერაფერზე ვამჩნევდი. ვფიქრობ, სტუმრებისგან სწორედ იმით გამოიჩინებოდა, რომ არ სვამდა, რადგან ჩემი დაკვირვებით, რაც უფრო შინაურული ხდებოდა ღრეობა, მით უფრო მოკრძალებული იყო თვითონ. „სამყაროს ჯაზური ისტორია“ რომ დასრულდა, გოგონები მეტისმეტად შინაურულად მიეხუტნენ თავიანთ ყმაწვილებს. ზოგი, ვითომ გული შემეწუხდაო, მკლავებში კეკლუცად ჩაუვარდა ვაჟს, ზოგი პირდაპირ მამაკაცთა ჯგუფში გადაესვენა იმის იმედით, ვინმე ჰაერშივე დამიჭერსო... გეტსბისთან არავინ წაქცეულა, გეტსბის არავინ მიხუტებია, არავის უმღერია მასთან ერთად.

— მაპატიეთ.

ჩვენ წინ გეტსბის მსახური ატუხულიყო.

— ბეიკერი ბრძანდებით? — იკითხა. — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ბატონ გეტ-სის თქვენთან ცალკე სურს საუბარი.

— ჩემთან? — იკითხა გაკვირვებულმა ჯორდანმა.

— დიახ, ქალბატონო.

ჯორდანი ნელა წამოდგა, წარბეზაზიდულმა გაკვირვებით შემოიხედა და მსახურს სახლისკენ გაჰყვა. შეეამჩნიე, რომ სალამოს კაბას თუ სხვა სამოსელს სპორტული ტანსაცმელივით მსუბუქად იხდენდა, მიხვრა-მოხვრაში თვინიერ-ყოფილება ემჩნეოდა, თითქოს გოლფის მოედანზე, სუფთა, ჯანსაღ პაერზე აედგას ფეხი.

მარტო ვიყავი. ღამის ორი საათი სრულდებოდა. გრძელი, მრავალფან-ჯრიანი ოთახიდან, რომელიც აივანზე გამოდიოდა, გაურკვეველი, ცნობისმოყ-ვარეობის აღმძვრელი ხმა მოისმოდა. ჯორდანის სტუდენტს მაშინ გავეპარე, როცა ორ მომღერალ გოგონას სამეანო თემაზე ესაუბრებოდა. შემეხვეწა, არ მომშორდეო, მაგრამ გავეპარე და შენობაში შევედი.

დიდი ოთახი ხალხით იყო სავსე. ყვითელკაბიანი ქალიშვილი პიანინოზე უკრავდა. მაღალი, წითური ახალგაზრდა ქალი, სახელგანთქმული გუნდის მომ-ღერალი, გვერდით ედგა და გატაცებით მღეროდა. შამპანური ბლომად ჰქონდა დალეული და შუა სიმღერაში, ეტყობა, ცხოვრება მეტისმეტად სევდიანი მო-ეჩვენა და სიმღერასთან ერთად, ტიროდა კიდევ. პაუზებში სულს ძლივს ით-ქვამდა, ზღუქუნებდა და ამ ღირიულ წიაღსვლას კვლავ მთრთოლვარე სოპ-რანოთი ფარავდა. ცრემლი ლოყებზე ღვარად დასდიოდა, თუმცა გულუხვად შე-ღებილ-შელამაზებული წამწამები აბრკოლებდა მის თავისუფალ დინებას — ცრემლს ჯერ მეღწისფერი ედებოდა, ხოლო შემდეგ ნაკადულად მიედ-ინებოდა. ვილაცამ იხუმრა — სიმღერის ნოტები ლოყებზე აწერიაო. გაწბილე-ბულმა ხელები სახეზე აიფარა, სავარძელში ჩაეშვა და ღვინონასვამს უმაღვე ღრმად ჩაეძინა.

— ვილაც მამაკაცს წაეჩხუბა; კაცი გვარწმუნებს, ქმარი ვარო, — ამიხსნა ჩემს გვერდით მდგომმა ქალიშვილმა.

თვალი გადავაავლე იქაურობას. შემორჩენილი სტუმარი ქალები ქმრებად წოდებულ მამაკაცებს ეჩხუბებოდნენ. ჯორდანის თანმხლებ ისტ-ეგელთა ოთ-ხეულშიც თავი ეჩინა უკმაყოფილებას და დაქსაქსულიყვნენ. ერთი ისტ-ეგელი მამაკაცი გატაცებით ესაუბრებოდა მსახიობ ქალს. მისი ცოლი თავდაპირველად იხტიბარს არ იტეხდა, სულაც არ მიმაქვს ეს ამბავი გულთანო, მაგრამ მერე ერთბაშად გატყდა და ფლანგებიდან შეუტია — დროდადრო ბასრი აღმასივით მიეტუზებოდა თავის მეუღლეს და ყურში ჩასისინებდა: „ზომ დამპირდი!“

სახლში წასვლა მხოლოდ დაუდევარ ქმრებს როდი ეზარებოდათ. ახლა დარბაზში ორი საცოდავად ფხიზელი მამაკაცი და მათი მეტისმეტად აღშფო-თებული ცოლები დაბორილად იდნენ. ქალები ერმანეთს ხმამაღლა უზიარებ-დნენ გულის ვარამს.

— როგორც კი შეამჩნევს, რომ კარგ ხასიათზე ვარ და ვერთობი, იმწუთ-ში სახლისკენ გაიწევს.

— ასე თავკერძა არავინ მინახავს.

— ყველაზე ადრე ყოველთვის ჩვენ უნდა წავიდეთ.

— ჩვენც.

— ახლა მგონი უკანასკნელები ვართ, — ცხვარივით წაიდუღუნა ერთმა მამაკაცმა, — ორკესტრიც კი ნახევარი საათის წინ წავიდა.

მართალია, ცოლებს ეს წარმოუდგენელ ბოროტებად მიიჩნდათ, მაგრამ კამათი მაინც იმით დამთავრდა, რომ მცირე გაბრძოლების შემდეგ ქმრებმა შე-
ორე ნახევრები ღამის სიბნელეში წააჩიქჩიქეს.

ვიდრე ქუდს მომიტანდნენ, დარბაზში შევჩერდი. ^{უკანასკნელი} ამ დროს სტუმრობდნენ კარი გაიღო, ჯორდან ბეიკერი და გეტსბი გამოვიდნენ. მამაკაცი ამთავრებდა საუბარს, რაღაცას ალტყინებით ეუბნებოდა, მაგრამ რამდენიმე კაცი დასა-
მშვიდობებლად მიეახლა და მისი ალტყინება მყისვე ნაძალადევმა თავაზიანო-
ბამ შეცვალა.

მოთმინებადაკარგულმა თანამგზავრებმა ჯორდანს პარმალიდან დაუძახეს, მაგრამ მე მემშვიდობებოდა და დაყოვნდა.

— საოცარი ამბავი მოვისმინე, — წაიჩურჩულა. — რა, დიდხანს შევერჩი-
იქ?

— რა ვიცი, დაახლოებით ერთ საათს.

— ეს... უბრალოდ განსაცვიფრებელია, — გაიმეორა. — მაგრამ დავიფი-
ცე, არავის მოვუყვები-მეთქი და თქვენ კი ცნობისმოყვარეობას გიღიზიანებთ. —
განაზეებით მომამთქნარა. — მოდიტ რა ჩემთან, მინახულეთ... ტელეფონე-
ბის წიგნში... ქალბატონ სიგურნი ჰაუორდის გვარზე ნახავთ... დეიდაჩე-
მია... — გარბოდა და თან მელაპარაკებოდა. მზით გარუჯული ხელი მოხდენილად
დამიქნია და კართან მდგარ თანამგზავრთ გაჰყვა.

ცოტა დავირცხვინე, პირველივე დღეს ასე დიდხანს რომ დავრჩი, მაგრამ
მაინც შევერიე შემორჩენილ სტუმრებს, რომლებიც გარს ეხვეოდნენ გეტ-
სბის. მინდოდა მეთქვა. საღამოს მოსვლისთანავე დაგიწყეთ-მეთქი ძებნა, და
ბოდიში მომეხადა, წელან ბაღში რომ ვერ ვიცანი.

— როგორ გეკადრებათ, — გულითადად მომმართა, გამახალისა. — არც
იფიქრო, ძმაცაცო. — სანუგეშებლად, ფამილარულ გამოთქმას ბეჭზე ხელის მო-
თათუნებაც დააყოლა. — არ დაივიწყო, ხვალ დილით, ათ საათზე, პიდროპლა-
ნით უნდა გავისეირნოთ.

ამ დროს, ზურგსუქნიდან მოახლემ აცნობა:

— ტელეფონთან გთხოვენ. ფილადელფიიდან, სერ.

— კეთილი, ახლავე. უთხარით, ახლავე მოვა-თქო... ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა. — ისე გამიღიმა, თითქოს გვიანობამდე ჩემი აქ
დარჩენა რაღაც კეთილს მოასწავებდა და აქამდე ამაზე ოცნებობდა. — ღამე
მშვიდობისა, ძმაცაცო... ღამე მშვიდობისა.

კიბე რომ ჩავიარე, მაშინღა შევაშჩინე — ხალხი ჯერ კიდევ არ დაშლილიყო.
მანქანები ჭიშკრიდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე იდგნენ და საოცარი სანახა-
ობისათვის ძლიერი შუქი მიენათებინათ. გეტსბის ეზოდან ორი წუთის სავალ-
ზე, გზის მარჯვნივ, თხრილში ჩაწოლილიყო ცალბორბალმოგლეჯილი ახალი,
ორადგილიანი მანქანა. გამოშვერილი კედელი გვამცნობდა, რამ განაცალკევა
ბორბალი მანქანისაგან. ცნობისმოყვარე მძღოლებს თავიანთი მანქანები შუა
ქუჩაში მიეტოვებინათ და ბორბალს ყურადღებით ათვალიერებდნენ, მაგრამ
ამასობაში გზა ჩაუკეტეს უკან დარჩენილთ და შექმნილ არეულობას საყვი-
რების უწყსრიგო, ყურისწამლები გნიასიც მიემატა.

დამტვრეული მანქანიდან გრძელლაბადიანი მამაკაცი გამოცოცდა, შუა ქუ-

ჩაში გაჩერდა და შეწყუბებული, საცოდავად მიაჩერდა ჯერ მანაქანას, მერე მოგლეჯილ ბორბალს და მერე ხალხს.

— ზედავთ, — განმარტა, — თბრილში ჩამჯდარა!

ამ ამბავმა, ეტყობა, უსაზღვროდ გააოცა იგი. ჯერ ეს უჩვეულო ვაღაცება მეცნაურა, ხოლო შემდეგ თვით კაციც ვიცანი, გეტსბის ბიბლიოთეკის წყლან-დელი ბინადარი.

— როგორ დაგემართათ?

— ტექნიკაა არაფერი გამეგება, — გადაჭრით განაცხადა მან.

— კი მაგრამ, როგორ დაგემართათ? კედელს შეასკდით?

— მე რას შეკითხებით, — თქვა ბუსთვალამ და მთელ ამ საქმეზე ზელი დაიბანა. — მანქანის ტარებისა არაფერი ვიცი. მოხდა და ეგ არის. მე სხვა არაფერი ვიცი.

— თუ არ იცოდით, რაღა შუალამისას სცადეთ ტარება.

— არ მიცდია, — აღშფოთებით შეეპასუხა. — მე არა ვცდილობდი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— რა, თავის მოკვლა გინდოდათ?

— თქვენი ილბალი, რომ მხოლოდ ბორბალი დაზიანდა! ტარება არ ვიცი და არცა ვცდილობდიო!

— თქვენ ვერ გამიგეთ, — განმარტა დამნაშავემ, — მე არ მიმყავდა-მეთქი, მანქანაში სხვაც იჯდა.

ამ სიტყვებმა ისე გააოცა გარსშემოჯარული ხალხი, რომ უნებლიეთ აღმოხდათ „უუჰ!“ და ვიდრე საერთო გმინვა მიწყდებოდა, ორადგილიანი მსუბუქი მანქანის დაღეჭილი კარი ნელ-ნელა აფარფატდა. ბრბომ — ეს უკვე ბრბო იყო — უნებლიეთ უკან დაიხია და როცა კარი ფართოდ გაიღო, სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ დამტვრეული მანქანიდან ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ გამოალაჯა გაფითრებულმა, აბარბაცებულმა კაცმა და ვეება სამეჯლისო ფეხსაცმლით ფრთხილად მოსინჯა ქვაფენილი.

მანქანების ძლიერი შუქით დაბრმავებული და საყვირების გაუთავებელი გნასით საქციელწამხდარი მოჩვენება ერთხანს ადგილზე დაბორიალობდა, ვიდრე თვალს მოჰკრავდა ლაბადიან მამაკაცს.

— რაა... მოხდა? — მშვიდად იკითხა. — ბენზინი გამოილია?

— შეხედე!

კაცებმა მომძვრალ ბორბალზე მიუშვირეს თითი. ერთხანს ბორბალს მიმტერდა, მერე მალლა აიხედა, თითქოს დაეკვდა, ციდან ხომ არ ჩამოვარდაო.

— ბორბალი მოძვრა, — აუხსნა ვილაძამ.

მან თავი დაუქნია.

— ვერც ვიგრძენი თუ გავჩერდით.

დუმილი ჩამოწვა. შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა, მხრებში გაიშალა და მტკიცედ წარმოთქვა:

— კარგით, გეყოფათ, მითხარით, ბენზინის სადგური სად არის.

უამრავლამამაკაცი შემოესია. ზოგიერთი უფრო მთვრალიც იყო. როგორც იქნა შეასმინეს, მანქანასა და ბორბალს შორის ფიზიკური კავშირიც კი არ არსებობსო.

— უკან დავწიოთ, — გადაწყვიტა ცოტა ხნის შემდეგ, — უკან სვლით წავიყვან.

— ბორბალი რომ აღარ აქვს!

შეცბა.

— ცდა რას წაახდენს, — დასძინა ბოლოს.

კატებივით აჩხვლებული საყვირების ხმა თანდათან ქრებოდა. ზურგი ვაქციე ამ აურზაურს და ბალი პირდაპირ ჩემი სახლისკენ გადავსერე. მხოლოდ ერთხელ მოვიხედე უკან. ბაკმიანი მთვარე დანათოდა გეტსბის სასახლეს, მშვენიერი ღამე იყო, თუმცა ჯერ კიდევ ფარნებით განათებულ ბაღში თითქოს ისევ ისმოდა სიცილ-ფრიაბული. სიცარიელემ აქ უეცრად დაისადგურა: იგი გამოსჭვიოდა ფანჯრებში, დიდრონ კარებში. ეს კიდევ უფრო მარტოსული კაცის იერს აძლევდა აივანზე გადმომდგარ მასპინძელს, დამშვიდობების ნიშნად რომ იქნევდა ხელს.

ჩემი ნაწერი რომ გადავიკითხე, ერთი რამ შევამჩნიე: ვინმე იფიქრებდა, მთელი ის ხანი თითქოს მხოლოდ ამ სამი, ერთმანეთს რამდენიმე კვირით დაშორებული საღამოს ამბით ვსულდგმულობდი. პირიქით, იმ ზაფხულს გადატვირთული ვიყავი. ეს საღამოები მხოლოდ შემთხვევითი ეპიზოდები გახლდათ და დიდხანს ჩემს პირად საქმეებზე მეტად არც კი მაინტერესებდა.

უმეტეს დროს სამუშაოზე ვატარებდი. ყოველ დღით, ადრინადა, როცა მზე დასავლეთით განფენდა ხოლმე ჩემს ჩრდილს, ნიუ-იორკის ცათამბჟენებს შორის გაწოლილი თეთრი ხეობით მივაშურებდი ჩვენს სანაქებო დაწესებულებას. აქ სახელით ვიცნობდი ყოველ მოხელეს. მათთან ერთად ვსაუბრობდი ხალხით გაჭედნილ, ჩაბნელებულ რესტორნებში, შევექცეოდით ღორის სოსისებს, კარტოფილის პიურეს და ყავას. ერთხანს საქმეც კი გავჩარხე ჩვენს თანამშრომელ გოგოსთან, რომელიც ჯერსი-სიტიდან იყო ჩამოსული, მაგრამ მისი მშავეთვლით მიყურებდა და როგორც კი გოგო შევებულემაში წავიდა, სამუდამოდ გავანებე თავი.

იელელთა კლუბში ვსადილობდი. სწორედ ეს იყო ჩემი ყოველდღიური განრიგის უსიამოვნო ნაწილი. ნასადილევს მალლა ავდიოდი, ბიბლიოთეკაში, ერთ საათს, პატიოსნად ვსწავლობდი კაპიტალდაბანდებებსა და გარანტიებს. აქაც ჰყავდათ რამდენიმე ამრევი კაცი, მაგრამ ისინი ბიბლიოთეკაში არასოდეს შემოდისდნენ. ასე რომ, სამუშაოდ საუკეთესო ადგილი გახლდათ. მერე, თუ საამური საღამო იდგა, გავყვებოდი მედიკონ ავენიუს, გავცდებოდი ძველისძველ სასტუმროს „მარი-ჰოლს“ და 33-ე ქუჩით პენსილვანიის სადგურს მივადგებოდი.

თანდათან მხიბლავდა ნიუ-იორკი. საღამოობით მეუფლებოდა ეინიანი, თამამი გრძნობა, და ხარბად შევცქეროდი მოზიმზიმე ქალებს, მამაკაცებს, მანქანებს. მიყვარდა ძეხუთე ავენიუსზე გასეირნება — უამრავ ხალხში მიმზიდველ ქალს ამოვარჩევდი, წარმოვიდგენდი, თითქოს ცოტა ხნის შემდეგ მისი ცხოვრების თანაზიარი უნდა გავმხდარიყავი და თანაც ისე, რომ ვერავის ვერაფერი გავგო. და არც დავეძრახეთ; ოცნებით ზოგჯერ სახლამდე, იდუმალე-ბით მოცულ რომელიმე ქუჩის კუთხემდე მივაცილებდი და ვიდრე კარს იჭით დავანებულ თბილ სიბნელეში გაუჩინარდებოდა, შემომხედავდა და საბასუხო ღიმილს შემომავრქევდა. ზოგჯერ ჯადოსნურ ქალაქურ მიმწუხრისას უნუგეშო მარტოობას ვგრძნობდი. ამას სხვებსაც, ხელმოკლე ახალგაზრდა მოხელეებ-

საც ვამჩნევდი. ისინი უმიზნოდ დაბოროტდნენ ვიტრინებთან და დროს ჰკლავდნენ სადილობამდე, მერე კი რომელიმე რესტორანში მარტოა მიუსხდებოდნენ სუფრას; ვამჩნევდი ახალგაზრდებსაც — დაისის ბინდებუნიდან უსარგებლოდ რომ ფლანგავდნენ ამ სადამოსაც და მთელი სიცოცხლის უფრო-ფასეს დრო-ჟამსაც.

უჩინულოდ

სადამოს რვა საათზე, როდესაც ჩაბნელებული ორმოცანა ჭყქყნა ატრისკენ მიმავალი ათახთახებული ტაქსებით იივსებოდა, გული კვლავ მწარედ შემეკუმშებოდა ხოლმე. ცოტახნით შეჩერებულ ტაქსებში აჩრდილებივით ილანდებოდნენ ჩახუტებული ქალ-ვაჟნი. საამოდ ეღერდა მათი ხმა; ოხუნჯობას სიცილ-ხორხოცი ფარავდა. ანთებული სიგარეტები გაურკვეველ ხაზებს ავლებდნენ ჩაბნელებულ მანქანაში. წარმოვიდგენდი, ვითომ მეც სამხიარულოდ მივიჩქაროდი, თანამოზიარე გახლდით სხვათა ინტიმური სიხარულისა და ყველას სიკეთეს ვუსურვებდი.

ერთხანს ჯორდან ბეიკერი თვალთ არ მინახავს, მაგრამ მოგვიანებით, შუა ზაფხულში, კვლავ გადავეყარეთ ერთმანეთს. პირველ ხანებში უბრალოდ მომწონდა მასთან ერთად გამოსაჩენ ადგილებში ყოფნა — როგორც გოლფის ჩემპიონს ყველა იცნობდა და მეც მსიამოვნებდა ეს. მერე რაღაც სხვა გრძნობაც გამიჩნდა. არა, არ მიყვარდა, მაგრამ აშკარად ნაზი, ცნობისმოყვარეობით აღსავსე გრძნობა მაკავშირებდა მასთან. მე შეჩვენებოდა, რომ მისი ქედმაღლობისა და ნაღველის მიღმა მიშალული იყო რაღაც, — ზელოვნურობა და მოწვევებითობა ხომ ყოველთვის ჩქმაღლავენ რამეს. პოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ის ააიდუმლოც ამოვხსენი. ერთხელ, უორიკში, ოჯახურ წვეულებაზე ერთად წავედით. ნათხოვარი მანქანა წვიმაში თავდია მიატოვა და მერე იცრუა. მაშინ პყისვე გამახსენდა ის ამბავი, იმ ღამეს დეიზისთან რომ ვერაფრით მოვიგონე. ერთხელ, როცა ჯორდანი პირველად გამოდიოდა დიდ საგოლფო შეჯიბრებაში, სასკანდალო ამბავი შეემთხვა, კინალამ გაზეთებმაც დაწერეს ამის თაობაზე. ზმა გავრცელდა, ნახევარფინალურ შეხვედრისას ბეიკერმა არახელსაყრელ პოზიციაში დავარდნილ ბურთს ადგილი შეუწაცვლაო. ამ ამბავმა დიდი აურზაური გამოიწვია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მითქმა-მოთქმა ჩაცხრა. ბიჭმა, რომელიც გოლფის მოთამაშეთ მინდორზე ემსახურებოდა, უარყო თავისივე ნათქვამი, ხოლო მეორემ განაცხადა, შეიძლება შევცდიო. ეს შემთხვევა და ბეიკერის გვარი ერთად ჩამჩჩა მეხსიერებაში.

ჯორდან ბეიკერი ალლოთი ცნობდა და ერიდებოდა ჰკვიან, გამჭრიახ ადამიანებს. ახლა მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი — თავს უფრო იმედინად იმ გარემოში გრძნობდა, სადაც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ შესაძლებელია მიღებული წესის თუნდაც მცირედი დარღვევა. იგი გამოუსწორებლად უპატიოსნო გახლდათ. წარუმატებლობას ვერ ეგუებოდა, და ვინ იცის, რას არ კადრულობდა სიყმაწვილეში, რათა შერჩენოდა ეს ცივი, თავხედური ღიმილი და დაეამებინა სიცოცხლით სავსე, ჰირვეული სხეული.

ჩემთვის სულერთი იყო. ქალის უპატიოსნება ისეთი რამაა, რასაც ძალიან მკაცრად როდი ვკიცხავთ ხოლმე. ერთხანს გული მწყდებოდა, მაგრამ მერე გადამავიწყდა. სწორედ მაშინ, იმ ოჯახურ წვეულებაზე რომ ვიყავით, მანქანის ტარების გამო წავლაპარაკდით. ვიღაც მუშას ისე ახლოს ჩაუქროლა, რომ მანქანის ფრთამ ხალათზე დიდი შეაწყვიტა.

— ცუდად დაგყავთ მანქანა, — გავუბრაზდი, — ან უფრო ფრთხილად უნდა იაროთ, ან თავი დაანებოთ მანქანის ტარებას.

— ფრთხილად დავდივარ.

— არ დადიხართ ფრთხილად.

— მაშინ სხვები გაფრთხილდნენ.

— მაგით რა გინდათ თქვათ.

— რაღა, გზიდან ჩამომეცალონ, — ჯიუტად დამიყვავა, — შეჩახებას ორი მხარე სჭირდება.

— ვთქვათ და გადაეყარეთ თქვენსავით თავნებას.

— დარწმუნებული ვარ ეგ არ მოხდება, — მზად ჰქონდა პასუხი, — მე-ჯავრება თავნება ხალხი. თქვენ სწორედ ამიტომ მომწონხართ. — ჩემკენ არც მოუხედავს. ნაცრისფერ თვალებში მზე ექყიტებოდა, მაგრამ ჯიუტად გაჰყურებდა გზას; ვიგრძენი, რომ ჩვენს ურთიერთობას განზრახ მიუმატა ცეცხლი. წამით მომეჩვენა, შეყვარებული ვარ-მეთქი, მაგრამ მძიმე კაცი გახლავართ, უამრავ წესს ვიცავ და ეს ამუხრუჭებს ხოლმე ჩემს სურვილებს. ჰოდა, ახლაც გადაწყვეტილი მქონდა უპირველეს ყოვლისა სამუდამოდ განვთავისუფლებულიყავი იმ მარყუჟისაგან, რომელიც სახლიდანვე გამომყვა. კვირაში ერთხელ ვგზავნიდი წერილს იქ, და ხელს ასე ვაწერდი: „სიყვარულით, ნიკი“. ასე ვწერდი, მაგრამ რამდენიც არ უნდა მეფიქრა იმაზე, ვისაც ამ წერილს ვწერდი, თვალწინ მაინც ის ქალი მედგა, ჩოგბურთის თამაშისას რომ დაეცვარებოდა ხოლმე ზედა ტუჩი ოფლის მჭვირვალე ულვაშით. ასე იყო თუ ისე, ჩვენს შორის მაინც არსებობდა რაღაც ბუნდოვანი, გაურკვეველი კავშირი და ვიდრე ამას ფრთხილად, ფაქიზად არ გავწყვეტდი, ვერ მივიჩნევდი თავს თავისუფლად.

ყოველ ადამიანს ჰგონია, რაღაც სიქველე მეც მაქვსო მომადლებული; მე, მაგალითად, მიმაჩნია, თითო-ორი პატიოსანი კაცს შორის ერთ-ერთი მეცა ვარ-მეთქი.

თავი IV

ყოველ კვირა დღეს, დილიდანვე, როცა სანაპიროს დაბებში ეკლესიები ატებდნენ ზარების რეკვას, ქალი თუ კაცი, რჩეული ხალხი, საყვარლებითურთ გეტსბის სასახლეს მიაშურებდა და მხიარული ყიჟინით შეესეოდა მის ბაღს.

— ბუტლეგერია, — ჩურჩულებდნენ გულუხვი მასპინძლობით და სურნელოვანი ყვავილებით გარემოცული ახალგაზრდა ქალბატონები. — კაცი მოუტლავს; იმ უბედურს თურმე გაუგია, გეტსბი ფონ პინდენბურგის დისწული და სატანის ბიძაშვილიაო. ის ვარდი მომიწყვიტე, ძვირფასო, კიდევ ერთი ყლუბი დამისხი, აი იმ ბროლის კიქაში.

ერთხელ, მატარებლის განრიგის არეზე ჩამოვწერე მათი გვარები, ვინც იმ ზაფხულს გეტსბისთან სტუმრად დადიოდა. ახლა ეს განრიგი ძველი, გაცრეცილი ქაღალდია. სათაურთან აწერია „განრიგი ძალაშია 1922 წლის 5 ივნისიდან“. ახლაც ვარჩევ გამოხუნებულ ნაწერს. ეს გვარები უბრალოდაც რომ ჩამოთვალო, მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე ვრცელი საუბარი გეტსბის მასპინძლობით განებივრებულ ადამიანებზე, რომლებიც სამაგიეროს იმით უხდიდნენ, რომ არ იცოდნენ და არც სურდათ სცოდნოდათ მისი ვინაობა.

ისტ-ეგიდან დადიოდნენ ჩესტერ-ბეკერები, ლიჩები; ერთი კაცი, გვარად

ბანსენი, რომელსაც იელიდან ვიცნობდი; ექიმი უეზსტერ სივეტი — გასულ ზაფხულს რომ დაიხრჩო მენში; ჰორნბიმები და უილი უოლტერი მეუღლით; ბლეკბაგების მთელი საგვარეულო — სადმე კუთხეში მოიყრიდნენ ხოლმე თავს და თხებივით ააცმაცუნებდნენ ტუჩ-ცხვირს, თუ ვინმე შეეკარებოდათ; ისმეები და კრისტები (უფრო სწორად ჰუბერტ აუერბახი და ბატონ კრისტის მეუღლე), აგრეთვე ედგარ ბივერი. ამბობენ, ერთ საღამოს, ზამთარში რომ ერთბაშად გაუთეთრდა რაღაც უკეთური მიწეზით.

კლარენს ენდაივიც, მგონი, ისტ-ეგელი იყო. თეთრი ბრიჯი ეცვა. ერთხელ მოვიდა და მაშინაც ჩხუბი მოუვიდა დალლარა ეტტისთან. შორიდან მოდიოდნენ ჩიდლზები და ო. რ. პ. შრედერის ოჯახი. ჯორჯიელი სტოუნუოლ ჯეკსონ აბრამსი, ფიშგარდები და რიპლ სნელი მეუღლით. სნელი დაპატიმრებამდე სამი დღით ადრეც გამოგვეცხადა — ერთი მაგრად გამოთვრა, ქვაფენილზე გაიშლართა და ქალბატონ ულისიზ სუეტის მანქანამ მარჯვენა ხელზე გადაუარა. დადიოდნენ დენსები, ს. ბ. უაიტბეიტი — იგი სამოც წელს კარგა გადაცილებული იქნებოდა; მორის ა. ფლინკი და ჰამერჰედები; თამბაქოს იმპორტის მესვეური ბელუგა და ბელუგას ქალიშვილები.

უესტ-ეგიდან ვინც კი მოდიოდა — პოულებიც და მალრედებიც, სესილ როუბეციც და სესილ შონიც, შტატის სენატორი გულიოიც და ნიუტონ ორჭიდიც — რომელიც კონტროლს უწევს ფირმაზე „ფილმ პარ ექსილენს“, ეკპოსტიც, კლაიდ კოჰენიც, დონ ს. შვარციც (შვილი), არტურ მაკ-კარტიც — ყველა, ცოტად თუ ბევრად დაკავშირებული იყო კინოსთან. დადიოდნენ კეტლიბები და ბემბერგები, ჯ. ერლ. მალდუნი — იმ მალდუნის ძმა, რომელმაც შემდეგ თავის ცოლი დააბრჩო. მეცენატი და-ფონტანოც მოდიოდა ხოლმე; ედ ლეგრო და ჯეიმს ბ. („ფუჟე“) ფერეტი, დე ჟონგები ოჯახებით და ერნესტ ლილი ქალაქის სათამაშოდ მოდიოდნენ და თუ ფერეტი ბაღში დახეტიალობდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯიბეგაფხეკილი დარჩენილიყო და ხვალ ფირმა „ესო-შიეიტედ ტრეკშენ“ ფასებს გააძვირებდა.

ვინმე მისტერ კლიპსპრინგერი ისე ხშირად იყო აქ და ისე დიდხანს რჩებოდა ხოლმე, რომ მდგმურის სახელი გაუვარდა — მგონი მართლაც არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი. თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებიც იყვნენ, გას უეიზი და ჰორას ო'დონაგანი, ლესტერ მაიერი, ჯორჯ დაკვიდი და ფრანსის ბული. ნიუ-იორკიდანაც ჩამოდიოდნენ ქრომები და ბეკისონები, დენიკერები და რასელ ბეტი, კორიგანები და კელეჰერები, დოუერები, სკელები და ს. უ. ბელჩერი, სმერკები და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კვინები (ახლა გაყრილები არიან), ჰენრი ლ. პალმეტო, რომელიც მეტროს ვაგონს შეუვარდა „ტაიმს-სკვერის“ სადგურზე და თავი მოიკლა.

ბენი მაკ-კლენაჰანი ოთხი გოგოს თანხლებით ჩამოდიოდა ხოლმე. გოგონები ყოველთვის სხვადასხვა მოჰყავდა, მაგრამ ერთმანეთს ისე ძლიერ ჰგავდნენ, ეჭვიც არ შეგეპარებოდათ, რომ აქ ადრეც გეყოლებოდათ ნანახი. აღარ მახსოვს რა ერქვა — მგონი ეაკლინი თუ კონსუელა, ანდა გლორია ან ჯუდი ან ჯუნი, გვარად რამე ყვავილის ლამაზ სახელს ან რომელიმე თვის კეთილშობილს სახელწოდებას ასაღებდნენ, ანდა რომელიმე დიდი ამერიკელი კაპიტალისტის მყვირალა გვარს დაიჩემებდნენ, და თუ ძალიან ჩააცივდებოდით, აღსარებასავით გაგანდობდნენ — მისი ბიძაშვილი ვარო.

გარდა ამისა, მახსოვს, ფაუსტინა ობრაიენიც მოვიდა სულ ცოტა ერთხელ

მაინც; დადიოდნენ აგრეთვე ბედუქერის გოგონები და ახალგაზრდა ბრუერი — იგი ომიანობის დროს ცხვირში დაჭრილა; ბატონი ოლბრუქსბურგერი და მისი საცოლე — მისს ჰააგი; არდიტა ფიც-პიტერსი და ბატონი პ. ჯიუქტი, რომელიც ოდესღაც ამერიკელთა ლეგიონს მეთაურობდა; მისს კლაუდია ჰიბი, ერთი მამაკაცის თანხლებით — მისი შოფერიო, ასე ვიცნობდით, თუმცა იმასაც ამბობდნენ, რადაციის პრინციპი უნდა იყოს და ჩვენც ჰერცოგს ვეძახდით, მაგრამ რა ერქვა, მგონი, არც მაშინ ვიცოდი და, ცხადია, არც ახლა მახსოვს. ეს ხალხი გეტსბისთან მთელი ზაფხული დადიოდა.

* *

ერთხელ, ივლისის ბოლოს, დილის ცხრა საათზე, გეტსბის დიდებულმა მანქანამ რწევით გამოიარა ქვიანი გზა და მის საყვირს ჩემს ჭიშკართან აღმოხდა; სამხმინი მელოდია. იმ დღეს პირველად შემომიარა, თუმცა უკვე ორჯერ გახლდით მასთან ნადიმზე ნამყოფი, მისი ჰიდროპლანითაც ვიყავი ნასეირნები და მის პლიაჟზეც, მასპინძლისავე დაუინებული თხოვნით, ჩემს ნებაზე დავდიოდი.

— დილა მშვიდობისა, ძმაკაცო. დღეს ხომ ერთად უნდა ვისაუბროთ. გამოვიარე, ერთად წავალთ-მეთქი.

მანქანის საფეხურზე იდგა და წონასწორობას იცავდა ამერიკელისათვის ერთობ დამახასიათებელი მოძრაობით. ჩემი აზრით, ასეთ მოძრაობებს იმიტომ ერევნიან, რომ ახალგაზრდობაში არც მძიმე შრომა აწუხებდათ, არც ხმელი საწოლი; უფრო მეტად კი ეს ჩვენი ნერვიული, ხან მეტად მოძრავი, ხან მშვიდი თამაშობების უსახო გრაციის შედეგი ჟუნდა იყოს. გეტსბის თავდაპირველ საქციელში იგი მუდმივი მოუსვენრობით გამოიხატებოდა. მშვიდად გაჩერებულს ვერ ნახავდით. ან ქუჩის აბაკუნებდა, ან ხელს არ ასვენებდა — ხან მოუთმენლად გაშლიდა მუშტს, ხან მომუშავედა.

შეამჩნია, რომ მანქანას აღფრთოვანებული მივაჩერდი.

— ლამაზია, არა, ძმაკაცო? — ძირს ჩამოხტა, ხელი არ შემიშალა მანქანის ყურებაში. — აქამდე არ გინახავს?

მენახა. ვის არ ენახა. მდიდრული, მოყვითალო, ნიკელით აელვარებული, ვეება; ალაგ-ალაგ, მთელ სიგრძეზე, თავმომწონედ იყო ამობურცული ქუდების, საჭმლის ხელსაწყოების შესანახი სათავსები; ქარსაფართა ლაბირინთში ათეულობით მზე ელვარებდა. რამდენიმე ფენა შუშისა და მწვანე ტყავის ამ უცხო სათბურში ჩავსხედით და ქალაქს მივაშურეთ.

გასული თვის მანძილზე გეტსბისთან ექვსჯერ მაინც გახლდით სამასლათოდ და გამოაცა ჩემმა აღმოჩენამ — ბევრს ვერაფერზე ესაუბრებოდი. პირველი შთაბეჭდილება — უსაზღვრო გავლენის კაცია-მეთქი, მალევე გამიქრა. უბრალოდ, ჩემს მეზობლად მყოფი დიდებული დუქნის მფლობელადღა მეგულებოდა.

მერე ეს ახირებული გასეირნება! უესტ-ეგ ვილიჯს სანამ მივალწევდით, გეტსბიმ ზოზინით წამოიწყო ლაპარაკი, თავს ვერ აბამდა თავაზიანად წამოწყებულ წინადადებებს და მუხლზე დაშვარ შაქრისფერ შარვალს უხერხულად უტყაპუნებდა ხელს.

უეცრად საოცარი რამ მკითხა,

— მომისმინე, ძმაკაცო. მაინტერესებს, მაინც რას ფიქრობ ჩემზე?

შეკითხვამ ცოტა დამაბნია და რაღაც ზოგადი პასუხის ძებნა დაიწყო.

— იცი, ჩემს ამბავს უნდა მოგიყვე, პასუხს არ დაელოდა, — არ მინდა მცდარი წარმოდგენა გექნეს, ათას რაღაცას მოისმენდი.

თურმე მშვენივრად იცოდა, მისსავე დარბაზებში ტკბილად მთრთავდა ხი საშინელ ბრალს რომ სდებდა.

— სრულ ჭეშმარიტებას გეტყვი. ღვთის წინაშე, — მარჯვენა ხელი ისე შეშართა, თითქოს ღვთაებრივ მსჯავრს ახლავე ელოდა. — შუა დასავლეთში დავიბადე, მდიდარ ოჯახში. ახლა ცოცხალი აღარავინ მყავს. ამერიკაში გაეზარდე, მაგრამ განათლება ოქსფორდში მივიღე. ყველა ჩემი წინაპარი ოქსფორდში წლობით სწავლობდა — ჩვენი ოჯახის ტრადიციაა.

თქვა და აღმაცერად გამოხედა. მაშინლა მიეხვდი, რატომ ფიქრობდა ჯორდან ბეიკერი, გეტსბი ცრუობსო. „განათლება ოქსფორდში მივიღეო“ ნაჩქარევად თქვა, თუ ჩაყლაპა, თუ ყელში გაეჩხირა ეს სიტყვები, თითქოს აღრეც გაწვალებული მათი წარმოთქმით. ამ ეჭვმა მთელი აღსარება არარად აქცია. გამიკვირდებოდა კიდევ, თუ მართლა არაფერი შემთხვევია უმსგავსო და ავბედითი.

— შუა დასავლეთის რომელი კუთხიდან ხართ? — აღმომახდა უნებურად.

— სან-ფრანცისკოდან.

— ჰო-ო.

— ყველა გარდამეცვალა და დიდძალი ფული მერგო მემკვიდრეობით.

ხმა დაიძინა, თითქოს სევდა მოჰგვარაო ოჯახის გარდაცვლილ წევრთა გახსენებამ. ერთი წუთით ეჭვმა გამკრა, ხომ არ მასუღლელებს-მეთქი, მაგრამ თვალი შევაღლე თუ არა, დავრწმუნდი, ვცდებოდი.

— მერე ჭაბუკ რაჯასავით ვცხოვრობდი ევროპის ხან ერთ ქალაქში, ხან მეორეში: პარიზში, ვენეციაში, რომში; ვაგროვებდი ძვირფას თვლებს — უმთავრესად ლალს; ვნადირობდი დიდ ნადირზე; ცოტაცოტას ვხატავდი, ისე, ჩემთვის; ერთი სევდიანი თავგადასავლის დავიწყება მინდოდა.

ძლივს შევიკავე ურწმუნო ხითხითი. თვით ეს სიტყვებიც კი ისე გაცვეთილი და არაფრის მთქმელი მეჩვენა, რომ მხოლოდ თოჯინას თუ წარმოვიდგენდი ჩალბიანს — ნასვრეტებიდან ნახერხი რომ სცვივა და ბულონის ტყეში ვეფხვებზე სანადიროდ არის გაჭრილი.

— მერე ომიც დაიწყო, ძმაკაცო. ციფიქრე, ახლა მეშველება-მეთქი. თავდაუზოგავად ვეძებდი სიკვდილს, მაგრამ მოჯადოებულებით სიკვდილი არ მეკარებოდა. თავდაპირველად ლეიტენანტობა მომანიჭეს. არგონის ტყეში მეტყვიამტრქევევითა ორი ქვეგანაყოფით ისე შორს შევიჭერი, ორივე მხრიდან ნახევარ-ნახევარი მილით მოვწყდი ჩვენს ფეხოსნებს. ფლანგებზე ღრიტოები ისეთ ადგილას გაჩნდა, ფეხოსან ჯარს გავლა უჭირდა და ორი დღე-ღამე ფლანგებდაუფარავი ვუმკლავდებოდი მტერს. ასოცდაათ ეაცს სულ თექვსმეტი ცალი ლუისის სისტემის თოფი გვქონდა. ბოლოს, როცა ფეხოსნებიც შემოგვიერთდნენ, დახოცილი მტრის სამხედრო ნიშნებით გაარკვიეს, რომ სამი გერმანული დივიზიისათვის გაგვივლია მუსრი. მე მაიორის ჩინი მიბოძეს და ყველა მოკავშირე სახელმწიფომ ორდენებით დამაჯილდოვა — ჩერნოგორიამაც, აღრი-ატიკის სანაპიროს პატარა ჩერნოგორიამაც ორდენი მომცა.

პატარა ჩერნოგორია! ლოცვასავით აღავლინა ეს სიტყვები და ღიმილით

მიეაღერსა. თითქოს ამ ღიმილში იგულისხმა, რომ ბედ-უკუდმართი იყო ჩერნოგორიელთა წარსული, რომ თანაუგრძნობდა ამ ხალხის მწიკურ ბრძოლას. ღიმილშივე გამოსჰვივოდა, რომ კარგად ესმოდა იმ ეროვნული აღტყინებისა, რამაც ჩერნოგორიელთა მხურვალე, პატარა გულს გააღებინა. ეს საჩუქარი. ისე მოვიხიბლე, უნდობლობა მთლიანად გამიქრა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ათიოდე ეურნალი გადამეთვალე რებინოს ერთბაშად.

ჯიბე მოიქექა და ხელის გულზე დამიდგო ბაფთაშებმული მრგვალი ლითონი.

— აი ეს მომცეს ჩერნოგორიაში.

გავოცდი, ნამდვილსა ჰგავდა. „Orderi de Danilo, Montenegro, Nicolas Rex“ — ამოტვიფრული იყო გარშემო.

— გადააბრუნე.

— „მაიორ ჯეი გეტსბის, განსაკუთრებული სიმამაცისათვის“, — ამოვიკითხე მეორე მხარეს.

— აი, ესეც სულ თან დამაქვს. ოქსფორდში გატარებული დღეების სახსოვარია. ტრინიტი კვედშია გადაღებული. ჩემ მარცხნივ რომ ყმაწვილი დგას, დონკასტერის გრაფია ახლა.

სურათზე ფერად სპორტულ ცანსაცმელში გამოწყობილი ექვსიოდე ყმაწვილი ჩანდა. უდარდელად იდგნენ თალქვეშ, რომლის მიღმაც უამრავი შილი მოჩანდა. ყმაწვილთა შორის გეტსბიც შევიცანი. უფრო ახალგაზრდა იყო, კრიკეტის ჩოგანი ეჭირა.

მაშ ყველაფერი მართალი ყოფილა. ოცნებით წარმოვიდგინე „დიდ არხზე“, გეტსბის სასახლეში, ალაპლაპებული ვეფხვის ტყავები; წარმოვიდგინე, როგორ ხსნიდა იგი ლალებით სავსე კოლოფს, რათა მუქწითლად მოეღვარე შუქით დაეამებინა დაჩაგრული გულის სატკივარი.

— ერთი დიდი სათხოვარო მაქვს და დღეს მინდა გითხრა, — კმაყოფილმა ჯიბეებში ჩაიწყო სამახსოვრო ნივთები. — ჰოდა, ამიტომ მინდა სწორი წარმოდგენა გქონდეს ჩემზე, არარაობა არ გეგონო. იცი, ყოველთვის უცხო ხალხში ვტრიალებ, აღმა-დაღმა დავეხეტები, მინდა როგორმე დავივიწყო ერთი სევდიანი თავგადასავალი. — ცოტა შეყვონდა. — დღეს გაიგებთ.

— საუზმობისას?

— არა, ნაშუადღევს. შემთხვევით გავიგე, მისს ბეიკერი ჩაიზე მიგიწვევიათ.

— მისს ბეიკერი ხომ არ შეგიყვარდათ?

— არა, ძმაკაცო, არა. მისს ბეიკერი კეთილი ქალია; დამპირდა, ამ საქმეზე მოველაპარაკებო.

წარმოდგენაც არ მქონდა, რა „საქმეს“ გულისხმობდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა როდი აღმეძრა. პირიქით, გავლიზიანდი — ჯორდანი იმიტომ როდი დავპატიე, რომ ბატონ ჯეი გეტსბიზე ვესაუბრო. დარწმუნებული ვიყავი, რაღაც საოცრებას მთხოვდა. შევეწუხდი. ვნანობდი, რომ საერთოდ ფეხი შევდგე მის ხალხმრავალ ბაღნარში.

ეს იყო და ეს, მერე კრინტიც აღარ დაუძრავს. ქალაქს რომ მივუახლოვდით, გეტსბის თანდათან დაეუფლა მოკრძალება. ჩავუარეთ პორტ-რუზველტს, თვალი მოვკარიტ წითელ არშიიან საოკეანო გემებს, გავიარეთ ქვაფენილიანი, ბნელში დანთქმული ღარიბთა უბანი, ცხრაასიანი წლების ეშხმიმქრალი სასადილოები.

რომლებსაც სტუმარი ჯერაც არ დაღუოდა. შემდეგ, გზის ორივე მხარეს ნაცრის
ველი გადაიშალა და როდესაც გარაეს ჩავუქროლეთ, ქალბატონ უილსონს მოე-
კარი თვალი — ტუმბოსთან ქმინავდა ჯან-ლონით აღსავსე.

დამცავი ფარები ფრთებივით გვექონდა გაშლილი და შუა ასტორიამდე სხი-
ვივით მივქროდით, მაგრამ აქ, მიწისზედა რკინიგზის ხიდქვეშ, სვეტებს შორის
რომ მოვავრებოდით, გაცეცხლებული პოლიციელი მოტოციკლს დაგვჩინა
ჩახით წამოგვეწია.

— ახლავე, ძმაკაცო, — გადასძახა გეტსბიმ. სვლა შეანელა. საფულედან
თეთრი ქალაღი ამოაძვრინა და ცხვირწინ აუქნია პოლიციელს.

— ყველაფერი რიგზეა, — პოლიციელმა თითები ქუდთან მიიტანა. —
სხვა დროს მეცოდინება, მისტერ გეტსბი, მაპატიეთ!

— ეგ რა აჩვენე? ოქსფორდის სურათი?

— ერთხელ პოლიციის კომისარს რაღაც პატივი ვეცე. მას შემდეგ, ყო-
ველ შობადღეს მოკითხვის ბარათს მიგზავნის.

დიდ ხიდს დავადექით. სვეტებს შორის დაფრქვეული მზის შუქი მანქანებზე
ათინათობდა. მდინარის გაღმა შაქრის ლოდებივით აზიდულიყო მავანთა ნებაზე
არამი ფულით ნაგები ქალაქი. კვინსბოროს ხიდიდან რამდენჯერაც არ უნდა
გახედოთ ქალაქს, გეგონება, პირველად ხედავო, თითქოს ყოველივეს პირვე-
ლად და მგზნებარედ აღიქვამო, ყველა ამქვეყნიურ საიდუმლოს და მშვენიერე-
ბას აქ იხილავთო.

მიცვალებული ჩაატარეს ყვავილებით ავსილი კატაფალკით. უკან მიბჟ-
ვებოდა ჭირისუფალთა ორი, ფარდებჩამოშვებული და რამდენიმე ღია ეტლი
ნაცნობმეგობრებისათვის. მგლოვიარე მეგობრებმა სევდიანი მზერა გამოგვა-
უოლეს; მოკლე ზედატუჩზე ეტყობოდათ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპელები
უნდა ყოფილიყვნენ. გამიხარდა, რომ გეტსბის დიდებული მანქანის ხილვამ,
ამ სამგლოვიარო დღეს, მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ბლეკ-
ფელის კუნძულზე ლიმუზინმა ჩაგვიქროლა. მოფერი თეთრკანიანი იყო, უკან
კი სამი გამოპრანჭული ზანგი იჯდა — ორი მამლაყინწა და ერთი ქალიშვილი.
როცა შურით სავსე ჩაყვითლებული თვალებით მედიდურად მოგვაჩერდნენ,
ხმაშალა სიცილი ამივარდა.

„ახლა, ხიდი რომ გადმოვიარეთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ყველა-
ფერი...“ — გავიფიქრე.

ისიც კი შესაძლებელი იყო, რომ თვით გეტსბისთვისაც არავის მიეჭცია გა-
ნსაკუთრებული ყურადღება.

ხმაურიანი შუადღე იდგა. ორმოცდამეორე ქუჩაზე, სადაც ყოველთვის სა-
ამური ნიაფი უბერავს, გრილ სარდაფში შევხვდი გეტსბის. როგორც კი სარდა-
ფში ჩავედი და ჩახჩახა შუქზე თვალები უნებურად მომექუთა, ბუნდოვნად
დავლანდე, რომ რესტორნის წინკარის მეორე მხარეს გეტსბი ვილაც მამაკაცთან
მუსაიფობდა.

— ბატონი კაროუეი, ეს ჩემი მეგობარია, ბატონი ვულფშიმი.

ბატონმა ცხვირგაბრტყელებულმა ურიამ დიდი თავი მაღლა ასწია და ნეს-
ტოებში გამოჩრილი ორ-ორი ხუჭუჭა ბალანი მომაშვირა. ბნელში მერელა
გავარჩიე მისი წვრილი თვალები.

— პოდა, ერთი შევხედე და, — წარმოთქვა ბატონმა ვულფშიმმა, თან ხე-
ლი გულთბილად ჩამომართვა, — როგორ ფიქრობ, რას ვიზამდი?

— რას? — ჩავეციოთ თავაზიანად.

მაგრამ, თურმე, მე როდი შევითხოვდა. ხელი გაშიშვა და ეშხიანი ცხვირით გეტსბი დაფარა.

— კეტსპოს ფული მივეცი და ვუთხარი: კეტსპო, კაპიტანი არ გადაუხადო, ვიდრე ხმას არ გაიკმენდს. ეს იყო და ეს, კრინტი აღარ დაუძრავს.

გეტსბიმ მკლავი გამოგვდო და სასადილო დარბაზში შეგვიყვანა, ბატონმა ვულფშიმმა რაღაც კიდევ წამოიღულულა და გაილურსა, მთვრალივით გაოგნებული.

— სოდიან ვისკის მიირთმევთ ყინულით? — გვკითხა მთავარმა ლაქიამ.

— მშვენიერი რესტორანი ყოფილა, — შენიშნა მისტერ ვულფშიმმა და პრესვიტერიანული ნიშნებით მოხატული ჭერი შეათვალიერა, — მაგრამ მე ის უფრო მომწონს, ქუჩის იქითა მხარეს რომაა!

— დიახ სოდიანსა და ყინულიანს, — დაეთანხმა გეტსბი და ვულფშიმს მიუბრუნდა, — იქ ძალიან ცხელა.

— ცხელა კიდევ და ბატარაცაა, — დაუდასტურა ბატონმა ვულფშიმმა, — მაგრამ მოგონებებით მავსებს.

— რომელი რესტორანია? — ვკითხე მე.

— ძველი მეტროპოლი.

— ძველი მეტროპოლი, — სევდიანად ჩაიდუღუნა ფიქრებში წასულმა ვულფშიმმა, — მიცვალებულთა სახეებით არის სავსე, ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წასული მეგობრებით. რა დამავიწყებს იმ ღამეს, ვიდრე ცოცხალი ვარ, როზი როზენტალი რომ მოკლეს. ექვსნი ვუსხედით სუფრას. როზიმ მაშინ ძალიან მოიღვინა, სვა მთელი ღამე. გათენებისას ლაქია მივიდა და უთხრა, გარეთ გიხმობთ ვილაცო. არ მომეწონა ლაქიის გამოშვებული. კარგო, უთხრა როზიმ და აღგომა დააპირა, მაგრამ მე ძალით დავსვი სკამზე. შენთან თუ აქვთ საქმე, აქ შემოვიდნენ ეგ ნაბიჭვრები, ფეხი არ დაძრა აქედან, დამიჯერე-შეთქი. უკვე დილის ოთხი საათი იყო, ფარდები რომ აგვეწია, დღის სინათლეს დავინახავდით.

— მაინც წავიდა? — ვკითხე გულუბრყვილოდ.

— რა თქმა უნდა, წავიდა, — ბატონ ვულფშიმის ცხვირმა ბრაზით შემო-მანათა. — კარიდან მოგვაძახა, ჩემი ყავა ლაქიამ არ წაიღოსო და ქუჩაში გავიდა. სამჯერ ესროლეს სავსე ფაშვში და მანქანით გაუჩინარდნენ.

— ოთხნი ელექტრონის სკამზე დასვეს, — ჩავურთე მე.

— ხუთნი, ბეკერიანად. — ნესტოებზე შეეტყო, ჩემმა სიტყვებმა დააინტერესა. — მგონი, საქმიან გონტაქტებს უნდა ეძებდეთ, — თავისებურად მოუქცია ვულფშიმმა.

ჩემს შენიშვნაზე ასეთ პასუხს არ ველოდი და დავიბენი, მაგრამ გეტსბიმ უპასუხა:

— ო, არა. ეს სხვაა.

— არა? — გული აუცრუვდა ბატონ ვულფშიმს.

— ეს ჩემი მეგობარია. ხომ გითხარი, მაგ საქმეზე შემდეგ ვილაპარაკებთ-მეთქი.

— მაპატიეთ, — ამოდერდა ბატონმა ვულფშიმმა, — სხვა მეგონეთ.

ბოსტნეულში ჩაშუშული ხორცი მოგვიტანეს. ბატონ ვულფშიმს აღარ გახსენებია ძველი მეტროპოლის სანტიმენტალური ატმოსფერო და მაღაგახე-

ლებული შეუდგა ჭამას. თვალი დინჯად მოავლო და გაჩითა მთელი ოთახი, ბოლოს გამომცდელად შეხედა ჩვენს უკან მსხდომთაც. მე რომ იქ არ ვყოფილიყავი, ალბათ ჩვენი მაგიდის ქვეშაც შეიჭვრიტებოდა.

— რა, ძმაკაცო, — მითხრა გეტსბიმ და ჩემკენ გადმოიხრჩო, — ხომ არ მოგაყვანიხე ამ დილით მანქანაში.

კვლავ ღიმილით გადაიბადრა, მაგრამ აღარ შევებუე.

— მეჭაერება საიდუმლოები, — პირში მივახალე, — ვერ გამიგია, თვითონ რატომ არ მოხვედით ჩემთან და გულლიად არ მითხარით, რაც გინდოდათ, რა შუაშია მისს ბეიკერი?

— ჰო, არა, რა საიდუმლოა, — მოჰყვა მტკიცებას, — მისს ბეიკერი გამოჩენილი სპორტსმენია, ხომ იცი, და ურიგო საქმეში არ გაერევა.

უეცრად საათზე დაიხედა. სასწრაფოდ წამოხტა და ოთახიდან გავარდა. მარტო მიმატოვა ბატონ ვულფშიმთან.

— ტელეფონით უნდა ილაპარაკოს, — თქვა ბატონმა ვულფშიმმა და თვალი გააყოლა — მშვენიერი ბიჭია, არა? შესახედავდაც კარგია და ზედმიწევნით ზრდილიც.

— დიახ.

— ოგსფორტი აქვს დამთავრებული.

— ოჰ!

— ოგსფორტის კოლეჯში სწავლობდა, ინგლისში. იცით ოგსფორტის კოლეჯი?

— გამიგონია.

— მთელს მსოფლიოშია სახელგანთქმული.

— დიდი ხანია იცნობთ გეტსბის?

— რამდენიმე წელია, — მიპასუხა კმაყოფილმა. — სწორედ ომის შემდეგ გავიცანი. ერთ საათს ვისაუბრეთ და დავრწმუნდი, რომ ზრდილ და განათლებულ კაცთან მქონდა საქმე. გავიფიქრე: ეს ისეთი კაცია, ოჯახში შეგიძლია მიიწვიო, დედა და და გააცნო-მეთქი. — უეცრად გაჩუმდა. — თქვენ, მგონი, ჩემი მაჯის საკინძებს მისჩერებხართ.

არ ვუყუარებდი, მაგრამ ახლა შევხედე. სპილოს ძვლის პატარა საკინძებს უსწორო, მაგრამ საოცრად ნაცნობი ფორმა ჰქონდა.

— კაცის კბილებია, ნამდვილი, ნარჩევი, — მომახსენა.

— მართლა! — ყურადღებით დავაკვირდი, — საინტერესოდ მოუფიქრებიათ.

— ჰო. — პიჯაკის სახელო ჩამოიწია. — ჰო. გეტსბი ძალიან ფრთხილია ქალებთან. მეგობრის ცოლისკენ თვალი არ გაეპარება.

როდესაც ამ ინსტიტუტური ნდობის საგანი სუფრას დაუბრუნდა, ბატონმა ვულფშიმმა ყავა ერთბაშად გადაკრა და ფეხზე წამოდგა.

— გემრიელად ვისაუზმე, — გამოგვიცხადა, — ახლა დაგტოვებთ, ჩენტლმენებო, ვიდრე თავს მოგაბეზრებდეთ.

— რად ჩქარობ, მეიერ, — ცალკებად შეესიტყვა გეტსბი.

ბატონმა ვულფშიმმა ხელი ისე შემართა, თითქოს ლოცავდა მას.

— ძალზე თავაზიანი კაცი ხართ. მე სხვა თაობის ადამიანი ვარ, — დარბაისლურად შენიშნა, — ისაუბრეთ თქვენს გასართობებზე, თქვენს ახალგაზრდა ქალბატონებზე, თქვენს... — ნაგულისხმევი არსებითი სახელი ხელის

ტალღისებური მოძრაობით დაასურათა. — მე კი ორმოცდაათი წლისა ვარ და რატომ შეგზულდოთ.

ხელი ჩამოგვართვა და წავიდა. ტრაგიკული ცხვირი ოდნავ უთრთოდა. შევშინდი, ვაითუ საწყენი რამე ვუთხარი-მეთქი.

— ზედმეტად სანტიმენტალურია ზოგჯერ, — მომხიბლავდა გეტსბი. — დღესაც სანტიმენტალობის ხასიათზე იყო. ნიუ-იორკში თქმა უნდა, ესეც არის. ბროდუეის მკვიდრია.

— მაინც რას წარმოადგენს, მსახიობია?

— არა.

— კბილის ექიმი?

— მეიერ ვულფშიმი? არა. თამაშობს. — გეტსბი წამით შეცბა, მაგრამ გულგრილად განაგრძო, — მაგან მოაწყო ის ამბავი 1919 წელს ბეისბოლის ფინალურ ტურნირზე — „უორლდ სირიზ“-ზე.

— მაგან? — ჩავეკითხე.

გავოგნდი. რა თქმა უნდა, მახსოვდა, „უორლდ სირიზ“-ზე 1919 წელს მომხდარი ამბავი, მაგრამ არასოდეს დავფიქრებულვარ რა და რატომ მოხდა; ყოველ შემთხვევაში ეს ისეთი რამ მეგონა, რაც თავისთავად ხდება, როგორც მოვლენათა რაღაც ჯაჭვის გარდუვალი დასასრული. აზრადაც არასოდეს მომსვლია, რომ ერთი კაცი ორმოცდაათი მილიონი ადამიანის ნდობასთან თამაშს გაბედავდა ასე ყაჩაღური პირდაპირობით და გულმოდგინებით.

— როგორ მოახერხა? — ვიკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

— შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან, ეს არის და ეს.

— მერე, ციხეში რატომ არ ჩასვეს?

— ვერ შეძლეს, ძმაკაცო. მაგარი კაცია.

დანახარჯის გადახდა მე დავიჩემე. ლაქიამ ხურდა რომ მომცა, ხალხით გაქედნილ დარბაზში, საპირისპირო მხარეს, ტომ ბიუქენენს მოვკარი თვალი.

— ცოტა ხნით გამომყევით, — ვთხოვე გეტსბის, — ერთ კაცს მივესალმები და წამოვალ.

ჩვენ დანახვაზე ტომი წამოხტა და შემოგვეგება.

— სად დაიკარგე? — გულწრფელად მისაყვედურა, — გაცოფებულია დეიზი, რატომ აღარ შემოიარაო!

— ეს ბატონი გეტსბია; ბატონი ბიუქენენი.

ხელი უგულოდ ჩამოართვეს ერთმანეთს. გეტსბის სახე დაეძაბა, უჩვეულოდ შეშფოთდა.

— როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ, — მომიკითხა ტომმა, — ასე შორს საქმელად რამ წამოგიყვანა?

— ბატონ გეტსბისთან ერთად ვისაუბრე.

შემოვბრუნდი მისკენ, მაგრამ გეტსბი აღარსად ჩანდა.

— ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში, ერთ მშვენიერად დღეს, ქუჩაში მოვსეირნობდი — (იმავს საღამოს, სასტუმრო „პლაზას“ ბაღის საჩაიეში, სწორზურგიან სკამზე წელგამართული, კოპწიად იჯდა ჯორდან ბეიფერი და ამ ამბავს მიყვებოდა) — ხან ქვაფენილს მივყვებოდი, ხან კვალედს. კვალედზე სიარული უფრო მიხაროდა — რბილ მიწაში სასიამოვნოდ ეფლობოდა ახალი

ინგლისური ფეხსაცმლის დაკბილული რეზინის ლანჩა. კუბოკრული, ჩაკეცი-
ბიანი კაბა მეცვა. ქარი კალთებს რომ ამიფრიალებდა, ყოველი სახლის წინ აღ-
მართული წითელი, თეთრი და ცისფერი დროშები ლარივით დაიქანებოდნენ
და ძრახვით მოჰყვებოდნენ გაბმულ ტა-ტა-ტა-ტას.

დეიზი ფეის სახლის წინ დიდი კვალედი იყო და დროშა ^{და} ყველაზე უფრო დიდი
აღმართათ. დეიზი უკვე თვრამეტის იქნებოდა, ჩემზე ორი წლით უფროსია.
ლუისვილელ ქალიშვილებში ყველაზე პოპულარული გახლდათ. თეთრ კაბებს
იცვამდა; პატარა, თეთრი მანქანა ჰყავდა; მთელი დღე წკრიალებდა მისი ტე-
ლეფონი — კემპ-ტეილორის ახალგაზრდა ოფიცრები ატაცებული ეხვეწე-
ბოდნენ, სალამოს თქვენთან ყოფნის უფლება მოგვეცით, ან ერთი საათით მა-
ინც შეგვხვდითო!

იმ დილით მისი სახლის წინ რომ ჩავიარე, დეიზი თეთრ მანქანაში ჯდებოდა
ვიღაც ლეიტენანტთან ერთად; მანამდე იგი არ მენახა. ისე გატაცებული
შესცქეროდნენ ერთმანეთს, ვერც კი დამინახეს, ვიდრე ხუთიოდე ნაბიჯზე
არ მივუახლოვდი.

— ჰელოუ, ჯორდან, — შემომძახა დეიზიმ მოულოდნელად, — შენი კი-
რიმე, მოდი ერთი წუთით.

სიხარულით ფრთები შემესხა — უფროს გოგოებს შორის ეგ მიყვარ-
და ყველაზე მეტად. მკითხა, წითელ ჯვარშესახვევების დასამზადებლად ხომ
არ მიდიხარო. სწორედ იქ მივდიოდი. მთხოვა, გადაეცო, ვერ მოვა-თქო. ვიდ-
რე მე და დეიზი ვსაუბრობდით, ოფიცერი ისეთი თვალით შეჰყურებდა, ყვე-
ლა ახალგაზრდა გოგო ინატრებდა, ნეტავ მეც ასე შემომხედავდესო ვინმე.
ისე მომხიბლავი იყო და გულში ჩამწვდომი ეს სურათი, რომ სამუდამოდ და-
ვიმახსოვრე. ის ოფიცერი ჯეი გეტსბი გახლდათ. მას შემდეგ ოთხ წელიწადს
თვალის არსად მომიკრავს გეტსბისთვის. ვერც მაშინ შევიცანი როცა ლონგ-
აილენდზე შევხვდი.

ეს იყო 1917 წელს. მომდევნო წელს მე თვითონ მყავდა რამდენიმე თაყ-
ვანისმცემელი, შეჯიბრებებშიც დავიწყე მონაწილეობა და დეიზის ხშირად ვე-
ლარ ვნახულობდი. აღარსად დადიოდა. თუ გავიდოდა სადმე — მხოლოდ თავისზე
ცოტა უფროსებთან ერთად. უცნაური ჭორი გაუფრცელეს — დედამისმა შემ-
თხვევით აღმოაჩინა, რომ დეიზის ჩემოდანი ჩალაგებული ჰქონდა და ნიუ-
იორკში აპირებდა წასვლას, ვიღაც სამხედროს ოკეანის გაღმა გზავნიდნენ და
დამშვიდობება უნდოდა, მაგრამ მშობლებმა მკაცრად დაუშალესო. გამწარე-
ბული გოგო რამდენიმე კვირას ხმას არავის სცემდა სახლში. სამხედროებთან
კვალუცობას სამუდამოდ გაანება თავი და მხოლოდ ერთ-ორ ბრტყელ-
ტერფა და თვალსუსტ ახალგაზრდა კაცთან მეგობრობდა, რომლებიც იმიტომ
შემორჩნენ ქალაქს, რომ ჯარისთვის გამოუსადეგარი იყვნენ.

შემოდგომაზე კვლავ ძველებურად მოილხინა. ზავის დადების შემდეგ და-
ამთავრა სასწავლებელი და, მგონი, უკვე თებერვალში ვიღაც ორლენელმა
კაცმა დანიშნა. ივნისში კი ჩიკაგოელ ტომ ბიუქენენზე იქორწინა ისეთი ზარ-
ზემით, ლუისვილში რომ არასოდეს ენახათ. ოთხი ცალკე ვაგონით, ასი კაცის
თანხლებით ჩამოვიდა ტომი და სასტუმრო „მულბახში“ მთელი სართული
დაიქირავა; ჯვრინწერის წინა დღეს სამასორმოცდაათ ათას დოლარად ღირე-
ბული მარგალიტის მძივები მიართვა პატარძალს.

მე მეჯვარე ვიყავი. საქორწილო ნადიმის დაწყებამდე ნახევარი საათით

ადრე დეიზისთან შევედი. იგი ლოგინში იწვა, ყვავილების კაბით მორთულ ივნისის ღამესავით მშვენიერი და მაიმუნივით მთვრალი. ცალ ხელში სოტერნის ბოთლი ეჭირა, მეორეში — წერილი.

— მო-მი-ლოცე, — ძლივს წაიღუდლულა, — აქამდე ყლუპიც არასოდეს დაძლიევი; ო, როგორ მესიამოვნა.

— რა მოგივიდა, დეიზი?

ელდა მეცა. შართლაც, ასეთ დღეში ჩავარდნილი გოგო ჯერ არ მენახა. ნაგვის კალათა ლოგინთან ჰქონდა მიდგმული. ხელი ჩაპყო, მოაფათურა და მარგალიტის მძივები ამოაძვრინა.

— ქვემოთ... ჩაიტა... და მზე... ვისაც ეკუთვნის ყველას უთხარი, დეიზიმ გა-და-იფიქრა-თქო!

ეს მითხრა და ატირდა, იქვითინა და იქვითინა. სასწრაფოდ გავვარდი, დე-დამისის შინამოსამსახურე გოგო მოვნახე. კარი ჩავკეტეთ და ცივ აბაზანაში ძალით ჩავსვით. წერილს არაფრით არ გაუშვა ხელი, აბაზანაშიც თან ჩაიტა-ნა და ხელში მოკუმშა; როცა დაშლილმა ქალაღმა თოვლის ფიფქივით იწყო ღნობა, მაშინღა დამანება და სასაპნეზე დავდევი.

ამის მერე სიტყვა აღარ წამოცდენია. ნიშადურის სპირტი ვაყნოსეთ, თავზე ყინული დავადეთ და ძალით ჩავაცვით ტანსაცმელი. ნახევარი საათის შემდეგ, მისი ოთახიდან რომ გამოვედით, მარგალიტის მძივები ყელზე ეკეთა; ასე ავიცილეთ უსიამოვნება. მეორე დღეს, ხუთ საათზე, ტომ ბიუქენენზე ჯვარი ისე დაიწერა, რომ წარბიც არ შეუხრია, და სამი თვით სამხრეთის ზღვებზე სამოგზაუროდ წაბრძანდნენ.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ სანტა-ბარბარაში მოვინახულე. გავვოცდი, ქმარზე ასე გაგიჟებული არავინ მინახავს. ტომი ერთი წუთითაც რომ გასულიყო ოთახიდან, ვეღარ ისვენებდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, უთუოდ იკითხავდა: „სად წავიდა ტომი?“ ვიდრე ტომს კარებში შემოსულს დანახავდა, პირმოქუფრული იყო. ზღვისპირზე საათობით იჯდა სილაში. ქმარი კალთაში თავს ჩაუდებდა ხოლმე და დეიზი განუზომლად კმაყოფილი დასჩერებოდა. თითებით ეფერებოდა ქუთუთოებზე. მათი დანახვა გულს აგიჩქროლებდათ, მოგხიბლავდათ და ქუთილი სიცილიც მოგეძალებოდათ. ეს აგვისტოში იყო. სანტა-ბარბარადან ჩემი წამოსვლის შემდეგ ერთი კვირა თუ იქნებოდა გასული, რომ ღამით, ვენტურის გზაზე, ტომი დიდ სატვირთო მანქანას დაეჯახა და მის ავტომობილს წინა თვალი მთლიანად მოძვრა. გოგოს, რომელიც მანქანაში ეჯდა, მკლავი ჰქონდა მოტეხილი. ამიტომ გაზეთებში მისი გვარიც დაბეჭდეს — სასტუმრო „სანტა-ბარბარას“ მოახლე გოგონა აღმოჩნდა.

შემდეგი წლის აპრილში დეიზის გოგო შეეძინა და ერთი წლით საფრანგეთში წავიდნენ. ერთ გაზაფხულზე კანში შემხვდნენ, მერე დოვილში. ბოლოს კვლავ ჩიკაგოში დაბრუნდნენ იმ განზრახვით, რომ საბოლოოდ დაფუძნებულიყვნენ. მოგეხსენებათ ჩიკაგოში დეიზის ყველა იცნობდა. სიმდიდრით გაფუქსავატებული და გათამამებული ახალგაზრდობა იყრიდა მათ გარშემო თავს, მაგრამ დეიზიმ სავსებით უმწიკვლო ქალის სახელი შეინარჩუნა. იქნებ იმიტომ, რომ დეიზი არ სვამს. დიდი უპირატესობაა, როცა მაგარ მსმელებში წვეთს არ დაღევ. ჯერ ერთი, ენად არ გაიკრიფები და არაფერს წამოაყრანტალებ, მერე პატარ-პატარა ცოდვებისთვისაც ისე იხელთებ დროს, რომ მთვრა-

ლები ვერც შეამჩნევენ და არც დაეძებდნენ რამეს. შეიძლება დეიზის არც იზი-
დავდა სასიყვარულო თავგადასავალი, მაგრამ ხმაში კი ჰქონდა რაღაც ეჭვის აღ-
მძვრელი...

დიახ, რამდენიმე წლის მანძილზე პირველად ამ ექვსი კვირის წინ გაიგო-
ნა გეტსბის სახელი — იმ დღეს, უესტ-ეგეში, გახსოვთ, მე რომ გეტსბით
გეტსბის თუ იცნობთ-მეთქი. თქვენ წახვედით თუ არა, დეიზი ჩემთან შემო-
ვარდა, გამაღვიძა და შემეკითხა: როგორიათ ეგ გეტსბი? ნახევრად მძინარემ
ავუწერე. დეიზიმ უცნაურ ხმაზე ჩაიდუდუნა — უთუოდ ისაა, მე რომ ვიც-
ნობდიო. მაშინლა დავუკავშირე ერთმანეთს გეტსბი და ის ოფიცერი, თეთრ
მანქანაში რომ ჯდებოდა.

როდესაც ჯორდან ბეიკერმა ამ ამბის თხრობა დაასრულა, სასტუმრო
„პლაზადან“ უკვე ნახევარი საათის წამოსულები ვიყავით და ღია მანქანით
მივქროდით ცენტრალურ პარკში. დასავლეთის ორმოცდაათიან ქუჩებთან, კი-
ნოვარსკვლავთა მაღალი სახლების უკან ჩაესვენა მზე. ხვატიან დაისს გოგონე-
ბის წკრიალა ხმა ეფინებოდა:

„მე, არაბეთის შეიხი,
გიყვარვარ, პირმომცინარევ,
შენს ჩარდახს შევხსნი კრეტსაბმელს,
მოგეპარები მძინარეს“.

— რა უცნაური დამთხვევაა, — ჩავილაპარაკე.

— სრულიადაც არა.

— როგორ არა?

— ეგ სახლი იმიტომ იყიდა გეტსბიმ, რომ წყალგალმა დეიზი ცხოვრობდა.
თურმე იმ იენისის ღამით მხოლოდ ვარსკვლავებს როდი შესტრფოდა.
მყისვე თვალწინ დამიდგა ამაო ფუფუნების ნაჭუქს განრიდებული, ცოცხალი
და ხორცშესხმული გეტსბი.

— იცით, — განაგრძო ჯორდანმა, — ამის გაგება უნდა: იქნებ დეიზი ერ-
თხელ მიგეპატიეთ შინ და გეტსბიც სწორედ მაშინ გეწვეოდათ, ცოტა ხნით.

ასე მოკრძალებულმა თხოვნამ გამაოცა. ხუთი წელი იცადა, ვარსკვლავი-
ვით კაშკაშა სასახლე იყიდა — მიიზიდა ყველა ჩრჩილი თუ ფარვანა და ახლა
იმას სჯერდება, რომ საღამოს ვიღაცას „ცოტა ხნით ეწვიოს“ დეიზის სანახა-
ვად.

— ამოდენა ამბავი უნდა გამეგო, რომ ასე უმნიშვნელო რაღაც ეთხოვა?

— ეშინია, რამდენი ხანია იცდის. ექვსბს, ვაითუ შეურაცხყოფად მიი-
ღოსო. თუ ამჩნევთ, გულის სიღრმეში პატიოსნებით სავსე ხეპრეა.

რაღაც მეეჭვებოდა.

— თქვენ ვერ გთხოვთ შეხვედრის მოგვარება?

— გეტსბის სურს დეიზის თავისი სახლი აჩვენოს, — ამიხსნა ჯორდანმა,

— თქვენ კი მეზობლად ცხოვრობთ.

— ჰოო!

— მგონი, იმის იმედი ჰქონდა, დეიზი შემთხვევით აღმოჩნდებოდა მას-
თან ნადიმზე, — ჰყვებოდა ჯორდანი, — მაგრამ ასე არ მოხდა, მერე ხალხს
დაუწყო გამოკითხვა, შემთხვევით დეიზის ხომ არ იცნობთო, და ყველაზე აღ-

რე მე გადაწყვიტე, იმ საღამოს, გახსოვთ, კაცი რომ გამომიგზავნა და მიმიწვია. უნდა გენახათ რა შორიდან მომიარა, ვიდრე სათქმელს შეტყობდა. ცხადია, დაუყოვნებლივ შევთავაზე, ნიუ-იორკში საუბრეზე შეგახვედრებოდა-მეთქი. რომ იცოდეთ, რა დამართა, მეგონა, გაგიჟდებოდა. უწესოდ არაფერი მინდა! — დაიჩემა. მეზობელთან მინდა შევხვედრო. როცა თქვენზე ვუთხარი, რომ ახლო მეგობარია-მეთქი, კინალამ ყველაფერს თავი დაანება. ტომის შესახებ ბევრი არაფერი იცის, თუმცა დამარწმუნა, რომ წლების მანძილზე ჩიკაგოს გაზეთებს კითხულობდა — იქნებ სადმე დეიზის სახელმა გაიელვოსო.

დაბინდებულიყო. პატარა ხიდქვეშ შევედით თუ არა, ჯორდანს მოოქროსფრო მხრებზე ხელი მოვხვიე, ოდნავ მივიზიდე და ვთხოვე ჩემთან ერთად ესადილა. უეცრად გადამავიწყდა დეიზიც და გეტსბიც; მასულდგმულებდა მხოლოდ და მხოლოდ ეს ტანკენარი, მკვრივი, გონებაშეზღუდული არსება, სკეპტიკოსობით რომ იწონებდა თავს. მკლავის მარწუხში მოქცეული ასული კმაყოფილი გაინაბა. ყურში რაღაც უცნაური სიშმაგით ამიხშიანდა: „ასეა, ან მღევარია კაცი ან დევნილი, ან მშრომელი, ანდა ილაჩგაწყვეტილი“.

— დეიზიც ხომ უნდა ელირსოს ცხოვრებაში რამეს, — მეჩურჩულეობოდა ჯორდანი.

— თვითონ თუ სურს გეტსბის ნახვა?

— დეიზიმ არც უნდა იცოდეს. გეტსბის არ უნდა, რომ იცოდეს. მხოლოდ ამას ითხოვს, ჩაიზე დაპატიჟოთ და სხვა არაფერი.

დაბინდული ხეივანი გავლიეთ, ორმოცდამეცხრამეტე ქუჩის ნახმა, მკრთალმა შუქმა ბაღამდე მოაღწია. გეტსბისა და ტომ ბიუტენენისაგან განსხვავებით, მე საოცნებო გოგო არ მყავდა, რომ მისი სახე თვალწინ დამდგომოდა ამ ბნელ კარნიზებსა და თვალისმომკრელ ფირნიშებს შორის; რა უნდა მექნა, მივწვდი ჩემ გვერდით მყოფ ასულს და მკლავები მარწუხივით შემოვაჭვდე. ფერმკრთალ, ამპარტავან სახეზე ღიმილმა გადაუარა. მეც სხვა რა მინდოდა, მაგრად ჩავეკარი და სახეზე დავეკონე.

თავი V

იმ ღამით, შინ რომ ვბრუნდებოდი, უესტ-ეგში, შიშმა შემიპყრო — ჩემს სახლს ცეცხლი ხომ არ წაეკიდა-მეთქი. ღამის ორ საათზე კონცხის მთელი სანაპირო კაშკაშებდა. ზღაპრული ელფერი დასდებოდა შუქდაფენილ ბუჩქნარს, ტელეგრაფის მავთულებზეც ელავდა სინათლის სხივი. გაქვესავდა წვრილად და ხანგრძლივად. მოსახვევთანაღა გავარჩიე — გეტსბის სახლი იყო ასე გაჩირადდებული კოშკიდან სარდაფამდე.

ჯერ წვეულება მეგონა, ატაცებული სტუმრები ალბათ დამალობანას ან თევზაობას თამაშობდნენ და მთელ სახლს მოსდებიან-მეთქი. მაგრამ ჩქამიც არ ისმოდა. მხოლოდ ქარი დათარეშობდა ხეებში, მავთულებს არხევდა და შუქი ხან ჩაქრებოდა, ხან ისევ აინთებოდა — გეტსბის სასახლე დამეს თითქოს თვალს უბაჭუნებდა. ის იყო ჩემი ტაქსი ხვნივით გაბრუნდა, გეტსბის მოვკარი თვალი. ბალი გადმოჰყვებოდა და მომაშურა.

— მსოფლიო გამოფენას დამგვანებია თქვენი კარმიდამო.

— პართლა? — უაზროდ გაჰხედა თავის სახლ-კარს. — თვალი შევაკლე ზოგიერთ ოთახს. მოდი, კონი აილენდზე წავიდეთ ჩემი მანქანით.

— ძალიან გვიანაა.

— კეთილი მაშინ საცურაო აუზში ვიჭყუმბალაოთ! მთელი ზაფხული ფეხი არ ჩამიდგამს.

— უნდა დავიძინო.

— კარგით.

რალაცას ელოდა. თავს იკავებდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობას მაინც ვერ ფარავდა. ჭიუტად მომაჩერდა.

— მისს ბეიკერს ვესაუბრე, — ცოტა დავაყოვნე და მერე ვუთხარი. — ხვალ ტელეფონით დაველაპარაკები დეიზის და ჩაიზე მოვიპატიებ.

— ო, ეს კარგია, — უდარდელად მიპასუხა, — უხერხულ მდგომარეობაში არ მინდა ჩაგაყენოთ.

— როდის გირჩევნიათ?

— როცა თქვენ გნებავთ! — დაუყოვნებლივ შემისწორა, — იცით, არ მინდა შეგაწუხოთ.

— რას იტყვით, ზეგისთვის რომ დავიბარო?

ერთხანს ჩაფიქრდა, მერე უნდოდა წაიღებოდა:

— ბალახი მინდა გავკრიჭო.

ბალახს გავხედეთ — მკვეთრი ხაზი ჰყოფდა ჩემს ეზოს მისი მოვლილი ბაღნარისაგან. ალბათ ჩემი ეზოს ბალახს გულისხმობდა.

— ერთი პატარა საქმეც მაქვს, — გაუბედავად თქვა და სიტყვა გაუწყდა.

— რა, რამდენიმე დღით გადავდოთ? — ჩავეკითხე.

— არა, მაგას არ ვამბობ. ბოლოს და ბოლოს... — ერთსა და იმავეს დეკავდა, — იცით, ვიფიქრე... იცით... ყური მიგდე, ძმაცაცო, ფულს ბევრს ვერ მოუღობ, არა?

— არცთუ ბევრს.

ამან თითქოს გაათამამაო და უფრო გულლიად განაგრძო.

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მეც ასე ვფიქრობდი. იცი... ჩემი სამუშაოს გარდა, ერთ პატარა საქმეშიც ვარ ჩაბმული, ცოტას ვჩალიჩობ, გამიგე? ჰოდა, ვიფიქრე, თუ ბევრს ვერ აკეთებდი... ფასიან ქაღალდებს ყიდით, არა, ძმაცაცო?

— ვცდილობ.

— დიახ, ამ საქმემ უნდა დაგაინტერესოს. დიდ დროს არ წაგართმევს და ფულს კი ბლომად გააკეთებ. მაგრამ ცოტა საიდუმლო საქმეა.

ახლა ვხედები, რომ სხვა დროს ამ საუბარს იქნებ გარდატეხაც მოეზდინა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ისე აშკარად და უტაქტოდ შემომთავაზა გაწეულ სამსახურის გასამრჩელო, მტკიცე უარის გარდა არაფერი შეთქმოდა.

— ყელამდე ვარ საქმეში ჩაფლული. გმადლობთ, სხვას ველარაფერს მოვკიდებ ხელს.

ვულფშიმთან არ გექნება საქმე. — ალბათ ეგონა იმ „გონტაქტებს“ გაურბოდი, საუზმობისას რომ ახსენა ვულფშიმმა; დავარწმუნე, რომ სცდებოდა. ცოტა ხანს კიდევ დაყოვნდა იმის იმედით, საუბარს გამიბამსო, მაგრამ ერთობ დაქანცული ვიყავი და თავი აღარ მქონდა. ბოლოს პირი იბრუნა და უხალისოდ გასწია სახლისკენ.

იმ საღამოს ბედნიერებით თავბრუდამხვეული ვახლდით. კარებში შევდგი თუ არა ფეხი, მგონი, მაშინვე წამიღო ძილმა. ველარ გავიგე, წავიდა თუ არა გე-

ტსბი კონი აილენდზე, ან რამდენ საათს მოუნდა ოთახების დათვალიერებას და რამდენ ხანს კაშკაშებდა მისი სასახლე.

მეორე დღეს, დილით, სამსახურიდან დავურეკე დეიზის და ჩაიზე მოვი-
ბატიყე.

— ტომს ნუ წამოიყვან, — გავაფრთხილე.

— რა?

— ტომს ნუ წამოიყვან.

— ვინ არის ტომი? — მიპასუხა უცოდველი კრავივით.

საქმის შესახებ
განმარტება

დათქმულ დღეს კოკისპირული წვიმა მოვიდა. თერთმეტ საათზე ვილაკ
ლაბადიანმა მამაკაცმა ბალახის საკრეჭელა შემოათრია ჩემს ეზოში და კარზე
დამიკაკუნა. ბატონმა გეტსბიმ ბალახის გასაკრეჭად გამომგზავნაო. მაშინდა
გამახსენდა, რომ ფინელი ქალი არ გამიფრთხილებია, მალევე დაბრუნებულიყო
და საძებნელად მივაშურე წვიმით პირდაბანილ უესტ-ეგ ვილიჯის ქუჩაბანდებს.
გზად ფინელები, ლიმონი და ყვავილები ვიყიდე.

ყვავილები არ უნდა მეყიდა — ორ საათზე უამრავი ქოთანნი გამოზიდეს
ჩემი მეზობლისგან. ერთი საათის შემდეგ სადარბაზო კარი ნერვიულად შემოა-
ლო თვით გეტსბიმ. თეთრი ფლანელის კოსტიუმი და ვერცხლისფერი პერანგი
ოქროსფერი პალსტუხით ჰქონდა დამშვენებული. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.
გაფითრებულიყო. თვალები უძილობით ამოღამებოდა.

— როგორ არის საქმე? — მაშინვე ეს მკითხა.

— ბალახი დავარცხნილივითაა, თუ ამას კითხულობთ.

— რა ბალახი? — უაზროდ ჩამეკითხა, — აა, ეზოში. — ფანჯრიდან გაი-
ხედა, გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ ვერაფერს ხედავდა.

— მშვენიერადაა, — ჩაიდუღუნა, — რომელიღაც გაზეთი წერდა, მგონი,
„ჯორნალი“, წვიმა ოთხი საათისათვის გადაიღებსო. ყველაფერი გაქვთ... ჩაის-
თვის?

სამზარეულოში გავიყვანე. ფინელი ქალის დანახვა მაინცდამაინც არ ესია-
მოვნა. ტკბილეულობის მალაზიაში ნაყიდი ლიმონის ნამცხვრები საგულდაგუ-
ლოდ შევამოწმეთ.

— გამოდგება?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მშვენიერია! — და ყრუდ დაუმატა, —
... ძმაცაცო.

ოთხის ნახევრისთვის წვიმა ნოტიო ნისლად გადაიქცა. აქა-იქ ცვარივით
ელავდა წვრილი წვეთები. გეტსბი უაზროდ ჩასჩერებოდა ქლეის „ეკონომიკას“. ფინელი ქალის ყოველ გავლა-გამოვლაზე შეკრთებოდა ხოლმე, ისე ჭრიალებდა
სამზარეულოს იატაკი. დროდადრო დანისლულ სარკმელს მიაშტერდებოდა.
თითქოს სწორედ იქ, სარკმლის მიღმა ხდებოდა რაღაც უჩინარი და შემაშფო-
თებელი. ბოლოს წამოდგა და გაუბედავად მითხრა, — მივდივარო.

— რატომ?

— ჩაიზე არავინ მოდის. უკვე გვიანაა! — საათზე დაიხედა, თითქოს სა-
ჩქარო საქმეს მოაცდინესო. — მთელ დღეს ხომ ვერ მოვუცდი.

— ნუ სულელობ. ოთხს ორი წუთი აკლია.

უმწეოდ დაჯდა, თითქოს ჩელი უბიძგესო. სწორედ ამ დროს გაისმა ბორ-
ბლების ჭრიალი — მანქანამ ჩემი ბეივნისაკენ შემოუხვია. წამოვცვივდი. მე
ეზოში გავვარდი. ცოტა ვღელავდი კიდევ.

იასამნის სველ, გაძარცვულ ბუჩქებში დიდი, ღია მანქანა შემოსრილდა და ჩემს სახლთან გაჩერდა. სამკუთხა ქუდი ეხურა დეიზის; ყელმოღერებულმა ნათელი, მზიარული ღიმილი შემომაგება.

— ეს სულ შენი საბრძანებელია, ჩემო ძვირფასო?

ხმა ისე საამურად ურაკრაკებდა, რომ ამ წვიმასა და ავტომობილების მოგემატებოდათ. ჯერ სმენა ავაყოლე ამ რაკრას ხან აღმა, ხან დაღმა და მერეღა ჩავხვდი ნათქვამის აზრს. სველი კულუნი მუქად დაფენოდა ლაწვზე — ნახატი გეგონებოდათ, ხელებზე წვიმის წვეთები უელავდა. მანქანიდან გამოსვლაში მივეშველე.

— შეგიყვარდი თუ რა, — ყურში ჩამჩურჩულა, — მარტო რად დამიბარე?

— ციხე-სიმაგრე რეკრენტის საიდუმლოა. შოფერს უთხარი, სადმე შორს წავიდეს და ერთ საათში დაბრუნდეს.

— ერთ საათში მოდი, ფერდი, — მერე ჩურჩულით მითხრა: — ფერდი ჰქვია.

— ბენზინი ცხვირში არ ულიტინებს?

— არა მგონია, — გულუბრყვილოდ მიპასუხა, — რატომ მეკითხები?

სახლში შევედი. გაოცებისგან თავხარი დამეცა — სასტუმრო ოთახი ცარიელი იყო.

— აი სეირი! — ჩემდა უნებურად აღმომხდა.

— რა სეირი?

ამ დროს სადარბაზო კარზე ვილაყამ დინჯად დააკაკუნა. დეიზიმ ყურები დატყვიტა. გავედი და კარი გავაღე. გეტსბი იყო, მიცვალებულივით გაფითრებული. პიჯაკის ჯიბეებში ხელები მძიმედ ჩაეწყო. ტბორში იდგა. სასოწარკვეთილი მომაჩერდა თვალებში.

ჯიბეებიდან ხელი არ ამოუღია. ზედაც არ შემომხედა, ისე შეიძურწა დერეფანში. მერე მავთულებით სამართ თოჯინასავით მკვეთრად შემობრუნდა და სასტუმრო ოთახში შერგო თავი. სულაც არ იყო სასაცილო: გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მივბრუნდი და სადარბაზოს კარი მივხურე. გაძლიერებული წვიმის ხმაური მიწყდა.

ერთხანს კრინტიც არ დაუძრავთ. მერე სასტუმრო ოთახიდან ძლივს გასაგონი ჩურჩული და რაღაც სიცილისმაგვარი შემომესმა. რაზეც დეიზიმ ყალბი ხმით, მაგრამ მკაფიოდ მიუგო:

— მე მართლა ძალიან კმაყოფილი ვარ, ისევ რომ გნახეთ.

ღუმილი, იგი აუტანლად დიდხანს გაგრძელდა. დერეფანში საქმე არაფერი მქონდა და სასტუმრო ოთახში შევედი.

გეტსბი, აქაოდა, თავს თავისუფლად ვგრძნობო, ბუხარს მიყრდნობოდა. ვითომდა უდარდელი, ოდნავ მოწყვნილი კაცის ყალბი იერი ჰქონდა. თავი ისე გადაეხარა უკან, თითქმის ეხებოდა რაფაზე შემოდგმულ მოშლილ საათს; ასე იყო აყუდებული და აგზნებული თვალებით გადმოსჩერებოდა დეიზის. ჭალი შემკრთალი, მაგრამ ყელმოღერებული იჯდა ხმელ სკამზე.

— ძველი ნაცნობები ვართ, — წაილულულა გეტსბიმ. თვალი შემავლო. გაცინებაც სცადა, პირიც კი დააბჩინა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ისე მისწოლოდა საათს, რომ ცოტაც და გადმოაგდებდა, მაგრამ მყისვე შებრუნდა. სახიფათოდ გადმოკიდებულს ათრთოლებული ხელი დაავლო და თავის ადგილზე და-

დგა. მერე უხერხულად ჩამოჯდა დივანზე, სახელურს დაეყრდნო და ნიკაპი ზე-
ლის გულში ჩარგო.

— მაპატიეთ, კინალამ საათი გავტეხე, — ჩაიდუღლუნა.

თავად მეც ხურვება შეყრილივით სახეზე აღმურთქმდნენ — ასეთ დროს
სათქმელი გაცვეთილი სიტყვები თავში ათასობით მიტრიალებდა, მაგრამ ვე-
რც ერთი ვერ ამოვლერღე.

— ძველი საათია, — იდიოტივით აღმოძნდა ბოლოს.

მგონი, ერთხანს სამივე დარწმუნებული ვიყავით, რომ საათი იატაკზე და-
ეცა და დაიმსხვრა.

— რამდენი წელია ერთმანეთი აღარ გვინახავს, — მშვიდად, აუღელვებ-
ლად წარმოთქვა დეიზიმ.

— მომავალ ნოემბერს ხუთი წელი სრულდება.

გეტსბის სულმოუთქმელმა პასუხმა შეგვაცბუნა. კიდევ ერთი წუთით მა-
ინც შეფერხდა საუბარი, სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, ვუთხარი, ჩაის მომ-
ზადებაში მომეხმარეთ-მეთქი. მყისვე წამოცვიდნენ და სამზარეულოში მომ-
ყვებოდნენ, მაგრამ ამ დროს ის კუდიანი ქალი, ჩემი ფინელი, შემოვიდა და
შველაფერი ლანგრით მოგვართვა.

ფინჯებისა და ნამცხვრის თავაზიან მიწოდება-გადაწოდებაში ცოტათი მა-
ინც დავმშვიდდით. მე დეიზის გავუბი საუბარი. გეტსბი თავისთვის მიიყუჟა,
დარცხვენილი, ხან ერთს მოგვაპყრობდა მღელვარე, შეწუხებულ თვალებს, ხან
მეორეს. მაგრამ თავისთავად სიმშვიდის მოპოვება როდი იყო ჩვენი საბოლოო
მიზანი. ამიტომ ბოდიში მოვიხადე და წასვლა დავაპირე.

— სად მიდიხარ? — მეცა შეშფოთებული გეტსბი.

— ახლავე მოვალ.

— ვიდრე წახვიდოდე, რაღაც უნდა გითხრა.

გიჟივით გამომედევნა, სამზარეულოში შემომყვა, კარი მიხურა და საწ-
ყალობლად ამოიხვნეშა: „ო, ღმერთო!“

— რა მოგივიდა?

— ძალიან შევცდი, — ამოსცრა. თავს გამწარებული აქნევდა, — ძალიან,
ძალიან შევცდი.

— რა მოხდა, ცოტა დაიმორცხვე, მეტი ხომ არაფერი, — ბედზე ესეც და-
ვუმატე, — ცოტა დეიზიმაც დაიმორცხვა.

— დაიმორცხვა? — უნდობლად ჩამეკითხა.

— შენსავით.

— ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ.

— ბავშვივით იქცევი, — ველარ მოვითმინე და მივახალე, — კი არაღა,
უზრდელადაც. დეიზი მარტოდმარტო მიატოვე ოთახში.

ხელით მანიშნა, გაჩუმდიო, საყვედურით შემომხედა — რა დამავიწყებს
იმ შემოხედვას, — კარი ფრთხილად გააღო და სასტუმრო ოთახში შებრუნდა.

უკანა კარით გარეთ გავედი. ნახევარი საათის წინ გეტსბიც აქედან გავიდა
და ნერვიულობისაგან სახლს გარს შემოუარა. ვეება, მხრებგაშლილ ხეს მი-
ვაშურე, რადგან ხშირ ფოთლებში წვიმა ვერ ატანდა. ისევ წამოუშინა. გეტ-
სბის მებაღემ კვალედი გულდაგულ კი გაკრიჭა, მაგრამ ეზო ოღროჩოღრო იყო
და წვიმამ პატარ-პატარა ტბორებით დაფარა, აატილაზა, წინაისტორიული ხა-

ნის წუმბეს დაამგვანა. იმ ზის ძირიდან სხვა არაფერი ჩანდა, გარდა გეტსბის ვეებერთელა სახლისა და მეც იმას მიეჩერდი, როგორც კანტი თავისი ეკლესიის სამრეკლოს. სახლი ვიღაც მელუდეს აუშენებია ამ ათიოდე წლის წინ — მაშინ იყვნენ გატაცებული ასეთი არქიტექტურით. ამბობდნენ, მეზობლებს შეპირებია, გადასახადს ყველას მაგივრად ხუთი წლისას წინასწარ გადაეცემოდა, თუ ქოხებს ისლით გადახურავთ. იქნებ სწორედ ადგილობრივ მცხოვრებთა უარმა ჩაუფუშა ოჯახური თემის დაფუძნების გეგმა და ამან მოუღო ბოლო მის ჯანმრთელობას. შეილებმა სახლი რომ გაყიდეს, კარებზე ისევ შავი ბაფთა ეკეთა. ამერიკელებს შეიძლება ზოგჯერ მონობის სურვილი ექნეთ, მაგრამ გლეხად ყოფნას ყოველთვის ჯიუტად გაუბიან.

ნახევარი საათის შემდეგ მზემ კვლავ გამოანათა. გეტსბის ეზოსთან მელუქნის მანქანა ჩამოდგა — მსახურებს სადილისათვის მოუზიდა სანოვაგე. დარწმუნებული ვარ, გეტსბი ლუემასაც არ ჰამდა. მოახლე გოგონა ფანჯრებს აღებდა ზედა სართულზე. იგი ხან ერთ ფანჯარაში გამოჩნდა, ხან მეორეში; შუა, განიერი ფანჯრიდან გადმოიხარა და ჩაფიქრებულმა ბაღში გადმოაპურჰყა. ჩემი შინ დაბრუნების დრო იყო. ფოთლებზე წვიმის შხაპუნი, ხანდახან რომ აზავთდებოდა და გაძლიერდებოდა, ჩემი სტუმრების გრძნობააშლილ ჩურჩულად მეჩვენებოდა. მაგრამ, როცა გადაიკარა და ჩაიჩუმემ დაისადგურა, ვიგრძენი, ჩემს სახლშიც კვლავ დუმილი იყო გამეფებული.

ვიდრე ოთახში შევიდოდი, სამზარეულოში ლუმელი არ დამინგრევია, თორემ რაც შემეძლო ვიხმაურე, მაგრამ მგონი ჩქამიც არ გაუგონიათ. ჩამომსხდარიყვნენ ტახტის სხვადასხვა კუთხეში და ერთმანეთს ისე მისჩერებოდნენ, თითქოს რაღაც იკითხათ, ანდა ახლა კითხულობდა რამეს რომელიმე მათგანი. უხერხულობის ნიშანწყალიც გამქრალიყო. დეიზის ცრემლით დაღაროდა სახე. მე რომ შევედი, წამოხტა, სარკესთან მივიდა და ცხვირსახოცით ლაწვები შეიმშრალა. გეტსბი საოცრად შეცვლილი იყო — ნათელი გადასდიოდა, შინაგანი კმაყოფილების უჩვეულო განცდის გამოსახატავად არც სიტყვა სჭირდებოდა, არც მოძრაობა, ამას ისეც ასხივებდა იგი და სიტბოს მატებდა ჩემს პატარა ოთახს.

— ო, გამარჯობა, ძმაკაცო, — ისე შემომძახა, თითქოს რამდენიმე წლის უნახავი ვყოლოდი. წამით ისიც მომეჩვენა, ხელის ჩამოსართმევად შემომეგებება-მეთქი.

— აღარ წვიმს.

— არა? — როცა მიხვდა, რასაც ვეუბნებოდი, და ისიც შეამჩნია, რაღაც კმაყოფილებაში მზის სხივები ლიცილიცებდნენ, ამინდის კაცივით ჩაიღიმა, სინათლის მეუფესავით, და ახალი ამბავი დეიზის მოახსენა: — შენ რაღას იტყვი? გამოუდარნია.

— მიხარია, ჯეი, — სევდით, ტკივილით ათრთოლდა ჰიბლიანი ხმა. რაც ქალის მოულოდნელი სიხარულის მაუწყებელი იყო.

— ჩემთან უნდა წამოხვიდეთ ორივე, — გამოგვიცხადა გეტსბიმ, — ჩემი კარმიდამო უნდა გაჩვენო დეიზის.

— მეც წამოვიდე? ნამდვილად გსურს?

— რა თქმა უნდა, ძმაკაცო.

დეიზი მალლა ავიდა პირის დასაბანად. მაშინლა გამახსენდა პირსახოცები

და სირცხვილმა დამწვა, მაგრამ რას ვუშველიდი. მე და გეტსები ბაღში დაველოდეთ.

— ლამაზია ჩემი სახლი, არა? — იკითხა. — ხედავთ, მზე მთელს წინა მხარეს ანათებს.

მე კვერი დავუკარი — დიდებულა-მეთქი.

— ჰო, — თვალი მოავლო სახლს, თალიან კარს, ოთხკუთხა კოშკს, — სამი წლის შრომა დასჭირდა ამის შესყიდვას.

— მე მეგონა, ფული მეზვედრებოთ მიიღე.

— როგორ არა, მივიღე, ძმაცაცო, — დაუფიქრებლად მიპასუხა, — მაგრამ თითქმის მთლიანად დამეკარგა დიდი არეულობის დროს, ომის წლებში. დარწმუნებული ვარ, არც კი ესმოდა რას ამბობდა. როცა ჩავეყითხე, რა საქმიანობას ეწევი-მეთქი, ჩემი საქმეაო — მიპასუხა, მაგრამ მერე მიხვდა, ცუდად გამოუვიდა.

— ხან რა საქმეს მივდეგდი ხან რას, — გამოასწორა თავისი ნათქვამი, — ჯერ წამლებთან მქონდა საქმე, მერე ნავთობთან. ახლა კი ორივეს თავი გავანებე. — ეს მითხრა და განსაკუთრებული ყურადღებით შემომაჩერდა. — რა, წუხანდელ წინადადებაზე ზომ არაფერი გადაწყვიტე?

ვიდრე ვუპასუხებდი, სახლიდან დეიზი გამოვიდა. კაბაზე ორ მწკრივად ჩაყოლებული თითბრის ღილები მზეზე აუელვარდა.

— ეს ვეება მამული შენია? — შორიდანვე დაგვიძახა.

— მოგწონს?

— ძალიან მომწონს. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, მარტოდმარტო როგორ ძლებ აქ.

— დღედაღამ სტუმარი არ მელევა, ჩემი სახლი ყოველთვის საინტერესო, სახელგანთქმული ხალხითაა სავსე.

ნაცვლად იმისა, რომ გზა მოკლედ მოგვეჭრა, — სანაპიროთი, ქვაფენილს გავყევით და დიდი ჭიშკრით შევედით ეზოში. დეიზიმ ზან ერთი მხრიდან შეხედა ფეოდალური სასახლის სილუეტს ცის ფონზე, ხან მეორედან და აღფრთოვანებისაგან საამოდ აღუღუნდა. ზან ბაღს მიეალერსა, ხან ნარგიზის დამატრობელ სურნელს, კუნელისა და ქლიავის ახლად აფეთქებულ ყვავილებს, სურნელოვან მკრთალ ოქროს — ჭიქას. როგორღაც მეხამუშა, რომ მარმარილოს კიბეებამდე მივალწიეთ და არსად, არც შინ, არც გარეთ, არ დაბოროილებდნენ ზიმზიმა ტანსაცმელში გამოწყობილი სტუმრები, ჩქამიც არ ისმოდა მათი. მხოლოდ ჩიტები ჟივფივებდნენ ზეებზე.

შიგ შევედით. მოვიარეთ მარია ანტუანეტას ყაიდის სამუსიკო დარბაზება, რესტავრაციის ეპოქის სტილით გაწყობილი სალონები. მეჩვენებოდა, თითქოს სტუმრები ყოველი ტახტის თუ მაგიდის უკან იყვნენ დამალულნი და ნაბრძანები ჰქონდათ, სუნთქვა შეეკრათ, ვიდრე იქ ვიყავით. როცა მშვენიერი ბიბლიოთეკიდან გამოვედით და გეტსებმ კარი მიხურა, დავიფიცე, რომ იმ ბუსთვალა მაკაცის ხარხარი გავიგონე.

ზედა სართულზე თანამედროვე ავეჯით გაწყობილი საძილე ოთახები და-ვათვალიერეთ. ყველაფერი ვარდისფერ თუ ლავანდისფერ აბრეშუმში იყო ჩაფლული. ახლად დაკრეფილი ყვავილები სიცოცხლეს მატებდა იქაურობას. შემოვიარეთ ტანსაცმლის შესანახი ოთახები, გასართობი დარბაზები, სააბაზანოები — იატაკში ჩადგმული აბაზანებით. ერთ საძილე ოთახშიც შევიჭერით —

თმაბურძგვნილი მამაკაცი იატაკზე გაშლართულიყო და ღვიძლის ვარჯიშს აკეთებდა — ბატონი კლიპსპრინგერი გახლდათ, „მდგმური“: დილით დაცინაზე, დამშეულივით დაეხეტებოდა სანაპიროზე. ბოლოს და ბოლოს გეტსბის პირად ოთახებს მივადექით: საძილე ოთახი, სააბაზანო, ძვირფასი ავეჯით გაწყობილი ოთახი. აქ დავსხედით. მასპინძელმა კედელში ჩადგმული კარადა გამოაღო და თითო ჭიქა შარტრეზი გიახელით.

გეტსბის არც ერთი წუთით თვალი არ მოუშორებია დეიზისთვის. ზგონი, თავიდან აფასებდა ყველაფერს, იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოკრთებოდა ამ საგნებით კმაყოფილება მისთვის ესოდენ საყვარელ თვალებში. ზოგჯერ გაოგნებული მიაშტერდებოდა თავის ავლადიდებას, თითქოს ახლა, როცა მისი საყვარელი არსების აქ ყოფნა წარმოუდგენელი სინამდვილე იყო, სხვას ყველაფერა რეალური აზრი დაჰკარგოდა. ერთხელ კიბიდან კინალამ გადავარდა.

საწოლი ოთახი სადა გახლდათ. მხოლოდ სარკესთან ეწყო ბაჯალ-ლო ოქროს ნივთები. დეიზიმ ნეტარებით აიღო ოქროს ჯაგრისი და თმაზე გადაისვა. ეს რომ შენიშნა, გეტსბი იქვე ჩამოჯდა, თვალი მოიჩრდილა და სიცილი აუვარდა.

— საოცარია, ძმაკაცო, ვერაფრით ვერ... თუმცა ვცდილობ...

ცხადი იყო, მის აფორიაქებულ სულს უკვე გაეგლო ორი სტადია და ახლა მესამე ეწეებოდა. დეიზის აქ ყოფნით გამოწვეული დამორცხვებისა და განუწყვლელი სიხარულის შემდეგ ახლა გაოცებამ შეიპყრო. ერთობ დიდხანს ფიქრობდა ამ დღეზე, უკანასკნელ წუთამდე მხოლოდ ამაზე ოცნებობდა, დაძაბული კრიჭაშეკრული ელოდა ამ წუთს და ახლა ზამბარაგაწყვეტილ საათივით მოიშალა.

მყისვე გონს მოეგო და ორი ვეება კარადა გამოაღო — ტანსაცმლით. ბალათებით, პალსტუხებით გატენილი, დაკეცილი პერანგები აგურებივით იყო აკოკოლავებული.

— ინგლისში მყავს კაცი, ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე საუკეთესო ტანსაცმელს მიგზავნის.

პერანგების დასტა აიღო და თითი-თითოდ აგდებდა ჩვენ წინ. ზოგი თხელი ტილოსი იყო, ზოგი სქელი აბრეშუმისა, ზოგი ძვირფასი ფლანელის. პერანგები დაცემისთანავე იშლებოდა, ნაოჭები უსწორდებოდა, ნაირფერი გროვა ფარავდა მაგიდას. ვიდრე ჩვენ ვტკბებოდით, გეტსბი კიდევ და კიდევ უმატებდა: ნაზი, ძვირფასი გროვა მაღლა მიიწევდა — ზოლიანი თუ კუბოკრული, დაქარგული პერანგები, მარჯნისფერი და ხასხასა მწვანე, ლავანდისფერი და ღია წარსაჯისფერი, მუქი ლურჯი, მონოგრამებით. მოულოდნელად დეიზიმ პერანგებში ჩარგო თავი და აზლუქუნდა.

— რა ლამაზი პერანგებია, — მოთქვამდა, მაგრამ პერანგებში ქრებოდა მისი ხმა, — სევდა მომერიკა. ასეთი პერანგები, ასე ლამაზი, არასოდეს მინახავს.

სახლის შემდეგ ბაღია და საცურაო აუზი, პიდროპლანი და ახლად გაშლილი ყვავილები უნდა გვენახა, მაგრამ კვლავ წვიმამ წამოუშინა, ოთახში დავრჩით; სარკმელთან ჩამწკრივებულნი მივაჩერდით ტალღააქოჩრილ სრუტეს.

— ნისლი რომ არ იყოს, თქვენს სახლს დავინახავდით, გაღმა. — უთხრა

ქალს გეტსბიმ. — მწვანე სინათლე ყოველდღე, გათენებამდე კი აფობს თქვენს ნავმისადგომში.

დეიზიმ უეცრად მელავი გამოსდო, მაგრამ გეტსბი თავისი სიტყვებს ჩაეფიქრებია და ვერ გაიგო. იქნებ სწორედ მაშინ მიხვდა, რომ მწვანე შუქი მისთვის აღარაფერს ნიშნავდა. აქამდე, ვიდრე დეიზისთან დიდუმიწილით იყო დაშორებული, ეჩვენებოდა, შუქი ქალთან ძალიან ახლოს, მისი გარსკვალავი მთვარესთან, თითქოს სხივებითაც კი ელამუნებო. მაგრამ ახლა, უწინდებურად, ნავმისადგომის მწვანე სინათლეა იყო იგი და სხვა არაფერი. მომხიბვლელ საგნებს ერთი თილისმა გამოკლებოდა.

ოთახში გავიარ-გამოვიარე. ნახევრად ბნელში ვათვალისწინებდი გაურკვეველი დანიშნულების სხვადასხვა საგნებს. დამაინტერესა მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი ხანდაზმული კაცის ფოტოსურათმა, რომელიც გეტსბის საწერ მაგიდასთან ეკიდა.

— ეს ვინ არის?

— ეგ? ეგ ბატონი დენ კოლია, ძმაცაცო.

სახელი და გვარი რაღაც მეცნობოდა.

— ცოცხალი აღარ არის, ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, დიდი ხნის წინ. საწერ მაგიდაზე იდო გეტსბის პატარა სურათი; მეზღვაურის ტანსაცმელი ეცვა და თავი გამომწვევად ჰქონდა უკან გადაყინებული — თვრამეტისა თუ იქნებოდა.

— როგორ მიუვარს ასეთი ქოჩორი! — წამოიძახა დეიზიმ. — რატომ არ გითქვამს, რომ ასეთ ქოჩორს ატარებდი, ან იახტა თუ გქონდა!

— ამ დასტებს ზედავ? — ჩქარობდა გეტსბი. — გაზეთის ამონაწერებია, შენ შესახებ.

გვერდი-გვერდ იდგნენ და ამონაწერებს ათვალისწინებდნენ. უნდა მეთხოვა, ლალის თვლები გვიჩვენე-მეთქი, მაგრამ ტელეფონმა დარეკა და გეტსბი ყურმილს დასწვდა:

— დიახ... არა, ახლა ვერ გეტყვით... ახლა ვერ გეტყვით, ძმაცაცო... მე ვთქვი, პატარა ქალაქი... უნდა იცოდეს, რომელია პატარა ქალაქი... იცი, ისეთი კაცი, ვისაც დეტროიტი პატარა ქალაქი ჰგონია, არ გამოგვადგება... ყურმილი დააგდო.

— მოდი აქ, ჩქარა! — ფანჯარასთან უხმობდა დეიზი.

ისევ წვიმდა. მაგრამ დასავლეთით ბნელს პირი გახსნოდა და მოვარდისფრო, ოქროცურვილი ღრუბლის ფთილები ზღვის თავზე აელვარებულებოდნენ.

— ერთი შეხედე, — ჩაიღუღუნა ქალმა და უმაღლეს დაუმატა, — ნეტავ ასეთი ვარდისფერი ღრუბელი მქონდეს. დაგსვამდი ზედ, გიბიძგებდი და აღმადიდებდი ინავარდებდი.

წასვლა დავაპირე, მაგრამ გაგონებაც არ ისურვეს. ერთმანეთთან ყოფნა, მგონი, მაშინ უფრო მეტ კმაყოფილებას ჰგვრიდათ, როცა მეც მათთან გახლდით.

— იცით რა გავაკეთოთ? — შემოგვთავაზა გეტსბიმ. — კლიბსპრინგერს ვთხოვოთ დაგვიკრას რამე.

ოთახიდან გავიდა და გასძახა: — იუინგ! სხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა. დარცხვენილი, ცოტა დაღლილი შესახედაობის ახალგაზრდა მამაცადი შემოკვდა. ჩალისფერთმიან ყმაწვილს ბაქნის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. ახლა კოხ-

ტად ეცვა — საკინძეშენსნილი სპორტული პერანგი, სპორტული ფეხსაცმელი და გაურკვეველი ფერის სქელი ტილოს შარვალი.

— ვარჯიშში შეგიშალეთ ხელი, არა? — თავაზიანად ჰკითხა დეიზი.

— მეძინა. — წამოაყრანტალა ბატონმა კლიპსპრინგერმა და კიდევ უფრო დაიმორცხვა. — ესე იგი, ადრე მეძინა, მერე ავდექი...

— კლიპსპრინგერი პიანინოზე უკრავს, — სიტყვა შეაწყვეტინა გეტსბიმ, — არა, იუინგ, ძმაკაცო?

არა, კარგად ვერ ვუკრავ. ვაცოდვილებ. დიდი ხანია არ დამიკრავს...

— პო, კარგი, ქვემოთ ჩავდივართ. — მოუქრა გეტსბიმ და ელექტროჩამრთველი გააწყაპუნა. როგორც კი სახლი შუქმა ააელვარა, რუხი ფანჯრები გაუჩინარდნენ.

სამუსიკო ოთახში, პიანინოსთან, გეტსბიმ ერთადერთი ნათურა აანთო. ათრთოლებული ზელებით ასანთი გაპკრა და დეიზის სიგარეტზე ცეცხლი მოუკიდა. მერე ოთახის ბნელ კუთხეში, სადაც დერეფნის იატაკიდან არეკლილი შუქიღალიცლიცებდა, დეიზისთან ერთად ტახტზე მოიკალათა.

კლიპსპრინგერმა „სიყვარულის სავანე“ დაუკრა. მერე სკამზე შემობრუნდა და შეწუხებულმა სიბნელეში გეტსბის დაუწყო ძებნა.

— ხომ იცით, დიდი ხანია აღარ ვუკრავ. ავი გითხარით, ვერ დავუკრავ-მეთქი. დიდი ხანია აღარ ვუკრ...

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ძმაკაცო, — უბრძანა გეტსბიმ, — დაუკარი!

ვინღა იყოს საღამო,

ვინღა დილა საამო,

ნეტავ რა დაღვსა ლხენას...

გარეთ ქარაშოტი ღმუოდდა, სრუტიდან ისმოდა ჭექა-ქუხილი. შუქს ანთებდნენ უესტ-ეგის ქუჩებში. ამ თქვეში გაჭედილი საგარეუბნო ელმავლებით ბაღში ნიუ-იორკიდან სახლებისკენ მიიჩქაროდა. დგებოდა ჭამი, როცა მთლიანად იცვლებოდა ადამიანის ყოფა; გარემო გზნებით ივსებოდა.

მდიდარი მედამ მდიდრდება, მაგრამ ესეც ბომ ნილდია,

ღარიბს ეხვევა წვრილშვილი და უმრავლდება ნათლია;

დღე არის თუ ღამეა,

თუ შეადღის ჭამია.

წამოვდექი და დასამშვიდობებლად მივეახლე. გეტსბი კვლავ შეცბუხებული ჩანდა. ცოტა დაეეჭვებინა მოპოვებულ პედნიერებას. უკვე თითქმის ზუთი წელი გასულიყო! ალბათ იმავე საღამოს იგრძნო, რომ დეიზი ვერ უტოლდებოდა მის ნაოცნებას, მაგრამ ეს ქალის ბრალი როდი იყო; ამის მიზეზი გახლდათ გეტსბის განუზომლად ცხოველი წარმოსახვა. იგი აღმატებოდა დეიზის, აღმატებოდა ყველაფერს მათ გარშემო. შემოქმედის ალტყინებით ოცნებაში ჩაფლული გეტსბი ყოველ წუთს ამშვენნიერებდა თავისი ოცნების სურათს, რთავდა მას თუნდაც ელვარე ბუმბულ-ფრთით, თუკი სადმე მოიხელებდა. რა მიწიერი ეშხი და ხიბლი გაუტოლდებოდა გულანთებული კაცის მიერ ოცნებით შეჭმნილ პიეროვან მშვენნიერებას.

მე სულ გეტსბის ვუთვალთვალედი. ემჩნეოდა, თავს იკავებდა. ქალს ხელზე ხელი მოჰკიდა. მან ყურში უთხრა რაღაც და გეტსბი გრძნობააშლილი შებრუნდა მისკენ. მგონი, სწორედ ხმა აჯადოებდა, მისი სინარჩარე, მისი მხურვა-

ლება ხიბლავდა; უკეთესს ოცნებითაც ვერავინ წარმოიდგენდა, იგი უკვდავი სიმღერა გახლდათ.

მე აღარავის ვახსოვდი. მხოლოდ დეიზიმ ამომხედა და ხელი გამომიწოდა. გეტსები ვეღარც კი მცნობდა. ერთი კიდეც შევხედე მათ, იმათაც ამომხედეს მიზნედილი თვალებით და, აგზნებულნი, ბედნიერებამ შთაქმენიდან გავიპარე, მარმარილოს კიბეს დავუყუვე და წვიმაში გავედი. ისინი მარტო დავტოვე.

თავი VI

ამასობაში, ერთ მშვენიერ დილას, ნიუ-იორკიდან ვიღაც სახელისმაძიებელი ახალგაზრდა რეპორტიორი ეწვია გეტსბის და ჰკითხა — სათქმელი რომ არაფერი გაქვთო.

— რა სათქმელი, რის შესახებ? — ზრდილობიანად ჩაეკითხა გეტსბი.

— რამე, გამოსაქვეყნებლად.

ხუთიოდე წუთის შემდეგ უხერხულობამ რომ გაუარათ, გამოირკვა, ამ ყმაწვილს გეტსბის სახელისთვის სამსახურში მოეკრა ყური. რა შინაარსის საუბარში — ამის გამხელა ან არ სურდა, ან კარგად თვითონაც ვერ გაეგო. იმ დღეს დასვენების დღე ჰქონდა, მაგრამ საქმის სიყვარულმა არ მოასვენა თურმე და აქეთ გამოუწევია „მოსასინჯად“.

აღალბედზე მიადგა. მაგრამ რეპორტიორის ინსტინქტს არ უღალატნია მისთვის. გეტსბის სახელი გაუთქვა ასობით ადამიანმა, რომლებიც სარგებლობდნენ ამ კაცის სტუმართმოყვარეობით და თავი მოქონდათ მისი წარსულის ავტორიტეტულ მცოდნედ. გეტსბის პოპულარობა იმ ზაფხულს სწრაფად იზრდებოდა და კინალამ გაზეთშიც გაწერეს. მოარული ლეგენდები, „ამერიკა-კანადის მიწისქვეშა ნავთობგაყვანილობის“ მესვეურიაო თუ სხვა, საოცარი ძალით იზიდავდა ამ ჩალხს. უფრო გავრცელებული მაინც ერთი ამბავი იყო — სახლში კი არა, სასახლესავით გემზე ცხოვრობს, საიდუმლოდ დაცურავს ლონგ-აილენდის სანაპიროს გასწვრივ, ხან აღმა, ხან დაღმაო. ძნელია ახსნა, რატომ სიამოვნებდა ასეთი ზღაპრები ჩრდილოეთ დაკოტელ ჯეიმზ გეცს.

ჯეიმზ გეცა — ეს იყო ნამდვილი, ყოველ შემთხვევაში, კანონიერი სახელი და გვარი. ჩვიდმეტი წლისამ შეიცვალა იგი იმ ღირსსახსრვარ ეამს, როცა მისი კარიერა დაიწყო — ოდეს პირველად იხილა დენ კოდის ხომალდი, როცა მან ზემო ტბაზე, ყველაზე სახიფათო ჭორომთან ჩაუშვა ლუზა. იმ საღამოს, სანაპიროზე მოხეტიალე ყმაწვილს, — დახეული ჯეიმზი და თეთრი ტილოს შარვალი რომ ეცვა, ჯერ ისევ ჯეიმზ გეცა ერქვა, მაგრამ ნათხოვარი ნავით „ტუოლომი-სთან“ რომ მისცურა და კოდის აუწყა, ნახევარ საათში შეიძლება ჭარიშხალი ამოვარდეს, ხომალდი მოიტაცოს და დაამტვრიოსო, იგი უკვე ჯეიმზ გეტსბი გახლდათ.

ახალი სახელი და გვარი მგონი დიდი ხნის შერჩეული უნდა ჰქონოდა. უნიათო მშობლები ჰყავდა — უბერგილო ფერმერები. ყმაწვილს გუნებაში ისინი მშობლებად არც კი მიაჩნდა. მართლაც, უესტ-ეგელი ჯეიმზ გეტსბი წარმოიშვა საკუთარ თავზე პლატონური წარმოდგენიდან. უფლის შვილი გახლდათ — ეს სიტყვები თუ რამეს ნიშნავს, ნიშნავს მხოლოდ ამას — და მოვალე იყო მამა-უფლის კვალს გაჰყოლოდა, გაეწია სამსახური აურაცხელი, ვულგარული და თვალისმომჭრელი მშვენიერებისათვის. ასე შეთხზა მან სახე ჯეიმზ გეტსბისა.

შეიხზა რამდენადაც შეეძლო ჩვიდმეტი წლის ყმაწვილს, და მთელი სიცოცხლე ამ შეთხზულის ერთგული დარჩა.

ერთ წელიწადზე მეტხანს ზემო ტბის სამხრეთ სანაპიროს ტაბანიდან ხან ნიჟარებიან, საკმელ ლოკოკინებს დაეძებდა, ხან ორაგულებზე თევზაობდა. ან რამე სხვა ძალისხმევით შოულობდა იმდენს, რომ თავი ერჩინა და ლაშქარს გასათევად კჭონოდა. მაშინ ფუძეს უყრიდა მომავალს და არ ზარზაცობდა. თუმცა არც შრომას გადაჰყოლია — ლალად ცხოვრობდა. ვით ბუნების შვილი და გარეუყული სხეული თანდათან უმკვრივდებოდა. ქალებში ადრევე გაერთო, და განებივრებული, ქედმაღლადაც ექცეოდა — უმანკო ქალწულები სძაგდა ვამოუცდებლობისათვის, დანარჩენები კი იმისათვის, რომ ზოგჯერ ისეთ რამეზე ატებდნენ ხოლმე აყალმაყალს, რაც უსაზღვრო ეგოცენტრიზმის გამო გეტსბინს საესებით დასაშვებად მიაჩნდა.

მაგრამ მშფოთვარე გული არ ასვენებდა. ღამით, ლოგინში ჩაწოლილს, საოცარზე საოცარი ფიქრები ეძალებოდა. ვიდრე პირსაბანზე შემოდგმულ საათს წიკწიკი გაჰქონდა და იატაკზე უწესრიგოდ მიყრილ ტანსაცმელს მთვარის ლაქე შუქი მსჭვალავდა, თვალწინ ეშლებოდა ენით უთქმელი, ბრწყინვალე სამყარო. ყოველდღამ, სანამ ჩაეძინებოდა და უკვალოდ გაქრებოდა სულჩადგმული ზმანება, იგი რაღაც ახალს მატებდა თავის ნაოცნებარს. ერთხანს ოცნებებით იოხებდა გულს და მათვე ასმინეს, რომ არარეალურია თვით რეალობაც, დააჩერეს, რომ ეს პიტალო სამყარო ფერიის ნაზ ფრთებზე იყო საიმედოდ დაყრდნობილი.

რამდენიმე თვით ადრე, სამხრეთ შინესოტაში, წმინდა ოლაფის პატარა ლუთერანულ კოლეჯში, თითქოს მომავალი დიდების ინსტინქტმა მიიყვანა იგი. მაგრამ სულ ორ კვირას გასძლო იქ, რადგან შეაძრწუნა მისი ბედის ყივილისადმი, თვით ბედისადმი გაუგონარმა გულქვაობამ; მეეზოვეობაც იუკადრისა, სწავლის ქირას კი სხვაგვარად ვერ გადაიხდიდა. მერე ისევ ზემო ტბას დაუბრუნდა და იმ დღეს, როდესაც დენ კოდის იახტამ ლუზა წყალმეჩხერ სანაპიროზე ჩაუწვა, იგი კვლავ საქმეს ეძებდა.

კოდი მაშინ ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. იუკონში, ნევადის ვერცხლის საბადოებში იყო გამობრძმედილი; 1875 წლიდან მონაწილეობდა ლითონისათვის ატეხილ აურზაურში. მონტანას სპილენძის საბადოებმა ხომ მრავალი მილიონი შესძინა. მაშინ ჯანმრთელად იყო, მაგრამ რაღაც ამსუბუქება შეემჩნა და, როგორც კი ეს იეჭვეს, ქალებმა ცდა არ დააკლეს, იგი ფულთან განეშორებინათ. 1902 წლის ჟურნალ-გაზეთებმა ყრუდ, ქარაგმულად თუ მალაღფარდოვანი მიკიბგ-მოკიბვით ქვეყანას ამცნეს იმ ნამეტნავად პიკანტური ქსელის ამბავი, ჟურნალისტმა ქალმა ელლა კეიმ რომ დაბლანდა და ამით მადამ დე მენტენოზა გაუწია ამჩატებულ მილიონერს. კოდი იოხლებული გახდა და გაერიდა მას, ზღვას შეაფარა თავი, ხუთი წელი სერავდა იგი სტუმართმოყვარე სანაპიროებს და ერთ მშვენიერ დღეს, ვით ჯეიმზ გეცის ბედ-ილბალი, პატარა გოგოს ყურეში ჩამოდგა.

ახალგაზრდა ჯეიმზ გეცმა ნიჩბები აკრიფა (ამას ბედსმინდობილ კაცზეც იტყვიან), მიაჩერდა მოაჯირშემოვლებულ გემბანს და ეს ზომალდი ამქვეყნიური ხიბლისა თუ სიტურფის სრულყოფილი ხატი ეგონა. დარწმუნებული ვარ, შესცინა კოდის — უთუოდ გაგებული ექნებოდა, რომ მოსწონდათ მისი ღიმილი. ისე იყო თუ ისე, კოდიმ ერთი-ორი რაღაც ჰკითხა (ერთ-ერთი შეკითხვა მისი

ახალი სახლისა და გვარის დასაბამი გახდა) და მკისვე მიხვდა, რომ ყოჩაღ. თავმოყვარე ყმაწვილთან ჰქონდა საქმე. რამდენიმე დღის შემდეგ დუღუთში წაიყვანა, მისივე ხალათი, თეთრი ტილოს ექვსი შარვალი და პეზღვაურის კეპი, უყვია. როდესაც „ტუოლოში“ ვესტ-ინდოეთისა და ბარბადოსის სანაპიროებისკენ გაემართა, გეტსბიც გაჰყვა მას.

რა საქმეს არ აკეთებინებდა გემზე — ხან ლაქია იყო, ხან თანაშემწე, ხან კაპიტანი, მდივანი, ბოლოს თავისი ზედამხედველობაც კი უბოძა, რადგან ფხიზელმა დენ კოდიმ მშვენიერად იცოდა, რა მფლანგველიც იყო სიმთვრალეში და კვიმატი რომ არაფერი შემთხვეოდა, უფრო და უფრო მეტად ენდობოდა გეტსბის, მის იმედზე იყო. ამ ყოფაში გაატარა გეტსბიმ ხუთი წელი. ამასობაში ხომალდმა სამჯერ შემოუარა კონტინენტს. ასე გაგრძელდებოდა ალბათ უსასრულოდ, მაგრამ ერთ საღამოს, ბოსტონში, ელლა კვი ავიდა გემზე და დენ კოდიმ ერთ კვირაში უღალატა სტუმარმასპინძლობის წესს — იგი გარდაიცვალა.

ქარგად მახსოვს მისი სურათი, გეტსბის საძილე ოთახში ეკიდა — თმაშევერცხლილი, მედიდური, მკაცრი და სახეგამოფიტული კაცი. იმ პრუშთა პიონერი, რომლებმაც ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე ერთხანს უკუმოაქციეს დასავლეთის სალონთა და საროსკიპოთა ველური მძვინვარება. ნაწილობრივ კოდის დამსახურება იყო, რომ გეტსბი ასე ცოტას სვამდა. ზოგჯერ, როცა მღვივანთა ლხინი იმართებოდა, ქალები შამპანურით უნამავდნენ თმას. თვითონ წესად დაიდგინა, თუ დაღევდა — მხოლოდ ტკბილი სასმელი დაეღია.

ფულიც კოდიმ დაუტოვა. მემკვიდრეობით ოცდახუთი ათასი დოლარი ერგო, მაგრამ არ მიუღია. ვერაფრით გაიგო, რა წესით, რა კანონით ააღებინეს ხელი მემკვიდრეობაზე და კოდის მილიონებიდან მორჩენილი მთელი თანხა ხელუხლებად ჩააბარეს ელლა კვის. შერჩა მხოლოდ თავისებური ცოდნა და გამოცდილება. კვი გეტსბის უსახური პიროვნება თანდათან ივსებოდა ადამიანური არსებით.

ამ ამბავს ასე დაწვრილებილ გვიან მომიყვა, მაგრამ მე ახლა მოგიტხრობთ, რომ გაგიქარწყლოთ ცუდი წარმოდგენა მისი წარსულის შესახებ, რაც უთუოდ შეგეჭმნებოდათ ადრე გაგონილი ჭორებით, რომლებშიც სიმართლის ნასახიც არ ერიო. მით უფრო, რომ ამას იმ მღელვარე დღეებში მომიყვა და მეც იმ ზომამდე ვიყავი მაშინ მისული, რომ ან სულ ვერაფერს დავიჭერებდი მასზე, ანდა ვირწმუნებდი ყველაფერს, რაც გნებავთ მოკლედ, ვისარგებლებ ამ მცირე შესვენებით, ვიდრე გეტსბი სულს მოითქვამდეს, და შევეცადები გაგიქარწყლოთ მცდარი წარმოდგენა.

ერთხანს ჩვენც დავშორდით ერთმანეთს, რამდენიმე კვირით. არც შევხვედრივარ სადმე, არც ტელეფონით გამიგონია მისი ხმა. მეტწილად ნიუ-იორკში გახლდით, დავხეტიალობდი ჯორდანთან ერთად და მის მიხრწნილ დეიდას გულმოდგინედ ვეფარისევლებოდი. ბოლოს, ერთ კვირას, ნაშუადღევს იქნებოდა, გეტსბისთან შევირბინე. ორი წუთის მისული არც კი ვიქნებოდი, რომ ვილაც მამაკაცი მობრძანდა და თან მოიყვანა ტომი, წყურვილით პირი კვირებო. დამცეცხლა. თუმცა გასაკვირი ის იყო, ტომი მანამდე რომ არ გამოჩენილა.

სამნი იყვნენ, ცხენებით, — ტომი, ვილაც მამაკაცი, სლოუნი ერქვა. და ლამაზი, ქალის ყავისფერ მხედრულ სამოსელში გამოწყობილი ქალბატონი, რომელიც ამას წინათაც ყოფილა თურმე აქ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — პარმალზე გამოეგებათ გეტსპი.
— მესიამოვნა, რომ შემოიარეთ.

თითქოს დიდად ენადვლებოდათ!

— დაბრძანდით, სიგარეტი ინებეთ, სიგარა. — ოთახში მარდად მიდი-მო-
დიოდა, ხან ერთ ზარს დარეკავდა, ხან მეორეს. — ამ წუთში ზამთრის მზის სხივები
გაგანენ.

ტომის მოსვლამ ძალიან ააღელვა. უხერხულობას თავს ვერ დააღწევდა. ვიდრე არ გაუმასპინძლდებოდა და როგორღაც არ დარწმუნდებოდა, რომ მხოლოდ ეს იყო მათი მოსვლის მიზანი. მაგრამ ბატონ სლოუნს არაფერი უნდოდა: ღიმილნატი? არა, გმადლობთ... შამპანური? არაფერი არ მინდა, გმადლობთ... მაპატიეთ...

— კარგად აჰენეთ ცხენები?

— მშვენიერი გზები გაქვთ.

— მე ვფიქრობ, მანქანები...

— Ե, լրճան...

ტომთან საუბრის დაუოკებელმა სურვილმა აიტაცა გეტსბი, მაგრამ იგი გულგრილად შეხვდა მის სიტყვებს.

— მგონი, სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს, ბატონო ბიუქენენ.

— ო, როგორ არა, — ნაძალადევი ზედილობით უპასუხა ტომშა, მაგრამ აშკარად შეემჩნა, გახსენება არც კი უცდია, — ასე იყო. კარგად მაზსოვს.

— თქო კვირის წინ.

— მართალია. ნიკთან ერთად იყავით.

— ზქვენს მეუღლეს ვიცნობ, — შეუპოვრად განაგრძო გეტსბიძ.

— နှုတ်ကုတ် ?

ტომი მე მომიბრუნდა.

— სადღაც ახლოს ცხოვრობ, არა, ნიკ?

— გვერდით სახლში.

— მართლაც?

ბატონი სლოუნე საუბარში არ ერეოდა, ქედმაღლურად გადათხლამული-
ყო სავარძელში. კრინტი არ დაუძრავს არც ქალს, მაგრამ ორი წერწეტა ჭიქა
სოდიან-ყინულიანი ვისკი გადაჭკრა და ჟეცრად ენა ამოიდგა.

— მომავალ წვეულებაზე ყველა გესტუმრებით, ბატონო გეტსბი, — უყოყმანოდ გადაწყვიტა, — თქვენ რას იტყვით?

— კარგი იქნება, ძაღლიან გამახარებთ.

— ძალიანაც კარგი, — მადლობა არ გადაუხდია, ისე ჩაილაპარაკა ბატონმა სლოუნმა, — ჰო, მგონი, წასვლის დროა.

— ნუ იჩქარებთ, გეთაყვამთ, — ეპატოქებოდათ გეტსბი. თავი დაეურვებინა და იცოდა, რასაც იქმდა. უფრო დიდხანს სურდა ტომთან ყოფნა. — რა იქნება რომ... რა იქნება, ვაზშემაღ რომ დარჩეთ? იქნებ სხვებმაც შემოიბრინონ ნიუ-იორკიდან.

— თქვენ წამოდით ჩემთან ვახშმად, — შეეხვეწა ქალბატონი. — ორივე.

ესე იგი, მეც მგულისხმობდა, ბატონი სლოჟნი წამოდგა.

— წავიდეთ, — მხოლოდ თავის მეუღლეს მიმართა.

— მეც ამას ვამბობ, დაიჩემა ქალმა, — გამახარებთ, თუ მეწვევით. აღ-
გილი ყველასთვის მეყოფა.

გეტსბიმ მე გამოხედა. თითქოს შემეკითხა, რა ვქნაო. წასვლა სურდა და ვერ ამჩნევდა, რომ ბატონ სლოუნს არ ეჭაზნიკებოდა.

— მე ვერ შევძლებ, — ვთქვი.

— კეთილი, თქვენ წამოდით, — ეხვეწებოდა ქალი გეტსბის ბატონმა სლოუნმა ყურში რაღაც ჩასჩურჩულა თავის მეუღლეს.

— არ დაგვაგვიანდება, ახლავე თუ წავალთ, — ხმამაღლა შეედავა ქმარს.

— ცხენი არა მყავს, — თქვა გეტსბიმ, — ჯარში ცხენით დავჯირითობდი, მაგრამ მერე აღარ მიყიდია. მანქანით გამოგყვებით. უკაცრავად, ამწუთშივე გამოვალ.

დანარჩენებმა პარმალისკენ გავწიეთ. სლოუნი და მისი ქალბატონი განზე გადგნენ და ცხარე კამათი გააბეს.

— ღმერთო ჩემო, ეგ კაცი მგონი წამოსვლას აპირებს, — მითხრა ტომმა, — ვერ სვდება, რომ ქალს არ ეპიტნავენა?

— ქალმა თვითონ უთხრა, გამახარებო.

— დიდი ნადიმი აქვს, ეგ კი ნაცნობს ვერავის ნახავს. — დუდუნებდა მოქუფრული. — ნეტავ სად ეშმაკში შეხვდა დეიზის. ღმერთსა ვფიცავ, თუგინდ ჩამორჩენილ კაცად ჩამთვალონ, არ მომწონს ქალების ასე აღმა-დაღმა წანწალი. ყველა დამთხვეულს იცნობენ.

მოულოდნელად სლოუნმა და მისმა ქალბატონმა კიბე ჩაირბინეს და ცხენებზე შესხდნენ.

— წავიდეთ, — ტომს გამოსძახა ბატონმა სლოუნმა, — დაგვაგვიანდა. აქამდეც უნდა წავსულიყავით. — მერე მე გადმომიგდო: — უთხარით, ველარ დაიცადეს-თქო, კარგი?

ტომს ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობე, დანარჩენებმა ცივად დავუქნიეთ ერთმანეთს თავი. მყისვე მოსხლიტეს ცხენები, ჰენებით გაყვნენ გზას და აგვისტოს ხვატით ფერდაკრულ მწვანეში გაუჩინარდნენ. ამ დროს გეტსბიც მოადგა პარმალს. ხელში ქუდი და ლაბადა ეჭირა.

დეიზის ასე მარტო ხეტიალმა, ეტყობა, ააფორიაქა ტომი და შემდეგ შაბათს უესტ-ეგში სანადიმოდ გამოჰყვა. ალბათ ტომი იყო იმის მიზეზი, რომ ას საღამო ჩემს მეხსიერებაში, გეტსბისთან გატარებულ ყველა სხვა საღამოსთან შედარებით, გამოირჩევა რაღაც განსაკუთრებული, სულისშემხუთავი ატმოსფეროთი. იგივე ხალხმა მოიყარა თავი, ყოველ შემთხვევაში, იმავე ყაიდის ხალხმა, ისევ უამრავი შამპანური დაილია, ისევ დაუცხრომლად ფუთფუთებდნენ სტუმრები, მაგრამ მე მაინც უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, უხეში და გაუგუე აქაურობას, შევეჩვიე, რომ უესტ-ეგი თავისთავად, სრულყოფილ სამყაროდ მიმაჩნდა საკუთარი წეს-საწყაოთი თუ გამოჩენილი ხალხით, მაგრამ ეს თითქმის არაფერს ნიშნავდა, რადგან თავად არ ესმოდა, რომ ასეთი იყო. ახლა ყველაფერს დეიზის თვალთ ვუყურებდი. ერთობ ძნელი და გულის გამაწვრილებელია, სხვისი თვალთ შეხედო იმას, რაც უკვე აითვისე და თავისი იდგილი მიუჩინე შენს გულში.

ტომი და დეიზი დაბინდებისას ჩამოვიდნენ. მოზიმზიმე ხალხში გავერიეთ და სეირნობას შევყევით. დეიზის ხმა ყელში ნარნარით მუშაობდა.

— ყველაფერი მომწონს, — ჩამჩურჩულა, — ამ საღამოს ჩემი კოცნა თუ

მოგინდეს, ნიკ, მანიშნე და სიამოვნებით მოგიხერხებ, მხოლოდ სახელი ახსენე ჩემი, ანდა მწვანე ბარათი მომართვი. მე მწვანე ბარათებს ვაძლევ...

— გაიხედ-გამოიხედეთ, — გვირჩია გეტსბიმ.

— გაოცებული სულ აქეთ-იქით ვიყურები.

— აქ ისეთ ადამიანებსაც ნახავთ, ვის შესახებაც ბევრი რაღაც მწვინია... ტომი ამაყად ათვალისწინებდა ბრბოს.

— იშვიათად დავდივართ სხვაგან, — ჩაილაპარაკა, — მართლაც, ახლა ვფიქრობდი, არც ერთს არ ვიცნობ.

— იქნებ იმ ქალბატონს იცნობდეთ, — გეტსბიმ მომხიბვლელ ბანოვანზე მიუთითა, ქალად გამოსახულ ორქიდეას ჰგავდა იგი, ყელმოღვრებული იჯდა თეთრი ქლიავის ძირას. ტომი და დეიზი შეაჩერდნენ იმ განსაკუთრებული ურწმუნოებით, რომელიც ყოველთვის გიჩნდება, როცა საკუთარი თვალთა ნახავ სახელგანთქმულ კინოვარსკვლავს, დღემდე რომ აჩრდილივით უხორცო გეგონა.

— რა მწვინიერია, — აღმოხდა დეიზის.

— ის კაცი, მისკენ რომ არის გადახრილი, რეჟისორია.

გეტსბი დიდის ამბით მიუძღოდა მათ და ხან ერთ ჯგუფს აცნობდა, ხან მეორეს.

— ქალბატონი ბიუქენენი... და ბატონი ბიუქენენი, — წამით შეყოყმანდა და მერე დაუმატა, — პოლოს ოსტატი.

— ოპ, არა, — იუარა ტომმა, — მე არა.

გეტსბის ალბათ მოეწონა ამ სიტყვების ქლერადობა და ტომს მთელი სადამო შერჩა „პოლოს ოსტატის“ ტიტული.

— ამდენი გამოჩენილი ადამიანი არასოდეს მინახავს, — წამოიძახა დეიზიმ. — მომეწონა ის კაცი. რა ერქვა? აი იმას, ცხვირგალურჯებულს!

გეტსბიმ უთხრა მისი სახელი და ისიც დაუმატა, რომ მცირე სტუდიის მფლობელიაო.

— მერე რა. მე მაინც მომეწონა.

— მგონი, მერჩია, პოლოს არ ვთამაშობდე, — მხიარულად ჩაილაპარაკა ტომმა. — ამდენ გამოჩენილ ადამიანს თავისუფლად ვუთვალთვალედი, მე კი ვერაფერს შემამჩნევდა.

დეიზიმ და გეტსბიმ იცეკვეს. მახსოვს, გამოაცა გრაციოზულმა ძველმოღურმა ფოქსტროტმა ადრე გეტსბის ცეკვა არ მენახა. მერე ჩემი სახლისკენ გაისეირნეს და ნახევარ საათს კიბეზე ისხდნენ. დეიზის თხოვნით მე ბაღში ედარაჯობდი მათ. თუ, ვინიცობაა, ხანძარი გაჩნდა ან წყალი აღიდდაო, — აშიხსნა, — ან თუ სხვა რამ ღვთის რისხვა დატრიალდაო.

ტომი მართლაც აღარსად შეგვიმჩნევია და მაშინ გამოჩნდა, როცა უკვე ვახშმად ვსხდებოდით.

— თუ არ გეწყინებათ, სხვებთან ვივახშმებ, — მოგვახსენა. — ვილაც ყმაწვილი სასაცილო ამბებს გვიყვება.

— აბა შენ იცი, — ნაზად მიუგო დეიზიმ, — მისამართის ჩაწერა თუ დაგჭირდება, ჩემს ოქროს კალამს გაგატან... — ცოტა ხნის შემდეგ იმ მაგიდისკენ გაიხედა, რომელსაც მისი ქმარი მიუჯდა და თავისი შთაბეჭდილება გამიზიარა:

— ქარაფშუტა გოგო ჩანს. მაგრამ ლამაზია.

ვიცი, სულ არ ეპიტნავებოდა მთელი საღამო, გეტსბისთან ჩემი სახლის კიბეზე გატარებული წუთების გარდა.

ჩვენი თანამეინახენი გვარიანად დამთვრალიყვნენ. ჩემი ბრალი იყო, მათთან რომ დავსხედით. გეტსბის მალევე ტელეფონთან უხმეს, მე კი ეს ხალხი ორი კვირის წინ გავიცანი და მაშინ ძალიანაც ვისიამოვნე მათთან, მაგრამ რამაც იმ დღეს გამართო, ახლა შხამივით წამლავდა ჰაერს.

— თავს როგორ გრძნობთ, მისს ბედეკერ?

ის ქალიშვილი, ვისაც ასე მიმართეს, ჩემს მხარზე თავის ჩამოდებას ლამობდა, მაგრამ ამაოდ. შეკითხვამ გამოარკვია, წელში გასწორდა და თვალი გაახილა.

— აა?

ვილაც ზონზროხა, თონთლო დედაკაცი, ცოტა ხნის წინ დეიზის რომ ეხვეწებოდა, ადგილობრივ კლუბში ზვალ გოლფი ვითამაშოთო, მისს ბედეკერს გამოესარჩლა.

— ახლა მშვენივრადია. ხუთ ან ექვს კოკტილს როცა დალევს, ასე წივის და კივის. ვუჩიჩინებ, გადაეჩვიე-მეთქი.

— აკი გადავეჩვიე, — ყრუ ხმით შეესიტყვა ბრალდებული.

— შენი ღმუილის გაგონებისთანავე დოკ სივეტს ვუთხარი: ვილაცას შენი დახმარება ესაჭიროება-მეთქი.

— დარწმუნებული ვარ, თქვენი დიდად მადლობელია, — უკმეზად ჩაურთო მეორე მეგობარმა, — მაგრამ კაბა სულ დაუსველეთ, აუზში როცა აყოფინებდით თავს.

— ყველაფერზე უფრო ეგ მეჯავრება, წყალში რომ მაყოფინებენ თავს. წაილულულა მისს ბედეკერმა, — ერთხელ კინალამ დამახრჩვეს, ნიუ-ჯერსიში.

— ჰოდა, თავი უნდა დაანებო სმას, — ჩამოუმარცვლა ექიმმა სივეტმა.

— ეგ შენ თავს უთხარი! — შეუღრინა გაცეცხლებულმა ბედეკერმა. ხელები გიკანკალებს. არა, ოპერაციას შენ არ გაგაკეთებინებ!

ასე იყო მთელი საღამო. ბოლოს, როგორც მახსოვს, მე და დეიზი ერთად ვიდექით, მივჩერებოდით კინორეჟისორსა და მის ვარსკვლავს. კვლავ თეთრი ქლიავის ძირას ისხდნენ, სახით თითქმის მიხუტებოდნენ ერთმანეთს. მთვარის ფერმკრთალი შუქის ვიწრო ზოლიდა ჭიატობდა მათ შორის. ერთი კი გამიელვა — ალბათ მთელი საღამო ასე ნელ-ნელა იხრება და ფრთხილად უახლოვდება-მეთქი ქალს, მაგრამ სწორედ ამ დროს მოვკარი თვალი — ცოტაც დაიხარა, ზღვარი მოიშალა და მამაკაცმა ქალს ლოყაზე აკოცა.

— მომწონს ეს ქალი, — თქვა დეიზიმ, — მე მგონი, მშვენიერია.

მაგრამ სხვა ყველაფერი ეზიზღებოდა; არ მეტიჩრობდა, გულწრფელად არ მოსწონდა. შეაშინა უესტ-ეგმა, ამ უჩვეულო „ადგილმა“, ლონგ-აილენდის მეთევზეთა სოფელში ბროდუეის გავლენით რომ გაჩენილიყო. შეაშინა მისმა უნდილმა ძალამ, გაცვეთილი ზრდილობის მიღმა რომ იწმახნებოდა; შეუვალმა ბედმა, მის მკვიდრთ უმოკლესი გზით რომ მილაღავდა არარაიდან არარაისკენ. აქაური უბრალოებაც ვერ გაიგო და აუტანელ საშინელებად ეჩვენებოდა.

მათი მანქანის მოლოდინში სახლის წინ, კიბეზე ჩამოვსხედით. აქეთა მხარე ჩაბნელებული იყო; აისის მკრთალ ბინდს შუქი მხოლოდ კარიდან ეფინებოდა. ზედა სართულზე, საგარდერობოს ფარდასთან აჩრდილივით აიტუზებოდა ვინმე, მერე მეორე შეენაცვლებოდა მას და ასე ჩაივლიდა მთელი პროცესია — იღებოდნენ ისინი, უმარილით იფეთქებოდნენ უხილავ სარკესთან.

— მაინც ვინ არის ეს გეტსბი? — მოულოდნელად დაიწყო ტომმა, — ვინმე დიდი ბუტლეგერია?

— საიდან მოიგონე? — შევუბრუნე კითხვა.

— არსაიდან. ჩემით წარმოვიდგინე. ახლად გამდიდრებული ხალხის უმრავლესობა ბუტლეგერები არიან, კარგად იცი.

— გეტსბი ბუტლეგერი არ არის, — მოკლედ მოვუჭერი.

ერთხანს დუმდა. კენჭებს ხრამხრუმში გაჰქონდა მია ფეხქვეშ.

— კეთილი. ალბათ ბევრი იწვალა, ამ სამხეცეს რომ მოუყარა თავი.

ნიავემა დაუბერა და ბეწვის საყელო ლეგა კვამლივით აუშალა დეიზის.

— ბოლოს და ბოლოს ესენი უფრო საინტერესო ხალხია, ვიდრე ისინი, ვისაც ჩვენ ვიცნობთ. — თავს ძალა დაატანა და სიტყვა ჩაუერთო დეიზიმ.

— არც ასე დაინტერესებული ჩანდი.

— რატომაც არა, მაინტერესებდა.

ტომმა გაიცინა და მე მომიბრუნდა:

— დეიზის სახე თუ დაინახე მაშინ, როცა იმ გოგომ ცივი შხაპი მოითხოვა?

დეიზი ხრინწვარეული ღილინით რიტმულად აჰყვა მუსიკას. ყოველ სიტყვაში რაღაც მნიშვნელობას აქსოვდა, ადრე რომ არასოდეს ჰქონია ამ სიტყვას და არც მომავალში ექნებოდა. როცა მეღრმე მალა მიიწევდა, ისიც მიჰყვებოდა, მაგრამ ხმა საამურად ებზარებოდა, როგორც საერთოდ სჩვევია კონტრალტოს, და სწორედ ამ სასიმღერო გადასვლებისას ჰაერში აფრქვევდა გულთბილ ადამიანურ მომხიბვლელობას.

— უამრავი ხალხი მოდის დაუპატიჟებლად. — უეცრად ალაპარაკდა. არც ის გოგო იყო დაუპატიჟებული. ასეთები ძალით შემოდის და მასპინძელი თავაზიანობის გამო უარს ვერ ეუბნება.

— მაინტერესებს, ვინ არის ეს კაცი, რას აკეთებს, — დაიჩემა ტომმა. — უსათუოდ უნდა გავიგო, უსათუოდ.

— ახლაც შემიძლია გითხრა. — უპასუხა ქალმა. — აფთიაქები აქვს. პატარა აფთიაქები. თითონვე აუშენებია.

ლიმუზინმა ზანტად გამოიარა მოსახვევი.

— ღამე მშვიდობისა, ნიკ. — მითხრა დეიზიმ.

თვალი შემავლო და მყისვე ზემოთ აიხედა. განათებული კიბის თავზე, ღია კარიდან, მდორედ იღვრებოდა მელოდია იმ წელს გავრცელებული მარტივი, სევდიანი ვალსისა „დილის სამი საათია“. სხვა თუ არაფერი. სწორედ შემთხვევითობანი, ასე რიგად რომ სჩვეოდა გეტსბის ნადიმება, უამრავ რომანტიკულ შესაძლებლობას ქმნიდა, რაც სრულებით არ გააჩნდა დეიზის სამყაროს. რა იზიდავდა იმ სიმღერაში მას და უკან ეძახდა? რაღა უნდა მომხდარიყო ახლა ამ ბინდბუნდში და უუამო უამს? იქნებ კიდევ გამოჩენილიყო მოულოდნელი სტუმარი, იშვიათი და მომხიბვლელი, ვინმე პირველყოფილი მშვენიერების ქალწული, რომლის ერთი წყლიანი შემოხედვა, ერთი ჯადოსნური წამი შეგვედრისა მთლიანად წაშლიდა გეტსბის ხუთი წლის ურყევი ერთგულების კვალს.

იმ ღამით გვიანობამდე დავრჩი. გეტსბიმ მთხოვა დამეცადა მისთვის, სანამ განთავისუფლდებოდა. ბაღში ვიბორიალე, ვიდრე შეცივებული, მაგრამ ხასიათზე მოსული ცურვის ტრფიალნი ბინდით მოცულ სანაპიროდან დაბრუნდებოდნენ, ვიდრე ზემო სართულზე, სასტუმრო ოთახებში სინათლე ჩაქრებოდა.

ბოლოს გეტსბიე ძირს ჩამოვიდა. გარუჯული სახე უჩვეულოდ დაძაბვოდა, ამ თებულ თვალებში დაქანცულობა ემჩნეოდა.

— არ მოეწონა აქაურობა. — მითხრა მოულოდნელად.

— როგორ არ მოეწონა.

— არ მოეწონა, — არ იშლიდა თავისას, — ვერ მსიამოვნებდა.

ეს თქვა და გაჩუმდა. მივხვდი, სასოწარკვეთილებამ დააღუპა.

— ძალიან შორს ვართ ერთმანეთისგან, — ამოთქვა ბოლოს, — გაუძნელდება ჩემი გაგება.

— ცეკვაზე ამბობთ?

— ცეკვაზე? — თითი ისე გაატყაცუნა, რომ ყველა საცეკვაო მეჭლისი ერთბაშად უარყო. — ძმაკაცო, ცეკვას რა მნიშვნელობა აქვს.

გეტსბი დეიზისგან ამაზე ნაკლებს როდი მოითხოვდა: ქალი თვითონ უნდა მისულიყო ტომთან და ეთქვა — არასოდეს არ მყვარებია. როცა ამ ერთი წინადადებით დეიზი გადაშლიდა განვლილ ოთხ წელიწადს, მერე სხვა პრაქტიკულ ღონისძიებებზე ზრუნვას შეუდგებოდა. ერთი ამ ღონისძიებათაგანი ისიც იყო, რომ ტომისგან განთავისუფლდებოდა თუ არა, ლუისვილში ჩავიდოდნენ და დეიზის სახლში იქორწინებდნენ — ისე, თითქოს ხუთი წლის წინ ხდებოდა ეს.

— ვერ გამიგო, — შემომჩივლა, — ადრე ადვილად მიგებდა. საათობით ვისხედით...

სიტყვა გაუწყდა და ბილის ნათალით, დამჭკნარი ყვავილებითა და ბართებით დაფარულ ბილიკზე ბოლთის ცემას მოჰყვა.

— მე ამდენს ვერ მოვთხოვდი, — შევბედე, — წარსული არ განმეორდება.

— წარსული არ განმეორდებაო? — უნდობლად შემომძახა. — როგორ არა, განმეორდება! — გაფაციცებით მიმოიხედა, თითქოს წარსული იქვე იმალებოდა, მისი სახლის ჩრდილში, ორ ნაბიჯზე. — ყველაფერს ისე მოვაწყობ, როგორც უწინ იყო, — მითხრა და მტკიცედ დააქნია თავი. — თვითონ დაინახავს.

ბევრს მესაუბრა თავის წარსულზე. მივხვდი, რაც სწადდა: რაღაც უნდოდა ეპოვა და აღედგინა, ალბათ საკუთარივე მეობის რაღაც ნაწილი, რაღაც, რაც მთლიანად შეაღია დეიზის სიყვარულს. იმ დროიდან აეწეწა და აერია მთელი ცხოვრება, მაგრამ თავიდან თუ დაიწყებდა და ხელახლა დინჯად გაივლიდა ამ გზას, იქნებ მაშინ აღმოეჩინა ეს რაღაც...

ერთხელ შემოდგომაზე, ფოთოლცვენისას, ამ ხუთიოდე წლის წინ, შუალამით, ქუჩა-ქუჩა დასეირნობდნენ. როცა იმ ადგილას მივიდნენ, სადაც არც ერთი ხე არ იყო და მთვარის შუქი თეთრად დაფენოდა ქვაფენილს, ერთმანეთის პირისპირ შეჩერდნენ. გრილი ღამე იდგა, სწორედ ისეთი, როგორიც იცის წლის ორივე ფერიცვალებისას, იდუმალი მღელვარებით აღსავსე. სახლების მშვიდი შუქი მკრთალად ბუბუტავდა ბნელში. ჩახჩახებდნენ მოციმციმე ვარსკვლავები. ღამის შუქ-ჩრდილში გეტსბის მოეჩვენა, თითქოს ქვაფენილის ფილები კიბესავით მიემართებოდნენ იდუმალებით მოცულ ზვრისაკენ, სადღაც, ხეების თავზე. მარტო თუ წავიდოდა, აივლიდა ამ კიბეს და დაეწაფებოდა იქ სი-ცოცხლის წყაროს, ხარბად შესვამდა მის უბადლო, სასწაულებრივ რძეს.

რაც უფრო ახლოს მიჰქონდა დეიზის თავისი სპეტაკი სახე გეტსბისთან, მით უფრო ჩქარა უცემდა ვაჟს გული, დარწმუნებული იყო, თუ აკოცებდა

ასულს და ენით უთქმელ ხილვებს სამარადისოდ დაუკავშირებდა მის მიღწეულ სუნთქვას, სამუდამოდ გაუქარწყლდებოდა აზრის ღვთაებრივი ქროლვის უნარი. ამიტომ არ ჩქარობდა. ერთხანს კიდევ უსმინა ვარსკვლავის სხივზე აწერია-ლებულ კამერტონს და ბოლოს აკოცა. როგორც კი ბაგე შეახო ასულს, იგი მის წინაშე ყვავილივით გადაიშალა და ოცნებამ ხორცი შეისხა.

ყველაფერი, რაც მომიყვა, მისი აუტანელი სანტიმენტალობის გამო — ძნელად შესამჩნევ რიტმს, დავიწყებულ სიტყვებს, რომლებიც სადღაც, დიდი ხნის წინ მქონდა გაგონილი. ერთი წამით რაღაც წინადადებაც მომადგა ენაზე — დასრულებული სახე უნდა მიეღო, ტუჩებიც კი ავაცი-მაცუნე მუნჯივით, როგორ არ ვეცადე, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, ჰაერიც კი ვერ შევარხიე. ის, რაც მაშინ თითქმის მახსოვდა, სამუდამოდ დამრჩა უთქმელად.

თავი VII

ერთ შაბათ საღამოს, იმ ხანებში, როცა გეტსბისადმი ყველას ინტერესმა მწვერვალს მიაღწია, მიაი სასახლე აღარ გაჩირაღდებულა. ასე გამოცანასავით დაიწყო და დაამთავრა მან ტრიმალქიოს მოღვაწეობა. მოგვიანებით შევამჩნიე, მანქანები იმედიანად შეგრიალდებოდნენ მისი ეზოს კარიბჭეში. შეჩერდებოდნენ რამდენიმე წუთს და უხალისოდ ბრუნდებოდნენ უკან. ვიფიქრე, ავად რომ არ გახდა-მეთქი და ამბის გასაგებად გავედი. ვიღაც უკმეხმა, უსიამოვნო სახის კარისკაცმა ეჭვის თვალით გამომხედა.

— ბატონო გეტსბი ავად არის?

— არა — ცოტა ხნის შემდეგ „ბატონო“-ც დაუმატა, ზანტად და ნაძალადევად.

— დიდი ხანია არ გამოჩენილა და შევწუხდი. გადაეცით, ბატონი კაროუეი გეახლათ-თქო.

— ეინა? — უკმეხად ჩამეკითხა.

— კაროუეი.

— კაროუეი. კარგი, ვეტიყვი.

კარი ცხვირწინ მომიჯახუნა.

ჩემმა ფინელმა მოსამსახურემ მომახსენა, გეტსბიმ ამ ერთი კვირის წინ ყველა მსახური დაითხოვა და სანაცვლოდ ექვსიოდე კაცი დაიყენა. არც გარეთ გამოდიან და ვერც სურსათ-სანოვავით მოვაკრენი ახერხებენ მათ მოსყიდვასო — ტელეფონით დაუკვეთენ ხოლმე სანოვავს, თანაც ზომიერი რაოდენობით. ბაყალია მსახურ ბიჭს უთქვამს, სამზარეულო საღორეს დაემსგავსაო. ჩუმ-ჩუმად იმასაც ამბობდნენ — მსახურების არაფერი სცხიათო.

მეორე დღეს გეტსბიმ დამირეკა.

— გადადიხართ? — შევეკითხე.

— არა, ძმაცაცო.

— გავიგე, მსახურები დაგიტხოვიათ.

— ისეთი ხალხი მინდა, ვინც არ იჭორავებს. დეიზი ხშირად მოდიხ ჩემთან, ყოველ ნაშუადღევს.

დიახ, ამ ქალის თვალეებში გამომკრთალი უკმაყოფილება კმაროდა, რომ ეს ვეება ქარვასლა ქვიშის კოშკივით დაშლილიყო.

— ამ ხალხის მოწყობა ვულფშიმს უნდოდა. და-ძმავ. ადრე ბატარა სასტუმრო ჰქონდათ.

— შესმის.

დეიზის დავალებით მირეკავდა — ხვალ საუზმეზე რომ არ შემწევო? მისი ბეიკერიც იქნებაო. ნახევარი საათის შემდეგ დეიზიმ თვითონ დამირეკა და რომ გაიგო, მისვლას ვაპირებდი, შვებით ამოისუნთქა. უთუოდ რაღაც ამბავი იყო, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, რომ სწორედ ამ დღეს აირჩევდნენ იმ შემზარავი სცენისთვის, გეტსბიმ რომ ამიწერა მაშინ, ბაღში.

მეორე დღეს პაპანება იდგა — ზათუხულის ერთ-ერთი ბოლო და ალბათ უმცხუნვარესი დღე გახლდათ. ჩემი მატარებელი გვირაბიდან მზის შუქზე რომ გამოვიდა, ხვატით გათანგულ შუადღეს მხოლოდ „ნეიშნლ ბისკუიტ კომპანის“ ორთქლის საყვირები აფორიაქებდა. ვაგონის ჩაღის სავარაუდეს ცეცხლი ეკიდებოდა. თეთრკაბიანი ქალი. ჩემ გვერდით, ერთხანს ღირსებით უძლებდა ოფლსა და ალმურს, მაგრამ ხელში გაზეთიც რომ დაენამა, გატეხა უსაშველო სიცხემ და სასოწარკვეთილმა ამოიგმინა. ამ დროს საფულეც გაუვარდა და იატაკზე დაეცა.

— ვაიმე, — აღმოხდა.

მოთენთილი ძლივს დავიხარე, ავიღე და შორიდანვე გავუწოდე პატრონს. ხელი კიდზე მოვკიდე, რომ სხვა არაფერი ეფიქრათ, მაგრამ მაინც ეჭვით გამომხედა ყველამ, თვით იმ ქალმაც.

— ცხელა! — შესჩიოდა კონდუქტორი თითოეულ მგზავრს, ვისაც შეიცნობდა, — ეს რა დარია!... ცხელა!... ცხელა!... ცხელა!... ძალიან გცხელათ? სიცხეა?..

ჩემს მუდმივ რკინიგზის ბილეთს მისი შავი ნათითურები დააჩნდა. ასეთ სიცხეში ვინლა დაეძებს ვის ჩაუკონის აღმურმოდებულ ტუჩებს, ან ვისი თავი დაულტობს პიჟამოს ჯიბეს, გულთან!

...ბიუქენენების ბინის წინეარდთან საამურ სიოს ტელეფონის წკრიალი გამოჰყვა. გეტსბი და მე ამ დროს სადარბაზო კართან ვიცდიდით.

— თვით პატრონის გვამი გნებავთ? — ჩაყვირა მსახურმა ყურმილში. — ვწუხვარ, ქალბატონო, მაგრამ შეუძლებელია, ამ ხვატში ახლოს ვერ მიეკარება კაცი!

სინამდვილეში აი ეს გავიგონეთ: „დიახ... დიახ... გავიგებ“.

ყურმილი დადო და ჩვენკენ გამოეშურა. ჩაღის ქუდები ღიმილით ჩამოგვართვა.

— ქალბატონი დარბაზში გელოდებათ! — მოგვახსენა და გზაც თავაზიანად მიგვითითა, ეს კი მეტიმეტი იყო. ასეთ სიცხეში ყოველი ზედმეტი მოძრაობა სასიცოცხლო ძალის აბუჩად აგდებაა და სხვა არაფერი.

ფანჯრებმოჩრილულ ოთახში ბნელოდა. სიგრილე იდგა. ვეება ტახტზე ვერცხლის კერპებივით გაწოლილი დეიზი და ჯორდანი ვენტელატორის მოზუზუნე ნიავით აფრიალებულ თეთრ კაბებს დაბლა ექაჩებოდნენ.

— ჩვენ ვერ გავინძრევით, — ერთხმად შემოგვძახეს.

ჯორდანის პუდრით გადათეთრებული მზემოკიდებული ხელები ერთხანს ჩემს ხელისგულზე დაყოვნდა.

— ბატონი ტომას ბიუქენენი, ცნობილი სპორტსმენი სადღაა? — ვიკითხე.

ამ დროს შემომესმა მისი უხეში, დაგუდული, ხრინწიანი ხმა. წინკარში ტელეფონით ვილაცას ელაპარაკებოდა.

გეტსები მუქ-წითელი ხალიჩის შუაგულში გაჩერებულიყო და პალატოვანებული აცეცებდა თვალებს. დეიზიმ შეხედა და გაეცინა, ტკბილად, მომხიბლავად. მშვენიერ გულმკერდზე პუდრის მქრქალი სვეტი აუფიორდა.

— ასე ამბობენ, — წაიჩურჩულა ჯორდანმა, — ტომი ტელეფონით ვილაცას ელაპარაკებოდა.

გავიტრუნეთ. წინკარში ხმა თანდათან ძლიერდებოდა. ტომს გაბრაზება დაემჩნა.

— კეთილი, მაშინ სულ არ მოგყიდით მანქანას... ნეტავ რას მავალდებულებთ? ამ საქმეზე მაინცდამაინც საუზმობისას რომ მაწუხებთ, ეს კი არ გემატიებათ!

— ყურმილს ხელი მოაფარა, — იქედნურად შენიშნა დეიზიმ.

— არა, არა, — ვცადე დამერწმუნებინა. — მართლაც ვილაცასთან გარეგნული. შემთხვევით გავხდი ამის მოწმე.

ტომმა კარი შემოაღო, ზორბა სხეულით წამით ამოქოლა ის სივრცე და ოთახში სწრაფად შემოვიდა.

— ბატონო გეტსები! — მარჯვედ შენიღბული ზიზღით გაუწოდა ფართო, ბრტყელი ხელი. — გამიხარდა თქვენი ნახვა, სერ... ნიკ...

— ცივი სასმელი გაგვიმზადე რამე, — სთხოვა დეიზიმ.

ტომი ოთახიდან გავიდა თუ არა, დეიზი გეტსებისთან მიიჭრა, მისი სახე ხელებით მიიზადა და ტუჩებში აკოცა.

— იცოდე, მიყვარხარ, — უთხრა ჩურჩულით.

— დაგავიწყდა, რომ აქ სხვა ქალიცაა! — უსაყვედურა ჯორდანმა.

დეიზიმ იკვნეულად მიმოიხედა.

— შენც აკოცე ნიკს.

— ფუჰ, რა უსირცხვილო ხარ.

— ვარ და ვიყო! — წამოიძახა დეიზიმ და ბუხრის პირას აგურის იატაკზე ფეხი დააბაკუნა. მერე გაახსენდა, რომ ცხელოდა და დამნაშავესავით ჩამოჯდა ტახტზე. სწორედ ამ დროს ტანსაცმელგაქათქათებული ძიძა ოთახში შემოუბრუნა პატარა გოგონას.

— ჩემო სანეტარო, ჩემო სიყვარულო, — შეღუღუნა დეიზიმ და ხელები მისკენ გაიშვირა. — მოდი შენს დედიკოსთან. ძალიან მიყვარხარ.

ბავშვი ძიძას დაუსხლტა, ოთახი სირბილით გადაკვეთა და დედამისის კალთაში ჩარგო თავი.

— ჩემო სანეტარო, ჩემო საყვარელო! დედიკომ პუდრით დაგისვარა ჩალსფერი თმა? წამოდექი და ყველას მიესალმე: გამაღძობათ...

ჯერ გეტსები, მერე მე რიგ-რიგობით დავიხარეთ და ძალით ჩამოვართვით პაწაწინა ხელი. გეტსები გაკვირვებული მიაჩერდა ბავშვს. არა მგონია, რომ აქედნე მართლა სჯეროდა მისი არსებობა.

— ალ მისაუზმია და მაინც ჩამაცვეს, — უთხრა გოგონამ და ცნობისმოყვარედ მიაჩერდა დეიზის.

— ეს იმიტომ, რომ შენს დედიკოს სურდა ლამაზი და მშვენიერი ეჩვენებინე სტუმრებისათვის. — დაიხარა და ლოყით მიეხუტა ერთადერთ ხაზზე, რომელიც პატარას ყელს კვეთდა, — ჩემო საოცნებო, ჩემო ერთადერთო...

— ღიახ. — მშვიდად ჩაილაპარაკა ბავშვმა. — დეიდა ჯორდანსაც თეთრი
კაბა აცვია.

— როგორ მოგწონს დედის მუცლები? — დეიდამ გეტსბისაკენ შემო-
ატრიალა ბავშვი, — როგორ ფიქრობ, ლამაზები არიან?

— მამიკო სად არის?

— მამამისს არ ჰგავს, — აგვიხსნა დეიდა. — მე მგავს. თმაც ჩემი აქვს
და სახის მოყვანილობაც.

დეიდა ისევ ტახტზე ჩამოჯდა. ძიძამ ნაბიჯი წინ წადგა და ბავშვს ხელი გაუ-
წოდა.

— წამოდი, პეშმი.

— ნახვამდის, ჩემო გულის ვარდო!

სანიმუშოდ აღზრდილ ბავშვს კისერი მოედრიცა, მაგრამ მაინც ჩაჰკიდა
ხელი ძიძას და გაჰყვა. სწორედ ამ დროს ოთახში ტომი შემოებრუნდა, შემოუ-
ღვა მსახურს, რომელსაც ოთხი დიდი სასმისით ჯინი მოჰქონდა. ყინულის ნა-
ტეხებით ავსებულ ჭიქებს წკრიალ-წკრიალი გაუდიოდათ.

გეტსბიმ თავისი ჭიქა აიღო.

— მართლა ცივი უნდა იყოს, — აშკარად ნაძალადევად ამოღერდა მან.
ხარბად დავეწაფეთ სასმისებს.

— სადღაც ამოვიკითხე, მზე ყოველწლიურად უფრო და უფრო ცხელი
ხდებაო, — მხიარულად შენიშნა ტომმა.

— გარეთ გავიდეთ, — მიმართა გეტსბის, — აქაურობა მინდა დაგათვალი-
ერებინოთ.

აივანზე მეც გავყევი. მწვანე სრუტე პაპანებაში განაბულიყო. პატარა ხო-
მალდი დინჯად მიაპობდა წყალს, გაშლილ ზღვისაკენ აეღო გეზი. გეტსბიმ წა-
მით თვალი გააყოლა, მერე ხელი გაიშვირა და უბის გაღმა ნაპირზე მიუთითა.

— სწორედ თქვენ პირდაპირ ვცხოვრობთ, გაღმა ნაპირზე.

— მართლაც ასეა.

თვალით გადავევლეთ ვარდის ბუჩქებს, გავარვარებულ ბაღა-ბაღებს, აუ-
ტანელი სიციხით გადაბუგულ სანაპიროს. თეთრილქნიანი ნავი ნელა, ტატიტ
მიიწევდა წინ და უახლოვდებოდა ჰორიზონტის ლურჯ, გრილ ზღვარს. ჩვენ თვა-
ლწინ გადაშლილიყო ნაპირებდაკბილული ოქეანე უამრავი მშვენიერი კუნძუ-
ლით.

— იი, გასართობი, — თავით გვანიშნა ტომმა. — ერთ საათს სიამოვნებით
ვაკატარებდი მაგ ორჩხომელზე.

სასადილო ოთახში ვისაუბრეთ. სიციხის გამო ისიც ჩაებნელებინათ. ცივ
ლუდს შევექცეთ და უხერხული, ნერვიული მხიარულება ამით შევალამაზეთ.

— ნასაუზმევს რას ვაპირებთ? — იკითხა დეიდა, — ან ზეგ, ან მომდევ-
ნო ოცდაათი წლის მანძილზე?

— ნუ იღარდებ, — უთხრა ჯორდანმა, — შემოდგომით, გრილ, ნიაგი რომ
დაუბერავს, ცხოვრება თავიდან დაიწყება.

— ისე ცხელა, რომ, — თავისას არ იშლიდა დეიდა და ცრემლს ძლივს იკა-
ვებდა, — ყველაფერი ისე ბუნდოვანია. მოდით ქალაქში წავიდეთ!

ქალის ხმა ბოხოქრობდა ამ პაპანაქებაში, სიციხეს ებრძოდა და ამშვენიერე-
ბდა მის უაზრო თარეშს.

— საჭინიბო რომ გარაუად გადაუკეთებიათ, ეს ხშირად გამიგონია, — ესა-

უბრებოდა ტომი გეტსბის. — მე ალბათ ერთადერთი კაცი ვარ, რომელმაც გარკვენი გადააქეთა საჯინიბოდ.

— ვის სურს ქალაქში წასვლა? — მტკიცედ იკითხა დეიზიმ. გეტსბის მის-
გენ გაეპარა თვალი. — ოჰ, აღმოხდა ქალს, — თქვენ თითქოს არ გცხელათ!

თვალეებით შეხვდნენ და ჩააშტერდნენ ერთმანეთს. თითქოს ამჟამად მათ
გარდა სხვა აღარავინ არსებობდა; როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა და მზერა მაგიდაზე გადაიტანა.

— თქვენ არასოდეს არ გცხელათ, — გაიმეორა ქალმა.

ამით გეტსბისა უთხრა, მიყვარხარო. ეს ტომ ბიუქენენმაც შენიშნა და სა-
შინლად გაოცდა. პირი უნებურად დააღო. ხან გეტსბის შეხედავდა, ხან ისევ
დეიზის, თითქოს ეს არის ახლა შეიცნოო ვიღაც. თავისი ძველისძველი ნაკ-
ნობი.

— სარეკლამო სურათს გავხართ, — გულწრფელად განაგრძო დეიზიმ.
იცით სარეკლამო სურათი...

— საუცხოოა. — სასწრაფოდ ჩაერია ტომი, — ხალისით წავალ ქალაქში.
წავიდეთ, ყველა წამოვალთ.

ტომი წამოდგა. თვალეებით ცეცხლს აკვესებდა. ხან გეტსბის შეხედავდა,
ხან საკუთარ მეუღლეს, არავინ განძრეულა.

— წავედით! — აღელვება ოდნავ დაემჩნა ტომს. — რა მოხდა ბოლოს
და ბოლოს? თუ ქალაქში მივდივართ, ბარემ წავიდეთ.

თავს ძლივსლა იკავებდა. ოდნავ ათრთოლებული ხელით ბოლო ჭიქა ლუდო
ტუჩთან მიიტანა და დალია. დეიზის დამახეებაზე წამოვდექით და გარეთ გავე-
დით. მოხრეშილ გზას აღმური ასდით.

— რა, უკვე მივდივართ? — უკმაყოფილოდ ჩაურთო დეიზიმ. — ასე?
სიგარეტის მოწვევაც არავის დავაცალოთ?

— საუზმობისას ყველამ მოწია.

— გვაცადე, ვისიამოვნოთ ჩამე, — შეეხვეწა ქმარს. — რა დროს ფაცა-
ფუცია ამ სიცხეში.

ტომმა არ უპასუხა.

— თქვენი ნება იყოს, — დათმო დეიზიმ. — წამოდი, ჯორდან.

მოსამზადებლად ზედა სართულზე ავიდნენ. ჩვენ კი, სამი მამაკაცი, მათ
მოლოდინში ადგილზე ვწრილებდით. გახურებულ სილას ჩვენს ფეხქვეშ
ხრამახრუში გაჰქონდა. მთვარის ვერცხლისფერი რკალი დამჩნეოდა ცის დასა-
ვალს. გეტსბი რაღაცის თქმას აპირებდა და გადაიფიქრა. მაგრამ ტომი უკვე შე-
მობრუნებულიყო მისკენ და პირში მისჩერებოდა.

— თქვენი საჯინიბო აქ არის სადმე? — ძლივსლა იკითხა გეტსბიმ.

— ქვემოთ არის. აქედან მეოთხედი მილი იქნება.

— ჰოო.

დუმილი.

— ვერ გამიგია, რა დროს ქალაქში წასვლაა, — აღმოხდა დაბოლმელ ტომს.

— ქალებს აქვთ თავში ასეთი აზრები...

— სასმელი წავიდოთ რამე? — ზედა სართულის სარკმლიდან გადმოსძახა
დეიზიმ.

— ვისკის წამოვიღებ. — მიუგო ტომმა და სახლში შევიდა.

გეტსბი აღელვებული მომიბრუნდა:

— მაგ კაცის სახლში ხმის ამოღება მიჭირს, ძმაკაცო.

— რა დაუბრუნებელი ხმა გაუხდა დეიზის, — გავუზიარე ჩემი აზრი, — სავსეა რაღაცით... — სიტყვას თავი ვეღარ მოვაბი.

— ფულის წკრიალით, — მოულოდნელად ჩამომიმარცვლა მართლაც ასე იყო. ადრე ვერ ვხვდებოდი, ფულს წკრიალით რეო ავსილი მისი ხმა. ეს იყო მიზეზი იმ უცვლელი ეშხისა, ხან რომ აღზევდებოდა, ხან ჩაიფერებოდა. ამის გამო რეკდა ომახიანად, ციმბალივით რაკრაკებდა... სადღაც, მიუწვდომლად მაღლა სუფევდა თეთრ სასახლეში, ვით მეფის ასული, ვით ქალწული ოქროსი...

ტომი მალევე დაბრუნდა. დიდ ბოთლს ტილოში ახვევდა.

დეიზი და ჯორდანიც უკან მოსდევდნენ. ოქრომკედის კოხტა ქუდები დაეხურათ და მსუბუქი მოსასხამები მკლავზე გადაეკიდათ.

ჩემი მანქანით ხომ არ წავიდეთ? ყველა ჩავეტევიტ. — იკითხა გეტსბიმ. გახურებული საყაროსის მწვანე ტყავი ხელით მოახჩა. — ჩრდილში უნდა დამეყენებინა.

— გადართვის სისტემა სტანდარტული აქვს? — დაინტერესდა ტომი.

— დიახ.

— მაშინ თქვენ ჩემს ორადგილიან ავტომობილში ჩაჯექით, მე თქვენი მანქანით წავალ.

გეტსბის არ მოეწონა ეს წინადადება.

— მგონი ბენზინი მითავდება, — იუარა მან.

— უამრავი ბენზინია, — აბობოქრდა ტომი. საზომს დახედა. — თუ არ მეყო, სადმე აფთიაქთან შევჩერდები. აფთიაქებში ახლა რასაც გინდა იშოვნის.

ამ თითქოსდა უვნებელ სიტყვებს უხერხული დუმილი მოჰყვა. დეიზიმ შეუბღვირა ტომს. გეტსბის ნიჭი ეცვალა. მეყსეულად გადაუარა სრულიად უცხო, მაგრამ რაღაცით საცნაურმა იერმა, რომელიც თითქოს აღწერით ვიცოდი მხოლოდ და ჯერ არ მენახა.

— წამო, დეიზი, — მიმართა ტომმა და ხელი შემოხვია, ძალით წაიყვანა გეტსბის მანქანისკენ. — ამ ცირკის ფურგონით წაგიყვან.

ტომმა მანქანის კარი გამოაღო, მაგრამ დეიზი ხელიდან დაუსხლტა.

— ნიკი და ჯორდანი წაიყვანე. ჩვენ შენი ორადგილიანი მანქანით გამოგყვებით.

დეიზი გეტსბისთან მივიდა სულ ახლოს და პიჯაკზე შეაელო ხელი. ჯორდანმა. ტომმა და მე გეტსბის მანქანის წინა სკამზე მოვიკალათეთ. ტომმა ალაღბედზე ჩართო უცხო მანქანის ძრავა და უსაშველო სიციხეში შურდულივით გავვარდით. უკან ჩამოტოვებული დეიზი და გეტსბი თვალს მიეფარნენ.

— თქვენ თუ შენიშნეთ? — იკითხა ტომმა.

— რა შევნიშნეთ?

ჩიქურ შემომხედა, მიხვდა, რომ მე და ჯორდანს ყველაფერი უნდა გვეცოდნოდა.

— სულ შტერი გგონივართ, არა? — ჩაგვეკითხა. — იქნებ ასეც იყოს. მაგრამ ზოგჯერ მეორე... ჰო, თითქმის მეორე მხედველობა მიჩნდება და ის მკარნახობს, როგორ მოვიქცე. იქნებ არ გჯერათ, მაგრამ მეცნიერება...

გაჩუმდა. მოულოდნელმა გარემოებამ ისე შესძრა იგი, რომ თეორიითა უფსკრულის პირას სჯა-ბაასის მადა დაუკარგა.

— ზოგი რამ გავიგე მაგ ყმაწვილზე. — განაგრძო მან, — უფრო მეტს ვიგებ შევაგროვებდი, რომ მცოდნოდა...

— რა, ნათელმხილველთან იყავი? — ხუმრობით იკითხა ჯორდანმა.

— რაო? — აღმოხდა გაბრაზებულს და მოგვაჩერდა. ჩვენ ზედმოვიყვებოდით. — ნათელმხილველთან?

— გეტსბის თაობაზე.

— გეტსბის თაობაზე? არა, არ ვყოფილვარ. მე ვითხარით, ზოგი რამ ვა-ვიგე-მეთქი მის წარსულზე.

— და აღმოაჩინე, რომ ოქსფორდში სწავლობდა. — ვითომ სათქმელი გაუადვილა ჯორდანმა.

— ოქსფორდში! — იკვნეულად ჩაილაპარაკა ტომმა. — მისმა მზემ! ვარ-დისფერ კოსტიუმზე ეტყობა.

— მიუხედავად ამისა, მაინც ოქსფორდში სწავლობდა.

— ნიუ-მექსიკის შტატის ოქსფორდში, — ზიზლით ჩაიდუდუნა, — ან სად-ღაც მაგის მსგავს ადგილას.

— მისმინე, ტომ. თუ ასეთი სნობი და კუდაბზიკა ხარ, რატომ დაპატივე? — ეკახედ მიუგო ჯორდანმა.

— დეიზიმ დაპატივა. ადრე იცნობდა თურმე, ჩვენს დაქორწინებამდე, ღმერთმა უწყის სად გადაეყარა!

ანოქარკებული ლუდის სუნით შევაწუხეთ ერთმანეთი. ამიტომ ეარგა ხანს ხმა არ ამოგვიღია. ექიმ ეკლბარგის ჩამქრალი თვალები როცა გამოჩნდა, გამა-ხსენდა, გეტსბის ეშინოდა, ბენზინი არ მეყოფათ.

— ქალაქამდე გვეყოფა, — მითხრა ტომმა.

კი მაგრამ აქვეა გარაჟი, — გაჩიუტდა ჯორდანი. — სულაც არ მინდა ამ თონეში ჩარჩენა.

გაბეზრებული ტომი ორივე მუხრუქს დააწვა და უილსონის აბრასთან, მტკრიან ადგილას, კრიალით შეეჩერდით. ცოტა ხნის შემდეგ პატრონიც გა-მოვიდა და თვალებამოღამებული მიაშტერდა ჩვენს მანქანას.

— ბენზინი მოგვეცით, — უხეშად შესძახა ტომმა. — როგორ ფიქრობ, რატომ გავჩერდით, ტურფა ხედმა მიგვიზიდა თუ რა?

— აჲაღ ვარ, — ისე გვითხრა, ადგილიდან არ გახძრეულა უილსონი, — მთელი დღეა ცუდად ვარ.

— რა მოგივიდა?

— სულ დავუძლურდი.

— მაშინ თვითონ ჩავისხა? — იკითხა ტომმა. — ტელეფონზე ყოჩაღად შელაპარაკებოდით!

უილსონი ძლივს მოერია სისუსტეს. ხელი უშვა აივნის მოაჯირს, რომელ-საც ეყრდნობოდა, აივნის ჩრდილი მიატოვა, ქოშინით მილასლასდა ბენზინის ავზთან და სახურავი მოხსნა. მზის შუქზე სახე მწვანე უჩანდა.

— არ მინდოდა საუზმობისას თქვენი შეწუხება, — მოუბოდიშა. — მაგრამ ძალიან მჭირდება ფული. თქვენი ძველი მანქანის ამბავი მინდოდა გამეგო.

— ეს როგორ მოგწონს? — ჩაეკითხა ტომი. — გასულ კვირას ვიყიდე.

— მშვენიერი ყვითელი მანქანაა, — უთხრა უილსონმა და ავზის სახელურს დააწვა.

— იყიდდი?

— მაგდენი სად შემიძლია, — ძლივს გაიღიმა სახემიმქრალმა უილსონმა.

— არა, იმ მანქანაზე კი მოვიგებდი ცოტაოდენს.

— რისთვის დაგჭირდა ფული ასე მოულოდნელად?

— დიდხანს შევრჩი ამ მხარეს. სხვაგან მინდა გადავბარგდე. მე და ჩემს ცოლს დასავლეთში გვინდა წასვლა.

— ცოლსაც სურს? — წამოიძახა შეცბუნებულმა ტომმა.

— ათი წელია ამას მეხვეწება. — წამით ავზთან შეისვენა და თვალი მოიჩრდილა. — ახლა, სურს თუ არა სურს, რა მნიშვნელობა აქვს. მაინც წავიყვან აქედან.

ორადგილიანმა მანქანამ ჩაგვიქროლა. ავარდნილ მტერის ბულში ვიღაც ხელს გვიქნევდა.

— რამდენი გერგებათ ბენზინში? — უხეშად იკითხა ტომმა.

— ორიოდღე დღეა, რაც უსიამოვნო რამ გავიგე და, — განაგრძო უილსონმა, — აქედან წასვლა გადავწყვიტე. ამიტომ შეგაწუხეთ.

— რამდენი გერგებათ-მეთქი?

— დოლარი და ოცი ცენტი.

სიცხე ისე უღვთოდ აჭერდა, თავი აღარაფრის მქონდა. ძლივს მივხვდით, უილსონი ტომზე არ ეჭვიანობდა. უბრალოდ შეამჩნია, რომ მირტლი მის გარეშეც, სხვა სამყაროშიც ზიარებოდა ცხოვრებისეულ სიხარულს, და როცა შეამჩნია, სისუსტე იგრძნო მთელ სხეულში. ხან უილსონს მივჩერებოდი, ხან ტომს, რომელმაც ერთი საათის წინ მსგავსივე რამ აღმოაჩინა. თურმე არც გონებრივი, არც რასობრივი სხვაობა არ არის ისე ღრმა, როგორც განსხვავება ავადმყოფსა და ჯანმრთელ კაცს შორის. უილსონი ისე იყო დაძაბუნებული, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინოს: ვიღაც საწყალი გოგო ეცთუნებინოს.

— მოგყიდი იმ მანქანას, — უთხრა ტომმა, — ხვალ ნაშუადღევს გამოგიგზავნი.

აქ, ამ ადგილას, რაღაც გაურკვეველი მოუსვენრობა მიპყრობს ყოველთვის, თუნდ ბღღვრილა შუადღის ხვატში. ახლაც თითქოს რაღაც მაწუხებდა, უკან მივიხედე. ნაცრის ბორცვებს ფხიზლად გადმოჰყურებდა ექიმ ტ. ჯ. ეკლბარგის ვეება თვალები. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, გაფაციცებით სხვაც გვითვალთვალებდა.

გარაეის თავზე ერთ-ერთი ფანჯრის ფარდა ოდნავ იყო გადაწეული, მირტლ უილსონი მანქანისკენ იჭყიტებოდა. ისე იყო გართული, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ სხვასაც შეეძლო მისი შემჩნევა. როგორც ფოტოზე, გამჟღავნებისას, ჯერ ერთი საგანი ჩნდება, მერე მეორე, ისე მის სახეზეც სხვადასხვა განცდა აღიბეჭდა თანდათანობით. ნაცნობი გამომეტყველება ჰქონდა. ქალის სახეზე ბევრჯერ შემიმჩნევია ეს გამომეტყველება, მაგრამ ამჯერად მირტლ უილსონისთვის შეუფერებელი, უადგილო მეჩვენა იგი, ვიდრე შევამჩნევდი, რომ ქალა ეჭვით აგზნებული, გადმოქაჩული თვალებით ტომს კი არა, ჯორდან ბეიკერს მისჩერებოდა. იგი მისი ცოლი ეგონა.

მარტივი კაცის ავტორიატებას ვერაფერი გაუტოლდება. ქალაქისაკენ გამი-
ვემართეთ. შეშინებული ტომი გამათრახებულივით იყო გახელებული. ცოლი-
ცა და საყვარელიც, ერთი საათის წინ უყოყმანოდ რომ თავისად ეგულებოდა.
ახლა სწრაფზე უსწრაფესად უსხლტებოდნენ ხელიდან. გაზა ახგარბნიუცნულად
აქერდა ფეხს, თითქოს ორი კურდღლის დაქერას ლამობდა — უნდა დაწვეოდა
დეიზის და უკან ჩამოეტოვებინა უილსონი. მივქროდით „ისტორიისკენ“ საათ-
ში ორმოცდაათი მილის სიჩქარით. როგორც იქნა, მიწისზედა რკინიგზის ბიდ-
ქვეშ დავლანდეთ ორადგილიანი ცისფერი მანქანა — აბლაბუდასავით დაქსელილ
ძელთა შორის მსუბუქად მიიწვოდნენ.

— ორმოცდამეათე ქუჩაზე, დიდ კინოთეატრში. სიგრილვა, — გვითხრა
ჯორდანმა. — მიუვარს ნიუ-იორკი ზაფხულში, ნაშუადღევს, როცა ქალაქში
აღარავინ არის. იგი ერთობ გრძნობააშლელია, როგორღაც ჩამწიფებული, თ-
თქოს მზად არის ნაირ-ნაირი უცხო ხილით აგივასოს ეალთა.

სიტყვა „გრძნობააშლელმა“ კვლავ აავტორიატა ტომი, მაგრამ ვიდრე რამე
საწინააღმდეგოს მოისაზრებდა, ორადგილიანი მანქანა გაჩერდა და დეიზიმ გვა-
ნიშნა, თქვენც შეჩერდით.

— სად მივდივართ? — შემოგვძახა.

— კინოზე რას იტყვით?

— ძალიან ცხელა, — იუარა მან. თქვენ წადით; ჩვენ ცოტას გავისეირ-
ნებთ და მერე შეგხვდებით, — თავს ძალა დაატანა დეიზიმ და იოხუნჯა, —
რომელიმე ქუჩის კუთხეში შეგხვდეთ; პირში რა სიგარეტგაჩრილი კაცი მე ვი-
ქნები.

— აქ კამათის დრო არ არის, — მიახალა მოთმინებადაკარგულმა ტომმა.
სატვირთო მანქანა ყურისწამლებ სიგნალს გვაძლევდა, გზა მომეცითო. — უკან
მომყევი, ცენტრალური პარკის სამხრეთ ნაწილისკენ, სასტუმრო „პლაზას“ პი-
რდაპირ.

ერთი-ორჯერ უკან მიიხედა. მოგვეცემა თუ არაო, როცა რომელიმე მანქა-
ნა ჩამოეტარებოდა სვლას შეანელებდა ხოლმე, ვიდრე კვლავ არ დაინა-
ხავდა. მგონი, ეშინოდა. სადმე არ გადაუხვიონ და სამუდამოდ არ დამეკაო-
გონო.

მაგრამ ეს არ მომხდარა. არც ვიცი, ყველამ ერთხმად რატომ გადავწყვი-
ტეთ სასტუმრო „პლაზაში“ გვექირავებინა ცალკე ნომერი.

არც კი მახსენდება რას ვკამათობდით და ვყაყანებდით იმდენ ხანს. საბოლო-
ოდ სასტუმრო ოთახში აღმოჩნდით გამომწყვდეული. მხოლოდ ის მახსოვს. რა
უსიამო შეგრძნებას მგვრიდა ქვედა საცვალი. რომელიც ამ ხნის განმავლობაში
სველი გველებივით შემომტმასნოდა ბარძაყებზე. არ მსიამოვნებდა ზურგზე
წამდაუწუმ რომ მოგორავდა ოფლის ცივი მძივები. თავდაპირველად დეიზას
წინადადებით დაიწყო — ხუთი საათიანო ოთახი ვიქირავოთ და ვიბანავოთო.
შემდეგ უფრო ნაღდი სურვილი გაჩნდა ისეთი ადგილი ვიპოვოთ, სადაც
ცივ, პიტნიან კოკტეილს დავლევთო. თითოეული ცალ-ცალკე სულ იმას გავი-
ძახოდით, რა სისულელეაო, მაგრამ ყველა ერთად დავაცხრით სასტუმროს გა-
ოგნებულ კლერკს და მოველაპარაკეთ. ყველა დარწმუნებული ვიყავით, ან იქ-
ნებ თავს ვიტყუებდით, რომ ეს ერთობ სამხიარულო იყო...

ოთახი დიდი და უპაერო გახლდათ. თუმცა უკვე ოთხი საათი იქნებოდა, ფანჯრების გაღებისთანავე ბალიდან გახურებული ფოთლებისა და გადახრუკული ბალახის სურნელი ამოვარდა. დეიზი სარკესთან მივიდა, ზურგით მოგვაჩვენა და თმის სწორება დაიწყო.

— რა დიდებულია აქაურობა, — ნაძალადევი დარბაისიდან წამოდგუნა ჯორდანმა. ყველას გაგვეცინა.

— მეორე ფანჯარაც გამოაღე, — ბრძანა დეიზიმ ისე, რომ ჩვენკენ არც კი შემობრუნებულა.

— მეტი ფანჯარა აქ აღარ არის.

— რას იზამ, მაშინ ტელეფონით ნაჯახი მოვითხოვოთ...

— პირველ რიგში სიცხე უნდა დავიფიწყოთ. — თქვა მოთმინებად აკარგულმა ტომმა. — როცა ამდენს კრუსუნებ, უფრო გაგიძნელდება სიცხის ატანი. ტომმა ტილო შემოხსნა ვისკით სავსე ბოთლს და მაგიდაზე დადგა.

— რას ჩააცვიდით მაგას, ძმაკაცო? — შენიშნა გეტსბიმ, — თქვენ მოინდომეთ ქალაქში წამოსვლა.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. ამ დროს ტელეფონის წიგნი ააყიდიდან მოწყდა და იატაკზე მოადინა ზღართან. ჯორდანმა ზუმრობით ჩაიჩურჩულა, „ბოდიშო“, მაგრამ ამჯერად არავის გაუცინია.

— მე ავიღებ, — გავიწიე წიგნის ასაღებად.

— უკვე ავიღე.

გეტსბიმ ყურადღებით დაათვალიერა გაწყვეტილი ზონარი. გაკვირვების ნიშნად ჩაიდუდუნა. „ჰმ!“ და ტელეფონის წიგნი სკამზე დაადგო.

— რა დიდებული გამოთქმა გაქვთ დაჩემებული, არა? — მკვაზედ გადაუგდო ტომმა.

— რაზე ამბობთ?

— გაუთავებელ „ძმაკაცოზე“ მოგახსენებთ, ნეტავ სად შეიძინეთ?

— აბა, გამიგონე, ტომ. — თქვა დეიზიმ და ჩვენკენ შემობრუნდა. — შენ თუ კინდა შემჩნევები მისცე ვინმეს, მაშინ მე ერთ წამსაც არ გავჩერდები აქ. დარეკე და უთხარი, ყინული მოგვიტანონ პიტნიანი ვისკისთვის.

ტომმა ყურმილი აიღო თუ არა, დახუთულმა სიცხემ ბგერებად იფეთქა. ქვედა სართულის სამეჯლისო ოთახიდან მენდელსონის საქორწინო მარშია საოცარი აკორდები მოგვესმა.

— წარმოიდგინეთ გათხოვება ასეთ პაპანაქებაში. — წამოიძახა შეწყუბულმა ჯორდანმა.

— მე რე რა, მეც შუა ივნისში გავთხოვდი, — გაიხსენა დეიზიმ, — ლუისვილი ივნისში! ვილაცას გულიც შეუწყუბდა. ვინ იყო, ტომ?

— ბილოქსი, — მოკლედ მოუჭრა ტომმა.

— ჰო, ვილაცა მამაკაცი, რომელსაც ბილოქსი ერქვა. ბლოკა ბილოქსი, გატაცებული კრივიტ¹, წარმოშობითაც ბილოქსელი იყო. მიაისაბიდან.

— ჩვენთან შემოიყვანეს მაშინ, — მხარი აუბა ჯორდანმა. — რადგან ეალესიასთან ახლოს ვცხოვრობდით. სამ კვირას დარჩა. ბოლოს მამა იძულებუ-

¹ აქ სიტყვების თამაშია. ინგლისურში ასეთი: ბლოკს ბილოქსი გატაცებული ბოქსით.

ლი გახდა ეთქვა, უნდა წახვიდეო. მისი წასვლის მეორე დღეს მამაჩემი გარდაიცვალა.

ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს იმის შიშით, აგდებულად ნათქვამი ხომ არ გამომივიდაო, დაუმატა:

— რა თქმა უნდა, დაემთხვა.

— მე ვიცნობდი ერთ ბილ ბილოქსის, მემფისელს, —

— მისი ბიძაშვილი იყო. წასვლამდე თავისი გვარის მთელ ისტორიას მომიყვა. ალუმინის ჩოგანი მაჩუქა გოლფისთვის. დღესაც იმას ვხმარობ.

მუსიკა შეწყდა. საქორწინო ცერემონია დაიწყო.

— ვბერდებით, — თქვა დეიზიმ, — ახალგაზრდები რომ ვიყოთ, ავდგებოდით და ვიცეკვებდით.

— ბილოქსის ვიხსენებთ, — უსაყვედურა ჯორდანმა, — საიდან იცნობდი მას, ტომ?

— ბილოქსის? — თავს ძალა დაატანა და აზრი მოიკრიბა. — მე არ ვიცნობდი. დეიზის მეგობარი იყო.

— ჩემი მეგობარი საიდან იყო, — იუარა მან, — იმ დღემდე არც მენახა. თქვენი საგანგებო ვაგონით ჩამოვიდა.

— კი მაგრამ, ჩვენთან მოვიდა როგორც შენი ნაცნობი, ლუისვილში გავიზარდეო. ესა ბერდმა მოიყვანა უკანასკნელ წელს და გვთხოვა ადგილი უპოვეთო.

ჯორდანს გაელიმა.

— ალბათ სამშობლოში მუქთად ჩამოსვლა უნდოდა. თქვენზე მითხრა, იელში მათი ჯგუფის პრეზიდენტი ვიყავიო.

მე და ტომმა გაკვირვებულებმა შევხედეთ ერთმანეთს.

— ბილოქსი?

— ჯერ ერთი, არავითარი პრეზიდენტი ჩვენ არ გვყოლია...

გეტსბი ვერ ისვენებდა. ფეხსაცმლის წვერს ჩქარა და რიტმულად აკაკუნებდა. ტომმა მოულოდნელად თვალი თვალში გაუყარა.

— მართლა, ბატონო გეტსბი, მე როგორც ვიცი, თქვენ ოქსფორდელი ხართ.

— არც მთლად მასეა.

— ჰო, რა თქმა უნდა; მე ვიცი, რომ სწავლობდით ოქსფორდში.

— დიახ, ვსწავლობდი.

დუმილი. შემდეგ ტომის ურწმუნო და სითავხედით აღსავეს ხმა გაისმა:

— ალბათ იმ დროს, როცა ბილოქსი ნიუ-ჰევენში სწავლობდა.

კვლავ დუმილი. ლაქიამ დააკაკუნა, დანაყილი პიტნა და ყინული შემოიტანა. დუმილი მაინც არ დარღვეულა. არავის გაუგონია არც „გმადლობთო“, არც კარის ფრთხილი მიხურვის ხმა. ახლა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოაშკარავებულიყო გეტსბის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დეტალი.

— უკვე გითხარით, ვსწავლობდი-მეთქი, — მოუპრა გეტსბიმ.

— გავიგონე, მაგრამ მინდა ვიცოდე, როდის სწავლობდით.

— ცხრაას ცხრამეტში. მხოლოდ ხუთ თვეს დავრჩი. ამიტომ თამამად ვერ ვიჩემებ ოქსფორდელობას.

ტომმა თვალი მოგვავლო ყველას. უნდოდა გაეგო, ჩვენც თუ ვიზიარებდით მის ურწმუნოებას. მაგრამ ყველა გეტსბის მიეჩერებოდა.

— ომის დამთავრების შემდეგ ზოგიერთ ოფიცერს მოგვცეს ამის საშუალება, — განაგრძო მან, — შეგვეძლო სასწავლებლად წავსულიყავით ინგლისისა და საფრანგეთის ნებისმიერ უნივერსიტეტში.

წამოხტომა მინდოდა და გეტსბისთვის ბეჭზე ხელის მოწათუნება.

დეიზი ძლივს შესამჩნევი ღიმილით მივიდა მაგიდასთან.

— ვისკი გახსენი, ტომ, — უბრძანა, — პიტნიან ვიკის მოგიშაღებ და მოგართმევ; ასე სულელი აღარ მოგეჩვენება თავი... შეხე, პიტნაა.

— მაყადე, — გამოსცრა ტომმა, — კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს მისტერ გეტსბისთან.

— ბრძანეთ, — ზრდილობიანად შეაგება გეტსბიმ.

— მაინც რა უკმაყოფილება გინდათ ატეხოთ ჩემს ოჯახში?

როგორც იქნა გადავიდნენ გულლია ლაბარაკზე. ამით გეტსბი კმაყოფილი იყო.

— არავითარი უკმაყოფილება, — შეშინებული დეიზი ხან ერთისკენ გააცეცებდა თვალებს, ხან მეორისკენ. — უკმაყოფილებას შენ ტეხავ. გეხვეწები, ცოტა შეიკავე თავი.

თავი შეიკავე! — ურჩად ჩაიდუღუნა, — იქნებ ახალი მოდაა ზურგი შეაქციო და ელოდო როდის მოისიყვარულებს ბატონი არავინ არსაიდანელი შენს ცოლს. თუ ასეა, მე ამ მოდის მიმდევრად ნუ ჩამთვლით. დღეს მტკიცე ოჯახურ ცხოვრებას და ოჯახის ინსტიტუტს აღარაფრად აგდებენ, ხვალ ყველაფერს თავდაყირა დააყენებენ და შავკანიანთა თეთრკანიანებზე დაქორწინება ჩვეულებრივ რამედ გადაიქცევა.

საკუთარმა აბდაუბდამ აღაგზნო ტომი და სახე აელეწა. ცივილიზაციის უკანასკნელი მიჯნის ეულ დამცველად მიაჩნდა თავი.

აქ ყველა თეთრკანიანი ვართ, — წაიჩურჩულა ჯორდანმა.

— ვიცი, არა ვარ დიდად პოპულარული. დიდ ნადიმებს არ ვმართავ. შენ სახლი საღორედ იმითომ აქციე, რომ თანამედროვე სამყაროში ვინმე ამხანაგი შეგეძინა.

ძალიან გავბრაზდით ყველა იქ მყოფი, მაგრამ ტომის ყოველ სიტყვაზე სიცილს ძლივს ვიკავებდით. ისე მოულოდნელად და სრულად გარდაისახა აღვირახსნილი კაციდან წესიერ ადამიანად.

სათქმელი მაქვს რაღაც, ძმაკაცო... — წამოიწყო გეტსბიმ. დეიზი განზრახვას მიუხვდა.

— გთხოვთ ნუ იტყვით! — სიტყვა მიაწია იმედგადაწურულმა. — გთხოვთ, შინ წავიდეთ. ყველა წავიდეთ.

— კარგი აზრია, — ფეხზე ავდექი, — წავიდეთ, ტომ. სასმელი არავის სურს.

— უნდა გავიგო, რისი თქმა სწადია ბატონ გეტსბის.

— თქვენს მეუღლეს არ უყვარხართ, — უთხრა გეტსბიმ, — არც არასდროს ყვარებიხართ. მე ვუყვარვარ.

— შენ გიყი ხომ არა ხარ! — უნებლიეთ აღმოხდა ტომს.

გეტსბი ფეხზე წამოდგა აღელვებული, აგზნებული.

— არასოდეს არ ყვარებიხართ, გესმით? — შესძახა, — მხოლოდ იმითომ

გამოგყვით ცოლად, რომ ღარიბი ვიყავი და ლოდინმა დაღალა. შეცდა, ძალიან შეცდა. გულის სიღრმეში ჩემს გარდა სხვა არავინ ყვარებია!

მე და ჯორდანმა წასვლა დავაპირეთ. მაგრამ ტომი და გეტსები ერთიერთ-მანეთზე უფრო თავგამოდებით გვეხვეწებოდნენ. დარჩითო, აქაოდა დასამალი არაფერი გვაქვს და საშუალება გეძლევათ ჩვენი ვნებათაღელვების დასაშლად გახდეთო.

— დაჯექი. დეიზი. — ტომი ამოდ ცდილობდა შშობლიური კილო მიეღო. — რა ხდება? ყველაფერი მინდა გავიგო.

— უკვე გითხარით, რაც ხდება. — მიუგო გეტსბიმ. — უკვე ხუთი წელია, თქვენ კი არაფერი იცოდით.

ტომი უეცრად მიუბრუნდა დეიზის.

— ხუთი წელია რაც ამ კაცს ხვდები?

— არ ვხვდებოდით. — გეტსბიმ უპასუხა. — არა. შეხვედრა არ შეგვეძლო. მაგრამ ამ ხნის მანძილზე ორივეს გვიყვარდა ერთმანეთი, ძმაცაცო. და თქვენ არ იცოდით.

— უპ... სულ ეგ არის? — ტომმა მსუქანი თითები ხუცესივით შეაწება ერთმანეთს და სკამის საზურგეს მიეყრდნო. — გიყი ხარ ვილაცა! — აღმოხდა მას. — რა ვიცი რა იყო ხუთი წლის წინ. მაშინ დეიზის არც ვიცნობდი. თავს ლაფი დამასხით, თუ იმის წარმოდგენა შეუძლოს, რომ შენ დეიზისთან ერთ მილზე ახლოს მისვლას მიბედავდი. მაგრამ ალბათ ბაყალთან ნაყიდ სანოვავებს ეზიდებოდი სამზარეულოს კარიდან. სხვა ყველაფერი ღვთის პირისაგან გავარდნილი კაცის მონაცორია. დეიზის მაშინაც ვუყვარდი. როცა ცოლად გამოგყვა და ახლაც ვუყვარვარ.

— არა, — მტკიცედ გააქნია თავი გეტსბიმ.

— მიუხედავად ამისა, მაინც ვუყვარვარ, უბედურება ისაა. ზოგჯერ სულელური აზრები აეკვიატება და თვითონაც არ იცის, რას ჩადის. — ბრძენკაცივით დააქნია თავი. — მთავარი ის გახლავთ, რომ მეც მიყვარს დეიზი. ათასი ერთხელ წავიცუდლუტებ ხოლმე, ვიმაიმუნებ. მაგრამ ისევ დეიზისთან მივრბივარ. გულის სიღრმეში ყოველთვის ეგ მიყვარს.

— საზიზღარი ხარ, — უთხრა დეიზიმ.

მომიბრუნდა და ხმადაბლა მომმართა. ერთი ოქტავით დაბლა აქლერდა მისი მთრთოლვარე და ზიზღით გამაჟვალული ხმა.

— იცი, რატომ წამოვედიოთ ჩიკაგოდან? მიკვირს აქამდე რომ არ მოგიყვა ამ პატარა ცუდლუტობის ამბავს.

გეტსბი მივიდა და გვერდში ამოუდგა.

— დეიზი, ეგ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, — უთხრა გულწრფელად. — ახლა აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა. უთხარი სიმართლე. უთხარი, რომ არასოდეს გყვარებია და სამუდამოდ გაწყვიტე კავშირი.

დეიზიმ დაბინდული მხერვა მიაპყრო.

— აბა... როგორ შეყვარებოდა... მართლაც?

— არასოდეს არ გყვარებია.

ქალი შეეყოყმანდა. ჯერ ჯორდანს შეხედა მუდარით, მერე მე. თითქოს ახლა მიხვდა, რასაც იქმოდა. თითქოს აქამდე არც ჰქონდა განზრახული რაიმე მოეპოვებინა. მაგრამ ახლა რაღას უშველიდა, გვიან იყო, ჰოდა, გადადგა ეს ნაბიჯი.

— არასოდეს არ მყვარებია, — აშკარა იყო რომ ნაძალადევად თქვა.
— არც კაბოლოანში? — მოულოდნელად ჰკითხა ტომმა.

— არა, — ღიმილით.

პაერის ცხელ ტალღას დაგუდული ყრუ აკორდები ამოჰყვა ქვედა სართულის სამეჯლისო დარბაზიდან.

— არც იმ დღეს, გახსოვს, პანჩ ბოულიდან ხელში ატაცებულ რომ წამოგიყვანე. ფეხსაცმელი არ დაგისველდეს-მეთქი?... — ნაძალადევად გაინაზნა ხმა... — დეიზი?

— კარგი. გეყოფა, — ცივად თქვა დეიზიმ, თუმც მტრული კილო უკვე გაქრობოდა. გეტსბის შეხედა, — აჰა, ჩეი, — უთხრა, მაგრამ ხელი ისე უცახცახებდა, რომ სიგარეტს ცეცხლი ვერ მოუკიდა. უეცრად სიგარეტიც ძირს ისროლა, ხალიჩაზე, და ანთებული ასანთიც. — ოო, მეტისმეტს მოითხოვ ჩემგან! — შესტირა გეტსბის. — ახლა შენ მიყვარხარ. განა ეს არ არის საკმარისი? წარსულს როგორღა შევცვლი. — ძალღონეგამოცლილი დეიზი ატირდა. — ერთ დროს ეგ მიყვარდა, მაგრამ შენც მიყვარდი.

გეტსბის თვალები ჯერ გაუფართოვდა, მერე მოეჭუტა.

— მეც გიყვარდი? — გაიმეორა.

— ეგაც ტყუილია, — შეეხა გაავებული ტომი. — არც ეი იცოდა. ცოცხალი იყავი თუ მკვდარი. ხომ იცი, მე და დეიზის ისეთი რამ გვაკავშირებს, რაც შენ არასოდეს გეცოდინება, ისეთი რამ, რასაც მთელი სიცოცხლე ვერ დავივიწყებთ ვერც ერთი.

ეს სიტყვები გეტსბის ისარივით დაესო და გული ატკინა.

— დეიზის ცალკე მინდა მოველაპარაკო, — მოითხოვა მან, — ძალიან ადელვებულა...

— ცალკეც ვერ გეტყვი, არასოდეს არ მყვარებია-მეთქი. — საცოდავი ხმით ჩაურთო ქალმა. — ეს არ იქნება მართალი.

— რა თქმა უნდა, არ იქნება მართალი, — დაეთანხმა ტომი. დეიზი ჭმრისკენ შებრუნდა.

— ვითომ შენთვის სულ ერთი არ იყოს, — უთხრა ქალმა.

— რა თქმა უნდა, არ არის. დღეიდან უფრო გაგიფრთხილდები.

— თქვენ ვერ გაიგეთ, — ჩაურთო ოდნავ შეშინებულმა გეტსბიმ. — ამიერიდან თქვენი მოფრთხილება და მზრუნველობა აღარ დასჭირდება.

— ჩემი? — ტომმა ფართოდ დააჭყიტა თვალები და გადაიხარხარა. სიმტკიცე დაბრუნებოდა. — ვითომ რატომ?

— დეიზი გტოვებთ.

— სისულელეა.

— მაგრამ მართლაც ასეა, — აშკარად ნაძალადევად ჩაურთო დეიზიმ.

— არ დამტოვებს! — სხაპასხუბით დააყარა ტომმა, — ცხადია. არ მიმატოვებს ქუჩის ბაცაცასთვის. რომელიც თითზეც კი ნაქურდალ ბეჭედს გაუკეთებს.

— ამას ვეღარ ავიტან! გთხოვთ წავიდეთ აქედან.

— ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს? — განაგრძო ტომმა. — იმ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ხარ, რომელსაც მეიერ ვულფშიმი ხელმძღვანელობს. გამოვიძიე და ცოტა რამ გავიგე თქვენ საქმეებზე. მომავალში უფრო მეტს გავიგებ.

— ძალიან კარგი, თუკი გსიაშოვნებთ, ძმაკაცო. — მტკიცედ უთხრა გეტსბიმ.

— გავიგე, რაც ყოფილა ეგ თქვენი „აფთიაქები“, — ტომი ჩვენკერ შემობრუნდა და სხაპასხუპით მოგვახსენა, — მაგან და იმ ვულფშიმმა უამრავი აფთიაქი შეისყიდეს აქ და ჩიკაგოში, მიყრუებულ ქუჩებში. დახლს ქვეშედან ხორბლის არაყს ჰყიდოდა. ეს არის მაგის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. პარველად რომ ვნახე, მაშინვე ბუტლეგერად შევიცანი და ძალიან არ შევმცდარვარ.

— აბა ამაზე რაღას მეტყვი? — ზრდილობიანად მიმართა გეტსბიმ. — თქვენს მეგობარს უოლტერ ჩეიზს მაინცდამაინც არ რცხვენოდა ჩვენთან თანამშრომლობის.

— მაგრამ გაჭირვების დროს მიატოვეთ, ასე არ იყო? ნიუ-ჯერსიში ერთი თვით ციხეშიც გაუშვიო. ღმერთო დიდებულიო, ერთი მოგასმენინათ რას ჰყვება თვითონ თქვენს შესახებ.

— ჩვენთან გაძვალტყავებული მობრძანდა. დიდი სიაშოვნებით იჯიბავდა ფულს. ძმაკაცო.

„ძმაკაცოს“ ნუ მეძახით! — შეუტია ტომმა. გეტსბის ხმა არ ამოუღია. უოლტერს თქვენი გამოჭერა შეეძლო უკანონო საქმიანობაში, მაგრამ ვულფშიმმა დააშინა და ხმა ჩააკმენდინა.

უჩვეულო, მაგრამ მაინც საცნაური გამომეტყველება კვლავ დაუბრუნდა გეტსბის.

— აფთიაქებით ცოტათი მოითბეთ ხელი. ახლა ისეთი საქმე წამოგიწყიათ, რომ უოლტერს თქმისაც კი შეეშინდა.

დეიზის გავხედე. იდგა გეტსბისა და თავის ქმარს შორის და შეშინებული იმზირებოდა. ჯორდანს თავი მაღლა აეწია და ნიკაბის წვერით კვლავ უჩინარი საგნის გაჩერებას ლაშობდა. მერე გეტსბის მივუბრუნდი, შემაშინა მისმა გამომეტყველებამ. ისეთი სახე ჰქონდა, თითქო „კაცი მოეკლა“ — ვიმეორებ ამ სიტყვებს და ზიზღი მერევა გეტსბის ბალში გამართული ავყიაობის გამო, სულ ერთ წამს ჰქონდა ისეთი იერი, რომ ასე ფანტასტიკური რამ გაგეფიქრა.

ელდამ მალევე გაუარა და მყისვე დეიზისთან გააბა გაცხარებული საუბარი, ყველაფერი უნდოდა განემარტა. ყველაფერს უარყოფდა, თავს იმართლებდა. იმ ბრალდებებსაც უარყოფდა, რომლებიც არავის წამოუყენებია. მაგრამ დეიზი ყოველ სიტყვაზე უფრო და უფრო იკეტებოდა საკუთარ თავში და გეტსბი მოეშვა. შეუადრეც თვალსა და ხელს შუა გასხლტა. მხოლოდ დაფერფლილი ოცნებალა შემორჩა გეტსბის, ოცნებითლა ცდილობდა ხელით შეხებოდა იმას, რაც უკვე მისთვის აღარ არსებობდა; უიღბლოდ, უიმედოდ იბრძოდა ამ ხმისათვის, აქ, ამ ოთახში რომ ნარჩარებდა, მაგრამ გეტსბისთვის დაკარგული იყო.

ეს ხმა კი იხვეწებოდა, აქედან წავიდეთო.

— გეზვეწები, ტომ! მეტის ატანა არ შემიძლია.

შეშინებულ თვალებში ემჩნეოდა, რომ გაბედულება და სიმტკიცე მთლიანად წარმოშობდა.

— თქვენ ერთად წადით, დეიზი. — უთხრა ტომმა. — ბატონ გეტსბის მანქანით.

დღეში ტომს შეშფოთებულმა შეხედა, მაგრამ იგი ჯიუტად მოითხოვდა, ზიზღნარევი სულგრძელობით:

— წადი, არ შეგაწყუბებს. მგონი, მიხვდა, რომ მაგის ედნე არ მოეწონება ბოლო მოვლა.

დღეში და გეტსები ისე წაყვინდნენ აჩრდილებით, ~~ქვეყნის~~ ხმა არ ამოუღიათ; ვიგინდარებად გვეჩვენებოდნენ და გარეუფდნენ ~~ქვეყნის~~ თანაცუგრძნობით.

ცოტა ხნის შემდეგ ტომი წამოდგა და არყის გაუხსნელ ბოთლს ისევ ხელსახოცი შემოახვია.

— ცოტას ხომ არ დაღევდით? ჯორდან?.. ნიკ? — მე პასუხი არ გამიცია.

— ნიკ? — განმეორებით შემეკითხა.

— რა იყო?

— არ დაღევ?

— არა... ახლა გამახსენდა, დღეს ჩემი დაბადების დღეა.

ოცდაათის შევსრულდი. წინ მედო შემდგომი დეკადის ხიფათიანი და აუბედითი გზა.

შვიდი საათი იქნებოდა. როცა ტომის ორადგილიან მანქანაში ჩავსხედით და გავწიეთ ლონგ-აილენდისკენ. ტომი ენად გაიკრიფა, ხუმრობდა, იცინოდა. მაგრამ მისი ხმა ისე არ გვეკარებოდა მე და ჯორდანს, როგორც ქუჩის ყიფნა ან მაწისზედა რკინიგზის ზანზარი. ადამიანურ თანაცუგრძნობას თავისი საზღვარი აქვს. კმაყოფილები ვიყავით, რადგან ტრაგიკული შეხლა-შემოხლა, ვით უკან მიტოვებული ქალაქის შუქი, სულ უფრო სუსტად რომ ანათებდა, უკვე ჩაფლარფლილიყო. ოცდაათი — მარტობას მპირდებოდა ეს დეკადა. მარტოხელა მეგობრების შეთხელებულ სიას. ჩაკლებ ხალისს და შეთხელებულ თმას. მაგრამ გვრდით მეჭდა ჯორდანი, რომელიც დღეშივე უფრო გონიერი იყო და წლიდან წლამდე როდი ზიდავდა წარსულის გამჭრალ ოცნებას. ჩაბნელებულ ხიდზე გასვლითაა აახეგაცრეცილმა მხარზე მძიმედ მომაყრდნო თავი და, როცა ბელიც ხალისიანად მომხვია, ოცდაათი წლის მძიმე ტვირთი მყისვე ჩამომეხანა.

ასე მივქროდით სიკვდილისაკენ და დაისის სიგრილე მიგვაცილებდა.

* *

ბერაეხი ახალგაზრდა კაცი მიხაელია, რომელსაც იქვე, ნაცრის ბორცვებთან ჰქონდა პატარა ყავახანა, მთავარი მოწმე იყო სააპარტოლოზე. იმ დღეს სიცხეში ხუთ საათამდე სძინებია. მერე გარაჟში შესულა, ჯორჯ უილსონი დახვედრია ავად — ძალიან ცუდად ყოფილა. მთლად ცახცახებდა თავისივე თმასავით გაყვითლებული, მიხაელისმა დაწოლა ურჩია. მაგრამ უილსონმა არ ქნა, უამრავ საქმეს მოვცდებო. ამ საუბარში იყვნენ, როცა ზედა სართულზე საბინელი ხმაური ატყდა.

— ცოლი ჩავკეტე ზემოთ, — წყნარად აუხსნა უილსონმა, — ხვალამდე იმ მეყოლება და მერე წავალთ აქედან.

მიხაელისმა გარცდა. ოთხი წელია მეზობლად ცხოვრობდნენ და ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ამას იზამდა უილსონი, ცხოვრებისაგან დაღლილი და გამოფიტული კაცი, რომელიც, საქმე რომ შემოეღოდა, კარის წინ სკამზე ჩამომჯდარი ხან გამვლელ-გამომვლელს აყოლებდა თვალს, ხან მანქანებს, თუ ვი-

ნძე დაეღაპარაებოდა, თანხმობის ნიშნად უღიმღამოდ ჩაიციხებდა ხოლმე. ცოლის მონა-მორჩილი იყო, მის ჭკუას აყოლილი.

ბუნებრივია, მიხაელის ცნობისმოყვარეობა აღეძრა. მოწოდინა ამბის გაგება, მაგრამ უილსონი კრინტსაც არ სძრავდა. ამის ნაცვლად, დაეჭვებული უბღვერდა სტუმარს და გამოკითხვა დაუწყო — ამა და ამ კდღეს, ამა და ამ დროს სად იყავი და რას აკეთებდიო. მიხაელისმა უხერხულუბან დაეჭვებულად, შეამჩნია, რომ მისი დუქნისკენ მუშები მიეშურებოდნენ და ამ საბაბით გაეცალა უილსონს, მოგვიანებით ისევ შემოგივლიო, მაგრამ აღარ მისულა. უილსონი აღბათ იფიქრებდა, დაავწყდომო. შვილს უკვე გადაცილებული იქნებოდა, როცა მიხაელისი ისევ გარეთ გამოვიდა. გარაჟიდან ქალბატონ უილსონის გაცოფებული, ხმამაღალი ყვირილი შემოესმა და ამან გაახსენა წელანდელი საუბარი.

— მცემე! — გაიგონა ქალის ღრიალი, — დამაგდე და მირტყი, შე წუნე-ალო, ლაჩანდრუკა!

ცოტა ხნის შემდეგ ქალი გარეთ გამოვარდა. ბინდში. ხელებს იქნევდა და რაღაცას იძახდა. ვიდრე უილსონი თავისი ოთახიდან გამოვიდოდა, მოსახდენი უკვე მომხდარიყო.

„ს კვდილის მანქანა“, ასე უწოდეს გაზეთებმა, არ გაჩერებულა. ახლად ჩამოწოლილი ბინდიდან უეცრად გამოვარდა, უბედურებამ წამით შეაყოვნა. მაგრამ მყისვე მთელი სიჩქარით გაქანდა და პირველივე მოსახვევში მიიმალა. მიხაელისმა წესიერად ფერიც ვერ გაარჩია — პირველ პოლიციელს უთხრა, ღია მწკანე იყო. მეორე მანქანამ, რომელიც ნიუ-იორკისკენ მიჰქროდა, ასამდე იარდი გაიარა და მერე გაჩერდა. მძღოლი სწრაფად გამოვარდა და იმ ადგილს მიაშურა, სადაც მირტლ უილსონი სულთმობრთავი ცურავდა სქელ სისხლში და მტვერში.

პირველად მიხაელისი და ის კაცი მიეშველნენ; ჯერ ისევ ოფლიანი ზედა სამოსი შემოახიეა და საშინელი რამ დაინახა — მარცხენა იუდა მოგლეჯილ ჯიბესავით კანზედა კონწიალობდა. გულის მოსმენა რაღა საჭირო იყო. სიმწრო-სგან პირი ისე დაედო, რომ კუთხეებში დასკდომოდა, თითქოს დიდი ხნის ნაგროვებ სააიცოცხლო ძალასთან განშოვბისას წამით საყუღე გადაეეცათ.

* *

შორიდანვე შევამჩნიეთ, რამდენიმე მანქანა იდგა, ხალხიც შეჯგუფებულიყო.

— დაჯახებულან! — ჩაილაპარაკა ტომმა. — კარგია, ბოლოს და ბოლოს უილსონს საქმე გამოუჩნდება.

სვლა შეანელა, მაგრამ გაჩერებას არ აპირებდა. როცა გარაჟს კიდევ უფრო მივეუახლოვდით, შეჯგუფებული ხალხის მღუმარე, შეძრწუნებულმა სახეებმა უნებლიეთ აიძულა მუხრუჭს დასწოლოდა.

— შევხედოთ მხოლოდ, — გვითხრა გაუბედავად. — მხოლოდ შევხედოთ.

ახლაც ყურში მიდგას ის ხმა — ყრუ, საბრალობელი ზღუტუნნი, რომელიც გარაჟიდან ისმოდა. მანქანიდან რომ ჩამოვედით და კარს მივაშურეთ, მაშინლა გავარჩიეთ — „ო, ღმერთო ჩემო!“ ზედიზედ მოთქმით იმეორებდა ვილაც და მწუხარებისგან სუნთქვა ეკვროდა.

— ცუდი ამბავი უნდა იყოს, — ჩაილაპარაკა შეშფოთებულმა ტომმა.

ფეხის წვერებზე აიწია და წრედ შეკრული ხალხის თავებს ზემოდან გარა-
ეში შეიჭყიტა. მავთულის ბადეში ჩამჯდარი ერთადერთი ყვითელი ნათურა ანა-
თებდა გარაჟს. ტომს უეცრად მოკლე, ხრინწიანი ბგერა აღმოხდა. ძლიერი
მკლავებით გზა გაიკაფა და შიგ შევიდა.

ბრბო უკმაყოფილოდ შეჩოჩოლდა და ისევ წრედ შეიკრა. სრულდებით ვე-
რაფერს ვხედავდი. შემდეგ ახლად მოსულმა ხალხმა ბრბო დასწესეს მის წინა-
და მე და ჯორდანი წრის შიგნით აღმოვჩნდით.

მირტლ უილსონის ცხედარი კედელთან იყო დასვენებული, დაზგაზე. ამ
სიცხეში ციებიანივით ორ საბანში იყო გახვეული. ტომი ჩვენკენ ზურგშექცე-
ული იდგა, გარინდებული დაჰყურებდა ცხედარს. მოტოციკლისტი პოლიციე-
ლი გვერდით ედგა. იგი ოფლად იღვრებოდა და პატარა უბის წიგნაკში ვაი-
ვაგლანით იწერდა გვარებს. თავდაპირველად ვერ გავარჩიე ვის აღმოხდებოდა
ხოლმე ხმამაღალი, მწუხარე შეძახილი, ექოსავით რომ ეღებოდა ცარიელ გა-
რაჟს. ბოლოს უილსონი შევიცანი. იდგა იგი თავისი კანტორის შემალღებულ
შესასვლელთან, ორივე ხელით კარს ჩასკიდებოდა და აქეთ-იქით ირწეოდა. ეი-
ლაც მამაკაცი ხმადაბლა რაღაცას ეუბნებოდა და ზოგჯერ მხარზეც ადებდა
ხელს. მაგრამ უილსონს არაფერი ესმოდა და ვერც ხედავდა. ხან ნათურას მია-
შტერებდა თვალს. ხან მაგიდისკენ ფრთხილად გადაიტანდა მზერას და სასწ-
რაფოდ იაფე ნათურას მიაჩერდებოდა, თან შემზარავად, ხმამაღლა, განუწყვეტ-
ლივ გაიძახოდა:

ო, ღმერთო ჩემო! ო, ღმე-ერთო ჩემო. ო, ღმე-ერთო ჩემო!

ტომმა უეცრად თავი ასწია, დაბნეულმა მიმოიხედა და პოლიციელს მიმა-
რთა, გაურკვევლად ჩაიბურტყუნა რაღაც.

— მ...ა...ვ — მარცვლავდა პოლიციელი, — ო...

— არა, რ... — გაუსწორა ბერძენმა, — მ-ა-ვ-რ-ო...

— მომისმინეთ! — გაბრაზებით შეუტია ტომმა.

— რ... — თქვა პოლიციელმა, — ო...

— გ...

— გ... — პოლიციელმა მხარზე ტომის ფართო და მძიმე ხელი იგრძნო და
თავი ასწია. — რა გინდა, ძამია?

— რა მოხდა? გამაგებინეთ.

— მანქანამ დაარტყა, მოკლა იქავე.

— იქავე მოკლა, — გაიჰეორა გაშტერებულმა ტომმა.

— ქუჩაში გამოვარდნილა ეგა. იმ მამაძაღლმა მანქანა არც შეაჩერა.

— ორი მანქანა იყო. — აუხანა მიხაელისმა, — ერთი მოდიოდა, მეორე მი-
დიოდა, გამიგე?

— საით მიდიოდა? — სასწრაფოდ ჩაეკითხა პოლიციელი.

— თავთავის გზით მიდიოდნენ. მერე ეს, — საბნებში გახვეული ცხედ-
რისკენ დააპირა ხელის გაშვერა, მაგრამ იმწამსვე ძირს დაუშვა, — ეს სირბი-
ლით გამოვარდა და ის, რომელიც ნიუ-იორკიდან მოდიოდა. პირდაპირ დაეჯა-
ხა. საათში ოცდაათი თუ ორმოცი მილის სისწრაფით მოქროდა.

— ამ ალაგს რა ქვია, თუ იცი? — იკითხა პოლიციელმა.

— არაფერი არ ქვია.

ვილაც კარგად ჩაცმულმა მულატმა აცნობა:

— ყვითელი მანქანა იყო. დიდი, ყვითელი მანქანა. ახალი.

დაინახეთ, როგორც მოხდა? — იკითხა პოლიციელმა.

— არა, მაგრამ მანქანამ გზაზე ჩამოქროლა, ორმოცდაათი წუთი ჩქარა მიდიოდა, ალბათ, ორმოცდაათით, სამოციით.

— მოდი აქ და გვიჩვენე სახელი და გვარო, აბა, მიიწი-მოიწიეთ ახლა, გამოუშვით, სახელი და გვარი უნდა ჩავიწერო.

ეტყობა, ეს საუბარი უილსონსაც შემოესმა. იგი ისევ კანტორის კარებში იდგა და ირბეოდა. მოულოდნელად, მოთქმა-ტირილით სულშეხუთულმა ამოიძახა:

— თქვენ ვერ მასწავლით რა მანქანა იყო! ვიცი რომელიც იყო!

მე ტომს მივჩერებოდა. ამჟამად შეემჩნა შემოტმასნილი ტანსაცმლის ქვეშ როგორ დაეძაბა ბეჭის კუნთები. იგი სწრაფად მიიჭრა უილსონთან, წინ დაუდგა და ორივე მკლავში ღონივრად ჩაკიდა ხელი.

— რა მოგივიდათ, თავი გაიმაგრეთ. — უხეშად გაამხნევა.

უილსონმა ტომს შეხედა. ის იყო ფეხის წვერებზე წამოიძვარა, მაგრამ მუხლი მოეკვეთა და ძირს დაეცემოდა. ტომს რომ პარკვედ არ სჭეროდა ხელში.

— მომისძინეთ! — უთხრა ტომმა და ცოტა შეანჯღრია. — ეს წუთია ნიუ-იორკიდან მოვედი. ის ორადგილიანი მანქანა მოგიყვანეთ, ყიდვა რომ გინდოდათ. შუადღისას რომ მნახეთ. ის ყვითელი მანქანა ჩემი არ იყო, გესმით? შუადღის შემდეგ თვალთ ალარ მინახავს.

მხოლოდ მე და ხანგი ვიდუქით იმ მანძილზე, რომ გვესმოდა ტომის ხმა. პოლიციელმა მხოლოდ კილოში შენიშნა რაღაც საეჭვო და თვალები გადმოკარკლა.

რაო, რაო? — იკითხა მან.

— აბა, შეგობარო ვარ. ტომმა თავი მიაბრუნა, მაგრამ უილსონისთვის ხელი არ უშვია. — ასე მიოხრა, ვიცი რომელი მანქანაც დაეჯახათ... ყვითელი მანქანა იყო.

რაღაც გაურკვეველმა წინაგრძნობამ უბიძგა პოლიციელს ეჭვით შეეხედა ტომისთვის.

— მერე, რა ფერია თქვენი მანქანა?

— ცისფერი გახლავთ, ორადგილიანია.

ახლაზანს მოვედით ნიუ-იორკიდან, — მე ვუთხარი.

ვიღაცამ, ალბათ ჩვენს უკან ვინც მოდიოდა მანქანით, დაგვიდასტურა ეს და პოლიციელმა თავი გაგვანება.

— აბა, ხელი თუ ჩამაწერიანებო იმ გვარს სწორად...

ტომმა თოჯინისავით აიტაცა ხელში უილსონი, კანტორაში შეიყვანა, საამზე დასვა და უკან გამოვიდა.

— იქნებ ვინმე შევიდეს და დაჯდეს მის გვერდით, — დარბაისლურად ბრძანა და დაელოდა, ვიდრე იქვე მდგომი ორი მამაკაცი უხალისოდ შევიდოდათათაში. ტომმა კარი მიუხურა მათ. ერთადერთი საფეხურადან ჩამოაბიჯა, ცხედარს თვალი აარიდა და მე რომ ჩამიარა, წაშტურჩულა. — დაწვედითო.

გვეუბრებულვობდა, მაგრამ ტომმა მძლავრი მკლავებით გზა გაგვიკვალა და თავი დავადწიეთ ბრბოს, რომელსაც ჩაღხი ისევ ემატებოდა და ემატებოდა. ნახევარი საათის წინ ხასწაულის იმედით გამოძახებული ექიმიც შემოგვბედა.

მოსახვევამდე ტომი ნელა მიდიოდა, მერე ფეხი დააჭირა გაზს და ორადგილიანი მანქანა ღამეში სწრაფად გაქანდა. ცოტა ხნის შემდეგ გავიგონე, ხმაჩა-

ხრინწული ჩუმი ზღუქუნი და დაეინახე, რომ ტომს ცრემლი ღვარად ჩამოსდოდა.

— ღვთის გლახა, მხდალი, — ამოიგმინა, — მანქანაც კი არ გააჩერა!

ფრინწული
ზიზღილით

* *

ხშირ, მოშრილუ ხეებში უცერად ამოტივტივდა ბიუქენებების სახლი. ტომმა შესასვლელთან გააჩერა მანქანა და მეორე სართულს ახედა. ორ ფანჯარაში, ვაზის ლერწმებს შორის, ძლიერი შუქი ელვარებდა.

— დეიზი შინ არის, ჩაილაპარაკა. ჩვენ მანქანიდან გადმოვედით. შემომხედა და ცოტა მოიღუწა.

— უესტ-ეგში უნდა ჩამეყვანე, ნიკ. დღეს მაინც ველარაფერს შევძლებთ. შეცვლილი იყო. დინჯად, თავდაჯერებული ლაპარაკობდა. ვიდრე მთვარის შუქით განათებულ ქვაფენილს გავივლიდით და სახლის შესასვლელს მივადგებოდით, შექმნილი ვითარება რამდენიმე თადარიგიანი სიტყვით მოაწესრიგა.

— ტაქსს გამოვიძახებ და იმითი წადი. ვიდრე მოვიდოდეს, შენ და ჯორდანი სამზარეულოში შედი და უთბარით, რამეთუ გივარაუდებ, ჭამა თუ გინდათ, — კარი გააღო და შეგვიპატიჟა: — შემოდით.

— არა, გმადლობთ; კარგი იქნება, ტაქსს თუ გამოიძახებ, გარეთ დავიცდით. ჯორდანმა მკლავზე დამადო ხელი.

— არ შემოხვალ, ნიკ?

— არა, გმადლობთ.

თავს ცუდად ეგრძნობდი და მარტო მიწოდდა ყოფხა, მაგრამ ჯორდანი ფეხს ითრევდა.

— ათის ნახევარია ჯერ, — მითხრა.

ღვთის რისხვა იყო ჩემთვის იქ შესვლა. მთელი დღის მანძილზე ყელში ამომივიდნენ, თურმე ჯორდანიც კი მომბეზრებოდა. უთუოდ სახეზე მეწერა ეს, რადგან მყისვე ზურგი შემაქცია და ისე აირბინა კიბე, უკანაც არ მოუხედევს. ცოტა ხნით ჩამოვჩქეი, თავი ხელებში სავრგე და ასე ვიყავი. ვიდრე მოსამსახრელია ხმა არ მომესმა. რომელმაც ტელეფონით ტაქსი გამოიძახა. ავდექი და ნელ-ნელა ქუჩისკენ გავწიე. ჭიშკართან უნდა დავხვედროდი მანქანას.

ოცი იარდიც არ მექნებოდა გავლილი, ვიღაცამ დამიძახა: ბუჩქებიდან გეტსბი გამოძვრა და მომიახლოვდა. მაშინ ალბათ რაღაც უჩვეულო განცდით ვიყავი ატანილი, რადგან მხოლოდ ის შევამჩნიე, როგორ ელვარებდა მისი ვარდისფერი სამოსი მთვარის შუქზე. სხვაზე ფიქრიც არაფერზე შემეძლო.

— რას აკეთებთ? — შევეკითხე.

— არაფერა, ედგავარ, იმავეს.

რატომღაც საეჭვოდ მომეჩვენა მისი საქციელი. ლამის ისიც კი გავიფიქრე, ამ სახლის გასარცვას აპირებს-მეთქი. არ გამიკვირდებოდა, მის ზურგს უკან, ამ ბნელ ბუჩქბარში, „ავულფშიმის ხალხის“ ბოროტი სახეები რომ დამენახა.

— გზაში რამე უბედური შემთხვევა ხომ არ გინახავთ? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ვნახეთ.

შეცბუნდა.

— მკვდარი იყო?

— დიახ.

— ასეც ვფიქრობდი. დეიზისაც ვუთხარი, ასე იქნება-მეთქი. ~~უკეთესია, როცა თავზარდამცემ ამბავს თავიდანვე ეტყვი კაცს. მშვენივრად გაუძღო.~~

ისე ლაპარაკობდა, თითქოს უმთავრესი ის იყო, როგორ გადაიტანდა დეი-
ზი მომხდარ ამბავს.

— უესტ-ეგში სხვა გზით ჩავედით, — განაგრძო, — მანქანა გარაჟში და-
ვტოვე. მგონი არავის დავუხახივართ. მაგრამ ვინ იცის...

იმ წუთს ისე შეჯავრებოდა, რომ სიმართლე არ ვუთხარი.

— ვინ იყო ის ქალი? — ისევ შემეკითხა.

— გვარად უილსონი იყო. მის ქმარს გარაჟი და სახელოსნო აქვს. მაინც
რა ჯანდაბა დაგეძმართათ, რა მოხდა?

— რა ვქნა, ბევრი ვეცადე, საჭე გამომერტმია... — სიტყვა გაუწყდა. უეც-
რად მივხვდი, რაც მოხდა.

— დეიზის მიჰყავდა?

— დიახ. — ცოტა ხანს შეყოვნდა და მერე მიბასუბა, — მაგრამ, რა თქმა
უნდა, ყველგან ვიტყვი, რომ მე ვიჩეჭი საჭესთან. იცით, ნიუ-იორკიდან რომ
წამოვედით. ძალიან განერვიულებული იყო და ასე ეგონა, საჭესთან თუ დავ-
ჯდები, დავწყნარდებიო. ეს ქალი მაშინ შემოგვეფეთა, როცა შემხედურ მან-
ქანას გვერდი ვუქციეთ. ყველაფერი ერთ წამში მოხდა, მე მგონი, ჩვენთან
დალაპარაკება სურდა, ნაცნობები ვეგონეთ. დეიზიმ ჭერ სცადა ამ ქალისთვის
გვერდი აეგლო და მანქანისკენ აიღო გეზი, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა და ისევ
ქალისკენ შეატრიალა. საჭეს რომ მივწვდი, უკვე დაჯახებაც ვიგრძენი... უთუოდ
იქვე მოკვდა.

— სულ დაგლიჯა...

— ნუ, ძმაკაცო, ნუ მომიყვები... — შეკრთა იგი. — ასე იყო თუ ისე...
დეიზიმ მანქანა გააქროლა, რამდენი ვარწმუნე, მანქანა გააჩერე-მეთქი, მაგრამ
ძალა არ ყოფნიდა. იძულებული გავხდი ხელის მუხარუჭი გამომეყენებინა.
დეიზი კალთაში ჩამივარდა და გზა მე განვაგრძე.

დილის კარგად იქნება, — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ. — აქ უნდა ვი-
ცადო და ვუთვალთვალო, ტომმა არ შეაწუხოს დეიზი დღისით მომხდარი ამბის
გამო. თავის ოთახშია ჩაკეტილი, ტომი თუ უხეშად მოექცა, დეიზი ნიშანს მოჰ-
ცემს — სინათლეს ჩააქრობს და აანთებს.

— ხელსაც არ ახლებს, — ვუთხარი, — ახლა დეიზიზე არც ფიქრობს.

— ვერ ვენდობი, ძმაკაცო.

— როდემდე უნდა იცადო?

— მთელ ღამეს, თუ საჭირო იქნება. ყოველ შემთხვევაში მანამ, კიდრე
ყველა დაიძინებდეს.

უეცრად სხვა აზრმა გამიელვა. თუ ტომი გაიგებდა, რომ საჭესთან დეიზი
იჯდა, ეგებ ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული ჰგონებოდა და რაღაც
სხვა ეჭვი გასჩენოდა. სახლს გავხედე. ქვედა სართულზე ორი თუ სამი ფანჯარა
იყო გაჩირალდებული, მეორე სართულზე მხოლოდ დეიზის ოთახში იდგა ვარ-
დისფერი შუქი.

— აქ დამიცადეთ, — ვუთხარი გეტსბის, — ვნახავ, რა ხდება.

უკან გავყევი კვალედის ნაპირს, ფრთხილად გადავსერე ქვაფენილი და აივ-

ნის საფუძვლები ფეხის წვერებზე ავიარე. სასტუმრო ოთახის ფარდები გაღ-
წეული იყო. ოთახში ვიკინ ჩანდა, როცა ის აივანი გავიარე. სადაც ამ სამი
თვის წინ, ივნისის ერთ საღამოს, ვისადილეო, უეცრად სწორედ პერტალ
შუქს მივაღეჭი შივნადი. რომ ეს სამზარეულო ოთახი იყო, ფარდა ბოლომდე
ჭკონდათ ჩამოშვებული. მაგრამ ძირს, რაფასთან, პატარა უფრეფრე მდებარეობდა.

დეიზი და ტომი სამზარეულო მაგიდასთან პირისპირ ~~მდებარეობდა~~ მდებარე
ედოთ ცივი. შემწვარი წიწილა და ორი ბოთლი ლუდი. ტომი რაღაცას ჯიუ-
ტად უქადაგებდა და თავდავიწყებულა ხელიხელზე დაედო დეიზისთვის. დეი-
ზი ხანდახან ახედავდა და თანხმობის ნიშნად თანვე უქნევდა.

ბედნიერები როდი იყვნენ — წიწილია და ლუდისთვის არც ერთს არ უხ-
ლია ხელი. მაგრამ არც გაუბედურებულებს გავდნენ. მათ შორის წრფელი გუ-
ლითაღობა სუფევდა. გარეშე კაცი იფიქრებდა, რაღაც საიდუმლო მოლაპა-
რაებით არიანო გართულნი.

ივნისიდან ფეხის წვერებზე ჩამოვდიოდით, როცა ტაქსის ხმა მომესმა. მან-
ქანა სიბნელეში გზას ძლივს იკვლევდა. გეტსები იქვე იცდიდა, სადაც დავტოვე.

— რომ მშვიდობაა? — შეშფოთებულმა სიტყვა შემაგება.

სრული სიწყნარეა. ცოტა ხანს შევყოყმანდი, — უმჯობესია სახლში
წამოხვიდეო და გამოიძინოთ.

გეტსებმ თავი გააქნია.

— აქ უნდა ვიდგე, ვიდრე დეიზი დაიძინებს. ღამე მშვიდობისა, ძმაკაცო.

პიჯაყის ჯიბეებში ჩაიყო ხელები; ზურგი ისე შემაქცია და ისეთი სასოებით
განაგრძო სახლის დარაჯობა. თითქოს ჩემი იქ ყოფნით იბღალებოდა მისი სა-
ფუძვლის ღვთაებრივი სიწმინდე. რაღაც ვიზამდი. გავუღეჭი გზას და არა-
რასი დარაჯად მთვარის შუქზე მდგარი გეტსბი მეც მივატოვე.

თავი VIII

მთელი ღამე ვერ დავიძინე. ნისლი იდგა და სრუტეში საყვირის ხმა ირ
შეწყვეტილა. ვერ მოვისვენე. სწეულივით ვბორავდი საზარელი სინამდვილისა
და შემაძრწუნებელი სიზმრების პირისპირ მთენილი. გარაყრაუამდე ტაქსის ხმა
შემომესმა — გეტსების კარიბჭეს უახლოვდებოდა იგი. ლოგინიდან სასწრაფოდ
წამოვხტი და ჩავიცვი. მახსოვდა, გეტსბისთვის რაღაც უნდა მეტყვა, ახლავე
უნდა გამეფრთხილებინა იგი, რადგან დილით, შესაძლოა, გვიან იქნებოდა.

ბალი გადავიარე. გეტსბის კარი ისევ ღია ჰქონდა. იგი წინკარში იდგა მა-
გიდას მიყრდნობილი. ცუდ გუხება-განწყობას თუ უძილობას მთლად მოეთენია.

— არაფერი მომხდარა, — მითხრა გადაჭანცულმა, — ერთხანს ვიცადე,
დაახლოებით ოთხ საათზე დეიზი ფანჯარას მოადგა და წამით გაჩერდა. მერე
შუქი ჩააქრო.

გეტსბის სწრაფი პრასოდეს მომჩვენებია ისე ვეება, როგორც იმ ღამეს.
სიგარეტის ძებნაში უზარმაზარი ოთახები მოვიარეთ; გავწი-გამოვწიეთ საჩა-
რდაზე ტილოსავით სქელი კრეტსაბმელები. სიბნელეში კედელზე ხელის ფა-
თურით ვეძებდით სინათლის ჩამრთავს. ბნელში პიანინო ვერ დავინახე, წავბო-
რძიკდი. დავეკახე და უცაბედად კლავიშებს დავეყრდენი — საკრავი უცნაურ
ხმებზე ატლერდა. მტვერი დასდებოდა ყველაფერს. ოთახებში სინესტე იდგა,

რადგან დიდი ხნის გაუწიებელი იყო. უცხო ყაიდის მაგიდაზე სიგარეტების კოლოფს მოვკარი თვალი. შიგ ორი ძველი, გამომშრალი სიგარეტი ეგდო. სასტუმრო ოთახში ფანჯრები გამოვალეთ და კუნაპეტ ბნელში გავაბრლეთ.

— უნდა წახვიდეთ აქედან, — ვურჩიე, — რაღა თქმაუნდა, მოგვინებენ თქვენი მანქანის კვალს.

— ახლავე წავიდე, ძმაკაცო?

— ერთი კვირით გაისეირნეთ ატლანტიკ-სიტიში ან მონრეალში.

არ დამიჯერა. ვერ მიატოვებდა დეიზის, ვიდრე არ გაიგებდა რა გადაწყვეტა. რაღაც უკახასკნელ იმედს ებლაუჭებოდა და ვერ შევძელი მისი გამოფხიზლება.

სწორედ იმ ღამეს მომიყვა თავის უცნაურ თავგადასავალს, დენ კოდის ამბებს, მომიყვა, რადგან „ჩემი გეტსები“ შუშასაკით შემსხვერეოდა ტომის ღვა-რძლიან გულს, ყავლი გასვლოდა იდუმალებით მოცულ ამდენი ხნის ზღაპრს. ალბათ ყველაფერს დაწვრილებით მიაგებოდა, არაფერს დამიმალავდა. მაგრამ ახლა მხოლოდ დეიზიზე სურდა საუბარი.

დეიზი გახლდათ პირველი „დახვეწილი“ გოგო მის ნაცნობებს შორის. სხვადასხვა გაუმხელელ საქმიანობას ბევრჯერ შეუზვედრებია იგი ასეთი წრის ხალხთან, მაგრამ ყოველთვის გრძნობდა, რომ ეცლიანი მავთული აწორებდა მათ. დეიზი კი ერთობ სანდომიანი და სასურველი მოეჩვენა. დადიოდა მასთან სტუმრად, ჯერ კემპ ტელიორის ოფიცრებთან ერთად, შემდეგ მარტო. ქალწულის სახლმა გააოცა — ასეთ ღამაზე სახლში მანამდე არც ყოფილა არასდროს. მაგრამ გამოგნებლად მომხიბვლელი მხოლოდ იმიტომ ეჩვენებოდა, რომ დეიზი ცხოვრობდა აქ, და ეს ისე ჩვეულებრივი იყო ასულისათვის, როგორც გეტსებისთვის კარავი ოფიცერთა ბანაკში. აქ, ამ სასახლეში, ისეთი განცდა უჩნდებოდა, თითქოს გული უნდა გადაეშალა მის წინ ყველაფერს, რაც იდუმალებით იყო მოცული... წარმოსახვა უცხოველდებოდა — წარმოიდგენდა ხოლმე ზედა სართულზე ჩამწკრივებულ საწოლ ოთახებს, რომლებიც ყველაზე უფრო ტურფა და უფრო გრილიც ეგონა; მხიარულებით და სიცოცხლით სავსე დერეფნებს; მიჯნურთა ვნებებს — არა გაცვეთილს და ობმოკიდებულს, ლავანდის ხმელ ფოთლებში შენახულს, არამედ კისკასსა და მჩქეფარეს; ახალთახალი მანქანების სუნსა და ელვარებას, მეჭლისებზე უხვად მოტანილ ცინცხალ ყვავილებს. ისიც აღაგზნებდა, რომ მანამდე უკვე ბევრ მამაკაცს ჰყვარებია დეიზი. ეს მის თვალში ღირსებას მატებდა ასულს. გეტსები გრძნობდა იმ მამაკაცების სუნთქვას სახლის ყოველ კუნჭულში, თითქოს ყველაფერი გაედენთილი იყო მათი მართლ-ღვარე განცდების შორეული ზმანებით და გამოძახილით.

ისიც მშვენივრად იცოდა, რომ დეიზის სახლში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა. რაგინდ დიდებული უნდა ყოფილიყო მისი მომავალი, როგორც ჯეი გეტსებისა, იმხანად მაინც არაფერს წარმოადგენდა; იყო ერთი უგროშო. უწარსულო უმაწვილი კაცი და ყოველ წუთს მოსალოდნელი გახლდათ, რომ სამხედრო ფორმა — ეს უჩინმაჩინის წამოსასხამი, სადმე ხელიდან გამოსცლოდა. იმიტომ დროს არ ჰკარგავდა, ცხოვრებას ართმევდა ყველაფერს. რაზეც ხელი მიუწვდებოდა; ართმევდა ყაჩაღურად და დაურიდებლად. ოქტომბრის ერთ მშვენიერ საღამოს ასე მოიპოვა დეიზიც. მოიპოვა სწორედ იმიტომ, რომ არავითარი უფლება არ ჰქონდა ხელი ეხლო მისთვის.

იქნებ შეზიზღებოდა კიდევ თავისი თავი, რადგან ქალს რითში ქცევით მოუგო გული. იმას როდი ვამბობ, გამოგონილი მილიონებით დასხა-მეთქი თავბრუ, არა, მაგრამ დეიზის თანდათან შეუქმნა შთაბეჭდილება, საკუთარ ფეხზე მყარად ვდგავარო. თავი ისე მოაჩვენა, თითქოს იმავე წრეს გეტოვნოდა, სადაც თვით დეიზი აღიზარდა და რომ სავსებით შეეძლო უზრუნველყო მისი ცხოვრება. სინამდვილეში კი ამის თავი არ ჰქონდა — ზურგს ვერ უმაგრებდა შეიღებული ოჯახი და მთავრობის უპიროვნო ძალას ყოველ წუთს შეეძლო გადაესროლა იქ, სადაც მოეპრიანებოდა.

მაგრამ თავი არ შეზიზღებია და საქმეც ისე როდი წარიმართა, როგორც ელოდა. ალბათ განზრახული ჰქონდა წაეღო რასაც შეიძლებდა და წასულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა — თვითონ იტვირთა წმინდა გრაალის მორჩილი თავუანისცემა. იცოდა, დეიზი არაჩვეულებრივი გოგონა იყო, მაგრამ იმას კი ველარ წარმოიდგენდა, ასე არაჩვეულებრივი თუ იქნებოდა ეს „დახვეწილი“ გოგონა. დეიზი შთაენთქა თავის მდიდარ სახლს, მდიდარ და სავსე ცხოვრებას და გეტსბი ხელცარიელი დარჩენილიყო. მაგრამ უცნაური გრძნობა კი დაუფლებოდა, თითქოს დეიზი და ის ჯვარდაწერილები იყვნენ.

ორი დღის შემდეგ, როცა ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ, გეტსბის შეეკრა სუნთქვა და არა ქალს, გეტსბი იყო რალაცით მოტყუებული. ფუფუნებით ელვარებდა დეიზის აივანი; ჩალის სავარძელმა საამურად რომ გაიჭრიალა და ქალი გეტსბისკენ ყელმოღერებული შებრუნდა. ვაჟმა არ დააყოვნა და აკოცა ეშხიან. ლამაზ ტუჩებში. ქალი გაციებული იყო, ხმაში ხრინწთან ერთად ეშხიც შემატებოდა. გაოგნებულმა გეტსბიმ შეიცნო სიყმაწვილე და საიდუმლოება ტყვედმქმნელი, მაგრამ მფარველი სიმდიდრისა, უამრავი ცინცხალი სამოსელის საამო სურნელი და თვით დეიზი — ვერცხლივით ელვარე, უზრუნველი და ამაყი. სიღარიბის ციებ-ცხელებისა რომ არა უწყოდა რა.

* * *

— ვერც კი აგიწერ. როგორ განვცვიფრდი, ძმაკაცო, როცა მივხვდი, რომ შეყვარებული ვიყავი. ერთხანს იმის იმედი მქონდა, თვითონ მიმატოვებდა, მაგრამ თურმე თვითონაც შეეყვარებოდა. ძალიან მცოდნე კაცი ვეგონე, რადგან მე სხვა რამ ვიცოდი, მან სხვა... ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ჩემს ძველ ზრახვებს ზურგი ვაქციე და აცუვარულს გავუხსენი გული, ყოველ წუთს უფრო და უფრო ღრმად მიეტოპავდი და უკვე აღარაფერი მენაღვლებოდა, რაში მჭირდებოდა დიდი საქმეების კეთება, როცა ამ ასულთან ჩემს გეგმებზე საუბარი უფრო მეტ სიხარულს მანიჭებდა.

მაშინ, საზღვარგარეთ წასვლის წინა საღამოს, გეტსბი, მის მკლავებში მომწვედელ დეიზისთან ერთად, დიდხანს იჯდა გარინდებული. შემოდგომის ცივი დღე იდგა, ოთახში ბუხარი ენთო და დეიზის ლოყები ალეწოდა. ქალი დროდადრო შეირხეოდა ხოლმე, გეტსბი ამ დროს ოდნავ შეცვლიდა თავისი მკლავის მდგომარეობას. ერთხელ აკოცა შავ, ელვარე თმაზე. იმ საღამომ ერთხანს დააცხროთ, გულში ღრმად ჩაჰედული სახსოვარივით შემოთრიათ იგი იმ ხანგრძლივი განშორების დროისთვის, ხვალინდელი დღე რომ ჰპირდებოდათ. ერთი თვე იყო, რაც ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ არასოდეს ყოფილან ისე ახლოს და ისე ერთსულნი, როგორც იმ წამებში, ქალი ბაგეებით რომ ეალერსებოდა მხა-

რზე და ეხუტებოდა მის სამხედრო ზაღათს. ან როცა კაცს ქალის თითებს ფრთხილად ეხებოდა, თითქოს შიშობდა, ძილი არ დაეუფრთხლო.



ქართული
განათლება

სამხედრო საქმიანობას იმის დროს გეტსბიმ მშვენივრად გაართვა თავი. ფრონტზე წასვლის წინ კაპიტანი იყო, ხოლო არგონის ბრძოლების შემდეგ მაიორის წოდება მიიღო და დეიზის მეტყვიაშტრქვევითა ნაწილის უფროსი გახდა. საომარ მოქმედებათა შეწყვეტისთანავე, შინ დაბრუნებას ცდილობდა. მაგრამ რაღაც აირ-ღაირია თუ უბრალო გაუგებრობის მეოხებით ოქსფორდში ამოყო თავი. აქ კი მოუსვენრობამ შეიპყრო — დეიზის წერილებში ერთგვარი შიში და უიმედობა გამოსჭვიოდა. დეიზის ვერ გაეგო, რატომ არ ჩამოდიოდა გეტსბი. გარემო მძიმე ტვირთად აწევებოდა ასულს და სულს უხუთავდა. ამიტომ ეჩქარებოდა გეტსბის ნახვა. სურდა თავის გვერდით ჰგულებოდა იგი, რათა დაბრუნებოდა თუნდ იმის რწმენა, რომ არაფერს იქმნოდა მცდარსა და უგვანოს.

დეიზი ჯერ კიდევ ნორჩი გახლდათ და იცნობდა მხოლოდ თავისივე ოცნებით შექმნილ სამყაროს, ორქიდების სურნელებით და ხალისიანი, სნობური ყოფით, ორკესტრებით. რომლებიც მხოლოდ წლის უახლეს რიტმებსა სცნობდნენ და ახალ სასიმღერო კილოკავებში გამოხატავდნენ ამქვეყნიურ დარღს და საფიქრალს. საქსაფონები მთელი ღამე მოთქვამდნენ „ბილ სტრიტ ბლიუზის“ სევდიან ჰანგებს; ასობით ქალ-ვაჟის ოქროს თუ ვერცხლის სირმით გაწყობილი საცეკვაო ფეხსაცმელი აპყლოდა მათ რიტმს და მტვრის ლიცლიცა ბუღს აყენებდა. მაშინ, როცა ჩაის სმის ყომრალი ჟამი დგებოდა, ბევრგან, სასტუმრო ოთახებში, გულის ჩქროლვით აპყვებოდნენ ხოლმე ამ სუსტ და საამო თრთოლვას; სიცოცხლით აავსე სახეები ვარდის ფურცლებით ხან აად დაფარფატებდნენ. ხან სად, თითქოს საყვირების სევდიანმა ჰანგმა აიტაცა და ოთახში ანანაეებსო მათ.

ახალი ალოს დადგომიდანვე დეიზი კვლავ აპყვა ამ მწუხრის სამყაროს. უმაღვე გაუჩნდა ექვსიოდე თაყვანისმცემელი. დღეში ექვს პაემანზე ასწრებდა წასვლას. ექვს მამაკაცთან შეხვედრას. გათენებისას ბრუნდებოდა შინ. დაქანცულს უმაღვე ეძინებოდა. ძლივსლა იხდიდა მძივებითა და თხელი აბრეშუმით გაწყობილ სამეჯლისო კაბას და იქვე, ლოგინთან მიაგდებდა ხოლმე, იატაკზე. დამტკნარ ორქიდებთან ერთად. ამ ხნის განმავლობაში რაღაც შინაგანი ხმა მიწყევ ეძახდა და სთხოვდა გადაეწყვიტა რამე. სურდა ახლავე, დაუყოვნებლივ მოეწყო თავისი ცხოვრება და გადაწყვეტდა კიდევ ამ ნაბიჯის გადადგმას. თუკი აიძულებდა რაიმე ძალა — სიყვარული იქნებოდა ეს, ფული თუ ამკარად ხელსაყრელი რამ გარიგება.

შუა გაზაფხულზე, ტომ ბიუტენენის ჩამოსვლის შემდეგ, ეს ძალაც გამოჩნდა. ტომი კაცადაც ზორბა იყო და ცხოვრებითაც. ამან მოხიბლა დეიზი. ცხადია, ვიდრე გადაწყვეტდა, საკუთარ თავთან ბრძოლაც დასჭირდა და მერე, უთუოდ, შვებაც იგრძნო. წერილმა გეტსბის ოქსფორდშივე ჩაუსწრო.

ქმეცია



ლონგ-აილენდზე ირიქრავა, ახლა ქვედა სართულის ფანჯრებს ვალებდით. ოთახები მორუხო-მოოქროსფერო შუქით აივსო. ხის ჩაღრმავებული და ცვარულ მოლს, ლურჯ ფოთლებში გალობდნენ აჩრდილები. მიშალული ჩიტები. პაერი ზანტად, საამოდ იშხუშნებოდა. — ნიაფი არც კი ეთქმოდა ამას, მაგრამ აშკარა იყო, რომ გრილი, წარმტაცი დღე თენდებოდა.

— არა მგონია, დეიზის ოდესმე ყვარებოდა იგი. — ფანჯარას ზურგი აქცია გეტსბიმ და გამომწვევად შემომხედა. — უთუოდ გახსოვს, ძმაკაცო, დეიზი ძალიან აღელვებული იყო. იმანაც ისე ჩამოუკიკლა ის ამბები, რომ ქალს შეეშინდა, ალბათ ეილაც ბაცაცი ვეგონე. შედეგი თავადაც ნახეთ, აღარ ესმოდა, რას ამბობდა.

ნალვლიანი ჩამოვდა.

— რა თქმა უნდა, ახლად დაქორწინებულმა ეგებ სიყვარულიც იგრძნო მისდამი, წამით, მაგრამ მაშინაც კი მე უფრო ძლიერ ვუყვარდი, გესმის?

მოუღწეოდ უცნაური რამ მითხრა:

— ასე იყო თუ ისე, მისი პირადი საქმეა ეს.

როგორ გაიგებ კაცი ამ სიტყვებს?! უნდა იფიქრო, ალბათ ისე ღრმა იყო გეტსბის შეზღუდულება დეიზისთან მისი ურთიერთობის შესახებ, რომ ვერც გაზომავდი.

საფრანგეთიდან მაშინ დაბრუნდა, როცა ტომი და დეიზი ჯერ ისევ საქორწინო მოგზაურობაში იყვნენ. ველარ მოითმინა და გულგატეხილი გაემგზავრა ლუისვილს. მიიარ-მოიარა ის ქუჩები, სადაც ერთად დააბიჯებდნენ და თეთრად ათენებდნენ ნოემბრის ღამეებს. ის ადგილებიც მოინახულა ქალაქგარეთ, სადაც დეიზის თეთრი მანქანით ჩაგრილდებოდნენ ზოლმე. ერთ კვირას დარჩა იქ და ჯარში აღებული უკანასკნელი ხელფასი ამ სევდიან მოგზაურობას მიახარჯა. როგორც დეიზის სახლი ეჩვენებოდა ყველაზე უფრო მხიარული და იდუმალეზით მოცული, ისე ეს ქალაქი. — ახლაც, როცა დეიზი აქ აღარ ცხოვრობდა, — სევდით მოცულ მშვენიერებას განასახიერებდა მისთვის.

ლუისვილიდან უკან დაბრუნებისას ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს უფრო ბეჯითად რომ ეძებნა, იპოვიდა დეიზის. ასე ეგონა, დეიზი აქ, ქალაქში რჩებოდა, ჯიბეში კაბიკიც აღარ ედო და საერთო ვაგონში იჯდა; ძალიან ცხელოდა, დერეფანში გავიდა და გადმოსაწევ სკამზე ჩამოვდა. სადგური თვალს მიეფარა; უცხო შენობებმაც სწრაფად ჩაიქროლეს. მერე გაზაფხულის მინდვრები გადაიშალა. ერთხანს ხალხით გაჭედილი ყვითელი ტრამვაი აედევნა მატარებელს. იმ ხალხში ალბათ ისეთებიც იყვნენ, ვისაც ქალაქის ქუჩებში ერთხელ მაინც დაენახა დეიზის მშვენიერი ფერმკრთალი სახე.

მატარებელმა მოუხვია და მზეს ზურგი აქცია მნათობი დასავლეთისკენ გადახრილიყო და შორს დარჩენილ ქალაქს, სადაც ერთ ღროს სუნთქავდა დეიზი, ახივგაშლილი დასჩერებოდა, თითქოს ლოცვა-ურთხევას უთვლიდა გულამღვრეულმა გეტსბიმ ფანჯარაში გაპყო ხელი ვაცს ეგონებოდა. პაერის ფშვენა სურსო დაიჭიროს, ხელისგულში სურს მოიქციოსო მცირე რამ ქულა იმ გარემოსი, რომელიც გეტსბის სიყვარულით გაუთბია ასულს. მაგრამ ახლა ყველაფერი ერთობ სწრაფად მიჰქროდა მის დალიბრულ თვალთა წინაშე და იცოდა, რომ

დეიზის სამყაროს უმშვენიერესი და უნორჩესი ნაწილი სამუდამოდ იყო დაკარგული.

ცხრა საათი იქნებოდა, საუზმე რომ დაგამთავრეთ და აივანზე გავედიო. ღამით ამინდი მკვეთრად შეცვლილიყო, ჰაერში შემოდგომის სურნელი ტრიალებდა. კიბეს მეზაღე მოადგა — ისღა შემორჩენოდა ძველ მსახურთაგან.

— აუზი უნდა დავცალო დღეს, ბატონო გეტსბი. მალე ფოთოლზე ყველას დაიწყებს და, ხომ იცით, მიწები დაიგმანება.

— დღეს ნუ იზამ, — სთხოვა გეტსბიმ და მე მომმართა, თითქოს თავი იმართლათ. — იცი, ძმაკაცო, ამ ზაფხულს ერთხელაც არ ჩავსულვარ აუზში...

საათზე დავიხედე და წამოვდექი.

— თორმეტ წუთში გადის ჩემი მატარებელი.

მეზარებოდა ქალაქში წასვლა. მუშაობას მაინც ვერ შევძლებდი. ერთ უბრალო სტრიქონსაც ვერ დავწერდი. მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ გეტსბის მარტო დატოვება არ მინდოდა. ის მატარებელიც გავუშვი. მეორეც და როგორც იქნა, თავს მოვერიე, წამოვედი.

— დაგირეკავთ, — ვუთხარი ბოლოს.

— კარგი იქნება, ძმაკაცო.

— შუადღისთვის დაგირეკავთ.

ნელი ნაბიჯით დავეშვი კიბეზე.

ალბათ დეიზიც დამირეკავს, — მითხრა და შეშფოთებულმა შემომხედს, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ მეც დავუდასტურებდი.

— მეც ასე მგონია.

— კეთილი, ნახვამდის.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ჩემს გზას გავუდექი. ვიდრე მესერს მივალწევდი, რაღაც გამახსენდა და უკან გავიხედე.

— დამპალი ბრბოა, — გავძახე. — მაგ წყეულთა მთელ ბანდას თქვენ ერთი ჯობიხართ.

მერე ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი. ეს რომ ვუთხარი, ამის მეტად არასოდეს შემიქია, რადგან თავიდანვე უნდობლად ვეკიდებოდი და ბოლომდე ასე დავრჩი. ჯერ ზრდილობიანად დამიქნია თავი. მაგრამ შემდეგ სახე ღიმილით გადაებადრა, ნათელი, თანამდგომი კაცის ღიმილით. თითქოს ისეთი რამ მეთქვას, რასაც იმთავითვე სიხარულით ვიზიარებდით ორივე. მისი მყვირალა ვარდისფერი ტანისამოსი ელვარე ლაქად მოჩანდა თეთრი მარმარილოს კიბის ფონზე.

ის ღამე გამახსენდა, პირველად რომ ვეწვიე ამ მამაპაპურ სასახლეში, სამიოდე თვის წინ. ბაღი, ეზო-გარემო, მისასვლელი გზა ხალხით იყო გაჭედილი; ყოველი მათგანი მარჩიელობდა მასპინძლის ბიწიერებაზე. თვით მასპინძელი კი, მიაბიტად რომ იდგა კიბეზე და ხელის ქნევით ემშვიდობებოდა მათ, გულთ უბიწო ოცნებას დაატარებდა და არავის უმხელდა.

სტუმართმოყვარეობისთვის მადლობა გადავუხადე. ყოველთვის ასე იყო — მადლობას ვუხდიდით ყველა, მეც და სხვებიც.

— ნახვამდის, — გავძახე, — მშვენივრად ვისაუზმე, გეტსბი.

* *



ქალაქში ჩავედი. ერთხანს ვებრძოლე თავს და სამსახურის საქმე ვაკეთე — ათასნაირი საქონლის მიმდინარე ღირებულების სიას ვადგენდი. მაგრამ ჩემს მბრუნავ სავარძელში მალევე ჩამძინებოდა. შუადღე იქნებოდა, მუდღეუფონის ზარმა რომ გამაღვიძა. შევეკრთი, შუბლზე ოფლიც გამომსვლოდა. ჯორდან ბეიკერი რეკავდა; ხშირად რეკავდა ამ დროს, თვითონ მირეკავდა, რადგან იცოდა, რომ მის პოვნას მე ვერ შევძლებდი — ხან სად იყო, ხან სად, ან სასტუმროში ან კლუბში, ან ვინმესთან ოჯახში. საბოლოოდ გადმოიღვრებოდა ხოლმე ყურმილიდან მისი ხალისიანი, ბასბასა ხმა, თითქოს დაწესებულების ფანჯარაში გოლფის ლორთქო მინდვრის მცირე რამ კორდი შემოტივტივდაო. მაგრამ იმ დღეს ხმაში ხრინწი და უხეში კილო შეპარვოდა.

— წამოვედი დეიზისგან. — მითხრა, — ჰემსტედში ვარ. ნაშუადღევს საუთემბტონში უნდა წავიდე.

ალბათ სწორად მოიქცა. დეიზისგან რომ წამოსულა, მაგრამ მე მაინც გავლიზიანდი. მომდევნო სიტყვებმა საერთოდ გამიცოცხლა.

— წუხელ თავაზიანად ვერ მომეჩვენით.

— მაშ რა უნდა მექნა?

წამიერი ღუმილი ჩამოვარდა. მერე მომახალა:

— და მაინც თქვენი ნახვა მინდა.

— მეც მინდა თქვენი ნახვა.

— ვთქვათ, რომ არ წავიდე საუთემბტონში და ამ საღამოს მანდ ჩამოვიდე?

— არა, ამ საღამოს არ მოხერხდება.

— როგორ მასიამოვნეთ.

— ამ საღამოს შეუძლებელია, ათასი...

ერთხანს ასე ვიჭაქანეთ და უცრად შევწყვიტეთ ლაბარაკი. არ ვიცი, პირველად რომელმა დავაგდეთ ყურმილი. ვიცი მხოლოდ ის, რომ გული სულაც არ დამწყვეტია. ვერ მივუჯდებოდი ჩაის სუფრას და ვერ გავუბამდი ტკბილ საუბარს, სულაც რომ აღარასოდეს დამლაბარაკებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გეტსბისთან დავრეკე. ხაზი დაკავებული იყო. ოთხჯერ გავიმეორე, მაგრამ ბოლოს, ცენტრალური სადგურის მორიგემ გაწიწმატებულმა მითხრა, ხაზი დეტროიტს აქვსო დაკავებული. ამოვიღე მატარებლის მიმოსვლის განრიგი და მორიგი მატარებლის გასვლის დრო — 3 საათი და 50 წუთი შემოვხაზე. მერე მივეყრდენი სავარძლის ზურგს და ფიქრებში წავედი. შუადღე იდგა.

* *

დილით, მატარებლით ნაცრის მთებს რომ ჩავუარეთ, განზრახ გადავჯექი ვაგონის მეორე მხარეს. დარწმუნებული ვიყავი, ცნობისმოყვარეთა ბრბო მთელი დღე არ დაიშლებოდა. პატარა ბიჭები ალბათ მტვერში დაეძებდნენ სისხლის მუქ ლაქებს და ვინმე ყბედი მამაკაცი უთუოდ გამუდმებით ჰყვებოდა და ჰყვებოდა მომხდარ ამბავს, ვიდრე მის თვალშიც ნაკლებ დამაჯერებელი არ გახდებოდა იგი. ამის მერე აღარც ეს ენადგაკრეფილი გაიხსენებდა მირტლ უილსო-

ნის ტრაგიკულ თავგადასავალს და იგი სამუდამოდ დავიწყებას მიეცემოდა. ახლა ისევ იმ ამბავს უნდა დავუბრუნდე. უნდა მოგიტხროთ, რა მოხდა იმ დამეს გარაჟთან ჩვენი წამოსვლის შემდეგ.

გაუთხელებლად პირტლის დის, ქეთრინია მონახვა. როგორც ჩანს, იმ ღამით გაუტეხია თავისი სიტყვა, აღარ დავლევო, და როცა ჩამოუყვანილან, ისე უფილა სასმელისგან გამოთაყვანებული, ვერაფრით შეასმინეს თურქული ცხელი უკვე სასაფლაოზე წაასვენეს სანიტარული მანქანითო. მაგრამ ბოლოს, როცა შეიფნო, ქეთრინს გული შეუწყუხდა, თითქოსდა ეს იყო უველაფერზე საშინელი იმ დღეს მომხდარი უბედურებიდან. ვილაც კეთილმა თუ ცნობისმოყვარე კაცმა დის ცხედარს მანქანით დაადვენა იგი.

გარაჟის წინ შეუღამემდე ირეოდა ხალხი, ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა. უილსონი ამ დროს მერხზე იჯდა და ნელა ირწეოდა. კანტორის კარი ერთხანს ღია იყო. ყველა, ვინც კი გარაჟში შეუყოფდა თავს, ძალაუნებურად მის ოთახში იჭყიტებოდა. ბოლოს ვილაცამ იფიქრა, უხერხულიაო და კარი მიხურა. უილსონთან იყვნენ მიხაელისი და რამდენიმე სხვა მამაკაცი. თავდაპირველად ოთხი თუ ხუთი ადამიანი იყო იქ, მაგრამ მოგვიანებით ორი თუ სამი კაციღა დარჩა. კიდევ უფრო გვიან, მიხაელისი იძულებული გახდა ბოლოს შემორჩენილი ერთადერთი უცხო კაცისთვის ეთხოვა თხოთმეტ წუთს დაიცადეთ, ვიდრე სახლში გადავირბენ და ყავას მოვადულებო. ამის შემდეგ იგი გათენებამდე დარჩა უილსონთან.

სამი საათი იქნებოდა, როცა უილსონი ცოტა დაწყნარდა. გაუგებარი დუდუნი უფრო აზრიანი სიტყვით შეეცვალა — ყვითელ მანქანაზე ალაპარაკდა. ვიცი, ვისგანაც გავიგებო ყვითელი მანქანის პატრონის ვინაობას. ბოლოს ისიც წამოცდა, ორიოდ თვის წინ ჩემი ცოლი ქალაქიდან სახედალიღავეებული და ცხვირდასიებული დაბრუნდაო.

თავისივე ნათქვამი რომ გაიგონა, შეერთა და კვლავ საბრალობელი მოთქმა დაიწყო — „ოპ, ღმერთო ჩემო!“ გაიძახოდა სევდიანი ხმით. მიხაელისმა თავისებურად სცადა მისი გართობა.

— რამდენი ხანია ცოლ-ქმარი ხართ, ჯორჯ? გეყოფა ახლა, თავი შეიკავე. მშვიდად დაჯექი და მიპასუხე. როდის იქორწინეთ?

— თორმეტი წელია.

— ბავშვები თუ გყავდათ ოდესმე? კარგი, ჯორჯ, წყნარად იჯექი. შვილი არ გყოლიათ?

მუქი ყავისფერი ხოჭოები მიმქრალ შუქზე დაფუთფუთობდნენ. რამდენჯერაც ქუჩაში მანქანა ჩაიქროლებდა ხმაურითა და ჭრილით, მიხაელისს ის მანქანა ახსენდებოდა, ამ რამდენიმე საათის წინ ადამიანი რომ გაიტანა და არ გაჩერდა. გარაჟში გასვლა ეზარებოდა, რადგან დაზგას, სადაც მიცვალებული პირველად დაასვენეს, სისხლის ლაქები ეცხო. კანტორის იქით არსად მიდიოდა, იქ დაბორილობდა და დილამდე დაიზებირა, სადაც რა იდგა. დროდადრო უილსონს მიუჯდებოდა და ანუგეშებდა.

— რომელიმე ეკლესიაში თუ დადიხარ, ჯორჯ? ან დიდი ხნის წინ თუ დადიოდი? მღვდელს გამოვუძახებ, მოვა, დაგელაპარაკება, კარგი?

— არც ერთი ეკლესია არ მწამს.

— უნდა გწამდეს; რომელიმე ეკლესიას უნდა აღიარებდე, ასეთ დროს

მაინც გამოგადგება. ოდესმე მაინც იქნებოდი ეკლესიაში. ჯვარი ეკლესიაში არ დაიწერე? მისმინე, ჯორჯ, მომისმინე, განა ეკლესიაში არ დაიწერე ჯვარი?

— ეგ დიდი ხნის წინ იყო.

პასუხის გაცემასაც ძალა უნდოდა და რომ მოიკრიბა, რწმუნის ერთფეროვანი რიტმი დაერღვა. ერთხანს გაუუჩრდა. შემდეგ მიმქრალ თვალებში კვლავ ის ძველი გამომეტყველება ჩაუდგა — რაღაც იცოდა თითქოს და არც იცოდა.

— იმ უჯრაში ჩაიხედე. — უთხრა მიხაელისს და მაგიდაზე მიუშვირა ხელი.

— რომელ უჯრაში?

— აი, იმ უჯრაში.

მიხაელისმა უჯრა გამოსწია. შიგ მხოლოდ ძაღლის პატარა, ძვირფასი საყელო ეგდო, ტყავის იყო, წნული ვერცხლით გაწყობილი. სრულიად ახალი გახლდათ.

— ეს? — საყელოს ამოღებისთანავე იკითხა მიხაელისმა.

უილსონი მიაჩერდა და თავი დაუქნია.

— გუშინ საღამოს ვიპოვე. რაღაც მომიყვა მაგაზე, მაგრამ ვიცი, რომ სასულელეს ამბობდა.

— თქვენმა მეუღლემ იყიდა?

— თხელ ქალაქში გაუზვევია და თავის განჯინაში შეუნახავს.

მიხაელისი ამ ამბავში ცუდს ვერაფერს ხედავდა. უამრავი მიზეზი ჩამოთვალა, რატომ დასჭირდებოდა მის მეუღლეს ძაღლის საყელო. უილსონს უთუოდ მირტლისგანაც ასეთივე ახსნა-განმარტება ჰქონდა მოსმენილი და ამიტომაც ისევ მოთქმა განაგრძო, ჩურჩულით კვლავ იგივეს იმეორებდა: „ოჰ, ღმერთო ჩემო!“ მისი გამართობისა და მანუგეშებლის მეცადინეობა ამოაღმოჩნდა.

— ჰოდა, იმ კაცმა მოკლა, — აღმოხდა უილსონს. პირი უნებურად დააფჩინა.

— ვინ?

— გავიგებ მაგას.

— ავად ხარ, ჯორჯ. — უთხრა მეგობრულად, — აღელვებული ხარ და არ იცი, რას ამბობ, უმჯობესია თავი შეიკავო, დილაამდე წყნარად იჯექი.

— იმან მოკლა.

— შემთხვევით მოხდა, ჯორჯ.

უილსონმა თავი გააქნია, თვალები დაუვიწროვდა, ბაგე ოდნავ შეარბია და რწმენით გამსჭვალული „ჰმ!“-ო არც კი უთქვამს, მისი აჩრდილი ისე დაეფინა ტუჩზე.

— ვიცი, — მკაფიოდ წარმოთქვა, — მიმნდობი კაცი ვარ. ცუდი არავისთვის მინდა, მაგრამ გულში თუ ამოვიჭერი რამე, მივალწევ კიდევ. იმ მანქანაში იყო ის კაცი, მასთან დასალაპარაკებლად გამოვარდა გარეთ, მაგრამ მანქანა არ გაუჩერა.

ეს მიხაელისმაც დაინახა, მაგრამ აზრადაც არ მოსდიოდა, განსაკუთრებით ნიშანდობლივად მიეჩნია რამე. დარწმუნებული იყო, ქალბატონი უილსონი თავის ქმარს გაუბოდა და სულაც არ აპირებდა მაინცდამაინც იმ მანქანის გაჩერებას.

— ან რად უნდოდა?

— ძალიან ღრმა ვინმე იყო, — ისე თქვა უილსონმა, თითქოს ამით უბასუხაო შეკითხვას. — ააჰ... ჰ... ჰ...

ისევ რწევას მოჰყვა. მიხაელის ძაღლის საყუდელ ხელში შერჩა.

— იქნებ მეგობარი გყავს ვინმე, რომ დავურეკო, ჯორჯ?

ესეც ფუჭი იმედი იყო. მშვენიერად იცოდა, რომ უილსონმა მეგობარი არ ჰყავდა, არც ჰქონდა ამის თავი; სხვას კი არა, თავის მეუღლესაც ძლივს ჰყოფნიდა. ცოტა ხნის შემდეგ მიხაელისმა კმაყოფილმა შეამჩნია, რომ ოთახის ფანჯარაში რიჟრაჟის მოღურჯო სხივი ალიცლიცდა. გათენებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ზუთი საათისთვის უკვე ისე ინათა, რომ ოთახში შუქის ჩაქრობა შეიძლებოდა.

უილსონი გაყინული თვალებით მისჩერებოდა ნაცრის მთებს, სადაც მზრჩოლავი ნაცრის პატარა უცნაურ ლეგა ღრუბლებს აისის სიო ხან აქეთ ერეებოდა, ხან იქით.

— ველაპარაკე ჩემს მეუღლეს, — წაიჩურჩულა კარგა ხნის დუმილის შემდეგ უილსონმა; — ვუთხარი, ჩემი გაბრიყვება კი შეგიძლია, მაგრამ ღმერთს ვერ მოატყუებ-მეთქი. ფანჯარასთან მივიყვანე, — უილსონი ძლივს წამოდგა, ფანჯარასთან მილასლასდა და პირსაზრით შუშას მიეხუტა. — ვუთხარი, ღმერთმა ყველაფერი იცის, რაც ჩაგიდენია. ყველაფერი. ჩემი გაბრიყვება აღვილია. მაგრამ ღმერთს ვერ გააბრიყვებ-მეთქი!

მიხაელისი მის ზურგს უკან იდგა და შეძრწუნებულმა შეამჩნია, რომ უილსონი მისჩერებოდა ექიმ ტ. ჯ. ეკლბარგის უფერულსა და ვეება თვალებს, გარიჟრაჟზე რომ გამოჩნდა ახლად გაფანტულ ბნელში.

— ღმერთი ხედავს ყველაფერს, — გაიმეორა უილსონმა.

— ეგ რეკლამაა, — არწმუნებდა მიხაელისი. მერე რატომღაც შემობრუნდა, ფანჯარას ზურგი აქცია და ოთახს გახედა.

უილსონი აღვილიდანაც არ დაძრულა, დიდხანს იდგა ფანჯარასთან და აისის შუქს თავს უკანტურებდა. გადაქანცული მიხაელისი დილის ექვს საათზე მანქანის დამუხრუჭების ხმამ გაახარა. ესეც ღამით დატრიალებული უბედურების ერთ-ერთი მოწმეთაგანი იყო. დაპირებოდათ, უკან დავბრუნდებით. მიხაელისმა საუზმე სამი კაცისთვის მოამზადა, მაგრამ მხოლოდ თვითონ და ახლად მოსულმა კაცმა მიირთვეს. უილსონი შედარებით დამშვიდებული ჩანდა. მიხაელისმა გადაწყვიტა შინ წასულიყო და გამოეძინა. ოთხი საათის შემდეგ გაეღვიძა. ადგა და საჩქაროდ მიაშურა მგლოვიარე მეზობელს, მაგრამ უილსონი სადღაც წასულიყო.

მის კვალს მერე მიაგნეს — მთელი გზა ფეხით ევლო; ჯერ პორტ-რუზველტში მისულა. მერე გედს-ჰილზე; იქ თითო ნაჭერი ძეხვი და პური უყიდია, მაგრამ არ შეუქამია. ერთი ფინჯანა ყავა დაუღვია მხოლოდ. როგორც ჩანს, დაქანცული იყო და ნელა უვლია, რადგან გედს-ჰილამდე მხოლოდ შუადღისას მიუღწევია. არ გაძნელებულა მისი გზის აღდგენა — პატარა ბიჭუნებს შეუნიშნავთ უცხო კაცი, გიჟივით იქცეოდნენ; მძღოლებსაც მიუქცევიათ ყურადღება. რომ ვიღაც მამაკაცი გზისპირას იდგა და გაფაციცებით მისჩერებოდა მანქანებს. შემდეგ, სამ საათს აღარავის უნახავს, გაქრა სადღაც. მიხაელისისთვის ნათქვამი სიტყვის მიხედვით — მე გავიგებო, პოლიცია ვარაუდობდა, რომ ამ სამი საათის განმავლობაში უთუოდ გარაჟიდან გარაჟში დადიოდა და ყვითელ მანქანას

ეიბდა. მეორე მხრივ, გარაჟის არც ერთ მფლობელს არ შეუნიშნავს იგი. საუბრებელი იყო, რომ უფრო იოლი გზა ჰქონდა იმის გასაგებად, რაც ანტერესებდა. სამის ნახევარზე უკვე უესტ-ფგში იყო, გეტსბის სახლის გზა უკითხავს. ასე რომ, ამ დროისათვის უკვე გეტსბის სახელიც სცოდნია.

ორ საათზე გეტსბიმ საბანაო ტანსაცმელი ჩაიცვა და მსახურს დაუბარა: თუ ვინმემ დარეკოს, აუზში ვიქნები და შემატყობინეთ. გარაჟთან ცოტა ხნით შეჩერდა გასაბერი ლეიბისთვის, მთელი ზაფხული რომ ართობდა მის სტუმრებს. ლეიბი შოფერმა გააბერიინა. მერე შოფერი გააფრთხილა, რაც უნდა მოხდეს, ღია მანქანა გარეთ არ გაიყვანო. მძღოლს გაუკვირდა, რადგან მანქანის წინა მარჯვენა ფრთა შესაკეთებელი იყო.

გეტსბიმ ლეიბი მხარზე გადაიდო და აუზისკენ გასწია. გზაში ერთხელ შეჩერდა, მხარზე ლეიბი შეისწორა. მძღოლმა კიდევ ჰკითხა, ხომ არ მოგეშველოთო. გეტსბიმ თავი გააქნია და სიყვითლეშეპარულ ხეებში გაუჩინარდა.

ტელეფონზე არავის დაურეკია, მაგრამ მსახურს ძილი მაინც გაუტყდა. ოთხ საათამდე იყარაულა ყურმილთან — ბევრად უფრო მეტხანს, ვიდრე ამქვეყნად იყო ის, ვისთვისაც ტელეფონით დანაბარები უნდა გადაეცა. ჩემი აზრით, არც გეტსბის სჯეროდა, რომ დეიზი დაურეკავდა და ალბათ უკვე შეგუებულ იყო ამას. თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ გეტსბი მიხვედრილი იქნებოდა, რომ ძველ სამყაროს სამუდამოდ დაემშვიდობა; მეტად ძვირი დაუჯდა ამდენ ხანს ერთადერთი ოცნების ამარა ყოფნა. იწვა ალბათ და შეჰყურებდა ფერშეცვლილ ფოთლებში აჭიატებულ უცხო ზეცას; ალბათ ტანში დაჭინჭრა, როცა მიხვდა, რომ ვარდიც კი უცნაურია და რომ მზის სხივსაც თურმე ახლად ამოწვერილი ბალახისათვის სითბო არ ჰყოფნის. შეჰყურებდა იგი ხორციელ, მაგრამ არარეალურ ახალ სამყაროს, ავსილს საბრალობელი არჩდილებით, ჰაერის ნაცვლად ოცნებით რომ სუნთქავდნენ და უმიზნოდ დალასლასებდნენ... ვით ის ნაცარმოდებული ფანტასტიური არსება, ფრთხილად რომ მიიპარებოდა მისკენ, დაღვლარქნილ ხეებს ამოფარებული.

მძღოლმა — ვულფშიმის ერთ-ერთი პროტეჟეეზი იყო — სროლის ხმა გაიგონა. მერე მხოლოდღა იმას ამბობდა, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევიაო. სადგურიდან პირდაპირ გეტსბის სახლს მივაშურე. კიბესთან აღელვებული რომ მივიჭერი, მაშინღა გამოფხიზლდა ყველა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი უკვე იცოდნენ. სიტყვაც არ დაგვცდენია, ისე გავეშურეთ აუზისკენ ოთხი კაცი — მძღოლი, მოახლე, მეზღე და მე.

წყალი ოდნავ ირხეოდა, ძლივს შეამჩნევდით, რომ ერთი მხრიდან ახალი ნაკადი შემოდის და მეორე მხარეს მოიწევდა, საწრეტი მილისკენ. წყლის ლივლივს, პაწაწინა ტალღების ჩრდილსაც რომ ძლივს მოგაგონებდათ, უწესროვოდ მიჰყვებოდა დამძიმებული ლეიბი. სულ მცირე ნიაფიც, ოდნავ რომ აჭრიდა წყლის მშვიდ ზედაპირს, კვლავ და კვლავ უცვლიდა შემთხვევითი ტვირთით დამძიმებულ ლეიბს ისედაც შემთხვევით მიმართულებას. როგორც კი ჩამოცვნილ ფოთლებს შეეხებოდა, ლეიბი ერთ ადგილზე იწყებდა ნელ-ნელა ტრიალს და წყალში ტოვებდა მოწითალო კვალს, თითქოს ფარგლით წრე შემოხაზესო.

გეტსბი სახლისკენ როცა მიგვექონდა, მეზღემ ბალახებში შენიშნა უილსონის გვამი. ეს იყო და ეს, მსხვერპლთა შეწირვა ამით დასრულდა.

თავი IX



ორი წლის შემდეგაც, როცა მახსენდება ის საღამო, ის ღამე და მომდევნო დღე, თვალწინ მიდგას პოლიციელთა, ფოტოგრაფთა და ჟურნალისტთა დასახლებული რიალი გეტსბის კარ-მიდამოში. ცნობისმოყვარეთა შესაკავებლად ეზოს ტიშკართან თოკი გარდაგარდმო გაეჭიმათ და პოლიციელიც დაეყენებიათ. მაგრამ პატარა ბიჭებმა მალევე მიაგნეს ჩემი ეზოდან გეტსბისთან გასასვლელ გზას. პირლია ბიჭები აუზს არ შორდებოდნენ. ვილაც დარბაისელმა ყაყმა. ალბათ გამომძიებელი იყო, უილსონზე თქვა — შეშლილი ყოფილაო. დილის გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები ამ რიხიანი განცხადების გამოძანილი გახლდათ.

საგაზეთო ცნობები უმეტესად ზმანებასავით იყო — შეუსაბამო, დაწვრილმანებული და გულმოდგინე, მაგრამ ყალბი. გამომძიების დროს მიხაელისის ჩვენებით ნათელი გახდა, რომ უილსონი ცოლზე ექვნიანობდა. მე მეგონა, ყველაფერს დაფქვავდნენ — ბილწი სიტყვით. უშნოდ, უხეშად: მაგრამ ქეთრინმა — მას უნდა ეთქვა რამე, სიტყვაც არ დაძრა. პირიქით, საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა — შეღებილ-შესწორებულ წარბებს ქვემოდას ჭიუტად მისჩერებოდა მოსამართლეს და იფიცებოდა, ჩემს დას ჰრასოდეს უნახავს გეტსბი, შეხმატებილებულად, ბედნიერად ცხოვრობდა თავის ქმართან და არავითარი უსიამოვნება არ შეხვედრია არასოდესო. ეს თვითონაც დაიჯერა და ცხვირსაზოცაფარებული ისე აზლუქუნდა, თითქოს ამაზე ფიქრიც კი აუტანელი იყო მისთვის. ამრიგად, უილსონი „დარდის გამო შეურაცხად“ ადამიანად აღიარეს, რაც საქმის გასამართლებლად იყო საჭირო, და ყველაფერი ამით დასრულდა.

ყოველივე ეს უმნიშვნელოდ და არარსებითად მიმაჩნდა. საქმე ის იყო, რომ გეტსბის ახლობელი მართლმე აღმოვჩნდი. უბედურების შესახებ უესტ-ეგვილფში რომ შევატყობინე ტელეფონით, მერე თუ რამე დააეჭვებდათ, ან რამე პრაქტიკული საკითხი წამოიჭრებოდა, სულ მე მომმართავდნენ ხოლმე. პირველად გამიჯვირდა და ვიუხერხულე. მერე კი, რადგან გეტსბი საკუთარ სახლში გაუნძრევლად იწვა და არც სუნთქავდა, არც ლაპარაკობდა, თანდათანობით შევეჩვიე იმ აზრს, რომ პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა. სხვა არავინ იჩენდა რამე ინტერესს — მე ვგულისხმობ იმ ძლიერ პიროვნულ ინტერესს, რომლის უფლება, თუნდ მცირედი, ყოველ ადამიანს აქვს.

გეტსბის პოვნიდან ნახევარი საათის შემდეგ დეიზის დავურეკე. დავურეკე უნებლიეთ, არც კი დავფიქრებულვარ. მაგრამ ტომი და დეიზი იმ დღეს საღამოც წასულიყვნენ და ბარგი-ბარხანაც წაეღოთ.

— მისამართი არ დაუტოვებიათ?

— არა.

— არც ის უთქვამთ, როდის დავბრუნდებითო?

— არა.

— არც სავარაუდოდ უთქვამთ რამე, სად ვიქნებითო? ან მე როგორ მივაწვდინო ზმა?

— არ ვიცი. ვერაფერს გეტყვით.

გულით მინდოდა გეტსბისთვის ჭირისუფალი მეპოვნა. მინდოდა შევსულიყავი იმ ოთახში, სადაც ესვენა იგი და დამერწმუნებინა: „ვიპოვი ვინმეს, გეტსბი, ნუ იწუხებ. ჩემი იმედი გექნეს. ვიპოვნი ვინმეს...“

მეიერ ვულფშიმის გვარი ტელეფონის წიგნში არ აღმოჩნდა. მოახლე გოგონამ მითხრა მისი კანტორის მისამართი ბროდუეიზე. ცნობათა ბაურომ ტელეფონის ნომერი რომ მომცა, უკვე ზუთს გადაცილებული იქნებოდა და ვულფშიმის კანტორაშიც აღარავინ იყო.

- კიდევ ხომ არ დარეკავთ?
- სამჯერ დავრეკე.
- საჩქარო საქმე მაქვს.
- სამწუხაროა. ალბათ წასულები არიან.

ასტუმრო ოთახში რომ დავბრუნდი, ჯერ ვიფიქრე, იველი სტუმრები მოსულან-მეთქი, მაგრამ თურმე ხელისუფლების წარმომადგენელ ოფიციალურ პირთ აევსოთ ოთახი. მიცვალებულთან მივიღნენ, ზეწარიც გადახადეს და თვალდახუჭულ გეტსბის დააჩერდნენ. მე არ მშორდებოდა მისი ხმა: „მომხედე, ძმაკაცო, უნდა მიპოვო ვინმე. დიდი ჯაფაც რომ დაგადგეს, მაინც უნდა მიპოვო, ასეთ დროს მარტო ნუ მიმატოვებ“.

ვილაცამ შეკითხვები დამაყარა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, ზედა სართულზე ავგარდი და საჩქაროდ გადავქექე გეტსბის საწერი მაგიდის ფაუფეტავი უჯრები — გარკვევით არასოდეს უთქვამს, მშობლები ცოცხალი აღარ მყავსო. ვერაფერი ვნახე. კედლიდან მხოლოდ დენ კოდის სურათი მომჩერებოდა, ვით სახსოვარი დავიწყებულ ვნებათა ღელვისა.

მეორე დილას ნიუ-იორკში მსახური გავგზავნე, წერილი გავატანე ვულფშიმთან. გეტსბის შესახებ მინდოდა გამეგო რამე და ვთხოვდი, შემდეგი მატარებლით ჩამოსულიყო. წერის დროს გავიფიქრე, ამის თხოვნა რა საჭიროა-მეთქი. ეჭვიც არ მეპარებოდა, გაზეთების წაკითხვისთანავე აქეთ გამოეშურებოდა. დეიზიც, დარწმუნებული ვიყავი, უმაღლეს დებეშას გამოგზავნიდა და ნაშუადღევისთვის მივიღებთ-მეთქი. მაგრამ არც დებეშა მოსულა და არც ბატონი ვულფშიმი გამოჩენილა. საერთოდ არავინ ჩამოსულა რამდენიმე პოლიციელის, ფოტოკორესპონდენტისა და ჟურნალისტის გარდა. მოახლემ ვულფშიმის პასუხი რომ ჩამომიტანა, აღვშფოთდი. დაუმორჩილებლობიხ, მათ წინააღმდეგ გეტსბის მხარდამხარ ყოფნის ზიზღნარევი გრძნობა გამიჩნდა.

„ძვირფასო ბატონო კაროლეი, მთელს სიცოცხლეში ერთი ყველაზე უფრო თავზარდამცემი ამბავია ეს ჩემთვის. დაჯერებაც კი მიჭირს, ნუთუ ეს მართლა მოხდა. იმ კაცის ასეთმა გიჟურმა საქციელმა ყველა უნდა დაგვაფიქროს. ახლა მანდ ვერაფრით ვერ ჩამოვალ, მეტად მნიშვნელოვანი საქმით ვარ დაკავებული და ასეთ ამბავში გარევა არ შემიძლია. თუ რამე ისეთი იქნება, რომ ცოტა მოგვიანებით გამოგადგებით, გამომიგზავნეთ წერილი ედგარის ხელით. ელდა მეცემა და ძალ-ღონე წამერთმევა ხოლმე, როცა ასეთ ამბავს შევიტყობ.“

ჰეშმარიტად თქვენი მეიერ ვულფშიმი“.

ბოლოს ნაჩქარევი მინაწერიც ჰქონდა:

„გამაგებინეთ დაკრძალვის და სხვ. შესახებ. მის ოჯახს საერთოდ არ ეცნობდი“.

ნაშუადღევს ტელეფონმა დარეკა. საქალაქთაშორისომ მითხრა, ჩიკაგო გეძახითო, გადაეწვიტე. დეიზი რეკავს-მეთქი. მაგრამ ხაზს მამაკაცის ხმა მოჰყვა, წერილი, ძლივს ისმოდა.

— სლევლი ვარ...

— გისმენთ, — ასეთი გვარისას არავის ვიცნობდი.

— მანდ რა მოხდა? მიიღეთ ჩემი დეპეშა?

— არავითარი დეპეშა არ მოსულა.

— უმაწვილი პარკერი გაება, — სწრაფად მომაჩალა. — მაშინ დარჩენილი როცა მოლარეს ქალაქებს აწვდიდა, თურმე ნომრები ნიუ-იორკიდან ხუთი წუთის წინ პქონიათ მიღებული. იცით რამე ამის თაობაზე, პა? წინასწარ ვერაფერს გაითვალისწინებ ასეთ მიყრუებულ დაბაში...

— ალლო! — სიტყვა გავაწყვეტინე, სუნთქვა შემეკრა. — მომისმინეთ. ბატონი გეტსბი არა ვარ, ბატონი გეტსბი გარდაიცვალა.

ყურმილში დიდხანს ჩქამიც არ ისმოდა. უეცრად რაღაც შეძახილი შემომესმა... მერე რაღაცამ ჩხაკანი გაიღო და ხაზი გამოითიშა.

მგონი, შესამე დღეს მინესოტას რომელიღაც ქალაქიდან მოვიდა დეპეშა. ხელს აწერდა ჰენრი ჩ. გეცი. იგი იტყობინებოდა, დაუყოვნებლივ მოვდივარ და გთხოვთ მიცვალებული ჩემს ჩამოსვლამდე არ დაკრძალოთ.

ეს გეტსბის მამა გახლდათ, დარბაისელი მოხუცი კაცი, სასოწარკვედილი, შეძრწუნებული; ანაფორასავით ფართხუნა, ქამრიან პალტოში იყო გახვეული, თუმც სექტემბრის თბილი დღე იდგა. თვალებში დაუოკებელი დარდი და წუხილი ჩასდგომოდა. ჩემოდანი და ქოლგა რომ გამოვართვი, თავის მეჩხერ, ჭალარა წვერს დაუწყო წიწკნა. პალტო ძლივს გავხადე. ძალა აღარაფრისა პქონდა, წაქცევაზე იყო. სამუსიკო ოთახში შევიყვანე, იქ დავსვი და მსახურს საჭმელი მოვატანინე, მაგრამ პირი არაფერს დააკარა. აცახცახებული ხელით მხოლოდ რძიანი ჭიქა აიღო, მაგრამ ისიც სანახევროდ დაეღვარა.

— ჩიკაგოს გაზეთში წავიკითხე, — მითხრა, — ჩიკაგოს გაზეთში ყველაფერი ეწერა. იმწუთშივე აქეთ გამოვწიე.

— არ ვიცოდი, თქვენთვის სად შემომეტვალა.

თვალებს უაზროდ აცეცებდა, ვერ ისვენებდა.

— გიჟი იყო ის კაცი, — აღმოხდა, — მხოლოდ გიჟს შეეძლო ამის ჩადენა.

— ყავას ხომ არ მიირთმევდით? — შევებხეწე.

— არაფერი არ მინდა. ახლა არა მიშავს რა, ბატონო...

— კაროუეი.

— დიახ, ახლა უკეთ ვარ. სად არის ჯიმი?

სასტუმრო ოთახში ესვენა მისი ვაჟი. შევიყვანე იქ და დავტოვე. კიბეზე პატარა ბიჭები ამოსულიყვნენ, წინკარში იჭყიტებოდნენ. ვუთხარი, ვინც იყო ჩამოსული და ზღაზვნით გაბრუნდნენ უკან.

ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა გეცმა სასტუმრო ოთახის კარი გააღო და გამოვიდა. ქვედა ყბა ჩამოვარდნოდა, სახე აწითლებოდა, თვალიდან დროდადრო თბილი ცრემლი ჩამოუგორდებოდა. უკვე იმ ასაკში იყო, როცა სიკვდილი საშინელ ზმანებად აღარ ეჩვენებათ. ახლა პირველად ნახა მისი სახლი. მაღალი და დიდებული წინკარი რომ იხილა და აქედან გაჰხედა ერთიმეორეზე გადაბმულ უზარმაზარ ოთახებს, მის მგლოვიაზე გულს კრძაღვისა და სიამაყის გრძნობა შეეპარა. საწოლ ოთახამდე მივაცილე, მეორე სართულზე. ვიდრე პიკეს და ეილეტს იხდიდა, ვუთხარი, ყოველგვარი სამზადისი თქვენს ჩამოსვლამდე შევაჩერე-მეთქი.

— არ ვიცოდი, რას მოისურვებდით, ბატონო გეტსბი...

— ჩემი გვარია გეტ.

— ...ბატონო გეტ, ვიფიქრე, იქნებ დასავლეთში წასვლენ და ისურვოს-მეთქი.

თავი გააქნია.

— ჯიმის ყოველთვის აღმოსავლეთი მოსწონდა. განა აღმოსავლეთში არ გამდიდრდა? ჩემი ბიჭის მეგობარი იყავით, ბატონო...?

— უახლოესი მეგობრები ვიყავით.

— დიდი მომავალი ჰქონდა. მართალია, ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, მაგრამ აქ ჰქონდა დიდი ძალა. — შუბლზე მრავალმნიშვნელოვნად მიიღო ხელი და თანხმობის ნიშნად მეც თავი დავუქნიე.

— რომ ეცოცხლა, დიდი კაცი გახდებოდა, ჯეიმზ ჯ. ჰილისნაირი კაცი ქვეყნის შენებაში მიიღებდა მონაწილეობას.

— მართალს ბრძანებთ. — უხერხულობა ვიგრძენი, მაგრამ მაინც კვერი დავუქარი.

ერთხანს უხერხულად აწვალა საწოლის ღამაზე გადასაფარებელი, მერე როგორც იქნა, აიღო იგი და მოუხეშავად ჩაწვა ლოგინში. მყისვე დაეძინა.

ღამით ვიღაც კაცმა დარეკა, აშკარად დაფეთებული იყო. ჯერ მითხარი, თქვენ ვინა ხართო და მერე გეტყვით ჩემს გვარს.

— ბატონი კაროლეი გახლავართ, — ვუთხარი.

— ოჰ, — შევბოთ ამოისუნთქა. — კლიპსრინგერი ვარ.

მეც გულზე მომეშვა. ვიფიქრე, გეტსბის დაკრძალვას მეორე მეგობარიც დაესწრებოდა. არ მინდოდა გაზეთში გამოცხადება და ცნობისმოყვარეთა ბრბოს მოზიდვა. გადავწყვიტე ტელეფონით მეცნობებინა მხოლოდ რამდენიმე გულშემატკივარი კაცისთვის, მაგრამ ვერავინ დავიჭირე.

— ხვალ არის დაკრძალვა, — ვუთხარი, — პანაშვიდი სამ საათზე დაიწყება იქვე, სახლში. კარგს იზამთ, თუ დაურეკავთ ვინმეს, ვისაც გული შესტკივა.

— ო, რა თქმა უნდა, — უფროდ ხმა ჩაუწყდა, — არა მგონია, შევხვედეთ ვინმეს, მაგრამ თუკი ვნახე, უსათუოდ ვეტყვი.

ასეთმა ლაპარაკმა დამაეჭვა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, ჩამოხვალთ.

— იცით, ცხადია, შევეცდები. ახლა იმიტომ დავრეკე...

— მოიცაო, — სიტყვა შევაწყვეტინე, — მითხარი, ჩამოხვალთ თუ არა?

— იცით, საკმე ნამდვილად ასეა: ახლა რამდენიმე ნაცნობთან ერთად ავტო-გრინვიჩში ვცხოვრობ. მთხოვეს, ხვალ ჩვენთან მოდიო. პიკნიკი აქვთ თუ რაღაც ამის მსგავსი. მე, რა თქმა უნდა, ყოველნაირად შევეცდები, თავი დავაღწიო.

— ეჰ! — აღმომხდა უნებლიეთ. ალბათ გაიგონა, რადგან ნერვიულად, სხა-პასუხებით მომაცხრა:

— ახლა იმისთვის დავრეკე, რომ გთხოვოთ: სპორტული ფეხსაცმელი და-მრჩა მანდ და თუ ძალიან არ გაძნელდება, იქნებ მსახურმა გამომიგზავნოს. ჩო-გბურთის ფეხსაცმელია და უმაგისოდ უმწეო ვარ. ჩემი მისამართია ბ. ფ. ...

ველარ მოვუსმინე, დავკიდე ყურმილი.

ამის მერე უარესად გავწბილდი — ერთ ჯენტლმენს დავურეკე და ასე მითხრა — ახლა მაგაზე რასაც იმსახურებდა, ის მომიკაო. ჩემი ბრალი იყო.

არ უნდა დამერეკა ასეთი კაცისთვის. ეს ხომ ერთი იმათგანი იყო, ვინც ყოველთვის მწარედ დასცინოდა გეტსბის, როცა მისი ღვინით ზარხოშზე იყო მასული. დარეკვამდე უნდა დავფიქრებულიყავი.

დაკრძალვის დღეს, დილაადრიან ნოუ-იორკს მივაშურე მეიერ ვულფშმიშის სანახავად. სხვაგვარად მასთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. მელოდტი ბიჭმა ერთ-ერთ კარზე მიმითითა, რომელზეც ასეთი წარწერა იყო: „სტეფანის აქციონერთა საზოგადოება“. ოთახში არავიან ჩანდა. „ჰელოუ“ რამდენჯერმე ამოდ დავიძახე; ბოლოს, ტიხარს უკან კამათი გაისმა და იმავე წამს ოთახის კარებში მშვენიერი ებრაელი ქალი გამოჩნდა. შავი თვალებით მტრულად ამოთვალა ჩამათვალა.

— არავინ გახლავთ. ბატონი ვულფშმიში ჩიკაგოშია.

პასუხის პირველი ნაწილი აშკარა ტყუილი იყო, რადგან შიგ ვილაც უსტვენდა „ვარდის ბუჩქის“ მელოდიას, მაგრამ უსწოროდ.

— გეთაყვა, გადაეცით, რომ ბატონ კაროუეის სურს მისი ნახვა.

— ჩიკაგოდან აქ როგორ გაგიჩინოთ, განა ამდენი შემოძლია?

ამ დროს შიგნიდან დაძახილი მოისმა: — სტელა.

— თქვენი გვარი მაგიდაზე დადევით. — საჩქაროდ მიიხრა, — გადავცემ, როცა დაბრუნდება.

— მე კი ვიცი, რომ აქ არის.

გაბრაზებულმა ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი და აღშფოთებულმა ხელები გაასავსა.

— ახალგაზრდებს ყოველთვის ასე გგონიათ, როცა მოგესურვებათ, მაშ შეგიძლიათ აქ შემოხვიდეთ, — შემომიღრინა. — გავბეზრდი. მე რომ გეუბნებით, ჩიკაგოშია-მეთქი, ესე იგი, ჩიკაგოშია.

გეტსბის სახელი ვუხსენე.

— ოჰ-ჰო! — ისევ შემათვალა. — ხომ არ... რა გვარი, როგორ მიიხარით?

გვარი გავუმცორე და გავიდა. იმავე წამს კარებში დარბაისლურად ჩამოდგა მეიერ ვულფშმიში და ორივე ხელი ჩემკენ გამოიშვირა. შემოყვანა თავის სამუშაო ოთახში. სევდიანად მიიხრა, დღევანდელი დღე ჩვენთვის ყველასთვის სამგლოვიაროაო, და სიგარა შემომთავაზა.

— ის დღე მახსენდება, პირველად რომ ვნახე. — გამიბა ბაასი. — ახალგაზრდა მაიორი იყო, ჭარიდან ახალი დაბრუნებული. გულმკერდი ომში მიღებული მედლებით ჰქონდა დაფარული. ისე უჭირდა, ფორმას ვერ იხდიდა, საპოქალაქო ტანსაცმლის ყაღვა არ შეეძლო. პირველად იცით სად ვნახე: უაინბრენერის საბილიარდოში მოვიდა, ორმოცდამესამე ქუჩაზე. სამუშაო ითხოვა, რამდენიმე დღის უჭმელი იყო. წამოდი, წავისაუზმოთ-მეთქი. შევეპატიე, ნახევარ საათში იმდენი საჭმელი შეჭამა, ოთხი დოლარი არც კი ეყო.

— საჭმე თქვენ დააწყებინეთ? — შევეკითხე.

— დავაწყებინე?! მე ვაქციე კაცად.

— ოჰ!

— არაფრიდან: მართლაც რომ წუმპედან გზაზე გამოვიყვანე. ზრდილი, კარგი შესაბუნდობის ყმაწვილი იყო. როცა იპიც მიიხრა, ოგსფოროდის კაცი ვარო, იმავე წუთს განვჭვრიტე. საჭმეში გამომადგებოდა. ჩემი რჩევით ამერიკულ ლეგიონში შევიდა და მალევე დაწინაურდა. სწორედ მაშინ რალაც სამუშაოს

უსრულებდა ერთ ჩემს კლიენტს ოლბანიში; ასე ვიყავით ერთმანეთთან, — ტყუპად გამოიშვირა ორი კოტიტა თითი, — განუყრელნი.

დამაინტერესა, ეს თანამოღვაწეობა მოიცავდა თუ არა 1919 წელს, როცა მსოფლიო სერიები „გაასაქმეს“.

— ახლა შევდარია, — ვთქვი მე ცოტა ხნის შემდეგ, — მისი უახლოესი მეგობარი იყავით. ალბათ დღეს დაკრძალვაზე მობრძანდებით.

— მე კი მოვიდოდი...

— ჰოდა, მოდიოდა მერე.

წესტოებში ბალანი შეუთამაშდა. თავი გააქნია და თვალები ცრემლით აევსო.

— ვერ ვიზამ ამას, ვერ გავერევი მასეთ საქმეში, — მითხრა.

— არაფერში გარევა არ დაგჭირდებათ. ყველაფერი გათავებულია.

— როცა ადამიანს კლავენ, მე ასეთ საქმეში არ ვერევი, განზე ვდგები. ახალგაზრდობაში სხვაგვარად ვიქცეოდი. მეგობარი თუ მომიკვდებოდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, საფლავამდე არ მოვშორდებოდი. თქვენ იქნებ სანტიმენტალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მართლა გეუბნებით — უბედურ დღემდე ვიყავი მასთან.

მივხვდი, რალაც მიზეზით მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დასაფლავებაზე არ წამოსულიყო. რალას ვიზამდი, წამოსასვლელად გავემზადე.

— თქვენ უნივერსიტეტელი ხართ? — შემეკითხა მოულოდნელად.

მე მეგონა ისევ „გონტაქტებზე“ დამიწყებდა საუბარს, მაგრამ მხოლოდ თავი დამიქნია და ხელი ჩამომართვა.

— ერთხელ და სამუდამოდ დავიხსოვოთ, ადამიანს სიცოცხლეში უნდა ვუმეგობროთ და არა გარდაცვალების შემდეგ, — გამიზიარა თავისი აზრი, — მე ჩემი წესი მაქვს, გარდაცვალებული უმჯობესია მარტო დატოვო.

ვულფშიმის კანტორიდან გარეთ რომ გამოვედი, ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული. უესტ-ეგში რომ დავბრუნდი, სკრიდა. გამოვიცვალე ტანსაცმელი და გეტსბის სახლში გადავედი. ბატონი გეცი ბოლთასა სცემდა წინკარში. აღტაცებული იყო თავისი ვაჟით, მისი სიმდიდრე სიამაყეს თანდათან ჰმატებდა. ახლა ჩემთვის რალაცის ჩვენება სურდა.

— ეს სურათი ჯიმიმ გამომიგზავნა, — მთრთოლვარე თითებით ჯიბიდან საფულე ამოიღო და გამომიწოდა, — აი, ნახეთ.

კუთხეებში უკვე დამსკდარ, გაცვეთილ და ხელით გაჭუჭყიანებულ ფოტო სურათზე ეს შენობა იყო გამოსახული. ბერიკაცი აღგზნებული მითითებდა ხან ერთ დეტალზე, ხან მეორეზე: „აი, შეხედეთ!“ მერე ჩემს თვალებში ეძებდა აღფრთოვანების სხივს. ეტყობა, ფოტოსურათს ისე ხშირად აჩვენებდა ხალხს, რომ უთუოდ სურათი უფრო რეალურ რაიმედ მიაჩნდა, ვიდრე თვით სახლი.

— ჯიმიმ გამომიგზავნა. მე მეგონი ძალიან ლამაზი სურათია. ყველაფერი ისე კარგად ჩანს.

— ძალიან. ბოლო ხანს თუ ნახეთ?

— ორი წლის წინ ჩამოვიდა და სახლი მიყიდა, სადაც ახლა ვცხოვრობ. წელში გავტეხა მაგისმა სახლიდან გაქცევამ. მაგრამ ახლა ვრწმუნდები, ჰქონდა საამისო მიზეზი. იცოდა, დიდი მომავალი ექნებოდა. მას შემდეგ, რაც წარმატებას მიაღწია და ფეხი მოიკიდა, ძალიან კეთილად მექცეოდა.

სურათის შენახვას არ ჩქარობდა, თვალში მაჩვენებდა. მერე ისევ საფუ-
ლში ჩაიდო და ახლა დაფურცლული წიგნი ამოიღო ჯიბიდან, რომელსაც ერ-
ქვა — „გადახტი, კესიდი“.

— აი, ნახეთ, პატარაობისას ჰქონდა ეს წიგნი. აშკარად ჩანს მისი ბუნება.
წიგნი გადაშალა და ჩემკენ შემოაბრუნა, რომ კარგად დამენახა წიგნის
ბოლო, სუფთა გვერდზე მკაფიო ასოებით იყო გამოყვანილი: „განრიგე და თავ-
რიდი ჰქონდა დასმული — „12 სექტემბერი, 1906 წელი“. ქვემოთ კი შემდეგი
ეწერა:

| | |
|--|-----------------------|
| „ადგომა | 6-00 (დილით) |
| განტელებით ვარჯიში და კედელზე ცოცვა | 6-15 — 6-30 |
| ელექტროობის შესწავლა და სხვ | 7-15 — 8-30 |
| შრომა | 8-30 — 4-30 (საღამოს) |
| ბეისბოლი და სპორტი | 4-30 — 5-00 |
| ვარჯიში მკვერმეტუფელებში და ტანის დაუენება | 5-00 — 6-00 |
| საქირო გამოგონებებზე მუშაობა | 7-00 — 9-00 |

საერთო წესები

უქმად არ გავცდე შაფტერსთან ან (სახელი გაურკვევლად წერია).

გადავეჩვიო პაპიროსის წევას და რეზინის ღებვას.

აბაზანა — დღეგამოშვებით.

ზოგადი განათლებისათვის წავიკითხო კვირაში ერთი წიგნი ან
ჟურნალი.

კვირაში ერთხელ შევინახო 5 დოლარი (გადაშლილია) 3 დოლარი.

უკეთ მოვექცე მშობლებს“.

— ეს წიგნი შემთხვევით ვნახე, — მითხრა ბერიკაცმა, — პირდაპირ გე-
ხეენებს მის ხასიათს, არა? ჯიმი ძალიან დაწინაურდებოდა. ყოველთვის რაღაც
წესს იცავდა, ან ასეთს ან რამე სხვას. შეამჩნიეთ, როგორ ზრუნავდა ცოდნა-
განათლებაზე? ყოველთვის დიდად მოწადინებული იყო. ერთხელ მითხრა, რა
ლორივით ჭამო. გავლაზე ამისთვის.

არ უნდოდა წიგნის დახურვა. თითოეულ მუხლს ხმამაღლა კითხულობდა
და ცნობისმოყვარეობით შემომყურებდა. მგონი, იმასაც კი მოელოდა, საჩქა-
როდ გადავიწერდი ამ განრიგს.

სამს რაღაც წუთები აკლდა, როცა ფლაშინგიდან ლუთერანთა მღვდელი
ჩამოვიდა. ჩემდა უნებურად თვალი ფანჯრებისკენ გავექცა, სხვა მანქანებიც
ხომ არ მოდიან-მეთქი. გეტსბის მამასაც იგივე დაემართა, დრო კი მიდიოდა.
ყველა მსახური დარბაზში შემოსულიყო და გამოსვენებას ელოდებოდა. შეწუ-
ხებული ბერიკაცი თვალებს აფახულებდა, წვიმასა და უამინდობაზე აბუზლუნ-
და. ხუცესმა რამდენჯერმე დახედა საათს. განზე გავიხმე და ვთხოვე ნახევარი
საათი კიდევ დაეცადა. მაგრამ ამაოდ: არც ერთი კაცი აღარ მოსულა.

ხუთი საათისთვის სამი მანქანისაგან შემდგარმა პროცესიამ სასაფლაოს
მიადწია და ჭიშკართან შეჩერდა. წვიმა გაძლიერებულიყო. წინ იდგა მანქანა-
კატაფალკა, შემდეგ ლიმუზინი, რომელშიც ბატონი გეცი, მღვდელი და მე ვის-
ხედით; ცოტა მოშორებით, გეტსბის საბარგულიან მსუბუქ მანქანაში მთლიან-
ნად გალუმბული ისხდნენ ოთხი თუ ხუთი მსახური და უესტ-გველი ფოსტა-
ლიონი. სასაფლაოს ჭიშკარში როგორც კი შევედით, მანქანის დამუხრუჭების
სმა გავიგონე, მერე ჭყაპსა და ტალახში ვიღაც ტყაპატყუპით დაგვედევნა.

უკან მოვიხედუ. ეს ის ბუსთვალა კაცი იყო, ამ სამი თვის წინ გეტსბის წიგნებით აღფრთოვანებული რომ დაბორიანებდა მის ბიბლიოთეკაში.

მას შემდეგ აღარ მენახა. არ ვიცი საიდან გაიგო დაქრძალების ამბავი, არც გვარი ვიცი მისი. წვიმამ სათვალის სქელი მინები დაუსველა; მოიხსნა სათვალე, გაამშრალა და ბრეზენტის საფარს შეხედა, გეტსბის საფარს თაუზე რომ ჰქონდა მავდნენ.

მაშინ მხოლოდ გეტსბიზე მინდოდა მეფიქრა, მაგრამ უკვე ისე შორს იყო ჩემგან, ისლამახსენდებოდა, რომ დეიზიმ არც ღებეშა გამოგზავნა, არც ყვავილები. გულიც აღარ მომდიოდა. ბუნდოვნად შემომესმა ვილაცის სიტყვები: „კუთხეულ არიან მიცვალებულნი, რომელთაც დააწვიმთ“. ამაზე ბუსთვალე-ბიანმა ომახიანად მიუგო: „ამინ“.

ჩქარი ნაბიჯით დავეშვიტ უკან, მანქანებისკენ. წვიმა არ შენელებულა. ვიშკართან ბუსთვალა გამომელაპარაკა.

— გამოსვენებას ვეღარ მოვუსწარი, — მითხრა.

— ვერაფერ ვერ მოუსწრო.

— რას ბრძანებთ? — შეიცხადა, — როგორ, ღმერთო ჩემო? როცა სურდათ, ასობით მოდიოდნენ.

სათვალე მოიხსნა და ისევ გაამშრალა, შიგნიდანაც, გარედანაც.

— ეჰ, საცოდავი! — ჩაილაპარაკა.

• •

ერთ-ერთ ყველაზე საამურ მოგონებად დამრჩა ის დრო, როცა მოსამზადებელ სკოლაში და, შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლისას, საშობაოდ შინ, დასავლეთში ვბრუნდებოდი ხოლმე. ყველა, ვინც საშობაოდ ჩიკაგოდან გავდიოდით, დეკემბრის ერთ საღამოს, ექვსის საათისთვის, თავს ვიყრიდით ძველ, ჩამოქურუხებულ სადგურში — „იუნიონ სტეიშნ“. უკვე საზეიმო ორმეტრიულში ჩაბმული თითო-ორთა ჩიკაგოელი მეგობარი დასამშვიდობებლად იქ შემოვირბენდა ხოლმე. კარგად მახსოვს ბეწვის ქურქში გამოწყობილი გოგონები, რომლებიც სახლში ბრუნდებოდნენ რომელიღაც ქალბატონის პანსიონიდან; თვალწინ მიდგას სიცივით დამზრალთა ფშვინვა და ბაბანი; ანდა ძველი ნაცნობები, დანახვისთანავე შორიდანვე ხელშემართული რომ ვესალმებოდით შემდეგ ჯიქურ ვიწყებდით გამოკითხვას, ვინ სად იყო დაპატიჟებული: „ორდუეებთან მიდიხართ? პერსეიებთან? შულცებთან?“ მახსოვს ხელთათმანებში ჩაქმუჭნილი გრძელი, მწვანე ბილეთები; თვით შობასავით ხალისიანი იერი ჰქონდა კარიბჭის იქით, ჩიკაგო — მილუოკი — სენტ-პოლის რკინიგზის ხაზზე ჩამწკრივებულ მუქ ყვითელ ვაგონებს.

მატარებელი რომ დაიძვრებოდა და ზამთრის ღამეს ქშენით შეუტევდა, ნამდვილი თოვლით, ჩვენებური თოვლით დაფარული მიდამო ვაგონის ფანჯრებში ალიცლიცდებოდა და დროდადრო გაიქროლებდა ვისკონსინის პატარა სადგურების მბუტბავი შუქი; ჰაერი უეცრად გაიმსჭვალებოდა პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით. ნასადილეც, უკან როცა ვბრუნდებოდით ჩვენს ვაგონებში, ცივ ბაქნებზე ხარბად ვსუნთქავდით ცინცხალ ჰაერს და ვგრძნობდით, რომ ამ მხარის ალიკვალე შეილები ვიყავით. ერთხანს ამ უცნაური გა-

ხედის მორჩილებაში გახლდით, მაგრამ თანდათან ისევ უკვალოდ ვერწყმოდა მშობლიურ წილს.

ეს არის ჩემი შუა დასავლეთი — არა ხორბალი და მინდვრები ან სადღაც ჩაგარგული შვედური ქალაქები, არამედ იქ ეს თრთოლვისმომგვრელი მატარებლები, ჩემს ბავშვობაში სახლისკენ რომ მიმაქროლებდნენ, ანდა ქუჩის შუქით თუ ციგის ჟღარუნი ყინვიან ღამეში. ან განათებული ფანჯრებიდან თრთოლვით გამოფენილი დეკას ხვიარა წნულების ჩრდილი. მეც ყოველივე ამის ნაწილი ვახლავართ. ოდნავ დაღვრემილი — გრძელი ზამთრების გამო, ოდნავ თავდაგრეობული იმის გამო, რომ კაროუების ოჯახში აღვიზარდე. აღვიზარდე იმ ქალაქში, სადაც საცხოვრებელ სახლს დღესაც, წლების მანძილზე მფლობელის გვარით იხსენიებენ. ახლა ვამჩნევ, რომ მოთხრობილი ამბავი ნამდვილი დასავლური თავგადასავალია. ბოლოს და ბოლოს ტომიც და გეტსბიც, დეიზიც და ჯორდანიც, მეც — ყველანი დასავლეთელები ვართ. იქნებ ყველას რაღაც გვაკლდა ისეთი, რომ გვიჭირდა აღმოსავლურ ცხოვრებასთან შეგუება.

მაშინაც კი, როცა აღმოსავლეთი უფრო მიზიდავდა, როცა უფრო აშკარად ვამჩნევდი, რომ იგი სჯობდა მდინარე ოპიოს გაღმა გაფანტულ მოსაწყენ, გაქსუებულ ქალაქებს, გამუდმებული ინკვიზიციით მხოლოდ ბავშვებს და მოხუცებს რომ დაინდობდა ხოლმე — მაშინაც კი მახინჯი მეჩვენებოდა იგი. ახლაც, განსაკუთრებით უესტ-ეგს, ხშირად ვხედავ საშინელ სიზმრებში. ვხედავ ვიღაც გრეკოს ღამეულ სურათებს: ასობით სახლს, ერთსა და იმავე დროს ჩვეულებრივად რომ არის და უცნაურიც თავისი არქიტექტურით, ქედი მოუდრეკია გადმომხობილი ცისა და გაცრეცილი მთვარის წინაშე; ოთხი ფრაკიანი მამაკაცი ქუჩას მიჰყვება და საკაცით მიაქვთ თეთრ კაბაში გამოწყობილი მთვრალი დედაკაცი, ქალს ხელი ძირს ჩამოვარდნია და უსიცოცხლოდ ქანაობს, ცივად ელავს თვალმარგალიტი. დადუმებული მამაკაცები ერთ-ერთ სახლთან შეუჩვენებენ, მაგრამ თურმე შეცდნენ — ეს სხვა სახლი ყოფილა, არავინ იცის ამ ქალის არც გვარი, არც სახელი და არც არავის აინტერესებს ამის გაგება.

გეტსბის სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთის ეს ავი ზმანება თვალისაგან არ მშორდებოდა. მაგრამ თვალს არ შესწევდა იმდენი ძალა, დამახინჯებული სურათები შეელამაზებინა, როცა ჰაერში ხმელი ფოთლის ცისფერი კვამლი დატრიალდა და ქარმა თოვზე გაფენილი სარეცხი უცბად გაახერხეშა, გადავწყვიტე მშობლიურ ქალაქში დავბრუნებულიყავი.

წასვლამდე ერთი საქმე უნდა მომეგვარებინა, საკმაოდ ძნელი და უსიამოვნო. იქნებ თავის განებება სჯობდა, მაგრამ მსურდა ისე წავსულიყავი, ყველაფერი მოწეარიგებული დამეტოვებინა და არა იმის იმედით, რომ დაუზარებელი და გულგრილი ზღვა ჩამორეცხავდა ჩემი უარის დანალექს. ჯორდან ბეიკერს შევხვდი. გავიხსენეთ რაც თავს გადაგვხდა, ჯერ ორივეს ერთად, მერე მე, მარტოკას, ბეიკერი დიდ სავარძელში მშვიდად გადაწოლილი მისმენდა.

გოლფის სათამაშოდ იყო გამოწყობილი. მახსოვს, გავიფიქრე, კობწიად მაღლა აწეული ნიკაპით, შემოდგომის ფოთლის ფერი თმით და სპორტული თამაზებივით მრეში. მზეზე გარუჯული სახით, მშვენიერ ილუსტრაციას ჰგავს მეთქი. სათქმელი რომ დავამთავრე, პირდაპირ მომახალა — ვთხოვდებიო. ამას ცოტა ეკვის თვალის შევხედე, თუმცა რამდენიმე ჰყავდა ისეთი თაყვანისმცემელი, ერთი რომ დაეჭნია თავი, მყისვე ცოლად შეირთავდა, მაგრამ მე მაინც

გავიკვირვე. წამით ჩავფიქრდი, ხომ არაფერი მეშლება-მეთქი, ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონე ვითარება და დასამწვიდობებლად წამოვდექი.

— ისე, მაინც თქვენ მიღალატეთ, — მოულოდნელად მიმხრა ჯორდანმა.

— ტელეფონშივე მაგრძნობინეთ. ახლა გამიარა წყენამ, აღარც მახსოვხართ. მაგრამ მაშინ ეს ისე უჩვეულო იყო ჩემთვის, რომ ერთხელ უნებურად შემაწუხა.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

— გახსოვთ, ერთხელ, — განაგრძო ჯორდანმა, — მანქანის ტარების შესახებ ვისაუბრეთ.

— ჰო, დაწვრილებით აღარ მახსოვს.

— თქვენ მიმხარით, ცუდი მძღოლი მხოლოდ მანამდეა უნიფათოდ, ვიდრე ასეთსავე ცუდ მძღოლს შეხვდებაო. გახსოვთ? ჰოდა, შევხვდი მეორე ცუდ მძღოლს. არა? მე იმის თქმა მიხდა, რომ შევცდი თქვენში, ჩემი დაუდევრობით. პატიოსან, პირდაპირ კაცად მიმაჩნდით. ასე მეგონა, ჩუმად კიდევ ამაყო-ბდით ამით.

— ოცდაათი წლის კაცი ვარ, — ვუთხარი მე, — უკვე ხუთი წელია გადავბიჯე იმ ასაკს. როცა შეიძლება კაცი თავს იტყუებდეს და ეს პატიოსნებად მიგაჩნდეს.

აღარაფერი მიპასუხა. გაბრაზებულსა და ნახევრად შეყვარებულს საშინლად მწყუდებოდა გული. მაგრამ მაინც პირი კიბრუნე და ჩემს გზას დავადექი.

ოქტომბრის ბოლოს, საღამო ხანს, ტომ ბიუტენენს გადავეყარე მეხუთე ავენიუზე. ჩემ წინ მიაბიჯებდა მხნედ, ჯიქურ, ხელები ოდნავ გან-გან მიპქონდა, თითქოს რაღაც დაბრკოლებას უნდა შეებმოდა და დაეთრგუნა. თავს აქეთ-იქით აქნევდა, მკვეთრად; თითქოს თავისივე მოუსვენარ თვალებს შეხმატკბილებოდა. შეხვედრა არ მიხდოდა და ნაბიჯი შევანელებე. მაგრამ ამ დროს ოქროსულობის მაღაზიასთან შედგა და ფანჯრებში რაღაცას ჩააჩერდა. უცაბედად მეც დამინახა, შემომეგება და ხელი გამომიშვირა.

— რა მოხდა, ნიკ? ხელს არ მართმევ?

— არა, იცი, რასაც ვფიქრობ? — შენზე.

— გიყი ხარ, ნიკ, — შემომიტია, — გადარეული. არ მესმის, რა გემართება.

— ტომ, — მივახალე, — რა უთხარი უილსონს იმ დღეს?

უსიტყვოდ მომაჩერდა. სწორი იყო ჩემი ვარაუდი იმ სამი საათის შესახებ, რეებამ რომ ვერ გაარკვია, სად გაატარა უილსონმა. გზა განვაგრძე, მაგრამ ტომი უკან დამედევნა და მკლავში მწვდა.

— სიმართლე ვუთხარი, — აღაპარაკდა. — კარა მოგვადგა ისეთ დროს, როცა წასასვლელად ვემზადებოდით. მსახური გავაფრთხილე ეთქვა, რომ სახლში არ არიანო. მაგრამ ძალით დააპირა მალლა ამოსვლა. ისე აღელვებული ჩანდა. მომკლავდა კიდევ, რომ არ მეთქვა, ვისი იყო ის მანქანა. ჯიბეში რევოლვერი ჰქონდა ხელით ჩაბლუჯული და ერთი წუთითაც არ გაუშვია, ვიდრე ჩვენთან იყო...

შეცრად გამომწვევად ჩამეკითხა:

— მე რე რა, თუ ვუთხარი? ეგ ბიჭი მაინც ვერ აცდებოდა ასეთ ხვედრს. თვალში ნაცარს გაყრიდათ შენცა და დეიზისაც. სინამდვილეში უჩიადი ყოფილა. ისე გადაწყლიტა მირტლი. თითქოს ძალლი გაეჭყლიტოს. არც კი შეაჩერა მანქანა.

რა მეთქმოდა, არაფერი, იმ ერთადერთი ჭეშმარიტების გარდა, რომ მართლს არ ამბობდა, მაგრამ ამას ხომ ველარ ვიტყვოდი.

— ნეტავ თუ გგონია, მე არაფერი მაწუხებს. იცი, იმ ბინის ჩასაბარებლად რომ მივედი და კარადაზე შემოდებული დავინახე ის ობერტიალი კოლოფი ძაღლის ბისკვიტებით, დავჯექი და ჩვილი ბავშვივით ავზლუქუნდი. ღმერთმანი, საშინელება იყო...

პატიებით ვერ ვაპატიებდი, ვერც დავეთანხმებოდი, მაგრამ ერთ რამეს კი მივხვდი, ის, რაც ჩაიდინა, სწორ საქციელად მიაჩნდა. ალბათ ქარაფშუტობის და უწესრიგობის გამო. ტომი და დეიზი ქარაფშუტა ხალხი იყო — ჯერ დაუნდობლად დაამსხვრევდნენ საგნებს თუ ცოცხალ არსებებს, მერე შეძვრობდნენ ფულის ან უკიდევანო ქარაფშუტობის საფარქვეშ. ან რამე ისეთს ამოეთარებოდნენ, რაც ერთმანეთთან აძლებინებდათ, და სხვებს კი აიძულებდნენ მოეწესრიგებინათ მათ მიერ არეული საქმე...

ტომს ხელი ჩამოვართვი. სისულელედ მომეჩვენა გაჯიუტება, ვიგრძენი, რომ ბავშვივით კაცთან მქონდა საქმე. მერე იგი ოქროულობის მაღაზიაში შევიდა მარგალიტის გულქანდის ან იქნებ მაჯის უბრალო საკინძის საყიდლად და თავი დააღწია ჩემს პროვინციულ ბუტიაობას.

უესტ-ეგიდან როცა წამოვედი, გეტსბის სახლი ისევ დაცარიელებული იყო. მის მშვენიერ ბაღსაც აღარავინ უვლიდა — ჩემი ეზოსი არ იყოს, ბაღი მორეოდა. ვილაც ტაქსის მძღოლი, უესტ-ეგ ვაღიჯის მკვიდრი, ისე არ ჩაუვლიდა გეტსბის კარიბჭეს, რომ წამით არ შეეჩერებინა მანქანა და მგზავრებისთვის მისი კარ-მიდამო არ დაენახებინა. იქნებ სწორედ ის მძღოლი იყო, ვინც იმ შემთხვევის ღამეს დეიზი და გეტსბი ისტ-ეგში ჩაიყვანა; იქნებ ტყუილებსაც კი ჰყვებოდა. არ მინდოდა მისი მოსმენა და ყოველთვის, როცა სადგურზე მანქანას ვეძებდი, ამ მძღოლს საგანგებოდ ვერიდებოდი.

ყოველ შაბათ საღამოს ნიუ-იორკში ვატარებდი, რადგან გეტსბის გაჩახჩახებული, თვალისმომჭრელი ნადიმები ისე ცოცხლად ჩამრჩენოდა მეხსიერებაში, რომ მისი ბაღიდან გამუდმებით მესმოდა მუსიკის მიმქრალი ხმები, საცილ-ხორხოცი და მანქანების ხმაური. ერთხელ, ღამით, მართლა შემომესმა მანქანის კრიალი, შუქიც დავინახე მისი, გეტსბის სადარბაზოს კიბესთან შეჩერდა. არ გამოვეხმაურე. უთუოდ ვილაც უკანასკნელი სტუმარი იქნებოდა. ალბათ მოგზაურობდა სადმე, ქვეყნის დასალიერს და არ გაუგია, რომ ნადიმი სამუდამოდ იყო დამთავრებული.

წამოსვლის წინა ღამეს, როცა ბარგი უკვე ჩაწყობილი მქონდა და მანქანაც გაყიდული — ბაყალმა იყიდა, — გეტსბის ეზოში გადავედი, უკანასკნელად მოვაგლე თვალი ვეება, უმსგავს და გაუბედურებულ სასახლეს. კიბის თეთრ საფეხურზე პატარა ბიჭებს უხამსი სიტყვა დაეჯღაბნათ აგურის ნატეხით; მთვარის შუქზე იგი მკაფიოდ მოჩანდა. ფეხით გადავშალე ნაწიბნი, მერე ჩავედი სანაპიროზე და სილაში გავიშხლართე.

სანაპიროზე გაშენებული ყველა დიდი აგარაკი უკვე გამოეკეტათ, სინათლე არსაიდან მოჩანდა, ოდნავ ბეუტავდა მხოლოდ ბორანი, რომელიც სრუტეს გარდიგარდმო სერავდა ხოლმე. მთვარე მაღლა და მაღლა მიცურავდა, თანდათან უჩინარდებოდა შენობები. ვით რაღაც უმნიშვნელო რამ და მე წარმოვიდგინე ეს კუნძული, უკაცრიელი. ვით იმ უძველეს დროს, როცა პოლანდიელ

მეზღვაურთა თვალწინ პირველად გადაიშალა იგი, როგორც ახალი სამყაროს
მწვანე, ლორთქო გულმკერდი. აწ გარდასულ ზეთა ჩრდილში, ამ ზეთა ჩრდი-
ლში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს, მათ ჩუროჩულ-შრიალში
იფურჩქნებოდა საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა. ამ მღწის ზილვით
წამიერად მოხიბლულ ადამიანს, რომელიც ისტორიაში გეტსბის სასახლად, პირი-
პირ იდგა რაღაც ისეთთან, რაც შეესაბამებოდა გაოცებისა და აღფრთოვანების
მისეულ უნარს. უთუოდ სულთქმა შეეკვროდა და დაემორჩილებოდა მშვენიე-
რების ჭვრეტის მომენტსავე ძალას, თუმც არც ესმოდა იგი და არც ენატრე-
ბოდა.

სანაპიროზე გაშვართული ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს და
იმაზე ვფიქრობდი, როგორ გაოცდებოდა გეტსები, როცა პირველად შენიშნავ-
და მწვანე შუქს დეიზის ნავმისადგომის კიდეზე. გრძელი გზა გამოიარა, ვიდრე
ამ ლურჯ ბაღნარში დაივანებდა. თავისი ოცნება აქ ისე ახლო და ხელშესახები
ეჩვენებოდა. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თვალსა და ხელს შუა გამოეცლე-
ბოდა იგი. როდის ეგონა, რომ ყველაფერი უკვე განვლილი იყო, ჩამოტოვებუ-
ლი ჰქონდა სადაც უკან, ამ ქალაქის მიღმა განრთხმულ უსასრულო ბნელეთ-
ში, სადაც რესპუბლიკის მრუშე მინდვრები ლივლივებდნენ ღამეულ ცის ქვეშ.

გეტსების სწამდა მწვანე შუქისა, სწამდა სიცოცხლით სავსე მომავალი ბედ-
ნიერების, რომელიც ყოველ წელს სულ უკან-უკან მიიწევს ჩვენგან. მერე რა
მოხდა, თუ ახლა გაგვისხლტა იგი, ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით, უფრო
შორს გავიწვდით ხელებს... და ერთ მშვენიერ დილას...

ასე ვებრძვით ღინებას და აღმა მიგვყავს ჩვენი ზომალდი. მაგრამ ცხოვრება მიწყოფ უკანვე გვრიყავს. წარსულისაკენ.

თარგმნა თადო ბაქიშვილმა



დედის წერილი

რა უნდა ვწერო
ფიქრი მოღელავს,
ვზივარ მდუმარე, გულგასენილი...
უსაყვარლესი და უღმობელი
დევეს მაგიდაზე დედის წერილი.
მწერს იგი —
„შვილო, შობაა, ძაღვ,
ჩამოდი, ერთხელ დაგვაველ თვალის
ეგებ რაიმე უყიდო მამას,
მეც გამიხუნდა ძველი თავშალი,
რა ვქნა,
არ მომწონს, პოეტი რომ ხარ,
რად გინდა შუქი ყალბი დიდების?
იმ დღეებს ველი,
როცა ჩამოხვალ
და ისევ გუთანს მოვკიდები.
დავბერდი, შვილო,
აღარ მაქვს ძალი,
თორემ ხეტივალს განა დაგიშლი?!
მეც მინდა მყავდეს ოჯახში რძალი,
მეც მინდა მუხლზე მეჯდეს ბადიში!
შენ კი შვილები სად მიატოვე?
ცოლმაც გზა ნახა შენგან შორევი...
ან უმეგობროს,
უნათესაოს,
ხელ-ნელა გითრევს თრობის მორევი.
უსაყვარლესო!
რამ გამოგცვალა,
ასე მშვიდი და სახლის ერთგული?
შენით ვიყავით ბედის მლოცველი,
ახლა შენს გამო იღბალს ვემდურით.
განქარდა ჩვენი ყველა იმედი,
ახლ. მეც ვწუხვარ და მამაშენიც;

ადრე გვეგონა —
ფულს იშოვიდი
და პოეზიით ოჯახს არჩენდი!
ნე იმას ვჩივი,
ნე იმას ვნაღვლობ,
მიტომ ჩამომდის ცრემლი ღვარივით,
რაცა გაქვს, მასაც უაზროდ ფლანგავ,
ქარს მიაქვს ქარის შემოტანილი...
რა ვქნა,
არ მომწონს პოეტი რომ ხარ,
რად გინდა სხივი ყალბი დიდების?
ნეტავი იმ დღეს,
როცა ჩამოხვალ
და ისევ გუთანს მოვკიდები!
ცხენიც,
ძროხებიც გადაგვიშენდა,
შედედდა, შვილო, გულში ნალველი.
აქ რომ გვყოლოდი,
რალა გვიშავდა,
სოფლის თავკაცად შენ
დაგნიშნავდნენ
და გვექნებოდა სუყველაფერი.
თავანჯული ვივლიდით ხალხთან,
მოგვექცეოდნენ ყველანი კრძალვით,
იტრიალებდა ოჯახში რძალი,
შენც გაგივლიდა ეგ უცხო დაღლა
და მოხუც მშობლებს ნუგეშით შენით
გაუტკბებოდა სიბერის დღენი“...
ჩემი ცხოვრების ნალვლიან შარას,
ნუთუ არ მისდევს მცირე ნათელი?
გულჯავრიანი დავჭმუჭნი ბარათს.
ან საბასუხო სიტყვას და წერილს
უნდა გავანდო გულის სათქმელი.

* * *



წვიმის მერე, ღმერთო, როგორ
ბრწყინავს,
რა მშვიდია მშობლიური მხარე...
სული ჩემი დარჩენია ბინად
თაფლის სუნით გაჯერებულ ქარებს.

რა ექოა? რა წკრიალი ზარის?
ნუნარად სულომწერს
იმ გზებს ქარიშხლის,
როგორც იყო, უკვე გავასწარი!

დავცხრი, სიზმრად ჩაიარეს წლებმა,
უკვე ფერი გაუხუნდა მინდვრებს.
წლებმა, როგორც ვარდისფერმა
რემამ,
გადიქროლეს ქვეყნის ოთხივ კიდე.

ახლა ერთად ვნახოთ დამშვიდებით,
სად მივიდა ჩვენი ქვეყნის გზები,
და შევუნდოთ, თუ გვატკინეს გული
ზოგჯერ ჩვენი, ზოგჯერ სხვისი
ნებით.

გაიყოლეს თან ბული და მტვერი,
გადიკარგნენ შორეთს ველურ
სტვენით.

ვურიგდები, რაც იყო და რაც არ იყო,
მაგრამ მაინც სინანული გამკრავს,
რომ უმიზნოდ გაჰყვა სიჭაბუკე
დუქნების და სარდაფების ამქარს.

ან იმგვარი სინყნარეა ირგვლივ,
რომ მოისმის ხმა ფოთოლთა
ცვენის.

ნორჩი მუხა, ვით ბალახი ველზე
გადალუნა, ქარმა დაიყოლა.
ეჭა, ჩემო შმაგო სიჯეილევ,
შფოთიანი ოცნებების ქროლავ!

რა იღვრება ახლა მკერდში
მშვიდად,

* * *

ცისკარი ცისკარს გადაედრახა,
აკვამლებულა შვრიის ჯეჯილი...
ისევ გიგონებ, ძვირფასო, ახლა,
მოხუცებულს, ჩემო დედილო.

ხარ სევდიანი და მონყენილი,
კურთხეულ იყოს დედის ცრემლები!

კვლავინდებურად გორებზე გახვალ,
უღონო, ხელჯოხს ჩამოყრდნობილი.
უყურებ, მთვლემარ მდინარის

ჩვენ ვხულიგნობდით ზომაზე მეტად,
დები კი ჰგვანდნენ გაშლილ მაისებს...
რაც იყო, იყო, ძვირფასო დედა,
ოვალებს ცრემლებით ნულარ აივსებ!

ტალღას
როგორ მიჰყვება მთვარის
პროფილი.

კმარა ნადველი!
ჯერ კიდევ ღვივის
სითბო, აქამდის რომ არ გაღირსეთ...
ვინ დაუყურებს უხილავ ტკივილს,
როცა ფოთლები სცვივა ვაშლის ხეს.

მოგეძალება ფიქრები მწარე,
გამოუცნობი გიპყრობს განგაში,
რომ აღარ ნადვლობს მამის

რა მალე ქრება ბედნიერება,
ვით გაზაფხულის ხმოვა დილ-
დილით...

კერაზე
გაქსუებული შენი ვაჟკაცი.
სასაფლაომდე გაჰყვები ბილიკს,
ქვებს დაეყრდნობი დაღლილ
ხელებით...

რა ვქნა, მე მიჯობს რტოზე შერჩენას
ისევ ქარების ფრთებზე სიკვდილი.

□



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

თარგმნა თედო გაბიშვილმა

ტრამალი

ნ. დ. ტელეშოვი

გუნინ ტრამალზე გავიგონე წეროს ძახილი...
როგორ მსუბუქი, რა შორეული
ხმა ირხეოდა მდუმარ ველებზე!...
გზა მშვიდობისათ!
გულსატკეპნი არარა გრჩებათ,
მიფრინავთ შორეთს, მოყვავილე ბუნებისაკენ
ლურჯი და თბილი ზღვების გადაღმა —
აქ კი შემოდის დაღვრემილი,
მკაცრი ზამთარი.
ჩახმა ველები, აფრიალდა ტყეები ყვითლად,
ბუჩქნარში დაჩნდა ბილიკები, ნადირის კვალი,
ხრამები ფოთლით ამოივსო
და ღამლამობით
ნალვერდალივით ღვივის აქა-იქ
მშოერი მგლების მხურვალე მზერა.
დღეს უკვე მხარე მშობლიური გულს არ ახარებს...
მაგრამ ქარებზე მოქანავე ფრთოსანთა გუნდო,
არა მშურს უკვე,
არ მიღვიძებს მნარე სინანულს
თქვენი ძახილი — ამაყი და თავისუფალი...

აქ მოწყენაა,
ველოდებით ნალვლიან დღეებს.
მალე ტრამალზე დაივანებს ჭაღარა ჯანდი.
მალე ბურუსში გათენებას ვეღარ გავარჩევთ,
მხოლოდღა ახლო გორაკები დაჩნდება ოდნავ.
მე მაინც მიყვარს, მოქანავე ფრთოსნებო, ჩემი
მშობელი მხარე, ეს ველები, მისი სოფლები,
მისი ქოხები ღარიბი და არაფრის მქონე.
მე აქ დავბრუნდი დაქანცული, მოხეტიალე,

აქ შევიგრძენი სილამაზე მშობლიურ სევდის...
 აქ, ამ მწუხარე მშვენიერებებში ვეძიებ შვებას.
 არის დღეები — დაქროლებენ ქარები თბილი,
 გამოიხედავს მზე მიმცხრალი,
 გადაანათებს ძველ კარ-მიდამოს,
 ტყეებს, ტრამალებს, უჩინებელი
ზიზღიერება
 შეატბობს გრილ და ნესტიან ნეშოს,
 გამოაცოცხლებს ყველაფერს ირგვლივ...

რა საამოა ჩვენთან ყოფნა, ფრთოსნებო, მაშინ!
 რა მხიარულად, რანაირი ბილული სევდით
 ტყუთა შიშველი რტოების ზემოთ,
 არყის ხეების სანთელივით რტოების ზემოთ
 აციაგდება ხოლმე ჩვენი კამკამა ზეცა!
 ასეთ დროს ხშირად ვხეტილობ:
 ენოსვას აბრუებს
 ვერხვის დამჭკნარი ფოთლის სურნელი —
 ხოლო სმენას კი გაფრენილი შაშვის ჭახჭახი.
 ასეთ დროს ხშირად ხუტორისკენ მივყვები ბილიკს —
 საშემოდგომო ნახნავეები ხასხასებს ირგვლივ,
 გამჭვირვალე და ლაჟვარდოვან სივრცეში ამოდ
 ჭვივის ოქროსფრად ანთებული ნაყანეები.

ამ დროს მე ჩემი გაზაფხული მომიხმობს შორით, —
 ზაღდობის დღენი, სიჭაბუკე ან გაფრენილი,
 როცა, ფრთოსნებო, შეუცნობელ, სხვაგვარი სევდით
 ოცნება ჩემი სამხრეთისკენ მიგაცილებდათ...
 ვიხსენებ ახლა იმ გარდავლილ ბედნიერებას,
 მაგრამ წარსულზე აღარ ვჯავრობ, აღარა ვნადვლობ,
 რადგან რაც იყო —
 ჩემს მდუმარე გულში მარხია,
 ხოლო ქვეყანა კვლავ სავსეა მშვენიერებით!...
 ის წელთა ახლა ყველაფერი მეძვირფასება:
 გაზაფხულების ელვარება ლურჯ ზღვათა მიღმა,
 გადაჭირხლული ჩრდილოეთის მწირი ველები...
 ისიც — რაც თქვენთვის, წეროებო, ასე უცხოა. --
 დამორჩილება მოსაწყენი და მწარე ხვედრის!

* *

მხოლოდ ზეცა ნათელი და წყნარი...
 მხოლოდ მთვარის ეტლი
 მოანათებს უკაცრიელ ღამის
 ჩამობინდულ კედლებს.

ნაცნობი და შიშნარევი თრთოლვით
 ფხიზლობს გემი ღამის —
 ელანდება ნაპირები შორი,
 დაბრუნების ჟამი.
 ხან ცინცხალი ქარი მოუბერავს
 იდუმალი მხარის
 და ტლაშუნობს, როგორც სვავის ფრთები,
 ბნელ ტალღათა ჯარი...
 შორს ითხრება საფლავები სილის —
 ეს ზღვა მრავალს დაღლის
 და დამხრჩვალთა თმები განწილი
 განიმქრევა ტალღით...



* *

წინ გზაა შორი, გზაა ფერადი.
 შენ მშვიდი მზერით იქ იყურები.
 სუნთქავ, თრთის მკერდზე თეთრი საყელო,
 თითქოს გეხება ნიავის ფრთები...
 თავბრუდამხვევი თბილი სურნელი —
 მაგ მაღალ ყელზე ჩამოღვრილ თმების —
 სიჭაბუკესთან მობრუნებს წამით...
 შენ უმზერ ხვალეს...
 ო, ბედნიერო,
 მე კი წარსულში დამრჩა ყოველი!

* *

ისევ ზღვის მშვიდი იდუმალება,
 გამოღებული ზეცის კარები...
 მყუდროა ღამე, სავსეა გული
 აღტაცებითა და მდუმარებით!

უფალო, როგორ გითხრა მაღლობა,
 რომ კვლავ მაღირსე ასეთი წამი —
 წამი ტრფობისა და ნათელხილვის
 ამ ვარსკვლავებით ანთებულ ღამით!





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ანისულაშვილმა

ოსი

როგორც კი მივხვდი, ეს კაცი, რომელიც ახლა აი აქ, ვენეციაში, ანგლიკანურ ეკლესიასთან ხელს ართმევს მღვდელს, ოსი ლოუტონია-მეთქი, გამახსენდა, რომ წინა დღესაც ვნახე იგი: რიალტო ბრიჯზე იდგა, წინ თავახდილი ჩემოდანი ედო და მოსამართ სათამაშოებს ყიდდა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ოსისაგან არაფერი იყო გასაკვირი. თითქმის თორმეტი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს სწორედ ასეთსავე მოულოდნელ და სავსებით მსგავს ვითარებაში. მაშინაც იტალიაში შევხვდით. ლონდონიდან ერთი სურათის გულისათვის გამოვემგზავრე და ხელიდან რომ არ გამეშვა, მეორე დღეს აუქციონს უნდა დავსწრებოდი კელნში. რადგანაც აეროპორტის ტექნიკური პერსონალი გაიფიცა, უკანასკნელ წამს იძულებული გავხდი ღამის მატარებლით გავემგზავრებულყავი მილანიდან. პოდა, სწორედ მაშინ შევეჩხე ოსის სადგურზე, პირველი კლასის მოსაცდელ დარბაზში.

ეს დარბაზი ყოველთვის მაგონებდა ლონდონის რომელიღაც უბადრუკ კლუბს, რომელსაც თავისი დრო მოეჭამა. პირქუში დარბაზია, კედლებთან შავი გაპრიანებული ხის უზარმაზარი მერხებია ჩამწკრივებული, ხოლო წითელ ტყავადაკრული მაღალზურგიანი სკამები რომის პაპის ტახტს ჰგვანან. ოსიც რომის პაპივით იჯდა: ხელები სკამის სახელურებ-

ზე დაეწყო, თავი ოდნავ უკან გადაეწია, თვალები დაეხუჭა. ვიფიქრე, ავად იქნება-მეთქი — ის ხომ ხშირად ავადმყოფობდა. კანი უცნაურად აჭრელებოდა და უბეებიც ჩალილავებოდა. ზუსტად თანატოლები, ვიყავით, მაგრამ მაშინაც კი, სკოლაში რომ ვსწავლობდით, და ვმეგობრობდით, ოსი რამდენიმე წლით უფროსი ჩანდა ჩემზე. რალაც ნატანჯი, ბევრის მნახველი ბრძენკაცის გამომეტყველება ჰქონდა, რაც ალბათ დაბადებითვე დაჰყოლოდა.

მესიამოვნა მისი დანახვა იმ ღამეს. იქნებ იმიტომაც, რომ ომის დამთავრების შემდეგ აღარ გვენახა ერთმანეთი და საკმაო დრო გასულიყო, რათა მის ხსოვნას, როგორც არ უნდა ჩამბეჭდვოდა გულში, ბინდი გადაჰკვროდა. წამით გულდასმით დაეაკვირდი მის მედიდურ სახეს, ხოლო შემდეგ მკლავზე შევებე. უცნაურად გადატკეცილი, დაჭორფლილი ქუთოთოები ფარდებივით ასწია. ეგ იყო და ეგ, ძარღვიც აღარ შეთრთოლებია პირისახეზე.

— ოსი...

მის შემხედვარეს გული შემეკუმშა. იჯდა და თავისი ტყვიისფერი თვალებით მომჩერებოდა, ვერც გაოცებდა შევატყვე და ვერც ის, რომ მიცნო. ჯერ ისევ სქელი, თუმცა ჭაღარაშერეული თმა უფრო გრძლად მოეშვა, ვიდრე ჩვეულებრივ ჰქონდათ მამაკაცებს იმ დროს, თუნდაც ოსისნაირ მამაკაცებს. თმა წარბებზე ჩამოფხატოდა და ყურებს უკან ჩახუჭუჭებოდა.

— ტერენს პოლიდი ვარ.

კიდევ რამდენიმე წამს არ განძრეულა, მერე კი ისეთი ოხვრა აღმოხდა, თითქოს თან გულიც ამოაყოლო, და შეაჭრყოლა.

— ვიცი, ძვირფასო, რა თქმა უნდა, ვიცი.

ოსის ყოველთვის უყვარდა ნელი, გაპრანჭული ლაპარაკი, რაც კიდევ უფრო აშკარად შეეტყო ახლა, თან სიტყვებს ხელის ნაცნობი ნერვული მოძრაობაც დაურთო.

— სულ არ გელოდი აქ! რას აკეთებ მილანში, ოსი?

უხერხულობა ვიგრძენი, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი სიტყვები ყალბად ჟღერდა — ძალზე დიდი გულწრფელობა და აღტაცება ჩავაქსოვე შიგ, ოსის კი ერთიცა და მეორეც სძულდა.

— მატარებელს ველოდები, ხუთი საათია აქა ვარ.

— ხუთი საათი? მატარებელზე დაგაგვიანდა?

— არა. შენც მშვენივრად იცი, როგორ მეშინია მატარებელზე დაგვიანების.

დიახ, ვიცოდი.

თუ გინდა მშვიდად და იმედიანად იყო, ადრე უნდა მიხვიდე სადგურში.

— კი მაგრამ, ხუთი საათით ადრე, ოსი?

მან მოუთმენლად გააქნია თავი.

— განრიგი ასეა შედგენილი და რა უნდა მექნა. ორი მატარებელია

დანიშნული. პირველი ნახევარ საათში გადიოდა, მეორე კი ხუთი საათის შემდეგ. ბუნებრივია, მე მეორე ვარჩიე.

— ეშმაკმა დალაზვროს, რას აკეთებდი აქ მთელი ხუთი საათი?

— არაფერს, ჩემთვის ვიჯექი მყუდროდ.

— მოდი, დავლიოთ რამე. მე არ მეჩქარება და შენც დროს გაიყვანდი.

— ხომ იცი, არ ვსვამ.

ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი. მთელი შაბათ-კვირა, რომელიც მასთან გავატარე კემბრიჯში 1945 წელს, სულ სვამდა, სულ მთვრალი იყო. მაგრამ ისე დავიბენი, ველარაფერი ვუთხარი. ვერც იმაზე ვუბასუხე რამე, როცა მითხრა, მონასტერში მივდივარო. შევთავაზე, ყავა მაინც დავლიოთ, კარგა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და სალაპარაკოც ბევრი გვაქვს-მეთქი.

მაგრამ, როცა მაგიდას მივუსხედით კაფეში, მივხვდი, რომ არაფერი გვექონდა სათქმელი. ოსი იჯდა, მოწყენილი დასჩერებოდა შავ ყავას, ცალი მკლავი თავისუფალ სკამზე დაეყრდნო, ფეხი ფეხზე გადაედო და სიტყვასაც არ სძრავდა.

— ჰო, მართლა, — დავიწყე ბოლოს ცოტა არ იყოს იმედდაკარგულმა, — მშვენიერი სადგური ჰქონია მილანს. კაცმა რომ მოისურვოს, აქ იცხოვრებს კიდეც — იმის თქმა მინდა, არაფერი გაუჭირდება-მეთქი: საჭმელიცაა — ნაირ-ნაირი კერძი თუ მსუბუქი საუზმე, ყველანაირი სასმელი, კეთილმოწყობილი საპირფარეშო, წიგნები, გაზეთები და მიღეთის ხალხი საცქერლად. შეგიძლია ნამოწვე, რომელ ტყავადაკრულ მერხზედაც გნებავს, და გემრიელად დაიძინო, ანდა რამდენიც გინდა ისეირნო, დარბაზის ერთი ბოლოდან მეორეში გახვიდე და გამოხვიდე — ადგილი იმხელაა, ცხენი გაჭენდება. აქ აფთიაქიცაა და სადალაქოც.

— კი, თავისუფლად იცხოვრებს, — თქვა ოსიმ და ყავა კოხტად მოსვა.

— იცხოვრებს, რატომაც არა.

ვგრძნობდი, სულელურად ვლაპარაკობდი.

— კარგი, ამჟამად რას აკეთებ, ოსი?

— რა ვიცი, ხან რასა და ხან რას, — მიპასუხა მცირე ხნის შემდეგ. — ინგლისური სიგარეტი გაქვს?

მაქვს-მეთქი, და მივეცი. ოსიმ სიგარეტი ფრთხილად ჩადო სპილთმძვლის მუნდშტუკში. ასეთი ხასიათი ჰქონდა, არაფრით არ მეტყოდა თავის ამბავს. ყოველთვის გულჩახვეული იყო, თუმცა, რაც კარგად ვიცნობდი, არაფერი მომხდარა საიმისო, რომ საიდუმლოდ შეენახა. მაგრამ, როცა სკოლაში ვსწავლობდით, სულ მალავდა რაღაცას. ვთქვათ, თუ წერილს კითხულობდა და ვინმე ჩაუვლიდა გვერდზე, იმწამსვე დაკეცავდა, ჯიბეში შეინახავდა. თავისი მერხის ერთი უჯრაც მუდამ საგულდაგულოდ ჰქონდა ჩაკეტილი. ხანდახან ლაპარაკში ვილაც ამხანაგს ახსენებდა და, თუ ვკითხავდი, ვინ არის-მეთქი, მეტყოდა, შენ არ იცნობო.

მიკვირს, მართლაცდა რატომ ვითმენდი ოსის უკმეხობას, რადგან, როგორც არ უნდა მომენათლა ეს, „უცნაურობად“ თუ „მანერულობად“, მაინც ვიცოდი, რომ უკმეხობა იყო, თუმცა იქნებ სრულიად უწყინარი

სახითაც გამოვლენილი. ოსი ჩემი მეგობარი იყო, ჩემი პირველი და საუკეთესო მეგობარი, და სიმართლე ის გახლავთ, რომ მასთან მეგობრობა დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა. გაცეცხლებული ვიყავი, მე რომ ამომიჩრჩია, და ისე მეშინოდა, მისი კეთილგანწყობილება არ დავკარგო-მეტყუი, რომ დაბრმავებული ველარ ვამჩნევდი, რა ქედმაღლურად მეტყუოდა ხშირად.

და მაინც ეს მხოლოდ ნაწილია სიმართლისა. მარტო მანჭვა-გრეხა, ქედმაღლობა და უკმეხობა როდი სჩვეოდა ოსის; რაღაც სხვაც იყო მის ბუნებაში, თუმცა ის სხვა კარგად იყო დაფარული. როცა თოთხმეტ-თოთხმეტი წლისანი ვიყავით, მანცვიფრებდა იგი, არასოდეს შევხვედროდი მის მსგავს ადამიანს, ოსი ამქვეყნად ყველაზე მომხიბლავ პიროვნებად მეჩვენებოდა. სოულიძალელი შეძლებული ექიმის ვაჟი ვიყავი. ოსი კი რუსეთში იყო დაბადებული, თუმცა ინგლისელი მშობლები ჰყავდა. მხოლოდ და მხოლოდ შვიდი წლისა იყო. როცა მოსკოვიდან მარტო წავიდა მატარებლით თურქეთში. ერთი წელი ირანში იცხოვრა, სადაც ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის ქალისაგან ოქრომკედითა და ვერცხლის ძაფით ქარგვა ისწავლა. იმ დროისათვის, ჩვენ რომ შევხვდით ერთმანეთს სასექსის სკოლაში, მამა გარდაცვლილი ჰყავდა, ხოლო დედა ებრაელ პიანისტზე იყო გათხოვილი. ისინი სულ მუდამ მოგზაურობდნენ, ასე რომ, ოსის არ ჰქონდა ნამდვილი სახლი. არდადეგებს ევროპის ქალაქების შემოვლაში ატარებდა ან არადა ბიცოლასთან, რომელიც საფოკში ცხოვრობდა ზღვის სანაპიროზე. ერთხელ მითხრა, როცა საფოკში ვატარებ არდადეგებს, ძალზე მოწყენილი ვარო. თავს იქ იმით ირთობდა, რომ ბიცოლამისის დედის ძველ ტანსაცმელს ამოალაგებდა სხვენზე შენახული სკივრიდან, ქალივით გამოეწყობოდა და გარეთ გადიოდა. ქუჩა-ქუჩა წარმოდგენას მართავდა, სანამ პატარა ქალაქის მეორე ბოლოში არ ამოჰყოფდა თავს. ყოველი ქუჩის კუთხესა თუ მოსახვევში მღეროდა, თან ცეკვავდა, ფეხებს აბაკუნებდა. პირისახეზე პუდრს ისვამდა, ლიმონისა და ფირუზისფერი ფანქრითაც იხატავდა. ამბობდა, გამვლულები ფულს არ იშურებენ, ჩეჩქივით მოდის, და პოლიციასაც მუდამ ვუსხლტები ხელიდანო. მაშინ არ მჯეროდა მისი.

ოსი უცნაური ქონების პატრონი იყო, უცნაური კოლექციისა, რომელიც ყოველი სემესტრის დასაწყისში თან მოჰქონდა სკოლაში. ვფიქრობ, ამ ნივთებსა თუ საგნებს მისი სათაყვანებელი უნიათო დედის მეგობრები აძლევდნენ ანდა მამინაცვლისა, ალბინოსს რომ ეძახდა მეტად უფერული თმისა და მკრთალი კანის გამო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა გახუნებული ფარჩის პანია ფეხსაცმელი, რომელშიაც ერთ დროს ვინმე საცოდავი ჩინელი ქალი ძალით სტენიდა თავის დამახინჯებულ ფეხს. ოსი მას დროდადრო მიიზომებდა ხოლმე უსაშველოდ გრძელ, მაგრამ მაინც მოხდენილ ფეხზე. ერთი ჩალისფერი ხის ყუთი ჰქონდა, სპილოს ძვლით ინკრუსტირებული — ზედ ინდური ეროტიული სურათები იყო გამოყვანილი. ოსი ზედაც არ უყურებდა ამ სურათებს. ცხოვრებამოყირჭებული კაცივით მეტყუოდა ხოლმე, როგორც სჩვეოდა საერთოდ, — რაც კი საცოდნელია, ყველაფერი ვიცი ასეთ რამეებზეო. პოდა, მეც ასე გაგიჟებით რომ მწადდა ამ სურათების ახლო ნახვა, ძალაუნებურად

ცხოვრება მოყვარებული კაცის სახე უნდა მიმელო და ვერ ვბედავდი ოდნავი ცნობის მოყვარეობა გამომეჩინა მაშინაც კი — ისეთ მოკრძალებულ შიშს მინერგავდა მისი პატრონი — როცა ოსი ოთახიდან იყო გასული. მის კოლექციაში იყო ერთი ციციქნა იაპონური თოჯინა — ძალზე, ძალზე მოხუცი, სახედანაოჭებული კაცი, იისფერ სამოსელში გამოწყობილი, რომელსაც საოცრად შერჩენოდა პირვანდელი პენი. აქვე იყო მძიმე ბეჭედი ინიციალებით QQR — მახსოვს. ოსი მეუბნებოდა, ეს ჩემი წინაპრის, ქვენტინ ქვენინგტონ როისის ინიციალებიაო. ჰქონდა რუსული მინიატურული სუნამოს შუშაც, ოვალური ფორმისა, საკმაოდ მძიმე და ფაქიზად მომინანქრებული, ლამაზი, წვრილი ყვავილებით დაფარული. ვფიქრობ, ეს შუშა ძვირფასი უნდა ყოფილიყო. ვინ იცის, იქნებ ყველაფერიც ძვირფასი იყო მის კოლექციაში. სულ მიკვირდა, როგორ ატანენ-მეთქი სკოლაში. ერთხელ მზაკვრული ფიქრი მომივიდა, ეს ყოველივე სულ არ ეკუთვნის ოსის, დედამისს ან ალბინოსს მოპარავდა, ანდა — თუმცა ეს ნაკლებ დასაჯერებელია — საფოკელი ბიცოლას სახლიდან გამოაყოლებდა-მეთქი ხელს. მაგრამ შემრცხვა ამ ფიქრისა და უკუვაგდე იგი.

ოსი და მე ახლო მეგობრები ვიყავით სკოლაში მისვლის დღიდან იმ დღემდე — ეს კი სამწლიანხვედრის შემდეგ გახლდათ, — როცა იგი წავიდა სკოლიდან, უფრო სწორად, აღარ დაბრუნდა საშობაო არდადეგების შემდეგ. ახლაც მახსოვს, როგორ შესძრა მთელი ჩემი არსება ამ ამბავმა, როგორ გადასხვაფერდა ჩემთვის ქვეყანა, რა საძაგელ, უღიმღამო, გაცრეცილ, კიდებდაგრეხილ სურათს დაემგვანა იგი, თუმცა სწორედ მაშინ გახლდათ განსაკუთრებით ლამაზი, რადგან თოვლით იყო დაფარული.

ორიოდ კვირის შემდეგ ოსიმ წერილი გამომიგზავნა ისრაელიდან, სადაც ოჯახით გადასულიყვნენ საცხოვრებლად. მისი თქმით ისრაელში გადასვლა „კეთილდღეობას“ უქადდათ. ლამის ავად გავხდი, ისე ვეჭვიანობდი ისრაელზეც, დედამისზეც და ალბინოსზეც, ყველაზე, ვისაც კი ოსისთან ექნებოდა ურთიერთობა, მეგობრებზე, რომლებსაც იგი გაიჩენდა. ვიცოდი, როგორ გახუნდებოდა ჩემი სახე, რა საცოდავ მეტოქეობას გავუწევდი ბრწყინვალე, დიდებულ პიროვნებებს, რომელთაც ალბათ შეხვდებოდა ოსი, და მე გრძელ, სულისშემძვრელ წერილებს ვწერდი მას.

იგი არ მპასუხობდა. და თუმცა შობას საუცხოოდ მოხატული ეგზოტიკური ბარათი მივიღე მისგან, ჩემს წამებასა და ეჭვიანობას უკვე ბოლო მოღებოდა. კვლავ დამიბრუნდა ხალისი, კვლავ შემოიჭრნენ ჩემს ცხოვრებაში ახალი ადამიანები. ჰოდა, ერთ დღესაც აღმოვაჩინე, რომ დიდად არ მაკლდა ოსი.

მაგრამ განგების ძალით ჩვენ კვლავ უნდა შევწვედროდით ერთმანეთს იმ წელს, სკოლა რომ დავამთავრე, და აღგვედგინა ძველი მეგობრობა თუ არა, ნაცნობობა მაინც. ოსიმ დატოვა ისრაელი, როგორც „ძალზე პროვინციული“ ქვეყანა, და ლონდონში ჩამოვიდა. თითქოს ჯადოქარიყო. სინათლით, მხიარულებითა და ბრწყინვალე ფერებით გაფანტა პირქუში, დაძაბული ატმოსფერო, რაც მიუნხენის ამბებს მოჰყვა. უსამშობლო ადამიანთა უზარმაზარ ჯგუფს ართობდა წვეულებებზე, მდინა-

რეზე სეირნობისას, დღის წარმოდგენებზე, კოკტილზე რიცში და ღმერთმა იცის, კიდევ რას არ აკეთებდა. ნიჭიერი და მომხიბვლელი მდიდარი ახალგაზრდა კაცივით ცხოვრობდა, თუმცა ვერც ნიჭით დაიტრიალებდა, ვერც დიდი მომხიბვლელობით, რადგან ბუნებით უკმეხი კაცი იყო, და ვერც სიმდიდრით. რამდენადაც ვიცოდი, დედა უგზავნიდა მას გროშებს ნიუ-იორკიდან, სადაც ახლა თავის სკლეროზით დაავადებულ ქმართან ერთად ცხოვრობდა. ოსი დღეში მხოლოდ რამდენიმე საათს იყო დაკავებული — მდივნად მუშაობდა, თუკი ამას მუშაობა ერქვა, ერთ მდიდარ და სახელგანთქმულ დრამატურგთან, გესლიან კაცთან, რომელიც გვარად შერუინი იყო. შერუინთან ურთიერთობისას გამოვლინდა, რაც კი ყველაზე ცუდი თვისება ჰქონდა ოსის. პატივმოყვარე, ამპარტავანი და თანაც უაღრესად უგუნური გამხდარიყო იგი. სწორედ მაშინ უმატა მანჭვა-გრეხას. ამასლა იყო გადაყოლილი, თავდაპირველად კი სკოლაში სწავლისას მხოლოდ თავს იქცევდა. ოსი პენიანად იცვაშდა, ძალიან ბევრს ჭამდა, პრანჭვით ლაპარაკობდა, ისე ჩლიფინებდა და წელავდა სიტყვებს, რომ ცოტა ხანში უკვე აღარ შემეძლო ამის მოთმენა.

და მე მაინც მიყვარდა იგი, ვიცოდი, მთლად წყალწაღებული არ იყო. ერთ-ორ წვეულებაზე ვესტუმრე კიდევ და ვცადე, თუმცა უშედეგოდ, ოდნავ მაინც გონივრულ საუბარში გამოშენვია. მაგრამ ოსის არ სურდა ეს და ისიც სავსებით ნათელი იყო, რომ ვერც მე შევეგუებოდი იმ სამყაროს, რომელშიაც იგი ცხოვრობდა. ერთ ცნობილ სურათებით მოვაჭრესთან ვმუშაობდი და თავისუფალ დროს მხატვრობის ისტორიას ვსწავლობდი ან გალერეებში დავდიოდი. ეს ყოველივე კი ოსისა და მისი ნაცნობ-მეგობრების თვალში ერთობ სერიოზულ კაცად წარმომაჩენდა.

— ტერენსი ხელოვნების დარგში მოღვაწეობს, — თქვა ერთხელ, როცა ვერცხლისფერ კაბაში გამოწყობილ, ზურგმოშიშვლებულ ქალიშვილს გააცნო ჩემი თავი, — მაგრამ ამან მოსაწყენ ადამიანად აქცია.

ამის შემდეგ უარს ვამბობდი ხოლმე მიპატიჟებაზე, ამიტომაც მალე ოსი სულ მომეშვა და ჩვენ ურთიერთობა გავწყვიტეთ. როცა ომის შემდეგ სწავლაო ფლოტში სამსახურს თავი დავანებე, ლონდონის ერთ-ერთ საუკეთესო გალერეაში მოვეწყე სამუშაოდ, რომლის თავკაციც მე ვარ ამჟამად. იმ დღის მერე, როცა მოულოდნელად გამოჩნდა და ძალად წამიყვანა შაბათ-კვირის გასატარებლად კემბრიჯში, სადაც სმას გადავყვით, ოსი დროდადრო ლამაზ ჭრელ პეპელასავით შემოფრინდებოდა ხოლმე ჩემს ცხოვრებაში და ისევ თვალს მიეფარებოდა, როგორც იმ ღამეს, მილანის სადგურში რომ იჯდა მაგიდასთან მოწყენილი და შეუძლოდ მყოფი.

ერთადერთი რამ, რაც იმ ღამეს შევიტყვე მის შესახებ, ის იყო, რომ ერთხანს პარიზში უცხოვრია. ისევ იქ ცხოვრობდა თუ არა, არ ვიცოდი, მაგრამ ერთი კი უეჭველია, მის შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ უწინდელ მხიარულსა და ფუქსავატურ ცხოვრებას ბოლო მოღებოდა. ეტყობოდა, ოსი საკუთარ არსებაში ჩაძირულიყო, თუმცა ვეჭვობდი, ამას რაიმე სასიკეთო შედეგი მოჰყოლოდა. ოსი დაღვრემილი იჯდა და აშკარად გულგრილად მისმენდა. ყავა რომ დავლიეთ, თუმცა ჯერ ად-

რე იყო, მაშინვე მატარებელს მივაშურე, რადგანაც დავიტანჯე, ისე გამიჭირდა სათქმელის პოვნა.

ბაქანზე გასასვლელს რომ მივალწიეთ, ოსი ერთ წერტილს მიაშტერდა ჩემს მარცხენა მხარს ზემოთ და მითხრა: „მასწავლებელ ხუთ გირვანქა სტერლინგს?“

ასეთი რამ უცხო იყო ოსისათვის — მუდამ სძულდა სესხება, თუნდაც ისეთი წვრილმანისა, როგორიც მელანი ან კონვერტია; სძულდა გასესხებაც. ხელს უჭერდა თავის ქონებას, თითქოს მისი ერთადერთი იმედი ეს არისო. ეტყობოდა, ველარასოდეს დავიბრუნებდი ფულს. ჩვენ ხომ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, მისამართიც კი არ მომცა, მაგრამ ეს არაფრად ჩამიგდია. მთლად არ გამქრალიყო ძველი სიახლოვე, მე და ოსის კვლავ გვაკავშირებდა რაღაც, მიუხედავად იმისა, რომ წლები გასულიყო, ჩვენც გამოვცვლილიყავით და იშვიათადლა ვხვდებოდით ერთმანეთს. იმ ღამეს თუმცა ასე კადნიერად იქცეოდა, ვგრძნობდი, რომ ჩვენ მაინც მეგობრები ვიყავით, რომ კვლავ შემეძლო ლალი, ხალისიანი ურთიერთობა გამება მასთან ყოველ დროს და ყველგან, ჩვენ უბრალოდ განვაახლებდით ნაცნობობას და ეგ იქნებოდა, ამისათვის კი სულაც არ იყო საჭირო, მიმონერა ან ოფიციალური მისვლა-მოსვლა გვექონოდა თვეობითა და წლობით. ხშირად მიფიქრია, ნეტავი ასეთი ურთიერთობა, რამდენადმე ერთი დედმამიშვილების ურთიერთობას რომ ჰგავს, ჩვეულებრივი ამბავია თუ მთლად იშვიათი რამ-მეთქი. რა თქმა უნდა, ამ კითხვას ვერ გავეცი პასუხი. ჯერაც ვერ გამიცია. სხვებიც ბევრნი იყვნენ, ვისთანაც უფრო ახლოს ვყოფილვარ და უფრო ხანგრძლივადაც, მაგრამ მათთან მაინც არ მაკავშირებდა ის ძაფები — რისა? სიყვარულისა? მოვალეობისა?

მე ოსის ხუთი გირვანქა სტერლინგის ოდენობის იტალიური ლირა მივეცი. მგონი, მადლობა არც უთქვამს, დაუდევრად ჩაიჩარა ფული გულის ჯიბეში და წავიდა, რომ კვლავ თავის მერხს დაბრუნებოდა მოსაცდელ დარბაზში. ეტყობოდა, ბარგი არ პქონდა. ვფიქრობდი, ნეტავ რომელ მონასტერში უნდა მიდიოდეს ან რატომ უნდა მიდიოდეს-მეთქი. მანუხებდა მისი ბედი. მართლაც ისე ძლიერი იყო ეს გრძნობა, კინალამ უკან გავყევი, იქნებ უფრო მეტი რამ შევიტყუო და გული დავიარხეინო, ოსის არაფერი დაემართება-მეთქი. დიდად დალხინებული არ ჩანდა და არ ვიცო, რას იზამდა, როგორ იშოვიდა ფულს, მე რომ არ შევხვედროდი. იქნებ როგორ უჭირდა! მერელა მომერია ბრაზი — შუალამისას მატარებელში გამომელვოდა, კინალამ ბოლმამ დამახრჩო, რომ ოსიმ ასე ბატონკაცურად ჩაიჯობა ჩემი ხუთი გირვანქა სტერლინგი, ერთხელ კიდევ გამასულელა და თავის ნება-სურვილზე მაცეკვა, როგორც სკოლაში მაცეკვებდა მუდამ და მეც მონური სიხარულით ვემორჩილებოდი. მაგრამ ეს ოროცდაათი წლის კაცი პატარა ბიჭი ხომ აღარ ვიყავი?!

ოსი კვლავ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან და ახლა აი, აქ იყო, ვენეციაში, მღვდლის გულის მოგებას ცდილობდა — მისკენ დახრილიყო და ყურადღებით უსმენდა. როცა შემოტრიალდა, დამინახა, წარბები ოდნავ აზიდა და საღმის ნიშნად ხელი ამინია. მაინცდამაინც არ გაკვირვებია ჩემი დანახვა, არც ნაბიჯი გადმოუდგამს ჩემკენ; აბა როდის სჩვეოდა ასეთი რამ. მელოდებოდა, რომ მე მივსულიყავი მასთან.

— არ ვიცოდი, თუ ღვთისმოსავი კაცი იყავი, ოსი.

— რა ღვთისმოსავი მე ვარ, ძვირფასო, სულაც არა. მაგრამ რაღა დაგიმალო და დავრწმუნდი, რომ ეკლესიაში სიარული სასარგებლოა. იმის თქმა მინდა, აქ მოსული კაცი ინგლისურ ლაპარაკს მაინც გაიგონებს-მეთქი.

მან ხელკავი გამიკეთა და სწრაფად მომაცილა იქაურობას. აკადემიისაკენ გავემართეთ.

— შეგიძლია ამერიკივზე დაშპატიყო, — მითხრა მან, — ოღონდ აქ არა, თვალს მივეფაროთ, ხომ იცი, როგორც არის...

არ ვიცოდი, მინდოდა კი მცოდნოდა.

— გეტყობა, ჩემი დანახვა არ გაგკვირვებია, — ვუთხარი.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო, ადამიანები ისე ხშირ-ხშირად ჩამოდიან ვენეციაში, ვერც კი წარმოიდგენ. ესეც რომ არ იყოს, მე და შენ თითქოს ორი ნავი ვიყოთ გაშლილ ზღვაში, ისე გადავანყდებით ხოლმე ხანგამოშვებით ერთმანეთს.

ვფიქრობ, ოსი მართალს ამბობდა. იქნებ დიდად არც მე განვცვიფრებულვარ მის დანახვაზე, მაგრამ წინა დღეს რიალტო ბრიჯზე მდგარი რომ მომაგონდებოდა, თავზარი მეცემოდა. ახლაც ისეთი სანახავი იყო, შეძრწუნებული შევყურებდი. მართლაც სულ ადვილად შეიძლებოდა ვერ მეცნო იგი.

შუახნის კაცი იყო და მოხუცივით გამოიყურებოდა. ხვეული თმა მთლად გასთეთრებოდა. წინანდელთან შედარებით უფრო გრძლად მოეშვა — საყელოზე ეფინებოდა და დროდადრო სახეზეც ჩამოეშლებოდა ხოლმე. კანზე წვრილი სისხლძარღვები დასტყობოდა წითლად, რომლებიც ყვრიმალეებზე ბადესავით იხლართებოდნენ. მშვენიერი, ლამაზად მოყვანილი ხელები მთლად გაღწოდა, მისი თლილი, გრძელი თითები რევმატიზმს დაეგრიხა. განსაკუთრებით ოსის ტანსაცმელმა გამოგნა, რომელიც ყველაზე მეტად აჩენდა მის მიუსაფრობასა და უბადრუეობას. ხალვათი ნაცრისფერი შარვალი ნათხოვარივით ადგა ტანზე. საყელო და მაჯებგაქუცული შავი ხავერდის ფრენჩი ეცვა — ყოველ შემთხვევაში, მაინც გამოსასვლელი ფრენჩი გახლდათ და არა ყოველდღიურად სატარებელი. ფრენჩიდან მთლად დაძენძილი, დალაქავებული პერანგი მოუჩანდა, ხოლო ზედ ჩაყვითლებული თეთრი ყელსახვევი ეკეთა. კაფეში რომ ვისხედით კამპო სან ბარნაბაზე, ყურადღებით შევათვალიერე იგი. გრძელი თმა მზეზე უბზინავდა და დღის სინათლე თვალში საცემს ხდიდა მისი ძველი ტანსაცმლის ულაზათობას, რომელშიაც მასხარასა თუ მოხეტიალე მსახიობს გავდა. რა თქმა უნდა, შეუძლოდ იყო — უპეები ჩატეტკოდა და ხელშიაც ძლივს იმაგრებდა კამპარით სავსე ჭიქას. იმ წამს ვიგრძენი, როგორ ამივსო გული მწუხარებამ, რაც ოსის სიყვარულით იყო გამონვებული — ოსი ჩემი მეგობარი იყო, ყოველთვისაც ჩემი მეგობარი იყო ეს საოცარი უიღბლო კაცი, ეს საინტერესო, გზააბნეული, თავნება, ყოველმხრივ უჩვეულო პიროვნება.

უცებ თვალწინ დამიდგა, რიალტოს საფეხურებზე რომ იჯდა და თუნუქის პატარა მაიმუნებს ქოქავდა. მაიმუნები ველოსიპედებზე ისხდნენ და ჯაყჯაყ-ჯაყჯაყით უვლიდნენ წრეებს, თან ზურგში გარჭობილი გასა-

ლებები დანასავით უტრიალებდათ. ხალხი ისე ახლო მიდრეკილიყო, რომ რამდენჯერმე კინალამ ზედ გადაუარეს სათამაშოებს. მაგრამ მხოლოდ თითო-ორიოლა თუ შეჩერდებოდა, ყიდვით კი არავინ ყიდულობდა.

რადგანაც ოსი კვლავ დუმდა, მე ჩემს თავზე ვუფიქრებდი — ვლადიმერ პარაკობდი გალერეაზე, ნიგნზე, რომელსაც გუარდიათ უწოდებდნენ, რაც ჩემი ვენეციაში ყოფნის მიზეზი გახლდათ, და აგრეთვე სკოლის საერთო მეგობარზე, მსუქან, დუდლუნა ბიჭზე, რომელიც ახლა მინისტრი იყო. ეტყობოდა, ოსი მისმენდა. თავი გვერდზე გადაეგდო და თითებს თავის ქიქას უკაკუნებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა საკუთარ თავზე. და მე ვგრძნობდი, ისევე როგორც მილანის სადგურზე ვიგრძენი, რომ ოსი ცდილობდა თავიდან აეცილებინა ჩემი ყოველი ცდა გამეგო მისი ცხოვრების ამბავი.

მაგრამ შემდეგ თითქოს უეცრად რაღაც მოიფიქრაო, წამოდგა და მისთვის ჩვეული თეატრალური მომხიბვლელობით გაიშვირა ხელი, წავიდეთო. უკან მივყევით. ჩემზე ოდნავ წინ მიდიოდა, თავი ყინვად აენია, თითქოს ყოველ გამვლელს იწვევდა, აბა, თუ ბიჭი ხარ, თვალი გამისწორეო. ზატერისაკენ მივდიოდით. სინყნარე იყო, მხოლოდ ჩვენი ფეხის ხმა ისმოდა მზით განათებულ ქვაფენილზე. გაძვალტყავებული ყავისფერი კატა კარის სიოდან გვითვალთვალებდა. ერთი პატარა ხიდი გადავიარეთ და მაღალ სახლებში მომწყვდეულ ბნელ ვიწრო გასასვლელში შევედით. აშშორებული არხებისა და ნესტიანი კედლების მქისე სუნი მცემდა. ნახევარი გზა რომ ჩავიარეთ, ოსი გაჩერდა.

— იცი რა, ჩემო ძვირფასო, კარგ უბანში ცხოვრება და კარგი ხელი თუ გინდა, კარგა დიდი ფულიც უნდა გადაიხადო. — ჩემთვის გასაგები იყო ყოველივე, მაგრამ მაინც თავზარი დამცა პირქუში, უღიმღამო სახლისა და მისი ოთახის ხილვამ, ამ სახლის სხვენზე რომ იყო. ოთახში ამჟავებული რძის სუნი იდგა. ფანჯარა ყრუ კედელს უყურებდა, ამიტომ ოსის სულ ენთო შუქი — მქრქალი, მბჟუტავი ნათურა. ავეჯი ბევრი ჰქონდა — მუხის ვეება მუქი ავეჯი, რომლითაც გამოტენილი იყო პატარა ოთახი.

მაგიდაზე ყავისფერი ჩემოდანი და ქალის ქერა ხვეული პარიკი იდო. რა მეთქვა, არ ვიცოდი, გამომეშლავნებინა, რომ ცუდ გუნებაზე დამაყენა ამ ოთახის ხილვამ, თუ სადმე კუთხეში მივმჯდარიყავი და თავი ისე დამეჭირა, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი.

— ვენეცია ზედგამოჭრილია ჩემთვის, — უდარდელად თქვა მან. — რადგანაც ისეთი ადგილი არ გახლავთ, სადაც ადამიანს შეუძლია ყოველთვის გამოაჩინოს თავისი ნამდვილი სახე. ნუთუ გაუგებარია? ნიღაბი უნდა ატარო. აბა ერთი შეხედე იმ შენს სურათებს, ყოველთვისაც ასე იყო — ბალმასკარადები, მშვენიერი კოსტიუმები, ნიღაბს ამოფარებული ადამიანები, თვალთმაქცობა. აი, ეს არის, რაც მე მჭირდება, ჩემო ძვირფასო. — ოსი მაგიდისაკენ შებრუნდა და ნაზად შეახო ხელი ქერა პარიკს, თითქოს მშვენიერ ქალს ეფერებოთ თმაზე.

ერთი სული მქონდა გავცლოდი ამ სენაკივით ვიწრო ოთახს.

— წამოდი, ოსი, ვისაუბროთ.

მზის სინათლე და ღვინო მომინდა, ზღვიდან მობერილი მსუბუქი ნი-

ავი. გავგიჟდებოდი, რომ არ დამენახა ჩვეულებრივი სახეები, ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც მუსაიფობდნენ, ჭამდნენ, იცინოდნენ და, ჩვეულებრივი სახეები და არა ისეთი გროტესკული, როგორიც ოსის ჰქონდა — შუა ოთახში მდგარს ცვილივით ყვითელ ფერს ჰფენდა.

— მდიდარი ხარ, ტერენს? ალბათ იქნები.

— სიმდიდრისა რა მოგახსენო, მაგრამ არც ღარიბი მქვია. კარგად ვცხოვრობ, არავინა მყავს შესანახი და მხოლოდ საკუთარი თავის სიამოვნებაზე ვარ. ფული გინდა?

წუთით გაჩუმდა, არაფერი მიპასუხა. ჩემოდანი გაუხსნა და სათამაშო ველოსიპედისტი ამოეღო იქიდან, რომელიც დაჰქროდა, წრეებს უვლიდა და თან გულის გამაწვრილებლად ჭრიალებდა. ოსი მოხიბლული მიშტერებოდა. — რა მშვენიერი რამაა! რა მშვენიერი! — თქვა და თითოთ შეუცვალა მიმართულება. — ოცი გირვანქა სტერლინგი მეყოფოდა.

— ხვალ წავალ ბანკში. ორმოცდაათი იყოს, თუ ხელს გაგიმართავს.

— ერთადერთი, რაც მე მჭირდება, — ყრუ, მოგუდული ხმით მითხრა ოსიმ, — გართობაა, ჩემო ძვირფასო. ბინის ქირის გადახდა შემიძლია, სხვა წყეულ საქმეებსაც როგორმე მოვუვლი, ეგ არაფერია, მაგრამ მე გართობა მჭირდება, გართობა.

არ ვიცოდი, როგორ მოიხმარდა ოსი ამ ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. რასაც მთხოვდა, არ დავიშურებდი.

ტავერნაში წავედით სასაუზმოდ. მსუქანი ხამანწკები, ხბოს ხორცი და თეთრი ატმები გეახელით. ოსიმ ერთ ბოთლზე მეტი ღვინო დალია და თანდათან მოილხინა. თავდაუჭერელ, დაუოკებელ და ცოტა არ იყოს ავბედით მხიარულებას მიეცა, როგორც იცოდა ხოლმე. მაგრამ მე ბედნიერად ვგრძნობდი თავს, იქნებ მცირეოდენი „გართობა“ მაინც ვარგუნე-მეტქი წილად.

შემდეგ ტურისტებსა და ვენეციელებს შევერიეთ და პიაცაზე გავისეირნეთ, ყავის დასალევად დავსხედით. თან კუადრის ჩინებულ ყავას მიწირთმევდით, თან კიდევ ვალსს ვუსმენდით.

— ვენეციისთანა ქალაქი მართლაც არსად არ არის, — ვთქვი მე, სვარიანად აღვსილმა საჭმლით, ღვინითა და ნოსტალგიით. — არსად.

ოსი ატირდა. ჯერ უხმოდ ტიროდა, მერე კი გულამომჯდარი ხმამაღლა აქვითინდა. ცრემლები სდიოდა ბებრულ ლოყებზე და თეთრ ყელსახვევს უსველებდა. ბოლოს ხელებში ჩარგო თავი. სიტყვაც ვერ დაეძარი, ვერაფრით ვანუგეშე. სხვა მაგიდებიდან შემოგვაჩერდნენ და მე ისე გააფთრებით მომინდა ოსის დაცვა, რომ მზად ვიყავი ყველასთვის სილა გაამენწა.

— ყველაფერი სისულელეა, — თქვა რამდენიმე ხნის შემდეგ, — ყველაფერი ამაოა. ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ, ტერენს? ამაოა.

რა თქმა უნდა, ოსიმ ბევრი დალია, მაგრამ რა მოხდა! ამან მხოლოდ სიმართლე გამოააშკარავა, რომ ყველა უბედურებას ერთად მოეცალა ოსისათვის, რომ იგი საცოდავი, დაბეჩავებული, მარტოხელა ადამიანი იყო. რასაკვირველია, ჭკვიანი კაცი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მაინც რა უნდოდა აქ, ვენეციაში? მოსამართი სათამაშოები რომ მიეყიდა ტურისტები-

სათვის თუ ქერა პარიკდახურულს რომ ევლო ღამლამობით ამ გაუტანელი ქალაქის ბნელ ქუჩებში?

— ფულს კი მოგცემ. მაგრამ ეგ რას გიშველის, — ფუტხარი, — ღმერთმანი, უფრო მეტის გაკეთება შემიძლია შენთვის, კიდევ ერთ კვირას უნდა დავრჩე აქ, რაღაც სამუშაო მაქვს, მოვითავებ და შემდეგ სჯობს ჩემთან ერთად დაბრუნდე ლონდონში. ბინას გიშოვით. მეგობრებში მაინც იქნები, თვალყურს დაიჭერენ შენზე.

მან შემომხედა: სახე დამანჭვოდა, ცრემლით დასველებოდა, თვალები ჩანითლებოდა. — მძულს, — თქვა ჩუმად, — ღმერთმა იცის. როგორ მძულს ეს გათახსირებული ადგილი!

ლანძღვა ისეთი უცხო იყო მისთვის, რომ ამ დაცდენილ სიტყვას რაღა არ ჩააქსოვა — ტკივილი, სიძულვილი, სასოწარკვეთა. ვენეცია მშვენიერია და მომხიბვლელი, მაგრამ ესოდენ სასტიკია ოსივით მარტოხელა, სნეული და უბედური ადამიანებისათვის. იმ წუთში მეც მძულდა იგი. მძულდა ოვალწარმოცა პიაცა, ოქროსა და ქვაში გამოკვეთილი საოცრებანი, ეს ტურფა, მოხატული სასახლეები.

ლონდონში წაგიყვან.

ოსიმ ფრთხილად მოიწმინდა თვალები.

— ჩემო ძვირფასო, ძალიან მინდა დალევა. ნუთუ ვერ ხვდები, როგორ მინდა.

მე კონიაკი შევუკვეთე და დავინახე, კიდევ ერთხელ როგორ აეფარა ნამდვილ სახეზე სარკაზმისა და ამპარტავნული სიამოვნების ნილაბი.

სექტემბრისათვის ოსი ინგლისში იყო და, როგორც კი თავის ორ პატარა ოთახში დაბინავდა ერლზ კორტში, დაიკარგა, აღარ გამოჩენილა. მე არ ვკიცხავდი. უზომოდ ამაყი იყო და ჩემს დანახვაზე თვალნათლივ ახსენებოდა ის საშინელი დრო ვენეციაში. რამდენჯერმე სადილად დავპატიჟე, მაგრამ არც ერთხელ არ გამომპასუხებია და თავი მივანებე. ახლა მშვიდად ვიყავი, ლონდონში რომ მეგულებოდა — იცოდა, სად მოვენახე, სად ეპოვა სხვა ძველი მეგობრებიც, თუკი დასჭირდებოდა.

შემდეგ წელიწადს მხოლოდ ორჯერ ვნახე. ორჯერვე სავალალო იყო ცვლილება: წინანდელთან შედარებით უფრო დაბერებული და გაჭირვებული მეჩვენა. ერთ საღამოს ჩემს მეგობარ ქალთან ერთად კოვენტ გარდენის თეატრიდან გამოვდიოდით, „ევგენი ონეგინის“ წარმოდგენის შემდეგ. პრემიერა არ გახლდათ, არც შაბათ საღამოს სპექტაკლი იყო, ამიტომ მაყურებლები მეტწილად სათეატროდ არ იყვნენ გამოწყობილნი, თუმცა ღაზათიანად ეცვათ. უცბად ელენორი მკლავზე შემეხო. „მიხარია, როცა ვხედავ, ადამიანები კიდევ ცდილობენ კოხტაობას“. წასიამოვნები ჩანდა. ჩვენ წინ ორი კაცი მიდიოდა, მოხუცი და ახალგაზრდა, ორივეს გამოსასვლელი ტანსაცმელი ეცვა — ლაინისფერი ფრენჩი, თეთრი პერანგი გახამებული გოფრირებული გულისპირით, პრიალა მოსასხამი. მე-19 საუკუნის პარიზიდან მოვლენილებს ჰგავდნენ. ახალგაზრდა კაცის სახე თითქოს მეცნობოდა — ვფიქრობ, ლორდი იყო. საკმაოდ ლაჟღაჟა გახლდათ, მსხვილტუჩა და უკვე თმაშეთხელებული. მასთან ერთად მყოფი ქალაქი თმამოშვებული კაცი კი ოსი იყო. გასასვლელს რომ მივალნიეთ, თა-

ვი მოაბრუნა, მხარს ზემოდან გადმოიხედა და დამინახა. წამით პირდაპირ სახეში მომაჩერდა, მერე თვალები დახარა და გზა განაგრძო, არც კი შეიმჩნია, რომ მიცნო.

გული მეტკინა. ოსი, რასაკვირველია, საკმაოდ კარგად მცნობდა და ეჭვი არ უნდა შეპარვოდა, რომ ჩემთვის მნიშვნელობა არ მქონდა, ვისთანაც არ უნდა ეამხანაგა, არასოდეს დავძრახავდი, როგორც კი უნდა დატრიალებულიყო მისი ბედის ჩარხი. მოგვიანებით გავბრაზდი კიდევ, ახლა აღარ ვუნდივარ-მეთქი? თუმცა ვიცოდი, ეს არც უფიქრია; მხოლოდ მისი სიამაყე იყო დამნაშავე. მე მას სიკეთეს ვუსურვებდი.

ნოემბრის ერთ საღამოს მე-17 საუკუნის პოლანდიური პორტრეტის რენტგენულ სურათებს ვსწავლობდი, როცა ტელეფონმა დარეკა. ნოტინგჰილის მახლობლად მდებარე პოლიციის უბნიდან მირეკავდნენ: ოსი მიეყვანათ: იქ და იმას მიეცა ჩემი ნომერი.

პოლიციაში რომ მივედი, ოსი მერხზე მჯდარი დამიხვდა გამომძიებლის ოთახში. კედლებს მწვანე და ყვითელი საღებავი გადასვლოდა და ჭერშიაც ისე ბჟუტავდა ნათურა, რომ ის ოთახი მომაგონა ვენეციაში. ოსისათვის ჩაი მოეტანათ, მაგრამ ძლივს ეჭირა ფინჯანი, ხელები ისე უკანკალებდა, კოვზს წკარუნი გაჰქონდა ლამბაქზე. საცოდავი სანახავი იყო, ღელავდა, გატანჯული და ძალიან დაბერებული ჩანდა. წვერი გასაპარსი მქონდა, მანანწალასავით ეცვა. მაგრამ ხელით რომ მანიშნა, დაჯექიო, კვლავ გამოკრთა მის თვალებში ის ძველებური, ქედმაღლური გამომეტყველება.

— ძალიან თავაზიანად მომეტყვნენ, მაგრამ რა ვქნა, მაინც არ მიყვარს ეს ხალხი. პოლიციასთან საქმე არასოდეს მქონია.

— რა დააშავე?

ოსიმ ხელი აიქნია, არ ვიცი, ღმერთმანი, რაღაც სისულელისთვის დამაკავესო.

უთუოდ არ იყო მთვრალი. ვკითხე, სად ცხოვრობ-მეთქი.

— ტერენს, შენ თუ ამ საქმეს მიხედავ, მე შინ წავალ და ლოგინზე მივეგდები, ისე ვარ გასავათებული, — თქვა და თავის ფინჯანს დახედა, — ჩემო ძვირფასო, რა საზიზღრობას მასმევენ. შენ კი იცი, არ მიყვარს ინდური ჩაი.

მე გამოვედი და ინსპექტორი ვნახე. ოსის ბრალად სდებდნენ, პოლიციელებს არ დაემორჩილა და საქმეს მოაცდინაო. თავდებად დავუდექი, ხვალ დილას სასამართლოში უსათუოდ გამოცხადდება-მეთქი, და შინ წავიყვანე.

თუ ის ოთახი ვენეციაში გულს უმძიმებდა ადამიანს, ეს უარესი იყო ერთი ბენო, დანგრევის პირას მისულ ვიქტორიანულ უბანში, ერთდროულად სასტუმროს მოვალეობასაც სწევდა და საძილე ოთახისააც. გაზქურით ოსის გარდა ოთხი სული სარგებლობდა, საპირფარეშოთი და სააბაზანოთი კი ათი. იატაკი და ფანჯრები ჭუჭყიანი იყო, მაგიდასა და სწოლზე ტანსაცმელი, საჭმლის ნარჩენები, გასარეცხი ფინჯნები და გაზეთები ეყარა. მაგიდაზევე იდო თავგადახდილი ყავისფერი ჩემოდანი. ჩემოდანი მოსამართი სათამაშოებით იყო სავსე. ამჯერად მექანიკურთათებიანი ყვითელზე ყვითელი იხვებით.

ფანჯრის რაფაზე ნახევარი ბოთლი ვისკი ვიპოვე.

— მე მგონი, სუფთა ჭიქა არ უნდა იყოს, ჯობია პირდაპირ ბოთლიდან დალიო.

— სულ ასე ვსვამ.

უაზროდ ამოიღო ერთი იხვი და მომართა. იხვმა აქეთ-იქით ბაჯბაჯი დაიწყო მაგიდაზე თავისი ბრტყელი, მოღრუცილი თათებით.

— მეტისმეტად მომქანცველია აქაურობა. ვერც კი წარმოიდგენ, ძვირფასო, რამდენად უკეთესი იყო ვენეციაში. ინგლისელი პოლიციელები ძლიერ აბეზარნი არიან. ოქსფორდის ქუჩაზე ვიყავი, მართლა გეუბნები, საშობაოდ ქვეყნის ხალხი იყო გარეთ გამოშლილი და მიწოდდა ეს სათამაშოები გამეყიდა, ცოტა მოგება მენახა, მაგრამ პოლიციელებმა არ დამაყენეს, ლამის სული ამოხადონ ადამიანს.

— ფული გაქვს?

— ო, ჩემო ძვირფასო, ნუ იწუხებ თავს მაგაზე ფიქრით, მე მუშაობას ვაპირებ. ხვალიდან ვაპირებდი. იქნება დავიწყო კიდეც, თუკი მაგ სულელური საქმისათვის ვივარგე.

მე გაზეთი ავიღე, რომელზედაც მიმითითა. ერთი დიდი უნივერსალური აცხადებდა, თოვლის პაპა გვჭირდებაო.

— რა სანახავი ვიქნები, არა, იმ მშვენიერ წითელ ტანსაცმელში?

შევხედე. მან უცაბედად ასწია თავი და ისევ გადაჰკრა ვისკი. თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ ასეთ გასაცოდავებულს, არც ერთი უნივერსალური არ მიიღებდა.

— რა უყავი ერლზ კორტის ბინას?

— ო, ჩემო ძვირფასო, რა ხანია გადავედი იქიდან. მოგეხსენება, მეგობართან ერთად შევსახლდი იმ ბინაში, მაგრამ შემდეგ ხან რა მოხდა და ხან რა — ახალგაზრდები ძლიერ ცვალებადები არიან, შეამჩნევდი ალბათ. წავიჩხუბეთ. თანაც დიდად არ მეპიტნავენოდა ის ადგილი — კოლონიებიდან ჩამოსული ხალხით იყო სავსე.

მე მოვიღუშე.

— ჩემო ძვირფასო, შავკანიანებს როდი ვგულისხმობ. აუარებელი შავკანიანია აქ და სავსებით ბედნიერად ვგრძნობ თავს მათ გვერდით. ავსტრალიელებზე მოგახსენებ. ისეთი ხეპრეები არიან, არც კი დაიჯერებ.

ვფიქრობ, უფრო მეტი რამ უნდა გამეკეთებინა ოსისათვის იმ ღამეს. მე ახლა ვკიცხავ საკუთარ თავს, ყოველდღე ვფიქრობ მასზე და ვკიცხავ საკუთარ თავს. უნდა მომეშორებინა იმ მყრალი ოთახისათვის, ჩემთან მყოფოდა, ცოტა გამომეფხიზლებინა და გამემხნევებინა. უთუოდ ავად იყო უკვე და, რა თქმა უნდა, შესაფერი საკვები, რიგიანი ტანსაცმელი და ზრუნვა, უბრალო ადამიანური ზრუნვა და ყურადღება მოარჩენდა, მის თავმოყვარეობას მაინც მიესაღებუნებოდა. მაგრამ მე არ შემეძლო ყოველივე ამის ყურება, არ შემეძლო დამცირებული ოსის ყურება, მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელს რომ აყენებდა და თავს იტყუებდა. სულ დავუტოვე ფული, რაც თან მქონდა. შევპირდი, ხვალ უფრო მეტს მოგცემ-მეთქი. რა ადვილია ფულის მიცემა! მეორე დღეს სასამართლოში გავყვე და ჯარიმა გადავიხადე. კინალამ ვიტყრე, ისეთი სახე ჰქონდა, როცა

მოსამართლემ იმ ცივსა და ფარღალალა ოთახში მოახსენა, რასაც ფიქრობდა მასზე. მაგრამ ოსი მაინც ოსი იყო და მე მიყვარდა იგი.

ბევრი აღარაფერი მაქვს მოსაყოლი. სხვადასხვა პირად მიზნება გამო და კიდევ იმის გამო, რომ გაღერებაში საქმეს ვერ ავუდიოდით, თითქმის მთელი თვე აღარ მინახავს ოსი. ჩემს თავს ვეუბნებოდი, მუწკისა და ვისკის ფული ხომ მაინც აქვს, როცა მოვიცლი, ვიზრუნებ, რომ საშინელი ოთახიდან სადმე ცოტა უფრო სუფთა და გულის გასახარელ ბინაში გადავიყვანო-მეთქი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამაზე მეტად სხვა რამ სჭირდებოდა, სხვა რამ უნდოდა ოსის. მე ახლა ვიცი ეს, მაშინაც ვიცოდი. ოსის სჭირდებოდა მეგობრები, ხალხი, მხიარულება. ამის მეტი არც არასოდეს დასჭირვებია რამე.

როცა ბოლოს და ბოლოს ნოტინგ ჰილზე ავედი, უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი, რამდენიმე დღე უპატრონოდ წოლილიყო და მე სირცხვილისაგან დაფინვი. საავადმყოფოში დამბლა დაეცა, მერე ცოტა მოიხედა და მეორედ დაეცა დამბლა, ენაც წაერთვა, გაშეშებული იწვა, მხოლოდ თვალებსა და ხელებს ამოძრავებდა. ერთხელ საღამოხანს მასთან ვიჯექი პალატაში. გარეთ წვიმდა, ცაზე ღრუბლები ირეოდა. პატარა პალატა სავსე იყო მომაკვდავი ბერიკაცებით. ვფიქრობ, ოსი ვერც კი ამჩნევდა მათ. წყნარად იწვა, ლამაზი სახე დამბლას დაედმიჭა, ამიტომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჰგავდა ნილაბაფარებულს.

შემდეგ ხავილი აღმოხდა ყელიდან, რამდენჯერმე საწოლის გვერდით მდგარი კომოდისაკენ გაიშვირა აკანკალებული ხელი და თვალები სარკეს მიაპყრო, რომელიც ზედ იდგა. სარკე სახესთან მივუტანე, თუმცა თან გული მეთანაღრებოდა, ალბათ არ უნდა ვაძლევდე უფლებას, ამ ყოფაში ნახოს-მეთქი თავი. მაგრამ ოსი მხოლოდ შეცბუნებული ჩანდა. რამდენიმე წუთს დაჟინებით იცქირებოდა სარკეში, მერე კი დარბაისლურად დახარა თავი, თითქოს ვიღაც უცხოს ესალმებო. და როცა მე შემომხედა, მივხვდი, ცნობა ჰქონდა წართმეული. მეც დამიქნია თავი.

ორი დღის შემდეგ ოსი მოკვდა. დაკრძალვის თადარიგი რომ დავიჭირე, მის ოთახში დავბრუნდი.

დღის კაშკაშა შუქზე უფრო უბადრუკი ჩანდა ოთახი, ვიდრე მახსოვდა, უფრო ჭუჭყიანი და ღარიბული. მის ნივთებს რომ ვათვალიერებდი, ჩემოდანი ვნახე, რომელიც სავსე იყო ქალის ძველმოდური უცნაური ტანსაცმლით — ვინ იცის, სულაც საფოკელი ბიცოლას დედის ტანსაცმლით — საღამოს გამოსასვლელი კაბებით, შიფონის შარფებით, აბრეშუმის წინდებით. შიგ კიდევ ორი პარიკი იდო იმ ქერა პარიკის გარდა. მეორე ჩემოდანში მისი ტანსაცმელი ეწყო — ხავერდის ფრენჩი, თეთრი აბრეშუმის ყელსახვევი, ამას გარდა საღამოს გამოსასვლელი და აბრეშუმის ყოველდღიურად ჩასაცმელი პერანგები. ქამარი, ქიშმირის საშინაო ხალათი, ხელით ნაკერი ფეხსაცმელი. მინდოდა გამეგო, საქველმოქმედო ბაზრობაზე შეიძინა ეს ძველმანი თუ რომელიმე გაუტანელმა მეგობარმა მისცა სამადლოდ. ტანსაცმელს ობისა და ძველი ოფლის სუნი ასდიოდა ოდნავ.

მუყაოს სამ ყუთში მოსამართი სათამაშოები ეწყო, მაიმუნები და იხვები, აგრეთვე სხვა სათამაშოებიც, მოცეკვავე დათვები, ჟონგლიორები, სელაპები, ბურთს რომ იჩერებდნენ ცხვირზე. რომელსაც კი შვებზე, შემო-

რჩენილი ინერციით ამოძრავდა, ჭრიალსა და ჩხარუნს მოჰყვა, თვლები დატრიალდა, თუნუქის ხელ-ფეხი ათახთახდა.

თვეების შემდეგ, როცა გაირკვა, რომ ოსის ერთი ნათესავიც კი არ ჰყავდა სადმე. მისი ქონება მე გადმომეცა. ტანსაცმლის უმეტესობა გადავყარე, რადგან არავის გამოადგებოდა, ხოლო მოხაზილი სათამაშოები ბავშვთა სააფადმყოფოს ჩავაბარე. მხოლოდ ველოსიპედზე მჯდარი მაიმუნი დავიტოვე და აი, ის აქ არის, ჩემს საწერ მაგიდაზე. მოვმართავ და ისიც ტრიალებს და ტრიალებს, როგორც ტრიალებდა რიალტო ბრიჯის საფეხურებზე ვენეციაში. გროტესკული, დაკრეჭილი სახე და ვარდისფერი ტერფები აქვს. საზარელია. მის დანახვაზე მუდამ ოსი მახსენდება.



უკეთური ბიჭი

უხელ ბიჭი თავის საწოლთან იდგა მუხლმოყრილი და სასონარკვეთილი ლოცულობდა, დაჟინებით შესთხოვდა ღმერთს, ქარიშხალი ამოაგდეთ, ლოცულობდა, თუმცა იცოდა, მისი ლოცვა უპასუხოდ დარჩებოდა, რადგან გულში უკეთურება ჩაბუდებოდა და ჭიასავით ღრღნიდა. ამიტომაც სულ არ გაკვირვებია, როცა ფარდა გადასწია და დაინახა, მშვიდი დილა გათენებულიყო. მსუბუქ ნისლში მზე აშუქებდა. ეტყობოდა, ჩამოცხებოდა. ბიჭი კი გულმოსული იყო: მობეზრებოდა კაშკაშა მზე და მშვიდი, წყნარი დღეები, რომელთაც ბოლო აღარ უჩანდა, მობეზრებოდა ფოლადისფრად მოლივლივე ზღვა და ქვიშაზე დაფენილი მუქი ჩრდილები. ყოველ ზაფხულს ჩამოდოდა ზღვაზე, ახლაც პირველი აგვისტოდან იყვნენ აქ და კიდევ ერთ კვირას დარჩებოდნენ. ჩამოსვლის პირველი დღიდანვე მზე ანათებდა. ბიჭი ფიქრობდა, ამას ვეღარ გავუძლებო.

საუზმეზე ჯესი ეჯდა პირდაპირ. იგი ვერ ისვენებდა, წარამარა ცხვირზე ივლებდა ხელს და მზეზე დამწვარ კანს იქერცლავდა.

— ნუ იქერცლავ.

ჯესმა წელა ახედა. ქოლმა პირველად წელს იგრძნო სხვაობა ასაკში. ჯესი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, ისე გაიზარდა, რომ მალე უფროსებშიაც გაერეოდა. გოგონას საცაა თოთხმეტი წელი შეუსრულდებოდა.

— კანი რომ აღარ ამოგივიდეს, მაშინ რას იზამ? რას იზამ-მეთქი? ისედაც არ შეგეხედება.

ჯესმა არ უპასუხა, ერთხანს დაფიქრებით უყურა მხოლოდ, მერე ფაფას დააშტერდა და ისევ აქერცლილი ცხვირისაკენ წაიღო ხელი.

მძულს აქაურობა, მძულს, მძულს, გაიფიქრა ქოლმა და ისე მაგრად მომუშტა ხელი მაგიდის ქვეშ, რომ ფრჩხილები ხელისგულში ჩაესო.

ანაზღად დაუფლებოდა სიძულვილი. ამისმა შეგნებამ თავზარი დასცა. სწორედ სიძულვილი იყო იმის მიზეზი, ღმერთს რომ ევედრებოდა, ქარიშხალი ამოაგდეთ. უნდოდა ბოლო მოეღო ერთ თარგზე გაშთქრილ ზაფხულის ცხელი, მშვიდი და გრძელი დღეებისათვის, გამოეფხიზლებინა კმაყოფილების ბურანში მყოფნი, შეეცვალა აუძლურეველი ყოფა. დღევანდელი დღეც წინა დღეებს ჰგავდა, მას კი სიახლე ეწადა.

სხვები აქ ბედნიერად გრძნობდნენ თავს, სანდლებში ფეხებზეაყოფილნი ზაფხულის უშფოთველსა და ზანტ დინებას მინებებოდნენ, არ ბეზრდებოდათ ასეთი ცხოვრება, არაფერი აღიზიანებდათ, არც ბრაზობდნენ და არც ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. ქოლი კი ბოლო ხანს სულ ჩხუბის გუნებაზე იყო.

ნეტა ადრე როგორ უძლებდა ამას? დილიდანვე ბოლმა ახრჩობდა. იმედგაცრუებული მაინც არ ეშვებოდა რაიმე ხიფათსა თუ საშინელ შემთხვევაზე ფიქრს.

მძულს აქაურობა. მას სძულდა თვით ეს სახლი, სძულდა მზისგან გახუნებული ჩითის ფარდები და გადასაფარებლები, ქვიშის ხრაშინაოში, შაქრის ფხვნილივით რომ იყო მიმოფანტული პოლსა და ფილაქანდაგებულ დერეფნებში; სძულდა საღებავაქერცილი ფანჯრები, ბაღს რომ გადაჰყურებდა; წინკარი, სადაც პლაჟის მსუბუქი ფეხსაცმელი, ვედროები და შეზლონგები იყო მიყრილ-მოყრილი; სძულდა ეს არეულ-დარეულობა და უბადრუკი გარემო.

ყველა ცალ-ცალკე ჩამოდიოდა საუზმეზე. მშვიდად, აუჩქარებლად ჭამდნენ, არაფერზე არ ლაპარაკობდნენ, არც არაფრის გაკეთებას ფიქრობდნენ. მაშ რის მაქნისია დასვენება, თუ ადამიანმა სული არ მოითქვა ყველაფრისაგან.

ფეიკ მაღალი სკამი გამოსწია და ქოლს გვერდით მიუსვა თავისი ბავშვი.

— მიეხმარე, აჭამე კვერცხი.

— თვითონ ვერ შეჭამს?

ფეიკ აღშფოთებული მიაჩერდა: ნუთუ შეიძლება ვინმესთვის სასურველი არ იყოს მისი ბავშვი?

— მიეხმარე, ქოლ, ხომ იცი, ბავშვს თავისით არ შეუძლია ჭამა.

— ქოლი აღრენილია.

— გააჩერე ენა.

— ჰო, აღრენილია, დილიდანვე თავ-პირი ჩამოსტირის.

გაავებულმა ფეხი მიარტყა თავის დას მაგიდის ქვეშ. ჯესმა ტირილი მორთო.

— ქოლ, გეთაყვა, ბოდში უნდა მოუხადო, — უთხრა დედამ. ქოლს ასე გამხდარი და ფერმკრთალი არასოდეს მოსჩვენებია იგი. ფეის ბავშვი გახუხული პურის მოგრძო ნაჭერს ურევდა კვერცხის გულში.

— რატო მატკინე, რატო!

ქოლმა ფანჯარაში გაიხედა. ზღვა ვიწრო, ელვარე ზოლად განოლილიყო. ჰაერიც კი არ იძვროდა. დღევანდელი დღეც წინა დღეების ზუსტი ასლი იქნებოდა — არაფერი მოხდებოდა, არაფერი შეიცვლებოდა. ქოლი მოუსვენრობას შეეპყრო.

როცა პირველად ჩამოვიდნენ აქ, სამი წლისა იყო. კარგად ახსოვდა, სანაპიროზე რომ დახტოდა, ფეხს ძლივს უწვდებოდა ქვიდან ქვას. მაშინ შორიშორს ერვენებოდა ქვები და ძლივძლივობით იზაგრებდა თავს, რომ არ დაცემულიყო. ხანდახან მოჯადოებულებით შეჩერდებოდა ხოლმე. წუთი წუთს მისდევდა, ის კი იდგა და გრძნობდა, რა სასამოდ ეფლობოდა ფეხები სველსა და გლუვ, ზოლებად დაბურცულ სილაში. ქოლი და ჯესი თავთხელ წყალში ზღვის ცხოველებსა და წყალმცენარეებს აგროვებდნენ, პირთამდე ავსებდნენ ვედროებს და შინ მიჰქონდათ, მერე სამზარეულოში მინის აკვარიუმში გადაცლიდნენ ხოლმე, თუმცა ზღვის ვარსკვლავები, ანემონები და მოლუსკები ჩვეულებრივ რამდენიმე დღე სძლებდნენ ტყვეობაში. როცა უესტ ქლიფზე მიდიოდნენ, მურაბის ქილები მიჰქონდათ თან. ძალიან რომ ჩამოცხებოდა, მაშინ დაადგებოდნენ ხოლმე გზას და ჭუპრებს ეძებდნენ ბალახის ღეროებზე. მარილი თეთრ ტალღისებურ ზოლებად აშრებოდათ გარუჯულ ფეხებზე. ქოლი დროდადრო იხრებოდა, თითოთ იშორებდა მარილს და ლოკავდა. მზისგულზე დაბერილ ჭუპრებს ღამით მყიფე, სიფრიფანა გარსი უსკდებოდათ და იქიდან პეპლები და ფარვანები ისე გამოდიოდნენ, როგორც ბავშვი საშოდან. ქოლი და ჯესი გვიანობამდე ისხდნენ ხოლმე მთვარის ან სანთლის შუქზე და მათ უთვალთვალებდნენ.

ასე იყო ყოველ წელს, და ხშირად, ზამთრობით ან ქარიან გაზაფხულზე ლონდონში მყოფს აგონდებოდა ყოველივე — მზით გაჩახჩახებული სახლის სუნი, ფეხებზე თბილი ტალღების მოლამუნება და თოვზე გაკიდული შალის სველი საცურაო ტრუსები, ღია უკანა კარიდან რომ მოჩანდა. ეს სულ სხვა სამყარო იყო, მაგრამ სამყარო, რომელიც არსებობდა. ჰოდა, ისინიც ყოველ წელს ბრუნდებოდნენ იქ და ყოველივე ისევ თავიდან იწყებოდა.

ახლა კი უნდოდა დაეღწა, დაექცია აქაურობა. ფიქრობდა, წყალსაც წაუღიო ყველაფერი, და საკუთარი თავის ეშინოდა.

— ქოლი მარცხენა ფეხზეა ამდგარი!

იგი თავისიანებს გაეცალა და მარტო წავიდა სასეირნოდ. კურდღლისცოცხას ბუჩქნარში განოლილ ბილიკს დაადგა, ზევ-ზევით აუყვა და ხეშეში ბალახით დაფარულ მინდორზე გავიდა უესტ ქლიფის უკან. ნისლი ნელ-ნელა იფანტებოდა. ზღვა მკრთალი ოქროსფერი იყო კიდეებზე, სიღრმეში კი ლურჯად კამკამებდა. მინდვრის ბოლო ყაყაჩოებს გადაენითლებინა.

ქოლი პირქვე დაემხო, პირისახე და ხელები თბილ ბალახში ჩარგო. მინის სუნი ეცა, მერე თანდათან იგრძნო, როგორ გაუთბო ზურგი მზემ, და სიმშვიდე დაეუფლა.

სახლში კი დედამისმა და დებმა მოათავეს საუზმე, სუფრიდან ადგნენ და ახლა ზემო სართულზე დაბორიანდებდნენ, პირსანმენდებს, ჩალის ქუდებსა და წიგნებს ეძებდნენ. კმაყოფილნი იყვნენ, რომ დღევანდელი დღეც გასული დღეების მსგავსი იქნებოდა, და უნდოდათ ზაფხული გაგრძელებულიყო. მოგვიანებით მამაც შემოუერთდებოდათ, რომ შაბათ-კვირა მათთან გაეტარებინა. ლონდონიდან მატარებლით ჩამოვიდოდა, ქალაქურ ლურჯ კოსტუმს გაიძრობდა და ბალნიან, ჩაფსკვნილ

სხეულს გამოაჩენდა, მერე ფარდაზე გაგორდებოდა, ცოტას წაიძინებდა, იხვრინებდა, ფეის ბავშვთანაც ითამაშებდა. მამა რომ ჩამოვიდოდა, ოჯახი შეივსებოდა ხოლმე.

თერთმეტი საათისათვის ძლიერ ჩამოცხა, მთელი ზაფხული არ ყოფილა ასეთი სიცხე. მსუბუქ ღრუბლებად აიშლებოდა ხოლმე მტვერი, როცა მანქანა ჩაივლიდა სოფლის გზაზე, და ცოცხალ მღვდლებს ეფინებოდა, ამიტომაც ფოთლები დახორკლილი და ჩამუქებული იყო. ჩიტები გაყუჩდნენ. საკუთარი გულისწყრომა ისეთ ტკივილს ჰგვრიდა ქოლს, თითქოს საფეთქლებზე მარწუხებს უჭერენო. შინ წავიდა, ლოგინზე მიწვა და კითხვა სცადა, მაგრამ ოთახი დახუთული იყო, მცხუნვარე მზე საწოლს ადგა, კაშკაშა სხივები ნაბეჭდ ფურცლებს ეცემოდა და ბიჭს თვალებს სტკენდა.

პატარაობაში უყვარდა ეს ოთახი, ხანდახან ლონდონში ენატრებოდა კიდევ. სანაპიროზე შეგროვებულ ნიჟარებსა და კენჭებს ამ ოთახში აწყობდა ფაქიზად, ზღვიდან გამორიყულ წყალმცენარეებს ლურსმანზე კიდებდა ღია ფანჯარასთან, სახლიდან ჩამოჰქონდა სათავგადასავლო წიგნები ჩაძირულ გემებსა და განძეულზე და შეღებილ ხის სკივრზე აწყობდა. მაგრამ ახლა ძალზე პატარა ეჩვენებოდა ეს ოთახი, სული ეხუთებოდა აქ. ბავშვის ოთახი იყო, უღიმღამო, უსიცოცხლო ოთახი, სადაც არც არაფერი ხდებოდა და არც არაფერი შეიცვლებოდა ოდესმე.

ცოტა ხნის შემდეგ გაიგონა, რომ მანქანა მოადგა სახლს; მამა მოვიდა ტაქსით.

— ქოლ, ფრთხილად იყავი, ვერ ხედავ, ბავშვი გიდგას გვერდზე, ქვიშა არ შეაყარო თვალში.

— ქოლ, თუ გინდა ჩვენთან თამაში, ითამაშე, მაგრამ თუ ვერ მოგისვენია, წადი, ხელს ნუ გვიშლი.

— ქოლ, ქვიშის ციხე-კოშკს ან სხვა რამეს რატომ არ ააგებ?

ქოლი იდგა და ზემოდან დაჰყურებდა მათ: დედას და ფეის, მწვანე ქოლგის ჩრდილში რომ ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ; მამას, გულაღმა რომ იწვა, მის შიშველ, შავ ბალნიან, კრემით გალაპლაპებულ მკერდს და ნესტოებს, სუნთქვისას რომ ებერებოდა; ჯესს, მის მაგივრად რომ უშენებდა ბავშვს ქვიშის ციხე-კოშკს. გოგონას უკან შეეკრა თმა და უფრო გამოსჩენოდა დაჭორფლილი ყვრიმალეები. თერთმეტი წლისას ჰგავდა, თუმცა ლამის თოთხმეტისა იყო უკვე. ეჰ, როგორ გაესწრო ქოლისათვის!

— ქოლ, ნუ ისვრი ქვიშას ფეხით აქეთ-იქით. წადი, იბანავე, რაღაც გააკეთე. როგორ არ მიყვარს, ასე რომ დაგვადგები ხოლმე თავზე.

ჯესს იქვე ნაპირზე აევსო პატარა ვედრო, ახლა დახრილიყო, წყალს ფრთხილად ასხამდა თხრილში, მაგრამ მაინც შეეშხეფა შიშველ ფეხებზე და თითები მოკრუნჩხა. ფეის ბავშვი გაფაციცებული შეჰყურებდა, სიამოვნებისაგან ხტოდა ქონგურებიან ოქროსფერ ციხე-დარბაზში და წყალს უშვერდა ხელებს.

ქოლმა კიდევ უფრო ღონივრად დაუშინა ქვიშას ფეხი. ქვიშა აქეთ-იქიდან ეხლებოდა ციხე-დარბაზის კოშკს. როცა იგი ჩამოიქცა, სხვა კო-

შეებსაც მოუნგრია კიდეები, გალავანიც მოირღვა, მთელი ციხე-დარბაზი თხრილში მოზვავდა და წყალი აამღვრია.

ჯესი წამოხტა, სახეზე ალმური ასდიოდა, მზად იყო მრვარდნოდა ქოლს, გაერტყა მისთვის.

— მეჯავრები, მეჯავრები.

— ჯეს...

— უნდა, რომ ჩაგვამწაროს. შეხედეთ, ვერ მოუსვენია, სხვა რომ მხიარულობს და ერთობა. უნდა, ჩვენც გუნება გაგვიფუჭოს... მეჯავრება.

ქოლი ფიქრობდა, გააწვებული ვარ, ჩემი საშველი არ არისო. გრძნობდა, უკეთურებას შეეპყრო მთლიანად.

— მეჯავრები.

ქოლმა ზურგი შეაქცია თავის დას, შეშლილი რომ გაჰყვიროდა მის საძრახის სიტყვებს, ზურგი შეაქცია ყველას და მოშორებით მდებარე გამოქვაბულებისაკენ გაემართა. გამოქვაბულების თავზე კლდეები აღმართულიყო.

ნახევარზე მეტი გზა რომ აათავა, კლდის შვერილს მიაღება, სადაც ჩვამები და თოლიები ბუდობდნენ. ასე მალლა არასოდეს ამოსულა ადრე. აქაიქ ბუჩქ-ბუჩქად ამოზრდილი ბალახი ზღვის ქარს გაეხმო და გაეხუნებინა. ქოლიც ამ ბალახსა და ცარცისფერი კლდის გამონაშვებებს ეჭიდებოდა. აქ ყვავილებიც ამოსულიყო — უფერული ველური ფოლიო და კლდის ბაია, და როცა ბიჭი წამით შეისვენებდა, პირისახეს ადებდა ზედ. თავზე ლაჟვარდი ცა დასდგომოდა. ზღვის ფრინველები მძივივით წვრილ თვალებს არ აშორებდნენ. რაც უფრო მალლა ადიოდა, მით უფრო ყრუდ ისმოდა ზღვის ტლაშუნი და ნაპირზე მყოფთა ხმები. როცა კლდის შვერილს მიაღწია, სული მოითქვა და ფრთხილად ჩამოჯდა კიდეზე, ფეხები ძირს ჩაჰკიდა. სწორედ მისი სამყოფი ადგილი იყო აქ. ზურგით გახურებულ კლდეს ეყრდნობოდა. შიშს სულაც არ გრძნობდა.

მისიანები მწერებივით მოჩანდნენ დაბლა ქვიშაზე, პატარ-პატარა ფერადი ფიგურებივით მიმოფანტულიყვნენ აქეთ-იქით. ჯესი ვარდისფერი იყო, ქოლმა — წენგოსფერი, ფეი და ფეის ბავშვი კი ყვითლად ჩანდნენ. უმეტესად წყნარად იყვნენ, მხოლოდ ერთხელ შეჯგუფდნენ ქოლგის ირგვლივ და რაღაცას დაუწყეს ყურება, მერე კი ისევ დაიშალნენ; კაცი იტყოდა, ცეკვავენო. სხვებიც განცალკევებით იყვნენ პლაჟზე, ყოველი ოჯახი თავისთვის განაპირებულიყო. კლდეების ძირში სანაპიროს ვიწრო ზოლი მიიკლავებოდა, რომელსაც ზღის ტალღები ლოკავდნენ. ზღვა მხოლოდ ზამთარში აღწევდა კლდეებამდე, როცა ქარიშხალი ამოვარდებოდა ხოლმე. ზამთარში აქ არასოდეს ყოფილან.

როცა ქოლმა ისევ გაახილა თვალი, წამით თავბრუ დაესხა. არაფერი შეცვლილიყო. თავზე ისევ გამჭვირვალე, მოწმენდილი ცა დაჰყურებდა. მზე ანათებდა. საკმაოდ იყო ჩასძინებოდა და წინ გადახრილიყო, რომ კლდიდან გადავარდებოდა, მაგრამ ამ ფიქრმა ვერ შეაკრთო იგი.

თუმცა არა, რაღაც ცვლილება მაინც იყო: ქოლმა დაინახა, რომ მამამისს თავისი ოჯახის წევრებისათვის თავი მიენებებინა და ახლა ზღვისაკენ

მიაბიჯებდა. უკან წვივები და ბარძაყები შავი ხვეული თმით ჰქონდა დაფარული, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მოყავისფრო ფეხისგულები მოუჩანდა.

ქოლმა საკუთარ თავს ჰკითხა, მამა თუ მიყვარსო, და დაფიქრდა, მაგრამ პასუხი ვერ იპოვა.

ფეის ბავშვი პაპას ხოხვა-ხოხვით მიჰყვებოდა უკან, ღრმონისფერი საჯდომი მალლა აებზიკა.

ქოლმა თვალები მოჭუტა: ჰაერი, ზღვა და ქვიშა აციმციმდა, ერთმანეთში აირია.

ახლა მან შვება იგრძნო, დაცხრა. სისულელედ მოეჩვენა ყველაფერი, რაზედაც ბრაზობდა.

ისევ გაახილა თვალები და დაინახა, რომ მამამისი წყალში მიაბიჯებდა. როცა მკერდამდე შემოსწვდა წყალი, მუცლით ზღართანი მოადინა ზღვაში და ერთხანს ნებიერად იტივტივა.

ქოლი ფიქრობდა, იქნებ ავადა ვარ და ჩემი გაბოროტებაც მაგისი ბრალიაო.

მაგრამ თუ ქოლი შეიცვალა, სხვებაც ხომ შეიცვალნენ. რაც ფეი გათხოვდა, ბავშვი ეყოლა და ბერკშირში წავიდა საცხოვრებლად, მთლად გამოეცვალა ხასიათი — პატარა რამეზე ღელავდა, წვრილმანებს აქცევდა ყურადღებას, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული ელაპარაკებოდა ყველას. დედაც სულ მოწყენილი იყო, ხოლო ჯესს — ჯესს არ უნდოდა ქოლთან ყოფნა და თამაში.

ახლა ქოლი ხედავდა მამამისის თავს, რომელიც მალიმალ ჩაყვინთავდა ხოლმე კარგა შორ მანძილზე ზღვაში. უცბად, მზეს მიფიცხებულმა, მაღალი კლდის შვერილიდან რომ ადევნებდა თვალს ყოველივეს, შეამჩნია, მამამ აღარ ამოყვინთა... მერე როდის-როდის ისევ ამოჰყო თავი წყლიდან, მკლავი ამოსწია და რაღაც უმისამართოდ დაიქნია.

ქოლმაც დაუქნია ხელი.

მზემ თავი გაუხურა ბიჭს.

ფეი, ფეის ბავშვი და ჯესი ისევ ქოლგის ჩრდილს შეფარებოდნენ. სამივე ძირს იყურებოდა. აღარასოდეს გვექნება უწინდელი სიახლოვე, სისხლით ნათესაობა ვეღარ გვიშველის, ჩვენ ახლა გათიშულნი ვართო, გაიფიქრა ქოლმა და ამ უღმობელმა სიმართლემ შეაშფოთა. მამამ ერთბაშად შეწყვიტა ხელის ქნევა, ამოიყურყუმელავა და გაუჩინარდა, მერე ისევ ამოიყურყუმელავა...

ზღვა მშვიდი და უძრავი იყო სარკესავით.

ქოლი ხედავდა, რომ მამამისი იხრჩობოდა.

ბოლოს ვიღაც კაცი პლაჟის მეორე ბოლოდან სირბილით გაეშურა ნაპირისაკენ, სხვა კიდე — ქოლგას შეფარებული ოჯახისაკენ. ქოლმა კლდეს ჩაჰხედა, თვალები დახუჭა, ნელა შეტრიალდა, ხელებსა და მუხლებს დაეყრდნო და ფეხის დასადგმელი მოსინჯა. თვალის გახელას ვერ ბედავდა, თავი უხურდა, საფეთქლები ლამის დასკდომოდა.

კლდის ძირს რომ მიაღწია, უკვე მოჰყავდათ მამამისი. ქოლი კლდის ჩრდილში იდგა და ცახცახებდა, ზურგიდან შმორის, გამოქვაბულის სუნი

სცემდა. დედამისი, ფეი და ჯესი გვერდიგვერდ იდგნენ ძალზე გამართულები, როგორც სამეფო ოჯახის წევრები პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლთან. ბავშვიც დედოფალასავით გაყურებულიყო ფეის მკლავებში.

სხვები ყველანი მოშორებით გაჩერებულიყვნენ. ქოლი ზედავდა, რომ ისინი რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანეთს, ხან ხელს ასწევდნენ, ხან თავს მიაბრუნებდნენ, ხანაც გაუბედავად გადადგამდნენ წინ ნაბიჯს და ისევ უკან იხევდნენ.

ქოლი ფიქრობდა, ნეტავ ჩვენებს ხომ არ გადავაწინყდიო. მამამისი რომ მოჰყავდათ, იმ კაცებს წყლის წვეთები ჩამოსდიოდათ მხრებიდან და მკლავებიდან. მამამისსაც წურწურით სდიოდა წყალი.

კლდეზე რა გინდოდაო, არავის უკითხავს მისთვის. მხოლოდ აბაზანებზე, ცხელ სასმელებსა და დეპეშებზე ლაპარაკობდნენ, თან მზერას დამნაშავეებივით არიდებდნენ ერთმანეთს. სახლი უცხოებით იყო სავსე, ოთახიდან ოთახში რომ გადი-გამოდოდნენ.

ქოლი ერთიანად დაჭიმული იწვა. ზენარში გახვეული ფანჯრისკენ იყურებოდა, საიდანაც მთვარე ანათებდა. ჩემი ბრალი არისო, ფიქრობდა. მე ვლოცულობდი, რომ რაღაც საშინელება დატრიალებულიყო, პოდა, ჩემმა უკეთურმა ბუნებამ დაატრიალა კიდეც, მე დასჯილი ვარო. ასე ფიქრობდა, რადგან ის, რაც მოხდა, აღემატებოდა ყოველივეს, რისი წარმოდგენაც კი შეეძლო.

როცა ჩაეძინა, ესიზმრა, რომ წყალში იხრჩობოდა. შეშინებულს გამოელვოდა. ახალი გათვნიებული იყო, ფანჯარაში მტრედისფერი ნისლი მოსჩანდა. ფეხზე ცივად შეეხო ლინოლეუმი, ნესტოებში სისველე იგრძნო. როცა კიბის ძირს მიაღწია, დაინახა, რომ მზიანი სასტუმრო ოთახი დახურული იყო. წუთით შეჩერდა კართან, დააყურადა, ჩამიჩუმი ხომ არ ისმისო საიდანმე. წარმოიდგინა თავისიანები, ლოგინში რომ იწვნენ, წარმოიდგინა დედაც, მარტო რომ იწვა. ქოლმა შიშით გადაატრიალა თითბრის მრგვალი სახელური და ფეხაკრეფით შევიდა ოთახში.

ოთახს სამი მხრიდან მაღალი ფანჯრები ჰქონდა. ფარდები მუდამ გადანეული იყო და ზღვა მოჩანდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ნისლი მოსწოლოდა ფანჯრის მინებს და იდუმალ სიჩუმეს დაესადგურებინა გარეთ. იატაკი გაპრიალებული იყო, ნაწილობრივ ჭილობი ფარავდა, რომლის ნასვრეტებშიაც მთელი ზაფხულის ქვიშა დაგროვილიყო, რბილი და ხრაშუნა ქვიშა. ოთახში წყალმცენარეების სუნი იდგა. კედლებზე ქოლის დიდი პაპის — კაპიტნის, მისი ფლოტელი მეგობრებისა და გემების ფოტოსურათები ეკიდა. ქოლს ყოველთვის უყვარდა ეს ოთახი. როცა პატარა იყო, აქ ატარებდა აგვისტოს თბილ საღამოებს დედასთან ერთად, თან ტოლჩით რძეს სვამდა, ხოლო ღია ფანჯრებიდან ლევკოიონის სურნელი იფრქვეოდა. საღამო ხანს ტერასაზე ყოველთვის ცარიელი შეზღონგები იყო ხოლმე ჩამწკრივებული. ქოლმა წინ წადგა ფეხი.

მამამისი ტახტზე დაესვენებინათ. მას პერანგი ეცვა, ზემოდან ზენარი და პლედი ეხურა. თავი ბალიშზე ედო, ხოლო შავბალნიანი ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი. ქოლს არ ეშინოდა. მამას საოცრად მკრთალი და პრიალა კანი ჰქონდა. ბიჭი თვალს არ აშორებდა, ცდილობდა ეგრძნო

დანაკლისი, ეგრძნო მწუხარება. საკუთარი თვალთ ნახა, როგორ დაიხრჩო მამა, მაგრამ ძნელად დაიჯერა ეს ამბავი — ზღვა ხომ სიბრძნედ მშვიდი იყო. მოგვიანებით ყური მოჰკრა, ლაპარაკობდნენ, გულმა უმტყუნაო, და მიხვდა, რამ დაახრჩო ასე უეცრად ეს ჯან-ლონით სავსე კაცი, სულ ორიოდ საათის ჩამოსული რომ იყო ქალაქიდან.

გარედან საყვირის ხმა მოისმა — გემებს აფრთხილებდა ნისლიან დილით. ქოლი მიხვდა, რომ ნანატრი ცელილება მომხდარიყო, რომ გრძელი, ხვატიანი ზაფხული საცაა დასრულდებოდა, რომ მისი ბავშვობაც დასრულდა, რომ ამ სახლში აღარასოდეს ჩამოვიდოდნენ. დაბოლოს, მან შეიცნო უკეთურების ძალა, რომელიც მის არსებას დაუფლებოდა. ამიტომაც ატირდა გულსაკლავად მამის ცხედართან.

□



პოლონურიდან თარგმნა ნათელა გავაშელმა

გაოცება

ამდენი წელია
გიყურებ
და ველარც კი გამჩნევ.
მაგრამ ჯერ ვერას ვხედები.

გუშინ
შემთხვევით სხვას ვაკოცე
და მაშინლა მივხვდი,
რომ
ჩემთვის კარგა ხანია
კაცი აღარ ხარ.

ორი დედაკაცი

ზღურბლთან ჩამომსხდარნი
შვილებსა და შვილიშვილებზე
ვსაუბრობთ,
სიამოვნებით ჩავყვინთეთ
ჩვენს დედაკაცურობაში.

როგორც ორი კოვზი
ჩაყვინთავს ხოლმე
ცხელ ფაფაში.

მინაზე ვეცემი

მინაზე ვეცემი,
ბაგით ვეხები უშავეს მინას

და ვღალადებ: არარსებულო
უფალო,
ნუ გამითენებ იმ დღეს,
ცუდი დავმართო მე ადამიანს.

უმჯობესია მომწყდეს
მარჯვენა,
ციდან დამატყდეს
მეხთათეხა.

მინაზე ვეცემი,
ცოცხალ მინას ბაგით ვეხები
და ვამბობ: უფალო! თვით
უშორეს ვარსკვლავზეც
რომ არ არსებობ
და
რომელიც მხოლოდ ჩემში ხარ,
უშესანიშნავესო ღმერთო,
რა ბილწიცა ვარ,
ღმერთო მრისხანე,
ისე გწირავ სისხლიან
მსხვერპლად
ჩემი ცხოვრების
ყველაზე დიდ ბედნიერებას.

მდელოზე

სამყაროსაგან გვაშორებს
მხოლოდ
თეთრი გვირილა
და დახუჭული ჩემი თვალები.

შავ ვარსკვლავზე

შავ ვარსკვლავზე გაჩენილებმა
სამყარო
ვშობეთ.

მიხვდა

კვირას, ნაშუადღევს,
ყველა ქვაბი რომ გახეხა,
მაშინლა მოახერხა
სარკის წინ დაჯდომა

და მიხვდა,
კვირას, ნაშუადღევს მიხვდა,
მისი სიცოცხლე რომ მოეპარათ.

უკვე რა ხანია.

ამბოხი

მოხუცთა თავშესაფრიდან
გაიქცა.

ძინავს სადგურებში,
ქუჩებში ეხეტება, მინდორ-
მინდორ ბორიალებს,
კივის და მღერის,
საძაგლად იგინება.

უკან თავგადაგდებულს
გუგების მიღმეული სამყაროთა

და თავისქალით ამბოხი დააქვს.

არ უნდა

დედამისი
ჩთელი სიცოცხლე იტანჯებოდა.
შვილიც
სატანჯველად შობა.

მას კი ტანჯვა არ უნდა
და...
დედა ეზიზღება.

მუშტები ზეცისკენ აღუმართავს,
თვალსაწიერიდან
თვალსაწიერამდე
ცას მუშტებით ტვიფრავს:
*არ მინდა.

შექსპირი. ჭირვეულის მორჯულება

აღორძინების ფამინდელი
მსახიობი

მათრახის ქნევით
მიერეკება
ქალწულთა ბედის წინააღმდეგ
ამხედრებულ
უდრეკ ქალიშვილს.

ნეოცე საუკუნის მამაკაცები
„ბრავოს“ გაჰყვირიან.

ი რ ი ნ ა გ რ ე ქ ი შ ე ა

ქ ა ლ თ ა ს ა ლ ო ნ ი ს ო ს ტ ა ტ ი



მ ო თ ხ რ ო ბ ა

თარგმნა თენგიზ პატარაიამ

I

სამსახურიდან ძაღლის ნათრევივით დაღლილი მოვედი. ეს ჩემი ბიჭები — რაღა თქმა უნდა! — ჭადრაკს თამაშობდნენ. არა, წყაპოდა, მეც ავენთე და დავენთე:

— დალახვროს ეშმაკმა, რა ამბავია, რა ხდება! აღარ გათავდა ეს თქვენი ტუტუცური ჭადრაკი?

მაგიდა ხომ ტიპიურ სალორედ ექციათ... საფერფლე ნამწვავებისაგან გაბერილიყო, ლუდის ბოთლებში ზანტად მოიფხორებოდნენ და სკდებოდნენ გიგანტური ბუშტულები.

— ტიპიური ღორები ხართ-მეთქი, — ვუთხარი. — საქმე გამოგლევიათ, არა? ისიც სესიების წინ...

— თათი, — მომიპირფერა კოსტიამ.

— არავითარი თათი. ღორები ხართ და მეტი არაფერი. სახლია თუ სამიკიტნო?! საფერფლის გადაყრა მაინც იცოდეთ! ნუთუ მე, ხანშესულმა ქალმა...

— შემოდავებას იკადრებთ? — იწყინა კოსტიამ.

— მორჩით ამ უზრდელურ სიტყვა-პასუხს! — ვიწივლე.

— თათი, — მომთხოვა კოლიამ.

ასე უცებ გაღიმება უადგილო კი იყო, მაგრამ ტუჩები ჩემდა უნებურად მომერღვა და მეც ხელი გავუწოდე.

— ეგ არა, მეორე! — დამთხვეულებით იყვირა კოლიამ, — მარცხენა-მეთქი, მარცხენა!

(მარცხენა უფრო ფასობს. ზედ ხალი მაქვს).

— მე პირადად მარჯვენასაც დავჯერდები, პატარა ხალხი ვართ. — ენა დაიშაქრა კოსტიამ. გავუწოდე მარჯვენა ხელი. ერთი მარჯვენა ხელზე შეამბორა, მეორე — მარცხენაზე. ჩემს წინ ორი თავია დახრილი. მოჩაღისფრო-ყვითელი

და ნახშირით შავი. ჩემი სულელები, ჩემი ბიჭები, ოღონდაც ნუ იფიქრებთ, იოლად გადავრჩითო. ჯერ სადა ხართ, მაინც გაბრაზებული ვარ...

— ახლავე პალაგეთ მაგიდა! — დავუცაცხანე. ვიფიქრე, სულმოლად არ მოვჩლუტდე-მეთქი.

კოსტიამ კუთვა-კუთვითა და კრუსუნ-კრუსუნით საფერფლე შემოიდგა მხარზე. კოლიამ რაღაც შარვალს დაავლო ხელი და მაგიდის გადაწმენდას შეუდგა.

მშვიერი ვიყავი, ძალღივით მშვიერი.

— ისადილეთ?

— არა, შენ გელოდებოდით.

— საქმელი თუა რამე?

— არაფერი. ახლავე ამოვარბენინებთ.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა ამბავია, რა ხდება, — ძალისძალად გავიცხარე თავი. — ნუთუ მე...

— შენ, ხანშესულმა ქალმა... — თავაზიანად მიკარნახა კოლიამ.

— დიახაც ხანშესულმა! — ვიწივლე ისევ, — დიახ! ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი. სწორედ ხანშესული ქალი ვარ, მაგრამ მაინც ვმუშაობ და თქვენნაირ ბრიყვება ვზრდი, თქვე ლენჩებო!

— ოღონდაც უნდა აღინიშნოს, რომ ვერ აღგვზარდე, — მოკრძალებით ჩაურთო კოლიამ.

— დიახაც, სამწუხაროდ ვერ აღგვზარდეთ! ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! წყალს გავატანე მთელი ცხოვრება!

— ნუ დაიდარდებ, დობილო, — უწყინარი კილოთი მომაგება კოსტიამ.

ამის თქმა იყო და ბოთლს წამოვავლე ხელი. იატაკზე ვუპირებდი დახეთქებას, მაგრამ აღარ ვქენი.

— არა, ყელში ამომივიდა ეს სამიკიტნო, წავალ აქედან. თავშიც ქვა გიხლიათ, იცხოვრეთ თქვენთვის.

— იცხოვრე და სხვაც აცხოვრე, — ისევ მშვიდად გამოაცხადა კოლიამ.

— აღარ მორჩებით ამ სულელურ შენიშვნებს! სერიოზულად გელაპარაკებით. ცხოვრება ცირკი კი არაა.

— როგორ ბრძანეთ? — დამეკითხა კოსტია. — ცხოვრება ცირკი არააო? ნება მიბოძეთ, ჩავიწერო.

კოსტიამ უბის წიგნაკი დაადრო, ფანქრის წვერს დაანერწყვა და ფურცელზე ნიშანი დაუჭირა.

— ცხოვრება... მოგეხსენებათ... ცხოვრება... ცირკი... არაა, — ჩაიწერა კოსტიამ.

— პოდა, საერთოდ, — გავაწყვეტინე ლაპარაკი მჭექარე ხმით, — ყელში ამომივიდა ყველაფერი! გასაგებია? ყელში ამომივიდა! წავალ ნოვოსიბირსკში, ან სულაც გაუთხოვდები.

— ეუჰ! — ამოიგმინა კოსტიამ. — აი, ეს მესმის!

— ვითომ რაო? თქვენი აზრით, ველარავის გავყვები?

— როგორ არა, მომთვინიერებელს — კი, ბატონო! — ვალში არ დამირჩა კოლია.

ფუი, დალახვროს ეშმაკმა!

ოთახიდან გავუდი და კარი გავიჭახუნე.

იქნება, რძე მაინც დამეღია. მაცივარი გავაღე. ცარიელია, ყინულებით გაბუდაყებული, მეორე თაროზე მირჩენილი ერთადერთი მიმჩვარული ბოლოკისამარა. მაცივარი კი არა, სამარტვილეა! რა რძე, რისი რძე, რომელ რძეზეა ლაპარაკი. ამ დილით კიდევ ქვეყნის რძე იდგა. იმეტი უგამზრდელის თქმისა არ იყოს, „წირვას გამოუყვანდნენ“.

... არა, საკმარისია, მეყოფა, — ვფიქრობდი და ისე გამწარებით ვივარცხ-
ნიდი თავს, თმა სულ ბლუჯა-ბლუჯა ჩამომქონდა. — ამ ორ ახალგაზრდა იდიოტს
საკუთარი თავისთვის ვერ მოუვლია, დედას ვინ ჩივის... დიდი ამბავი — თათიო,
გეტყვიან! მლოწნიან, დედა კი უჭმელ-უსმელი ჰყავთ, ყელში ამომივიდა ყვე-
ლაფერი, ყელში ამომივიდა... ამ სულელურმა თმამაც არ გამიწყალა გული! —
ალარც აქეთაა, ალარც იქით: სიგრძე ამას არა აქვს, მოვლა ამას არა აქვს... მერე-
და რამოდენა ჭალარა გამორევიან! თანაც სულ უადგილო ადგილას, — სად გაგო-
ნილა ყურებს უკან შეჭალარავენა? პატიოსნად მაინც გავჭალარავენბულიყავი.
ადამიანებს რომ შეეფერებათ, ისე, ჭერ საფეთქლები შემთეთრებოდა, მერე...
ჰო, რა უაზროდ, რა უნიჭოდ ვჭალარავდები! ახლა კიდევ ეს კულულ-დალალეები
შუბლზე, ჩემი ხელით ნაცოდვილარი! თავადა ვარ ბებერი ტუტრუცანა,
ვინ მაძალებდა, თვითონ არ დავიხვიე თმისსახვევით? მე შენ გეტყვი და არ გამ-
ტანჯა, არ შემაწუხა...

...აღარ მოვუშვადებ სადილს, საკუთარ თავს თვითონ მიხედონ...

ამ თმას კიდევ რაღაც უნდა მოვუხერხო. ხომ არ შემიკრიჭა? ისე, ცოდო
კია... სამი წელი მაინც იქნება, ვიზრდი, წყალში გადაყრილი არ იქნება ამოდენა
შრომა?.. არა, საცმარისია, უნდა შევიკრიჭო. თმას შევიკრეჭ და თავიდან დავიწ-
ყებო, იტყოდა ხოლმე მამაჩემი. აგორებული ცხოვრება კი ჰქონდა ცხოვრებულს.
სიკვდილის დღემდე სულ იმას ეპირებოდა, „თავიდან დავიწყებო“... „აი, თმას
შევიკრეჭ და თავიდან დავიწყებო“.

— მივდივარ, — გავძახე ბიჭებს.

—საი? — იკითხა კოსტოვამ.

— თხოვდება, — აუხსნა კოლიამ.

III

ქუჩა მართლაც რომ შშვენიერი სანახავი დამიხვდა, ახალგადაღებული წვი-
მის ცინცხალი წვეთებით იყო დაცვარული. ცაცხვებმა გამიანათეს, — დაუქათ-
ქათდათ, გადაუკრიალდათ ფოთლები და ცისარტყელებად მოციალე სარწყავი
მანქანაც მისრიალებდა თავისთვის, რატომღაც ხელახლა რწყავდა ისედაც სველ
ასფალტს. ნაყინი ვიყიდე და გზადაგზა მოვაქლეჯდი ხოლმე ჩამკვრივებულ, ვა-
რდით დამშვენიებულ კენწებოს. ცოტ-ცოტა კბილები მტეხდა, მაგრამ მაინც მსი-
ამოვნებდა ასე სადილოზა — ასე გზადაგზა, ნაყინით, სტუდენტურად.

ჯერჯერობით მსუბუქად მივაბიჯებ. გაზაფხულის დღე კარგა გრძელია, ირ-
გვლივ ხალხი დაფუსფუსებს, ყველას ეჩქარება, ცქრილა გოგოებიც რა ხშირად
გამოუჩრევიათ ხოლმე. აი შევიკრეჭ თმას და თავიდან დავიწყებ.

ესეც საპარიკმახერო. უზარმაზარ ვიტრინაში ქალიშვილების ფოტოსურათ-
ებია გამოფენილი. მასშტაბი — სამი ერთზე; თითოეული ამ ქალიშვილთაგანა

თავის ვარცხნილობაზეა გადაყოლილი. იქვე წარწერაა: „ვაწარმოებთ ყველა სახის მომსახურებას საერთო რიგისდა მიხედვით“.

თუ შესვლაა, შესვლა იყო. გამოვწიე მაღალი, მძიმე კარი, რომელსაც სიგრილე ეწერა: „თქვენცენ“. შიგნით ოდეკალონის ტბილი, ტრუსისა და კიდეც/რადაც საზიზღარი სუნი ტრიალებდა. ოციოდე ქალი იცდიდა, ზოგნი ჩქარავე იდგა.

აუპ, რამოდენა რიგი ყოფილა! ხომ არ გავბრუნებულიყავი? არა, რაკი ვთქვი, საქმეს საქმეზე მოვიყვან.

ქალებს მივმართე:

— ვინაა უკანასკნელი?

ზოგ-ზოგიერთმა თავი კი მოაბრუნა ჩემკენ, მაგრამ პასუხი არავენ გამცა.

— ვერ მეტყვი, ვინაა აქ უკანასკნელი?

— უკანასკნელი აქ არავენაც არ გახლავთ, იხუმრა ვიღაც შავტუხამ, ყოყლოჩინა კბილის პატრონმა.

— ბოლოს ეძებთ, ქალბატონო? — მკითხა ხნიერმა, ცისფერწინდოსანმა ქალმა, მონაცრისფრო ნეჭასავით რომ ჰქონდა თმა. ბოლომ, მგონი, ჩემს მერე დაიკავა რიგი, ეტყობა, წავიდა.

დაწითლებული. შრომა-გარჯისაგან მოღლილი ხელები ქალს მუხლებშუა ჰქონდა ჩამოსვენებული.

— ასე თუა, თქვენს შემდეგ მე ვაქნები. როგორ ფიქრობთ, დიდხანს მოგეჩვენს ლოღინი?

— სულ ცოტა, ორი საათი მაინც, — მიპასუხა იმ ხნიერმა ქალმა.

სხვები დუმდნენ. ვიღაც ტანტანა თეთრა ქალმა გედისებურად მოაბრუნა ჩემკენ კისერი, კამკამა ლურჯი თვალებით დამსერა და ისევ მიბრუნდა.

* *

ჩემზე ამბობენ, დიდად მორიდებული ადამიანი არ ეთქმისო, მაგრამ ქალებისა რატომღაც მერიდება, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა თავშეყრილთ ვნახავ ხოლმე სადმე, თითოეულს თავ-თავის ქალური საქმით გართულს. სულ ის მეჩვენება, აგერ იქნება და აუცილებლად გამკიცხავენო, რისი გულისთვის უნდა გამკიცხონ? რისი გულისთვის და, განა ცოტა რამაა გასაკიცხი? თუნდაც ამ ჩემი დროული ასაკისთვის (ერთი ამას დამიხედეთ, ამანაც არ მოინდომა გაღამაზება!), თუნდაც სათვალის ან ბადურაში ჩაყირავებული ინგლისური წიგნის გულისთვის. ამოდენა რიგში უმალ ხნიერი, ცისფერწინდოსანი ქალისკენ გამიწია გულმა. ეტყობა, მეც თვალში მოუვდო. ორი ბეზია ერთად. ქალმა ჩაიჩოჩა, ადგილი მომითავისუფლა.

— რაღას უდგებარ, დაჯექი. ფეხზე დგომას რა ჰკუა აქვს!

სკამის კიდეზე ფრთხილად ჩამოვჯექი.

— რისი გეშინია, დადე კურტუმო წესიერად, დავეტევით. მე შენ გეტყვი და ნამარხულევს არ მიგავს. ერთ დროს მეც კაი გვარიანი მქონდა, მაგრამ კი შემომადნა და...

დავსხედით.

— ექვსთვიანი მინდა დავახვევინო, — მითხრა. — ქმარმა არ გადამიყვაროს... ამ სიბერეში ახალგაზრდა ქალს დაუწყო კურკური.



— ბავშვები გყავთ?

— კი, ორი ბიჭი.

— მეც ორი შვილის დედა ვარ.

— ქმარი ხომ არ დაძვრება ჩუმ-ჩუმად?

— ქმარი არა მყავს.

ქალი ცოტა ხნით მიჩუმდა.

— ვის როგორ გაუმართლებს, — მითხრა პატარა ხნის მერე. — ეს ჩემი ქმარი, მართალია, სადღაც-სადღაც დასუნსულებს, სამაგიეროდ, სასმელს არ ეკარება. შენ აიდე, თურმე სულაც არ გყოლია. ისე, ხელს მაინც ნუ ჩაიქნევ. იმედს ნუ გადაიწურავ. არც მაინცდამაინც ხნიერი უნდა იყო, თან კაი ჩაბუნტულებულიც ხარ.

— არც ვაპირებ ხელის ჩაქნევას.

— შემდეგი! — დაიძახა კარის ზღურბლიდან ჩასქელებულმა, თეთრხალათიანმა ოსტატმა, კისერთან ზიმზიმა მწვანე პალსტუხი რომ ჰქონდა გამონასკვლი.

იმ კბილა შავთანამ ერთი კი შეიკუნტრუშა და მოულოდნელად წინ გაეზარდა.

ქალები უცებ აყაყანდნენ:

— მაგისი რიგი არაა!

— არ შეუშვათ!

— მე ექვსთვიანი მინდა, — იგერიებდა შემოტევებს შავტუხა.

— ჩვენც ექვსთვიანი გვინდა!

— მეც ექვსთვიანი უნდა დავიხვიო! — დავიწრიპინე ფეხის ხმას აყოლილმა.

— გარკვევით ითქვა: ყველანაირი მომსახურება...

საერთო რიგი ღრიალებდა. ბობოქრობდა.

— ნუ ხულიგნობთ. გენაცვალე, — მოუწოდა სქელომ. — უკლებლივ ყველას მოვემსახურებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

შავთანა სალონში შეძვრა. ღრიანცელს ბოლო არ უჩანდა.

— ეგ გოგო მაგის საყვარელია, — თქვა თეთრამ, გედისკისრიანმა.

— რა ვუყოთ მერე... წესრიგი მაინც უნდა იცოდეს. რაში გვეკითხება, ვინ ვისი საყვარელია.

— აი, მოვითხოვოთ ახლა საჩივრის წიგნი და..

— სადაა გამგე...

— გამგეს დაგვიძახეთ!

გარდერობის თეჯირს მიღმა ჭალარათმიანმა მოხუცმა ქსოვას მიჰყო ხელი. სალაროს ჭიხურში მოკალათებულმა ცისფრად გამოქათქათებულხალათიანმა ვარდისფერმა მოლარე ქალმა დაამთქნარა, საიდანღაც პატარა სარკე ამოამზეურა, ტუჩ-პირი დაჭიფხა და სქელი წარბების თითხვნას შეუდგა.

სწორედ იმ წარბების დანახვამ გამაცეცხლა. რიდის ნატამალიც აღარ შემორჩა. ავდექი და სალაროსთან მივედი.

საჩივრის წიგნი მომეცით.

მოლარემ ბძულვარე მზერა შემომაგება.

რაში გჭირდება რო?

— ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ. საჩივრის წიგნი ნებისმიერ დროს შეგვიძლია მოვითხოვოთ.

რიგი აბობოქრდა, ამჯერად ჩემს წინააღმდეგ:

— სულ პატარა რამე და ხელათ...

— ერთი ადამიანი გაატარეს, ამან კიდევ — საჩივრის წიგნი...

— ხო, ჩაუწერს ერთ-ორ სიტყვას, ხალხი კიდევ უსიამოვნობას ვეღარ უკუა...

— სხვასაც უნდა გაუწიო ანგარიში... ესენიც ხო მუშაობენ...

არ უყვართ ჩვენში მომჩივანი ხალხი. მაგრამ ჩემი ჩაჩუმება ვეღარ მოხერხდებოდა, მომართული ვიყავი.

— ქალბატონო, — დავტყეპე მილიციელის ხმით, — ახლავე თუ არ მომცემთ საჩივრის წიგნს...

მოლარე ქალი კაბინიდან გამოვიდა:

— გამგეს დაგიძახებთ.

ეს იყო და გამგეც გამოვიდა — ვილაც გრუზათმიანი, შავ-შავი მუტრუკი. პარისაზე ყასაბს მიუგავდა.

— რა გნებავთ, ამხანაგო?

ავდექი და ავუხსენი, რომ ოსტატმა ახლაბან ურიგოდ მიიღო ვილაც ქალი. მოწმეებიც დავუსახელე, მაგრამ მოწმეებს პირი ჰქონდათ აკანილი. გამგემ თავიდან ბოლომდე მომისმინა, წარბიც არ შეუხტია, მერე, ძაღლს რომ გასძახებენ, ისე გასძახა ვილაცას:

— როზა!

მოსაცდელში მარლისჩაღმიანი ჩოფურა პარიკმახერი შემოგოგმანდა.

— როზა, ამ ქალბატონს რიგგარეშე მოემსახურები.

— მესმის, რუსლან პეტროვიჩ.

— რას ამბობთ, ეგ სულაც არ მიფიქრია. — ავღელდი ჩემდაწილად. განა ურიგოდ მინდოდა შესვლა!

რუსლანმა ზურგი შემომაქცია და მოსაცდელიდან გავიდა.

— როზა, — მივუბრუნდი ქალს, — გამიგეთ, ჩემს თავს კი არ დავეძებ, უწესრიგობას ვერ ვითმენ.

— თვითონ ბრძანდებით უწესრიგობის მიზეზი, შეუგნებელი ხალხი ხართ და მეტი არაფერი. — თქვა როზამ და ისიც წავიდა.

რიგში დავბრუნდი. ქალები ხმას არ იღებდნენ. ის ხნიერი წინდოსანი ქალიც კი აღარ განძრეულა, დაკრულივით იჯდა იმ თავის სკამზე.

ზის და იჯდეს...

კიდევ დიდხანს მომიწევს ლოდინი. გრილ, ზეთის საღებავით შეღებილ კედელს მივეყრდენი. ვიდექი ჩემთვის და ვფიქრობდი.

ისე, მართლა კარგი იქნებოდა ნოვოსიბირსკში წასვლა. მომცემდნენ ერთ-ოთახიან ბინას... ან სულაც იმ სასტუმროში დამაბინავებდნენ, ამასწინებზე რომ ეცხოვრობდი. ისეთი სახლია, ეს რა ვნახეო, იტყვი—სასაცილო, ნაირფერი, გარეთ ათასი, შიგნით ატლასი. ირგვლივ ტყეა, ველად ნებაზე გაშვებული მწვანე, ხშირი, ხასხასა და ჯილადადგმული ბალახი ადამიანს კისრამდე გწვდება. ქუჩებში ჩიტები ელურტულებენ, ქვაფენილზე კი აქეთ-იქით დაიარებიან მათემატიკოსები და ფიზიკოსები, სათვალღიანი, წვეროსანი. ახალგაზრდა და გულგალაღებული ადამიანები...

... არც ის იქნებოდა ურიგო, მართლა რომ გავთხოვილიყავი, დამეკრა უცებ ფეხი და ჩემს ძველ მეგობარს, ჩემი სიყრმის მეგობარს გავყოლოდი, სულაც ევპატორიაში რომ არ გადავსახლებულიყავი? იმ პატიოსან კაცს მთელი ცხოვრება ვუყვარდი, ვიცი, ახლაც ვუყვარვარ. ისე, კაი ხნის უნდა იყოს — მაინც რამდენი წლითაა ჩემზე უფროსი? ათი წლით? როგორაა ნათქვამი? პეტრე ისაა, ვინც ჩემზე ათი წლით არისო უფროსი. რა ვუყოთ მერე, გავთხოვდები და მორჩა, ევპატორიაში ვიცხოვრებ. მიუჩვიონ ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავზე თვითონ იზრუნონ. სამსახურს რა ვუყო? ესეც მოხერხდება, ვიშოვი რაღეს, უფრო იოლ სამუშაოს. ან არადა, სულაც არ ვიმუშავებ. ვიჭყუმპალავებ ზღვაში, ბაღში ყვავილებს დავრგავ, ქათმებს მოვაშენებ... ვითომ რითაა ცუდი? სარეცხ-საც დავრეცხავ, ლილისფერ თეთრეულს მზისყურა და ქვავნარ ეზოში გამოვაფენ... გამესაპნება ხელები, გამეზუხება და ჩამომეშლება თმა, ხელით მოვიცილებ სახეზე ჩამოყრილ კულულებს... ეს იქნება და ამასობაში მეუღლეც მომადგება, მხარზე ხელს მომიტათუნებს: „დაიღალე, გენაცვალე? დაისვენე, ჩემო კარგო“ — „არა, არაფერი მიჭირს“. ვეტყვი, რა სისულელეა, რეებს ვბოდავ.

— ვისა სურს მოვემსახუროთ? — გაისმა ბიჭის ჭერ უმწიფარი, მყივარი ხმა გამოვერკვიე.

ქალების რიგთან ყმაწვილი იდგა, ასე თვრამეტრიოდე წლის, კინკრისოზე ქორი ჰქონდა აყაყული. გამხდარ-გამხდარი იყო, უფრო კი გამოწლიკვლული ეთქმოდა. თხელი, ფერმკრთალი ჰქონდა პირისახე, წვრილი ხელები წაწვეთებულ იდაყვებამდე მოეშოშვლებინა და ფერმიხდილ, მოველურო პირისახეზე ანთებული შავი თვალები უელავდა. ვერ გაარკვევდი: შველს ჰგავდა უფრო თუ მგელს.

— ვისა სურს მოვემსახუროთ? — გაიმეორა ბიჭმა. ქალებს ატუჩვით უყურებდა, თითქოს თვითონ კი არა, ისინი უნდა მომსახურებოდნენ მას.

— მე მინდა.

— მე მინდა...

— მეც...

— პირველად მე ვთქვი!

— არაფერიც, მე ვთქვი პირველად!

რიგი ისევ აგუგუნდა, აყაყანდა.

— სხვათა შორის, ვალდებული ვარ წინდაწინ გაგაფრთხილოთ, — ჩაურთო ყმაწვილმა, — რომ ოსტატი არ გახლავართ, ჯერჯერობით სტაჟიორი ვარ და შეიძლება დაგამახინჯოთ კიდევ.

ქალები უცებ ჩაყუჩდნენ.

— არა, გენაცვალე, ისევ ის მირჩევნია ჩემს რიგს დაველოდო, — ამოიოხრა ხანშესულმა.

რაც იქნება, იქნება-მეთქი გადავწყვიტე და ვთქვი: — თქვენი ნება იყოს, დამამახინჯეთ...

ყმაწვილს ხელდახელ გაეცინა. მარტო თვალებში კი არა, ღიმილშიაც უერთოდა რაღაც მოველურო, ალესილივით მოუჩანდა კრიალ-კრიალა კბილები.

— ეგ კი მართლა კარგადა თქვით: დამამახინჯეთო. მე, ჩემდა თავად, ვეცდები არ დაგამახინჯოთ, წამომყევით.

ყმაწვილი დარბაზის ნაცვლად სადღაც უკანი ოთახში შეშიძლუა. აქ უკვე თე-

თრხალათიანი ოსტატი კი არა, ორი შავხალათიანი ოსტატი დამიხვდა, ორ ქალს რომ დასტრიალებდნენ თავს. ქალებს სპილენძის შეღუნულ-შემოდუნჯულ ტაშტებთან მოედერებინათ კიარები. ერთ-ერთი ოსტატი ფუნჯით ქალს საღებავს ადებდა თმაზე. მეორე — რაღაც მწვანესითხიან მენზურაა აკვირდებოდა სინათლეზე. ნუთუ მწვანედაც ღვბავენ?

ოთახში სულ სხვა სუნი ტრიალებდა. აჭაურობა ჩაბუთებულ იყო, მიძქრალე-ბულო. კართან ორი ვიწროშარვლიანი, საეჭვო ქცევის ლაწირაკი იდგა, ქილვაზე-ბი ცერად აეპარსათ და ერთმანეთს ხმადაბლა ეპუტუნებოდნენ საკმაოდ საეჭვო თემაზე: „ოცდაათი „ლონდა“ და ორმოცდაათი „ფიქსაფი“. საუბარს სპეკულაციის სუნი უდიოდა.

— ნუ გერიდებათ, მითხრა ყმაწვილმა, — აი, იმ ტიხარს იქით მოგემსახურებით.

მოყანყალებული, ცისფერი ტიხარი ნება-ნება ირწეოდა, სუნთქავსო თითქოს კედელზე რაღაც ქვეციან, ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული სიგელი უაიდა: „მოწინავე საწარმოს“.

სავარძელში ჩავჯექი

— სარჭები დაიდრეთ, — ბრძანა ყმაწვილმა.

დავიძრე სარჭები.

ყმაწვილმა ჩერ ერთ კუთუღს შეაღლო ხელი, თითებშია გაატარ-გამოატარა. მეორე სხვა კუთუღს მოეკიდა.

თმაზე ბოლომძოვარა გაგჩენიათ, ალბათ თავად იხვევდით, იმის ბრალია ხოლმე, როგორი ვარცხნილობა გნებავთ?

— გამკრიჭეთ... და ექვსთვიანი დამიხვიეთ, თუ შეიძლება.

— შეძლებით ყველაფერი შეიძლება. ექვსთვიანსაც დაგიხვევთ, ოღონდ წინდაწინ გაფრთხილებთ, ეგ ვარცხნილობა დღესდღეობით აღარაა თანადროულ-ლი. მე პირადად ქიმიას შემოგთავაზებდით.

ესე იგი, თმის ქიმიურ დახვევას?

— ზუსტად ასე გახლავთ. ყველაზე თანამედროვე ვარცხნილობაა. მხედველობაში მიიღეთ, რომ საზღვარგარეთ ექვსთვიანს ახლა აღარავინ იხვევს, მთლიანად ქიმიაზე გადავიდნენ.

მაინც რით განსხვავდება ის თქვენი ქიმია და ექვსთვიანი ერთმანეთისგან?

— ოასა ბრძანებთ, ცა და დედამიწა. ექვსთვიანი — ცხვარვარცხნილობა გახლავთ. ზოგ-ზოგიერთს შეიძლება მოსწონს ასეთი ცხვარვარცხნილობა, მე პირადად კი ვერ ვეგუებ. აი, ქიმია კიდევ სულ სხვა საქმეა. ვარცხნილობას ლა-ზათს მატებს, შეხედავ თუ არა, ასე იფიქრებ, თმა ეს-ეს არის და ქარმა გაფანტაო.

ანაზღად მეც ასე ქარისაგან გაფანტული თმა ვინატრე.

ასე თუა, ქიმია იყოს, — ვუთხარი. — დიდი დრო დააჭირდება?

— ოთხი საათი მაინც, თუ მისამშობათებ, ორ საათშიც მორჩები, მაგრამ საქმის მათუჩეჩებას დაჩვეული არა ვარ.

— ესე იგი, თერთმეტამდე მომიწევს აქ ყოფნა?

— შეიძლება სულაც თორმეტის ნახევრამდე.

... ეჰ, კოლია და კოსტია შინ უსადილოდ სხედან.

ნეტა თუ მოიფიქრებენ ის ჩემი ლენჩები რაიმეს ყიდვას? არაფერი უჭირთ, მიეჩვიონ.

— რას იზამ, ასე იყოს. შეუდექით.

— ნუ ღელავთ, — მითხრა უეცრად ყმაწვილმა, — ჩემი ავალიფიკაციით ოსტატზე მეტი თუ არა, ნაკლებიც არა ვარ. სტაჟიორად მუშაობს უფრო მაწ-
უობს. გეგმას არაფინა მთხოვს. პასუხისმგებლობაც ნაკლები მაქვს. ამასთან,
ვე, თუაი კლიენტი თანახმაა, ექსპერიმენტების ჩატარებაც თავისუფლად შე-
მიძლია.

სრულიადაც არ ვღელავ-მეთქი. ვუთხარი. — რა მაქვს ასაღვლეველი? მე
შენ გეტყვი და, ისეთი სილამაზის პატრონი ვარ, რომ...

ყმაწვილს ისევ გაეცინა თავისებურად. — უცებ გამოაკრთო კბილები.

— ეგ კი კარგადა თქვით: მე შენ გეტყვი და, ისეთი სილამაზის პატრონი
ვარო. მართალი ბრძანდებით

რალას ვიზამდი. თვითონვე დავეკიდე ენაზე.

* *

— თქვენი სახელი?

— ვიტალიკა.

— ვერ ვიტან ასეთ სახელებს. ვალერიკაო, ვიტალიკაო, ვლადიკაო, ალ-
კაო... ფეხს ისე ვერ გადადგამ, იკ-იკებით არ გამოგიჭედონ ყურები. ეს ქაჯი
სახელები, ჩემი აზრით, რუსულ ენას სრულებით არ ესადაგება.

— როგორ ბრძანეთ? რუსულ ენას არ ესადაგებო? მაინც რას გულისხ-
მობთ?

— ასეთი დაბოლოებები ადრე საერთოდ არ ყოფილა, ახლახან მომრავლდა.
არის ამ სახელებშიც რალაც სანტიმენტალური, მაინცდამაინც ენა უნდა მოგა-
ჩლექინოს. წარმოიდგინეთ, მაგალითად, „ომისა და მშვიდობის“ გმირები: ნიკო-
ლაი როსტოვი, ანდრეი ბოლკონსკი, პიერ ბეზუხოვი. ეთქვათ ახლა და, ერთს
კოლიკა რქმეოდა, მეორეს — ანდრიკა, მესამეს — პიერიკა.

ბიჭს ისევ გაეცინა.

— საინტერესოა; მაშასადამე, არ შეიძლება, რომ ვიტალიკა ვთქვა?

— არა, შეიძლებით როგორ არ შეიძლება, მაგრამ უმჯობესი იქნება — არ
თქვათ.

— კი მაგრამ, მაშ რა მქვია?

— რა გქვიათ და უბრალოდ, ვიტალი. ლამაზი, მეღერი სახელია. „ვიტალი“
სიცოცხლისეულს ნიშნავს.

— თუ ნებას დამრთავთ, ჩავიწერ.

ყმაწვილმა ხალათია ჩიბიდან საკმაოდ მოზრდილი, უკვე შელანძლული
უბის წიგნაკი ამოიღო.

— ვიტალი, ანუ სიცოცხლისეული. ამ უბის წიგნაკში, სხვათა შორის, საინ-
ტერესო აზრებს ვიწერ.

— მაინც რა აზრებს იწერთ?

— სხვადასხვა აზრებს, ცხოვრებისეულ ამბებს რომ შეეხება. მაგალითად,
აი, ასეთ აზრს: ვინც საკუთარ დროს პატივს არ სცემს, იგი საკუთარ თავს არ
სცემს პატივს. სხვათა შორის, სავსებით სწორი აზრია.



- მერედა, ვისი აზრია?
- საკუთრივ ჩემი თავი სუფთა გაქვთ?
- უცებ ვერც მივხვდი, რას მეკითხებოდან.
- მე მგონი, სუფთა უნდა მჭონდეს, წუხელ დავიბანე.
- გაფრთხილებთ: თქვენ იქნებით პასუხისმგებელი.
- ხო, რა მკაცრია. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ქირურგთან მისული ავად-
მყოფი და დამფრთხალი ვათვალისწინებდი უცნობ ხელსაწყო-იარაღებს.
- ეს რა წაღღუნაა?
- სამართებელია. ქიმიითურთ გაკრეჭვისას ყოველთვის ასეთ სამართებელს
ვხმარობთ, აველ თმაზე ამ სამართებელს ჩამოვუსვამთ ხოლმე. თავი დახარეთ.
მის მოკლე-მოკლე ბრძანებებს („თავი დახარეთ“) რაღაცნაირი უხერხულო-
ბა ახლდა, ვერ იტყვოდი, პარიკმახერის ნათქვამიაო. პარიკმახერები ერთთავად
„გენაცვალეს“ დააყოლებენ ხოლმე. ეს ყმაწვილი კი მრისხანედ მომიკვეცავდა
ხოლმე კულუღს, მერე თმას ზევით აწევდა, სარკით დაამაგრებდა, ჩამოვარ-
ცხნიდა და ისევ მოკვეცავდა დაახლოებით ნახევარი საათი გავიდა. ბიჭმა ენა
ამოიღო.
- თუ არა ვცდები, თქვენა თქვით, „ვიტალიკას“ ნუ იტყვით. „ედიკას“ რა-
ღა მოვუხერხოთ? არსებობს ასეთი სახელი? მე, მაგალითად, ამხანაგი მყავს.
ედიკა პქვია.
- ალბათ ედუარდი ერქმევა.
- ედუარდი რუსული სახელი არ უნდა იყოს, არა?
- არა, რუსული სახელი არაა.
- მაშ, საიდან გაჩნდა ჩვენში, რუსეთში, ასეთი სახელი?
- იყო ერთ დროს ასეთი მოდა, ჩემი აზრით — სულელური.
- თქვენ თუ გყავთ შვილები?
- ორი ბიჭი მყავს.
- რა ხნის არიან?
- უფროსი ოცდაოთხისაა, უმცროსი — ოცის.
- ჩემი ხნის ყოფილა. მეც ოცისა ვარ. ოცდამეერთეში გადავედი. რა პქვი-
ათ თქვენს შვილებს?
- კოლია და კოსტია, უბრალო რუსული სახელებია. ყველაზე კარგი სახე-
ლები ეგაა.
- მე კი მეგონა, ტოლიკა, ედიკა, ან კიდევ სლავიკა უფრო კარგი სახე-
ლებია-მეთქი.
- ეგ თქვენ მხოლოდ გგონიათ. აი, შვილები რომ გეყოლებათ, გირჩევთ
ჩვეულებრივი, უბრალო სახელები დაარქვათ: ვანია, მაშა...
- ჩემმა სიტყვებმა გაახალისა: არ ვიცი — რამ, ამ უბრალო სახელებმა თუ
მე აზრმა, რომ დრო მოვა და შვილები მასაც ეყოლებოდა. ყმაწვილი გერაც
ჩემს კრეჭაში იყო. რამოდენა დრო ყოფილა თურმე საჭირო, რომ ერთ ქალს
თავი გადაუხუზო...
- მალე მორჩებით?
- თავი დახარეთ. ჯერ რა დროაია. საკმაოდ რთული ოპერაცია გახლავთ.
მაპატიეთ, რაღაც უნდა შეგეკითხოთ. აი, წელან ერთი-ორი სახელი და გვარი

ახსენეთ: ნიკოლაი, ბრძანეთ, თუ არ ვცდები, როსტოვსკიო, ანდრეი ბოლკონსკი და კიდევ პიერიო. მგონი, პიერი თქვით, არა? რა გვარია?

— პიერ ბეზუხოვი.

— ჰოდა, მეც შეკითხვა მაქვს. განა პიერი რუსული სახელია?

— არა, ფრანგულია. რუსულად პიოტრი იქნება.

— კი მაგრამ, თქვენ, მგონი, რაღაცნაირად გამოთქვით, აქაოდა, ვიტალიკა ან, ვთქვათ, ედიკა, რუსულ ენის ამბავში არ არისო, თავად კი ისეთი ფრანგული სახელი დაასახელეთ, როგორიცაა პიერი.

ერთი ამ ჯეულს დამიხედეთ! გამომიჭირა მაინც. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მაინც გამომიჭირა.

— მართალი ბრძანდებით. მაინცდამაინც კარგი მაგალითი ვერ მოვიყვანე.

— რა მოხელე ხალხია, აი, ისინი, ეხლა რომ ახსენეთ, ვინაა ანდრეი, ნიკოლაი ან ის პიერი? რუსები არიან?

— კი, რუსები არიან. ოღონდაც იმ დროს უმაღლეს საზოგადოებაში ფრანგულად ლაპარაკი იყო მიღებული.

— ეგ რომელ დროს?

— „ომი და მშვიდობის“ დროს.

— რომელი ომის? პირველი იმპერიალისტური ომის დროს?

კინალამ სიცილი წამსკდა, მაგრამ თავად მეტისმეტად წარბშეკრული იდგა სარკეში მის მკაცრ, შეწუხებულ სახეს ვხედავდი.

— ვიტალი, თქვენ რა, „ომი და მშვიდობა“ არ წაგიკითხავთ?

— ეგ ვისი ნაწარმოებია?

— ლევ ტოლსტოის.

— ერთი წუთით. — ვიტალიმ ისევ ამოამზეურა თავისი უბის წიგნაკი და ფურცელა დაუწყო. — აჰა, აგერაა, ჩაწერილიც მაქვს: ლევ ტოლსტოი, „ომი და მშვიდობა“. ეს ნაწარმოები გეგმაშიც მქონია ჩანიშნული. მე ამ ჩემს საერთო განათლებაზე გეგმისდა მიხედვით ვმუშაობ.

— კი მაგრამ, სკოლაში „ომი და მშვიდობა“ არ გისწავლიათ?

— სკოლა ვერ დავაძთავრე. მამაჩემი დღენიადაგ სეამს, დედინაცვალი კი მეტისმეტად რელიგიური ქალია. არ მინდოდა იმათ კისერზე ყოფნა და ბოლომდე ვეღარ გავნათლდი. პრინციპში, არასრული შვიდი კლასი ვისწავლე, მაგრამ განათლების მიღება გეგმაში მაქვს. ჯერჯერობით ზედმიწევნით კარგად ამ ამბავს თავი ვერ მოვაბი, ბინის საკითხი მიშლის ხელს, მაგრამ ჩემს დონეს მაინც ვიმაღლებ, გეგმისდა მიხედვით ვკითხულობ სხვადასხვა ნაწარმოებებს.

— დღესდღეობით რას კითხულობთ?

— ბელინსკის.

— კონკრეტულად რომელ ნაწარმოებს?

— თხზულებათა სრულ კრებულს.

ვიტალიმ ფიბრის პატარა ჩემოდანი გახსნა და თმის სახვევების, ხის ჯოხების, ფლაკონებისა და კიდევ რაღაც-რუღაცების გროვიდან სქელტანიანი მოყავისფრო ტომი ამოაცურა.

გადავშალე წიგნი. ბელინსკის თხზულებათა კრებული. ტომი პირველი. „მეცელი, კრიტიკოსი გოეთე“...

— ვიტალი, ნუთუ თქვენ ყოველივე ამას კითხულობთ?

— ყველაფერს, თანმიუდოებლად. არ მიყვარს აცაბაცა კითხვა. გეგმისდა

მიხედვით ამ წლის დამლევს ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული უკვე გადაბეჭდვადებული უნდა მოხდეს.

— გეგმა ვინ შეგიდგინათ?

— თვითონ შევადგინე. რა თქმა უნდა. უფროსი ამხანაგების რჩევებსაც ვითვალისწინებ. რამოდენიმეჯერ ჩემი, რუსულის მასწავლებელ მღვდლისგან ერთი-ორი ნაწარმოები იმან დაპირებულა. ამასთანავე, ზოგიერთი შედარებით ულტურული კლიენტის მენმარება ხოლმე გეგმაზე მუშაობიას.

— ეგ ძველადღიო გასაგებია. მაგრამ ამას ხომ ძალზე დიდი დრო უნდა, აბა, დაფიქრდით. ვიტალი: მთელი წელიწადი ბელინსკის კითხვას უნდა მოანდო-
მოს.

— მე რე რა მოხდა, დიდი ამბავი — ერთი წელიწადი. მე ჯერ ახალგაზრდა ვარ.

სოტაც და ვიტალი. ეტუობა. საქმეს შორჩებოდა. სარკისკენ გახედვაც კი შეშინოდა, ტურფით-თხემამდე ვგრძნობდი, რომ უშნოდ, უსირცხვილად ვიყავი გაკორტნილი. რაც იქნება, იქნება, იმათ ჯიბრზე სულაც გადავიხოტრავ თავს.

— ვიტალი, აწი რას აპირებ?

ჯერ ხსნარით შევასველებ. მე რე შემოვკვეცხავ.

— არა, ჩემს თმაზე კი არა. თქვენს მომავალზე გეკითხებით. რას აპირებთ მომავალში?

— ეს საკითხიც უკვე შემუშავებული მაქვს: საერთო დონეს ავიმალღებ, ათ-წლეულის მასალას ჩავაბარებ.

მერე რას იზამთ?

მერე, ინსტიტუტში მიიწვიან ჩაბარება.

რომელ ინსტიტუტში?

ჯერჯერობით არ ვიცი. იქნება თქვენ შირჩიოთ რომელიმე ინსტიტუტი?

— მნელი საქმეა. მე ხომ არც თქვენი მიდრეკილებები ვიცი, არც შესაძლე-
ბლობა. თვითონ რა გიტაცებთ?

— დიალექტიკური მატერიალიზმი.

ლამის იყო და პირიც კი დავადე. ბარაქალა შენს ბიჭობას!

— ეგ როგორ გაეიგოთ. ვიტალი! გინდათ მასწავლოთ თუ უფრო თეორე-
ტიკოსობა. მეცნიერების გაღრმავება გსურთ?

— არა, ვასწავლო მიიწვიან-მეთქი, ვერ ვიტყვოდი. ასეთ მიდრეკილებას ჩემს
აქვს ვერ ვატყობ. არა, როგორც თქვენა ბრძანეთ, მე უფრო მეცნიერების გა-
ღრმავებას მოვეცმსახურებოდი.

მერედა, რა საფუძველი გაქვთ იფიქროთ, რომ ამის უნარი შეგწევთ?
ეგ ხომ არცთუ იოლი საქმეა.

— ჯერ ერთი, საამისო საფუძველი საკმაოდ მაქვს: მთავარი ისაა, რომ პა-
ტარაობიდანვე სიამოვნებით ვკითხულობდი პოლიტიკურ ლიტერატურას, მა-
გალითად „ახალ დროებას“, „იუნესკოს კურიერს“ და სხვა გამოცემებს. სკო-
ლაში ყოველთვის პირველი ვიყავი მიმდინარე მომენტის შესწავლაში...

კი მაგრამ, სად ეგ და სად — მეცნიერული მუშაობა. განა...

ენა დამება. ვიტალი თვალმოწყურული იცქირებოდა სარკეში, თმის სახ-
ვეების, ფლაკონების და მაკრატლების ზემოდან.

დარწმუნებული ვარ, — მტკიცე ხმითა თქვა მან. — ნამდვილად შეგა-

ლებდი სარგებლობის მოტანას, დიალექტიკური მატერიალიზმისათვის რომ მო-
გვიდა ხელი. შემთხვევით, ხომ არ იცით, სად ეუფლებიან ამ პრეტენზიას?

ვიცო: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

244953

...ოპერაცია საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა და მხოლოდ სასტამბო ტრთად გა-
ვატარეთ. ვიტალი გულისყურით დამტრიალებდა თავზე, თმას ცალფერდა ჰი-
პერბოლოიდის მსგავსა ჯოხებზე ახვევდა. ჯერ ხსნარში გაასველებდა. მერე საბნის
ფუმფულა ქაფს წააცხებდა. გაალალლალლებდა ერთხელ. გაალალლალლებდა მეო-
რედ. დაახვევდა სახვევზე. გააშრობდა. ჩამომივარცხნიდა... ამასობაში დაიღალა
და ვიწრო შუბლი გრძელ-გრძელი. სწორი წარბების გაყოლებაზე ოფლის წვე-
თებით დაეცვარა. თერთმეტს თხუთმეტი აკლდა. უკანასკნელად რომ ჩამომივარ-
ცხნა თმა და შეშეშვა. ძე კი ჩემს თავს სარკეში ჩახედვის უფლება მივეცი.

ამას რას ხედავს ჩემი თვალები! ესეც შენი ქიმია... წაბლისფერი თმის ბზინვარე ცოცხალი მასა, რომელშიაც მოუღვარე ოქრომცედებად ჩაძირულიყო ჭაღარა, თმას ეი არა, ძვირფას ბეწვეულს წააგავდა — ისე მთლიან და ერთიან ქუდად მეხურა, ისე ბუნებრივად შემოძკრობოდა თავზე.

თანაც, ეს ოდნავ მოკაუჭებული, შუბლზე მარცხენა მხრიდან ვითომ შემთხვევით ჩამოცურებული კულულო... გეგონებოდა, ეს-ეს არის, თმა ქარმა მიმო-
ფანტაო...

— უმყოფილი ბრძანდებით? მკითხა ვიტალიმ.

— მშვენიერია! თქვენ თურმე მხატვარი ყოფილხართ.

მაგის თქმა ჯერჯერობით ნაადრევია. მაგრამ ამ სპეციალობას თუ გავუყუ-
რ. კაცები მზატვარიც გავზღუ.

მადლობა, დიდი მადლობა! რამდენი უნდა მოგართვათ?

— საღაროში ხუთ მანეთს გადაიხდით, ახალი ფულით. დანარჩენი ენტის ნებაზეა დამოკიდებული.

...სახეზე ვერც შეატყობდნენ, დააკმაყოფილა თუ არა ამჯერად „კლიენტის ნებაში“. ფული ისე გამომართვა, არას დაგიდევსო თითქოს და, მადლობით, — უგულოდ მიტხრა.

— ნახვამდის, ვიტალი. როგორმე ისევ შემოგივლით, კარგი?

— მე ამ წერტში ჩემს მუშაობას ვამთავრებ, — მიპასუხა ვიტალიმ. — ძველ ადგილზე ვბრუნდები. რისი შეთვისებაც კი შეიძლებოდა აქაური ოსტატებისაგან. უკვე შევითვისე.

— ის თქვენი ძველი ადგილი სადღაა?

მისამართი და ტელეფონის ნომერი მითხრა. ჩავიწერე.

— კატალი... შემდეგ რა დავწერო?

ვიტალი პლავნიკოვი.

— ვიტალი პლავნიკოვი. — ჩავიწერე წიგნაკში. — მემახსოვრებით. კარგი ბიჭი ხართ, ვიტალი. ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე მარია ვლადიმეროვნა კოვალოვა ვარ.

ბელი გამოვიწოდა და მიტბრა:

— Խոցուրտու համ ինչ տպեցնա՞նու թրջո՞ւնը.

III

წინ დაებრუნდი. ბინაში ჩამოხუმი არ ისმოდა (სძინავთ საზიზღრებს, დაიმ-
წიეს თავი და დაეძინათ). მაგრამ ჩემს ოთახში სინათლე ენთო. შევედი. მოგვალ
მაგიდაზე, ფორთოხლისფერი კლასიკური აბაჟურის ქვეშ ყვავილების თაიგული
დამხვდა. ირგვლივ შემოწყობილი რძიანი ბოთლებით. დიდ თევზზე ლამაზად
ჩარიგრიგებული ბუტერბროდები აწყვია — ღმერთო ჩემო, ნო, რა ბუტერბ-
როდებია, რა გინდა, სულო და გულო: ლორი, ზურგიელი, ხიზილალა... თაი-
გულში კონვერტია ჩაჩრილი, კონვერტში წერილი დევს. მიხვდნენ ჭინკები და
აბლა ინანიებენ.

წერილი ამოვიღე. მანქანაზე იყო გადაბეჭდილი. სრული ორი გვერდი. რას
ბიედ-მოედებოდა?

„დედაძიწაზე მოშენებული ყველა ღორი აღნაგობითა და ქცევით ერთმან-
ეთისაგან არ განსხვავდება. ღორების მიერ გამოცემულ ხმებს — თავისებურ
ღრუტუნს, არ შეიძლება სასიამოვნო ეწოდოს, მაშინაც კი, როცა ეს ღრუტუნი
ქაუოფილებისა და სულიერი სიმშვიდის გამომხატველია...“

(უპ, დასწყევლოს ღმერთმა, რა სისულელეა! ერთი ვნახოთ, მერე რა წე-
რია):

„ნეზვი ღორი კერატისაგან განსხვავებით ნაკლებად ცხარია, მაგრამ გულ-
ადობაში მას ტოლს არ უდებს. მართალია, ნეზვი თავისი პატარა ეშვებით საგრძ-
ნობ ჭრილობას ვერავის მიაყენებს, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც კერატზე სა-
შიშია. რადგანაც იგი თავისი სიბრაზის მიზეზს არ შორდება, ფეხით თელავს
მას და ხორცის მთელ-მთელ ნაჭრებს მოაგლეჩს ხოლმე“...

(უყურე შენ, საით უმიზნებენ!)

„გოჭები მართლაც რომ სასიამოვნო სანახავია. მათი სიმკვირცხლე და მოხ-
ერხებულობა სრულიად ეწინააღმდეგება ბებერი ღორების სიზანტესა და მო-
უქნელობას. ნეზვი ნაკლებად ზრუნავს გოჭებზე და ხშირად, ვიდრემდის მათ
დაყრის, სადგომსაც არ უმზადებს. ყოფილა შემთხვევები, როცა გოჭებისაგან
შეწუხებულ ნეზვს თავდაპირველად მიუხრჩვია, შემდეგ კი რამდენიმე გოჭი
შეუჭამია...“

ბრემი, „ცხოველთა ცხოვრება.“ ტომი 2, გვ. 731-745.

— ო, რა საძაგლები ხართ. — ამოვიცვენსე, მაგრამ სიცილისაგან თავი
მაინც ვერ შევიკავე, ლოყებზე ცრემლიც კი ჩამომიგორდა.

ბიჭების ოთახში რაღაცამ ტყაპანი გაადინა და ნამძინარევი, ტრუსის ამარა
კოსტიაც გამომეცხადა.

— როგორ მოგეწონა, აზრი თუ გამოიტანე? — მკითხა.

ეგ კი მკითხა, მაგრამ, შემომხედა თუ არა, მაშინვე ღრიალი მორთო.

— ამას რას ვხედავ, დედაჩემო! ეს რა თმა დაუყენებია!!! დიდებულია! ნი-
კოლაი, ჩქარა. აქეთ მოდი! ნახე, რა ტურფა დედიკო გვყავს!

ოთახიდან აბლა კოლია გამოძვრა, ისიც ტრუსის ამარა.

— შეურაცხყოფილი გოჭების სახელით... — ლულულულებდა კოლია და
ერთბაშად გაშეშდა. — ვაი! — მეტი ვეღარ ამოღერდა. — თათი!

გავუწოდე ხელი, კოსტიას — მარჯვენა, კოლიას — მარცხენა. ისევ კოცნი-
და თითოეული თავ-თავის ხელს, მე კი ჩემს წინ დახრილ ორ თავს დავყურე-
ბდი — მოჩაღისფრო-ყვითელსა და ნახშირივით შავს.

...ეპ, ჩემო კარგო ლენჩებო, აბა, რომელი წამსკლეული მე მნახეთ...

მეორე დღეს ავღუჩი და სამსახურში წავედი. თუმცა, რომ გითხრათ, ავღუჩი და წავედი-მეთქი, არ იქნება მთლად მართალი: მხრებზე თაფლი შედგა, თავზე კიდევ — ახლებურად დაყენებული თმა, ჰოდა, სამსახურშიც სწორედ ის თავი მივატანე იმ თავისი ახლებურად დაყენებული თმითურთ. გალიამ, ჩემმა მდივანმა, გაკვირვებით შემომხედა — კი მინდოდა, აღფრთოვანებით შემომხედა-მეთქი, მეფიქრა, მაგრამ გალიამ მხოლოდ ეს მითხრა: — უი, მარი ვლადიმეროვნა, საიდანაც დარეკეს, მინისტრთა საბჭოდან ვრეკავთო თუ კიბერნეტიკის საბჭოდანო, აღარ მახსოვს, დამავიწყდა...

— რაო, რა დაიბარეს?

— ესეც დამავიწყდა... მგონი, დარეკოსო, ასე თქვეს.

— რა ნომერზე დარეკოსო?

— არ მიკითხავს.

— გალია, რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ ერთი და იგივე: თუ ვერ იმახსოვრებთ — ჩაიწერეთ.

— ვერ მოვასწარი... უცებ დაკიდეს ყურმილი.

გალიამ დაირცხინა, დიდრონი ცისფერი თვალები აუწყლიანდა, შიგ სინანული ჩაუდგა.

— მაპატიეთ, მარი ვლადიმეროვნა.

— კარგი, გაპატიებ, ოღონდ იცოდე, ეს ამბავი უკანასკნელი იქნება.

— პიონერულ სიტყვას ვდებ, მარი ვლადიმეროვნა, უკანასკნელზე უკანასკნელი იქნება.

გალია გავიდა.

ვიღა არ მიჩიჩინებს, მოიშორეთ თავიდანო, მაგრამ ვერა და ვერ მომიშორებია! განა არ ეიცო, მდივანი კი არა, არაფრის მაქნისი არაა. ჩემს სატანჯველად გაჩენილი ეგ ჩემი ცოდვით სავსე, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა, მაინც რომ აქა მყავს! ალბათ მიყვარს და ამიტომაც ვერ ველევი. ქალიშვილი არასოდეს მყოლია. მერედა, როგორ მომწონს! მომწონს მისი ბუდეშურა, ცისფერი და მონანქრებული თვალები, მისი წელში გამოყვანილი ტანი, ჩათქვირებული და ღონიერი ფეხები. ეგ ყველაფერი სიქით იყოს, ეგ გოგო რაღაცით ჩემს ყურადღებასაც იქცევს. ასეთი რა არისო? რა არის და, ვეცდები აგისხნათ.

თუ ორი ვექტორი ორთოგონალურია, მათი ერთმანეთისადმი პროექცია ნულს უდრის, მე პირადად, გალიას ჩემს მიმართ ორთოგონალურად აღვიქვამ, ჩვენ ორთავენი ერთსა და იმავე სივრცეში ვარსებობთ, შეიძლება ითქვას — ვეგუებით კიდევაც ერთმანეთს, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ორთოგონალურები ვართ. რამდენჯერ ვეცადე, სიტყვებით შევალწევ-მეთქი გალიას გონებადღე, — ნურას უეცრავად, არაფერი გამომივიდა...

ერთ-ორ ადგილას დასარეკი მქონდა და ყურმილი ავიღე. კი, ასეცაა — პარალელური აპარატით საუბრობენ; სხვა ვინ იქნება, გალია და მისი ვალოდია. სადამოთი კინოში წავიდეთო, დათქვეს. მაგარი სურათიაო. მივაყურადე, ეგ რომელი სურათია-მეთქი მაგარი? თურმე „სიყვარულის დაფდაფებზე“ ლაპარაკობენ. დიდხანს საუბრობენ, ტელეფონი კი დაკავებულია. არა უშავს, მოვასწრებ, სიყვარულის დაფდაფები... ყურმილი დავკიდე.

ერთი მაქოდინა, რისი იმედითაა ეს ჩემი გალია. ნუთუ მართალია, რაც

არის, ეგ არის? ოღონდაც ჩათავდეს საბუშაო დღე და გიყვარდეს მერე: კინო, ვალოდია, ცეკვები, ჭინჭი-პუნჭები, თუმცა რატომ შიკვირს? ამაყად ცხოვრება ჰქვია... მისთხოვდება იმ თავის ვალოდიას და იკინკილებს წინ და უკან ატლასის პრილა ქაღალდებში გახვეული ფუთით... ოდესღაც მეცეცხვავდებოდი ხოლმე ფუთას, ოღონდაც ატლასის ქაღალდი არ მქონია... შვილებს რომ მსკდრებს ვზრდიდი, ვავზარდე... თუმცაღა ვერ აღვზარდე. არა, მაინც კარგი ბიჭები მყავს.

ოთახში ჩემი მოადგილე, ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩი ლებედევი შემოვიდა, იმ დროს, როცა ყოველნაირ ზედმეტ-ნამეტნაობას გამოვუცხადეთ ბრიოლა, მე და ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩმა ჩვენი-ჩვენი კაბინეტები გავეურთიანეთ. ერთი უხიავი კაცია, ენაქართალა, თან თმასაც იღებავს.

— მარი ვლადიმეროვნა, დღეს ნამდვილი მზეთუნახავი პრიანდებით!

ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩი ხელზე მემამბორა. სხვა დროს ამას არ შერება ხოლმე.

— გავრეჭილი ვარ, დავაოცხნილი, მეტი არაფერი...

— არა, როგორ გეკადრებათ, ჩვენი ძველი გვარდია მაინც სხვაა...

...ჰოო, ძველი გვარდია. ანაზღად თვალწინ წარმომიდგა, როგორ შეიძურწება ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩი რომელიმე გუშინლამინდელისებრ გომურში და ფირფიცრის ტიხარს ამოფარებული როგორ შეაღებინებს თმას ვინმე ატლეტური აღნაგობის რუსლანს... ბრრრ მაინც რაშია საქმე? არადა, ქალად რომ გაჩენილიყო?

— როგორაა ლაბორატორიის ხარჯთაღრიცხვის საქმე? — ვკითხე უკმახად.

არ გვიმტკიცებენ.

რალა თქმა უნდა, არ დაამტკიცებენ. ცივი უარი თუ გინდა გტკიცონ, საქმე ლებედევს უნდა მიანდო. ასეთი კაცის დანახვაზე ყველა იმას ფიქრობს, ნეტა ერთი კი ლაზათიანი პანლური ამომავკრევინაო მაგისტვის.

რაო, რას ამბობენ?

— რაო და იმპორტული მოწყობილობის მისაღებად თქვენი განაცხადი ხელახლა განიხილეთო და ორმოცდაათი პროცენტით სამამულო წარმოების მოწყობილობით შეცვალებთ.

— მერედა, არ უთხარით, რომ ამ ნომენკლატურის სამამულო მოწყობილობა ბუნებაში არ არსებობსო?

— როგორ არ უთხარი, მაგრამ ასე თქვეს. წარმოება ნელ-ნელა ითვისება.

— მაშ ითვისებაო. არა? მერე საშველი როდის დაადგებაო?

იმუშავე ახლა ამისთანა თანაშემწეების გადაძკიდებ. სიგარეტი გავაბოლე და ნუახას თვალი გადავაკლე. ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩი თავს გაცხარებით ინიავებდა.

— რატომ ეწევით? არ გიხდებათ, არაა ქალისიერი.

— სამაგიეროდ, თქვენ ბრძანდებით მეტისმეტად ქალისიერი.

მიხლით კი მივახალე, მაგრამ მაშინვე ვინანე. ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩს ფერფურრიც კი წაუვიდა:

— მარი ვლადიმეროვნა, ზოგჯერ ძალიან ჭირს ხოლმე თქვენთან ერთად მუშაობა.

— მაპატიეთ. ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩ.

არა, ეტყობა, მაინც დაიბოღმა ბებრუხანა. რაღაც მოიმიზეზა და გავიდა...ათასჯერ უთქვამს იმ ჩემს გამდელს: ეჰ, ჩემო მარია, თხუა ჭკუა დაატანე, ენა სულ წინ-წინ გისწრებსო. ეტყობა, დამნებდა ეგ ამბავი...

ვერ ვიტან. ვინმე რომ გამინაწყენდებო, აღარ ვიცი ხოლმე, რა წყალში ჩავვარდე. აი, ახლაც გამომეთხოვა ლებედვეი და მეც თითქოს წყალ-ფეხი შემეკრა. მაინც სად წატუნტულდა? დაუიალობს ალბათ სადმე დერეფნებში, — ნირწამხდარი, გულგასიებული, ან სულაც გვერდზე თუ გაიყვანა ვინმე და შესჩივლა, აჲ და აჲ მაკადრაო. პასუხად კიდევ ალბათ ის უთხრეს: ნეტაი თქვენ, მოგცლიათ. ჭალს აბა რა ჭკუა უნდა მოსთხოვო.

კაბინეტში გალია შემოვიდა, თვალები მორცხვად დაეხარა:

— მარი ვლადიმეროვნა...

— რა იყო, ისევ დაგავიწყდათ რაღაცა?

— არა, მარი ვლადიმეროვნა, სათხოვარი მაქვს თქვენთან. თუ შეიძლება, ცოტა ხნით ქალაქში გავალ.

— ვალოდია გიბარებთ?

— არა, რას ბრძანებთ! ვალოდია რა შუაშია.

— აბა, რა მოხდა, მითხარით, საიდუმლო თუ არაა.

— გუშინ თურმე წლაწვია წინდებს არიგებენ.

— ოო, რაკი ასეთი ამბავია, წაბრძანდით.

...რაც ჩემი თავი მახსოვს, სულ წეწვა-გლეჯა იყო წინდების გულისთვის. ერთხანობას ფილდეგოსის წინდებით — გაიბახოდნენ, მერე ფილდეგერსისაო, კაპრონისაო. ახლა — წლაწვიებია მოღაში. ომის დროს ხომ ოღონდ კი გეშოვნა და, რას დაეძებდი, როგორი იქნებოდა...

— მარი ვლადიმეროვნა, თქვენთვისაც ხომ არ ავიღო?

— არავითარ შემთხვევაში.

— მაშინ გავიქცევი...

— წადით, წადით, ოღონდ დროზე დაბრუნდით.

ეჰ, რაღა მაინცდამაინც დღეს მოინდომა წასვლა. ისედაც ტყუილად მყავს, არაფერში მარგია. არადა, სწორედ დღეს დამჭირდებოდა, ტელეფონთან მაინც მჯდარიყო. ზოგი რამ მოსაფიქრებელი მქონდა. რას იზამ, დროდადრო ჩაფიქრება — ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

კაცმა რომ თქვას, კარგა ხანია მეცნიერულ მოღვაწეობას შევეშვი. იხსტიტუტი რომ მომახვიეს თავზე, გული ჯერ კიდევ მაშინ მეუბნებოდა, ამ შენმა მეცნიერულმა მუშაობამ ჭირი მოგჭამაო. პოდა, ასეც ვუთხარი. მარი ვლადიმეროვნა, რასა ბრძანებთო, — მიპასუხეს, — ყველა პირობას შეგიქმნით, ისეთ მოადგილეს დაგინიშნავთ რომ... ესეც შენი მოადგილე, გაიბერა ახლა, ჩამოუშვა ცხვირი — მალე მაინც გადაუვლიდეს.

ისე, აბსოლუტური, ასტრონომიული დროისადა მიხედვით თუ განსჯი, ვერ იტყვი ჩემზე, მოცლა არა აქვსო. გინდოდეს თორემ, ერთი-ორ საათს როგორ ვერ გამოჩხრიკავ მეცნიერებისათვის: ეგაა, თავს ვერ ვაბამ. მეცნიერულ შრომას მთელი შენი არსებით უნდა მოეკიდო. მე კი, აბა, სად შემიძლია ეგ ამბავი, მთელი ყურადღება სულ წვრილმანებს შევალე, ერთთავად წიკიბიწო საქმეებზე ვარ გადაგებული. აი, ზოგ რამეს თუნდაც მაგალითისათვის ჩავიკითხავ: ტიხრებისათვის ფირფიცრები ყოფილა საჭირო; ინჟინერ სკურიხინს ორი ცოლი აღმოაჩნდა; მილიციელები ითხოვენ, კიბერნეტიკის პრობლემებზე მოხსენება

წაგვიყიბეთო: ამ ერთ კვირაში გარაჟი მოშალეთო — მერედა, მანქანას რა ვუყო?

ყურადღება — დანაკუწებული, დრო — დანაკუწებული. შენაღწოა დრო არც ისე ცოტა მაქვს. მაგრამ ერთიანად რომ ვერ ჩამიგდია ხელში! განეწყოები თუ არა, ვილაც მოგაკითხავს. ლებედევთან იმ კაცის მიგზავნას! მანქანა არა აქვს — უკანვე გამოგიბურთებს. უწინ მეგონა: დღეს არადა ხვალ ინსტიტუტში ყველაფერი მოგვარდება და მეც იმ მთლიან და ერთიან დროს ხელში მოვიგდებ-მეთქი. მერე კი მივხვდი, უტოპია რომ იყო. ერთიან და მთლიან დროს ვეღარასოდეს ვეღიროებდი.

არადა, ბედი არ გინდა. მაინცდამაინც დღეს გადამეკიდა ქველი ხურჩინით ის ჩემი ოდინდელი ნაცნობი ამოცანა, ჩემი მტერიც და მოყვარეც. აგერ უკვე რვა წლის განმავლობაში რომ მამასხარავეს.

ჩერ ის უნდა გითხრათ, რომ სიზმარი ვნახე. დიდი არაფერი, რალაც აბდა-უბდა მესიზმრა. მაგრამ როცა გამომეღვიძა და სიზმარი გავიხსენე, მეგონა, ახალ გზასა და ახალ ახსნას მივაკვლიე-მეთქი. ყველა სხვა გზისაგან განსხვავებით, ეს გზა არ უნდა ყოფილიყო სულმთლად იდიოტური. ასე იყო თუ ისე, უნდა მომეზომ-მომეფიქრებინა ყველაფერი. სწორედ ამიტომ იყო, რომ დღეს უსიკვდილოდ მჭირდებოდა დროის კარგა მოზრდილი მონაცვეთი, — მაგრამ გაგიგონიათ! ტელეფონი ბნედიანივით წყარუნობდა. თავს ძალა დავატანე, ვცდილობდი გულისყურით მემუშავა. დროდადრო ტელეფონის ყურმილსაც ავიღებდი ხოლმე, პასუხსაც გავცემდი. ჰოდა, თითქოს გამომივიდა კიდეცაც... ნუთუ მართალია?

კარზე დააკაკუნეს. ოთახში საექსპედიციო განყოფილების ერთ-ერთმა თანამშრომელმა შემოყო თავი.

— მარი ვლადიმეროვნა, — მითხრა ქალიშვილმა. — მაპატიეთ შეწუხებისათვის. გალია არ დამიხვდა, მე კი რალაც საბუთი მაქვს თქვენთვის გადმოსაცემი. ასე მითხრეს, სასწრაფოაო.

— კი, გენაცვალე, მომეცით. ჩამოვართვი საბუთი.

„1961 წლის 21 მაისს, 22 საათზე, გორჯის ქუჩაზე დაკავებულ ოქნა სპორტიანი სასმელებისაგან შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე პოპოვი მიხაილ ნიკოლაევიჩი, რომელიც, მისივე ჩვენებით, მუშაობს გამომთვლელ მანქანათა ინსტიტუტის ლაბორანტ-თანამშრომლის თანამდებობაზე. მილიციის ქვეგანყოფილებაში მიყვანისას მოქალაქე პოპოვმა კედელს მიაშარდა და...“

— კარგი, გენაცვალე, გავერკვევი.

ქალიშვილი გავიდა. ვიფიქრე, გულისყურს მოვიკრებ-მეთქი. ის იყო, გამინათდა თითქოს ტვინი და ტელეფონიც აზანზარდა. ვაი, შენს პატრონს უბედურს, შე ბნედიანო! ყურმილი ავიღე.

— გისმენთ.

— ქალიშვილო, — მითხრა ვილაცამ თავდაჭერებული ხმით. — აბა ერთი ლებედევს დამიძახე, ცოცხლად!

— თქვენ, მომისმინეთ! სანამ ვინმეს — ქალიშვილო, ეტყოდეთ, ჩერ ის უნდა გაარკვიო. ქალიშვილს ელაპარაკებით თუ არა.

... რაო, რაო?

— რაო და, რაც გაიგეთ! — ვუპასუხე ღვარძლიანად. — ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი კოვალიოვა გელაპარკებათ. ამასთანავე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ქალიშვილი აღარ გახლავართ.

უცნობს თითქოსდა ხმა აუბუყბუყდა. ყურმილი დავდე. წუთიც არ იქნებოდა გასული, ტელეფონი ისევ აწკრიალდა. დიდხანს რეკავდა, გეგონებოდა, რაღაცას მოითხოვსო. ყურმილს არ ვიღებდი. ბოდიშის მოხდა უნდა იმ თავხედს. იმტვრიოს ახლა თავი.

...ისე, რას ვერჩოდი. რა დიდი ცოდვა მაგან ჩაიდინა. მაინც რა რიხიანად გამოვუცერი კბილებში: „ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი კოვალიოვა გელაპარკებათ“. ტუტრუცანა ბებერი ვარ და მეტი არაფერი, ერთი პატივმოყვარე ტუტრუცანა ბებერი. შენ ჩემო სულელო თავო, ნეტა თუ დაჰკვიანდები ოდესმე? „აი, შევიკრექ თმას და ხელახლა დავიწყებ“. ეს თმა კი შევიკრიტე, მაგრამ ხელახლა დაწყებისა რა მოგახსენოთ.

ამ ზარის მერე ცოტათი დავმოშმინდი, ბაციკუკუსავით ვიჯექი ტელეფონთან და ზრდილობიანად გავცემდი ხოლმე პასუხს: „მარი ვლადიმეროვნა არ გახლავთ, რა გადავცე?“, ვიწერდი დანაბარებს — ერთი სიტყვით, ის იდეალური მდივანი ცოგო ვიყავი, როგორიც გალია მინდოდა ყოფილიყო. სხვათა შორის, გალია აღარ დაბრუნდა. აღარც ლებედევი მოვიდა. აი, მომსვლელთ კი ასე იოლად ველარ ვისტუმრებდი, მათაც ხომ ვერ ვეტყოდი, მარი ვლადიმეროვნა არ გახლავთ-მეთქი. თვითეულ მომსვლელს თავ-თავისი საქმე ჰქონდა, საიზოლაციო ლენტვიტ მწებარე. სულმთლად დანაკუწებულ-დანაწევრებული დრო მოვიგდე ხელთ, მაგრამ მაინც ვმუშაობდი, ცალი ხელით თმას ჩაფრენილი მაინც ვწერდი. თან ვეწეოდი, დროდადრო დავკეცავდი ფურცელს, გადავჩხაპნიდი დაწერილს, ისევ თავიდან ვწერდი.. ამასობაში ტელეფონიც ჩაჩუმდა — მოსაღამოვდა. როცა გამოვერკვიე, ათი საათი იყო. მგონი, რაღაცას თავი მოვაბი.

კიდევ ერთხელ შევამოწმე გამოანგარიშებანი. ყველაფერი სწორია, ღმერთო ჩემო, ასეთი წუთების გულისთვის მართლაც ღირს სიცოცხლე...

საკმაოდ დიდი ცხოვრება გამოვიარე და შემიძლია ავტორიტეტულად განვაცხადო: ღედამიწის ზურგზე არაფერს. არც სიყვარულს, არც დედობას, რაღა ბევრი გავაგრძელოთ — არაფერს არ მოაქვს ადამიანისთვის ისეთი ნეტარება და ბედნიერება, როგორიც, აი, ამ წუთებს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დღესაც დამავიწყდა მესადილა.

სეიფი დავბეჭდე და ვესტიბიულში ჩავედი. ყველანი კარგა ხნის წასულ-წამოსულები იყვნენ: მეგარდერობეც, თანამშრომლებიც. ის ჩემი საკმაოდ ნახ-მარ-ნათრევი ლაბადა კიკოსავით მძრტო უკიდა და თავისთვის კონწიალობდა. სარკის წინ შევჩერდი. ვაი, შენს პატრონს უბედურს: სახე გაცრეცილი, მობერებული, თვალები — ამოღამებული; იმ გუშინდელი ვარცხნილობიდან, ვითომდა ქარის ერთი წამობერვისაგან რომ იყო ოდნავ მიმოფანტული, სახსენებელიც აღარ დარჩა. უკეთესს გეტყვით — ქარი კი არა, ასეთნაირად მაიმუნების ჯგროც ვერ ამიჯიოვნიდა თმას.

ჩავიცვი და სახლის გზას გავუყევი. მხაპუნა წვიმა ქორფა ფოთლებზე ფერხულს აბამდა. მაინც რა უცნაური სიარული ვიცი: ისე ვერ გავივლი, წინდები ერთიანად არ ამომელაფოს ნაკუნთალებზე.

ნეტა რა მრჩიდა, რამ შემაყრეჭინა თმა. ძალით არ ავიტყვივ ეს აუტყმარი თავი? ხომ ვიყავი ჩემთვის წყნარად, — დავიმაგრებდი თმას სარკით და მორჩა. ახლა რაღა ვქნა... პირველივე დაბანის მერე, ესე იგი თავს ჩხმინდავანე, დავწეჭი და დილით ავდექი, ვხედავ, თმა კი არა, ქათმის ბურტყლი-მქონისა ხვდება. გეგონებოდათ, ბალიშისპირი მოურღვევიათო.

ვიტალის დავუბრუნე:

— ვიტალი, ამ ჩემს თავს საოცარი ამბავი სჭირს, თმა ყალყზე დამიდგა.

თავი დაიბანეთ? — მკაცრად მკითხა ვიტალიმ.

— რა თქმა უნდა, დავიბანე. აბა, რა გეგონათ, სულ ასე თავდაუბანელი ხომ არ ვივლიდი?

— არა, დაბანით უნდა დაიბანოთ. მე ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თმას მოვლა უყვარს. კვერცხის გული უნდა შეგეზილათ.

— მაპატიეთ, ვიტალი, ლაპარაკის დრო არა მაქვს, სამინისტროში მოხსენება მაქვს წასაკითხი, ასე თმაგაკორტნილი კი...

— მობრძანდით, მოგემსახურებით.

ეგ იყო და ვიტალის ჯერ იმ თავის ძველ წერტილში მივაგენი, მერე კი თითქმის ყოველ კვირას ვაკითხავდი ხოლმე. წერტი პატარა იყო, პოდა, არც ხალხი ეტანებოდა მაინცდამაინც. აქ ვერც გრძელ რიგს დაინახავდით, ვერც მოსარკულ ვიტრინებს, ქალთა ლამის შინაურულ სალონში სულ ორიოდ საწყალი. გახეხილ-გამოხეხილი სავარძელი იდგა.

ვიტალია გვერდიგვერდ მხოლოდ ერთი ოსტატი მუშაობდა, მოისეი ბორისოვიჩი. კაი დროული ბეროკაცი, ერთთავად რომ უცახცახებდა ხელებიც, თავიც. მაინც როგორ ახერხებდა ასეთი ხელებით მუშაობას? არადა, მუშაობდა, ტოლს არავის დაუდებდა. თუმცაღა, ეგ კი იყო, თმის ცივი დახვევა არ უყვარდა. მაშით მუშაობას არაფერი ერჩივნა.

— ჯიმის დასახვევი მაშა — აი, ეს მესმის, — იტყოდა ხოლმე მოისეი ბორისოვიჩი. — მართალია, დრო ბლომად მიაქვს, სამაგიეროდ ერთ რამედა ღირს.

მოისეი ბორისოვიჩთან „მაშებზე“ ორი-სამი ხანში შესული ქალბატონი დადიოდა. მომწონდა ის ჭაღაროსანი, მკაცრსახიანი, გაუტეხელი ქალბატონები. აი, ერთ-ერთ ქალბატონზე კი თვალიც მრჩებოდა. მაყვლისფერი, სხივნათლიერი თვალები ჰქონდა, ამაყი პროფილი და ხშირი, ჩამომძიმებული თმა. შიგადაშიგ მოციხფრო ჭაღარა რომ გამოჩნდებოდა, თმას როცა ჩამოიშლიდა, ის ცისფერი ლაბადა სავარძლის საზურგეს დაეფინებოდა ხოლმე. წელში საოცრად გამართული იჯდა, პატარა ფერმიხდილ ტუჩებს მოკუმავდა და სარკეს თვალს არ მოაშორებდა. ერთ დროს, ეტყობა, მართლაც მზეთუნახავი იქნებოდა. მოისეი ბორისოვიჩი კი მაშას აჩაჩხუნებდა, ატრიალებდა, ტუჩებთან მიჰქონდა, ისევ დაატრიალებდა და ბოლოს თამამად ჩაუყოფდა ცისფერ თმაში, ხელის რამდენიმე გასმა-გამოსმით გამოხვეწავდა ერთიან, სტერილურად ტოლფერდა ტალღას. თან სულ ასკილივით თავს აქნევდა, თითქოსდა ვიღაცას ამაზეც ეთანხმებოდა, იმაზეც ეთანხმებოდა.

— თქვენ თუ გეხერხებათ მაშით მუშაობა? — ვკითხე ერთხელაც ვიტალის.

— რატომაც არა? სკოლაში ყველანაირი ოპერაცია გავიარეთ: ონდულოციაჰ

თმის ფენით დაწყობა, ვერტიკალური დახვევა... ოღონდ ახლანდელ დროს ეგენი აღარ შეეფერება. დღესდღეობით მსხვილ სახვევებს იყენებენ, ამასთანავე სამართებლისა და ფუნჯის კარგი ხმარება უნდა იცოდეს. კლიენტის თავის ფორმას ანგარიში უნდა გაუწიო. ნამდვილმა ოსტატმა, აი, ზელს რომ არ გაიფუჭებს, ისეთმა, კლიენტის თავის ამბავი ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს. კლიენტს თუ წაბრტყელებული თავის ფორმა აქვს, ოსტატმა ისეთი გარკვენილობა უნდა შესთავაზოს, რომ ეს ნაკლი მიიჩქმალოს. ზოგიერთ კლიენტს შეტყობება ზორობა თავი, ან კიდევ კისერი აქვს ქინძივით დაბალი. ეს ყველაფერი მხედველობაში უნდა მიიღო და გარკვენილობით შენიღბო. აი, მე რომ, მაგალითად, ფართი მქონდეს, იცოცხლე, მუშაობას გავაჩაღებდი, მაგრამ რა უნდა ვქნა, არავითარი პირობები არა მაქვს.

— სად ცხოვრობთ, ვიტალი?

— ერთ ბებერ ქალთან ვდგავარ მდგმურად. ჩაწერით — დასთან ვარ ჩაწერილი, მაგრამ ის ჩემი პიძე მსმელი კაცია, ეწვევა კიდევაც, თან კიდევ ორი ბავშვი ჰყავთ, ოთახი კი სულ თორმეტნახევარი მეტრია, თან ღერეფანივით გასავლელ-გამოსავლელია, მოკლედ, ზედახორაა ხოლმე. ვერ გაიგებ, ვინ-ვის აზის თავზე. ეს ყველაფერი შეუფერებელ, ნერვიულ განწყობილებას ქმნის, ჰოდა, მეც ოთახი ვიჭირავ. მატერიალურად რომც გამიჭირდეს, მაინც ასე მიჩვევნი.

— კი მაგრამ, განა არ შეიძლება მშობლებთან ერთად იცხოვროთ?

— მამაჩემთან და დედინაცვალთან ერთად? არაა სასურველი. მამაჩემი რასაც შოულობს, იმაზე მეტს ისხამს მუცელში. იქ რომ ვიცხოვრო, იძულებული ვიქნები მამაჩემს უფრო იქით ჩავუთვალო ღვინის ფული. ვიდრე, ასე ვთქვათ, იმათი მხარდაჭერით ვისარგებლო. ეგ ამბავი კი არ მაწყობს.

VI

როგორც უკვე ითქვა, მე და ვიტალი კვირაში ერთხელ ვხვდებოდით ერთ-მანეთს. მუშაობით ვიტალი დინჯალ გულისყურით მუშაობდა და კარგა ხანსაც ვიყავით ხოლმე ერთად. ამასობაში დავმეგობრდით კიდევაც. აი, ვიტალის, მაგალითად, ჩემს მიმართ არ აღვიქვამდი, — ორთოგონალურია-მეთქი. საუბრის თემას მუდამ იოლად გამოვძებნიდით ხოლმე. დროდადრო „პირადი განვითარების გეგმაზე“ მუშაობაში ვეხმარებოდი და ბოლოს მაინც დავითანხმე ბიჭი, რომ ბელინსკის შესწავლა მერმისისთვის გადაედო. დროდადრო ვიტალის ხან ინგლისური, ხანაც გერმანული სპეციალური ჟურნალები მოჰქონდა, საპარიკმახერო საქმეს რომ შეეხებოდა და მეც თანმიყოლებით ვუთარგმნიდი ხოლმე ტექსტს, ჟურნალებში დაბეჭდილ რეკლამებსა და საქორწინო განცხადებებსაც კი. მაგალითად, ასეთ განცხადებებს:

„26 წლის, 168 სმ სიმაღლისა და 60 კგ წონის ახალგაზრდა პარიკმახერი ეძებს არა უმეტეს 50 წელზე მეტი ხნის პარიკმახერ საცოლეს, რომელსაც ათვისებული აქვს თმის ქიმიური დახვევის ხელოვნება და გააჩნია საკუთარი საქმე“.

ზოგჯერ ჩიქორთულად ნათქვამ სიტყვასაც შევუსწორებდი ბიჭს: ყურადღებით მისმენდა და ერთხელაც არ მახსოვს, შეცდომა გაემეორებინოს. ვიტალი ახლა „ვსვამო“ — ამბობდა, აღარ გაიძახოდა — „ვლევა“, „პირველის თუთხმეტი წუთის“ მაგივრად „პირველის თხუთმეტი წუთიაო“ — გეტყოდა. ათასში

ერთხელ ფულსაც დამესხებოდა; ბევრს როდი გამომართმევდა, ასე, ხუთ ან ათ მანეთს, და ვალს ყოველთვის თავის დროზე, დღე-დღეზე გაისტუმრებდა ხოლმე.

მაღლიმალ ჩემი შვილების ამბავსაც გამომკითხავდა ეტყობა, აინტერესებდა იმათი ცხოვრება. მომიბრუნდებოდა უცებ და მეტყოდა:

ეროვნული
გზაურობა

— თქვენი შვილები სწავლობენ?

— სწავლობენ. კოლია უკვე ამთავრებს, კოსტია კი მეორე კურსზეა. რა გამოვლენ?

— ინჟინრები. კოლია ავტომატიკის ფაკულტეტზეა, კოსტია კიდეც — გამოთვლელი მანქანების ფაკულტეტზე.

— სპეციალობა თვითონ აირჩიეს თუ თქვენ ურჩიეთ იქ სწავლა?

— თვითონ აირჩიეს.

— შერედა, სპეციალობის არჩევა არ გაუჭირდათ?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, მგონი, არ გასჭირვებიათ.

— ისე, კარგად თუ სწავლობენ თქვენი შვილები?

— როგორ გითხრა, ერთი — უკეთესად, მეორე — უარესად. უფროსი, არა უშავს რა, სწავლობს, უმცროსი კი მაინცდამაინც არ იკლავს თავს.

— მე რომ ისეთი პირობა მქონდეს, თქვენს შვილებს რო აქვთ, ჩემს თავს ცუდად სწავლის უფლებას არ მივცემდი.

— პო, ალბათ ასეც იქნებოდა.

ხანდახან ვიტალის უფრო რთული საკითხები აინტერესებდა:

— მაინც როგორ მოახერხეთ, რომ თქვენი შვილები სწორ გზაზე დადგნენ?

— როგორ მოვახერხე? რა ვიცი, აბა.

— რაიმე სპეციალურ საუბარს უტარებდით ხოლმე?

— არა, ასეთი საუბარი, მგონი, არ ჩამიტარებია...

* *

... ისევ და ისევ მივდიოდით ვიტალისთან, გადიოდა დრო, ამასობაში ზოგ-ზოგი რამ შეიცვალა.

ჯერ ერთი, ვიტალიმ ოსტატობის ნორმა ჩააბარა.

გამოცდის ამბავი რომ ვკითხე, ასე მიპასუხა:

— ეგ რა გამოცდაა, მასხარაობა იყო და მეტი არაფერი. საკუთარი თავისადმი წაყენებული ჩემი მოთხოვნები იმ გამოცდის ფარგლებს კარგა დიდზე სცილდება.

მეორეც ის, რომ ვიტალისთან ახლა ქალების რიგიც ჩამომწკრივდებოდა ხოლმე, თანაც არა მარტო დღესასწაულების პირზე, სადაც დღეებშიაც. ყველა-ნი მაინცდამაინც ვიტალის სავარძელში ჩაჯდომისათვის იკლავდნენ თავს.

— ვიტალი, თქვენ პოპულარობას იძენთ...

— მართალი გითხრათ, ეს პოპულარობა სულაც არ მჭირდება. მე პირადად ვცდილობ სოლიდური კლიენტურა ავიჩინო, ვისგანაც რაღაც-რაღაცებს შევი-თვისებ კიდევაც. ამას წინებზე, მაგალითად, ვიღაც მარშლის ცოლს ურჩიეს, მხოლოდ და მხოლოდ პლავნიკოვთან იარეთო. მეორე კლიენტი ექიმია, სულ ახლახან ჩამოსულა გდრ-დან და ახალი ტიპის თმის სახვევები ჩამოუტანია. ამ-ათთვის კიდეც, — ვიტალიმ ამრეზით გახედა ქალების რიგს, — ამათთვის სულ ერთია, გინდა ცხვარივით გაგიკრეჭია და გინდა თმა დაგიხვევია.

... მაინც რა საოცრად იცვლება გარემოებისა და მიხედვით ადამიანის ფსი-

ქოლოგია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ როცა მე ვიცდიდი მოსაცდელში და მწვანეპალსტუხიანმა ჩასქელებულმა ოსტატმა ვილაყ გოგო ურიგოდ გაატარა, ერთი ამბავი დავაწიე, ავყვირდი, ავღელდი. ახლა თავად შევდიოდი ურიგოდ, რიგში კი ვილაყ აყვირდებოდა, აღელდებოდა და ზოგჯერ საჩივრს წიგნსაც ითხოვდა ხოლმე. უწინ ურიგოდ შეპარულ ქალებს ალმაცდრებდნენ, ახლა კი ზემოდან ვუყურებდი რიგში მოყურყუტე დედაცხენებს. რაკურსია, რას იზამ, ქვეყანა ასე ყოფილა მოწყობილი. პრივილეგიებზე აღადმიანი ამ თავისი პრივილეგიებია შენარჩუნებას ცდილობს, სხვებს კიდევ ერთი სული აქვთ, ვიდრე მას პრივილეგიებს აღუკვეთენ. მართალი ვითხრათ, მესარცხვილებოდა იმ ჩემი პრივილეგიების. გულითა და სულით იმათ მხარეზე ვიყავი, ვინც აყვირდებოდა, აღელდებოდა, ეს ჩემი ტან-ფეხი კი მაინც ურიგოდ მოკალათდებოდა ხოლმე სავარძელში. რა უნდა მექნა? ყოველი წუთი გამოთვლილი მქონდა.

— ამ ქალბატონს დღეს სამინისტროში მოხსენება აქვს წასაკითხი, — უთხრა ერთხელაც ვიტალიმ ვილაყ ნამეტნავად გაჩიქებულ ქალიშვილს. გოგონას თამაში და წყალივით კამკამა თვალები ჰქონდა.

— რაში გვენადვლება, ვინ სად უნდა წაიკითხოს მოხსენება. რიგი რიგია. რაც მართალია, მართალია... სულითა და გულით იმ ქალიშვილს ვემხრობოდი.

— კარგი აბა, წავალ.

მაგრამ ეს ვთქვი თუ არა, — ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, — ზოგ-ზოგმა ხმა აიმაღლა, გამომესარჩლა.

— იქნებ, მართლა მოხსენება აქვს წასაკითხი...

— ეტყობა, კულტურული მანდილოსანია, ტყუილის თქმას ხომ არ იკადრებს...

— რა გახდა ამისთანა, ერთ ადამიანს ველარ დაველოდებით?

ასე და ამგვარად, სახალხო აღიარების ტალღამ ვიტალის სავარძელზე გამომრიყა. იმ დღეს არავითარი მოხსენება არ მქონია სამინისტროში წასაკითხი. აღარ ვიცოდი, რა მექნა, სირცხვილის ოფელში გავიწურე.

... ისე, მართლობაში უნდა ჩამომართვით, დროდადრო დავდიოდი კიდევ სამინისტროში მოხსენებების წასაკითხად, ანდა, ყიდევ უარესი, სულაც დარბაზობაზე ვიყავი ხოლმე მიწვეული. ასეთ დროს ხომ ვიტალის იქით გზა აღარ მქონდა. ერთხელაც, აი ასეთ დარბაზობაზე წასვლის წინ — ეშმაკმა დასწყევლოს მაგისი მომგონი — ვიტალისთან არც დამირეკია. ისე მივადექი საპარიკმაზეროა. მოისეი ბორისოვიჩი ადგილზე არ დამიხვდა, ვიტალი მარტო იყო, თავის სავარძელში იჯდა ჩაფიქრებული და ცხვირწინ სამუშაო ხელსაწყო-იარაღები ჩამოელაგებინა — ნაირ-ნაირი ზომის თმის სახვევები, მომჭერები, სითხეებიანი ფლაკონები, მოკვეცილი კულულები. უცებ ვერც კი შევნიშნა, მაგრამ როცა დამინახა, ანაზღად საკმაოდ ცალყბად მომმართა:

— აა, თქვენ ბრძანდებით... მე კი საქმე გამოვიწყე, ვიფიქრე — მაინც მარტო ვარ-მეთქი. ვცდილობ ერთ-ერთი ოპერაციის თავისებურებებს ჩავწვდე, თმის თავისებურებებთან დაკავშირებით.

— ტელეფონი დაკავებული იყო... თუ არ გცალიათ, წავალ.

— არა, რატომ? რაც მობრძანდით, მოგემსახურებით. ოღონდ ერთხანს დაცდა მოგიწევთ.

ვიტალი თავისი სამუშაო ადგილის მილაგ-მოლაგებას. შეუდგა, მე კი წიგნით ჩელში კუთხეში მივჯექი. ეჰ, ამომივიდა ყელში ასე ნაწილ-ნაწილ კრთხვა! რამდენჯერ ჩამოვართვი ჩემს თავს პირობა, დღეის იქით ეს ამბავი უხიკვდილოდ უნდა მოვიშალო-მეთქი. აბა, რა აზრი აქვს ასეთ ყითხვას, ზედაც რომ დააკვდე, თავში მაინც არაფერი შეგდის. უზნეო ჩვევაა და მეტი არაფერი გინდა, მწეს-უმზირა გიკნატუნებია და გინდა ასე წავიკითხავს...

აქ კიდევ, ზედ ყურის ძირში პატარა მიმღები მიპრუწუნებს — ერთი გოგისოდენა, მოფსლიკული რაღაცა — და ხელს მიშლის. ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს გადმოსცემდნენ. სიყვარულით ეს ნაწარმოებები კი მიყვარს, მაგრამ ახლა სწორედ იმ ადგილს უკრავდნენ, მე რომ მქონდა ათვალწუნებულო, როცა ვიოლინო ეუღლს სოლოს უწუწუნებს და ორმაგ ნოტებში ლანის გაიგუდოს. აქაოდა, ორკესტრის მაგივრობას ვეწევით. აბა, ერთი დასტეჟე მთელი ხმით, — ვაგულიანებდი გუნებაში და ისიც დამყვა, ხმა ამოიდგა. ვიოლინო აჟღერებდა, ამღერდა, მაგრამ მოულოდნელად მას რომელიღაც სხვა ხმამ მისცა ბანი, ნუთუ ფლეიტა უკრავს? საიდან გაჩნდა ჩაიკოვსკის კონცერტში ფლეიტა? თავი ავიღე თურმე ვიტალი უსტვენდა.

მაგიდას ალაგებდა და თან უსტვენდა. ეგ კიდევ არაფერი, მუსიკის ტაქტს ფეხაყოლილი, მაგიდასა და კარადას შორის ტაატიტ მიდი-მოდიოდა, გაწლიკულ-გაკნაჭული, წელაღვერა, დროდადრო ბიჭისებურად წაწვეტებულ-წამოყრილ იდაყვებს შეარხევდა ხოლმე და თან უსტვენდა... შეხმატკბილებით. მორიდებით, ციმციმ ესალამურებოდა ვიოლინოს, ხან დასტურს წასჩურჩულებდა: ასეო, ასე... ხან შეეგებებოდა: არაო, არა. ჯერ დაუთმობდა, მერე ისევ აუშლერდებოდა. წიგნი თითზე გადმოვიკეცე და სმენად ვიქეცი. გაოგნებული გუსმენდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

ეს იყო და უცებ წკაპუნო გაისმა: ვიტალიმ რადიო გამორთო.

— სავარძელში დაბრძანდით, მარი ვლადიმეროვნა, მზად გახლავართ.

— ვიტალი, ძვირფასო, რა მშვენიერი იყო! ვინ გასწავლათ ასეთი სტვენა?

— აა, სტვენა? ჩემით ვისწავლე. ძველ ბინაზე, უკეთესი პირობები რომ მქონდა, მაშინ ვისწავლე; რადიოს ჩაერთავდი ხოლმე და ბევრი ნაწარმოები კიდევაც დავიზებირე.

— ის თუ იცით, ახლა რას უსტვენდით?

— რა თქმა უნდა, ციცი. დე-დური, სავიოლინო კონცერტი ორკესტრისათვის. მუსიკა პეტრე ჩაიკოვსკისა.

— ვიტალი, თქვენ თურმე მუსიკის დიდი ნიჭი გქონიათ, კარგი იქნებოდა, გესწავლათ...

— ეგ ამბავი მეც მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე. იმისათვის, რომ პიანინო შეიძინო, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი ფართით უნდა იყო უზრუნველყოფილი.

...ვიტალი თავის საქმეს შეუდგა. მე კი ჩუმად ვიჯექი ჩემთვის, დროდადრო მოჩჩილად თუ წამოვწევდი ან დავუხრიდი ხოლმე თავს.

ვიტალი თავად გამომელაპარაკა:

— მუსიკა ბავშვობიდანვე მიტაცებდა, ჯერ კიდევ საბავშვო სახლში რომ ვიყავი, იმ დრობდან მოყოლებული. ერთხელ, სასეირნოდ რომ წავგიყვანეს, ქუჩაში ორკესტრი უკრავდა. ჩამოვრჩი ბავშვებს, გაუხედ-გამოუხედიათ. — ვერ მიპოვნეს, დამიწყეს თურმე ძებნა. მე კიდევ გაქცევებულივით ვიდექი და ორ-

კესტრს ვუსმენდი. ერთხელაც აღმზრდელმა მასწავლებელმა ჩასაბერი ინსტრუმენტები მოიტანა, პატარ-პატარა ინსტრუმენტები. თუმცაღა შეიძლება დიდებიც იყო, მაგრამ მე ისე მახსოვს, რომ პატარა ინსტრუმენტები ჰქონდა მოტანილი. ისინი მოეტანა, კასტანეტები, რაღაც თევზები და ყიდევ ისინი, ნახევრად მრგვალი, ისა, რა ჰქვია?

— დაფდაფები?

— ჰო, ზუსტად ეგენი, ავდექი და ამ დაფდაფებზეც შემოვკარი. ისეთი ბრახაბრუხი ავტეხე, ისეთი ამბავი დავაწიე, აღმზრდელი აღშფოთდა, კიდევ წამოენთო და შემდგა, ამომიღო ფეხქვეშ და მირტყა და მირტყა, ეს ამბავი სულ მახსოვს ხოლმე და ახლაც, მართო როცა დავრჩები, ცრემლი ღაბაღუპით ჩამომდის, ასე მგონია, კიდევ მირტყამს-მეთქი.

— რა საშინელებაა! თქვენ რა, იმ ბავშვთა სახლში გცემდნენ ხოლმე?

— არა, არც არასოდეს არ გვცემდნენ.

— კი მაგრამ, ბავშვთა სახლში საიდან მოხვდით? აქი მითხარით, მამა მყავსო?

— მამაჩემს ჩემი აღზრდა არ შეეძლო. დედა კი — სახითაც არ მახსოვს, მისი ფოტოსურათიც არ მინახავს. — დედა რომ მოკვდა, ჩვილი ვიყავი. დაახლოებით ორი კვირისა. მართალია, ნახვით არასოდეს მინახავს, მაგრამ ის ამბები რომ გავიგე, რასაც დედაზე ყვებოდნენ, მივხვდი, ჰქვიათი ქალი ყოფილა. მამაჩემი ჩემს მოვლა-პატრონობასა და შენახვას ვერ შეიძლებდა, თან ჩემი ორი უფროსი დაიკო ჰყავდა სარჩენი. ჰოდა, იმანაც ჯერ იყო და ჩვილთა სახლს მიაბარა ჩემი თავი, იქიდან კიდევ ბავშვთა სახლში გადამიყვანეს.

— თვითონ თუ იცოდით, მამა რომ გყავდათ?

— არ ვიცოდი და. ერთი ამბავი რომ სარა, ვერც გავიგებდი. ჩვენთან, ბავშვთა სახლში ერთხელაც დგლეგაცია ჩამოვიდა. მოვეწონე იმ ხალხს. სურათები გადამიღეს. ჯერ თვითმფრინავში ჩამაჯინეს — პიანინოსხელა თვითმფრინავი იყო, მერე საწოლ ოთახში შემიყვანეს და იქ გადამიღეს. ბალიშის ქვეშ კამფეტების კოლოფი ამომიღეს, — „სადკო“ ერქვა, თან ასე მითხრეს: თავს თუ მოიმძინარებ, კამფეტები შენი იქნებაო. დაღლილი ვიყავი და ამ წოლა-წოლაში ჩამეძინა. გამოვიღვიძე — ბალიშის ქვეშ არაფერი დევს. მოვრთე ღრიალი. ბოლოს, როცა ის-ის იყო ისევ მივლულე თვალი, იმათი ღაბაღუპი ჩამესმა. ბავშვთა სახლის გამგემ თქვა, მაგ ბიჭს მამა და ორი და მყავსო. დამამახსოვრდა მაშინ ის ნათქვამი.

მომდევნო წელს კი, ასე, დაახლოებით ახალი წლის პირზე — ეგ იმიტომ ვიცი, რომ საახალწლო ნაძვის ხეს რთავდნენ, — გავიხედე, ვიღაც ბავშვს დედამისმა საჩუქარი მიართვა. აი მაშინ გამახსენდა, რომ მამაც მყავდა და დებიც. ღამით დარბაზში გამოვედი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ნაძვის ხეს დავეჯაჯგურე. თვითონაც არ ვიცი, რა მიწოდდა. ჰოდა, გამოცვივდნენ აქეთ-იქიდან ის ჩემი გადივები, ხედავენ, ნაძვის ხეს ვეჯაჯგურებოდი. რა ზომას მიმართეს, როგორ დამსაჯეს, აღარ მახსოვს. მაგრამ ის კი ვიცი, ჩემთვის სულერთი იყო, როგორ დამსჯიდნენ. იმ დედამ რომ თავის ბიჭს საჩუქარი მისცა, აი, მაშინ გამახსენდა ყველაფერი — აღმზრდელმა რომ ფეხქვეშ ამომიღო ისიც და სულ სუყველაფერი. — ვიტალიმ უცებ მუშაობას თავი მიანება და ფანჯარასთან მივიდა, წუთიც და უკანვე დაბრუნდა.

— მაპატიეთ, მარი ვლადიმეროვნა. ზოგჯერ აი ასე წამომივლის ხოლმე. გამახსენდება იმ ჩემი ცხოვრებიდან რამე და ცრემლს ვედარ ვიკავებ.

— თქვენც ნულარ იხსენებთ, ხომ ხედავთ, გიჭირთ. მაპატიეთ, გამოვიტყვა რომ დაგიწყეთ.

— არა, ასე სჯობს, მირჩევნია ყველაფერი ნათელი იყოს. ~~შეშინებულა~~ რაც გენებოთ.

გინგლორისე

— ბავშვთა სახლიდან როგორღა გამოგიყვანეს?

— ეგ ამბავი უკვე მოგვიანებით მოხდა, როცა ანა გრიგორიევნას უნდოდა ჩემი აყვანა.

— ვინ ანა გრიგორიევნას?

— საშეფო ქარხანაში მუშაობდა ერთი ასეთი ქალი. ხშირ-ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენთან. არ ჯიცი, რა მოეწონა ჩემი, მაგრამ მოწონებით კი მოვეწონე და იფიქრა, შვილად ავიყვანო. ოღონდ თავდაპირველად ეგ ამბავი არავისთვის არ გამოუცხადებია, მით უმეტეს ჩემთვის. ეგ იყო, შინ მივყავდი ხოლმე სტუმრად — მცდიდა. ჩიბის ქურდი არასოდეს ვყოფილვარ და იმის სახლშიაც წესიერად ვიქცეოდი, უშნოდ არაფერს წავატანდი ხელს. ასე რომ, ანა გრიგორიევნა კიდევ უფრო მეტად შემომეჩვია. სულ იმას ვნატრობდი, ხეტა კი ამიყვანოს-მეთქი. ანა გრიგორიევნამ კი ამის მაგივრად ერთ დღეს... მაჩემი და ჩემი ერთი და მასტუმრა. დედინაცვალიც ახლდათ. გააცნეს ჩემი თავი დედინაცვალს, იმან კიდევ — რას დაგვიშლის, ჩვენთან იცხოვროსო, თქვა, რა დიდი მჭამელი ეგ იქნებაო. წამიყვანეს იმ თავიანთ ჰერქვეშ საცხოვრებლად, წამიყვანეს და ვაიდან ვუიში ჩამაგდეს.

— იმ ანა გრიგორიევნამ საიდანღა მოიყვანა მამათქვენი და თქვენი და?

— ეგ მერე გავიგე. ანა გრიგორიევნას ჩემი აყვანა გადაეწყვიტა თურმე, მისულა გამგესთან და უთქვამს: ესა და ეს ბიჭი, ვიტალი პლავნიკოვი გამატანეთო. გამგეს კი უპასუხია: იმ ბიჭს მამაცა ჰყავს და დებიცო. მოუნახია ანა გრიგორიევნას ის ჩემი ახლობლები, უფიქრია — სიკეთეს ვიზამ, ბავშვს გავახარებო. იმ დღის მერე კი თვითონ ანა გრიგორიევნას დასანახად აღარ უნდოდა: რაკი მე არ მერგო, აწი თავშიც ქვა უხლიაო.

— მაშ, იმ დღის მერე აღარსად გინახავს?

— არა, აღარ მინახავს.

— შინ როგორღა გექცეოდნენ?

— ცუდად მექცეოდნენ-მეთქი, ვერ ვიტყვი. ისე, საშუალოდ. მე პირადად კი მაინც ძალიან განვიცდიდი.

— დედინაცვალი ხომ არ გიბრწყვებდათ?

— არა, დედინაცვლის ძვირი არ მეტქმის, აი, მე რომ დედაჩემი მხსომეზოდა, მაშინ, რა თქმა უნდა, შეიძლება რაიმე სამდურავიც მეტქვა. ისე კი, დედინაცვალს დედასაც ვუძახდი ხოლმე, თუმცაღა მის რელიგიურობას ყველანაირად ვებრძოდი. განცდით კი იმიტომ განვიცდიდი, რომ ანა გრიგორიევნა ვერა და ვერ ამოვიგდე გულიდან.

VII

კაბინეტში გალია შემოვიდა.

— მარი ვლადიმეროვნა... მაპატიეთ, იცით...

— რა მოხდა, გალია, ისევ წლაწვია წინდებს არიგებენ?

— არა, როგორ გეკადრებათ. მარი ვლადიმროვნა, თქვენთან პირად საკითხზე ვარ, ოღონდ თქმა მეუბნება...

— მითხარით, რაშია საქმე?

— მარი ვლადიმროვნა, დიდი ხანია მინდოდა მეკითხა: თავს ვინ გიკეთებთ?

— რა თავს?

— თმას ვის აკრეჭინებთ-მეთქი, ამის თქმა მინდოდა.

— აა, აი, რა ყოფილა. უცებ ვერ მივხვდი.

— მარი ვლადიმროვნა, მაპატიეთ ასეთი ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი გოგონები, სუყველანი, აი, გინდათ დაიჯერეთ, გინდათ ნუ დაიჯერებთ, გიყურებთ და, კავკიზებასა ვართ. იშვიათად რომ თქვენს ასაკში ვინმემ თქვენნაირად მოუაროს თავს. მართალს გეუბნებით. იმიტომ კი არ ვამბობ, აქაოდა, ვითომ რალაცვებით, გულით გეუბნებით. თუ გნებავთ, გოგონებს ჰკითხეთ.

— კარგი, კარგი. მაინც რას მოაყოლეთ ეგ ამბები?

— რას და: მარი ვლადიმროვნა, იმის გაგება მინდოდა, ასე მოდაზე ვინ გიკეთებთ-მეთქი თავს და, თუკი ეს შესაძლებელია, იქნებ მეც მომაწყოთ იმ ოსტატთან? ძალიან გეხვეწებით, მარი ვლადიმროვნა. თუ, რა თქმა უნდა, არ გეწყინებათ.

— რატომ უნდა მეწყინოს? სიამოვნებით მოველაპარაკები ვიტალის.

— თქვენს ოსტატს ვიტალი ჰქვია? ძალიან ხნიერია?!

— ძალიან, თქვენი არ იყოს.

— განა ასე არაა? ქალიშვილის კვალობაზე მე უკვე ახალგაზრდა აღარ მქვია. ოცდამეოთხეში გადავედი. გალიამ ამოიოხრა.

მართალი ბრძანდებით-მეთქი, ვუთხარი. — დაბერებულხართ და ეგაა!

— არა, არა, კი ნუ ხუმრობთ, მარი ვლადიმროვნა, ახლა მამაკაცები მხოლოდ ჩვილმეტ-თერამეტი წლის გოგონებს თვლიან ახალგაზრდად, დიდ-დიდი, ოცი წლისებს, ისიც მაშინ, გემოვნებით თუ აცვიათ.

გალიას აღტაცებით შევაგლე თვალი: საშინლად მომწონს ეგ გოგო. ჩაცმით ხომ ისე აცვია, ძალიანაც რომ ეცადო, ნაკლს ვერ უპოვნი. საოცარია! მაინც რა ასეთი უტყუარი ალლო აქვთ ამ ჩვენს გოგონებს, სად ისწავლიან ხოლმე ამისთანობას! ყველაფერი გაკრიალებული აცვია, სადა, კუნტულა. ზედმეტიც რომ არაფერი აქვს! — რა ღილი, რის გულქანდა, რომელი მძივი! თავიდან ფეხებამდე სულ ასე შერჩეულ-შეხამებული აცვია ყველაფერი, სულ ასეთი ცქრილაა, კალმით ნახატი, იმ თავისი ნემსაქუსლებიანად ჩასაყლაპი. კაცი რომ ასეთ კობწია და კოკობზიკა რამეს ნახავს, ალბათ ერთი სული აქვს — აიტაცოს და ხელისგულზე ატაროს.

— გალია, რა კარგად გაცვიათ, თერამეტი-ოც წელზე მეტს არავინ მოგცემთ.

— მარი ვლადიმროვნა, მეზუმრებით, არა?

— რას ამბობთ, სრული სიმართლეა.

...მართლაც და, ვერა და ვერ დავადექი ისეთ თვალსაზრისს, რომელიც თერამეტსა და ოცდასამ წელს ერთმანეთისაგან ანსხვავებს...

— კარგით, აბა, გმადლობთ, — მითხრა გალიამ. — არ დაგავიწყდეთ, მარი ვლადიმროვნა, უთხარით თქვენს ვიტალის, რომ მეც გამიკეთოს თმა. ამ შაბათს ახალგაზრდობის საღამო ეწყობა, ხომ არ დაგავიწყდებათ?

არა, არ დამავიწყდება.

დანაბირები არ დამვიწყებია და მეორე დღეს, სარკის წინ რომ მოვეკლათ-
დი, ვიტალის ვუთხარი:

— თქვენთან სათხოვარი მაქვს. ერთი მდივანი გოგონა მყავს, გალია ჰქვია. სხვათა შორის, ლამაზი ქალიშვილია. ჰოდა, სწორედ აი ამ გალიას მაღლიან უნდა, რომ თქვენ დაუვარცხნოთ თმა. თქვენი ნახელავი მოეწონა.

— როგორი თმა აქვს? — უგულოდ იკითხა ვიტალიმ.

— გალიას? აბა, როგორ გითხრათ... ალბათ ღია წაბლისფერი, უფრო ქერა...

— ფერს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს გრძელი თმა აქვს თუ მოკლე?

— მოგრძო.

— „ბაბეტა“ თუ უნდა, ხელს არ მოვკიდებ. ეგ ვარცხნილობა თვალში არ მომდის. გოგოების უმრავლესობამ ახლა „ბაბეტა“ ამოიჩემა და, მე ვიტყვოდი, სრულიად უსაფუძვლოდ. ასე უკუდმა ნავარცხნი თმა მხოლოდ გარედან ჩანს ლამაზი, სინამდვილეში კი თმა აფუმფულებულია, დატეხილი. წოგი გაიკეთებს „ბაბეტას“ და ორ კვირას დაუვარცხნელი დაიარება. ეგ ამბავი კი თმას არ რგებს.

— არა, ვიტალი, „ბაბეტა“ არც უხსენებია. თქვენი გემოვნებით შეურჩიეთ რაიმე ლამაზი ვარცხნილობა.

— ლამაზი ქალიშვილია? — საქმიანად დამეკითხა ვიტალი.

— ჩემი აზრით, ძალიანაც ლამაზი.

— ეგ იმიტომ გკითხეთ, რომ ლამაზ ქალიშვილებს ყოველგვარი მატერია-
ლური ანაზღაურების გარეშე ვემსახურები. ჩემს თავს დროდადრო ვაძლევ ხოლმე ამის უფლებას. საქმე ისაა, რომ მე ვარცხნილობის არჩევის პრობლემა მაინტერესებს: კლიენტის შუბლის ზომა-სიმაღლის, კისრის სიგრძისა და სხვა ნიშან-თვისებათა გათვალისწინებით. ამის შემოწმება კი ახალგაზრდებთან მუშაობისას უფრო მოსახერხებელია. ვიდრე ხნიერ კლიენტებთან. ხნიერ კლიენტებს უკვე აღარც თმა აქვთ, როგორიც საჭიროა, აღარც სახის ფორმა აქვთ აშკარად გამოკვეთილი, ამასთანავე, ასეთი კლიენტები მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ვარცხნილობას მოითხოვენ და სარ მაკეთებინებენ იმას, რასაც მე ვთავაზობ, როგორც ოსტატი. სხვა მხრივ კი, ქალიშვილების გადამკიდე, შეიძლება ულუკმაბუროდაც დარჩე. მაგრამ, ასეა [თუ ისე, ჩემი თეორიები დრო-
დადრო მაინც უნდა შევამოწმოთ ქალიშვილებზე.

ასე თუა, ამ ჩემს გალიაზე შეამოწმეთ თქვენი თეორიები.

— კეთილი, თანახმა ვარ.

— ესე იგი, გალიას ვეტყვი, რომ თქვენთან დარეკოს, არა?

— თვითონ დაეურეკავ, რა ნომერზე დავრეკო?

— სამსახურში დამირეკეთ, ჩემს ნომერზე.

— კი ბატონო, დავრეკავ.

VIII

შაბათი მოკლე სამუშაო დღეა. თუმცა, ვისთვის როგორია. პირადად ჩემ-
თვის ეს დღე გრძელი გამოდგა. ახალგაზრდობის საღამოზე მისვლაც კი დამიგვიანდა. კლუბში რომ შევედი, ცეკვები უკვე დაწყებულიყო. სია-
მოვნებით ვუყურებ ხოლმე მოცეკვავეების ფეხებს. ამ მოგოგმანე ფე-

ხეების შემყურემ შეიძლება მეტადაც შეიცნო ადამიანი და თვალში თვალის გაყრაც აღარ დაგჭირდეს. ახლა ფეხსაცმელებს აღარ იკითხავთ? რომელი ერთი ჩამოვითვალოთ: ბაჩაჩებიო, ბაჩაჩუნებიო — იმპორტულიო, წაწვეტილებულიო, ბუმბულივით მსუბუქიო, ჩაწვრილებულ-ჩაწვნიკებულიო, ლამის ვითომქუთუნიანიო. მართლაც რომ ქება-დიდება ეთქმის ყველას, ვინც ^{ერთი წაიფორხი-} ლებს, ისე იკინკილებს ამ კოკროჭინა ვითომქუსლიანებზე შეძღვარი (მე, მაგალითად, არ შემიძლია). ამ ბაჩაჩების ახლო-ახლო კი, გეგონებათ, პატრონობენ და ჭირისუფლობენო, კაცების ფეხსაცმელები დატანტალებენ: თასმიანი სანდლები, ან სულაც ჩექმები... მერედა, რამდენი, მართლაც რამდენი ქალიშვილია შეწყვილებული! — ბაჩაჩუნები ბაჩაჩუნებს ეცეკვებიან. ლამაზად ცეკვავენ, მონდომებით, ცას ქუდად არ მიიჩნევენ და დედამიწას ქალამნად: აქაოდა, ვის რას ვუშავებთ, — ჩვენ ჩვენთვის ვცეკვავთ და ძალიანაც კარგად ვერთობითო. ეჰ, თქვენ კი მოგიკვდეთ ჩემი თავი! რა ხანია ჩათავდა ომი, მოვიდა სხვა თაობა, თქვენ კიდევ მაინც ძალზე ბევრნი ხართ...

ამ მოდურ ფეხსაცმელებში განსაკუთრებით ისინი გამოირჩევა, აქა-იქ რომ მოჰკრავ ხოლმე თვალს და თან უბრალოებიც რომაა: მაშიები, სანდალეტები, ან სულაც წულა-წკაპუნები. თუმცა ასეთი წკაპუნებით ცეკვა შეიძლება უფრო მოეწონოს თვალს, მით უმეტეს, აშხვართული და მსუბუქი ფეხების პატრონი თუ ხარ... უცებ, გამორჩევით, მიზღურისაგან შეკერილ მწვანე მაშიების წყვილს დავადგი თვალი. გენახათ ერთი, რა თავგამოდებით ფუსფუსებდნენ, რა ჯარასავით ტრიალებდნენ და დაბაკიბუკობდნენ ის მწვანე მაშიები! მუსიკის თითოეულ ტაქტზე ერთი და ორი რომელია, ათი ფთიანი ილეთი მაინც გამოჰყავდათ. ნეტა ვინაა ამ მაშიების პატრონი? თვალი ავაყოლე ჩათქვირულ ფეხებს და სრულებით ნორჩი, ასე ჩვიდმეტიოდე წლის ქალიშვილი შემომჩია ხელში, თმა აჩლაჩულივით ედგა თავზე (ვიტალი—ცხვარვარცხნილობააო.—იტყოდა). ჩიკორა გოგო იყო, თალგამუკასავით ჩამკვრივებულ-ჩაკირკიტებული. ვიწრო, მუხლისთავებამდე დამოკლებული და ბრიალა ოქროსფერი ფარჩის კაბა პაწია უკანალზე შემოსალტე შემოტმასნოდა: გოგონას, ეტყობოდა, კავალრობა ეკისრა და საქმიანად ეცეკვებოდა ვიღაც წერწეტა. სახემიბნედილ ქალიშვილს, მასზე თითქმის მთელი ქროთი თავით ძალად რომ იყო, რა ვქნა, პატივსა ვცემ იმ გოგონებს, კავალრობას რომ იკისრებენ ხოლმე. — ასეთ ხალხთან საქმის დაჭერაც შეიძლება, არ გიმტყუნებენ...

მოგოგმანე ბაჩაჩუნებსა და ფეხსაცმელებში კიდევ ერთმა წყვილმა მიიბყრო ჩემი ყურადღება — უზარმაზარმა, საოცრად სქელმა და დაღარულლანჩებიანმა ყვითელმა ფეხსაცმელებმა. რაღაც გამახსენეს, ოღონდაც რა? აჰა, გასაგებია. ზუსტად ასეთი ფეხსაცმელებით ცეკვავდა ერთი სტილიაგა, ახლანდელი კი არა, 1956 წლის ჩამოსხმისა. ერთიც რომ შეგეხუდათ, იფიქრებდით, ეს არის და „ნიანგის“ ფურცლებიდან გადმოსულაო იმ თავისი მოჯაჯული კუბოკრული პიჯაკით, მოკლე, ჩასალამურებული შარვლითა და ტლოყებზე წამოცმული დაღარულლანჩიანი ფეხსაცმელებით, იმ თავისი ჩამობუწულ-ვაზინზლული თმით... არქივს ჩაბარებული სტილიაგა!

ნეტა სადაა ის ჩემი გალია? ვეცდები, ბაჩაჩებით ვიცნო. არ გამჭირვებია — თვალებით მაშინვე მოვიძიე ორი გრაციოზული ფეხი და ჭვინტწაწვეტებული ნაცრისფერი ბაჩაჩები. ნეტა როგორ დაუვარცხნა ვიტალიმ თმა? მზე-რა ზევით-ზევით ავაყოლე და უმაღლე მივხვდი — გალია მზეთუნახავია-მეთქი.

ლამაზი გოგო კი არა, სწორედ რომ მზეთუნახავია. ან იქნებ ახლებურად და-
უენებულმა თმამ გააღამაზა ასე? სქელი და ხშირ-ხშირი, მუქი ოქროსფერი
თმა თაფლივით ეღვრებოდა თითქოს. უფრო ზუსტ შედარებას ვერც მოიფიქ-
რებ. გალია ვიღაც ბიჭს ეცეკვებოდა, მოჯადოებულებით მისჩერებოდა და
მისი მომინანქრებული თვალებიც, გეგონებოდა, ღღებოდა ნუფრულად — ვინაა
ნეტა. ვის ეცეკვება? ვალოდიაა? ამას რას ხედავს ჩემი თვალებმა — ეგ ჩემი კვი-
ტალია!

მაინც როგორ ვერ ვიცანი? შავ კოსტუმში გამოწყობილი ვიტალი თით-
ქოსდა შეცვლილი, შეიძლება ითქვას, წარმოსადგიც კი გახლდათ, აღარ იყო
უწინდებურად ჩამოფსიორებული. შუბლშეკრული გადმოჰყურებდა მშვენიერ
თაფლისფერ თმას და უდარდელად, ძლივს შესამჩნევად ცეკვავდა. — რიტ-
მულად გადააჩოჩებდა და თან შეაძიგებდა ხოლმე ფეხს. ეტყობა, ცეკვის
ახალი მანერაა: ადგილიდან ფეხი არ უნდა მოიცვალა.

საიდან სადაო! გალია და ვიტალი...

რადიოლამ ერთი კი ამოიხროტირა და ხმა ჩაუწყდა. წყვილები დაიშალნენ,
ზოგი აქვთ წამოვიდა, ზოგი იქით წავიდა. გზადაგზა სერბანტინის ნახევებს მია-
ჩოჩილებდნენ ფეხით. მაგრამ უცებ ისევ აუღერდა მუსიკა — ამჯერად ვალსი.

აი, ეს კი მართლაც რომ უკვდავი ცეკვაა: რანაირი ცეკვების შემსწრე არ
ვყოფილვარ, ვინ მოთვლის, რამდენნაირი ცეკვა ჩაბარდა წარსულს, ვალსი კი
დარჩა და დარჩა — უსაყვარლესი ცეკვა. დატრიალდნენ, დაბზრილდნენ წყვი-
ლები, სად იყო, სად არა, უცებ ლებედვეი გამომეცხადა.

— მარი ვლადიმეროვნა, თუ შეიძლება, ერთი ტური მიბოძეთ!

— რას ამბობთ, ვიაჩესლავ ნიკოლაევიჩ, რაღა დროს ჩემი ცეკვაა, აღარ
ვცეკვავ.

— არ ვცეკვავო, მეუბნებით, არადა. ზედვე გეტყობათ, რომ გული საცე-
კაოდ მიგიწევთ.

— ეგ საიდან დაასკვენით?

— საიდან და გუნებაში ტაქტს ეხმიანებით: ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-
სამი... თუ ნებას დამრთავთ...

თავი შორს დავიჭირე:

— არა, არა ღირს, სხვა დროისთვის იყოს...

— ეჰ, თქვენ კი რა გითხარით!

ლებედვემა ვიღაც გოგოს ჩაავლო ხელი და დააბზრილა. უყურე შენ, რა
პარგად ცეკვავს ეს ბებრუხანა. თან შეგეშინდება, თან ნაღველიც შემოგაწვება
გულზე.

... იდექი, აბა, და უყურე, როგორ ტრიალებს და ბზრილებს ვალსი.

IX

მუსიკა მიჩუმდა — ჩათავდა ვალსი. შემოიტანეს მიკროფონი, დარბაზის
შუაგულში ზინა კულტმუშაი გამოდგა — სპორტული აღნაგობის ქალიშვილი,
სიფრიფანა, მხრებამდე მოშიშვლებული და ნამზეური რომ ჰქონდა ხელები და
მიკროფონში გამოაცხადა:

— სალამო მშვიდობისა, ამხანაგებო!

— სალამო მშვიდობისა, სალამო მშვიდობისა, — ახმიანდა პასუხად დარბა-
ზი.

— ვიწყებთ ჩვენი მასობრივი ახალგაზრდული წამოწყებებს მეორე განყოფილებას. პროგრამაშია — სიცილის საღამო, მასობრივი თამაშობანი.

— აბა, აკი გულიც მეუბნებოდა, იპევ მასობრივი თამაშობანი! — თქვა ვიღაც ქალიშვილმა განაწყენებული ხმით.

— ხელს ნუ გვიშლით, ამხანაგებო. ამხანაგებო, გვატყუებოდა ადგილი მასობრივი თამაშობებისთვის. დავიცვათ წესრიგი, ამხანაგებო.

ხალხი ზედ კედლებს მიეჯარა. მე ჯერ იყო და სადღაც მიმატეპყეს. მერე — მიცნეს:

— მარი ვლადიმეროვნა, წინ გადმობრძანდით.

— წინა რიგში დადექით, მარი ვლადიმეროვნა!

არა უშავს, არა უშავს, აქ პირჩვენია-მეთქი, გავიძახოდი.

— აქედან, აბა, რას დაინახავთ?!

— დავინახავ, როგორ ვერ დავინახავ.

მაინც გამომჩვიმეს იმ ეშმაკებმა პირველ რიგში.

ზინა გათავისუფლებული დარბაზის შუაგულში იდგა და რაღაცას ფუს-ფუსებდა. ტომრიდან ერთიმეორის მიყოლებით ამოჰქონდა უკვე გაბერილი რეზინის კურდღლები. თითოეული კურდღელი კატის ხელაა. ზინა დინჯად, გულდაგულ სვამდა მათ ერთიმეორის გვერდიგვერდ იატაკზე. უნებლიეთ თვლას მოეყვები, თხუთმეტი ცალი იყო. მთელი დარბაზი გატრუნული იდგა.

ზინამ, რაც კი კურდღლები ჰქონდა, ყველა ამოალაგა და ახლა ტომრიდან თოფები დააძრო — ერთი თოფი, ორი, სამი, სულ ოთხი სათამაშო თოფი ამოიღო და მუყაოსაგან დამზადებული რაღაც-რაღაცებიც ამოაყოლა — ვარდისფრად შეღებილი საგნები, ნიღბები თუ იყო.

— ყურადღება, ამხანაგებო, აგინხნით თამაშის წესს. მასობრივ თამაშში ორი წყვილი იღებს მონაწილეობას: ორი ქალიშვილი და ორიც ვაჟი. დარბაზში გაეცინათ.

— წესრიგი დავიცვათ, ამხანაგებო. სიცილი მერე იქნება. ამ თამაშს „კურდღლებზე ნადირობა“ ჰქვია. ვის ზურს მონაწილეობის მიღება?

ხალხი შეიყუჟა, გამოსვლა არავის უნდოდა.

— გამოდით, ამხანაგებო, აბა, მკვირცხლად, გაბედულად.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება, — დაიძახა ვიღაც ქალიშვილმა და დარბაზის შუაგულში გამოიჭიმა. ის გოგო იყო, ოქროსფერკანიანი. ყოჩაღ, თალგამა!

დაწყებაა ძნელი თორემ... თალგამას კიდევ ერთი გოგო გამოჰყვა — ვიცნობ ამ გოგოს, ტონია ჰქვია, ლაბორანტად მუშაობს ჩვენთან. მერე კიდევ ორი ბიჭი გამოვიდა, ორივე ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელია. ერთი — ჩიკორაა, ლოყებდაჟღაჟა და ჭორფლიანი, მეორე — მაღალ-მაღალი, აწოწილი, თმაჩამოჯენილი, ჯინსებში გამოკანკლული. მგონი, საშა უნდა ყოფილიყო, ლუკიანოვი, მაგრამ დარწმუნებით ვერ ვიტყვოდი. თუ არ მეშლება და ეგ ბიჭი ნამდვილად საშა ლუკიანოვია, ემაგ საშას უკვე ორი საყვედური გამოვუწერე. ოჩოფენებივით გრძელი ტლოყები აქვს, ჰოდა, ტოკავს ხოლმე ადგილზე. ხან ერთ ფეხს ჩახრის მუხლში, ხან — მეორეს.

— ერთი წუთით ყურადღება იყოს, ამხანაგებო! აგინხნით „კურდღლებზე ნადირობის“ შინაარსს. თამაშში ოთხი ადამიანი მონაწილეობს. თითოეულმა თავ-თავისი თოფი მხარზე უნდა გადაიკიდოს.

დარცხენილმა მონაწილეებმა ქირქილ-ქირქილით გააძვრინეს მხარ-
მკლავი საბავშვო თოფების სამხრეში.

— ასე. მივყვით თამაშის მსვლელობას. თითოეული თქვენგანი სხვადა-
სხვა კუთხეში დგება. ყურადღება, — მონაწილეებს კუთხეებში ვაყენებ. დარ-
ბაზის შუაგულში კურდღლები სხედან. ხედავთ კურდღლებს? *ქირქილ-ქირქილ*

— როგორ ვერ ვხედავთ, ბრძები ხომ არა ვართ, — გაეპასუხა ჩიკორა.
ორგვლივ ამარისებური სიჩუმე იდგა. კურდღლები ჩამწვრივებული იახ-
დნენ, მოყამულ-მოღუშულებს ჩარბილებული და ცივი ყურები ჩამოეყა-
რათ. ერთ-ერთი კურდღელი წარამარა წაქცევაზე იქაჩებოდა. ზინა კიდევ
ხელს შეაშველებდა და გაააწორებდა ხოლმე.

— თითოეული თქვენგანი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი კურდღე-
ლი დახოცოს და თავის კუთხეში მოაქუჩოს. გასაგებია? ჩამოიხსნით მხრიდან
თოფს, დაუმიზნებთ კურდღელს და გაისვრიტ. ნამდვილი გასროლა, რა თქმა
უნდა, არ გამოგივათ, რამდენადაც ჩვენ საბავშვო თოფები გვაქვს ხელთ და,
თამაშის უსაფრთხოების მიზნით, ისინი დატენილი არ გახლავთ. მოჰკლავთ თუ
არა კურდღელს, ნანადირევი თქვენს კუთხეში მიგაქვთ. გასაგებია?

— გასაგებია, — ნაღვლიანი ხმით უპასუხა წოწოლამ და ამჯერად მარ-
ჯვენა ფეხი ჩახარა მუხლში.

— ახლა ნიღბებს ჩამოგაცმევთ სახეზე. იმიტათვის რომ ვერაფერი დაინა-
ხთ, თვალის ხვრეტილები ნიღბებს ამოგოზილი აქვს. გასაგებია?

— რა დიდი გაგება ამას უნდა, საშუალო გვაქვს დამთავრებული, — თქვა
თაღგამამ.

— ყურადღება. ახლა ნიღბებს ჩამოგაცვამთ.

აწოწილს ლოთიბაშის დაღრეჯილი ნიღაბი ერგო — ყურებწამოყრილი,
ცხვირჩალილისფერებული. ჩიკორას — რაღაც მოყვითალო, გაბრტყელებულ-
გამობრტყელებული, თითქოსდა რაღაცის დასაყნოსად მომართულ-მომარჯვე-
ბული: ტონიას — თავსაფრიანი, მაჯლაჯუნა დედაბრის ნიღაბი ჩამოაკოსეს,
იმ ოქროსფერ თაღგამას კი ყველაზე საზიზღარი ნიღაბი შეხვდა — ერთი გი-
ლა ც მურღალი დედაკაცის სიფათი: გასიებული-გაფიფინებული, მოვარდის-
ფრო-ლაინისფერი, თვალვებდავსებული და ცალყურა, დამბლადაცემულივით
პირმოქცეული ნიღაბი, ერთი სიტყვით, იმ საწყალ გოგოს ნაღდი იდიოტის
კლინიკური ნიღაბი მიაკონწოხეს. ასე და ამრიგად, სახეზე ნიღაბაფარებული
და მხარზე თოფგადაკიდებული ოთხივე მონადირე ისე იდგა შუაგულ დარბაზ-
ში, როგორც ლოთის კოშმარიანი სიზმრის რაინდი.

— ყურადღება, მოვემზადეთ! ნიშანს მივცემ თუ არა, მოთამაშენი კურ-
დღლებზე ნადირობაში ჩაებმებიან. ყურადღება, დავიწყეთ!

ზინამ თავის საატვენს ჩაჰბერა, შეიძლება მილიციელის სასტვენნი იყო, ან
არადა, მსაჯის. ყველაზე ადრე ადგილიდან ის ოქროსფერი თაღგამა დაიძრა,
თავის ნაცვლად მხრებზე ვარდისფერი საფრთხობელა რომ ება. ქალიშვილმა
თოფი ჩამოიღო, გულდაგულ დაუმაზნა რაღაცას, „ესროლა“ უჩინარ კურ-
დღებსა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა ნანადირევის წამოსაღებად. ეტყობა,
მართლა ძნელი საქმეა, თვალვებდავსებულმა ისე გაიარო, რომ სწორ გეზს არ ას-
ცდეს. თაღგამა უფრო მარჯვნივ წავიდა, ვიდრე საჭირო იყო, გვერდით ჩაუა-
რა კურდღლებს, ჩაცუცქდა, ცარიელ იატაკზე ხელის ფათურს მოჰყვა, თან

უაზროდ აცანცარებდა იმ თავის იდიოტურ თავს. დარბაზში აქა-იქ სიცილი გა-
ისმა.

რა საშინელებაა-მეთქი, ვფიქრობდი, — რასა ჰგავს ეს ამბავი?... ახლა
ჩინსებში გამოწვევარტულმა წოპემ წაავლო თოფს ხელი — განაგებინა ერთი,
საშაა ეგ ბიჭი, ლუკიანოვი. თუ არაა საშა ლუკიანოვი? — აი, იმ ბიჭზე
ვამბობ, ლოთიბაშის თავიანზე. ყმაწვილს, ეტყობა, თამაშში წაიღო თავი-
სეულის შეტანა უნდოდა; ჯერ ხომ გაისროლა, მერე „ვანი-ვანი“ დაიძახა და
კურდღლებისკენ ბატივით წაფარფატდა, თან ტლოყებს მაღლა-მაღლა წამოყ-
რიდა ხოლმე. ამ ჯეელმა აკმაოდ კარგად გამოზომა მანძილი. თავდაპირველად
კურდღლებს ფეხი დააბიჯა, დაშალა მწკრივი, მერე ალღო აუღო, იატაკზე წა-
მოჭდა, წააფათურ-წამოაფათურა ხელი, ყურებით დაითრია ორი კურდღელი და
ნადავლი სხვა კუთხისაკენ წაიღო.

— სხვაგან მოგაქვს, სხვაგან მოგაქვს! — ეძახდნენ აქეთ-იქიდან.

დარბაზში უკვე ბევრი იცინოდა, ბევრი ხითხითებდა, ერთი-ორჯერ სასტ-
ვენის ხმაც გაისმა. ეტყობა, ზინამ იფიქრა, თამაშს ორგანიზებულ ხასიათს
მივცემო. მაგრამ მის სასტვენს ყურს აღარავინ უგდებდა. ამასობაში
თამაშში სხვა ნიღბებიც ჩაება... ორიოდუე წუთის შემდეგ დარბაზში
ისეთი ყაყანი ატყდა, ძალლი პატრონს ვერ იცნობდა. იმ ოთხი ნიღბოსნიდან
აღარც ერთს აღარ ახსოვდა, რომ ჯერ თოფი უნდა გაესროლა, ჰოდა, ეს ვაი-
მონადირეები დაბოროტდნენ უაზროდ, დაყანყალდნენ ამოდენა ჯარ-
ბაზში წინ და უკან, ხან წაიფორხილებდნენ, ხან შეასკდებოდნენ ერთიმეო-
რეს, მერე ხელის ფათურით მოაძიებდნენ ერთმანეთს. ხოლო იმ ჩემი ცოდ-
ვით სავსე კურდღლებს თუ მოიგდებდნენ ხელში, ხან აქეთ წამოაპორწიალებ-
დნენ, ხან იქით წააპორწიალებდნენ. იყო ერთი სიცილი და ხარხარი. არავის
არაფერი ესმოდა. რაზე იცინიო, რომ გეცითხათ, ხეირიან პასუხს ვერავინ გაგ-
ცემდა. სიცილით კი სულ უფრო ხმამაღლა იცინოდნენ; ვერაფრით ვერ გაბე-
გო, რა იყო სასაცილო, ამ აყალმაყალის შემყურეს, პირიქით, გულიც უნდა
შეგლონებოდა!

ანაზღად ვიგრძენი, რომ მეტის მოთმენა აღარ შემეძლო და რომ მეც
სხვებივით ვხითხითებდი.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ამით კი დავასხი თავლაფი, — თქვა ჩემს გვერ-
დით მდგომმა ვილაც შავ-შავმა, მხარბეჭიანმა ჯეელმა, ორი თითი პირში შეიყო
და ისეთი ეშხიანი დაუსტვინა — თქვენი მოწონებული! აქეთ- იქიდან ერთი-
ორმაც კაი გაბმული ბანი მისცა.

— ამხანაგებო, გთხოვთ წესრიგი დაიცვათ! — იჭაჭებოდა მიკროფონში
ზინა კულტმუშაკი.

...ვილაცამ უცებ ფეხზე წამავლო ხელი, დავიხედე და რას ვხედავ: ის
ღრანჭმოქცეული, იდიოტის სიფათიანი არ მომდგომია? კურდღლებზე ნადირო-
ბა-ნადირობაში ქალიშვილს სულ არეოდა გზა-კვალი და ახლა მაყურებელთა
ფეხებთან აფათურებდა ხელებს.

— ახლავე მოიძრეთ ნიღაბი, — ვუთხარი მკვახე ხმით.

ქალიშვილი წელში გასწორდა და ნიღაბი გვერდზე გადასწია. სანდომია-
ნი, ლაქლაქა, შეოფლიანებული სახე მიცქეროდა.

— გოგონი, გენაცვალე, ნუ იზამთ ამას.

ქალიშვილი ატირდა.

ღმერთო ჩემო, ესღა მაკლდა.

ზინათან მივედი:

— ახლავე მორჩით ამ ტუტრუცანობას.

— რა იყო, რაშია საქმე? — ენა შემიბრუნა ზინამ, მაგრამ მაშინვე მიცნო, სასტვენი პირში ჩაიდო და გაბმით, ყურისწამლებად დაუსტვინა.

— ყურადღება, ამხანაგებო! „ყურდღლებზე ნადირობა“ დამთავრებულია. პირველი პრიზი — ქალაქ მოსკოვის ფოტოხედების შეკვრა გადაეცემა... თქვენი სახელი, ამხანაგო?

მაგრამ „ამხანაგმა“ — იმ მაღალ-მაღალმა, თმაჩამოშლილმა ყმაწვილმა ამასობაში ნიღაბი მოიარო და კაი ლაზათიანი დარტყმით დარბაზის მოპარდაპირე კუთხეში მიაგდო. მერე იმ დარჩენილმა მონაწილეებმაც მოიძრეს ნიღბები, აისროლეს და, ნეტაი კი გენახათ! — აფარფატდნენ ჰაერში ნიღბები, სულ ცეკვა-როკვით დატრიალდნენ. „აუჰ!“ „აუჰ!“ — ისმოდა დარბაზში. ახალგაზრდები ისროდნენ ნიღბებს, იცინოდნენ. ლოთბაზარას ნიღაბს ცხვირი შემოაგლიჯეს და ისიც თავჩაქინდრულობით წინ და უკან დახობიალებდა, გეგონებოდათ, რაღაც სამღურავს ამბობსო.

ზინა მომიახლოვდა, ხელებს ისრესდა.

— რაღა ვქნა, მასობრივი გართობის სადგომო ჩამეფუშება..

— თქვენ რა, კიდევ აპირებთ რამეს?

— როგორ არა, გეგმით ქოთნების დამტვრევა გვაქვს გათვალისწინებული.

— მიმიშვით მიკროფონთან, — დავიძახე უცებ.

— მიბრძანდით...

...რა უნდა ვთქვა? არ ვიცი. ახლა რაღა დროსია, მაგრამ რაიმე აუცილებლად უნდა ვთქვა. მიკროფონთან დავდექი თუ არა, დარბაზი გაყუჩდა. ჩემი საკუთარი ხმა ქოვითონაც ვერ ვიცანი. აბა, ახლა ისა თქვით, რა სიტყვები დავტყე!

ჩემო ძვირფასო ყმაწვილებო, — ალვალე პირი ჩემი, — ძვირფასო ბიჭუნებო და გოგონებო. ჩემო კარგო ბიჭებო და გოგონებო. მაპატიეთ, რომ ასე მოგმართავთ. მე თქვენხელა შვილები მყავს. უფროსი — ოცდაორი წლისაა, უმცროსი — ოცის...

...რეებს ვროშავ! მაგრამ გაჩერება აღარ შეიძლება. მთელი დარბაზი შემომჩერებია, თან ისეთი სიჩუმეა, ბუზი რომ გაფრინდეს, გაიგონებ.

ჩემო ძვირფასებო, — ისევ ამოვიდგი ენა. — სულ ახლახან სუყველი იცინოდით, იცინოდით თქვენდა უნებურად, არ შეგეძლოთ სხვანაირად და იმიტომ იცინოდით. ეს ამბავი ჩემს თავზე გამოგცადე; მეც თქვენსავით ვიცინოდი. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ განა ამას მხიარულება ჰქვია? აი, ხდება ხოლმე, დაღევ ღვინოს და (გამხიარულები, გუნებმაზე მოხვალ. ასეთ მხიარულებას ჩემი შვილი „ჭიმიურ“ მხიარულებას ეძახის, ის, რაც ახლახან აქ გქონდათ მოწყობილი, — ისიც ჭიმიური მხიარულება იყო...

— მართალია, მართალია! — გაისმა აქა-იქ, ვილაცამ დაუსტვინა, ზოგი ქირჭილს მოჰყვა.

— მე ალბათ მთლად დაწყობილად ვერ აგინსნით, თუ რაშია საქმე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ასეთი გართობა ვერაფერი გართობაა. აი, როგორ გითხრათ? ბიჭები ზოგჯერ ქვებს დაუშენენ ხოლმე ძაღლს და თან იცინიან... განა ეცინებათ?

ახლა ზინა ამიტომ.

მოვიტოვებ რაც კი მხნეობა გამაჩნდა და ვთქვი:

— ოღონდაც ზინას ნუ დააბრალებთ ამ ამბავს, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია. მაპატიეთ, ჩვენ ჯერ კიდევ მოვიფიქრებთ, თქვენი დახმარებით აუცილებლად მოვიფიქრებთ ნამდვილ, სწავლად, გარდაცემას. ხოლო ვიდრე მოგვიფიქრებია, მანამდე ვიცეკვით ვალსი, თუ შეიძლება!

ამის თქმა იყო და, ჯადო აიხსნაო თითქოს, რადიოლამ ვალსი დააქროლა. ვიდრე და ხვითქი გადამდიოდა. აი, სიტყვით გამოსვლაც ამას ჰქვია...

სად იყო და სად არა, უცებ სწორედ ის ჯეელი მოხადგა — აკვლანჭული, ჯინსებიანი.

— მარი ვლადიმეროვნა! ნება მიბოძეთ...

თავი დავუჯარი და ხელიც გაფუწოდე. წელან რაც მომივიდა, იმაზე მეტი სარცხვილი რაღა უნდა იყოს? ყმაწვილი გამიძღვა ცეცვაში, ერთი-ორჯერ კაი გვარიანად შემომატრიალა და რაც კი რამ დაცურავდა ირგვლივ, კაბები იყო თუ პიჯაკები. პერანგები თუ სახეები, სულ ერთმანეთში აითქვიფა. ყველაფერი დაიბურა, დაინისლა და ამ უზარმაზარ წრეში დროდადრო თუ გამოკრთებოდა, თვალისმოშვრელად თუ გამოახათებდა ჩამრგვალებული ოქროსფერი უკანალი...

— თქვენა ხართ საშა ლუკიანოვი? — ვკითხე პარტნიორს.

— ზუსტად ასე გახლავთ — მიპასუხა ყმაწვილმა.

მეტი აღარ გვილაპარაკია. ვალსი დამთავრდა. ბიჭებმა ალყაში მომაქციეს.

— მარი ვლადიმეროვნა, შემდეგი ცეცვა ჩემთან იცეკვეთ...

— არა, არა, ჩემთან იცეკვეთ. მე ყველაზე ადრე გეახელით...

— რაც აქამდე იცელქეთ, ისიც იქმარეთ, — ვუთხარი პასუხად და ფოიეში გავედი.

შეუძლოდ ვიყავი. ეტყობა, გულმა გამიხსენა. საოცარია. ცხოვრობს ქვეყნად ადამიანი და ბაიბურშიაც არაა, რომ მკერდში რაღაც ტოპსიკა უდევს. გადის დრო და ერთ მშვენიერ დღეს ის ადამიანი უცებ აღმოაჩენს, თურმე რაღაც ტოპსიკა ჰქონია. რას იზამ, ასეა.

— მარი ვლადიმეროვნა, რა დაგეპართათ? ფერი წაგივიდათ...

ფოიეში გალია შემოსულიყო, გალია და ვიტალი.

— გალოჩკა, შენს გახარებას, ერთი წყალი დამალევიხე.

გალიამ ჭიქა წყალი მომიტანა. ფერფური თვითონაც წასვლოდა, — ნუ-თუ ცეცები და ფეხებზე არ ვკიდევარ? არაფრით არ დავიჯერებდი ამ ამბავს. წყალი დავლიე და ვუთხარი:

— არაფერია. უბრალოდ თავბრუ დამეხვა. დიდი ხანია აღარ მიცეკვია, ახლაც გადამივლის.

X

კაცმა რომ თქვას, ნამდვილი ჩურჩუტი ვარ. ამას წყალი არ გაუვა. სხეებასა რა მოგახსენოთ, თუნდაც იმ ჩემი უახლოესი ნაცნობ-მეგობრებისა, პირადად კი დანამდვილებით ვიცი, რომ ასეა. იმათ კიდევ აბა რას დააჯერებ, კეკელუცობსო, — გაიძახიან.

აი, მაგალითად, დღევანდელი საღამო გავიხსენოთ. ძალიანაც რომ ეცადო, მე რომ დღეს სისულელე ჩავიდინე, 'ისეთს მაინც ვერ ჩაიდენ. ალბათ ყველას

გამოუცდია სირცხვილის მტანჯველი შეგრძნება, როცა სირცხვილნაჭამი მართლდარჩები და ვახვახებ, ეს რა მომივიდაო — გაიძახი, თან თავს აქნევ აქეთ-იქით, სწორედ ასე ვვახვახებდი და აქეთ-იქით ვაქნევდი თავს, როცა ეს ჩემი სიტყვით გამოსვლა მახსენდებოდა. ჯერ სადა ხარ! შეიძლება სულაც დამიბარონ, სადაც ჯერ არს, და „დონისძიების ჩაშლისათვის“ პასუხიც მიგეძიონ. თუმცაღა ყველაზე ნაკლებად ეგ ამბავი მაწუხებდა.

ჩამდენიმე დღის შემდეგ ვიტალის რომ შევეუარე, წარბშეკრული დამხვდა, სიტყვა დამიძვირა.

— ის ჩვენი სალამო როგორ მოგეწონათ? — ვკითხე ვიტალის; ვიფიქრე, ღუმილს დავარღვევ-მეთქი.

— არა უშავდა, ნორმალური სალამო იყო. ოღონდ მე პირადად ასეთი სალამოები გულზე არ მეხატება. ამ სალამოებს იმიტომ ვესწრები, რომ სხვადასხვა ფენა მიხდა შევისწავლო. მაგრამ ეს ხალხი ჩემთვის სრულებით არ გამოდგა საინტერესო: მართალია, ათწლედიც არ გამითავებია, ზოგ-ზოგ იმათგანს კი ინსტიტუტიც აქვს დამთავრებული, მაგრამ მე რომ მკითხო, ეგენი ჩემზე წინ არაფრით არ არიან...

რალაცის როცა გრცხვენია, მიაღგები და განგებ გამოქექავ ხოლმე იმ ამბავს, ჰოდა, ვკითხე ვიტალის:

— ჩემი გამოსვლის თაობაზე რა აზრისა ხართ?

— ნუ გეწყინებათ, მარი ვლადიმეროვნა, მაგრამ თქვენი გამოსვლა მეტი-მეტად უბრალო იყო, არც აზრი გქონდათ მაინცდამაინც ჩამოყალიბებული. ამდენად თქვენმა ლაპარაკმა ვერ დამაკმაყოფილა. თქვენგან, დაწესებულების ხელმძღვანელისაგან, გაცილებით უფრო ღრმა ანალიზი იყო მოსალოდნელი.

— ნუთუ ის კურდღლები მოგეწონათ?

— კურდღლები! — ვიტალიმ ზიზღით გაიქნია ხელი, — კურდღლებზე ვინ რას ამბობს? ერთი ტუტუცური თამაშია, არც ცუდსა რგებს და არც ჭკუას.

— მაშ, თქვენი აზრით, რა უნდა მეთქვა?

— რა უნდა გეთქვათ და როგორ, ჩემგან არ გესწავლებათ. მე საამისო განათლება არა მაქვს. იმას კი ვიტყვი, რომ აზრი უკეთ უნდა ჩამოგეყალიბებინათ. ამასთანავე, ეცეკვოთ ვალსი ვილაც ლაწირაკს, რომელმაც ისიც კი არ იცის, რომ სალამოზე ჭინსებით მოსვლა არ შეიძლება, მაპატიეთ და, ჩემი აზრით, ეგ თქვენს სოლიდურ ასაკს არ შეეფერება...

გასაგებია... მაშასადამე, გამეიცხა.

ეს ყველაფერი, ცხადია, თანდათანობით მოგვარდა. ზინას პატიებაც კი ვთხოვე და შევთავაზე, კიდევ ერთი ახალგაზრდული სალამოს მოწყობაში დავგხმარებით-მეთქი. ჩავატარეთ კიდევაც ის სალამო... თვითონ ახალგაზრდებმა შემიწყვეს ხელი, შემომეხიდნენ, განსაკუთრებით საშა ლუკიანოვმა გამოიღო თავი. საოცრად მაკვილავი ვინმე გამოდგა, ნამდვილი შაყირების გულა. აი, წეხნარები რომ ჟანგბადს ამოისუნთქავენ, ისე ამოაყოლებდა ხოლმე საცინარ-სამძახარაოს. საკმარისი იყო ერთხელ შეგვევლოთ თვალი, როგორ მოიქნევდა იმ თავის ნიჩაბივით ტორს, თმას უკან-უკან გადაიყრიდა და თან თითს გააქნევდა, აქაოდა, თქვენი გაფაჩუნებაც არ გავიგონოო, რომ მაშინვე ნიშხდარიყავით, ამ ყმაწვილს ნიჭი ყურებიდან გადმოსდისო.

რანაირი ხუმრობა და ოხუნჯობა არ არსებობს, მაგრამ ის, რაც საშა ლუ-

კიანოვს შეუძლია, ყველაზე უცნაური და გაუგებარი რამაა. კაცმა რომ თქვას, არაფერი ისეთი არ უთქვამს. გაიმეორე თუ ვინდა, გაღიმებითაც არავის გაეღიმება. არადა, ეს რომ იტყვის, იჭაჭება ხალხი, სიცილისაგან ლამის ფერღები დაასკდეთ. ფეხი რომ ფეხია, აი, ისიც რომ მოღუნოს მუხლში, ჩაუჭკუშდები, ჩაბუიღები.

უცნაურული

მე და საშა ლუკიანოვი, ერთმანეთისაგან ასე დასიყვარულენ, როგორც კი სალამო მოგვეწყო და სალამოს სალამოზე ვწირავდით, ვიგონებდით და ვიგონებდით. ყველა ჩვენი გამოგონება ერთ სალამოში რომ ჩაგვეტია, ის სალამო ერთ დღე-ღამეს გაგრძელდებოდა. პოდა, იძულებული გავხდით, ჩვენ-ჩვენი ნებით შეგვეზღუდა და შეგვემოკლებინა ბევრი რამ. სალამოს „თემ-ტურ-კიბერნეტიკული“ დავარქვით. ვინდა არ მოვიწყვიეთ დასახმარებლად — მექანიკოსები, ინჟინრები... ყველაფერი ნახევარგამტარებით გვექონდა დამზადებული. შემოსულ სტუმარს საგანგებოდ აწყობილი რობოტი — მასპინძელი უნდა დახვედროდა... თვალებს აელვარებდა, დაიხრებოდა და, სალამი-სალამო, — იტყოდა... უნდა მოგვესმინა მანქანების მიერ შეთხზული ლექსები და მუსიკა... გათამაშდებოდა კიბერნეტიკული ლატარია... გამოაცხადებდნენ ორმაგკოდოიან მისალოც ტელეგრამებს, რომელთა შინაარსს მათი გაშიფვრის შემდეგ შეიტყობდით... თუმცაღა ბევრმა შრომამაც ფუჭად ჩაგვიარა! ის ჩვენი რობოტი — მასპინძელი სულ მალე მოიშალა, ჯერ იყო და ცალი თვალი ჩაუქრა. მერე — წყრომივით მოჰყვა ერთსა და იმავეს ძახილს: „ლა-მი, ლამი, ლამი...“ ბოლოს საშა ლუკიანოვმა ჩაქუჩი უთავაზა თავში და ჩააჩუმა...

ასე იყო თუ ისე, სალამო ჩატარდა, შეიძლება ითქვას, წარმატებაც ხვდა წილად, თუმცაღა წარმატებაცაა და წარმატებაც. მოკლედ რომ გითხრათ, ის ჩვენი წარმატება არ იყო გაწეული შრომის პროპორციული. თავადაც ვგრძნობდი, რომ მთლად კარგი სალამო ვერ გამოგვივიდა... მეორე დღეს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი სერგიოჟა შევცოვი გამოვიძახე. ერთი ზოზინა ბიჭია. მაგრამ დარბაისელომთავარი კი ისაა, რომ ტყუილს ვერ ათქმევინებ.

— რაო, სალამო თუ მოეწონათ?

— არა უშავდა რა, — მიპასუხა გულგრილად.

— მაინც რას ამბობენ?

— ზოგი რას ამბობს, ზოგი — რას. ზოგი კმაყოფილია, ზოგიც — იმას ამბობს, იმ ადრე ჩატარებულმა აჯობაო.

— ეგ როგორ გავიგოთ, კურდღლებმა აჯობაო?

— არა, კურდღლები რა შუაშია. — სერგიოჟამ ვიტალისებურად აიქნია ხელი. — კურდღლებით ჩვენთან არავინ არაა გატაცებული. იმას ლაპარაკობენ, ცეცვისათვის უწინ მეტი დრო რჩებოდაო.

— კარგი, სერგიოჟა, ამ ამბავს გავითვალისწინებთ.

ეგ იყო და ვიჯექი მერე ჩემთვის, ვფიქრობდი, არაფერია-მეთქი სიცილზე ბუნდოვანი, სიცილზე გამოუცნობი. რაშია ნეტა საქმე? ის, რაც ერთისთვის სასაცილოა, მეორისათვის — სისულელეა, ერთს თუ გაეცინება, მეორე — ეს რა საშინელებააო. იტყვის. ერთს ეცინება, მეორეს — გული ეღვება... ისე კაცმა არ იცის, ყველაზე უბრიანი შეიძლება ის ყოფილიყო, საშა

ასე იყო თუ ისე, არც მთლად უხეიროდ, მაგრამ არცთუ დიდი ტრაუმ-
ფით დასრულდა ჩემი მოღვაწეობა შტატგარეშე კულტგამრთობისკუთხედებო-
ბაზე.

X 1

179

გალია ისევ დაიღვარა ცრემლად.

— მარი ვლადიმეროვნა, არც მე ვარ მაინცდამაინც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული. თქვენ იმას ნუ უყურებთ, ხომ სახეზე არა მოშავს რა, მე არც ერთ კაცს არ ვუყვარვარ.

— ვალოდია? — ველარ შევიკავე თავი და მაინც ვკეფებ...

— ვალოდია რა?! ცოლიანია. სანამ ცოლი ფეხმძიმედ ვყოფილხარ, მანამდე დადიოდა ჩემთან...

რა უნდა ვურჩიო, რა ვუთხრა? აი, ხომ ძალიან მეცოდება, გულის-გულში კი ვგრძნობ, რომ არ მემეტება ეს ტკბილი სიტყვა და მომკალი თუ გინდა. ამ ორთოგონალობას კი დავაყარე შავი მიწა.

გალიას თავზე ხელი გადავუსვი.

— დამშვიდდით, გენაცვალე, იქნებ არც ისე ცუდადაა საქმე. მე ხომ არ მელაპარაკო ვიტალის?

— კი, მარი ვლადიმეროვნა, გეხვეწებით! ვიცი, ყველაფერს დაგიჯერებთ. ვიტალი ძალიან დიდ პატივს გცემთ. აი, გინდათ დამიჯერეთ და გინდათ ნუ, ერთმანეთს რომ შევხედებით, სულ თქვენზე ლაპარაკობს.

სასიამოვნო კია, მაგრამ თან რომ უაზრობაცაა?!

XII

— ვიტალი, იცით, სალაპარაკო მაქვს თქვენთან.

ბიჭმა კოპები შეიკრა.

— გალიასთან დაკავშირებით?

— დიახ, სწორედ გალიასთან დაკავშირებით.

— დიდი ხანია ამ საუბარს ველოდები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ამბავში არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. გალიამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომ ის გოგო შესაფერისი მასალაა — ჯანსაღი თმა აქვს, მოქნილი და იოლად დასამუშავებელი. გალიას თმაზე რამდენიმე ტიპის თმის სახევი გამოვცადე. სადღეისოდ მაგისი თავი სულ ამოვწურე, უკვე სულ ზეპირად ვიცი და მასთან მუშაობას გულს ვუღალავ. აწი სხვა რაღაცები უნდა ავითვისო, ხომ არ შემიძლია ჩემი დღე და მოსწრება ერთი ტიპის თმას შევადლო?

— ნუთუ არ გესმით, რომ თმა არაფერ შუაში არაა?

— მეორეს მხრივ, ამაში თავადაც დამეთანხმებით, ჯერჯერობით არა ვარ საიმისოდ მომზადებული, რომ ხელი მოვაწეროთ: არც ასაკი მიწევს ხელს, არც ეკონომიური შესაძლებლობანი; ინსტიტუტზე რომც არაფერი ვთქვათ, ჯერ ათწლედი მაქვს დასამთავრებელი, არც საცხოვრებელი ფართითა ვარ უზრუნველყოფილი. აი, გალიას რომ ჰქონდეს ფართი, შესაძლოა რაიმე მეფიქრა კიდევ. მაგრამ იმას, გასწიე-გამოსწიე, სულ ერთი ოთახი აქვს, იაიც დედასთან და დასთან საზიარო.

— ვიტალი, როგორ გეკადრებათ ასეთი ლაპარაკი, სად ასეთი საკითხი და სად ფართი. ეს ხომ ცინიზმია, ნუთუ არ გესმით?

— ვიტალიმ შემომხედა და ისე გულწრფელად გაიოცა, რომ მართალი ვითხრათ, შემრცხვა.

— ბინის საკითხს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ოდესმე თუ ცოლის შერთვას დავაპირებ, ამას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ვიზამ, თუკი მე და ჩემს ცოლს წესიერი საცხოვრებელი პირობები გვექნება. აბა, სად მივიყვანო? იმ

ჩემს სოროში? ეგ რა საყადროსია? ამასთანავე, იმ ჩემი ცოლის მიმართ უმთავრესი მოთხოვნა ის მექნება, რომ ყველანაირად ხელი შემიწყოს. მე, მაგალითად, საქმელების მოსამზადებლად ძალიან ბევრი დრო მეკარგება: ჯერ საუბრეო, სადილიო, მერე — ვახშამიო. ყოველივე ეს ჩემი პირადი დროის, ~~ქვეყნის~~ მოდის. ვთქვათ და, მოვიყვანე ცოლი, იმან კიდევ უკან-უკან დამქაჩა, ზრმა შეიძლება ასეც მოხდეს?

— ოი, ვიტალი, რაებს ლაპარაკობთ! განა ესაა მთავარი?

— აბა, რა არის?

— მთავარი ერთი რამაა: გიყვართ თუ არა.

ვიტალი ჩაფიქრდა.

შეიძლება მიყვარს კიდევაც. რა ვიცი აბა. მე ხომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და მიყვარს თუ არა, შესაძლოა თვითონაც არ ვიცოდე.

ვიტალი საქმეს შეუდგა და ხმა გაიკმინდა. მეც ჩუმად ვიჯექი.

— მარი ვლადიმეროვნა, ერთი შეკითხვა უნდა დაგისვით, შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება.

— მარი ვლადიმეროვნა, განვითარების მიხედვით მე თქვენ ძალიან მაღლა გაყენებთ. არა, სულაც არ გეხუმრებით და უფრო მეტ პატივსა გცემთ, ვიდრე იმ ჩემს დედინაცვალს... თქვენ, რა თქმა უნდა, დიდი გამოცდილების პატრონი ბრძანდებით. ჰოდა, შეკითხვა მინდოდა. მაინც რა ნიშან-თვისებისაა მიხედვით შეიძლება იმის გამორკვევა, გიყვარს ადამიანი თუ არა?

აი, შეკითხვაც ამას ჰქვია! ასეა თუ ისე, პასუხი მაინც უნდა გასცე.

ერთხანს ჩაფიქრდი.

— ძალიან ძნელი შეკითხვა დამისვით. მაგრამ ვეცდები, გიპასუხოთ: მთავარი ნიშან-თვისება ჩემი აზრით ისაა, რომ საყვარელი ადამიანი სულ მუდამ გვერდით გეგულება. ვთქვათ და, არ არის ამ დროს შენთან ერთად, შენ კი მაინც გვერდით გეგულება. აი, მოდიხარ საღამო ხანს სახლში, აღებ კარს, ცარიელია ოთახი, შენ კი გგონია, რომ იქ დაგიხვდა. გაიღვიძებ დილით — შენთანაა. სამსახურში მიხვალ — სამსახურშია. კარადას გამოაღებ, ხელსაწყოებს გამოიტან მაინც გვერდით გეგულება.

— მესმის, რასაც ამბობთ, — მითხრა ვიტალიმ.

— ძალიანაც კარგი.

ისევ გაეჩუმდით. ამჯერად უფრო მეტხანს ვდუმდით. ბოლოს ისევ ვიტალიმ ამოიღო ენა.

— მარი ვლადიმეროვნა, თქვენ მე ძალიან კარგად ამიწერეთ ყველა ნიშან-თვისება და ახლა უკვე გარკვევით ვიცი, რომ ამნაირად თუ ვიგულისხმებთ, — ვალია არ მყვარებია.

— რაო, ელაპარაკეთ? — შემომეგება ვალია.

— ეელაპარაკე.

ყველაზე უბრალო იქნებოდა, ისევ ვალიას ეკითხა: რაო, რა თქვაო? მაგრამ ვალიამ აღარაფერი მკითხა — ისედაც მიხვდა ყველაფერს. რა მიხვედრილი გოგოა ჩემი ვალია!

ეჰ! ქალის საცოდაობით აღარა ვარ! სულ ასე ერთმანეთს მინამსგავსი იღბალი აქვს ყველას, თანაც რომ ვერაფრით უშველი.

შუა ზამთარში მოისეი ბორისოვიჩი გახდა ავად, სულ მალე წერილიც წაიღო და დაცარიელდა, უპატრონოდ დარჩა ვიტალის მეზობლად ჩადგმული სავარძელი, — საწყენი კია, ტკბილი ბერიკაცი იყო... ერთხანობას მერვედ შეკავდნენ ტელეფონით. მოისეი ბორისოვიჩის სთხოვეთო: ალბათ ის ლამაზ-ლამაზი ცისფერთმიანი ბებრუკანები თუ იქნებოდნენ. მოგვიანებით კი ეს ძაფიც გაწყდა და ბებრი ოსტატი ყველას მიავიწყდა.

გაზაფხულის პირზე კი იმ სავარძელს ახალი პატრონი გამოუჩნდა — ოსტატი ქალი, ლიუბა ერქვა. საკმაოდ ზონზრობა და დონდლო დედაკაცი გახლდათ, ურჩი თმა ნაირ-ნაირი საღებავებისაგან ლამის ამომწვარი ჰქონდა. ლიუბამ მოსვლისთანავე აითვალწუნა ვიტალი. აითვალწუნა, აბა, რას იზამდა! — ააციშვილს არ უნდოდა ლიუბასთან დაჯდომა, ვინც არ უნდა მოსულიყო, მაინც ვიტალი ერჩინა ყველას. ვიტალი როცა მუშაობდა, ლიუბა გულგრილ გამომეტყველებას აიფარებდა სახეზე და პატარა ქლიბით თავისი იისფერი ფრჩხილების გამორანდვას შეუდგებოდა, აჭიპოსნებდა იმ თავის კაშკაშა ფრჩხილებს, თან ლილინებდა: ტირლი-ტირლი-ტირლიოო. დროდადრო მოსაცდელში გავიდოდა და ვითომ სხვათა შორის დაიძახებდა:

— გოგოებო, თმის გაკეთება ხომ არ გინდათ, პა?

— არა, არა ღირს, ჩვენს ოსტატს დაველოდებით.

ლიუბას წილად „სიფთა კლიენტები“ მოდიოდნენ — სოფლელი ქალები, ჩაყავისფრებული პირისაზე თეთრი ნაოჭებით რომ ჰქონდათ დაღარული. ის ქალები, მორიდებით რომ ამოიძრობდნენ ხოლმე თმიდან ფერადი პლასტმასის სავარცხელს და ასე იკითხავდნენ: „ექვსი თვისას თუ ააეთებენ თქვენთან?“... ლიუბა ამრეზილი ემსახურებოდა მათ, იმ თავის ლაქდაჟა ტუჩებს მოპრუწავდა და დააჭიყუელავებდა ხოლმე.

ვიტალისა არ იყოს, ლიუბამ მეც ამითვალწუნა. როცა კი შევხვდებოდი, სალამს არ დავუგვიანებდი, ლიუბა კი ჩემკენ არც გამოიხედავდა, ერთხელაც წასვლა შემიგვიანდა, ინგლისური ჟურნალიდან ვიტალის ვუთარგმნიდი რაღაცას, პოდა, იმ დღეს იყო სწორედ, ჩემი ყურიით გავიგონე, მოღაჩე ქალს რომ უთხრა ლიუბამ:

— საცოლე ბიჭები ჰყავს, საბებიოდ გამზადებული ქალია, თითონ კიდევ რასა შვრება, პატარა ბიჭი გამოუჭერია. ლამაზი ვარო, ფიქრობს, ფუი, მაგის სილამაზეს კი რა ვუთხარი, მაგ გასიებულო...

ვიტალი კიდევ სულ უფრო ხშირ-ხშირად ველარ იკავებდა თავს, ქალების ალყაში ჩავარდნილი უკმებად უპასუხებდა ხოლმე: თქვენნაირები ბევრია, მე კი ერთი ვარო, ამბობდა.

ერთხელაც მივედი საპარიკმახეროში და რას ვხედავ: ვიტალი მტირალი დამიხვდა. ვინმეზე რომ იტყვიან, უცრემლოდ ტიროდაო, სწორედ ვიტალიზე იყო ზედგამოჭრილი. გახევეებული ალაგებდა თავის მაგიდას და თან ტიროდა, ტიროდა უხმოდ, ბოლმიანად, თვალებს აფახულებდა. ეჰ, ჩემო კარგო შვილებო: მაშინ იყო და ერთი ტიროდა, ახლაა და, — მეორე ტირის ვიტალის მივეუახლოვდი.

— მარი ვლადიმეროვნა, მაპატიეთ, დღეს ვერ მოგემსახურებით.

— რა მოხდა, ვიტალი?

— არაფერი ისეთი. უბრალოდ, ახლა შინ ვარ წასასვლელი.

— მოთხარით, მაინც რა მოხდა? ვიდრე არ მეტყვი, არსადაც არ გაგიშვებთ.

წინდაწინ უნდა გცოდნოდა ეს ამბავი.

— რა უნდა გცოდნოდეთ წინდაწინ? აბა, დაჯექით და გეგმავთ, რაშია საქმე

ვიტალი დაჯდა.

— მარი ვლადიმეროვნა, გული მეუბნებოდა, რომ ესენი მუშაობის საშუალებას არ მოპყვამდნენ.

— ვინ „ესენი?“ ლიუბა?

— პო, ლიუბაცაა და სხვებიც არიან, მისი თანამოაზრენი: კაცების პარიკმახერები, ვალენტინა პეტროვნა, — ჩვენი მოლარე. მე მაგათ ჩემი მუშაობით უკვე კარგა ხანია ვაღიზიანებ. ჩემთან კლიენტურა დადის, მე ჩემს თავს იმის უფლებას არ ვაძლევ, რომ მივასამშაბათო რამე, გეგმა კი ჩავარდნაზეა, ამასთანავე შიგადაშიგ ტელეფონზე მირეკავენ, გინდა არ გინდა, უნდა დამიძახონ. პოდა, იბოლმებიან; თან ისიცაა, საკმაოდ ბევრი კლიენტი გამიჩნდა, ყველას მაინცდამაინც ჩემთან ურჩევნია თმის შემოკვერცხვა, მე კი ამოდენა ხალხს ვერ ავუდივარ, ეგ ამბავი ეკონომიური თვალსაზრისითაც არ მაწყობს. ჯანა რა მრჩის, რომ ვისაც კი მოეპრიანება, ყველას მე მოვემსახურო? მე შენ გეტყვი და ხეირია რამე, დიდი-დიდი წელიწადში ორჯერ მოგაკითხოს, საშვიდნოემბროდ ან საპირველმაისოდ, პა და პა, შეიძლება საახალწლოდაც გეახლოს. მე კი ასეთი ხალხი სულ არაფერში არ მჭირდება. კლიენტურას როცა ვარჩევ, მე ჭერ იმას ვფიქრობ, გამომადგება თუ არა მავანი კლიენტი ჩემი დონის ასამაღლებლად, და არა იმას, რომ ყოველ გამგულ-გამომვლელს მაინცდამაინც მე მოვემსახურო. იმათ კიდევ სწყინთ, საჩივრის წიგნში საყვედურებს მიწერენ. ჩემზე უკვე რამდენიმე საჩივარია გაშანშალებული, მაგრამ ეგ ამბავი არ მალონებს. ჩემთვის მუშაობაა მთავარი, მუშაობა და მხოლოდ მუშაობა.

— კი მაგრამ, დღეს რალამ დაგალონათ?

— რამ და, ერთი ამბავი მოხდა: ჯიბიდან უბის წიგნაკი ამწაპნეს, ჩემი კლიენტების მისამართები, ტელეფონის ნომრები მქონდა შიგ ჩაწერილი და ეს წიგნაკი საქმის განსახილველად პროფკავშირულ ორგანიზაციას გადასცეს.

— როგორ თუ საქმის განსახილველად? ვის რაში ეკითხება. რომელ მისამართს ჩაიწერთ იმ თქვენს უბის წიგნაკში! თქვენ რა, ამის უფლება არა გაქვთ?

— ფორმალურად კი მაქვს, როგორ არა, მაგრამ ფაქტიურად ეს სახელები იმაზე მიუთითებს, რომ ჩემი კლიენტურა მყავს. აი, ეს კი სასტიკადაა აკრძალული. ყველას ერთნაირად უნდა მოვემსახურო და გეგმაც უნდა შევასრულო. მე კი ჩემს თავს ამის უფლებას არ ვაძლევ, გეგმის შესრულება თუ გინდა, საქმე უნდა მივასამშაბათო. დღესდღეობით, მაგალითად, მოდაზე თუ ვარცხნი, წინ ქოჩორიც საჭიროა, ამ ქოჩორის გაკეთებას კიდევ მოფიქრება უნდა — როგორ აჯობებს, რანაირად, პოდა, მარტო ამ ქოჩორის შემოკვეცას სჭირდება ორი იმდენი დრო, რაც მთლიანად პერმანენტზე დამეხარჯებოდა. დაწესებულ ნორმებში კიდევ ამოდენა მუშაობა ვერ ჩაეტევა. პოდა, ისინიც ამას გაიძახიან, აქაოდა, უბის წიგნაკიო, საჩივრებიო, გეგმას ვერ ასრულებსო და ჩემ წინააღმდეგ კამპანია გააჩაღეს.

— ვიტალი, ერთად მოვიფიქროთ, იქნება ვუშველოთ საქმეს?

— ვიფიქრე უკვე, არა მგონია, მეშველოს რამე. საქმე ისაა, რომ მეტისმე-

ტად უნიჭო დირექტორი გვყავს, უხეშია, ოსტატებს ლანძღავს, ღამის დედა შეაგინოს, თან მათიუნიჩი არ მიჟურობს კარგი თვალთ, გადაგვიდა.

— ეგ მათიუნიჩი ვინაა?

ვინაა და ჩვენი კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფოში საპარიკმახეროების სექტორს განაგებს.

— კი მაგრამ, მათიუნიჩი რაღას გერჩით, რატომ გადაგვიდა?

— რატომ და, იმ ჩემი გამოსვლების გამო. მე მთელი ჩვენი რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად დამასახელეს. მართალია, დრო სრულებით არა მაქვს, მაგრამ უარი მაინც არ მითქვამს. ჩემი განვითარებისდა კვალდაკვალ, უნდა დავწინაურდე და ავტორიტეტიც ავიმალლო. ავტორიტეტი ახლაც მაქვს. არც მაინცდამაინც პატარა, მაგრამ არც მთლად დიდი, ისე რა, საშუალო ავტორიტეტი მაქვს. ჰოდა, ერთხელაც კომკავშირულ კრებაზე გამოვედი და საკითხი გავამწვავე. ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ, თან საკითხს ვამწვავებ...

— რა საკითხი იყო ასეთი?

— რა და, ხელსაწყოების ამორტიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვილაპარაკე. გამოვედი და ასე ვთქვი: როდის მოელება-მეთქი ბოლო იმ უმსგავსო ამბავს, ხელსაწყოს ამორტიზაციისათვის კომპენსაციას როდის გადაგვიხდიან - მეთქი წესისა და რიგის მიხედვით?! აი, პირდაპირ ასე მივახალე და ჩემს ავტორიტეტსაც სამსახური გავუწიე. მათიუნიჩს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არ მოეწონა, თვითონ მაგას არ აწყობს, რომ ამორტიზაციისათვის კომპენსაციას ჩამოვიდნენ.

— რატომ არ აწყობს?

— რატომ და ის ფული მაგის ჯიბეში ჩადის.

— ესე იგი, იპარავს თუ რა ხდება?

— არა, მოპარვით — პირდაპირი მნიშვნელობით არ იპარავს, მაგრამ ხელს ნამდვილად ითბობს.

— ნუთუ არაფერი მოხერხდება?

— ძალიან ძნელი საქმეა. ეს ჩვენი კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, უხეშად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს კუდში მიჩანჩალებენ. ესენი კიდეც — მათიუნიჩი და მისნაირები — იმით სარგებლობენ, რომ სახელმწიფომ თავისი წინსვლისდა კვალდაკვალ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ამ უბანზე წესრიგის დამყარება. ვთქვათ და, მაგალითად, მასალების ხარჯვის ამბავი მოვიყვანოთ. ყოველი ოპერაციისათვის გარკვეული ნორმები არსებობს. ესენი კიდეც ახლა როგორ ჩალიჩობენ: აქ რაღაცას მოაკლებენ, იქ სხვა მასალას გამოიყენებენ, ზოგ-ზოგი კიდეც იმასაც ახერხებს, რომ გადასაგდები რაღაცები საქმეში გაიყვანოს. ეს ყველაფერი კიდეც — ფულია. ამეებს გარდა, მე კულტურული მომსახურების საკითხიც წამოვჭერი: უმჯობესია, ფაქიზად ჩაცმული, კულტურული ოსტატი მოგვემსახუროს უხეიროდ, ვიდრე თმაც შეგიკორტნონ, თან უზრდელად მოგექცნენ-მეთქი. ეს იყო და, ის ოსტატებიც გადავიტერე, რომლებიც მომსახურების კულტურას ჯერჯერობით ვერ ფლობენ.

— მომისმინეთ, ვიტალი, — ჩავურთე სიტყვა, — იქნება მე დამერეკა?

— ვისთან?

— ვისთან და, იმ მათიუნიჩთან, ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი.

— თუკი დარეკავთ, დიდად მადლობელი დაგრჩებოდით.

— ტელეფონის ნომერი მითხარით.

ავკრიფე ნომერი. ვილაცის მსუყე, ავხორცი კაცის ბანი გამოშვება:

— მათიუნინი გისმენთ.

— ამხანაგი მათიუნინი ბრძანდებით? თქვენ გელაპარაკებთ საინფორმაციო მანქანების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი კოვალოვა.

— ძალიან სასიამოვნოა.

— საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ თქვენს საპაროკმახეროში ახალგაზრდა ოსტატი მუშაობს, ვიტალი პლავნიკოვი.

მატიუნინი დუბდა.

— გესმით ჩემი?

— მესმის, — ცოტა არ იყოს აგდებულად მითხრა მათიუნინი.

— ჰოდა, იმას ვამბობ, რომ აგერ უკვე მეორე წელიწადია ამ ოსტატთან დავლივარ და უნდა მოგახსენოთ, დიდებული ოსტატია, ხელოვანია ნამდვილი...

— ჩვენთან ყველა ოსტატი სანაქებოა. მტკიცე ხმით მიპასუხა მათიუნინი.

— ეგ რა თქმა უნდა, მაგრამ იმ ყმაწვილს, ვისზედაც მე მოგახსენებთ, გეცოდინებათ, კლიენტებისაგან მოცლა არა აქვს...

— მერედა, რა არის აქ განსაკუთრებული. ჩვენს სისტემაში ყველა ოსტატი კვალიფიცირებულია, ყველას აქვს ტექნიკური ჩაბარებული, ყველას შეუძლია სამოდელო ვარცხნილობის შემოთავაზებაც და ნებისმიერი ოპერაციის ჩატარებაც. იმ პლავნიკოვზე კი წარამარა საჩივრები შემოდის. კლიენტებს უხეშად ექცევა, გეგმას არ ასრულებს...

— კი მაგრამ, განა შეიძლება ასეთი სიმკაცრით მოვთხოვოთ გეგმის შესრულება, როცა საქმე ხელოვნებას შეეხება?

— თქვენი აზრით არ შეიძლება, ჩვენი მუშაობა კი თავიდან ბოლომდე ხელოვნებაა. მაშასადამე, ვერც ერთს გეგმა ვერ შეგვისრულებია, არა?

— მე მაინც უმორჩილესად გთხოვდით, გაითვალისწინოთ პლავნიკოვზე ეს ჩემი აზრი.

— მაპატიეთ, მაგრამ მე უფრო საჩივრები მესმის ხოლმე, ამასთანავე რა ვიცი, ვის ველაპარაკები?

ყურმილი დაფაგდევ.

— გული მითქვამდა, ასეც იქნებოდა, — მითხრა ვიტალიმ. — ეგ მათიუნინი იმიტომაც ვერ მიტანს, რომ ფული არ შემაქვს. ვითომც ბაიბურში არა ვარ, ისე ვიქცევი.

— რის ბაიბურში არა ხართ?

— არსებობს ერთი დაუწერელი კანონი, — რა თქმა უნდა, ამ კანონის ხსენებაც არაა ხოლმე, — კერძოდ ის, რომ ყველა ოსტატმა, ვისაც მშვიდი მუშაობა ურჩევნია, მათიუნინს მაყუთი უნდა ჩაუთვალოს. დიდი ფული უნდა მისცეს. მეტი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინც არის რა, ასე სამი-ოთხი მანეთი თვეში.

— ღმერთო ჩემო, რას მელაპარაკებით. ნუთუ ასეთი ამბებიც ხდება?

— ხდება, აბა არ ხდება. ეგ რა სახსენებელია, ამ ჩვენს მივარდნილ უბანზე ამისთანა ამბებს კადრულობენ? რატომაც არ იკადრებენ, ხელფასი პატარა აქვთ, ჰოდა, სხვა რა გზაა, პირობებს იუმჯობესებენ. მაშ, არადა, რისთვის დაჯდება დიპლომიანი კაცი ემაგ ადგილზე?

— რას მელაპარაკებით, მაშ უმაღლესი განათლება აქვს მაგ საზიზღარს? რა დაამთავრა?

— იურიდიული. მე რომ მკითხო, ძალიანაც მომწონს ეგეთი / განათლება, ოღონდ, რა თქმა უნდა, პირდაპირი დანიშნულებით თუ გამყვანებლად, სიამოვნებით ჩავაბარებდი იურიდიულზე...

— კარგი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა ისა ვთქვათ, ნილაბი როგორ ჩამოვაძროთ?

— ვისა? მარტინინს? ძნელი საქმეა, დიდი ვირეშმაკა ვინმეა. მოწმეები სად ვნახო? არადა, სანამ ამ სისტემაში ვმუშაობ, ასე ჭიქურ მისვლა ზიანის მეტს არაფერს მომიტანს, აღარ დამედგომება სამსახურში.

და მოულოდნელად დააყოლა:

— მარი ვლადიმეროვნა, იცით, წასვლა მინდა.

— ამ საპარიკმახეროდან?

— არა, საერთოდ მინდა ამ ხელობას შევეშვა.

— რას ლაპარაკობთ, ვიტალი, გონს მოდით: მზამზარეული პროფესია გაქვთ ხელში, ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გიყვართ თქვენი საქმე, თან ნიჭიც მოგდევთ.

— ასეთი ნიჭი ჩვენს დროებას სრულებითაც არ სჭირდება. კიდევ იმას გეტყოდით, მარი ვლადიმეროვნა, რომ ამ ჩემი შემოსავლის ოდენობაზე სამდურავს ვერ ვიტყვი, მაგრამ მე ამ შემოსავლის რაობა არ მომწონს. ვიღაც-ვიღაცების კეთილგანწყობაზე ხარ დამოკიდებული. ზოგჯერ პატივსაც არ ვცემ ხოლმე იმ ხალხს.

— გასაგებია, ოღონდ ნუ აჩქარდებით. თუ გნებავთ, კინოსტუდიაში მოველაპარაკებო, იქნებ იქ აგიყვანონ.

— არა, ეგენი გამოვიკითხე უკვე. კინოსტუდიაში სპეციალურ განათლებას ითხოვენ, მხატვრული ტექნიკები უნდა გქონდეს დამთავრებული, ერთი სიტყვით, მუშაობის ხარისხი კი არაა მთავარი, ქაღალდი უნდა შეაჩეჩო ხელში.

— ვნახოთ მაინც, იქნებ გამოგვივიდეს რამე. ოღონდ ნუ აჩქარდებით, შევთანხმდით? აბა, კარგად იყავით, ვიტალი, ნულარ დაინალვლებთ.

ვიტალი წამოდგა:

— მოგემსახურებით, მარი ვლადიმეროვნა, გუნება გამომიკეთდა.

...კინოსტუდიაში ვიტალის მოწყობა არც ისე იოლი საქმე გამოდგა, მე რომ მეგონა ჩემი ჭკუით. ჯერ ერთი, ვაკანსია არ იყო. მეორეც ის, რომ მართლაც ქაღალდი ყოფილა საჭირო. მაგრამ, მოვიფიქრებთო, შემპირდნენ. ეგ იმიტომ რომ, რა არ ვუთხარი, რანაირად არ ვთხოვე, დამეხმარეთ-მეთქი. გულისფანცქალით ისიც ვთქვი, ეგ ბიჭი ჩემი შორეული ბიძაშვილია-მეთქი (არ ვიცი, გაგონილა კი ასეთი ნათესავი).

— მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ხატრით, მაგრამ არა მგონია, რაიმე მოხერხდეს, — სიტყვა მომიჭრა ადმინისტრატორმა.

XIV

ოჯახში ბიჭების მონაწილეობით მორიგი სპექტაკლი იყო გაჩაღებული. კერა და ვერ შევაგნებინე ვერც ერთს, რომ მართლა მომდის ხოლმე გული. ყველაფერი უნდა გაამასხარაონ და გააქიაქონ.



- ჯამბაზები, — მივაძახე ორთავეს.
- შენ ხომ კაცი არა ხარ, ჯამბაზი ხარ! — საზოზლარი ხმით დაედროლა კოლიამ.
- რა გაღრიადლებს, შე სულელო?
- ვმღერევარ. ოპერა „ჯამბაზები“, მუსიკა ლეონკოვალოსი.
- ოპ, როგორ მინდა ხოლმე ყურის ძირში ვწკვიტო, — კოსტიას კი არა, მაინცდამაინც კოლიას.
- ახალგაზრდობას, — სიტყვა გამოაგო კოსტიამ, — იმედია მიგვიხვდები, დედილო, ახალგაზრდობას განსაკუთრებული ყურადღება და გულისხმიერება ესაჭიროება, ასე ვთქვათ...
- ტელეფონმა დარეკა, ყურმილი კოლიამ აიღო:
- მბრძანებელო, შენ გთხოვენ. ღმერთო მაღალო, შენ უშველე და შენ დაიფარე, ვინც არ უნდა იყოს.
- ყურმილი ავიღე.
- გისმენთ.
- ვიტალის ხმა უცებ ვერც კი ვიცანი — წკრიალ-წკრიალით ჩამესმა.
- მარი ვლადიმროვნა! — აჭივჭივდა ვიტალი. — მარი ვლადიმროვნა, მომილოცეთ! აღარა ვარ ქალების პარიკმახერის შეევე შვი ამ საქმეს!
- რას ამბობთ? ასე უცებ? ხომ გთხოვეთ, ნუ აჩქარდებით-მეთქი... რაღაც-რაღაცებს შემპირდნენ...
- ნუღა შეწუხდებით. მარი ვლადიმროვნა. მე მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე მინდა ვიყო.
- თქვენ რა, სულ წამოხვედით სამსახურიდან? სად მოეწყვეთ?
- ქარხანაში, ზეინკლის შეგირდად. ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან!
- რა იყო მაინც ასეთი, ასე ნაჩქარევად რამ გადაგაწყვეტინათ?
- ნაჩქარევად მე არაფერს ვიზამ. ეგ ამბავი საფუძვლიანად მაქვს მოფიქრებული. კოლექტივთან ერთად ვიმუშავებ, დავამთავრებ ათწლეულს, მერე ინსტიტუტს. აი, თქვენ კი, მარი ვლადიმროვნა, როგორც გამონაკლისს, ნებისმიერ დროს მოგემსახურებით. რომც არ მეცალოს, დროს მაინც გამოვნახავ, თავად გეახლებით შინ.
- გმადლობთ, ვიტალი, დიდი მადლობა. წარმატებას გისურვებთ, გამიგეთ? თუ რამ დაგჭირდებათ, რაიმე დახმარება...
- მესმის, მესმის, დაგირეკავთ.
- დამირეკეთ. აბა, თქვენ იცით, დიდი მადლობა.
- ყურმილი დავდე და ერთხანს ადგილზე ვიდექი, ხელისგულებს ვათვალიერებდი.
- ეჰ, ეტყობა. რაღაცაში შევცდი, რაღაც გამომეპარა...
- რა მოხდა? კარგი ამბავია თუ ცუდი? — მკითხა კოსტიამ.
- თვითონაც არ ვიცი. ალბათ კარგი ამბავია.
- რას იზამ, გზა მშვიდობისა, ვიტალი!



ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიჟნაიანიძემ

ჩარლზ სიმისი

ჩემი ფეხსაცმელები

ფეხსაცმელები — ჩემი შინაგანი ცხოვრების
იდუმალი სახე,
ორი დაბჩენილი და უკბილო ხახა,
ხარის ტყავის ორი შელახული ნაგლეჯი,
თაგვების სოროს სუნი რომ ასდით.

ჩემი უბედური და უდღეური და-ძმა
თქვენში განაგრძობენ თავიანთ ცხოვრებას
და შეუცნობელ უბიწოებისაკენ
გამუდმებით გეზიდებიან.

რალა აზრი აქვს ჩემთვის სხვა წიგნებს,
თუ ძალმიძს თქვენში ამოვიკითხო
ჩემი ცხოვრების აზრი მიწაზე
და შინაარსი მომავალ დღეთა?

მე უჩვეულო რელიგია მსურს დავამკვიდრო
იმ სრული მორჩილებისა, მე რომ დაგიწესეთ,
და დავასრულო უცნაური იგი ტაძარი,
თქვენის წყალობით ქუჩა-ქუჩა მე რომ ვაშენებ.

ამტანები ხართ, როგორც მდედრი, როგორც
ასკეტი:
ხარების, წმინდანებისა და ტუსალების ჯიშის
ყოფილხართ
და თქვენი სრული მორჩილებით და მოთმინებით
ჩემს ზუსტ და ნამდვილ ხატს წარმოაჩენთ.

□

ქანთ კოვი

მაშინაც შენი მაისური გეცვა

მაშინაც შენი ედგარ ალან პოს ბამბის მაისური გეცვა,
 თითო უჯრედზე ედგარ ალან პოს თითო სახე რომ ახატია.
 ქერა თმა გქონდა, მომხიბლავი იყავი ძალზე
 — ბიჭებს ყველა გოგო მართლა ცუდი გგონიათ? — უეცრად მკითხე.
 თვალი შევაღლე შენი თმის ზღვისპირა კურორტის სასტუმროს
 ვარცხნილობას,
 გვერდზე კულული ჯონ გრინლიფ უიტიერის სარჭით რომ გქონდა
 დამაგრებული,
 და გითხარი — არა, თვითონ გოგონებს გგონიათ-მეთქი ყველა
 ბიჭი ცუდი.
 მერე ჩვენ „თოვლში ჩაჩუმქრულები“ წავიკითხეთ და მანსარდაზე
 ავირბინეთ.
 ფეხი რაღაცას წამოვკარი და ჩემს ჯორჯ ვაშინგტონის ფეხსაცმელს
 ჭვინტზე საღებავი გადაეცალა.
 დედას სტროს უოლცისის სავარცხელი თმაში გაერჭო
 და სასტუმრო ოთახში ბოლთას სცემდა.
 ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც შევედით — მაგიდაზე ჩაის სერვიზი ეწყო —
 ჩაიდანსა და საშაქრეზე პერმან მელვილის სურათები ეხატა,
 ხოლო ფინჯნებს მისი წიგნების, მოზი დიკისა და ბენიქტო ჩერუნოს
 ილუსტრაციები ამშვენებდა.
 წუთის მერე მამაც გამოჩნდა, დიკ ტრეისის პალსტუხი ოდნავ
 შეეხსნა —
 — რაო, — გვითხრა. — ჩაის ხომ არ მიირთმევთო.
 — ო, არა, — ვთქვი მე. — მოდით, ყველამ ერთად გავისეირნოთ.
 მერე პორტალში გამოვედით და აბრაჰამ ლინკოლნის საქანელაზე
 ჩამოვისვენეთ,
 შენ სახისა და წვერების მხარეზე დაჯექი, მე კი მუხლებზე
 მოვკალათდი.
 ეზოში, მესერთან თოვლის კაცი დავინახეთ —
 ხელში ნაგვის ყუთის დაჩეჩქვილი ხუფი ეჭირა,
 რომელიც ინგლისის შემლილ მეფეს, გეორგ მესამეს ჰგავდა ძალიან.

ოსკარ უაილდი



ჩადინგის ციხის გალადა (ნანგვეტები)

პირველი

მას მენამული არ სცმია ქურქი —
წითელი ლაქა იცის სასმელმაც,
ხელები ჰქონდა მას მენამული,
ქალთან რომ ნახეს უკანასკნელად —
მან იგი დანით დაჰკლა ლოგინში
და მისი თბილი სისხლით დასველდა.

ის ბოლთას სცემდა მკვლელებთან ერთად,
ვით მათი ტოლი და ამხანაგი,
ნაბიჯს ლაღად და მსუბუქად დგამდა,
თავს იწონებდა ციხის ხალათით,
მაგრამ ნამდვილად არსად მენახა
ასე მწუხარე კაცი მანამდის.

მე ის მიკვირდა, რა ხარბი თვალით
უჭვრეტდა მშვიდ და შეუშფოთებელ
იმ ცისფერ ნაგლეჯს, სიკვდელმისჯილი
პატიმრები რომ ცას უწოდებენ
და რომლის ფონზეც ზოგჯერ ღრუბლები
მართავენ ხოლმე ჭრელ წარმოდგენებს.

ჩვენ სხვა, მეორე წრეში ვიდექით,
სად ცოდვებს წყავდნენ სხვა საწყაოთი,
ხან გარს ვუვლიდით მცირე მოედანს
და ხანაც კვიმატ ბედთან ვდაობდით,
რომ გვითხრეს: „საწყალს ორი დღე დარჩა“
და ამოგვივსეს სული ქაოტით.

ღმერთო! უეცრად ციხის კედლები
ჩამოიშალა, ვით ფარატიანის
რაღაც ხუხულა, და ლურჯი ზეცა
დაგვემხო რკინის მუზარადით
და მოგვეჩვენა თამაშად ჩვენი
მწუხარება და ბედის ქადილი.

და მივხვდით, იგი ესოდენ შვეებით
გარს რად უვლიდა ციციქნა მოედანს,
ან ის ცისფერი ნაგლეჯი მისთვის
რად იყო ზეცის უსაზღვროება—
მან საყვარელი ქალი გასწირა
და ეხლა ისიც უნდა მოეკლათ.



ყველა იმატებს თავის გულისსწორს,
სიყვარულს ადევს სისხლის ნიშანიც:
გულგოროზი თუ თვალებით ზარავს,
ლამაზი სიტყვით გმირავს პირშავი,
ლაჩარი თურმე ამბოროთ ჰყიდის,
ხოლო სატევრით ჰკლავს უშიშარი.

ზოგი სიყრმეში სწირავს სიყვარულს,
ზოგი სიბერის გზაზე დამდგარიც,
სულს თუ ალერსით უხუთავს ერთი,
მეორე აშთობს ოქროს აკლდამით,
დანას მიმართავს ხშირად კეთილი —
არ იწვალეფსო ბევრს მომაკვდავი.

ზოგმა ორი დღით იცის ტრფიალი,
ზოგი ლანდია თავის რჩეულის,
ზოგი მოჰკლავს და ცრემლს არ დააღვრის,
ზოგს კი მთელი დღე უთრთის სხეული,
ყველა ჯვარს აცვამს თავის ღმერთს, მაგრამ
განა ყოველთვის ზღავს თვითეული?!

ქვეყნის წინაშე ვინ მდგარა ასე
თავლაფდასხმული და შერცხვენილი,
ვის აუხვიეს ბლონდით თვალები,
ვის წაანერეს მკერდზე წერილი
და წუთის შემდეგ გასანთლულ თოვზე
ვინ ასხმარტალებს ფეხებს მწერივით?!

ღლედაღამ რომელს უთვალთვალევენ,
ვის ჩაუკმინდეს ხმა პატიმრებმა,
ვინ ვერ პოულობს წამს სალოცავად,
ჩივილი ვის არ ეპატიება,
მომღიმარი თუ ბაგემდუმარი
რომელი ჰგოდებს აუტირებლად?!

ვის გააღვიძებს გამთენიისას
გამძვინებულთა აურზაური —
ჯერ დაადგება თავს კაპელანი,

მერე შერიფის ძაღლი ჩაუვლის
და შეაძრწუნებს, ვით განკითხვის დღეს,
ციხის უფროსის ხმა უცნაური...

გააღვიძებენ, მშვიდი აქვს სახე,
უცბად გამოსვლა ჭირს ძილქუშიდან,
მაგრამ იმწამსვე მოვა ექიმი,
ხელს მოჰკიდებს და პულსს გაუსინჯავს —
ექიმს ახარებს მისი „სისუსტე“,
ისიც მზაკვარი და პირქუშია!

ხშირად უხმება ყელი წყურვილით,
სიკვდილის წინ რომ ყველას აწვალებს.
სანამ ჯალათი ხელთათმნიანი
აღისრულებდეს თავის სანადელს,
პირთამდე სავსე სიცოცხლის ბარძიშს
ვინ დაცლის ჭიქა წყალის დაცლამდე?!...

ორი

თვენახევარი ტკეპნიდა ეზოს,
(ძალას იკრებდა ამ დროს ჯალათი),
ნაბიჯს ლაღად და მსუბუქად დგამდა,
ღავს იწონებდა ციხის ხალათით,
მაგრამ არავის არსად გვენახა
მისებრ მწუხარე კაცი მანამდის.

ჩვენ ის გვიკვირდა, რა ხარბი თვალით
უჭვრეტდა მშვიდ და შეუშფოთებელ
იმ ცისფერ ნაგლეჯს, სიკვდილმისჯილი
პატიმრები რომ ცას უწოდებენ
და სად ღრუბლები აგებენ ზღაპრის
თუ ოცნებების ჭრელ-ჭრელ მოდელებს.

ის არ იმტვრევდა ხელებს და ოფლით
არც შუბლი მისი არ დაცვარულა —
ჭირში რომ იცის ხოლმე იმედმა,
სულელი კაცის გულში მალულმა, —
ის ცაზე მხოლოდ მზეს გაჰყურებდა
და ისუნთქავდა ჰაერს ძალუმად.

ის არ იმტვრევდა ხელებს და თვალი
არ ამოსწვია ცრემლის მარილით,
მას სალბუნივით ეფინა პირზე

მზის ყვითელი და თბილი არილი
და მათრობელა ჰაერის ღვინოს
პირდაბჩენილი ნთქავდა ხარივით.



ჩვენ ვინც მეორე წრეში ვიდექით,
ან გარს ვუვლიდით სულ სხვა მოედანს,
არად მიგვაჩნდა ჩვენი სასჯელი
და ბედთან ჩვენი უთანხმოება —
ჩვენ ვუყურებდით იმ კაცს, რომელიც
მალე, სულ მალე უნდა მოეკლათ.

ნაბიჯებს დგამდა ისე მსუბუქად,
გამოეცალათ თითქოს საყრდენი,
თითქოს ის ლურჯი ნაგლეჯი მისთვის
უძირო ზეცა იყო სამხრეთის
და გვაოცებდა მისი დუმილი
და ვალი მისი გადასახდელი.

მწვანედ შრიალებს მუხა და თელა,
სიამისა და შვების მთესველი,
სახრჩობელას ხე ხმელი ძელია,
ავად გაუდგამს შავი ფესვები,
ნედლიც და ხმელიც ხე ნაყოფს ელის,
სკამს დაგიდგამენ, თუ ვერ შესწვდები.

რა ბედენაა დიდების ტახტი,
ძილშიც რომ ეტრფის ყველა მდაბიო,
საქმე ის არის, რომ ეშაფოტის
მალალ კვარცხლბეკზე ჩანდე მკაფიოდ
და ირგვლივ მზერა თოკის ყულფიდან
უკანასკნელად მიმოაფინო!

ვიოლინოს ხმა ისე ტკბილია,
აგიცეკვდება ფეხქვეშ საწუთრო,
მშვენიერია ბარბითის ჰანგიც,
ხოლო ფლეიტის ხმა — საუცხოო,
მაგრამ ჰაერში დოლის ბაგა-ბუგს
როგორ გინდა რომ ფეხი აუწყო?!
...

ჩვენ მას ყოველდღე, გულისფანცქალით,
ვუთვალთვალავდით დათქმულ ვადამდე,
გულს ვიმაგრებდით, რომ ბედს ოდესმე
არ წაერთმია ჩვენი სადავეც —
აბა, რა იცი, ჩვენი ბრმა სული
რა უკულმართი გზებით გვატარებს?!

და აჰა, ბოლოს ის დღეც გათენდა,
ცა კვლავ დაეშვა ციხის თალამდის,
იგი ეზოში აღარ გამოჩნდა,
ბრალს სდებდა ცოდვის ხელი მსახვერალი
და მე მის სახეს ამიერიდან
ველარასოდეს ველარ ვნახავდი.



ჩვენ ქარიშხალში შევხვდით ერთმანეთს
ვით ორი გემი და მე ხრინწიან
ხმით ვერაფერი გავაგებინე
და კურსი ჩვენი არ შეგვიცვლია —
ჩვენ წმინდა წუთმა კი არ შეგვყარა,
ჩვენ შეგვახვედრა ერთუროს სირცხვილმა.

გარს ციხის სქელი კედელი გვერტყა,
დამნაშავეთა მწყობრში ვიდოდით,
ჩვენ გაგვიმეტა წუთისოფელმა,
ცა დაგვემუქრა უამინდობით
და ცოდვა-ბრალის სასტიკმა ჯინმა
თავზე დაგვადო ხელი ლითონის.

ს ა მ ი

სიკვდილმისჯილთა ეზოს კედელი
აგებულია არა იჩქითად —
უფრო მკვრივია, უფრო მაღალი,
ადვილად ვერც მზღ-შემოიჭყიტავს
და დარაჯობენ, თავი თვითონვე
რომ არ მოიკლას სიკვდილმისჯილმა.

ნესტიანია მისი ჰაერი,
ცას ტყვიისფერი აკრავს სატინა,
აქ ყველა მხრიდან გითვალთვალებენ,
ვერ ამოირჩევ კუთხეს სატირლად
და ვერც ილოცებ, ან, კაცმა რომ თქვას,
რა ელოცება ამ დროს პატიმარს?!

განრიგს უყურებს ციხის უფროსი,
კანონი არის მისი ინტიმი,
ექიმი ამბობს — მეცნიერული
აქტი გახლავთო კაცის სიკვდილი,
მღვდელი სულს ჰკურნავს — დილა თენდება
და მწუხრიც დგება მისი ტიკტიკით.

ის დღეში ორჯერ ტენიდა ჩიბუხს
და ლუდს წრუპავდა ხის ჭურჭელიდან,
აღარ ღელავდა, მის სულში შიშის
ნატამალიც კი არ გაჩნდებოდა.
„მიხარია, რომ მალე მოვკვდები“, —
თქვა რამდენჯერმე სკამს დაბრჯენილმა.



რატომ ამბობსო ასეთ სიგიჟეს —
გაოგნებული იყო დარაჯი,
მაგრამ უბრალოდ ხმაც არ დაუძრავს —
კაცის ბედ-იღბალს ის ხომ არა სჯის,
თუ გაბედა და რამე იკითხა,
ჩამოერთმევა დასტურ ლალატში. —

თვალი და ყური უნდა დაიხშო,
გულს სიძაბუნე რომ არ დაეტყოს,
ის შენი თბილი სიტყვა სიკვდილთან
იქნებ არაფერს ნიშნავს საერთოდ,
ჰოდა, კანონიც გვირჩევს — წვრილმანზე
ამ დროს მოდით და ნუ ვიდავებთო.

ჩვენ გარს ვუვლიდით სულ სხვა მოედანს,
ჩვენ მასხარების ვდგამდით კარნავალს,
არად მიგვაჩნდა მთელი ქვეყანა,
ძველი წუხილიც ძალას ჰკარგავდა
და გადახოტრილ თავზე თვითუღს
ცა დაგვნათოდა ისევ კამკამა.

დღე შეუმჩნევლად გადის ჯაფაში,
ახლობელსაც ვერ მოისაკლისებ,
კარ-ფანჯრებს ხეხავ, რეცხავ იატაკს,
რიკული ინწყებს ბზინვას სარკისებრ,
გრიალ-ზრიალი გააქვთ საკანში
ჯამებს, სათლებს და რკინის ჯაგრისებს.

ვცლიდით ნაგვის ყუთს, აგურს ვნაყავდით,
ბაგირს ვძენძავდით, ტომრებს ვკემსავდით,
დაზგის ხმაურში ჰიმნებს ვმღეროდით,
ბედი ნათელი იყო დღესავით,
მაგრამ შიგნით კი რალაც გვზარავდა,
არ ელეოდა გულს საკვნესავი.

ნელინელ გვღრღნიდა ყოველ ცისმარე
გრძნობა, რომელიც გინდ უთამამეს
კაცსაც ერთიან გააცამტვერებს

და სულს უწყალოდ მოუტრამალებს,
ვიდრე მინდორში ერთხელ, შემთხვევით,
არ ჩავუარეთ ღია სამარეს.



დევივით ფართედ დაეღო ხახა,
ჩანთქმისას რომ არ დაიხროტინოს
სხეულით უნდა გაპოხიერდეს
ქვიშა მშრალი და თიხა ნოტიო
და უცებ ჩვენი შიშიც აიხსნა
შეუცნობელი და უმოტივო.

დავშოშმინდით და ჭკუას მოვეგეთ,
ხვალ თენდებოდა დღე აღსასრულის,
იმ ღამეს ადრე დანვა ჯალათი,
ნაბანავები და გაპარსული,
ჩვენც არაფერი აღარ გვინდოდა,
ყველამ მივიღეთ რაკი პასუხი.

ღამით ცარიელ კორიდორებში
ვიდოდა შიში და ჟრუანტელი,
რკინის ქალაქში უცხოთ ფეხის ხმა
აღარ სწვდებოდა ჩვენს ყურს რამდენი!
და ხიმინჯების ჭუჭრუტანებში
იჭვრიტებოდნენ თეთრი ლანდები.

მას უჩვეულოდ ტკბილად ეძინა,
თითქოს მდებლობა იწვა განცხრომით,
გაფაციცებით უთვალთვალეზდნენ —
რამ არ გამორჩეთ გამოსაცნობი,
უკვირდათ, როგორ მშვიდად სუნთქავდა
და არ იძვროდა ოდნავ სანოლიც.

მაგრამ ტუსალი ვერ დაიძინებს,
თუ გული ერთხელ არ მოიოხა
და ჩვენ, მასხრები და თაღლითები —
ციხის ქანდარა და გალიორკა —
თეთრად ვათევდით ღამეს წრიალში
და ერთს მეორის წყლული სტკიოდა.

დანაშაულის გაზიარება
საშინელი რამ გახლავთ, ღმერთმანი —
სხვისი ცოდვების ბასრი მახვილით
შუა გეპობა გული მედგარი
და დასაღვრელი სისხლის წილ ცრემლიც
ისე ცხელია, ვით ნადვერდალი.

არ სცილდებოდნენ კარს დარაჯები,
წერდნენ პატაკის მოკლე ბარათებს,
გვიჭვრიტინებდნენ, გვითვალთვალეზდნენ
და გაოცებას ველარ მალავდნენ —
რად ლოცულობდა იმ ღამეს ყველა,
ღმერთს რომ აროდეს ხმობდა მანამდე?!



სიტყვა სწყუროდა ყველა პატიმარს,
არ სძინებიათ არც ახალგაზრდებს,
მუხლზე ვიდექით და ღამის ბინდი
თრთოდა ვით ფოჩვი კატაფალკაზე,
ხოლო სინანულს ძმრის გემო ჰქონდა,
რომ გადაჰკრავ და დაგაბარბაცებს.

ორჯერ იყივლა უკვე მამალმა,
დღე ვერ იქნა და ველარ გათენდა,
შიშის თვალები ააბრიალეს
საკნის კუთხეში ბინდის კატებმა,
უცებ ისეთი ძრწოლა წაგვკიდეს,
მარტო ავსული რომ იკადრებდა.

და აირია ათასი ლანდი
ამორფული და თივის ბულულზე
უფრო მსუბუქი და აფუთფუთდნენ
როგორც მგზავრები დილის ბურუსში,
ცეკვა გახელდა სისხლის წადილით
და წაეკიდა როკვას ხურუსში.

იგრიხებოდნენ, იმანჭებოდნენ,
აღარ უჩანდა ბოლო გრიმასებს,
ვერ მოიჯერეს გული ფერხულით,
იმედს ჰკარგავდნენ ყველა წვრილმანზე
და რასაც კედელს მიახატავდნენ
მანჭვით და გრუხით შლიდნენ იმასვე.

ჯერ ყიჟინა და ორომტრიალი,
ცივი ყმუილი მერე ძალლისებრ,
ბოლოს მალაყი და პირუეტი,
წავთს რომ უმატებს ხოლმე სახმილზე.
იმ ჯოჯოხეთურ ღრიანცელს ჰგავდა,
მიცვალებულს რომ გამოაფხიზლებს.

თითქოს ამბობდნენ: მიწა დიდია,
მაგრამ მოკლდება ზოგჯერ ბორკილით
და ყველა ბუდი წუთისოფელში

ან სირბილია, ანდა ფორხილი,
კაცი ცოდვასთან მუდამ წააგებს
გინდ ბრიყვი იყოს, გინდ დაქოქილი.

მანჭვა და გრეხვა ყველა იმათთვის,
ვისაც ფეხებზე ედო ხუნდები,
საამო იყო, თუნდაც საცქერლად,
ცეკვა ხიბლავდათ განსაკუთრებით —
როგორც ოცნება აუხდენელი
და სასო გულში ნასათუთევი.

ის იყო მხოლოდ გასაოცარი
რალაც ენიგმა თუ გამოცანა,
რომ ამ ძრწოლამ და აურზაურმა,
ვით წამმართველმა და დამმოძღვრავმა
ძალამ, ყველანი მუხლზე დაგვაგდო
მონანიებად და სალოცავად.

ბნელი არ თმობდა, თუმც მთისმოდა
ეზოდან დილის სიოს ფართქალი,
ლამის ძაფები ყელზე გვეხვია
და შავი იყო ყველა მათგანი,
რაც უფრო ბევრს და მეტს ვლოცულობდით,
უფრო გვზარავდა მზის სამართალი.

ქარი ხვწეშოდა, ყველა ღრიჭოდან
ემატებოდა გულს კაეშანი,
ძლივს ტრიალებდა დროის ბორბალი,
მისდევდა წუთი წუთს და ჭეშმარიტ
ძალა-უფლებას გვაგრძნობინებდა,
როგორც მეურვე თუ სენეშალი.

ბოლოს დავლანდე ძელი საწოლთან,
როცა ჩამოდგა ყუჩი საყდრული —
ლამის ჭვარტილიან ჭიშკრიდან თითქოს
გამოგდებული ვნახე საგდული
და მე ვიგრძენი, რომ უკვე სადღაც
შემოდიოდა დღე უმადური.

ექვსზე დავწმინდეთ ყველა კუნჭული,
შვიდზე დადუმდა ისევ საკანი,
სულს გვიხუთავდა ეს გარინდება,
მძიმე იყო და რალაც სხვაგვარი
და გვახსენებდა, რომ შავ ანგელოსს
არ ერეოდა თავის გზა-კვალი.

მას ალისფერი არ ცმია მანტო,
არ დაგვინახავს მისი თეთრონიც,
დღეს ანტურაჟი შავი სიკვდილის,
ვით ჩვენი ნაღდი თანამედროვის,
არის ხის ძელი, წვრილი ბანარი
და პოსტამენტი რკინა-ბეტონის...



ეჭვნი

რედინგის ციხის რკინის ქალაქში
არის სირცხვილის ერთი საფლავიც,
შიგ უბედური კაცი მარხია
და მალლა ქარი ქრის გულსაკლავი,
არსად წარწერა, კირი იწვება
და ბელტს გაუდის მხოლოდ ლაპლაპი.

მშვიდად იძინოს ან აღდგომამდე,
შვება იქ მაინც თუ იპოვება,
რა საჭიროა სულელის ცრემლი,
თანააღმობა და სათნოება —
მან საყვარელი ქალი გასწირა,
ჰოდა, ისიც ხომ უნდა მოეკლათ?

ყველა იმეტებს თავის გულისსწორს
და ისღა რჩება აღუნიშნავი,
რომ გულგოროზი ზარავს თვალებით,
ლამაზი სიტყვით გმირავს პირშავი,
ლაჩარი მუდამ ამბოროთ სწირავს,
და ბლაგვი დანით ჰკლავს უშიშარი!

ოლჯერონი ჩარლზ სვინბერნი

პროზაიკინას ბაღი

აქ, ყველაფერი მშვიდია სადაც,
ჩუმია თვითონ გულის წუხილიც,
როგორც სიზმარში ამბოხი ქართა
და ზმანებაში უხმო ქუხილი



ივანე ჯავახიშვილის
კოლეჯი

და ელოდება მომკელს სამკალი —
მწვანე ველი თუ ველისმაგვარი,
მიძინებული და გულსაკლავი,
ულიმლამო და თალხი მწუხრისთვის.

დამლაღა დარდმა და სიხარულმა,
გამიუცხოვდა შვილი ადამის,
რა აზრი იგი ვცან დაფარულად
ცოდო-ბრალის და ტყუილ-მართალის —
სურვილი ყველა ან შემირისხავს,
დამხსნია დრო და ჟამის თილისმა,
შორს ყველაფერი, გარდა ძილისა,
არაფერია მისი ბადალი!

აქ არსებობა მეზობლობს სიკვდილს,
უბოლოოდ და დაუსრულებლივ
უმსუბუქესი ნავებით ბინდის
ზღვაში ცურავენ მკრთალი სულები,
წყვდიადის რბილის, როგორც თივთიკის,
ზვირთებს შერწყმია მათი ტივტივი
და ბინდში მყოფნი თვლემენ ბინდივით
უსახონი და გასუსულები.

არა ჭალაკი, შვების მომგვრელი,
არა სამყურას სამი ფურცელი,
ოდენ ყაყაჩოს მწვანე კოკრები
და პროზერპინას მკვახე ყურძენი,
ღვინო, რომელიც სხეულს გარდაქმნის,
ღვინო, ნაწური ოდენ მკვდართათვის,
გონი ცნობადის მიჯნას გარდადის
სულმოუთქმელი, გრძელი ყლურნებით.

უსახელონი და უთვალავნი
თვლემენ, გარეშე რამ საზრუნავის,
სადგური მათი — მყუდრო დარანი
და ყოფა მათი — ოდენ ბურანი,
დგება ნისლებში გამოგუდული
დილა გვიანი და მოქუფრული,
მიუნდობელი როგორც უფსკრული,
მიუკარები და მომდურავი.

უსახური სული ძლიერიც,
მაინც სიკვდილის კვლავ ბინადარი,

კვლავ ვერ მჭვრეტელი ნათლის ციერის,
 კვლავ უგრძნობელი დარდის ტარტარის —
 უფერულია სახე ნატიფი,
 ურგებელია თალხი ლანდივით
 ის სიხარულიც, ასე ნამდვილი!
 ის სიყვარულიც, ასე მართალი!

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

მსთველი მოკვდავთა ყველა მოსავლის,
 მომკელი იგი სახემდუმარი
 დგას ფერმიხდილი გვირგვინოსანი,
 მარადიული და გარდუვალი,
 ტკბილია მისი მჭკნარი ტუჩები,
 ვით სიყვარულის ნაზი ჭურჭელი
 და ზედ აკვდება უსმელ-უჭმელი
 ყველა დროის და ქვეყნის სტუმარი.

უკლებლივ ყველა სულდგმულს მიელის
 ზამთარ და ზაფხულ, დაუსრულებლივ,
 დავიწყებია მინის იერი,
 ნაყოფისა და ხორბლის სურნელი,
 შეგინებულან მის წინ ზღაპრული
 ბალ-ვენახები, თუ ცვარ-ნაპკური
 კვირტი ყოველი, ფერი ზაფხულის
 და ყვავილებით სავსე ურნები.

ვლენ ფრთაშესხმული მისკენ მიჯნურნი,
 დამძიმებული ჟამით ცოლ-ქმარნი,
 გულის ხმაური და ჩამიჩუმი
 და უსასოო კაცთა ბორგვანი
 და ჩვენს დაღლილ თვალს რომ ეფარება
 სულ უნებლიედ თუ ნება-ნება
 გადავიწყებულ დღეთა ზმანება
 და თორმეტი თვის ჭრელი ბორბალი.

ჩვენ აღარ გვჯერა არც მწუხარების,
 ხოლო ფუჭია შვება ყოველთვის,
 დღეს ირეკება ხვალის ზარები,
 ვერ ახშობს ქვეყნის მიეთ-მოეთი,
 უდღეურია ტრფობის ასაკი
 და მინდობილი მეტრფე ბრმასავით
 გადადის თავის გზას და გასაგისს'
 და ხსნა კაცთაგან არ იპოვების.

ჩვენ, ცხოვრებისგან და ნუგეშისგან,
და ჟინისაგან თავისუფალნი,
მადლს ვწირავთ ღმერთებს, რომ ამ დღესი ვართ,
რომ წუთისოფლის გვერქვა სტუმარნი,
რომ არის ძილი მარადიული,
არის დუმილის პალადიუმიც,
რომ ნაკადულსაც გზანი მიუდის
ზღვისკენ და აგნებს კიდეც გუმანით.

არავითარი მაშინ სიცხადე
და სილამაზე ამქვეყნიური!
ამაო იყო, რაც განვიცადეთ,
ტყუილ-უბრალოდ გამოვმზიურდით,
ნულარ ვუცქერდეთ მალლა მნათობებს,
დაბლა ფერები ნულარ გვართობდნენ,
— მარადიული ძილი მარტოდენ,
მარტოდენ ღამე მარადიული!

□



თარგმნა გივი ალხაიშვილმა

* *

გამიგონია, როგორ მღერის ღამით ბუღბული,
მღერის ბუღბული... თითქოს და ტირის,
ეძახის ბარტყებს,
თითქოს უთრთის ხმაც და ბუღბულიც.

მაგრამ მიწაზე დანარცხებულებს,
ცაში ფრენისას დამარცხებულებს,
ბუღბულის ბარტყებს სძინავთ მიწაში.

ო, ნუ მღერიხარ, ნუ შემაღონე,
დაეხსენ, სევდას ნუ გამაგონებ.
მითხრა: ცრემლები თუ მიშველიან,
ჩემი თვალები ცრემლით სველია
და ჩემს ცრემლებში სისხლი ბევრია,
ხოლო ჩემს სისხლში ბევრი ცრემლია
და სიმღერაში ტანჯვა ფარული,
უნდა ვიმღერო, ჩემი მრევლია:
დარდი, იმედი და სიყვარული.

* *

როცა პირველად ხელი შევახე
და ხე შეთრთოლდა ხელშენახები,
მე დამარიგა მაშინ მებაღემ:
ვიყვარდეს მიწა,
წვიმა,
ბაღები.

ვიყვარდეს ხეთა სიმღერა ქარში,
ბუნება შენთვის რომ ინახავდა,
იყავი ისე, როგორც ის ვაშლი —
ბებჩრია და მაინც აყვავდა.

□

მირჩა რაღუ იაკობაძე

შპთი «ვერიტასში»



პიესა. რუმინულიდან

თარგმნეს ბ. ჯინჯიხაშვილმა და ბ. დოლიძემ

მოკლე პირი

იონი, გეორგე, ვასილე, ვალენტინი,
ვიქტორი, ემილია, მარა, პეტრე,
ილიანა, სოფია, პუიკა, იფიციატი.
ყველა მოქმედი გმირი 32-35 წლისაა.

I

იფიციატი. მე თუ მკითხავთ, სულაც თეფშებზე დავაღაგოთ ხაფიზიტო პარათები და ყველა შიგნებს თავის ადგილს, თორემ ისე, ნამდვილად აგვერევა ხალხი.

იონი. კი მაგრამ, ჯერ ხომ ისიც არ ვიცით, ზუსტად რამდენი ჩამოდის.

იფიციატი. როგორ თუ არ იცით, აკი თორმეტ კაცზე გაშალეთო სუფრა?

იონი. ჰოო, მაგრამ ეს ისე, ყოველ შემთხვევისათვის.

იფიციატი. თანაც ათი ოთახი დაგვჭირდებაო.

იონი. ესეც ყოველ შემთხვევისათვის.

იფიციატი. რა ვიცი, ბატონო... თქვენი ნებაა, მაშ ყვავილებიც ჩავაწყუთ, არა?

პუიკა (შემოდის, ხელში პირსახოცი უჭირავს). აბა, როგორ, უყვავილებოდ როგორ იქნება.

იფიციატი. იცით, ქალბატონო, მხოლოდ გლადიოლუსები და მიხაკები გვაქვს.

პუიკა. არა უშავს, მხოლოდ ცალ-ცალკე ჩადგით, ერთმანეთში არ აურიოთ.

იფიციატი. გასაგებია, ქალბატონო. (გაღის).

პუიკა. ისეთი სამრეცხაო აქვთ, მტრისას, ნომრები კი სულ ტარაკანებითაა სავსე.

იონი. ჰოო...

პუიკა. ხომ იცოდა ჩემი ამბავი, ჭირვეულობა არ მიუვარს, მაგრამ, რა ვქნა, ნომრები ტარაკანებითაა სავსე და სამრეცხაოც ისეა ჩაბინძურებული, მტრისას.

იონი. გასაგებია.

პუიკა. ღმერთო ჩემო, ამ კაცს რა უნდა უთხრა, სულ „მდა“ და „გასაგებია“ აკერია ენაზე.

იონი. მდაა.

პუიკა. ა, ბატონო, შეაყარეთ კედელს ცერცვი.

იფიციატი (ბრუნდება პლასტმასის ყვავილების თაიგულით). სულ ოცდაათია. ათ-ათი ჩავაწყუთ თითო ვაზაში, ა, თქვენ რას იტყვით?



ქართული
ლიტერატურა

კუიპა. ღმერთო ჩემო, ეს რა არის?

ოფიცირანტი (არჩევს ყვავილებს). მიხაკები, ქალბატონო, თითო ოთხი ღივი ღირს, გლადიოლუსები კი ათ-ათი.

კუიპა. ეს ხომ პლასტმასია?

ოფიცირანტი. ხამაგიეროდ გამძლეა.

კუიპა. ახლავე გადაუძახეთ აქედან.

ოფიცირანტი. რას ქვია გადაუძახეთ, ქალბატონო, ინვენტარში გვეთვლება.

კუიპა. თქვენი ინვენტარი მე არ ვიცი, ცოცხალი ყვავილები მოიტანეთ აქ, ეს კი საკუთარი ქორწილისათვის შეიძლება.

ოფიცირანტი. უკაცრავად, მაგრამ რა ხანია ვიქორწილე, ქალბატონო.

კუიპა. აბ, რას ამბობთ, ნუთუ მართლა?

იონი. პუიკა, გთხოვ, გენაცვ...

კუიპა. კარგი ერთი თუ კაცი ხარ, ვერა ხედავ რა მოიტანა? დამაროეს დუქანში მგონია თავი.

იონი. დამაროეს დუქანშიო, ისე ამბობ, თითქოს გენახოს.

კუიპა. ვითომ და რატომაც არა, შენ რა იცი?

იონი. რა ვიცი, ასე მგონია და...

ოფიცირანტი. უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ საიდან გაგიჩინოთ ეს ცოცხალი ყვავილები. ქალაქამდე ათი კილომეტრია.

კუიპა. საიდანაც გინდათ. გაიხედეთ მაინც ზღურთ, ფანჯარაში არ იუურობით ხოლმე?

ოფიცირანტი. როგორ არა, როცა კლიენტები არ მყავს.

კუიპა. მოდა, გახედეთ რა ყვავილებია. გავარდით და მოწყვითეთ გვირილები.

ოფიცირანტი. მაინც როგორი გვირილები გნებავთ, ქალბატონო?

კუიპა. თეთრი, თეთრი გვირილები.

ოფიცირანტი. კი ბატონო, ახლავე გავაგზავნი ბიქს.

იონი. ნუ შეწუხდებით, მე თვითონ წავალ.

კუიპა. ოოო, შენ რომ არ გამოყო ცხვირი, არ შეგიძლია.

იონი. რა ვქნა, აბა, ხომ იცი, არა მაქვს ამ ორგანიზაციული საქმეების თავი.

კუიპა. მოდა, შენც იტყვი ღიჯების დირექტორი ვარო.

იონი. სხვათა შორის, სამისოდ ორი მოადგილე მყავს.

კუიპა. კიდევ კარგი.

ოფიცირანტი. მეორე მხარეზე არ გადახვიდეთ, იქ სატყუოს ნაკრძალია.

იონი. მოო. (გაღიჟა).

კუიპა. კეთილი და პატიოსანი. აბა, ახლა გამახინჯე, რა საქმელი გაგვიმზადეთ.

ოფიცირანტი. უფლაფერი გაგახინჯოთ?

კუიპა. რა თქმა უნდა, უფლაფერი.

ოფიცირანტი. კი მაგრამ, უფლაფერი ჯერ რომ არ დაგვიმზადებია.

კუიპა. არა უშავს, რაც მზად გაქვთ, ის გამახინჯეთ.

ოფიცირანტი. მაშინ შემოიძლია ძეხვი და ზეთისხილი შემოგთავაზოთ.

კუიპა. კი ბატონო, ზეთისხილი იყოს.

ოფიცირანტი. გთხოვთ, ქალბატონო (აწვდის კბილის საჩიჩქნზე წამოცმულ ზეთისხილს).

კუიპა. (სინჯავს) მარილიანია.

ოფიცირანტი. რა ვქნათ, ქალბატონო, ასეთს უღებულობთ.

კუიპა. ეს რა თავის მართლებაა.

ოფიცირანტი. მართალს ბრძანებთ, ქალბატონო.

კუიპა. როგორ დავიჯერო ახლა, საწყობში უკეთესი არ გექნებათ ვითომ?

ოფიცირანტი. უმარიდო, ქალბატონო?

კუიპა. არა, ოდნავ მარილიანი.

ოფიცირანტი. რა მოგახსენოთ, ქალბატონო, ჩვენ ასეთი მივიდეთ და...

კუიპა. მოო, მაგრამ ეს მაინც არაა-მეთქი თავის მართლება, გაიგეთ?

ოფიცირანტი. გასაგებია, ქალბატონო. მაშ სხვანაირი მოგართვათ?

კუიპა. როგორ, საიდან?



ქართული საბჭოთაო
წიგნობა

ოფიციალური. საიდან და ქალაქიდან, რაღაც ათი კილომეტრია, მეტი არა.
კუიპა. გვიანაა, თორემ არ იქნებოდა ურიგო.
ოფიციალური. ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო, რომ გვიანაა.
კუიპა. მოიცა, მოიცა, თქვენ რა, დამცინით კიდევ?
ოფიციალური. როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, კლიენტებს რეზი-
რებით. თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი.
იონი (შეშლადის ყვითელი ყვავილების თაიგულით). ინებეთ.
კუიპა. რა არის ეს?
იონი. როგორ თუ რა, ნაღდი ყვავილებია, პლასტმასის არ გეგონოს.
კუიპა. მე ხომ გვიჩილები გითხარი.
იონი. არ არის, ბატონო, ეს გვიჩილები და რა ვქნათ ახლა, გარეთ რასაც ხედავ სულ
წიწილებია.
კუიპა. მერე და ვერ წამოიღე.
იონი. რა ჯანდაბად მინდოდა, მოკლე ხუნწი აქვთ და თაიგულად ვერ შეკრავ.
კუიპა. ყოველ შემთხვევაში, რაც შენ მოიტანი, ეკლესიაში გამოდგება მხოლოდ.
იონი. კარგი ერთი თუ ქალი ხარ, ძალიანაც კარგი ყვავილებია.
კუიპა. როგორ არა, წმინდა იოანეს ტაძარში სწორედ ასეთი თაიგულებით დადიან.
იონი. იცი, რა გითხრა, არც მაგ ტაძარში უოფილხარ ოდესმე.
კუიპა. ვინ მოგახსენათ?
იონი. რა ვიცი, ასე მგონია და...
კუიპა. ოფიციალური ისევ ეგ პლასტმასის ყვავილები ჩააწყვეთ ვაზებში.
ოფიციალური. კი მაგრამ, დამაროეს ღუქანს რომ დაემსგავსოს აქაურობა?
კუიპა. ძალიანაც კარგი. პანაშვიდს ისევ ღუქანი ჯობია.
იონი. კეთილი და პატროსანი, მაგრამ ამ ყვავილებს რაღა ვუყვო?
კუიპა. აგერ მეგობრები ჩამოგივლენ და მიართვი.
იონი. რატომღაც არა (თაიგულს ფარდის უკან დამალავს).
კუიპა. აბა, გასინჯე, აბა, ეგ ზეთისხილი (აწვდის მას კბილის სარჩქნზე აცმულ ზეთის-
ხილს).
იონი (სინჯავს). ჰმ.
კუიპა. „ჰმ“, „დიახ“, „გასაგებია“, „მოო“, — აი, ბატონო, ინტელექტუალის პასუხები.
იონი. რა შუაშია პასუხები. ზეთისხილი მომაწოდე და შევჭამე. მორჩა და გათავდა.
კუიპა. კი მაგრამ, გემო როგორი აქვს, გემო?
იონი. გემო? არა უშავს.
(ოფიციალური მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველებს).
კუიპა. არა უშავს? აბა, ესეც მიაყოლე.
(კიდევ აწვდის ზეთისხილს).
იონი (ღეჭავს დიდი ამბით). მდა...
კუიპა. ზა, როგორია?
იონი. ჩვეულებრივი ზეთისხილია. მეტი რა უნდა იყოს.
(ოფიციალური ისევ ჩაახველებს. პუიკა გამახადგურებლად გადახედავს მას).
კუიპა. მართლა მოგწონს?
იონი. მგონი, ცოტა უმარილო უნდა იყოს, ა?
კუიპა. უმარილო კი არა, მლაშეა.
იონი. ვითომ?
კუიპა. როგორ, თავად ვერ გრძნობ, ადამიანო?!
იონი. რა ვიცი, ზეთისხილია და ეგ არის.
კუიპა. ზეთისხილია და ეგ არის. ღმერთო, რა შეგცოდნე ასეთი!

ფარდა

II

რესტორნის სალონი. ჩამოსულა მოწვეული ხალხი. ისინი თანაუგრძნელები არიან, ათი წლის წინ
დაამთავრეს ფილოლოგიური ფაკულტეტი.

ოფიცინანტი (გამოჩნდება ზღურბლზე). უკაცრავად, რომელი დვინო მოგართვით?

კუიკა, ეს მამაკაცების საქმეა და ამას მაინც მოაბან თავი, ოღონდ ჩქარა, რადან ელო-

დებით. იონი, ვასილე, გეორგე, პეტრე ოფიცინანტს გაჰყვებიან. ბანგრძლივი პაუზა, ქალები პირველიდ

ხედებიან და მალულად ათვალიერებენ ერთმანეთს.

კუიკა, მდაა...

ილიანა, მგონი უბერავს, არა?

სოფია, მართლაც.

კუიკა, ხომ არ მიგვეზურა ფანჯარა?

ემილია, არა, არა, იჟოს, არა უშავს.

კუიკა, ბოო...

სოფია, კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ეს ოთხი შეარჩიეს?

ემილია, რატომ და, თვითონვე ავაშენეთ მესამე კურსზე რომ ვიყავით. მოგეხსენებათ, მაშინაც იყო შრომითი ხემესტრები.

კუიკა, მერედა, ბავშვთა ბაგა აგეშენებინათ.

ემილია, ვითომ რატომ?

კუიკა, რა ვიცი, ისე ვთქვი რა.

ილიანა, ჰმ... ნეტავ რომელი საათია?

კუიკა, ათის ხუთი წუთია. რით ჩამოხვედით?

ილიანა, მანქანით.

კუიკა, ავტობუსით თუ...

ილიანა, არა, ხაკუთარი მანქანით.

კუიკა, რა მანქანა გყავთ?

ილიანა, „ტრაბანტი“.

კუიკა (გაიმეორებს თავისთვის) „ტრაბანტი“. (მერე ემილიას მიუბრუნდა) თქვენ?

ემილია ჩვენ „ფიატი“.

კუიკა, კარგი მანქანაა. პატარაა, მაგრამ ბევრი ეტევა. ერთხელ ლამის გავგოყდი, იმდენი ჩავხედით „ფიატი-800“-ში.

ემილია, ჩვენი „ფიატი-1800“-ია.

კუიკა (გაიმეორებს თავისთვის). ააა, „ფიატი-1800“. (ახლა სოფიას მიმართავს) თქვენც მანქანით გვხვდებით?

სოფია, დიახ.

კუიკა, „ვოლგით“?

სოფია, არა, „ვარტბურგით“.

კუიკა, მაგ მარკის მანქანები, ვგონებ, ცოტა ჯაუჭაუა უნდა იყოს.

სოფია, რა მოგაზიხნოთ, ვის რა მოსწონს.

კუიკა, მერე თქვენ არ დაგანჯღრიათ?

სოფია, არც თუ ისე.

კუიკა, უოჰელ შეშთხვევაში ცოტა ბენზინს ხარჯავს.

სოფია, დიახ, რაღაც შვიდ ლიტრს ას კილომეტრზე.

კუიკა, ესეც შეღავათია.

სოფია, ნამდვილად.

კუიკა, თუ არ ვცდები, გამოსაბოლქვი მილი წინ უნდა მქონდეს, არა?

სოფია, არა, ეს „ვარშავის“ მარკას აქვს.

კუიკა, ჩანდაბას, სულ მერევა „ვარშავა“ და „ვარტბურგი“ ერთმანეთში.

სოფია, ისე, სხვათა შორის, ბენზინი მაინც ბლომად იხარჯება.

კუიკა, რას იზამთ, ასეა, რამდენი გაიარეთ?

სოფია, ბევრი არაფერი. 30.000-მდე.

კუიკა, ზეთს რამდენს ითხოვს?

სოფია, ნორმალურად, როგორც ინსტრუქციაშია, თქვენი?

კუიკა, ჩვენიც ასევეა.

სოფია, თქვენ რა მარკა ჰაქვთ?

კუიკა, „ვილისი“. ჩვენ, იცით, სოფლად ვცხოვრობთ და...

სოფია, აჰა, ახფალტი არ გექნებათ, არა?

კუიბა. როგორ გეკადრებათ. ჩემმა ქმარმა დააგო. მხოლოდ ესაა მაინც „ვილისი“ გვიჩვენია. შეშასაც კი წამოიღებს კაცი ტუიდან, იცით, ერთხელ ხმაც ჩავისვით „ვარტბურგით“ კი ხმოს როგორ წამოიყვანო.

სოფია. არც გვიცდია, ქალბატონო.

კუიბა (ილიანას) მართალია, „ტრაბანტი“ მიღის-მიგაგჩაგებს, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებს, არა? ბენზინსაც ცოტას ხარჯავს. ვინ ატარებს, ქმარი?

ილიანა. როგორ გეკადრებათ, სადა აქვს მაგის თავი, მარჯვენა და მარცხენა ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან.

კუიბა. მეც მაგ დღეში არ ვარ. „ვილისს“ ისეთი მაგარი ხელები და სწრაფი რეაქცია სჭირდება, ჩემი იონი კი, გაგიგონიათ, სულ ლაქვარდებში დანაწარღობს.

სოფია. ჩვენც გვექონდა „ტრაბანტი“. ჩემი ჭიკუ სულ იმას გაიძახოდა, შოფრობა იაფ-ფასიან მანქანებზე უნდა ისწავლოო და ა, ბატონო, უკვე თირკმელები აღარ უფარგა.

ილიანა. რა ვიცო, ჭერჭერობით ჩვენ არას ვუჩივით.

კუიბა (ემილიას) ტელევიზორში გნახეთ ამას წინათ.

სოფია. აჰ, ტელესადგურიც გაქვთ?

კუიბა. როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ჩვენთან სხვათა შორის, ისეთი რამეები იშოვება, რასაც ქალაქში ნაკლებად ნახავთ, ორიოდ დღის წინ სასადილო გარნიტური „ინტიმიც“ კი შევიძინეთ.

ემილია. „ინტიმი“ სასადილო კი არა, საძინებელია.

სოფია. მაპატიეთ, მაგრამ ქალბატონი მართალია, სასტუმრო „ინტიმი“ აქვს მხედველობა.

ილია. უოველ შემთხვევაში სასადილო მაინც არაა.

კუიბა. როგორ არა, გარნიტურში თორმეტ კაცზე გასაშლელი მაგიდაც შედის.

ემილია. კი მაგრამ, რაღა „ინტიმი“, თუკი თორმეტი კაცი ზიხართ?

სოფია. ვაჩნია, ვისთან!

კუიბა. რა თქმა უნდა, მთავარია ვისთან ზიხარ. (ილიანას) ასე არაა?

ილიანა. აბა, როგორ. აი მაგალითად, ეს მაგიდაც თორმეტ ადგილიანია, მაგრამ ხედავთ, როგორ მოვიშინაურეთ.

კუიბა. ჰოო, მაგრამ მომსახურებაა ისეთი, მტრისას. აბა, გთხოვთ, ეს ზეთისხილი გასინჯოთ (სოფიას აწვდის ზეთისხილს). ა, როგორია?

სოფია. თითქოს არა უშავს.

კუიბა. როგორ გეკადრებათ! აბა, ერთი თქვენც გასინჯეთ. (ახლა ილიანას აწვდის ზეთისხილს).

ილიანა (უარს ამბობს). იცით, სულ ვერ ვერკვევი ასეთ რამეებში და ხაერთოდ არ მიყვარს ზეთისხილი.

კუიბა. კმ... ნამდვილ დიასახლისს ეს არ შეეფერება.

ილიანა. სხვათა შორის, ქალბატონო, არცა მაქვს დიდი პრეტენზია დიასახლისობაზე!

კუიბა. თუ ასეა, ნუ გაამხედოთ მაინც (ახლა ემილიას მიაწვდის ზეთისხილს). გთხოვთ.

ემილია (ვასინჯავს). ბერძნულია?

კუიბა. ეგ არ ვიცო, მაგრამ ისე ძალიან მარტივია. შეხედვისთანავე ატყობს კაცი.

ილიანა. ვისაც მახვილი თვალი აქვს, კი...

სოფია. ბოლოს და ბოლოს, ვახშამი მართო გადამლაშებული ზეთისხილი ხომ არაა?

კუიბა. არა, მაგრამ ასეთმა წვრილმანმა შეიძლება მთელი სუფრა ჩაგვაშხამოს.

ილიანა. ჰოდა, ამიტომაც არ მიუვარს ეგ თქვენი ზეთისხილი.

კუიბა. ეს ღვეზელი კი სულ არ უქნია ღმერთს.

ილიანა. არც მაგას ვეტანები მაინცდამაინც.

კუიბა. პოეტები რომ ზეციური წმინდა სულით საზრდოობენ კი ვიცოდით, მაგრამ მათი ცოდებაც თუ ამ დღეში იყვნენ, არ შეგონა.

ილიანა. უბრალოდ იმას გვახლებით, რაც მომწონს.

კუიბა. ხომ არ გეწყინათ, საუვარელო?

სოფია (ცდილობს თემა შეცვალოს). რაღაც ხაეჭვოდ დაიკარგნენ ეს ჩვენი მამაკაცები, სად არიან ამდენ ხანს.

კუიბა. იონ, იონ!

იონი (შორიდან). მოვდივართ, მოვდივართ. (შემოდის მამაკაცები, დიდს ამბობს მო-
კვთ ღვინიანი ბოთლები).

პეტრე. ღვინო ჩვენს ძვირფას შეუღლებებს...

ვასილე. მამაკაცებს ყი — „კაბერნე“.

ილიანა. ხილე. გენაცვალე, შენ მგონი მოგისწრია კიდევ.

ვასილე. ცოტა გადაყარი.

ილიანა. ჰოდა, მეტს ნუღარ დაღევ, თუ გაყვარდე.

იონი. ანა, ყველას გთხოვთ სუფრასთან.

გეორგი. მაშ ასე, ვიწუებთ ქეიფს. როგორ მომენატრეთ, ხალხო, როგორ, რამდენი ხანია
აქ შეხვედრათ ვოცნებობდი. (ყველანი შემოუსხდებიან სუფრას).

იონი. აბა, ვინ იტყვის პირველ სიტყვას?

ვასილე. რა თქმა უნდა, ჭიკუ. ხომ იცით, მთავარია პოლიტიკური აღდგომა.

იონი (გეორგს) აბა, ჰე, იტყვი?

გეორგი. კი მაგრამ, დაგავიწყდათ ჩემი მწარე ენის ამბავი; გინდათ ჩავაშხამოთ უც-
დაფერი? მერე იყოს, მერე, მოგვიანებით.

იონი. ჰო, კარგი, კარგი. აბა, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, ბიჭებო, კარგათ ვიყოთ, მრავალ-
ვალთაშორ (ჭიქებს უჭახუნებენ).

ფ ა რ დ ა

III

იონი (აგრძელებს სადღეგრძელოს). ჰოდა, იმას მოგახსენებდით, განა დღესაც არ დამ-
ტკიცდა, თუ რაოდენ დიდი სულიერი სიახლოვე სუფრედა ჩვენს ჭგუფში. „რომინია ლიბერალი“
გამოქვეყნებულმა ერთმა პატარა, თითქოს შეუმჩნეველმა განცხადებამ რომ ასეულობით კილო-
მეტრი გამოგატარათ. ამდენად, ნება მიბოძეთ ცოტა წაფისანტიმენტალო და...

გეორგი. კი ბატონო, გაძღვეთ ნებას.

იონი. და გითხრათ, გულწრფელად გითხრათ, რომ...

გეორგი. ა. კაცო თქვი, ნუ დაგვხოცე...

იონი. შენ რა, ეგებ თვითონ გხურს სიტყვა?

გეორგი. სიტყვა არა!

ვასილე. ჰოდა, მაშინ აცალე, თქვას.

გეორგი. რაო, შენც გასენტიმენტალიზდით, თუ?

ვასილე. მააშ!

გეორგი. ჰო, თუმცა პოეტებს ეგ ჩვევიათ.

ვასილე. ათი წელი ქვებხაც რომ არ ენახოთ ერთმანეთი, იმათაც უფლება აქვთ...

გეორგი. იტირონ.

კუიკა. იქნებ ახლა, ქვებიც ააცრემლოთ.

ილიანა. სსს! სიჩუმე, ხალხნო, სიჩუმე.

გეორგი. ჰო, კარგი, შენაც თქვი რაღა!

იონი. თქვი კარგია. აღარც მახსოვს, რაზე გავჩერდი.

გეორგი. რაზე და, რაღაც მინდა გითხრათო...

იონი. ჰო, მართლა, მინდოდა მეთქვა, რაოდენ ვღელავ ახლა მე.

გეორგი. გეტუბა.

ემილია (გეორგს). კარგი რა, გაჩერე ეგ ენა, არ შეგიძლია?

გეორგი. მოწრა, სამარე ვარ. შენი ყოველთვის მეშინოდა, მტრისა. ხელბურთელებს ისე-
თი ხელი აქვთ, მით უმეტეს, თუ ეროვნული ნაკრების წევრები არიან.

ემილია. ნუ გეშინია, უკვე აღარა ვარ ნაკრებში.

გეორგი. რაო, რატომ გაგაგდეს, აურიე რამე?

ემილია. სიბერის გამო, სიბერის, ხომ არ დაგავიწყდა, რა ხნის ვართ?

იონი. დიდ ხანს უნდა ვიდგე ასე ჭიქით ხელში?

კუიკა. შენც დაჩქვი, როცა არ გისმენენ.

ილიანა. მე გისმენ, იონ, განაგრძე.

კუიკა. აბა, აბა, ან ყველასათვის ილაპარაკე ან გაჩუმდი.

პეტრე. ფილოლოგებს რომ ლაპარაკი უყვართ, კი ვიცოდი, მაგრამ ასე თუ...

ემილია აბა, სმენა და გაგონება. ჩემს ქმარს გაეღვიძა.

პეტრე. რაო. აქამდე შეძინა, თუ?

ემილია. უოველ შემთხვევაში აქ არ იყავი. შენს მატჩებზე ფიქრობდი.

პეტრე. მერე რა მოხდა.

იონი. მოდიოთ რა. დავლიოთ.

გეორგი. უსადღეგრძელოდ წვეთსაც არ დავლიევ. თუ ქერიანა შემიწი იყოს.

იონი. ჰოდა. ადექი და თვითონ თქვი ბარემ.

გეორგი. ჩემი თავი მოგიკვდეთ, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდათ, სტუდენტობისას რომ თელ სიამოვნებას გიშხამავდით?

იონი. ახლაც შეეცადე. ვნახოთ, რა გამოვივა.

გეორგი (დგება). ადვილი სამსახურია. პატივცემულო კოლეგებო და კოლეგათა ცოლე-
ბო...

პეტრე. და ქმრებო. მე კოლეგას ქმარი გახლავართ.

გეორგი. დიახ. კოლეგების ქმრებო! ათი წლის შემდეგ ისევ შევხვდით ერთმანეთს ბე-
ლადი თავებით, ღიბებითა და ნაოჭებით დამშვენებული.

ემილია. უკაცრავად, უკაცრავად.

გეორგი. არავითარი „უკაცრავად“.

ემილია. მაინც ვის შეამჩნია ეს ღიბი?

გეორგი. გოგო, როგორ გგონია ახლა შენ, ჩემს გაწვრთნილ თვალს ის გამოეპარება, რომ
კოჩხეტი გაცვია?

პეტრე (ემილიას). ზედავ როგორ ჩავადლო. ჰა-ჰა-ჰა. (ემილია ერთი მოსმით გადაჰყრავს
ჭიქას)

გეორგი. მეგობრებო, ამ დალოცვილ სუფრას ამშვენებს ჩვენი კოლეგა იონი, დამსახუ-
რებული მასწავლებელი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი...

კუმიბა. საოლქო საბჭოს დეპუტატი...

გეორგი. აჰ, მაპატიეთ, საოლქო საბჭოს დეპუტატი და საზოგადოება „ცოდნის“ ლექ-
ტორი. აქვე ბრძანდება ვასილევ, პოეტის, თანაკურსელ გოგონებს რომ წამდაუწუმ ლექსებს
უგზავნიდა და აუდიტორიებს ანაგვიანებდა ქალაღებში, მერე ეს ჩვენი პოეტი ცოტა თავდავი-
წყებებს მიეცა თავისი შედეგებითა და ფსევდონიმებით, რამეთუ ნუნუა შეუწყვარდა ფრიად...
(ვახილეს) აბა, აბა, ხმა არ ამოიღო, თვალეზე გეტუბა უველაფერი.

ვასილე. თუ ძალიან გაინტერესებს, ერთი სამი წიგნი მაინც გამოვაქვეყნე ფსევდონიმით.

გეორგი. მაინც რომელი ფსევდონიმით?

ვასილე. მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

გეორგი. მოიცა, მოიცა. შენ „ფრეგზის“ ფსევდონიმით ხომ არ წერ შემთხვევით?

ვასილე. არა აქვს-მეთქი მაგას მნიშვნელობა, უოველ შემთხვევაში, შენთვის არ ვწერ
(სვამს. ილიანა ფრთხილად გასწევს გვერდზე მის ჭიქას).

გეორგი. აქვე ბრძანდება, პატივცემულო კოლეგებო და კოლეგების ცოლებო და ქმრე-
ბო, თქვენი მონა-მოჩილი, მესამე ხარისხის განათების ერთი ენამწარე ჟურნალისტი...

დიახ. აბა, ვნახოთ, ვინდა გვაკლია. იონ, ჩვეულებრილი შენ იყავი და აბა, მე, გადახედე ხალხს...

იონი. ვიქტორი გვაკლია.

გეორგი. აჰ, სამინისტროს გენერალური დირექტორი, საერთაშორისო ხელშეკრულებას
აწერს ხელს და სად სცალია საცოდავ თანაკურსელებთან შესახვედრად.

იონი. არც ნახტასეა...

გეორგი (ყალბად, პათეტიკურად) აჰ, ჩვენი უძვირფასესი და დაუვიწყარი ნახტახე, რო-
მელიც...

ვასილე (წამოხტება). აბა, მოკეტე ახლა!

გეორგი. აკი გითხარით, ჩავამწარებთ-მეთქი სიამოვნებას.

ვასილე. მოკეტე-მეთქი.

ილიანა. სსხ, დაჯექი, რა მოხდა ასეთი?

ვასილე. დამანებე რა, თავი.

ილიანა. აბა, რა მოხდა, რა მოგივიდა?

ვასილე. რა მოხდა და მიცვალებულს მაინც დაანებოს თავი.

ილიანა... ააა! (შეშფოთდა), მაპატიე არ ვიცოდი. (გაუწვდის ჭიქას) აჰა, დადიე. (ვახილე
სვამს)

იონი. ეგებ გავჩუმდეთ ცოტა ხნით (მღუშარედ დგებიან).



კმტრე (არღვევს ამ დუმილს). კი მაგრამ, რა დაემართა?
 ემილია. სხს.
 ვასილე (ჭდება). კიბოთი გარდაიცვალა მან წლისა.
 კმტრე (პირველს გადაიწერს). დმერთო შეგვიწყალებ.
 გეორგი (ფეხზე დგას). გაგაგრძელო?
 კუიპა. გააგრძელებ და მოამთავრებთ კიდევ, რაც სათქმელი გაქვთ. საჭმელსაც შევხედოთ, თორემ ტოლმა ცივდება.
 გეორგი. ისეთი არგუმენტი, წყალი არ გაუვა, კიდევ ვინ გვაკლია?
 იონი. ვალენტინი.
 გეორგი. ვალენტინი? რომელი ვალენტინი?
 იონი. ირამია.
 გეორგი. ააა, სადიპლომო რომ იყიდა, არა?
 ემილია. დიახ, დიახ, შენ რომ „გაუიდე“.
 გეორგი. „გაუიდე“ ვგონებ არ უნდა იყოს ზუსტი ტერმინი...
 კუიპა. თავი დაანებებთ ამ ტერმინებს, თორემ გაცივებული ტოლმის ჭამა მოგიწევთ.
 გეორგი. კი ბატონო. მეტი არავინ გვაკლია?
 იონი. არა.
 გეორგი. როგორ? მარა?
 იონი. აჰ, სულ გადამავიწყდა.
 გეორგი. ვინ, ვის, მაგრამ... შენ არ უნდა დაგვიწყნოდა მარა.
 იონი. ვითომ და რა იყო ასეთი?
 კუიპა. ეგ რომელი მარა? არასდროს არ უხსენებია.
 იონი. ჩვენი თანაგვუფელია.
 კუიპა. ქერათმიანი?
 გეორგი. არა, წაბლისფერთმიანი... სად არის მარა?
 იონი. რა ვიცო.
 ემილია. ზღვაზე შემხვდა. ქმარს გაშორებია და ორ შვილს უვლის.
 კუიპა. ქერათმიანია?
 ემილია. წაბლისფერთმიანია, ქალბატონო, დამშვიდდით.
 კუიპა. უფლა თანაგვუფელზე უამბნია იონს ჩემთვის. უფლა თქვენგანის გემოვნება და სურვილები ვიცი, მაგრამ მაგ მარაზე სიტუვა არ დაცდენია.
 გეორგი. აღბათ გადაავიწყდა, ქალბატონო. ზდება ხოლმე.
 ვასილე. შენც ხომ არ მოისვენებ, კაცს თუ გუნება არ გაუფუჭებ.
 გეორგი. მერედა, გიკვირთ? განა ახლა მნახებთ პირველად, არ გითხარით, თავი ღამანებეთ-მეთქი? ეს კი არა, როგორც კრიტიკული მასალების უებრო სპეციალისტს, საგანგებო რუბრიკაც კი გამოიხსნეს გაზეთში. „აი, ვინ გვარცხვენს“ — ასე მქვია ამ რუბრიკას.
 ემილია. კი მაგრამ, რა შუაშია აქ საგანგებო რუბრიკა?
 გეორგი. აქ არაფერში, ისე გითხარით.
 ემილია. მოდა, იმისათვის შეინახე, ვისაც ეკუთვნის.
 იონი. არადა, მართალი იყავი, რას შემოგიჩნდით სიტუვა-სიტუვაო.
 გეორგი. რა ვიცი, არ დამიჭერეთ და...
 იონი (წამოდგება). სამწუხაროდ, რაც მოხდა მოხდა. ზოგჯერ გესლიან სიტუვასაც თავისი გამართლება აქვს, მაგრამ დღეს თავი უნდა შეეკავებინა.
 გეორგი. ეგ, ნეტავ სულ არ ჩამოვსულიყავი.
 იონი. არა, შენი ჩამოვსულა უკვე რაღაცას ნიშნავს.
 გეორგი. მაინც რას?
 იონი. რას და მთლიან ბოლში რომ არა ხარ.
 გეორგი. ძალიან ცწყუნვარ, მაგრამ რაღა ვქნა.
 ვასილე. აბა, გაგომარჯოთ.
 ილიანა. სხს სილეს!
 იონი (ასწევს ჭიქას). მოდი, ჩვენს გასულ ათწლეულს გაუმარჯოს, ჩვენს მომავალ წლებს

გაუმარჯოს, ჩვენს მეგობრობასა და ჩვენი მიზნების განხორციელებას გაუმარჯოს! (ყველანა სვამენ).

პუნიკა. თფუ! ღვინო კი არა მთბდება.

ფ ა რ დ ა

საქართველო
საზღვრომხატვრობა

IV

ცარიელი დარბაზი. ნახევრად ღია კარიდან მუსიკის ხმა მოიპყრის. როგორც ჩანს, იქ ცეკვა გაუჩაღებულია. ოფიციალური ხანდაზან გაიხედავს მათკენ და იღიმება. ჩვენ კი ვერც ერთს ვხედავთ. მთავარი კარიდან შემოდის ვალენტინი — გაუბრალო, თმამომშვებული, დაუდევრად ჩაცმული

ოფიციალური (გზას გადაუღობავს) დაკეტილია, პათივცემული, ამ საღამოს დაკეტილია. ვალენტინი. კი მაგრამ, მაშ ხად მიფირთვით არაუცი?

ოფიციალური. დღეს არ გამოვს, რესტორანი მთლიანად დაიჭირავეს ხვალამდე.

ვალენტინი. ისევ ქორწილია, არა? ვინ ბედნიერდება?

ოფიციალური. არა. რაღაც საიუბილეო შეხვედრა აქვთ ფილოლოგებს, ბევრს რომ ლაპარაკობენ.

ვალენტინი. გაშიგონე, მეგობარო, ჩვენ ხომ დიდი ხნის ძმაცაცები ვართ, ბოლო ავტობუსს ჩამოვყვები, თქვენ გარდა კი ღამე არავინ მუშაობს. მოდა, რა ვქნა ახლა მე, ვის მივადგე?

ოფიციალური. რა ქნა და, ნომერი აიღე, თუმცა არა, ყველა დაიკავებს.

ვალენტინი. ფილოლოგებმა?

ოფიციალური. პო. მეუღლეებითურთ ჩამოხრძანდნენ დიდის ამბით.

ვალენტინი. ისე, როგორი ცოლები უოლიათ მაგ ფაფაკონებს?

ოფიციალური. როგორ ვითხრა, ერთის გარდა ყველა გაჩუმებულია. გეტყობა, პურის არა-
უა გადაგიკრავს.

ვალენტინი. არა, ჩვენებური სასმელია, ასე გრამი რომ ორი ლეი ღირს.

ოფიციალური. მოკლედ, ამ საღამოს უნდა გვაპატიო, ვერ მიგიდებთ.

ვალენტინი. მაშ როგორ, გავბრუნდე და ათი კილომეტრი ფეხით ვიარო?

ოფიციალური. კი მაგრამ, მე დაგაპატიფე თუ?

ვალენტინი. არც არაუი გვაქვს, არც ნომრებიო, ესაო, ისაო, ძმაცაც, დღეს რაღაც
ვედარა გცნობ, რა მოხდა ასეთი?

ოფიციალური. რას იზამ, ამ ფილოლოგების გადამკიდდე...

ვალენტინი. ხომ იცი, პათივისცემა ჩემზე იქნება.

ოფიციალური (მიუთითებს კედელზე გოგონა განცხადებზე). ოო, ჩვენთან ეგეთები არ
მოდის.

ვალენტინი. კარგი ერთი, თუ კაცი ხარ...

ოფიციალური. ამხანაგო, ჩვენთან სანიმუშო წესრიგია.

ვალენტინი. მოდა, მეც სანიმუშოდ გცემ პათივს.

ოფიციალური. ახლავე შევიცარს დაფუძახებ, იცოდე.

ვალენტინი. არა უშავს, იმასაც მივცემ.

ოფიციალური. შენ რა, ლატარიაში ხომ არ მოგივია?

ვალენტინი. ლატარიაში არა და ლოტოში კი, გეფიცები.

ოფიციალური. ერთბაშად არ დაგიჭერო, შვიდი წელია აქ დაუიალობ და ასე გრამ არაუფე
ათენებ ღამეებს. ახლა პათივისცემაზე არ დამიწყო ლაპარაკი, განა არ გიცნობ, რა ჩიტიცა ხარ!
ჩვენ კი გეგმა გვაქვს, გეგმა, გეგმის... აბა, მორჩა ახლა ბაზარი, შეაყოფი!

ვალენტინი (ამოიღებს საფულეს და აჩვენებს). აბა, შეხედე ერთი.

ოფიციალური. ბიჭოს! შენ არც ხუმრობ. ბებია ხომ არ მოგიკვდა ამერიკაში?

ვალენტინი. ასიანს გაჩუქებ, ოღონდ ამ მაგიდასთან დამხვი.

ოფიციალური. ეს მაგიდა ქურჭლისაა. დანა-ჩანგალი აწყვია.

ვალენტინი. არა უშავს, კუთხეში მივჯდები.

ოფიციალური. აბა, ასიანი დაამჩრე.

ვალენტინი. ა, ბატონო, სანიმუშო ასიანია.

ოფიციალური. ოღონდ იცოდეთ, არ გაინძრეთ, თორემ დაგინახვენ და ორივენი ჩაგვარდებიან.

ვალენტინი (ჩაჯდება მაგიდასთან). ამიგო! ერთი დიდი ჭიქა ვისკი ჩამომისხი „ქონ ვორკერი“!

ოფიციალური. ეს რეებს არახუნებ, კაცო, ვერ გავიგე.

ვალენტინი. თუ სწორედ ვერ წარმოვთქვი, მაშინ „უაიტ მოსი“ იყოს ამ კურორტის ჯეკი, ოღონდ უინულოთ, გაიგე?

ოფიციალური. წვერავ, მგონი შენი აღსასრულის დღე დგება.

ვალენტინი. ბედის შენა გქონია — შემკვიდრედ დაგტოვებ, შენზე აბლობელი მაინც აღარავინ მუყავს.

ოფიციალური. ეგებ შენი მანკაც დამიტოვო?

ვალენტინი. ეგ მანკი არაა — ნიჭია.

ოფიციალური. სხვებისათვის დამითმია, ალაღი იყოს, მართლა ვისკი გინდა?

ვალენტინი. როგორ, სიტუატიონზე არ შეტუობა?

ოფიციალური. არცთუ ისე.

ვალენტინი. აჰა, წვერი მაქვს მოკლე, არა? მაგრამ შენი ამბავი რომ ვიცო, სანამ ვისკის მომიტან, წვერიც გამეზრდება და მერე უველაფერი იქნება „ქეი“.

ოფიციალური. არა, არა შენ მართლაც მოგიგია ხადლაც.

ვალენტინი. ზომ გითხარი, ლოტოში-მეთქი.

ოფიციალური. ეგ ზღაპრები სხვებს მოუყუევია.

ვალენტინი. კარგი რა, ნუ წაიღე ტვინი, წადი, საქმეს მიხედ.

ოფიციალური. ერთი ამას დამიხედეთ, რა კვიანია, მერე შენ რომ აქ აუროო ამასობაში?

ვალენტინი. რა უნდა აფურო?

ოფიციალური. რადა, ეგებ იმ მოცეკვავებებს აეტოვდიანო.

ვალენტინი. რა მეცეკვება თუ კაცი ზარ! ზმასაც არ გავიდებ, ისე ვიქნები აქ.

ოფიციალური. ვენდო შენს სიტუაციას?

ვალენტინი. რა ვიცო, თუკი კაცობას ჯერ კიდევ აქვს ფასი.

ოფიციალური. ლოტების კლინიკაში როდის აპირებ?

ვალენტინი. ეს-ესაა გამოვდეთ. ვერ შევფუცე, ნამეტანი მოწუენილობაა.

ოფიციალური. აჰა, ამიტომაც დაიქარგე მთელი თვე.

ვალენტინი. არა უშავს, ძმაცაც, ავანაზლაურებ, დამატებით საათებსაც ვიზუშავებ და გეგმას შეგასრულებინებთ.

ოფიციალური. შენ იცი, მაგრამ ბევრს ნუ ვილაპარაკებთ.

ვალენტინი. მეც მანდა ვარ, რა დროს ლაყაფია, წადი, მოიტა ეგ შხამი, გადაჯკრა ერთი...

ოფიციალური. ეგა, ოღონდ რაიმე არ მოხდეს და... (გაღის ვალენტინი შეღებულ კარს უახლოვდება და შეიხედავს, როგორც ჩანს, მოცეკვავებებს უცქერს, თვითონაც წაიცეკვება რამდენიმე ილუტს, დამთავრდა ცეკვა, წყვილ-წყვილად ბრუნდებიან მოცეკვავები, ვალენტინი შეიშალება თავის სიმაში, შემოდის ოფიციალური, ხელში ვისკით საყვარელი ჭიქა ეჭირავს, ვასილე შეაჩერებს).

ვასილე. ვისთვის მიგაქვს?

ოფიციალური. ისა, ეგებ ვინმემ მიირთვას-მეთქი...

ვასილე. აგაშენა ღმერთმა, სულზე არ მომისწარი (ჩამოართმევს ჭიქას და გადაიქრავს).

ოფიციალური (დაბნეული ჩაილულულდება) გაამოთ (გაღის).

კუიკა (მოცელილივით დაეშვება სკამზე). აი, ეს მესმის, ჩინებულად ცეკვავთ, რა პროფესიისა ხარ?

კუიკა. ინჟინერი გახლავართ.

კუიკა. კერძოდ?

კუიკა. ზოოტექნიკოსი.

კუიკა. აჰა, სოფლის კაცი უოფილხარ, ჩვენებური, სად მოდგაწეობ?

კუიკა. „თავთავში“.

კუიკა. რომელ სამინისტროს ეკუთვნის?

კუიკა. კლუბი გახლავთ, ქალბატონო.

კუიპა. მერე რაიშე ფერმა აქვს?

კეტირა. არა. ქალბატონო, მე ფეხბურთის ვთამაშობ. არ გაგიგონიათ პეტრე ვასილე?

კუიპა. თქვენ წარმოიდგინეთ არა, იცით. ახლა კი გასაგებია, ასე ქაზიანი რატომ გამო-
იყურებით.

კეტირა (გულგრილად). ჰო, ალბათ. (შემოდის ოფიციალტი, ნელა უჩივრავს ლანგარი, რომ
მელზეც ვისკიანი ჭიქა დგას. ვასილე თვალს მოუკრავს ოფიციალტს და უმაღლესი გაიჭრება მისკენ).

ილიანა. სილუ, სილუ, არ გესმის?

ვასილე (შეჩერდება გაღიზიანებული). რა იყო, რა მოხდა?

ილიანა. ასანთი მომე.

ვასილე. კი მაგრამ, როდის აქეთ დაიწყო პაპიროსის წევა?

ილიანა. მე არა, შენს კოლეგას უნდა.

ემილია. არა, არა, ახლა ხან ჩავაქრე სიგარეტით.

ილიანა. რა ვიცო, რატომღაც მომეჩვენა, რომ მოწევა მოგინდათ.

ემილია. არა, არა, გმადლობთ. ისე ასანთი არცაა ხაჭირო, ხანთებელა მაქვს.

ილიანა. აჰ, მაპატიე, სილუ.

ვასილე (თაღისთვის ჩაიბურტყუნება). გადაირევი კაცი და ეგ არა. (ამასობაში ოფი-
ციანტიც ვისკი შეიტანა ნიშაში. ვასილე სუფრას მიუჭდა. ილიანა მინერალური წყლით უფსებს
ჭიქას).

იონი. აბა, გაგვიმარჯოს, ბიჭებო!

სოფია. აბა, მორჩა, ახლა უკვე სვამს. რაღაც მეტად მოდუნებული ხართ. საცოდაობა
იყო თქვენი ცეცვა.

გეორგი. სადღეგრძელოები აღარ გვინდა?

კეტირა. შეეშვი, კაცო, ამ სადღეგრძელოებს.

ვასილე (წამოღგება). ხმენა იუოს და გაგონება!

ილიანა (ექაჩება). დაქე, დაქე, დაწყნარდი.

ვასილე. არ დავჭდები. ერთი სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთ.

კუიპა. კარგი, რა, აცალეთ კაცს თქვას.

ვასილე. ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ... შემოგთავაზოთ პოეზიის სადღეგრძელო.

ილიანა. სილუ, რა დაგეშართა?

ვასილე. რა იყო, რა უნდა დამშართოდა?

იონი. მაშ ასე, პოეზიის სადღეგრძელო ითქვა.

კუიპა. მაგრამ ისეთი, ჩვენც რომ გავიგოთ.

იონი. თუ ნაღდი ლექსია — გაიგებ.

კუიპა. რას ამბობ იონ, ისეთებიც წამიკითხავს, თმა უალეზე დამდგომია.

გეორგი. მერე, აღარ დაგიცხრა?

კუიპა. როგორ, არ მეტყობა?

კეტირა. გეტყობათ, ქალბატონო, როგორ არ გეტყობათ.

ვასილე. აბა, ახლა უკვე შეხვას ბოლომდე. (სვამს).

გეორგი. თქვენს ადგილზე მე ფეხბურთის სადღეგრძელოს ვიტყვოდი.

ოფიციალტი. დანიაში ღმერთივით ითამაშეთ, სინდისს გეფიცებით.

იონი. განსაკუთრებით მეორე ბურთის გატანისას.

ოფიციალტი. რა დარტმა იყო, რა დარტმა შეუჩერებლად, არაფერი ამის მხგავსი არ
მინახავს.

კუიპა (სოფიას) ეს კაცები სულ გამოათაუვანა ამ ფეხბურთში.

კეტირა (ივრძნო, რომ უკრადლების ცენტრში მოექცა). გაჩერებას ვინ გაცდიდა. მარცხ-
ით ოლაფსონი იყო, მარჯვნივ — სკაგერაკი. და ისა, რა ჰქვია...

იონი. სანდრუში.

კეტირა. ჰო, სანდრუში. ისე შემომესიენ, წამიც რომ შევჩერებულიყავი, ტუუილია, ყირაბა-
ლა გადამიშვებდნენ.

ოფიციალტი. აი აი, აი.

ემილია. ჰო, კარგი, კარგი, გეუოფა ამდენი ტრაბახი.

კეტირა. ტრაბახი რა შუაშია, მთელი რუმინეთი უყურებდა.

გეორგი. მთელი ევროპა.

ოფიციალური. კი, ევროპიზმით გადმოსცემდნენ.

პეტრე. მან. როგორც კი მივხვდი, რომ შეტერება არ იქნებოდა, გავიფიქრე, არც არც, ეს არის-მეთქი და ვხეი, რაც ძალიან და ღონე მქონდა. მეტად არც განძრეულა. ახე შევა-რდა ზუსტად.

გეორგი (ლექსის) თამაშგარე მდგომარეობა იყო და იმიტომ.

პეტრე. რა?

გეორგი. ნაღდი თამაშგარე მდგომარეობა იყო.

პეტრე. იმ, როგორ მოგწონთ. თამაშგარე მდგომარეობაო, აცხადებს ეს ვაჟბატონი. ოლა-ფსონი მარცხნივ არ შედგა?

გეორგი. სანდრუპი კი უკან.

პეტრე. მოდა. პასივ ზომ უკან გადაიყა?

გეორგი. მოკლედ. ნაღდი თამაშგარე მდგომარეობა იყო.

პეტრე. მსაჯი ზომ ხუთ მეტრში იდგა. ადამიანი?

გეორგი. კი მაგრამ, ვერ შეამჩნიო.

პეტრე. შენ კი სლობოზნიდან შეამჩნიე, არა?

გეორგი. არა, სოვატიდან. მაშინ იქ ვიყავი შვებულებაში.

პეტრე (ოფიციალური) აი, მოდი ახლა და აგებინი, როგორ იყო. გამოვიჭერი უკნიდან, მივიღე პასი და პაიდა. შეუწერებლივ ვურტყამ. ეს არის თამაშგარე მდგომარეობა?

გეორგი. კი, წყალი არ გაუვა.

ამილია. კარგი რა შენაც, ვერა ხედავ, რომ ზუმრობს.

პეტრე. ასეთ რამეებზე არ ზუმრობენ.

გეორგი. მოკლედ, მთელი შენი ცხოვრების საუკეთესო გოლი იყო, არა?

პეტრე. რატომ მთელი ცხოვრების. რა მოგვცდი თუ?

გეორგი. პოდა, მაშინ მომავალში მაინც მიაქციე უურადლება თამაშგარეზე მდგომარე-ობას.

კუიკა (სოფიას) ღვთის გულიანათვის გამაგებინეთ, რა არის ეს თამაშგარე მდგომარე-ობა?

სოფია. ცოლების აზრით, დროა შეიცვალოს თემა. აღარ მოგბეზრდათ ამ ფეხბურთზე ლაპარაკი. დაფლიოთ და ვიცეკვოთ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ზომ ამისათვის შევიკრიბებით?!

პეტრე (ოფიციალური) ოლაფსონამდე დრბლინგით მივედი, მერე ისეთი ფინტი გავუკე-თე, რომ ჭამა და... (ავგრძელებს ახსნა-განმარტებას, მაგიდაზე მიაწყ-მოაწყობს დანებმა და ბოთ-ლებს, რომ იმ თამაშის სიტუაცია გადმოსცეს).

კუიკა. იონ, რა არის-მეთქი, ეს თამაშგარე მდგომარეობა?

იონი. მერე აგებინით, შინ რომ მავალი.

კუიკა. შინ შენგან „მდა“ და „მოს“ მეტს რას გაიგონებს კაცი.

იონი. პო, მართლა, ტოლმა როგორ მოგეწონათ?

კუიკა. მაგარ ფოთლებშია გახვეული, ეს ფოთლები რომ ცოტა კიდევ დაეღბოთ, აქო-ზინდა.

იონი. შენ რომ ნაკლი არ გამოჩნდი, ვერ მოიხვეწებ.

კუიკა. ჩემი შენ ვითხარო, ეს არის. პირდაპირ ზმა ვერ ამომიღია ამის ხელში. (პეტრეს) გთხოვთ, ეს ზეთისხილი გახინჯოთ. ა, როგორია?

პეტრე. ზეთისხილია რა!

კუიკა. არაა მარილიანი?

პეტრე. რა ვიცი. (პეტრე ისევ მიუბრუნდება ოფიციალურს და გაავრძელებს ფეხბურთზე საუბარს. პუიკა ცდილობს გეორგეს ზეთისხილი გახინჯოს და საბოლოოდ მიაღწევს კიდევ ამას).

კუიკა. ა, რას იტყვით?

გეორგი. იცით რას ჭავს?.. თამაშგარე მდგომარეობას.

პეტრე (მოთმინებულად გამოდის). მეგობარო! ბოლოს და ბოლოს უველას თავისი საქმე აქვს და რა შუაშია აქ დაცივნა. ის გოლი კი ჩემი საქმეა და რა ვინდა ახლა, რას გადაწყვიტე?

გეორგი. მაბათიე, მაგრამ სიტყვა შემეშალა. უმარილოა-მეთქი, უნდა მეტქა, უფრო ზუ-სტად კი არცთუ ისე მარილიანი.

პეტრე. მეც მეგონა ხეროზულ ხალხთან მქონდა საქმე.

იონი. ჭიკუ, შენი ჭირიმე, ჯანდაბას ეს ზეთისხილი, უთხარი მარილიანია-თქო და მორ-ჩიხა ეს დავიდარაბა.

გეორგი. არ ვეცნო.
 კუიკა. კი მაგრამ, რატომ მაინც, ჩემო ძვირფასო?
 გეორგი. არ მინდა და იმიტომ.
 კუიკა. ამა, ე. ი. მარილიანი კი არის, მაგრამ შენ არ გინდა ამის ადორება.
 ვასილი. რას ჩააცვდი ბოლოს და ბოლოს ამ ზეთისხილს?
 კუიკა. რას ქვია ჩააცვდი. პრინციპის საკითხია, სხვა თუ არა?
 ემილია. ამა, არ დაიწყეს ისევ!
 ოფიციალური (ახევარგზისებული შესატყვის პეტრეს, რომელიც მას რაღაცებს უბნის).
 რა თქმა უნდა, არავითარი თამაშგარე მდგომარეობა.
 ემილია (ოფიციალურად). ღვთის გულისხამვის, ერთი პატარა ჭიქა რომი მომიტანეთ.
 ოფიციალური. ახლავ. ქალბატონო, (გადის).
 კეტი. რაში დაგვირდა ეგ რომი?
 ემილია. თავიდან რომ მომეშორებინა, თორემ მთელი საუკუნე არ გაათავებდით ლაპა-
 რაკს. რა ღირს ჭიქა რომი?
 კეტი. აზრზე არ ვარ.
 ვასილი. სამ ლეი ნახევარი.
 ემილია. მე გადავიხდი, ბატონო, ოღონდ მაგ გოლზე აღარ გამაგონოთ სიტყვა.
 ოფიციალური (მოაქვს რომი. შეწუხებულია). ვილაც მოვიდა „მერსედესით“.
 იონი. მერე რა, რესტორანი ხომ დაკეტილია დღეს სხვებისათვის.
 ოფიციალური. დიახ, მაგრამ შავი და დიდი მანქანა პატარა ნომრებით.
 ვიქტორი (შემოსასვლელიდან). გაუმარჯოს ბიჭებს. (მხიარული შეძახილები. ყველანი
 დგებიან და გარს ეხვევიან).
 გეორგი. ერიმა! გენერალური დირექტორებიც გვეწვივნენ (გასილვ დროს იხელთებს
 და გადაჰკრავს რომს).

ფ ა რ დ ა

V

ყველანი სუფრას უსხედან

ვიქტორი. იონ, ძვირფასო, გამაგებინე ერთი რა გააკეთე სოფელში ისეთი, ძეგლის დად-
 გმას რომ გიპირებენ?
 იონი. მო, როცა გადასაურელი ჭული ექნებათ.
 ვიქტორი. კარგი ერთი, სიტუაცია ბანზე ნუ მიგდებ. მთელი ქვეყანა მოიარა თქვენმა ორ-
 კესტრმა, საფრანგეთშიც იყავით, არა?
 იონი. რა მოხდა ახლა ისეთი, როცა ყოველი მესამე კაცი მუსიკოსია. მე მხოლოდ შეგ-
 კრიბე ეს ხალხი, ერთი-ორი ვიოლინოც დავუმატე, კონტრაბასიც და ეგ არის.
 გეორგი. მოდა, სწორედ ეგ არის ზედმეტი, რაც დაგემატებია. აქაოდა, ორკესტრი უფ-
 რო სოლიდური გამოჩნდება სცენაზე და ხალხიც გადაირევან. სხვათა შორის, ამის თაობა-
 ზე უკვე მოვიდა სიგნალები რედაქციაში.
 ვიქტორი. შენ ისევ იმ რუბრიკას ემსახურები, რა ქვია? მო, „აი, ვინ გვარცხვენს“.
 გეორგი. კი, უმთავრესად სოციალური სისუფთავის საკითხებს ვაშუქებთ.
 ვიქტორი. ხომ არ გინდა სხვა განყოფილებაში გადავაყვანილო შენი თავი, სასახელო სა-
 ქმეებს რომ აშუქებენ.
 გეორგი. და მერე მთელი გაზეთი ჩემზე იყოს, არა? მერხი. ასე უფრო მიჩვენია, სულ
 ორი ფელეტონი უნდა დავწერო კვირაში, დადებითსა და უარყოფითს შორის რომ ბალანსი არ
 დაირღვეს.
 იონი. ეს შეფარდება სავალდებულოა?
 გეორგი. არა, შეფუთვა დამოკიდებული.
 იონი. შენ რომ მთავარი რედაქტორი უოფილიყავი, ალბათ, სულ ბოშა-ფელეტონებით
 აავსებდი გაზეთს, არა?
 გეორგი. რას იზამ, პროფესიულმა დეფორმაციამ იცის ასე. მთელი დღე აფერხებებში,
 ჟურნალსა და გულყვითელ გოგონებში ვტრიალებ.

პიპტორი. ამიტომაც საჭიროა ხოლმე გადაადგილება.

ბეორბე. როგორ, იმათ რომ სტატიები წერონ, მე კი ციხეში ჩავჯდე?

პიპტორი. არა, კაცო, კადრების გადაადგილებას ვგულისხმობ. სხვა განყოფილებაშიც უნდა იმუშაო, რომ იცოდეს სად ეძიო შენი ფელეტონის გმირები.

ბეორბე. საფელეტონო გმირების ძებნას რა უნდა, ყველა ფენის ნაბიჯზეა. აბ, მაგალითად, შენ ხომ გენერალური დირექტორი ხარ, მაგრამ კანონის წინაშე მაინც სცოდავ?

პიპტორი. ჰოო, მაინც როგორ დაადგინე, რომ სწორედ მე გავტეხე ის სივარტეების კიოსკი მატაკეს ბაზარში.

ბეორბე. არა, მე მართლა გეუბნები. გინდა დავგნიძლავები, რომ დამნაშავე ხარ?

იონი. აბა, აბა, ნამეტანი არ მოგივიდეს.

ბეორბე. შემეშვი, იონ, ვიქტორი დღეს, მართალია, გენერალური დირექტორია, ხვალ ეგებ შეტიც იუოს, მაგრამ ჩვენთვის იგი მუდამ თანაპურსელი იქნება... ახლა კი დავნიძლავდეთ ერთ ბოთლ „კოტნარზე“, ჰა, რას იტყვით?

პიპტორი. კი ბატონო, (დანიძლავდებიან).

ბეორბე. მაშ ასე, თქვენ მობრძანდით სახელმწიფო მანქანითა და ბენზინით. ეს კი სამკვრდიანი ფელეტონის თემაა. სათაური დიდი, შთამბეჭდავი ასოებით აიწყო. აბა, ჩამოდგი ერთი ბოთლი.

პიპტორი. ნურას უკაცრავად, თვითონ ჩამოდგი, მე, ბატონო ჩემო, მივლინებაში მივდივარ და აქ მხოლოდ დამის გახათევად შემოვიარე.

ბეორბე. ესე იგი, გზიდან გადაუხვიე...

პიპტორი. მხოლოდ ორი კილომეტრი.

ბეორბე. ორი აქეთ, ორიც იქით...

პიპტორი. ჰო, მორჩი ახლა, ვიმტყუნათ, ბატონო ჟურნალისტო, პროფესიულმა უნოსვამ. ისე, თუ ძალიან გინდა, სანახევროდ ვიყიდოს. იონ, ახლავე მოვალ და „კოტნარსაც“ მოვიტანო.

ბეორბე. ბატონებო, გთხოვთ მოწმე იყოთ იმისა, გენერალური დირექტორი როგორ შეეცდება პრესის მოსუიდვას, მაგრამ აშაოდ, ერთ ბოთლ „კოტნარზე“ სინდისს არ ვუიღით. ფელეტონს ხვალვე იხილავთ გაზეთში. (გადიან).

პასილე. იონ, რაღაც უნდა გითხრა.

(ილიანა ანიშნებს იონს, ვასილეს არ დააღევიწიოს.)

იონი. რა იყო, სიღე?

პასილე. ეგებ რაიმე თავისუფალი ადგილი გაქვს სკოლაში?

იონი. ვთქვამ, მაქვს, მერე?

პასილე. წაგვიყვანე მე და ილიანა... მათემატიკას ასწავლის. შენ ეგრე ნუ უყურებ. ჩუმი რომ წიხ, შესანიშნავი მასწავლებელია, მოსწავლეები აღმერთებენ.

იონი. ჩემთან რა, უკეთესად იქნებით?

პასილე. რა ვიცი, ძალიან კი გიქებენ სკოლას — ახალია, კარგიაო...

იონი. ახალი და კარგი იმიტომაცა, რომ თვითონ გავაკეთე ყველაფერი.

პასილე. გზა მოასფალტებულიაო...

იონი. არც ასფალტი მოსულა თავისით, ჩვენი ოფლია შიგ ჩადვრილი.

პასილე. პედაგოგებსაც გიქებენ, კარგად შეეწყვნენ ერთმანეთსო.

იონი. ერთი ათი წლის წინ გენახა, რა იყო, სულ საჩივრებს უწერდნენ ერთმანეთს.

პასილე. კი არაფერი მიჭირს, ყველაფერი მაქვს, მაგრამ ისეთ ადგილს ვეძებ, სადაც...

იონი. სადაც ყველაფერი მზამზარეული დაგზავდება..

პასილე. ხომ იცი, მე შენსავით როდი ვარ, ყველაფრისათვის რომ იბრძვი. შენ სულ ახეთი იყავი. მახსოვს, სტუდენტობისას რა დღე აუარე სასაბილოში თავშეყრილ თაღლითებს... მოდი რა, წამიყვანე. „სახკოლო ტრიბუნაში“ შენი სტატია წავიკითხე. რა ერქვა? ჰო, „თუ გინდა, გააკეთე“. მომეწონა, მაგრამ მე არ შემიძლია რაიმე წამოვიწყო, გარკვე, ხოლო თუ გზა გაკაფულია, მაშინ ველარავინ შემაჩერებს.

იონი. ახლა რას წერ? ბოლო წანებში რაღაც არაფერი წამიკითხავს შენი.

პასილე. რატომ შეცვალე საუბრის თემა? რას უნდა ვწერდე, ლექსებს, როგორც ყოველთვის, კრიტიკა უკვე მაქვს, მადიარებს, თუმცა მძიმე პერიოდის მქონდა. იცი, სულ თავიდან უნდა დამეწყო იმ ძველებური, დაშაქრული რომანიტიკული სტილისათვის რომ

დამედწია თავი, ფსევდონიმიც კი გამოვიცვალე. ახალ პოეტურ თაობაში ახალი სახელით მინდოდა შესვლა... შენ გვერდით რომ გყოფილიყავ, იონ, უველაფერი ხვავგვარად იქნებოდა, არა?

იონი. მო, კარგი. მოვიფიქრებ დილამდე.

ვასილე. დილით შეტყვი?

იონი. აბა, როგორ.

ვასილე. რომელ საათზე?

იონი. რომელ საათზე და როცა გათენდება.

ვასილე. გმადლობთ, იონ.

ილიანა (წორიღებით). მეც... გმადლობთ.

ვიქტორი (შემოდის, სახეზე გამარჯვებული კაცის იერი აბატია, ხელში გახსნილი ბოთ-
ლი უჭირავს).

აბა ბიჭებო, ჭიქები მოამზადეთ.

(ვასილე ჭიქას დიაფლებს ხელს).

ილიანა (ხელს ჩაავლებს ვასილეს). სიღე, მოდი ხუფთა მაერზე გავიდეთ, რაღაც ვერა-
ვარ კარგად, ალბათ ამდენი რომ მოწიეს, იმის გამო...

(ვასილე კარისაკენ მიუძღვება ილიანას და გულდაწყვეტილი მიიხედვას უკან)

ვიქტორი (ვასილეს). რაო, არ მოგვიჭახუნებ ჭიქას?

ვასილე. მაპატიე, მაგრამ ილიანა რაღაც ვერაა კარგად (გადიან).

ვიქტორი (ჭაქებში ასხამს ღვინოს). აბა, გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთ.

კუიკა (შემოდის და კბილის საჩიჩქნზე აცმული ზეთისხილი შემოაქვს). გთხოვთ, მომი-
ტევოთ, მაგრამ ერთხელაც უნდა ვცადო, ამხანაგო ვიქტორ, გთხოვთ, გახიჯოთ ეს ზეთისხი-
ლი.

ვიქტორი. რა მოხდა, რა აქვს ასეთი?

კუიკა. ხწორედ ამის გაგება მინდა.

ვიქტორი (სინჯავს). მდა... ვგონებ, ოდნავ მარილიანია.

კუიკა (სახეგამბრწყინებული). უველაფერს რომ გრძნობთ, ამიტომაც გახდით, ბატონო
ჩემო, გენერალური დირექტორი.

ფ ა რ დ ა

VI

ისევ სუფრას უსხედან ყველანი

ვიქტორი. მოდით, მეგობრებო, ხუთწუთიანი ეიფორია გავითამაშოთ — უველამ შეიქოს
თავი, რას მიაღწია ცხოვრებაში. ვისაც უკრიტიკოდ არ შეუძლია, ვესტიბიულში მიბრძანდეს,
იუმორი კი — სავალდებულოა. (გეორგეს, რომელიც წამოდგა). რა იყო, რას შვრები?

გეორგი. ვესტიბიულში გავალ. ხომ ვიცი, უველაფერი მაინც ჩემზე გადატყდება.

ვიქტორი. ერთი შენცა ხარ რა! დაქვე და მოგვისმინე.

გეორგი. გესმენთ, ამხანაგო გენერალურ დირექტორო.

ვიქტორი. რად გინდა ეგ ოფიციაოზი. არ შეგიძლია უბრალოდ სახელით მომმართო?

გეორგი. მთელი სიცოცხლე მეშინოდა გენერალური დირექტორობის.

ვიქტორი. რა ვიცი, წელან თქვი ზეღბურთელებსაო.

გეორგი. ზეღბურთელების დარტყმას ათცილოგრამიანი ძალა აქვს, გენერალური დირე-
ქტორის ხელისშეწყობას კი შვიდი ტონისა. ჩვენი ყოფილი თანაკურსელი სულ მჩაგრავედა ხო-
ლმდე თავისი ნათელი გონებითა და განსჯის უნარით. ჩვენ რომ წყლის მოღვილივე ზედაპირით
მოვიხიბდებოდით, იგი უმაღლესი მიგვითითებდა, ეგ რაა, თქვენ ის ნახეთ, ფსკერზე რა ლამაზი
კენჭები... როგორ არ ვეცადე რაიმე, სტუდენტობის დროინდელი ხინჯი შემეხსენებინა შენთ-
ვის, პატივცემულ გენერალურ დირექტორო, მაგრამ ვაი, რომ ამაოდ დავშთი და ბოღმა
მაბრჩობს. ერთადერთი ხარ, კრებებზე რომ არ ყოყლოჩინობდი პატიოსნებით, გულწრფელობითა
და სიმტკიცით. რა მწარე ენაც არ უნდა მქონდეს, ვიქტორ, ჭერჭერობით ვერაფერი მოგიხერ-
ხე. ეს, სხვა თუ არაფერი, ჩემი პროფესიული დისკვალიფიკაციის ნიშანი მაინც არის და
მართალი გითხრა, სული მეტუთება. რა ხანია შევეჩვიე იმას, რომ ცხოვრებას ჩემი რუბრიკის

თვალთ ვუყურებ და მუდამ მიმართლდება ხოლმე, მაგრამ ამ ექტორსა და იონს ვერაფერი მოეუხერხე, ასე რომ, ახლა პირობას გაძლევთ, უფრო მეტი სიღრმითა და სერიოზულობით მივუდგე ამ საკითხს და, ალბათ, არც შედეგი დააყოვნებს.

ვიქტორი. აბა, შენ იცი, არ მოეშვა. ვინ იცის, რას გამოკრას ხელი. უმალა, შენ რით შეგიძლია დაიტრახა?

ილიანა. ოთხი წლის გოგონათი და ევროპის ორგზის ჩემპიონობით. ა, როგორია!

ვიქტორი. მშვენიერია, ახლა სიტყვა ეძლევა ქმარს. მოემზადება ვასილე.

პეტრე. როგორ გითხრათ...

ბეორბე. როგორ და აღიარე, რომ თამაშვარე მდგომარეობიდან გაიტანე გოლი.

პეტრე. რა ჩააცვდით ამ თამაშვარე მდგომარეობას. თუ ოდნავ მაინც გესმით ფეხბურთი, რომელ თამაშვარე მდგომარეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ოლაფსონი მარჯვნივ შედგა, მე კი პასი მივიღე და...

ვიქტორი. გასაგებია. ნადდი გოლია.

ბეორბე. კარგი რა, ნუ ზუჭობ.

პეტრე. სხვათა შორის, ხანდახან გაზეთებსაც უნდა გადავხედოთ.

ბეორბე. თქვენ თვითონ თუ გაუცანით დანიურ გაზეთებს?

პეტრე. იცით, რა გითხრათ, მეგობრებო, მე... მე... (წამით ენა დაეპყრება რისხვისაგან, მერე კი პასი მიწვდება და გადაჰყრავს).

ვიქტორი. აბა, სილუ რას გვეტყვის?

ვასილე. რა უნდა გითხრათ. ვწერდი ლექსებს... ვაქვეყნებდი. ეგ არის სულ.

იონი. მერედა, ვერ გამოგვიგზავნე თითო-თითო წიგნი თანაკურსელებს, რა მოხდებოდა?

ვასილე. მართალი ხარ, მაგრამ მისამართები არა მქონდა. ახლა კი ყველას გამოგვიგზავნით, როგორც კი შინ დავბრუნდებით.

ვიქტორი. სიტყვა ეძლევა ვასილეს მეუღლეს. მოემზადება გეორგე.

ილიანა. მე რა უნდა მოგახსენოთ? ათოდე ჩუფს დავამთავრებინე სკოლა, მაგრამ ამას ყველა პედაგოგი აკეთებს... ჰო, ორი ალვის ხეც დავრგე.

ვიქტორი. სად?

ილიანა. ერთი ხრიოკი მთის წვერზე?

იონი. გადაგედო ქმრის პოეტური ხული?

ილიანა. რას იზამ. ჩვენზე, მათემატიკოსებზე, იხედაც ამბობენ...

ვასილე. მეგობრებო, ნება მიბოძეთ, ერთი წუთით გთხოვოთ...

ბეორბე. რას იკლავ. კაცო, თავს, თქვი, ვინ გიშლის?

ვასილე. ვინდა, შენ.

ბეორბე. როგორ გეკადრება, ხმა არ გაშიღია.

ვასილე. მართალია, მაგრამ მაინც მიშლი ლაპარაკს.

ბეორბე. არა, ეგებ რაიმე დანაშაული გაწუხებს?

ვიქტორი. ეს კაცი სულ პროკურორს დაემსგავსა, რაც იმ რუბრიკას მიზეზი ხელი.

ბეორბე. ა, ბატონო, სამარე ვარ. მხოლოდ დამანებეთ თავი.

ვასილე. ის მინდოდა მეტყვა, რომ... ილიანა ჩემზე ზრუნავდა.

ბეორბე. რა, იანანას გიშლეროდა?

ვასილე (მტკიცედ). ჩემზე ზრუნავდა.

ვიქტორი (გეორგეს). აბა, ახლა შენ გიხმენთ (სოფია უჩუქმრად გაიპარება დარბაზიდან).

ბეორბე. მდა... ჰმ. თუ სიმართლე გინდათ, ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ისაა, რომ ქერკერობით ხამხაზურიდან არ გავუგდივარ უფროსს.

ვიქტორი. კარგი ერთი, ნუ მაიმუნობ. ნიჭიერი კაცი ხარ და კარგადაც წერ. რაღა გაკლია?

ბეორბე. თქვენ არ იცით ჩვენი შეფის ამბავი: სწორედ იმას აგდებს ხოლმე, ვინც ნიჭიერია და კარგად წერს. მთავარია გააგდოს. მერე კი დააქვეითებენ თუ დააწინაურებენ ამ კაცს, სულერთია მისთვის. მან ზომ მოიშორა. ასე და ამრიგად, აგერ უკვე ათი წელია სწორედ ის გახლავთ ჩვენი რედაქციის ტვინი და გონება.

ვიქტორი. მერედა ამაზე კარგი საფუძვეტონე მასალა რაღა გინდა?



- გეორგი. არაა საჭირო. ისედაც გამოჭერილი მყავს.
- ვიქტორი. რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი დაქარგა?
- გეორგი. ჰო, დაახლოებით ეგრეა.
- ვასილ. ასეთი მეთოდი, ბატონო ჩემო, ასეთი მეთოდი, ჩემის აზრით...
- გეორგი. ვიცი, რისი თქმა გინდა, „გაკიცხვას იმსახურებს“.
- ჩვენი შეფის მეთოდზე რაღას იტყვი?
- ვიქტორი. ხომ გაგიგონია, რაც მღვდელიც, ის ერიც. ჰო, მართლა შენზე მოთხრეს, წიგნი დაწერაო?
- გეორგი. დავწერე, მაგრამ რად გინდა, არც ერთმა გამომცემლობამ არ მიიღო, სინამდვილეს არ შეუფერება. მხოლოდ შავ ფერებს ხედავო.
- ვასილ. ასეც იქნება, დღედაღამ რომ აფერხებდნენ გაქვს საქმე.
- გეორგი. მათ შორისაც არის წესიერი ხალხი, უფრო წესიერი ხალხი, ვიდრე ბევრს ჰგონია თავისი თავი.
- ვიქტორი. ვის გულისხმობ მაინც ამ „ბევრში“?
- გეორგი (მხრებს აიჭრევს). საერთოდ აღაშინებებს.
- ვიქტორი. ჰოდა, შენც მათ იცავ და თანაუგრძნობს კი ეჭვით უყურებ, არა?
- გეორგი. არა. მხოლოდ ლოზუნგი მაქვს ასეთი — როცა შეუბნებიან, აქეთ მიიხედვო, ანგარიშმოუცემლად იქით ვიხედები.
- ვიქტორი. გასაგებია, ჯერ ტელეფონში ლაპარაკობ და ნომერს მერე კრიფავ, არა?
- იონი. ოქანსაც განშორებით იწყებ და არა ქორწილით.
- გეორგი. კარგი ახლა, ნუ გაიკრიფეთ ენად. არ მიყვარს საერთოდ გაკაფული გზით სიარული.
- ვიქტორი. თუ ასე გააგრძელებ, ერთ მშვენიერ დღეს იმის უფლებასაც მოგცემენ, ტრაპეზიში წინა კარიდან ახვიდე.
- პეტრე (ვკონია, კარგად ვიხუმრებო). უკნიდან კი ჩამოხვიდე. ჰა-ჰა-ჰა.
- გეორგი. ისევ მოგეძალათ, ბატონო სპორტსმენო, იუმორის გრძნობა?
- ვიქტორი. შენი შეუღლე რაღას იტყვის? რაო, სად გაშქრა?
- გეორგი. არ უყვარს დაკითხვები, ჩემსავით შერეკილია. თქვენ თქვენი მომავალი შეუღლებები პარკებში გაიცანით, მე კი სასამართლოში.
- ვიქტორი. მიუხედავად პროკურორია?
- გეორგი. არა.
- ვიქტორი. აბა, უნებური მოწმე?
- გეორგი. არც ეგა.
- ვიქტორი. მაშინ ადვოკატი იქნება, ხელის ერთი მოხმით რომ აღადგენს მართლმსაჯულებას, ასე ვთქვათ, ბრალდების შეუღლებელი მტერი.
- გეორგი. პირიქით. ბრალდებულია, ჩემი საუკეთესო ფელეტონის გმირი გახლავთ.
- ვიქტორი. ბიჭოს, შენ ვინ ყოფილხარ, ძმაო — წერ ერთს, აკეთებ მეორეს.
- გეორგი. ექსპერიმენტს ვატარებ რაღა — ჩემი პიკაილიონია. სხვათა შორის, დღეს შესრულდა ერთი თვე.
- პეტრე. (ისევ ხუმრობს). თაფლობის თვე სასამართლოში. რა კარგი რამაა, ჰა-ჰა-ჰა.
- გეორგი. რა მოგცე, რომ ამ ხუმრობას შეეშვას?
- პეტრე. გოლი მინდა მხოლოდ, ჩემი გატანილი გოლი.
- გეორგი. თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი არ არსებობს. ე. ი. არც შენი ვალი მაქვს.
- პეტრე. იცით, რა გითხრათ, მეგობარო, მე...
- ვიქტორი. აბა, გეყოფა. იონ, შენი რიგია.
- იონი. მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რა ვთქვა.
- გეორგი (დაცინებით) მე მაქვს უველა მონაცემი: 11358 მეტრი ახალტი, 26 407 კვადრატული მეტრი — გამწვანება, კაფე თავისი დამატებითი შენობებითა და პანორამული კინო-თეატრი ჭრიჭინა სკამებით.
- იონი. ეს ხულაც არაა მთავარი.
- გეორგი. რა თქმა უნდა, არა.

იონი. ჩამოგიცდეს ერთი ფეხი ჩემთან სოფელში და ნახავ, როგორ აზროვნებენ ადამიანები. ეს კი, მოგეხსენებათ, კვადრატულ მეტრებში არ იზომება.

გეორგი. არც ისეთი მანქანა გამოუგონებიათ, შენი წილი გაწეული საქმე რომ გამოთვალოს.

იონი. 0,01 პროცენტზე რომ იუოს, ჩემთვის ესეც საკმარისია.

ვიქტორი. კი მაგრამ, შენი ცოლი სადღაა?

ოფიციალტი. სამწარეულოშია. დაუჩემებია, ერთხელ მონახარშ უყვას მეორედ გვიხარშავთ, რა კადნიერებაა. ვერ გამოვიდა.

ვიქტორი. აბა, ახლა შევისვენოთ და ვნახოთ ერთი, რა დასკვნები შეიძლება გამოიტანოს კაცმა.

იონი. კარგი რა, რა დროს ეგ არის, რომელი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭები ჩვენ ვართ.

ამილია. ვითომ მაშინ რას იზამდით?

გეორგი. რას ვიზამდით და მაგ ჩანთაში ტყაცუნას ჩაგივდებდით. ჩვენ კი, ბიჭები „ამორტუშობიას“ გავაჩაღებდით.

იონი. როგორც მაშინ, წამთრის გრძელ ღამეებში ჩვენს დიასახლისს შეშა რომ შემოეღოდა ხოლმე.

გეორგი. კაი, კაცო, მთლად ნუ გათავხედდით, ახლა როგორ. გენერალურ დირექტორს ვეთამაშოთ „ამორტუშობია“?

ვიქტორი. (გამოდის ოთახის შუაგულში. დგება ნიშის წინ და გაიშვებს ხელისგულს) აბა, ვიწყებ. (პაუზა. ერთბაშად ვერაგინ ბედავს მისვლას. ვალენტინი ნიშიდან მაგრად შემოკრავს ვიქტორს ხელისგულზე. ხმები. დაბნეულობა, ვიქტორი თვალს გაახელს). მეგობრებო, სულ არა გაქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

გეორგი (ალტაცებული) რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ არა ვართ გენერალური დირექტორები.

ვიქტორი. დამარტუშით და შიშიმადეთ, არა? კარგი ბატონო. (ისევ იწყებს თამაშს). აბა, გავაგრძელოთ! (ვალენტინი ისევ შემოპკრავს ნიშიდან გამოუსვლელად. ვიქტორი უმაღლეს შემობრუნდება, დაიჭერს მის ხელს და ძლიერძლივობით გამოათრევს ნიშიდან). ეს ვიღაა?

ვალენტინი. ერთი ღოთი ვინმე გახლავართ. გამარჯობათ.

ვიქტორი. თუ თამაშობ, ითამაშე. აბა, ახლა შენ დადები.

ვალენტინი. არ შემოძლია. ჩუსტი ნეკნები მაქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, მაგ ნეკნებზე მძინავს ხოლმე და ამ ბოლო დროს რაღაც მეტად დამისუსტდა.

ვიქტორი. ნეკნი ნეკნია, მაგრამ ხელისგული ღვთის წყალობით მაგარი გქონია.

ვალენტინი. ასეც უნდა იუოს. მაშ გიქა რით დავიჭირო?!.

ვიქტორი. წესი წესია, ვინც დაარტყა, მანაც უნდა მიიღოს.

ვალენტინი. ეგე, რაც მე დარტყმა მიმიღია.

ვიქტორი. ჩემგან?

ვალენტინი. შენგანაც.

პეტრე (მტკიცედ ჩაერევა). გეყოფა ახლა, კაცო, რესტორანი ჩვენი დაქირავებულია, მოჩიხი ხუმრობას და შენს გზას გაუყუევო.

ვალენტინი. იცი, რა გითხრა, მეგობარო, შენ თამაშგარე მდგომარეობაში ხარ...

პეტრე. (იონს). როდის გაჩნდა ეს კაცი აქ?

იონი. აზრზე არ ვარ. (ყვირის). ოფიციალტი! ოფიციალტი!

ოფიციალტი (გამოჩნდება კარუშში და, ვალენტინს რომ დაინახავს, გაფითრდება) ვისგან, ბატონო?

იონი. საიდან გაჩნდა ეს წვერა აქ?

ოფიციალტი. რა მოგახსენოთ, პირველად ვხედავ, სინდისს გეფიცებით.

ვალენტინი. აბა, აბა, თავს ნუ იკატუნებ. მაშ ოთხი გიქა ვისკი ვინ მომიტანა?

ოფიციალტი. პროფესიული რეფლექსი გასცემს). ოთხი კი არა, ხუთი.

ვალენტინი. პარდონ, ერთი სილემ მიირთვა.

პეტრე (ვასილეს). ვინ არის ეს კაცი, ბატონო, შენობით რომ გველაპარაკება? (ვასილე უკმაყოფილოდ აიჩეჩავს მხრებს).

ამილია (მიუახლოვდება ვალენტინს და თვალბეჭდით ჩააშტერდება). დარჩები ჩვენთან?

ვალენტინი. აბა, წახსვლელი მაინც არხად მაქვს და...

მამილია. რა მოხდა, დარჩეს ჩვენთან, ჭკვიანად იქნება.

გეორგი. ვითომ? ვერ ნახე, როგორ შემოგრა ამხანაგ გენერალურ დირექტორს?

მამილია. დარწმუნებული ვარ. ვალენტინი ყოველთვის ჭკვიანი იყო.

ფარდა

VII



ყველანი სუფრას უსხედან და მღერიან. ვიქტორი დირექტორს, ოფიციალტი უახლოვდება იონს და ანიშნებს. ვილაც გემახისო. იონი უხმოდ წამოდგება და მივა ქართან, სადაც მარა დახვდება. მარას ხელში ჩემოდანი უჭირავს, ეტყობა, ეს-ესაა ჩამოვიდა. ჩამდენივე ხანს გაქვავებულნი და გაკვირვებულნი შესცქერიან ერთმანეთს. მერე იონი შეეცდება დიდი სიხარული გამოხატოს. ხელზე კოცნის, მხრებზე ხელს მოუთათუნებს, ახედ-დახედებს, გარს უტრიალებს უაზროდ და ა. შ. მარა თითქოს გაშეშდაო, ფეხს არ იცვლის. იონი იგრძნობს, სიყალბეს ვჩადიო, და გაწერდება, ჩამოართმევს ჩემოდანს, დადგებიან და ასე უხმოდ შესცქერიან ერთმანეთს.

სიმღერას დიდი ტაში და შემახილები მოჰყვა. მერე იონის, ოფიციალტი მეორე დარბაზში როგორ იწვევს ხალხს საცემავოდ, ასე რომ, სცენაზე იონი და მარა რჩებიან. ორივენი შევლენ რესტორნის დარბაზში. იონი სწრაფად ჩამოასხამს კონიაკს ორ ჭიქაში და ერთ მათგანს მარას აწვდის.

იონი. კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა!

მარა. ეს ჭიქა ვისია?

იონი. ჩემი ცოლის.

მარა. აჰა! (სვამს).

იონი. რით ჩამოხვედი?

მარა. დამის მატარებლით. მხოლოდ გუშინწინ წავაწყდი ჩვენს განცხადებას გაზეთში. ბინის გამოცვლას ვაპირებ და ასეთ პუბლიკაციებზეც ვაქცევ ყურადღებას. ჩამდენჯერმე წავიკითხე ეს განცხადება, მაგრამ ვერაფრით ვერ მივხვდი, რომ ჩვენზე იყო — „აჰა და ამ ფაქტუალტების გამოშვების ათ წელთან დაკავშირებითო...“ ნუთუ უკვე გავიდა ათი წელი?

იონი. როგორ, ვერ შეამჩნიე?

მარა. ვერა, ხან ესაო, ხან ისაო, ეგბ... (რაც უფრო გრძელდება საუბარი, მით უფრო ცალბედი ხდება იგი). თავგზა ამიზნია ამ ცხოვრებაში...

იონი. მეც.

მარა. შენ კი სულ დამივიწყე, გრა?

იონი. თვალი თვალს რომ მოშორდებო...

მარა. თუმცა არც სამახსოვრო გვაქვს ბევრი რამ.

იონი. ღმერთო ჩემო, რა ბავშვობა იყო... სულ ჩელიხელ-ჩაკიდებული დავხეტებოდით, რა უბრალო რამეებზე ვეჭვიანობდი...

მარა. რაო, უკვე მელოტიც შეგეპარა?

იონი. ეს რაა, ღიპს ვერ მამჩნევ?

მარა. აბა, მობრუნდი ერთი.

იონი. კი, ბატონო (გვერდულად დადგება).

მარა. ააა! ჭერჯერობით არა უშავს.

იონი. ახლა ეს მითხარი, თავად როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ?

მარა. გმადლობთ, კარგად, ძალიან კარგად.

იონი. გავიგე, ბავშვებიც გყოლია.

მარა. ზო, ორი ბავშვი მყავს, კი მაგრამ, შენ რატომ დაგაინტერესა ჩემმა ამბავ-მა?

იონი. მე — არა. გეორგიმ თქვა დღეს.

მარა. რა თქმა უნდა, შენ არც დაინტერესდებოდი. ჩვენ შორის არაფერი ისეთი არ ყოფილა, უბრალოდ ბავშვური თამაში იყო. მახსოვს, დიდი, ლამაზი და ძლიერი მეჩვენებოდა.

იონი. მეც რა შორცხვი და უმწეო მეგონე...

მარა. შენი ცხოვრება კარგად აეწყო, არა?

იონი. არა უშავს... ხად ახწავლი?

მარბ. ლიცეში. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გავიარე და ვარ ჩემთვის. არაფერს ვუჩივი. განქორწინება თვითონ მოვითხოვე. ასე უფრო მიჩვენია, დაწყნარებული ვარ. დავრწმუნდი, რომ ვერვის ავითან გვერდით (მარას ხმაში აშკარად იგრძნობა სიყალბე). რას იზამ, ასეთი ვარ ბუნებით. ალბათ, გახსოვს, მუდამ ასეთი ვიყავი (აჩქარებით). ურცულ შე-
მთხვევაში ბედს არ ვემდურე.

იონი. დღეს შემთხვევით ჩვენს წახლის ხეს ჩავუარე.

მარბ. მეც მოვკარი თვალი, სადგურიდან რომ მოვდიოდი.

იონი. როგორ გამჩნა და გამოფიტულა.

მარბ. აბა, გამეცინა კიდეც. ერთ დროს კი მეგონა, მთელ ცას და დედამიწას ფა-
ჩავს-მეთქი.

იონი. კინოთეატრი კი დაანგრეხ, რომ გახსოვს...

მარბ. როგორ არა, 15მ ფილმი რომ ვნახეთ მეორე იარუსიდან... იცი, ერთხელ რაღაც
ცნობას ვეძებდი, მთელი ბინა გადავებრუნე და შენს წერილს არ წავაწყდი!

იონი. რა მონახმებით იყო, არა ხავსე?

მარბ. აბა! ოდესღაც კი როგორ მჭეროდა მათი.

იონი. ხუთ ვარიანტს ვწერდი ხოლმე, მერე კი შეეჭვებს გამოგიგზავნიდი.

მარბ. სიგარეტს კიდეც იხე უკიდებ?

იონი. როგორ მაინც?

მარბ. რაღაც, ხელს იხე გაიჭნევდი ხოლმე, მე რომ ძალიან მომწონდა.

იონი. ეეჰ, ეჭვსი წელია აღარ ვეწევო.

მარბ. მაშ ალარაფერი დარჩენილა, სულ ალარაფერი.

იონი. ეგებ ასეც ჯობდეს.

მარბ. რა თქმა უნდა.

იონი. ისე კი მიხარია, რომ გხედავ.

მარბ. მეც (მიუთითებს ჩემოდანზე) ხად წავიღო?

კუიპა შემოვარდება ქვაბით ხელში. უკან ოფიციალტი მოსდევს). იონ, გენაცვალე, ერ-
თი ამას დამიხედეთ, ამაზე მეტი თავბუდობა იქნება?

იონი. ღმერთო ჩემო, ნუთუ ისევ ზეთისხილი?

კუიპა. დიახ, დიახ, სწორედ რომ ზეთისხილია, სამზარეულოში გადაქალათ. მაგრამ
ნაღდი ზეთისხილია, ჯესმით, ნაღდი. ა, ბატონო, გასინჯეთ.

ოფიციალტი. ქალბატონო, დამშვიდდით. ეს ერთი და იგივე ზეთისხილია, ქალბატონო,
ჩვენ სხვაგვარი არ გვაქვს.

კუიპა. აბა, ხმა, ჩემთან ეგ არ გაგივა, იცოდე! ნაღდი ზეთისხილი გადამალე, ჩვენ მა-
რდიანი შემოგვატყუე, არა? (იონს). მა, რას იტყვი?

იონი (სინჯავს ზეთისხილს). ღმერთმანი, ვერაფრთარ განსხვავებას ვერ...

კუიპა (მარას). აბა, ერთი თქვენც გასინჯეთ, ქალიშვილო... თუ უკაცრავად... (გულდა-
სმით დააკვირდება). მაპატიეთ, მაგრამ ვგონებ პირველად გხედავთ...

იონი. ეს მარა (წარუდგენს ერთმანეთს). ეს კი — ჩემი მეუღლეა.

ოფიციალტი. ქალბატონო, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ...

კუიპა. პატიოსანს? ყველანი პატიოსნები ვართ განკითხვის ეამამდე.

ოფიციალტი. ქალბატონო, მერწმუნეთ, ჩვენ მხოლოდ, ასეთი ზეთისხილი გვაქვს... და
საერთოდ, რა ინტერესი უნდა მქონდეს, თქვენთვის რომ...

კუიპა. ძალიან კარგად ვიცი, რაც გაინტერესებს. არა, უცოდველი კრავი ხარ, შენმა
მზემ, რაკი სოფლელები ვართ, გინდა გავაცურო, არა? ვერ მოგართვი! წამოხრძანდით ახ-
ლა!

ოფიციალტი. ხად, ქალბატონო, ხად მიგყავართ?

კუიპა. ხად და, შეფთან. სამზარეულოში კი ახლა მე ვიქნები უფროსი და აბა, ერთი ფე-
ხი შემოგიდგია!

ოფიციალტი. ეს ცილისწამებაა და მეტი არაფერი.

მარბ (სინჯავს ზეთისხილს) შეხანიშნავია.

კუიპა. აბა, ახლა რაღას იტყვი? (აპირებს გასვლას, მაგრამ ზღუბრბზე შეჩერდება, შე-
მოხრუნდება, მცირე ხნით დააკვირდება მარას და ეტყვის). იცით, გამიხარდა, რომ თქვენ
ქრათმინი არა ხართ. (ვადის). უკან მიჰყვება ოფიციალტი).

VIII

საცეცვაო დარბაზში მხოლოდ სოფია და პეტრე დარჩენილან.

სოფია. აი, ბოლოს და ბოლოს ვეღირსე მამაკაცს: ეს ფილოლოგები პირდაპირ ისეთი ფაფუკები არიან, გეშინია, ხელში არ შემოგადნენ.

პეტრე. რაც მართალია, მართალია, ჯანი და დონე არ მაქლია.

სოფია (ჩქმეტს). ეს ბიცეფსია?

პეტრე. ზუსტად არც კი ვიცი. ქალბატონო.

სოფია. რა ნათელი და სუფთა თვალები გაქვთ, ჩემს ქმარს კი რომ ჩავხედავ, მხოლოდ შეძრწუნებას, პრობლემებსა და დოსიეებს ვხედავ. ღმერთო ჩემო, რა არის ეს, ერთ კილომეტრზე რომ ცეცავთ ჩემგან, ნუთუ ასე გეშინიათ ჩემი?

ფ ა რ დ ა

IX

ოტელის ვესტიბული. მეზობელი დარბაზიდან, რომლის კარი გაუმჭვირვალე მინისაა, მოქეფეთა ხმამაღალი შეძახილები ისმის. ვალენტინი და იონი სავარძლებში სხედან.

ვალენტინი. თუ გინდა, ნურც დაიჭერებ.

იონი. ე. ი. ისე შემოიარე, შემთხვევით, არა?

ვალენტინი. ჰო!

იონი. კარგი ერთი ახლა, ვინ დაგიჭერებს მაგას. ნაღდად განცხადება წაიკითხე.

ვალენტინი. არა, ბატონო, არ ვკითხულობ ამ თქვენს გაზეთებს, ახლა?

იონი. აფსუს, ერთ დროს წერდი კიდეც. ჩვენგან მხოლოდ შენ იბეჭდებოდი. მართალია, პატარა-პატარა რეცენზიები იყო, მაგრამ იბეჭდებოდი, უველაზე ადრე გამოდი, ასე ვთქვათ, ხალხში.

ვალენტინი. ო, ეს დიდი ხნის წინათ იყო.

იონი. ბოლოს და ბოლოს რა დაგემართა ახლა ასეთი?

ვალენტინი. ძალიან კარგად იცი. განა თქვენ არ გამაგდეთ სახელმწიფო გამოცდების წინ? ხუთი წელი დამაპარგვინეთ. მერე კი ჯარში გამიწვიეს.

იონი. ჩვენ კი არა, თვითონ გაიგდე თავი.

ვალენტინი. ჰო, რა თქმა უნდა. ათას ხუთასად ნაყიდი სადიპლომო ნაშრომი რომ წარვადგინე — „მეტაფორის მნიშვნელობა“.

იონი. ჰოდა, რაღას გვაბრალებ, შევენ გამაგდეთო.

ვალენტინი. ისე ვთქვი რაღა, სიტყვას მომყვა.

იონი. შენც ნუ ეთაბაშები სიტყვებს.

ვალენტინი. ეს ფილოლოგების დევიზია.

იონი. სად მუშაობ?

ვალენტინი. არსად. ვცხოვრობ რაღაც-რაღაცების, უფრო სწორად, ვიღაც-ვიღაცების იმედზე. როცა ვინმე ჩაიჭრება სახელმწიფო გამოცდებზე, ვეახლები და პირველხარისხიან სადიპლომო ნაშრომს ვთავაზობ.

იონი. სულ ერთსა და იგივეს ატრიალებ?

ვალენტინი. არა, კაცო, სხვადასხვას.

იონი. მერედა, ვინ გაკეთებს ამ სხვადასხვას?

ვალენტინი. ვინ უნდა მიკეთებდეს. თვითონ ვწერ.

იონი. კლიენტი ბევრი გყავს?

ვალენტინი. არცთუ ისე. მაგრამ სამი-ოთხი ყოველ წელს გამოჩნდება ხოლმე, მთელი სია მაქვს შედგენილი, ასე ვთქვათ, ჩემ მიერ გამოშვებულ პედაგოგთა სია, ზოგმა უნივერსიტეტის ლექტორობამდეც კი მიაღწია.

იონი. ღმერთმანი, გაგიჟებულხარ და ეგ არის!

ვალენტინი. თუ ერთ მშვენიერ დღეს შეიტყო, მანქანამ გაიტანაო, არ გეგონოს, მთვრალი ვიყავი. უბრალოდ, ერთ რომელიმე, ჩემ მიერ გამოჩეკილ პედაგოგს მოხერხდება ჩემი

არხეობა და შორჩა. ზომ გითხარი, სია მაქვს-მეთქი, გეხმის? ამიტომაც მაგ სიას კონვერტში ჩავდებ, რომელიმე ნოტარიუსთან შევინახავ, და წავაწერ: „გაიხსნას 2000 წელს“.

ირენი. ცალენტინ, ნუ მაშინებ, ღვთის გულისხმობის.

ვალენტინი. კარგი ერთი, შენც ჩემსავით გულჩვილი ხარ. არც საყვარული შეგიძლია და არც სიძულვილი.

ირენი. ვითომ რა გინდა მაგით თქვა?

ვალენტინი. ძალიან კარგადაც „ცი“. გაიხსნას
2000 წელს

ირენი. მარას თუ გულისხმობ, ეგ ბავშვობა იყო მხოლოდ და მეტი არაფერი.

ვალენტინი. ხაკუთარ გრძნობებში ვერ გარკვეულხარ და ჩემსაში რაღას მოძვრებით? უმჯობესია ვისკი მოატანინო ჩემთვის.

ირენი. თვითონ შეუკვეთე.

ვალენტინი. არ მაძლევს. ოტელ „ვერიტასში“ ნახვამ ხალხს არ ემსახურებიანო. ამ, თქვენ შორის ხუთი ჩემზე მეტად არის ნახვაში. მაგრამ მაინც აძლევენ დახალევს.

ირენი. უბრალოდ არ ვიცი, რა...

ვალენტინი. მოდი, ნულარ გამახსენებ. ისიც მეუფა, მაშინ რა დღეში ჩამავდეთ, უელამდე ვარ თქვენი პატივისცემით. შემოუკრავთ ოდესმე შენთვის ისე, რომ თვალებიდან ცეცხლი წაგცვენოდა და დედამიწაც ისე ატარტიმანებულებოდა, რომ ხელი ვერაფრისთვის წაგველოს?

ირენი. რა ვიცი, ეგებ ბავშვობისას.

ვალენტინი. მე კი ათი წელია ასეთ დღეში ვარ. მან შემდეგ.

ემილია (შემოდის, ხელში ყავის ფანჯანი უჭირავს). ამ, აქ ხართ?

ვალენტინი. აბა, სად ვიქნები, დაკითხვაზე ვარ.

ემილია. კარგი, კარგი, თავს ნუ გვაცოდებ.

ვალენტინი. ემილია, მაინც როგორ მიცანი?

ემილია. თვალებით.

ვალენტინი. გახსოვს, წაბლი რომ მომქონდა შენთვის, შემოდგომის პირველი წაბ-

ემილია. როგორ არა, ახლად ქერქდამსკდარი წაბლი, სურნელით ხავსე.

ვალენტინი. ეგ, სად არის ახლა ნეტავ ჩემი წაბლი?

ემილია. ალბათ რომელიმედაც თაროს შემორჩა ხაერთო საცხოვრებელში.

ვალენტინი. შენ კი შემთვის ახეთი თაროც არ გაიმეტე.

ემილია. კარგი, ვალ, ნუ გაშიწყრები, მაგრამ სულ გადაიკარგე, რაც გაგრიცხვს.

ვალენტინი. რომ არ გავგდე, მიპოვნიდი, მიპოვნიდი იშითომ, რომ მომძებნიდი.

ირენი. მე არც კი ვიცი, თუ თქვენ...

ვალენტინი. რა უნდა გცოდნოდა. ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვიყავით. ეს არის და ეს. ალბათ ამიტომაც უსახსროდ გვეგონა ეს ურთიერთობა.

ემილია. მაპატიე, ღვთის გულისხმობის.

ვალენტინი. კარგი ერთი. ეს ჭიქა რად გინდა?

ემილია. უფა მომინდა და...

ვალენტინი. მოო, სამზარეულო მარჯვნივა.

ემილია. მეჩხი, ზომ არ დაგავიწყდა, რომ მეც ვმუშაობდი აქ, აგურებს ვაწვდიდი. ა? (გადის).

ვალენტინი. მო, ეს მაშინ იყო... დიდი ხნის წინათ...

გეორგე (შემოდის კარს და შეეჯახება ემილიას). წამო, გოგო, ვიცეცვოთ, სხვა ხუვავლა დაფარდნილია აქ.

ემილია (გადის). მოიცა, ყავას მოვიტან.

გეორგე (ვალენტინს და ირენს) რაო, თქვენ აქ რას ამზადებთ?

ვალენტინი. ისეთს არაფერს, შენ რომ გამოგეპაროს.

გეორგე. იცი რა, ვალენტინ, შენ ჩემზე ნაწყენი არ უნდა იყო.

ვალენტინი. რაზე?

გეორგე. აი, იმ ამბავზე.

ვალენტინი. რომელს გულისხმობ?

გეორგე. აი, იმ შენ ნაშრომთან დაკავშირებით. შენი იყო თუ... მოკლედ, ზომ ხვდები. რისი თქმა მინდა.

ვალენტინი. გასაგებად თქვი და გავიგებ, რა ენა გეხმება.

გეორგი. ფაქტი ისაა, რომ მე ვიყავი ის კაცი, ვინც... ვინც...

ვალენტინი. ვინც „გამყიდა“?

გეორგი. არა, ეს ზუსტად ნათქვამი არაა.

ვალენტინი. შესაძლოა ზუსტი ტერმინი არცაა, მაგრამ, ცხადია, შენ მართალი იყავი. სადილობო ნაშრომი მართლაც ვიყიდე, არ მქონდა ისტორიული გრამატიკის ჩაბარების თავი.

გეორგი. აი, თვითონვე ამბობ.

ვალენტინი. შენ გეგონა, მოვიდა ახლა, ჩხუბს დაგვიწყებდა და ~~მეც დაგვიწყებდა~~ უველად ფერხო, არა? ვინ იცის, ეგებ საამისოდაც მოვედი, მაგრამ გადავიფიქრე, დროებით მაინც უოველ შემთხვევაში, შენ არხეინად შეგიძლია იყო.

გეორგი. ისე, რასა იქმ, როგორა ხარ?

ვალენტინი. გმადლობთ, კარგად, თავად როგორ გიკითხო?

გეორგი. მეც არა მისმავს, გაზეთში ვმუშაობ.

ვალენტინი. ვიცო, ეგ ჩემი ადგილი იყო.

გეორგი. რას იზამ, ვილაცხას ხომ უნდა დაეკავებინა.

ვალენტინი. ცხადია. ბუნება ვერ ეგუება სიცარიელეს.

გეორგი. ხომ არ მოვატანინო რამე?

ვალენტინი. არა, ახლა იონის მტუმარი ვარ, ეგებ ცოტა ხნის შემდეგ.

გეორგი. ხომ იცი, მეხიამოვნება შენთან ჭიქის მოჭახუნება.

ვალენტინი. ვიცო, ჭიქუ, ვიცო, გასაგებია.

გეორგი. მეწყინებოდა, რომ არ...

ვალენტინი. რომ არ მოვსულიყავი, არა, ვიცო, გასაგებია.

გეორგი. შენ რას შვრები, ნაე? მარას ჩამოსვლას ელოდები?

იონი. საიდან სადამ?

გეორგი. მაშ რას დამადუღებარ აქ?

იონი. შერედა, ვინ მოგახსენა, დაიძალაო?

გეორგი. ერთბაშად არ დაგიჭერო. (შემოდის ემილია) მადლობა ღმერთს. წავიდეთ! (გაღიან).

ვალენტინი. იცეკვეთ, ბავშვებო, იცეკვეთ, რამეთუ ღამე გრძელია.

იონი (დახედვის საათს). პირველის ხუთი წუთია.

ვალენტინი. უნდა ჩამოხულიყო, არა?

იონი. ვინ, მარა? შენც გეორგეს აყევით?

ვალენტინი. აჰ, მაპატიე. ხუთ დამავიწყდა, რომ ტრამვაის ელოდები.

მარა (ჩამოდის საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი). საღამო მშვიდობისა, ვიცეკვებთ? იონი ღებდა და ხმას არ იღებ.

ვალენტინი. ერთი ამას შეხედეთ, რა ხარგადაყლაპულივით გაშეშდა.

იონი (მარას). რატომ ჩაიცვი ასე?

მარა. რთგორ ასე?

იონი. როგორ და, მაშინდელივით.

X

რესტორანი. გაშლილი სუფრა. იამის მესიყის ხმა. პეტრე და ოფიციანტი რაღაც გაზეთებს ქე-ქავენ. ილიანა ცხვირსახოციტ შუბლს უწმენდავს ვასილეს.

ვიპტორი. წავიკითხე შენი ახალი გამოკვლევა.

გეორგი. დაგენიძლავები, ვერც ვერაფერს გაიგებდი.

იონი. აბა, ცოტა ფრთხილად, დღეს უკვე წააგე ერთი ნიძლავი.

ვიპტორი. არა, ამას მოიგებს. ვერაფერი ვერ გავიგე.

ვასილე. მეგობრებო, პოეზიის სადღეგრძელოს გთავაზობთ, პოეზიისას.

ილიანა. სხ. გაჩუმდი.

ვასილე. რას ქვია, გაჩუმდი არ გავჩუმდები. გაუმარჯოს პოეზიას (ილიანას). კი მაგრამ, ცარიელი ჭიქით ხომ ვერ დავლევ, დამისხი (ილიანა მინერალურ წყალს უსხამს).

მანსილე. რა არის ეს?

გემორბე. რა უნდა იყოს, წყალია. ჰა-ჰა-ჰა.

პეტრე. (გახარებული). აჰა, ხომ ვნახე. ახლა კი გთხოვთ, მომისმინოთ ერთი წუთით, აი რას წერს პრესა: „ეს იყო შეუძლებელი პოზიციიდან გატანილი უბრწყინვალება / გოლი“.

გემორბე. ა. ბატონო, „შეუძლებელი პოზიციიდან“ — ე. ი. ~~უბრწყინვალება~~ მდგომარეობიდან.

პეტრე. როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ. შეუძლებელ პოზიციიდან ის იგულისხმება, რომ ერთი ფეხი ჰაერში მქონდა...

გემორბე. მეორე კი თამაშგარე მდგომარეობაში. წაიკითხეთ დანიური გაზეთები და გაიგებთ.

პეტრე. კი მაგრამ, თქვენ ვინ მოგართვით დანიური გაზეთები?

გემორბე. ერთმა პორტუგალიელმა ტურისტმა.

პეტრე. ზღაპრებს ნუ უვებით. პორტუგალიელ ტურისტები საერთოდ არ არსებობენ. აბა, მითხარით ერთი, გინახავთ ვინმეს პორტუგალიელი ტურისტები?

გემორბე. კითხე ამხანაგ გენერალურ დირექტორს.

პეტრე. მოგცლიათ ერთი თქვენც, შემარგეთ ეს საქმელი.

პუიბა. (ლანგრიტ შემოაქვს ყავიანი თინჯები). აბა, ჩქარა, ჩქარა, დიდებული ყავაა, თვითონვე მოგიმზადეთ (ოფიციალტს). იცოდეთ, შაქრის ყუთში ტარაქანების კვალს წაფაწუდა... აბა, ჰე, ვის უნდა ყავა?

ილიანა. ვასილეს.

მანსილე. ვინ მოგახსენათ, ხულაც არ გახლავართ ყავის გუნებაზე.

ილიანა. ხილე, არ დაგავიწყდეს, რა შემპირდი (გაუწვდის პიქსს).

პეტრე. სანამ ეგ ყავა გაგრილდება, მოდი, უველამ ერთად ვიცეკვოთ „პერიტასი“.

ოფიციალტი. გთხოვთ, ბატონებო, მუსიკა მზადაა.

პეტრე. ჰა, რას იტყვით, თანახმა ხართ?

მანსილე. უველანი.

გემორბე. უველანს მაგიერ რომ პასუხობ, რა, უკვე ჩაატარე კონსულტაცია ამხანაგების ჯგუფთან?

პეტრე. გაჩერდი შე კვიმატო, შენა!

გემორბე. გასაგებია, ამხანაგო გენერალურ დირექტორს.

პეტრე. თუმცა, რაკი ასეა, მოდი კენჭი ვყაროთ. ვინ არის თანახმა (თვითონ პირველი წევს ხელს). ა? (თანხმობის ნიშნად ჯერ ვასილე აწევს ხელს, ორიოდ წამის უოყმსნის შემდეგ კი — ილიანა). მართლა არ გინდათ ცეკვა?

ილიანა. არ არის ახლა ამის დრო. თანაც ამ ცეკვას, ხომ იცი, კოცნა მოჰყვება და თქანის ხალხს ეს უკვე აღარ შეგვეფერება.

პუიბა. რატომ, ვინც უცოდლოდ არის, პირდაპირ მისწრებაა.

ილიანა. კარგი ერთი, გაჩუმდი!

პუიბა. რა იყო, რა მოხდა ახლა, რომ გენერალური დირექტორია. ხად არის, ბატონო, თქვენი ცოლი?

პეტრე. ძალიან შორს, ფესტივალზე.

პუიბა. აბა, როგორ, ის ხომ გენერალური დირექტორის ცოლია.

პეტრე. ოო, შენ რომ არ გარეკო, არ შეიძლება. როგორც ცოლი კი არ წახულა, არამედ როგორც მსახიობი.

გემორბე. მსახიობები სხვებიც არიან.

პეტრე. მოდა, ეს სხვებიც მიდიან ხოლმე.

გემორბე. როდის?

პეტრე. როცა რიგი მოუწევთ.

გემორბე. აი, საქმეც ეგ არის.

პეტრე. კაი ერთი, სად მაქვს ახლა შენი თავი.

ილიანა. გეორგე, ვითომ არ იცი, რომ ირინა ნიჭიერი მსახიობია...

გემორბე. მეგობრებო, მეგობრებო, მე მხოლოდ ვარიანტს გთავაზობთ, ვარიანტს. ეს არის და ეს.

პეტრე. მაგრამ ფრთხილად, მაგ ვარიანტებში კიხერი არ მოგატყუოთ.

მარბ. აბა, ვის უნდა უავაზე ვუყვითხარ? (ქალები დარბაზის ერთ კუთხეში გროვდებიან).

პეტრე. ვერ გამოგია, რა სიამოვნებაა უველას რომ კბენ.

გეორგი. ეს სიამოვნება კი არა, ვალია. აბა ერთი ცოტა მიგიშვან, გნახავდი, რასაც იზამდით.

იონი. რა უნდა ექნათ ახლა, ასეთი?

გეორგი. არა, ბიჭო! კურდღელი სწორედ იქ გადმოგიხტება, სადაც არ ელოდები.

ვიქტორი. შენ კი სულ მოლოდინში ხარ, არა?

გეორგი. მაშ როგორ, თქვენი ცოდვებით არ ვცხოვრობ. ცრემლივით სუფთა ადამიანებსაც კი სადღაც სულის კუნჭულში აქვთ მიმაღული თავიანთი ცოდვები და ამიტომაც სულ მიუყრადბული ვარ, ეგებ თავი გასცენ-მეთქი. მერე კი მოდები და სადაც გინდა, იქ ჩაფლუხელი. სად გაგეცდებიან. ჩემი ცოდვის დოსიეს რომ სიტყვასიტყვით გავეცანი, მთელი მისი აზრები ამოვიკითხე სისხლის სამართლის კოდექსით ასხმულ-აკინძული. ასე რომ, მერყეობის მძიმე მომენტში უკვე გაიარა, შეცდომა გამოსწორდა და გაუთვალისწინებელი აღარაფერი მოხდება, რამეთუ უკვე კარგად ვიცი, როგორ მოიქცევა ნებისმიერ სიტუაციაში. თქვენ კი ისევ გალურსული გელოდებით, რაკი ჭერ მაინც ანგელოზები ხართ, ასე ვთქვათ, ვარსკვლავებიანი.

პეტრე. ეს ვარსკვლავები რაღაა?

იონი. ფილოლოგების ხუმრობაა, კითხვის ნიშანს ნიშნავს.

ვიქტორი. ერთი ეს მითხარი, არ აპირებ ამ თეორიის გამოქვეყნებას?

გეორგი. თუ რომანს დამაბეჭდვინებ...

ვიქტორი. მომეცი ერთი, წავიკითხავ, ეგებ გავიგო, საგაზეთო რუბრიკამ ასე როგორ გადაუტრიალა მის ავტორს გონება.

გეორგი. მენი გრადუსით გადაუტრიალა და მერე იმავე წერტილზე დაუბრუნა.

ვასილე. მეგობრებო, მოდი, ვადღეგრძელოთ...

ილიანა. ვასილე, დაჩეჭი.

ვასილე. რას ქვია, დაჩეჭი?

ილიანა. ხომ შემპირდი.

ვასილე. ნუ გეშინია, ლექსების კითხვას არ ვაპირებ, სუფრის პოეტი არ გახლავარ. ერთხელ იყო იმ ახალი წლის ღამეს, შემთხვევით რომ წავიკითხე და მერე...

ილიანა. დილაშდუ კრინტი ვერ დავძარიტ ვერავინ (მიმართავს დანარჩენებს). ასეა სულ, ღაღევს თუ არა, ლექსების კითხვა აუტუდება.

იონი. მერედა, რა არის აქ ცუდი?

ვასილე. ტოლმას პოეზია არ უნდებაო, ამბობს ილიანა.

იონი. შენ აქ კოლეგებთან ხარ და არა ტოლმასთან.

გეორგი. კარგი ახლა, თუ კაცი ხარ, რას ინაზები, დაიწყე.

ვასილე. თუ ასე გინდათ... მოდი, ერთს კიდევ გადავკრავ და მერე...

ილიანა. სილე, გეყოფა.

ვასილე. რატომ, ძვირფასო, ხომ ხედავ, ბიჭებს უნდათ მომისმინონ.

ილიანა. სილე, გთხოვ.

ვასილე. მაინც რა მოხდა ასეთი, აქ ხომ მხოლოდ ჩემი კოლეგები არიან, თანაკურსელები. მათ რას გამოაპარებ, გუშინდელივით ანსოვთ, როგორ დავიწყე. მოდა, ახლა ხომ უნდა ვაჩვენო, რომ ახალ პოეტურ ასაკში გადავედი, რომ შევეშვი იმ შემოდგომას, ფოთლებსა და რომანსებს. ასე არაა? (სვამს).

ვიქტორი. აბა, სიჩუმე.

ოფიციალტი. მინერალური წყალი არ მოვიტანო?

ვიქტორი. სსს, კაცო, რა დროს ეგ არის.

ვასილე. ეს ლექსი ახალგაზრდობას ვუძღვნი.

ილიანა. სილე, ეგებ მოგვიანებით გეთქვა, ა?

(ვასილე ყურადღებას არ აქცევს, კიჭით ხელში შემობრუნდება და რამდენიმე წვეთს გადმოღვრის).

პეტრე. ფრთხილად, მეგობარო, ფრთხილად, გედვრება ღვინო.

ვასილე. აჰ, მაპატიეთ, ღვთის გულისხამვის, მაპატიეთ.

პეტრე, მო, კარგი, არა უშავს, არა უშავს.

ვასილე, დიახ... (კითხულობს) „მოგონებანი წარსულთა დღეთა და შემოდგომის ფო-
თოლთა ცვენა“.

გეორგი, ავი შემოდგომას და ფოთლებს შევეშვიო.

ვასილე, აქ ხუთ სხვაა, ჭიკუ, სიტუა კი არაა მთავარი, არამედ განწყობილება.
(კითხულობს იმავე სტრიქონებს) „მოგონებები წარსულთა დღეთა და შემოდგომის ფოთოლთა
ცვენა... სულ მიიწრიტა, სულ მიიწრიტა...“

ილიანა (კარნახობს). „სინათლის სხივი...“

ვასილე, „სულ მიიწრიტა სინათლის სხივი და აღმოცენდა...“

ილიანა (კარნახობს). „დიდი სიჩუმე“.

ვასილე, „და აღმოცენდა დიდი სიჩუმე“.

ილიანა (იცრემლებული). „და წვეთ-წვეთ მოდის“.

ვასილე, ილიანა, ნუ ტირი, გეთყვა, ნუ, ეს ჩემი საუკეთესო ლექსია და ბედი არ
გინდა, სწორედ ეს დაშავიწუდა. „და წვეთ წვეთ მოდის, სულ წვეთ-წვეთ მოდის...“

პეტრე, უკაცრავად, მეგობარო, მაგრამ ღვინო ისევ გედვრებათ, მეგობარო.

ვასილე, მაპატიეთ, ღვთის გულისხმობის, გთხოვთ, უველას გვედრებით, მაპატიეთ, მა-
ლიან გთხოვთ, ძალიან...

ფარდა

XI

საცდევანო დარბაზი, სოფოა ვალენტინთან ციკვავს.

სოფია, იცით, ხაოცრად ხუფთა და ნათელი თვალები გაქვთ.

ფარდა

XII

ვესტიბიული, პუიკა იონის კოსტიუმზე ლაქას დასცქერის

კუიკა, აუტანელი ხარ პირდაპირ, აუტანელი, ბავშვივით უნდა მოითხოვნო ხოლმე.
ეს ხომ ახალი კოსტიუმი. კურთუკი ერთ კვირაში მოსპე, ახლა კოსტიუმს მიადექი, მოკლედ,
გულსაფარი უნდა გაგიკეთო, თორემ ისე არაფერი გამოვა, რასაც კამ, ნახევარს ტანსაცმელ-
ზე იყრი.

იონი, ეგებ ბენზინით...

კუიკა, ბენზინით კი არა... ეს ხომ წიწკიანი ტოლმის წვეთია და შენ ამოიყვან ბენ-
ზინით?

იონი, წიწკას ტოლმაში რა უნდა?

კუიკა, შენ მასწავლი ახლა მე ტოლმის გაკეთებას!

იონი, არა, კი არ მასწავლი, მაგრამ...

კუიკა, კარგი ერთი, გაჩერდი მაინც, რა ვუყოს ახლა ამ პიჯაკს, რა გვეშველება, ა?

იონი, ვითომ ასე ემჩნევა?

კუიკა, ემჩნევა? ემჩნევა კი არა, სარჩულამდე გააღწია და კბილებითაც ვერ ამოგ-
ლეჯ, ასე ემჩნევო? გაიძრე ახლავე.

იონი, შერე რა ტყნა?

კუიკა, არაფერი გიშავს, პერანგში იქნები, ხომ ნახე, გენერალურმა დირექტორმაც გა-
იხადა, წავალ, ეგებ სამწარეულოში თაღკი იყოს და ამოვიყვანო.

იონი, რა ვიცო, კბილებითაც ვერ...

კუიკა, მო, კბილებითაც მოვხინჯავ, რა პიჯაკი იყო! 3100 ლეა მივეცი და ერთ და-
შეში მოსპე, ხვალ მოგართმევენ კიდევ 3100 ლეად ასეთ პიჯაკს, არ გინდა? (ბუზლუნით გა-
ღას)

გეორგი. (შემოდის შეწუხებული). სად არის ხოფია, არ დაგინახავს?

იონი. არა, აქ არ ყოფილა.

გეორგი. სად ჯანდაბაში დაიკარგა ნეტავი! შენ რაო, ენა დაგება? (მიდის, მაგრამ ზღურბლზე შეჩერდება, მარას გამოატარებს და შემდეგ გადის).

მარბ. შეიძლება აქ ჩამოვჯდე?

იონი. რატომაც არა, რომელი კაციჰამა მე მნახე.

მარბ. რა იყო, რამ გაგაწითლა?

იონი. ღვინომ.

მარბ. ვითომ მართლა ღვინომ?

იონი. მაშ სხვას რას უნდა ექნა?

მარბ. რას და... პიჯაკზე ლაქა ხომ არ დაგანდა? მარცხენა ბორცზე?

იონი. როგორ, საიდან იცი?

მარბ. საიდან ვიცი? სულ მარცხენა მხარეზე არ გინდებოდა ლაქა?

იონი. ახლაც მარცხნივ მაქვს.

მარბ. იონ, შენ ისევ ისეთივე დიდი ბავშვი ხარ. ამიტომაც მომწონდი ოდესღაც, ძლიერიც ხარ და უმწიფოც. თუ მოინდომე, მთებსაც შესძრავ, მაგრამ ამ ლაქასთან ვერაფერს აწუხებ.

იონი. რატომ ჩაიცვი მაშინდელივით, ბოლო შეხვედრისას რომ გეცვა?

მარბ. რა ვიცი.

იონი. მარა, რა აზრი აქვს ახლა ამას. არავითარი, ბავშვური გატაცება იყო მხოლოდ.

მარბ. ბავშვური გატაცება? მაშ როგორ, ჩვენ ხომ ბავშვები ვიყავით.

იონი. ახლა კი ორივეს საკუთარი ცხოვრება გვაქვს, მარა.

მარბ. რა თქმა უნდა, ბედნიერნიც ვართ.

მომტორი (შემოდის). ჩემი მძლოლი ხომ არ გინახავთ? სადღაც გაქრა მანქანაიდან. არადა, სიგარეტი ღამრჩა მანქანაში... (მარას). ეს კაბა ათი წლით გაახადგარდავებს. (გადის).

იონი. ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც იმ საღამოს. ვიცი, რომ წახვალ და ამჯერად ალბათ ხამუდაშობ.

მარბ. არ უნდა ჩამოვსულიყავი, არა? რამ ჩამომიყვანა, რაღად შეგხვდი ისევ?

იონი. მარა, ახლა, როცა ვიცი, რომ შეტეს ვეღარ გნახავ... ჩამდენიმე წელი... შესაძლოა საერთოდაც, მინდოდა მეთქვა... რომ ძმედი მქონდა ჩამოხვიდოდი და ის განცხადებაც გაზეთში შენთვის იყო განკუთვნილი, თორემ უველა დანარჩენის მისამართი ვიცოდი.

მარბ. არა, არ უნდა ჩამოვსულიყავი.

იონი. კი მაგრამ, ჩვენს წაბლის ხესთან რა გინდოდა? შემთხვევით როგორ გაივლიდი, როცა სადგურიდან სამკილომეტრნახევრისი წრე უნდა დაარტყა მის ხანახავად.

მარბ. როცა დაგინახე, კარის სახელურს ჩავჭიდებ ხელი. უელზე რომ არ ჩამოგვიდებოდი (მარას ამ ბოლო სიტყვებზე კარებში პური გადმოჩნდება იონის პიჯაკით ხელში, იქვე გაშედება და უსმენს მათ სიტყვას).

იონი. შეც მეგონა, ცა ჩამოიქცა-მეთქი, შენ რომ დაგინახე.

მარბ. მას შემდეგ ამ კაბას არ გავგარბივარ, სიტუვა მივეცი ჩემს თავს, რომ მხოლოდ შენთვის თუ ჩავიცმევდი, მხოლოდ ჩვენთვის.

იონი. რა მორცხვები ვიყავით, არა, ათი წლის წინ?

მარბ. ათი წელი გავიდა თუ მთელი ცხოვრება?

იონი. ვაი, რომ მთელი ცხოვრება.

მარბ. ვერ ვიტან მფლოდრამას და ამიტომაც არ გეკითხები, ბედნიერი ხარ თუ არა.

იონი. ხომ ხედავ, მარა, არც შე გეკითხები.

მარბ. ისე, როგორ გგონია, ათი წლის შემდეგ იმის უფლება მაინც არ გვაქვს, რომ ერთხელ მაინც ვიცოცხოთ?

იონი. მე გგონია, კი.

მარბ. მაშ წავიდეთ, თორემ ისედაც გვიანია (ორივე გადის საცეკვაოდ დარბაზში).

პური შემოდის. სავარძლის სახელურზე ჯდება. ანგარიშმიუცემლად აცლის პიჯაკს თაღებს, ცოტა ხნის შემდეგ, როცა ლაქა გაქრება, წამოდგება და საცეკვაო დარბაზში დაბრუნებს გახვლის, მაგრამ გადაიფიქრებს. შუა გზაზე შეჩერდება, ხელზე პიჯაკი ჩამოკონწილავს.

ვასილუ (შემოდის ტრანსის მდგომარეობაში). სად არის ნაე?

კუიპა (მიუთითებს კარზე) იქაა.

ვასილუ. იცო, უკვე თენდება (კარებში გამოჩნდება ილიანა და უსმენს ამ დიალოგს).

კუიპა. ვიცი.

ვასილუ. იონი შემპირდა, დილით გეტყვი პასუხსო.

კუიპა. ჰო, გეტყვის.

ილიანა. ეგებ თქვენც შეგვაწიოთ ერთი სიტყვა? თქვენი დიდი ხატობაა.

კუიპა. ჰო, კარგი, ვეტყვი.

ილიანა. არ დაგავიწყდებათ?

კუიპა. არა, არა.

ნასილუ. ცოტადა დარჩა. აი, ტყის წვერი უკვე ნათდება.

კუიპა. ჰო.

ნასილუ. რა კარგია, არა? უკვე თენდება.

კუიპა. ჰო, უკვე თენდება.

გეორგი (შემოდის მარჯვნიდან). ხალხნო, სოფია არ გინახავთ? მთელი ოტელი გადავბრუნე.

ვიქტორი (გეორგ კარიდან შემოდის). ჩემი მოფრისათვის არ მოგიკრავთ თვალი? (ვიქტორი და გეორგე ისე შესცქერიან ერთმანეთს, თითქოს პირველად შეხვდნენო).

XIII

ვესტიბიულში

პეტრე (შემოდის ოფიციალურიდან ერთად). აი, კლუბის გახადებს მივაგენი და ახლა ვნახოთ, რას წერს „რომინია ლიბერა“, ერთი სპეციალური კორესპონდენტი გამოგზავნათ იქ, ბერეტოანი. აბა, წავედით.

ოფიციალური. თქვენც ნუ მიიტანთ ყველაფერს ასე ახლოს გულთან. ისეთი გოლი გაიტანეთ, თამაშგარე მდგომარეობა რომც ყოფილიყო, ტექნიკურად ისე კაცი ვერ შეასრულებდა.

პეტრე. თამაშგარე მდგომარეობა, არა? (შემოუბრუნდება დარბაზს და მუქარით). მე თქვენ გიჩვენებთ თამაშგარე მდგომარეობას!

XIV

ოტელის სალონში. ვალენტინი ცდილობს არ შეიმჩნიოს სიმთვრალე და რაც შეიძლება ღირსეულად მივიდეს ვიქტორის საუბარძღამდე, მაგრამ ვეღარ შეძლება და სკამს წამოედება.

ვიქტორი. ნელა, მეგობარო, ნელა.

ვალენტინი. ჩანდაბას ეს ონერი ოტელი „ვერიტასი“.

ვიქტორი. რატომ, ძმობილო, რატომ?

ვალენტინი. მთელი საზაფხულო არდადეგები ამის აგურებს ვატრევდი. ჩვენ ავაშენეთ და ჩვენვე მოვუდებთ ბზლოს. ოღონდ ეს არ დამანახა აქ და რას არ გავიღებდი. ისევ აგურებისა და ფიცრების გროვა იყოს ნეტავ აქ.

ვიქტორი. შენ კი — მესამე კურსის სტუდენტი, არა?

ვალენტინი. ჰო, ალბათ, ამიტომაც მძულს ეს დამპალი დუქანი, ათასში ერთხელ თუ შემომიცდება აქ ფეხი, როცა სხვა გზა არ მაქვს. თუ რაღაც კარგი მქონია, მხოლოდ სტუდენტობისას. მას შემდეგ კი, რაც გამავადეთ, თქვენ სხვა სამყაროს შეჩივით, აქ კი იმ ყვავილებსა და თხილწარის ნაცვლად ეს დამპალი ბალაგანი გაჩნდა, ეს თქვენი „ვერიტასი“ (იღწეოთებული ფეხს გაჰყრავს სკამს).

ვიქტორი. ხომ არ დაღვევ კიდევ?

ვალენტინი. თუ ამხანაგი გენერალური დირექტორი დამპატიუებს...

ვიქტორი. კარგი ერთი, ნუ შაიშუნობ, რად გინდა ეგეთი რამეები?

ვალენტინი. როგორ თუ რად, აბა როგორ გაგონებინო, რომ ვაჩხვებო, ვარსებოხ ფსკერზე. შემეძლო უკეთესი პიჯაჲ ჩამეცვა, წვერიც გამეპარსა და თმაც დამეფარცხნა, მაგრამ აი, ასე მოვედი, საკუთარი თვალით რომ ნახოთ, როგორ გამწირეთ, ჩემო ძვირფასო და საყვარელო კოლეგებო.

ვიქტორი. არა გრცხვენია?

ვალენტინი. მე უნდა გრცხვენოდეს თუ შენ... მა, რატომ ბოდიშს არ მიხდის? მაგრამ ვიცი, რასაც იტყვი, ესაო, ისაო... ხომ იცი, რა დრო იყო, ზოგმა გადაატარა, ზოგი შეცდაო, რას იზამ, ასეთია ცხოვრება, დაშავებით კი არაფის დაუშავებიაო.

ვიქტორი. უოველ შემთხვევაში შენ წინაშე არავინ არ ტყუის. შენ მართლაც ნაყიდი დიპლომი წარმოადგინე.

ვალენტინი. ზუსტად ასე ამბობს ის ვაუბატონი, მე რომ დამაბეზლა.

ვიქტორი. დაგაბეზლა თუ არ დაგაბეზლა, ერთია, მაგრამ დიპლომი ხომ შენი არ ყოფილა?

ვალენტინი. ნუ მიედ-მოედები ახლა, აღარაა საჭირო. რა ჭანია გაპატიეთ.

ვიქტორი. მსხვერპლად ხომ არ გინდა გამოაცხადო თავი?

ვალენტინი. აბა, ვინდა ვარ, მითხარი? მე ხომ ყველაზე კარვად ვწერდი მთელ ფაქულტეტზე? შეიღ ეურნალ-გაზეთში არ ვიბეჭდებოდი? გაზეთში ხომ მთელი რუბრიკა მიმ-უაჭდა და შტატიც დაჭაფუნული მქონდა?

ვიქტორი. მა, მართლა, რა მოუვიდა მერე იმ შენს ადგილს?

ვალენტინი. რა მოუვიდოდა, გეორგიმ დაიკავა. მოიტა, დავლიო.

ვიქტორი. თავაზიანად მთხოვე, თორემ არ მიიღებ.

ვალენტინი. თავაზიანად? არა, ძვირფასო, ჩემი ვალიდან ვეღარ ამოხვალთ, ცხოვრება რომ მომპარეთ, ერთი ჭიქა კონიაჲ მაინც მომეცით სამაგიეროდ, დიდი ჭიქა!

ვიქტორი. ჩვენ კი არა, თვითონ მოპარე შენს თავს, ჭკუის კოლოფო, თვითონ, აქაო-და, ათი სტატია გამოვაქვეყნე შეიღ გაზეთშიო, გეგონა, დიპლომს ლანგრით მოგართმევდნენ. მაგრამ ხომ უყურებ, ვერ მოგართვეს. მა, დალიე, შე გლაზაკო, შენა.

ვალენტინი. ჯანდაბას, მოდი, ჩემი ვალი კონიაჲთ გაისტუმრე.

ვიქტორი. რა ვალი უნდა მქონდეს შენი?

ვალენტინი. გაქვს, როგორ არ გაქვს. შენ იყავი მაშინ კომკავშირის მდივანი, შეცდო-მები რომ მოხდოდათ ადამიანებს.

ვიქტორი. მაგრამ შენთან არავინ არ შემცდარა.

ვალენტინი. ხწორედ რომ შეცდნენ. ხომ არ გგონია, მართლა შენი კონიაჲ მიხდა ან ლოთი ვარ. ნუ გეშინია, სიამაყეც მაქვს და ფულიც. აბა, ნახე. (ხსნის ჩანთას).

ვიქტორი. ბიკოს! ვგონებ, არც დღეს ცდებიან ნაკლებად ადამიანები. კი მაგრამ, ხა-იდან ამდენი ფული, ვინ მოგცა?

ვალენტინი. ვის უნდა მოეცა. თვითონ ვშოულობო ოფლის ფასად. აი, მაგალითად, მო-ვსეირნობ ბაღში და ვხვდები მოქალაქე „იქსს“. ვაჩერებ და ვეუბნები: უკაცრავად, ასეთ უდ-როს დროს რომ გაწუნებთ და საერთოდ, არც მინდოდა შემეხსენებინა ის ამბავი, სადიპლომო ნაშრომი რომ დაგიწერეთ-მეთქი, მაგრამ ეს ოხერი, როცა დასაღვევი შემომაკლდება, ისეთ დღე-ში ვარ, ბოდვას ვიწყებ ხოლმე და იმ კვირას ერთი შენაირი კაცი ლამის არ გავეცი-მეთქი. მოდა, თქვენთანაც რომ არ შევრცხვე, ერთი ასიანი უნდა მაქანო, არა, ახლა კი არა, როცა ხოში მექნება. დიას, თავად მოგადგები და მოგთხოვ-თქო... აი, ეს არის ჩემი შურისძიება.

ვიქტორი. იცი, აშას რა მქვია?

ვალენტინი. მე ისიც ვიცი, სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლია ეგ. მაგ-რამ ერთი კაციშვილიც არ მეგულება, რომ გახედოს და გამცეს.

ვიქტორი. ოჰო, გეტუობა. დაოსტატებულხარ ამ საქმეში და ახლა ცდილობ, ჩვენს გაგვხვიო შანტაჲში.

ვალენტინი. თქვენც? კი მაგრამ, თქვენგან რა უნდა მინდოდეს? ჩემი ცხოვრება? რომ დამეხმაროთ და ფებზე დავდგე, როგორც სანტიმენტალურ ფილმებშია? არა, ბატონო, ეგ აღარ იქნება. ეს იგივეა, ახალდაბადებულ ბავშვს პირველ ამოსუნთქვისთანვე აუკრათ პირი. აღრე თუ გვიან თქვენც მოინანიებთ ცოდვებს. აშასობაში კი მე ხულ დავეშვები, როგორც კინოშია ხოლმე წარწერა — „მეორე სერიის დასასრული“. და თუ დღეს არ გინდათ აღია-

რომ გულწრფელად, გულში ხომ მაინც ამბობთ: „როგორ გავწირეთ ეს საწყალი, მაგრამ რას იზამ, მაშინ დრო იყო ისეთი, წმინდის პერიოდი, ბევრი რამ ბუნდოვანი გვეჩვენებოდა, შეცდომებიც მოგვდიოდაო“.

ვიპტორი. იცი, რა გითხრა, ძმაო, საკუთარი ცოდვების გასამართლებლად ისტორიას ისე ეწყობები, როგორც კურდღელი ბუჩქს. მერე კი შენივე გამოჩაგონის გარეა, ხვალ აღბათ დაჯილდოვებასაც მოითხოვ, აქაოდა. იმ პერიოდში ვიზარალეო.

ვალენტინი. მოდა, შენც დამაჯილდოვებ, იმ დროისათვის ნაღდად-მინისტრი იქნები. მოგაგონდება ერთი უბედური კოლეგა, რომელიც მეხუთე კურსიდან გამოაგდეთ და ეტუვი შენს მოადგილეს, ერთი გაუბედურებული კაცია, რაიმე ჯილდო გამოუძენე, ვინმეს იმ არ თქვან, რომ...

ვიპტორი. რა არ თქვანო?

ვალენტინი. რა ვიცი, რა მოგადგება კაცს ენაზე.

ვიპტორი. როცა მოიფიქრებ, დამირეკე ტელეფონით და მედალსაც მიიღებ, მაგრამ საქმედ ისაა, რომ სათქმელი არაფერი გაქვს.

ვალენტინი. აბ, არაფერი, არა? ჯანდაბას თქვენი თავი და ტანი. აი, ეს მინდოდა მეოქვა. (საფარძელში მოიკუნტება. მცირე პაუზა).

ვიპტორი. რა არის ეს წვერზე. ცრემლია?

ვალენტინი. არა, კაცო, კონიაკი გადამესხა.

ვიპტორი. თავს მიხედე. თორემ ვატუობ, მალე კონიაკის ცრემლით იტირებ.

ვალენტინი. უოველ შემთხვევაში, ეს ნაღდად „ხუთვარსკვლავიანი“ იქნება.

ვიპტორი. ისე როგორია მაინც შენი „ნაშრომები“?

ვალენტინი. ძალიან კარგი, ერთმა პრემიაც მიიღო საერთაშორისო კონკურსზე.

ვიპტორი. კი მაგრამ, რატომ არ აქვეყნებ?

ვალენტინი. სად მაინც?

ვიპტორი. სად და, ჩვენც ვცემთ უურნალს.

ვალენტინი. სხვა სიტუვებით რომ ვთქვათ, მეგობრული დახმარების ბელს მიწვდი.

არა?

ვიპტორი. სხვა სიტუვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვბეჭდავთ კარგ სტატიებს და თუ შენი ნაშრომი მართლაც ისეთია, როგორც ამბობ...
ვალენტინი. არა, ძმაო, თქვენ ერთხელ გადამიხდით ფულს, ჩემი კლიენტები კი სულ მიხდებიან.

ვიპტორი. კი მაგრამ, ხანამ გავრძელებოდა ასე?

ვალენტინი. მე მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობ, დღევანდელით.

ვიპტორი. ახლა ისიც თქვი, რისთვისღა ჩამოხვედი?

ვალენტინი. ეს სიამოვნება რომ ჩამემწარებინა თქვენთვის. მაგრამ, ნუ გეშინიათ.

ახლა გაგეტყვებით.

ვიპტორი. თუ ეს შეხვედრაც ჩამემწარებინა და ემილიაც გენახა?

ვალენტინი. ღმერთო, რა ახვარზე გათხოვილა.

ვიპტორი. გიუფარდა?

ვალენტინი. გენერალური დირექტორები მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტუვებით ლაპარაკობთ. რას ნიშნავს „მიუფარდა?“ მე უბრალოდ მსიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა, მაგრამ ეს არც ოდესმე შეთქვაშს მისთვის. მე არც სიუვარული შემიძლია და არც სიძულვილი, როგორ ვარწმუნებდი თავს, ყველა თქვენთაგანი შემეძულებინა, მაგრამ არაფერი გამივიდა, მაინც მინდა ყველანი გადაგოცნოთ, ჯანდაბას თქვენი თავი. (სკამს ფეხს გაკრავს, წამოდგება და გადის ქიქით ხელში).

ვიპტორი. ოფიციალს!

ოფიციალსი (შემოდის აღელვებული, ეტყობა, კარს უკან იდგა და მათ საუბარს უსმენდა). უნდა მაპატიოთ ეს ამბავი, პირდაპირ ისე შემოვიდა და ვეღარ გავაგდე, სინდისს გეფიცებით.

ვიპტორი. მო, კარგი, კარგი. სადაა ჩემი მანქანა?

ოფიციალსი. „მერსედესი?“, მგონი, ის ქალბატონი წაიყვანა, სუფთა მანქანა გასცირებდა რომ უნდოდა.

ვიპტორი. ვინ ქალბატონი?

ოფიციალსი. უკაცრავად, მაგრამ ასეთ რამეებში მე არ ვერევი.

ვიქტორი, ჰო, კარგი, გმადლობთ.

გეორგი (შემოდის მოწყვნილი). ვიქტორ, მომე ერთი კარგი სიგარეტი.

სთხოვე.

ვიქტორი, მანქანაში დამჩნა, შოფერი კი სადღაც წაბრძანებულა. ადმინისტრატორს

გეორგი. რა მანქანა გყავს?

ვიქტორი. „მერსედესი“

გეორგი. თვითონ ატარებ?

ვიქტორი. როცა შორს მივდივარ, მძღოლს დავსვამ ხოლმე.

გეორგი. არ ეძინება?

ვიქტორი. ვითომ რატომ უნდა ეძინებოდეს?

გეორგი. რა ვიცო. ზოგს ეძინება.

ვიქტორი. ჩემსას არ ეძინება.

გეორგი (ერთგვარი ნუგეშით) ალბათ მოხუცდა, გამოცდილი მძღოლია და მიეჩნია დამით სიარულს.

ვიქტორი. მოხუცი კი არა, 28 წლის ცაცხლივით ბიჭია, ისეთი ეშმაკი და გაიძვერა...

გეორგი. მერედა, რად იყვანო ამგვარ მძღოლებს ასეთ სერიოზულ სამინისტროში? რა ამ ღლაპების საქმეა „მერსედესები“. ერთი თქვენცა ხართ რა, ეს გენერალური დირექტორები.

ვიქტორი (გაქვირებული აიჩუჩავს მხრებს). რამ გადარია დღეს ეს ხალხი, რა უველა ილანძლება.

ფ ა რ დ ა

XV

ვესტიბიულში

იონი. იცი რა, ერთი რამ მაინც ვერ გამოვიდა, რა ჯანდაბად იყოღერ ის ოხერი სადიპლო-

მო?

ვალენტინი. ეგე, რა აზრი აქვს ახლა ამას.

იონი. ახლა არა, მაგრამ ეგებ მაშინ მქონდა?

ვალენტინი. ჰოდა, მაშინ გეკითხა.

იონი. მართალია. მაშინვე უნდა მეკითხა, თუმცა...

ვალენტინი. თუმცა ნაშრომი მაინც არ იყო ჩემი, ეს გინდოდა გეთქვა, არა?

იონი. არა, გინდოდა შემეხსენებინა, რომ მაშინაც დაგისვებს ასეთი კითხვა, მაგრამ ხმა არ გაგიღია.

ვალენტინი. გახსოვს, რა რუბრიკა მიმყავდა გაზეთში?

იონი. როგორ არა — „სინტაგმები“. უველას გვეამაუებოდა, გაზეთს რომ გავშლიდით და შენს სტატიას წავაწყდებოდით. აი, ნახეთ, ვეუბნებოდით ჩვენსავე თავს, რა თანაკურსელი გვყავს, როგორ წერს...

ვალენტინი. წარმოგიდგენია, მაინც რას ნიშნავს, გაზეთში რომ მუდმივი რუბრიკა გაქვს? არადა, სულ ვბაქიაობდი, როცა გეუბნებოდი, ნახევარ საათში ვწერ-თქო, მთელ ამ მა-საღებს, ვბაქიაობდი, რადგან ნამდვილი გენიოხი მეგონა თავი, სინამდვილეში კი, ვინ იცის, რა ჯაფა მადგა დილიდან საღამომდე, როგორ ვქაჩირობდი. აბა, სხვაგვარად რას დააფრქვევდი ყოველდღიურად იმ ღრმა, გაბედულსა და მახვილგონივრულ აზრებს, ჩემგან რომ ითხოვდნენ. პირველი სტუდენტი ვიყავი ჩვენი ფაკულტეტის ისტორიაში, გაზეთში რომ მთელი განუოფი-ლება მეზარა. ამას თვით ლექტორებიც კი ვერ დაიკვებნიდნენ, ორ-სამ კვირაზე მეტს რომ ვერ უძლებდნენ რედაქციას. ჰოდა, ახლა ხომ გესმის, რატომ ვიკლავდი თავს, რატომ მი-ნდოდა უველასათვის დამემტკიცებინა, რომ სხვებზე მეტი შემეძლო, შემეძლო იმატომ, რომ სათქმელიც მქონდა და იხიც ვიცოდი, როგორ მეთქვა.

იონი. ვიცი ეგ, ვიცი, მაგრამ მე მაინტერესებს...

ვალენტინი. ჩემი სადიპლომო „მეტაფორის მნიშვნელობა“. ხასკოლო თხზულებაა და მეტი არაფერი. სამ კვირაში დაწერდი, ლიტერატურა რომ შემეკრიბა და სხვათა ნააზ-

რევის კომპილაცია მომხდინა, მაგრამ მესიკცხილებოდა ასეთ ნაშრომზე დამეკარგა დრო. როცა დამეგებს ვათენებდი იქნის პოეზიის შესაფასებლად, იგრევის შემოქმედებაში ღრმად ჩახედავად, ზეტის თზულებათა გასაკრიტიკებლად და ა. შ. ასე რომ, ავდექი და ერთ ტიპს დავაწერინე — ჩვეულებრივი და წესიერი ნაშრომი...

იონი. წესიერი — ვისი გაგებით?

ვალენტინი. იმ ტიპის გაგებით. გაიგე?

იონი. ბიკო, ვალენტინ, ეგებ აჯობებდა მაშინვე გეთქვა ჩვენთვის...

ვალენტინი. რით აჯობებდა? მაინც გაზადებდით.

იონი. კი მაგრამ, ასე ვთქვათ, სხვა გულით.

ვალენტინი. დიდი შეღავათია. კაცს რომ სიკვდილს მიუსჯიან, სულ ერთია ქალათს რანა-
რი ნაქანი ექნება.

იონი. მოიცა, მოიცა. ეგებ გგონია, ძალიან გვსიამოვნებდა ეს ამბავი?

ვალენტინი (ირონიულად). თ, ვიცო, როგორ განიცდიდით, ლამის გადაუევით ჩემს ამ-
ბავს. კიდევ კარგი, უველაფერი არ იცოდით. თორემ პანდურს სიძულვილით კი არა, სიუვარუ-
ლით ამოგკრავდით. იცი, ზოგ ქალს სიამოვნებს კიდევ, მამაკაცები რომ აღერსის დროს ნეკნებს
უმტვრევინ მე კი, რა ვქნა, არა ვარ ასეთი, იონ, კაცი რომ ხელს გამარტყამს, სულაც არ მე-
ცინება ამაზე.

იონი. ზოგი რომ ხელს გამარტყამს კაცს, გარბის. შენ კი გაგარტყეს და მაინც გაიქე-
ცი. სად არ გეძიე, მაგრამ ვერხად გიპოვნე, თითქოს მიწამ ჩაგუღამა.

ვალენტინი (მკვებელ). ბოლო-ბოლო რა გინდა?

იონი. არაფერი ისეთი... მოდი, ჭიკა მომიტახუნე.

ვალენტინი. შენ... ეს ხელი ახწიე. არა, კენჭისურის დროს?

იონი. როგორც უველამ.

ვალენტინი. რა თქმა უნდა, უველამ და მათ შორის ლექტორმაც, რომელსაც შვიდი
სტატია დაუბრუნეს იმ გაზეთიდან, სადაც უოველდლიური რუბრიკა შემომთავაზეს. ჩვენმა
თანაკურსელმაც, ემილიასთან რომ შექიშებოდა, და კიდევ რამდენიმემ, რომელთაც ჩემი
შურდათ...

იონი. კი მაგრამ, რა შუაშია ახლა ეს, ამით რა შეიცვლება?

ვალენტინი. არაფერი, მე ხომ ნაუიდი დიპლომი მქონდა.

იონი. სწორედაც! ჰა? მივატახუნოთ?

ვალენტინი. ვითომ ამას აქვს რამე აზრი?

იონი. მათ! მოდი, ეგ ბატონი მაინც მეცი.

ვალენტინი. აფსუხ. მე ხომ იმისათვის მოვედი, რომ ეგ შეხვედრა ჩამეშხამებინა. ეს
ჭურჭელიც მიმეშხვრია, მაგიდაზეც მეცეკვა. ვიქტორის თავზე ბოთლი ღვინოც დამეფშვნა —
და ახლა კი...

იონი. მერედა, რა გიშლის ხელს?

ვალენტინი. მეც ეგ არ მიკვირს? არ შემიძლია.

ფარდა

XVI

ვესტიბიულში

კუიკა. ქალიშვილო... იცით, მე...

მარბ. გისმენთ, ქალბატონო.

კუიკა. იცით, მე ერთი უბრალო მასწავლებელი ვარ და...

მარბ. და გიუვართ იონი.

კუიკა (სასწრაფოდ უკრავს კვერს). უველაფერს ვუკეთებდი, რომ არაფერი დაკლე-
მოდა... სულ მახზე ვზრუნავდი, პატარა ბავშვივით ვუვლიდი. ცივ წიაფსაც არ ვაკარებდი... სულ
მის გვერდით ვიყავი და...

მარბ. კი მაგრამ, რატომ მეუბნებით ამას?

კუიკა. აბა, ვის ვუთხრა? ვგონებ, თქვენ მას უკეთ იცნობთ. როგორც ჩანს, სადღაც
შევცდი, მაგრამ, კერძოდ, სად?

მარბ. ოდესმე დაფიქრებულხარ, რა ძლიერია იგი?

კუიკა. კარგი ერთი, დილის მიკერებაც არ შეუძლია, ჩაის ვერ ააღულებს.

მარბ. მაინც ძლიერია, უძლიერესი კაცია მთელ მსოფლიოში. გემუდარებით, ნუ ექცევით მას ბავშვივით, დაანებეთ თავი, დაილაქაოს ეს პიჭაკი, დიღობიც თქვენ მიუყერეთ, ჩაიც აუღუღეთ, ოდონდ ამ წვრილმანებზე ლაპარაკით ნუ გაუწყალებთ გულს. იონს შეუძლია მთები შესძრას, ერთადერთია ჩვენ შორის, ამის თავი რომ აქვს, ერთადერთია ჩვენ შორის, დიდი საქმეებისათვის რომაა მოწოდებული და გააქრთებს კიდევ ამ საქმეს.

კუიკა. მაშინ მე... მე რისი მაქნისი ვარ?

მარბ. მოეხმარეთ, რომ იპოვოს თავისი თავი.

კუიკა, აღბათ გეზიზღებით, არა?

მარბ. არა, სანამ მისი მეუღლე იქნებით.

კუიკა. კი მაგრამ, თქვენ ხომ გინდოდათ მისი მეუღლეობა?

მარბ. რა თქმა უნდა, ქალბატონო, მაგრამ მაშინ გამბედაობა არ მეყო, ახლა გვიანაა.

კუიკა. შეიძლება მოგწეროთ, როცა გამიჭირდება?

მარბ. როგორ არა.

კუიკა. თქვენს ბავშვებს უყვართ ვაშლი?

მარბ. რა ვაშლი?

კუიკა. „ქონათანის“ ჭიშისაა, ისეთი ბალი გვაქვს, გამოგიგზავნით.

მარბ. დიდი სიამოვნებით, მაგრამ სულ ეს უნდა გეტყვათ?

კუიკა. არა, მაგრამ ვერ გამიბედაია.

მარბ. აჰა, გასაგებია, ერთი სული გაქვთ, რომ წავიდეთ, არა?

კუიკა. არა, გენაცვალე, არცა მაქვს ამის უფლება.

მარბ. როგორ არა, გაქვთ აქ დარჩენის უფლება ათი წლის წინ დავკარგე. ხვალ მივინდოდა წასვლა, მაგრამ უკეთესია დილის მატარებელს გავუყვი, მხოლოდ ვინმემ უნდა გამაცილოს ხადგურზე.

კუიკა, იონი გაგაცილებს, მაინც არ ემჩნევა სიმთვრალე.

მარბ. დიდი მადლობა, ქალბატონო, თქვენ პუიკა გქვიათ, არა?

კუიკა. ჰო, პუიკა.

მარბ. ძალიან სასიამოვნოა, აბა, ნახვამდის.

ფ ა რ დ ა

❦

XVII

ადმინისტრატორის პოლში

ვასილე. ნაე, გეძებდი.

იონი. ჯერ ხომ არ გათენებულა.

ვასილე. არა, სხვა რამ მინდოდა მეთქვა...

იონი. ვგონებ, ვხვდები კიდევ.

ვასილე. არა მგონია, იცი, ნაე, იმის თქმა მინდოდა, რომ... ერთი ხელმოცარული კაცი ვარ. ჰო, ჰო, ასეა, არც ერთი სტრიქონი არ გამომიქვეყნებია ამ ათი წლის მანძილზე, ეს არის და ეს, რაც უნდა მეთქვა.

იონი. ეგ, კარგი ერთი, განა არ ვიცოდი.

ვასილე. აღბათ სხვებმაც, არა?

იონი. ჰო, მგონი.

ვასილე. არა, ისე თქვენც კარგები ხართ, ერთბაშად რომ გამომაცხადეთ გენიოსად. მე კი იმის ნაცვლად, რომ ნობელის პრემია მიმედო, ათასში ერთხელ თუ გადმომიგდებდნენ ლუკმას რედაქციიდან (ილიანა გამოჩნდება ლანდივით).

იონი. და ამიტომაც სვამ, არა?

ვასილე. რა ვიცი, იონ, ეგებ ყავლი გამივიდა, ოდესკალონივით, ა?

იონი. კარგი ერთი, თუ გიყვარდე, რომელი ჩვენთაგანი არ ოცნებობდა მეზღვაურობა-

ზე, მფრინაობაზე, კესტერნის გმირობაზე. შენ შეფობა მონდომე პოეზიის სამყაროში და არ გამოვივიდა. რა მოხდა მერე, კაცს თუ შატარბელი შეეშლება, ბოლომდე კი არ უნდა გაუვსეს არამედ ჩამოვიდეს და იმაში ჩაჯდეს, რომელიც უნდოდა.

პასილი. მე უკვე უველაფერი გითხარი, იონ, სხვაგვარად არ შემეძლო. აი, საცაა თე-
ნდება კიდევ... არა, არა, ნამდვილად არ შემეძლო სხვაგვარად, შენ ვერ შერგატუუნდნი.

ფ. ა. რ. დ. ა.

XVIII

ოქტობრნის პოლი. სავარძელში ეილატ ზურგშეკცევით ზის, მხოლოდ მის ფეხებს ეხედავთ, კიეტროს უხდა სავარძელს ჩაუაროს, მაგრამ ამ ეილატის ფეხები აიწევა და გზას გადაუკეტავს.

ვიქტორი. რაო, აქ რას მოკალათებულხარ, წვერა?

პალენტინი. ფიქრს მივცემივარ, ისტორიის ბუჩქებს ამოფარებული.

ვიქტორი. შერედა, არ გამატარებ?

პალენტინი. არა, ერთი რამ უნდა გკითხო. ის თქვენი ჟურნალი ავტორთა ფოტოსუ-

რათებსაც აქვეყნებს?

ვიქტორი. არა.

პალენტინი. რომ რამე იყოს, გამოჩაქლისი არ შეიძლება?

ვიქტორი. რა გამოჩაქლისი?

პალენტინი. აი, ჩემი ფოტო რომ დაბეჭდოს.

ვიქტორი. კი მაგრამ, წვერი რომ მოგიშვია, რას გაარჩევს კაცი.

პალენტინი. როგორ გეკადრება, საგანგებოდ მოგიპარსავ.

ვიქტორი. ვითომ რა აუცილებელია ახლა შენი ფოტოს დაბეჭდვა?

პალენტინი. რა და, ვინც დამასაფლავა, უნდა გაიგოს, რომ ცოცხალი ვარ და ერთი მაგრად დაახლოვინოს.

ვიქტორი. უველას გასაგებად ერთხელ გამოქვეყნება არ ეყოფა, ბარე ზუთჯერ უნდა დაიბეჭდოს.

პალენტინი. ძალიან კარგი. ზუთ სტატიას მოგართმევთ.

ვიქტორი. უფოტოსურათოდ.

პალენტინი. უხურათოდ რა ეშხი აქვს.

ვიქტორი. კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ იმ პირობით, თუ სიას მომცემ.

პალენტინი. რა სიას?

ვიქტორი. აი, შენი მოვალეების სიას.

პალენტინი. კი მაგრამ, მერე შიმშილით გინდა მოვკვდე?

ვიქტორი. ნუ გეშინია, მე გიშოვნი ადგილს, ჩემთან აგიყვან.

პალენტინი. ერთი სიტყვით, ისევ მიწვდი, არა, დახმარების ხელს?

ვიქტორი. დიახ, ისევ.

პალენტინი. არ გამოვა. აშითაც კი გაეცო თავი, რომ სინდისი გაწუხებს.

ვიქტორი. იცი, რა გითხრა, შე კერკეტავ შენა, რაც გინდა ის იფიქრე, მაგრამ ჩემი სიტყვა სიტყვაა.

პალენტინი. ძალიან ძვირს კი ითხოვ და...

ვიქტორი. იფიქრე და გადაწყვიტე.

პალენტინი. ჰო, კარგი. დილამდე მაყალუ, მა, მაცლი?

ფ. ა. რ. დ. ა.

XIX

გეგმიბიული. პუიკა და გეორგე პოლში დასეირნობენ. ისმის მანქანის ხმა. პუიკა და გეორგე შეჩერდებიან და ყურს მიუგდებენ, მანქანა ჩივილის და ისინიც გააგრძელებენ სეირნობას.

გეორგე. სადაა იონი?

კუიკა. მარა წაიყვანა ხადგურში.

გეორგი. კი მაგრამ, ნახვამი რომ იყო?

კუიკა. რას იზამ, ყველამ ერთნაირად დალია. მარტო ვიქტორის მძღოლი იყო ფხი-
ზელი და ისიც სადღაც გაშქრა.

გეორგი. მოს, გაშქრა!

კუიკა. ყაითუ რამე მოხდეს.

გეორგი. მოხდეს, რაც მოსახდენია.

კუიკა. რაო, რა თქვით?

გეორგი. არაფერი, სხვა რაღაცაზე ვფიქრობდი. (მანქანის ხმა, ბუიკა და გეორგი ყურს
მოუგდებენ).

ფ ა რ დ ა

XX

პოლი

ვალენტინი ამიგო, აბა, დააძრე ერთი ის ასიანი!

ოფიცირი. უკაცრავად, რომელი ასიანი?

ვალენტინი. სანიმუშო მომსახურებაზე რომ მიიღე, აღარ გახსოვს?

ოფიცირი. კი მაგრამ, რას ჰგავს ეს? ეს ვინ უოფილხართ.

ვალენტინი. დიდი კაცი ვარ, დიდი, ვერა ხედავ, გინერალურ დირექტორთან ერთად
ვუზივარ სუფრას, აბა, შე, ჩქარა.

ოფიცირი. ბატონო ვალენტინ, ვინ იცის, კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს და...

ვალენტინი. არა უშავს, ან შევხვდებით ან არა. აბა შე, ჩქარა ფული, საკუთარი ოფ-
ლითაა მოპოვებული.

ოფიცირი. აკი ლოტოში მოვიგეო?

ვალენტინი. აბა, მოკეტე ახლა, გესმის?

ოფიცირი (ამოიღებს ფულს). ა, ბატონო, მაგრამ ასეთი რამ ჩემს ცნობრებაში არ
მახსოვს.

ვალენტინი. არა უშავს, ბიჭიკო, გაიწოდები, ჯერ სად ხარ, წვერ-ულვაშიც არ ამოგ-
სვლია. (ვალენტინი გადის, ოფიცირი გაწერებული მიჩურდება)

ფ ა რ დ ა

XXI

რესტორნის სალონი. ყველანი კვლავ შეკრებილან სუფრაათან

ვასილი. ეზილია, ტელევიზორში გიყურებ ხოლმე, მატჩის დაწყების წინ მიმის რომ უკრავს.
საინტერესოა, მაინც რას გრძნობ ამ დროს?

ემილია. სულ ურუანტელი მივლის და თვალებიც ცრემლით მევსება.

ვიქტორი. აბა, შეგობრებო, გაგვიმარჯოს.

ვასილი. გაგიმარჯოს.

ილიანა (ჩურჩულთ). გეუფა.

ვასილი. ბოლოა.

(შემოდის ვალენტინი. ჭიქით ხელში. აპირებს პეტრეს ადგილზე დაჯდეს. ემილიას გვერ-
დით).

ვიქტორი. ეგ ადგილი დაკავებულია.

ვალენტინი. აჰ, მაპატიეთ (ემილიას). უკაცრავად.

ემილია. დაჰე, ვალ, დაჰე, ჩემს ქმარს მაინც არ სცალია, გაწეთებში იქეჭება.

ვალენტინი. ისე მართლაც არ იყო თამაშგარე მდგომარეობა.

ემილია. ნამდვილად.

ვალენტინი. არა, მაინც როგორ მიცანი ამ წვერში?

ემილია. ეგ უკვე მკითხე. თვალებით გიცანი. ოდნავ ბინდი კი გადაგვრია, მაგრამ მაინც შენი თვალებია.

ვალენტინი. რა გინდა მაგით თქვა?

ემილია. არაფერი, რა უნდა მინდოდეს.

ვალენტინი. კიდევ კარგი.

ვიქტორი. მეგობრებო, თენდება, ხედავთ, თენდება.

ვასილე. აბა, ყველას გაგვიმარჯოს, ყველას.

გემორბე (შემოდის მარცხნიდან, უკვე გასამგზავრებლად ჩაცმული). ძმებო, რაღაც უქვეყნოდ შევიქენი და უნდა წავიდე. ნუ გეწუინებთ.

ვიქტორი. რას ხულელოვ, დაჩქეი მანდი!

გემორბე. ნახვამდის, ბიჭებო.

ვიქტორი. შენც ერთი, გადაგარი და ყველაფერი გაივლის.

გემორბე. აკი გითხარით, ვერა ვარ-მეთქი კარგად.

კუიპა. გასაგებიცაა, რა გუნებაზე იქნებით, როცა...

ვიქტორი. სსს! ხმა.

გემორბე. აბა, მოშავად შეხვედრამდე.

ვიქტორი. მოშავალი შეხვედრა კი ათი წლის შემდეგ, არა?

გემორბე. კი ბატონო, ათი წლის შემდეგ.

ვიქტორი. სოფია რომ დაბრუნდება, რა ვუთხრათ?

გემორბე (დარცხვენით დახრის თავს). გელოდებათ-თქო.

კუიპა. ახია შენზე!

ვიქტორი. სსს! ხომ გითხარით, გაჩუქდით-მეთქი.

გემორბე. ახია, მაშ რა, მაგრამ ვერ ვძლებ უმისოდ. არ ვიცო, რატომ, მაგრამ ვერ ვძლებ. ეგებ იმითომ, რომ ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, რასაც ვუამბობ, ცხოვრებამ შეჩვია ამ დაეჭვებას.

ვიქტორი. დაბრუნდება, უსათუოდ დაბრუნდება.

ემილია. აბა, როგორ, უბრალოდ ხუფთა შაერზე გავიდა.

გემორბე. ხული მისდიოდა დიდსა და შავ მანქანებზე. ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. რომელიმე დიდ კაცს გაჰყოლოდა, შავმანქანიანს.

ვიქტორი. კი მაგრამ, „გასაკიცხი ფაქტების“ რუბრიკას არ ჰყავს მანქანა?

გემორბე. როგორ არა, მაგრამ „ვილიზი“, ისიც გამორწყული ბენზინით.

ვიქტორი. „მერსედესით“ არ წახულა. ფეხით გაიხეირნა.

გემორბე. ბავშვობაა და მეტი არაფერი. შავი „მერსედესით“ გახეირნება მოუნდა. თუცა მაინც არ უნდა გაეცეთებინა ეს ახლა თქვენ წინაშე: ვინ იცის, რას იფიქრებთ მასზე, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ სოფია კარგი მეუღლეა, მხოლოდ ესაა, შინ მარტოა და ხულ მოწყვნილი... თუ დაველაპარაკები, მხოლოდ იმ ყალბაბანდებზე, ბოროტმოქმედებსა და თაღლითებზე, გარს რომ მახვევია, არადა, მეც რა ვქნა, მთელი ხალაშოები უნდა იმაზე ვიმტვრიო თავი, რაც დღისით მოხდა — გაფლანგვა, გაუბატიურება, ქურდობა... ეს სასამართლო საქმეო, ეს განაჩენიო, რა ვიცო...

ილიანა. ოდესმე ყვავილები თუ მიგიტანიათ მისთვის?

გემორბე. რა ყვავილები?

ილიანა. ჩვეულებრივი ყვავილები, თუნდაც ისეთი, ჩვენ რომ აქ ვაგროვებდით ათი წლის წინ. ხომ იცო, ამქვეყნად ყვავილებიც არსებობს?

გემორბე. აღბათ.

ვიქტორი. ყვავილები შენს რუბრიკაში არ შემოდის, არა, ძმოხილო?

გემორბე. ბიჭებო, ერთი დამალეფინეთ რაზე.

ვალენტინი. ა, ბატონო.

გემორბე. სასაცილო ვარ, არა?

კუიპა. რა თქნა უნდა.

ვიქტორი. სსს. კარგით რა, გაჩუქდით.

კუიპა. მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ქმარი, რომელიც...

ვიქტორი. აღარ გაჩერდებით ბოლოს და ბოლოს? თქვენი ქმარი სადღაა?

კუიკა. სადგურში.

ვიქტორი. აბა, სადგურში, არა? გეორგე, იცო, მე რომ მეიტხო, არ დარს ახლა შენი წახვლა...

გეორგე. ეგებ ვესტიბიულში შევრჩე ერთხანს.

ვიქტორი. არ გეკადრება ეს ამბავი,

გეორგე. შესაძლოა. (გადის).

კეტიკი (შენოდის სახეგაბრწყინებული, გაზეითი ხელში). აბა, სად ბრძანდება ის ვაჟ-ბატონი, რომ დაიყინა. თამაშგარე მდგომარეობა იყო? სად არის? „რომინია ლიბერი“ მოვუტანე. ნახოს ერთი, რას წერს ცენტრალური პრესა.

ოფიცირანტი. სინდისს გეფიცებით, ნამდვილი გოლი იყო.

კეტიკი. ჰა, სად არის ის ტიპი? სად ბრძანდება, ამ პრესას სად გაეჭყევა? ა? ვინ კითხავს, ამ ჩემს სიმწრით გატანილ გოლებს რომ მართმევს?

ემილია. კარგი რა, პეტრე, ჯანდაბას ეგ შენი გოლი, არ წაიღო ტვინი?

კეტიკი. როგორ? ამხანაგი გენერალური დირექტორი ხომ არ გაუშვებს ჯანდაბაში თავის სამინისტროს? ჩემი სამინისტრო კი დანიაში გატანილი გოლია. და ვერც ვერავინ წამართმევს, გასაგებია?

ოფიცირანტი. როგორ თუ წაგართმევთ? ჩემს დღეში ეგეთი დიდებული დარტყმა არ მინახავს, სინდისს გეფიცებით.

ვიქტორი. კარგი, ბატონო, გავიგეთ, რომ გაიტანეთ გოლი. მეტი რა გინდათ ახლა?

კეტიკი. რა მინდა და ის ვაჟბატონი...

ვიქტორი. წავიდა, ბატონო.

კეტიკი. წავიდა არა, განგებ აითესა, ვიცნობ მე მაგისტანებს.

ოფიცირანტი. ნამდვილად, რამდენი კლიენტი გაპარულა ახე, რომ არც გადაუხდია...

კეტიკი (ბუზღუნებს). არა, წარმოგიდგენიათ რა ბიჭია, სოფატიდან დანიაში შენიშნა თამაშგარე მდგომარეობა.

ვიქტორი. აბა, ჭიჭები ყველას სავსე გაქვთ?

მასილე. ყველას.

ილიანა. მაშ დავუდიოთ, ბიჭებო, ბოლო ჭიჭაც და ბოლო ცეკვაც. შემდეგ კი ისევ გაიფლის ათი წელი. აბა, გავიმარჯოთ.

ფარდა

XXII

ვესტიბიული. ისმის, როგორ დაამუხრუჭა ოტელთან მანქანამ. პუიკა და გეორგე შეკრთებიან და კარს მიცვივდებიან. შემოდის იონი. პუიკა შვებით ამოისუნთქავს, გეორგე ისევ ჩაეშვება სავარძელში.

იონი (სიგარეტს მოუვიდებს). რატომ არ მეკითხები რაიმეს? (პუიკა მხრებს იჩეჩავს). პირველი შემთხვევაა, რომ არაფერს მეკითხები, რას უნდა მივაწეროთ ეს ამბავი? (პუიკა ისევ იჩეჩავს მხრებს.) ერთი სიტყვა მაინც დაგცდეს.

კუიკა. როგორ მოგწონს სიგარეტი... ამდენი ხნის შემდეგ?

იონი. დიდი არაფერი შეილია.

კუიკა. ხომ არ გავიდეთ იქით?

იონი. წავიდეთ. ეს აღბათ ბოლო ცეკვა იქნება. (ისმის მანქანის ბმა, გეორგე შეკრთება. მანქანა ჩაივლის, პუიკა და იონი გადიან).

ფარდა

XXIII

ემილია. ვალ, როცა გაიპარხავ, გამომიგზავნე შენი ფოტო, კარგი?

პალენტინი. კი მაგრამ, რატომ უნდა გავიპარხო?

მედილია. აღარაა აღზათ ხაჭაძე.

ვალენტინი. ჰოო? კი მაგრამ, ფოტო რად გინდა?

მედილია. ისე.

ილიანა (შემოდის მარცხნიდან, ხელში ჭიქა უჭირავს). ბატონო ვალენტინ, მხოლოდ თქვენთვის არ მომიჭაბუნებია ჭიქა.

ვალენტინი. კი მაგრამ, რაღა მაინცდაშაინც მე ამომარჩიეთ?

ილიანა უბრალოდ, უველას მივუჭაბუნე და რომ არ გამომჩრჩეთ.

ვალენტინი. ააა, ახლა გასაგებია (მიუჭაბუნება) გაგიმარჯოთ!

ილიანა. ვასილე! (უაბილღ შემოდის). არც შენ დაგიღევია ვალენტინთან.

ვასილე. ჰო, მაგრამ მეშინოდა მასთან მისვლა. ვალენტინის გარდა არც არავის გავხსენებიათ ოდესმე, ათი წლის წინ ჩემზე სტატია დაწერა, მართალია, კედლის გაზეთში, მაგრამ მაინც სტატია ბჭვია. თანაც ოთხი სტრიქონი მოიტანა ჩემი ლექსიდან. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ლექსის ციტირება კაციშვილს არ გახსენებია.

ვალენტინი (მოდუშულად). ამ ხელით უყარე, არა, მაშინ კენჭი?

ვასილე. (უცებ წარმოთქვამს მეათეოდ) შენ კი ამ ხელით დაწერე, არა, ჩემზე, გენიოსი?

ფ ა რ დ ა

XXIV

ფუტბოლი. გეორგი მარტო ზის და ყურს უგდებს მანქანების ბზას.

XXV

საცეკვაო დარბაზი. მთავრდება ტანგო. წყვილები მღუმარედ დგანან. სინათლე თანდათან კრება.

ფ ა რ დ ა

XXVI

დილა. რესტორნის ცარიელი დარბაზი. სკამები მაგიდებზე შეუწყვიტო. ოფიციალტი იატაკს გვის რაფაზე, ფარდის უკან ყვავილების თაიგულს შეამჩნევს. აიღებს, ყურადღებით შეათვალიერებს და ნაგვის ყუთში მოისფრის.

ფ ა რ დ ა





თარგმნა მახტანგ ჯავახიძემ

სიცილი

გაღია ისე დიდხანს იყო გამოკეტილი
რომ გაღიაში ჩიტი გამოიჩეკა

ჩიტი ისე დიდხანს სდუმდა
რომ სიჩუმეში დაჟანგული
გაღია გაიღო

სიჩუმე ისე დიდხანს გაგრძელდა
რომ შავი გისოსების მიღმა
სიცილი გაიხმა

•••

ოგივატალის სიკვდილი

არა! ეს სიკვდილი უეცრად არ მოდის.

იგი არა ჰგავს ჯარისკაცის დაღუპვას,
რომელსაც აფეთქებამ მუშტი დაჰკრა,
ცისკენ ამოატრიალა და მიწაზე დაანარცხა.

იგი არა ჰგავს ბებერი გლეხკაცის სიკვდილს,
მიწას რომ მშვიდად უბრუნდება,
როგორც საკუთარ სახლს.

ერთ მშვენიერ დღეს მოდის იგი,
ერთ მშვენიერ დღეს, რომლის მსგავსიც ბევრი
ნავიდა
და რომლებიც ერთმანეთს ჰგავდნენ
წყლის წვეთებივით.



და ამ დღის სინათლეში
ან ღამის წყვდიადში
ინწყება აგონია.

არა! ეს სიკვდილი არაა უეცარი:
როცა აღარავინ გეყვარება,
როცა აღარავინ გეძულება,
როცა საშუალო გზას გამონახავ
და დღეების დინებას გაჰყვები —
მაშინ დაინწყება...

სიცოცხლის შუაგულში

ქვეყნიერების დაღუპვის შემდეგ
სიკვდილის შემდეგ
სიცოცხლის შუაგულში აღმოვჩნდი
თვითონვე შევექმენ თავი ჩემი
შევექმენ სიცოცხლე
ადამიანები ცხოველები პეიზაჟები

ეს არის მაგიდა ვამბობდი მე
ეს არის მაგიდა
მაგიდაზე დევს პური და დანა
დანით ჭრიან პურს
პურს ჭამენ ადამიანები

დღედაღამ ვქადაგებდი
რომ ადამიანი უნდა გვიყვარდეს
უნდა გვიყვარდეს
მე პასუხს ვაძლევდი ადამიანს

ეს არის ფანჯარა ვამბობდი მე
ეს არის ფანჯარა
ფანჯრის იქით ბაღია
ბაღში მოჩანს ვაშლის ხე
ვაშლის ხე ჰყვავის
ყვავილები ცვივა
ნაყოფი გამოიკვირტა
მწიფდება

მამაჩემი წყვეტს ვაშლს
ის კაცი რომელიც წყვეტს ვაშლს
მამაჩემია

სახლის კარებთან ვიჯექ

ეს დედაბერი
რომელიც თოკით თხას ექაჩება
უფრო აუცილებელია
ვიდრე სამყაროს შვიდივე საოცრება
ვინც ფიქრობს და ვისაც ჰგონია
რომ დედაბერი არაა საჭირო
იგი ჯალათია
ეს არის ადამიანი
ეს ხეა ეს პური

ადამიანები ჭამენ რათა იცოცხლონ
ვიმეორებდი ჩემთვის
ადამიანის სიცოცხლე
მნიშვნელოვანია
ადამიანის სიცოცხლეს აქვს უდიდესი
მნიშვნელობა

ადამიანის ფასი
აღმატება ფასს ყველა იმ ნივთისა
რომელიც შექმნა ადამიანმა
ადამიანი უდიდესი განძია
ჯიუტად ვიმეორებდი მე

ეს არის წყალი ვამბობდი
ტალღებს ხელს ვუსვამდი
და მდინარეს ვესაუბრებოდი
წყალო ვეუბნებოდი
ეს მე ვარ

ადამიანი მიმართავდა წყალს
მიმართავდა მთვარეს

ყვავილებს წვიმას
მარტოვდა მიწას
ფრინველებს
ცას
ცა სდუმდა

მიწა სდუმდა
და თუ მიწიდან წყლიდან და ციდან
მოისმოდა ხმა
ეს იყო ხმა
მეორე ადამიანისა

კორექტურა

სიკვდილი ერთ სტრიქონსაც არ გაასწორებს
სტროფში
ის არც კორექტორი გახლავთ
და არც ყურადღებიანი
რედაქტორია

უკვდავია ცუდი მეტაფორა

უნიჭო პოეტი სიკვდილის შემდეგ
უნიჭო გარდაცვლილი პოეტი იქნება

იძულება აიძულებს სიკვდილის შემდეგაც
სულელი სამარის იქითაც
სისულელებს ლაქლაქებს ისევ.

განხილვა

ნუ შეგრცხვებათ ცრემლებისა
ნუ შეგრცხვებათ ცრემლებისა ახალგაზრდა პოეტებო.

აქეთ-ადიდეთ მთვარე
მოვარიანი ღამე
ბულბულის გალობა
და წმინდა სიყვარული.

ნუ შეშინდებით ცაზე აძვერით
ვარსკვლავებისკენ გაეშურეთ
თვალი გაუსწორეთ ვარსკვლავებს.

აქეთ-ადიდეთ ენძელა
ნარინჯისფერი პეპელა
აისი და დაისი.
ხორბალი დაუყარეთ მტრედებს
გაულიმეთ
ძაღლებს ყვავილებს მარტორქებსა და ორთქლმავლებს.

იკამათეთ იდეალებზე
ხმამალლა წაიკითხეთ „ოდა სიჭაბუკისა“
მიენდეთ ადამიანებს.

გულუბრყვილოებით ერწმუნეთ სოფარულს.
შეშფოთებულებო ირწმუნეთ კაცისა.



ნუ შეგრცხვებათ ცრემლებისა
ნუ შეგრცხვებათ ცრემლებისა ახალგაზრდა პოეტებო.

ათას საძმეში გართულს

ათას
გადაუდებელ საქმეში გართულს
გადამავიწყდა
რომ სიკვდილიც ჩემი საქმეა
მე სულელი
ან არაფრად ვაგდებდი ამ საკითხს
ანდა იოლად
ვუყურებდი
ხვალდან
ყველაფერი იცვლება
წამსაც არ დავკარგავ
დინჯად იმედინად
გულმოდგინედ შევუდგები
სიკვდილს

ქვეყნად ბევრი ადამიანია და
მეტი იქნება მომავალში
ცოტა შევიწროვდით
ადგილი დაგვითმეთ
ძვირფასო კაციჭამიებო
გვედრებით ნუ იყიდით
ყველა ღილს ყველა სანთელს
მაკარონს
ნუ იბუზღუნებთ როცა მიბრუნდებით
მე ჩემი ჩემმა ჩემსას
ჩემი სტომაქი ჩემი შარვალი
ცოლი ჩემი ბავშვები ჩემი
ჩემი აზრი
ძვირფასო კაციჭამიებო
ნუ შეგვახრამუნებთ შევთანხმდეთ
ოქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ
ნკედრები არ ცოცხლდებიან

წერილი კაციჭამიებს

ძვირფასო კაციჭამიებო
ნუ შეჰყურებთ მგლებივით
ადამიანს
რომელიც გთხოვთ
ადგილი დამითმეთო ვაგონში
შეიგნეთ
სხვებსაცა აქვთ ფეხები
და საჯდომი
ძვირფასო კაციჭამიებო
ნუთით მოითმინეთ
ნუ გასრისავთ სუსტებს
ნუ აკრაჭუნებთ კბილებს
შეიგნეთ

თანამედროვე სატრფიალო ლირიკა

ისე კი სითეთრეს
ყველაზე უკეთ ცისფერი გადმოსცემს
ჩიტს ქვა
მზესუმზირებს
დეკემბერი
ძველი სატრფიალო ლირიკა
სხეულის აღწერას წარმოადგენდა
რას არ აღწერდნენ
მაგალითად წამწამებს
ისე კი მეწამული
უნდა გადმოიცეს
ცისფერით მზე წვიმით

ცაყაროები ნოემბერში
ტუჩები ღამით

პურის
პლასტიკურზე პლასტიკური აღწერა
იქნებოდა აღწერა შიმშილისა
შიმშილმა უნდა გვაგრძნობინოს
დანამული დასვრეტილი პურის გული
თბილი წიაღი
მზესუმზირები ღამით
კიბელეს ძუძუები მუცელი ბარძაყები

ანკარა წყაროს
წყლის
აღწერით
შეგიძლია
აღწერო წყურვილი
ფერფლი
უდაბნო
წარმოსახე ფატა-მორგანა
ღრუბლები და ხეები
წყლის სარკეში შემოდიან

სწორედ
შიმშილის შეგრძნება აკლია
ხორცი არ ჰყოფნის
სიყვარულის აღწერას
ანუ თანამედროვე სატრფიალო
ღირიკას

ფარდები ჩემი პიესისა



ფარდები
ჩემი პიესისა
არ იწევას
არ ეშვება
არ ხურავენ
არ ხსნიან
იჟანგება
იხრწნება
იფხრიწება
პირველი რკინისაა
მეორე ძონძებისა
მესამე ქალაქის
ტყაპატყუპით ეცემიან
რიგრიგობით
მაყურებლებისა და
მსახიობების
თავეებზე
ფარდები
ჩემი პიესისა
მიეთრევიან
სცენაზე
მაყურებელთა დარბაზში
გარდერობში
ხოლო
წარმოდგენის დამთავრებისას
ფეხებში იბლანდებიან
კანკალებენ
წუნუნებენ

ვინ არის პოეტი

პოეტი ის არის ვინც ლექსებს წერს
და ისიც ვინც ლექსებს არ წერს
პოეტი ის არის ვინც ამსხვრევს ბორკილებს
და ისიც ვინც ხელ-ფეხს იბორკილებს
პოეტი ის არის ვისაც სჯერა
და ისიც ვინც ვერ იჯერებს
პოეტი ის არის ვინც ცილსა სწამებს
და ისიც ვისაც ცილი დასწამეს
ვინც ეცემოდა
და ვინც დგებოდა
პოეტი ის არის ვინც მიდის
და ისიც ვისაც არ ძალუძს წასვლა



ივანე ჯიუღონისი

ნაწყვეტები წიგნიდან — „ეპიფანიები“

თარგმანი
გიორგი მთელიძის

ლატვიურიდან თარგმნა შადიშან შაჰანაძემ

წინათქმა

კრიტიკოსებმა „ეპიფანიებზე“ თქვეს: ესენი რაღაც ვერ ესხეობენო. შეიძლებოდა ალბათ წიგნს „კაპრიზები“ დარქმეოდა. მაგრამ ცნებაში „კაპრიზი“ უფრო ხშირად ჭირვეულობა იგულისხმება. მე კი ვერ ვიტყვი, რომ ეს წიგნი ჭირვეულობამ დამაწერინა. ისევ „ეპიფანიები“ ვარჩიე სათაურად.

ეპიფანია ბერძნული სიტყვაა — არეკვლას, წარმოჩინებას ნიშნავს. ეპიფანიები ლიტერატურის ისტორიისათვის ჯერჯერობით ვერაა საკმაოდ ცნობილი ჟანრი. მცირე შინაგანი იმპულსა, ასანთის გაკერასავით პატარა ცეცხლი, რომლის ნათელი სულ რამდენიმე წამის განმავლობაშია მკვეთრი და კაშკაშა — აი, რა არის ეპიფანია. ეს იმპულსები ხანდახან წინააღმდეგობრივი ჩანან, მაგრამ წიგნში მათი საერთო მდინარეა უწყვეტია და დაბადებიდან ახლადდაბადებამდე გრძელდება. ნუ შეგაშინებთ სიტყვა — სიკვდილი, ნუ შეგაშინებთ საკუთარ თავთან ომის სიმძიმე, ბოლოს სიცოცხლის რიტმები იმარჯვებს. ამ წიგნის დაწერა ლატვიური ხალხური სიმღერების ოპტიმისტურმა რიტმიკამ ჩამაგონა. კიდევ — თანამედროვე კიბერნეტიკის პრობლემებმა, ძიებებმა სინქრონიზაციისა და ჰარმონიის სფეროებში.

...ჩემი თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო თვითორგანიზებული სისტემები ისეთ სისტემებს უკავშირდება, რომელთაც რიტმი აორგანიზებს“, — თქვა კიბერნეტიკის მამამთავარმა ნორბერტ ვინერმა. ერთი შეხედვით პრიმიტიული ხალხური გადმოცემა კი ასე ამბობს: „თუ თივანი შავი გინდა, ვაცთან თხა ღამით მიიყვანე, თუ თეთრი უფრო მოგწონს — დღისით.“ მოკლედ, რაც იქნება, იქნება.

ივანე ჯიუღონისი

• •

სისხამი დილაა. მზეს ჯერ თვალი არ გაუხელია. დედაჩემს აკვანი არ გადაურწევია. მამა არ გასულა ცხენების დასახედად. კარს უკან სძინავთ ფეხსაცმელებს. კარს უკან ზღურბლებსა და ბილიკებს სძინავთ.

იატაკის ღრიჭოებშია ჯერაც არხეინად თვლებს გუშინდელი დღე. ერთი ამოკვნესა ჭურჭლის სახოცში გახვეულა. ნელ-ნელა იბუუტება კერიის ნაცარში რომელიღაც როყო სიტყვა. ნელ-ნელა გადადის საღამოს ძილი დილის ძილში. და აი, მაგნიტაზე მიგდებულ ქუდს ეღვიძება. ქუდები პირველივე მამლის ყვირლზე იღვიძებენ. ადრეა, ადრე. ქუდები უკვე მესალმებიან საკიდარიდან, მიწვევენ: გამოდი, წასვლის დროაო. მე ჯერ არც კი ვარ. ერთხელაც არ გამივლია. ჯერ არ შევხებივარ კარის სახელურს, არასოდეს მომიღერებია ყელი დილის ცვარ-ნამში. მზე რომ მზეა, იმისთვისაც კი არ მომიკრავს თვალი. ისე, გამიგონია, დილაადრიან ამოანათებს თურმე, მესამე და მეოთხე ყვირლს შორის, თუმცა ზუსტად არც კი ვიცი, შეიძლება სათვალავი ამერია და ცოტა უფრო ადრე, ან ცოტა უფრო გვიან ამოდის მზე. ყოველ შემთხვევაში, საათი ახლოვდება. მამაკაცებმა ხვრინვა შეწყვიტეს. ფარდები ვარდისფერდებიან. მე ვაბიჯებ ჩემს პირველ ზღურბლს. ვაბიჯებ და გამოვდივარ გამოუტანელი, ვერადგენილი ბუნდოვანებიდან პირდაპირ დილის ბურუსში — ეს ჩემი ბავშვობაა. ადრეა, ადრე. მზე ჯერაც არ გამოჩენილა. სველი, ნესტიანი სიგრილეა. ბილიკს ბურუსში შევყავარ. იქ, იმ რძისფერ სითეთრეში პირველად ჭას ვამჩნევ. მაშასადამე, პირველი ბილიკი ჭისკენ მიდის, ზღურბლზე გადავლით — ჭისკენ. ამას ყველაფერს გავიხსენებ: მარცხნივ ცირცელია, მარჯვნივ — ცაცხვი. ბილიკი საკმაოდ აა გადაბეკნილი. კიდე-კიდე, გზის გაყოლებაზე, მწვანე ბალახები წამოქოჩრილან. სხვა გზა ჯერ არსად ჩანს. ამას ყველაფერს გავიხსენებ. ჭაში წყალია. ფრთხილად ვიზრები გვიმის კიდეზე, ჩავცქერ აბრჭყვიალებულ ჭავლებს, ვეძახი: „აა!“ თითქოს მელნგაილის გუნდი მღერისო, ისეთი ხავერდოვანი, ბუბუნა ხმა მიბრუნდება უკან. ჭის თავზე რაღაც უცნაური აკვანი ირწევა — სათლი ქანაობს. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არაა და ვინ იღებს ნეტა ამ სათლით წყალს? ვის რად უნდა წყალი იმ სიღრმეში? სწორედ ამ დროს ოთახის კარები იღება. გამოდის დედა და ამბობს: — მალე ამოვა მზე. მალე მეყოლები ვაჟიშვილი.

• • •
დილდილობით წერეთ ხოლმე. თეთრი პერანგი ჩაიცვით, ბოლომდე შეიკარით გახამებული საყელო, დაჯექით და წერეთ. წერეთ ახალგაზრდობაში. იშვიათად თუ ვინმე ინარჩუნებს სიყვარულს სიბერემდე. თეთრი პერანგი ჩაიცვით და მიწა მოთხარეთ. თეთრი პერანგი ჩაიცვით და დედას ფეხსაცმელები გაუნმინდეთ.

მაშინ ჩაიცვით თეთრი პერანგი, სტუმრად რომ არავინა გყავთ.
განმარტოვდით. მარტომ ისტუმრიავეთ და იმხიარულეთ. „როგორც
კი საკუთარი თავის წინაშე დავრჩი, უსაზღვრო მღელვარებაში
შემიპყრო. თითქოს განსაკუთრებულად სახელმოსხვეჭილ და
თვალსაჩინო პიროვნებათა საზოგადოებაში მოვხვედრილიყავი“
ასე უბრძანებია ერთ ბრძენკაცს.

გამოენწყვეთ თეთრ პერანგში, დაჯექით და წერეთ. ახალგაზრდობისას,
ახალგაზრდობისთვის. ეგაა, სკოლის გუნდში სოპრანოს რომ
მღერის. თეთრი პეპლები გაბაფთვია კიკინებზე, მოდის და თეთრ
ფეხსაცმელებს მოაპაკუნებს.

რალაც მოხდა. თხილის ბუჩქებს რალაც შეემთხვათ. ტოტზე ნეკის
მიკარება და მაშინვე ამტვერდებიან. ადრეც ასე ხდებოდა, განა?
დაცემულხარ, განა, მზის წინ მუხლებზე? აგერ, მე რომ ვარ,
შავტუხა თათრის ბიჭი აი-პეტრის ქარ-თოვლიან მწვერვალზე
ჩაჩოქილი, ასე თუ დაცემულხარ მზის წინ მუხლებზე? გვერდით
გულის სწორი მიდგას. მაყვალა თვალეში მზე უგიზგიზებს,
მხრით მხარზე მომხუტებია.

მზეო! ცისა და ქვეყნის მანათობელო! შენ გაუმარჯვე დუდაჩემსა
და მამაჩემს. იმათ ჩამიდგეს გული. ამ თვალმაყვალა გოგონასადმი
სიყვარულიც იმათგანაა.

დამიმწყალობე დედ-მამა, მზეო! იმათ ჩამიდგეს გული. ამ
შავტუხა ბიჭის შეყვარებაც იმათი მადლია.

ჩვენ თბილი ხელები გვაქვს. ჩვენ ერთმანეთი გავალღვეთ,
გამოვალვიძეთ. ჩვენ თვალი აგვეხილა. დიდხანს ვიქნებით
თვალხილულნი? დიდხანს გასტანს, განა? სანამ გრიგი
სოლვეიგის ზღაპარს უკრავს, სანამ არ დაამთავრებს — მანამდე?
სანამ ორაგულები აღმა ქრიან ამურის დინებას, სათავეების
ცქრილა ნაკადებისაკენ ეშურებიან, რათა იქ, ზემოთ,
ოქროსფერი ქვირითი დასტოვონ ქვიშაში. მანამდე?

შენ გამჭვირვალე თითები გაქვს. მზე მშვენივრად ატანს მათში.
მათში მე მზესაც ვხედავ და შენი სისხლის პულსირებასაც.

სისხლში ოქროს ქვირითი და ვერცხლის ორაგულები მოჩანს.

მერედა როდემდე? დიდხანს გასტანს, განა?

თეთრი, ქათქათა პერანგი ატარეთ. სანამ ახალგაზრდა ხართ, მანამ.
აჩიჩქნეთ მიწა, ჯერ რომ არავის გადაუთხრია, ისე გადათხარ-
გადმოთხარეთ. სამყარო სითბოსაა მოწყურებული.

სიყვარულს იშვიათად თუ ვინმე ინარჩუნებს სიცოცხლის ბოლომდე.
თქვენ თბილი ხელები გაქვთ. ეგერ, მეორეს სულ გათოშვია თითები.
აბა, ვინ ვის იპოვის?

რომელი მიახწრებთ?

ღუთნ

• •

ერთი წუთით გავალ, თუ შეიძლება... ნება დამრთეს და მხოლოდ
შებინდებისას დავბრუნდი. დედისთვის ტყუილი არ მითქვამს, არც

სიტყვის გატეხვა მინდოდა. მაგრამ ისეთს გადავეყარე, დედაც დამავიწყა და მიცემული პირობაც. იგი ჩემზე ღონიერი იყო. ზღვა უფრო ღონიერი იყო. დიუნები უფრო ღონიერი იყვნენ. ვეღარ მოვახერხე მათი ხლართებიდან თავის გამოხსნა. ო, თავისუფლების ჟრუანტელო! შეგრძნებათა შორის პირვანდელიც შენ ხარ და პირველიც!

ყველაფერი დამავიწყდა: შინ რომ უნდა დავბრუნებულიყავი სადილად, გამხმარ ბარდებში ცეცხლის დანთება რომ არ შეიძლება, მომხდურს ცხვირ-პირში რომ არ უნდა მოსდო, როცა სილის პასქას დაგინგრევს. მშვიერი და ჩამოზინზლული მივყანტალდი სალამოთი სახლში.

ფიცილი: მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ-მეთქი. მეორე დღეს კი დილიდანვე ერთი სული მქონდა, სანამ ოთახს თავს დავაღწევდი. ოთახში ყველაფერი ნაცნობი და უინტერესო ჩანდა. — მოწყენილობისგან შეიძლება კაცი გაგიჟდეს-მეთქი, ვფიქრობდი და ოთხკედელშუა გამოკეტილს თავი მებრალებოდა, ჩვენები ქათმებს არ ამწყვდევენ. აგერ, ვუყურებ ახლა, როგორ მიძვრებიან ისინი მეზობლისას. თუ არ გადმოდენე, უკან აღარც გადმოვლენ. თითქოს იქ, მეზობლის ეზოში, სხვანაირი პამიდვრის ველებია, სხვანაირი, განსაკუთრებული ჭიაყელები იცის. რა უნდათ, აბა? რას მიძვრებიან? არადა, მიძვრებოდნენ. იმათი ბალები ქვებს უშენდნენ, უქშევდნენ, ნემსკავზე წამოცმულ პურის გულს უყრიდნენ ასაკენკად, იყო ერთი ამბავი. მაინც მიძვრებოდნენ. ნეტა იმ მაშალმაც ხომ არ იფიქრა, სხვები რომ აიყოლია და პირველი შეფრინდა ყორღზე. — „სულ ერთი წუთითო?“ კი, იქითა მხარეს ჟოლო შეთვალული გახლდათ, ნაყოფი დაბლა, ნისკარტით მისაწვდომზე მწიფდა.

ყვავილნარს, ჩვენთან მავთულით რომაა შემოღობილი, იქ არაფერი ეკრა გარშემო. ჭაც რაღაც უცნაური იყო — ღია მწვანე ფერისა.

წავედი ერთხელ და აღარ დავბრუნდი.

ყინულის ლოლუიდან ჩამოწყდომისას თუ იტყვის წვეთი, — „სულ ერთი წუთითო?“ გასროლილ ისარს თუ შეუძლია, „ერთი წუთით გავფრინდებიო“, — თქვას? ასე წავედი მაშინ.

ასე მიდის ახლა ისიც.

დაუნდობლობაა, არა? ჰო, დაუნდობლობაა. მაგრამ ვაი, რომ

შევცვლი. ვიცი, ზოგი წუთი დღეზე გრძელია, ზოგი დღე — წუთზე მოკლე. მეძნელებოდა ფსკერზე მიმოფანტულ ლოდებთან დარჩენა, მეზარებოდა ფაცერში ყურყუტი — ყოველთვის დინებას მივყვებოდი. ახლა ლოდი თავად მე ვარ. ის კი ჩემს თბილ ფერდზეა ჩამომჯდარი. კაბის კალთები გადმოუფენია და წყალში იყურება. თბილა, მზე ანათებს, ცაცხვები ყვავიან, ის კი ზის და შიშველი ტერფებით წყალს აჭყაპუნებს. მიდის წყალი, მიედინება. თმებსა და თვალებში ირეკლება, ფეხისგულეებზე უღივინებს. იგი მშვენივრად გრძნობს ამას.

აი, წამოდგება ახლა და მეტყვის: „შეიძლება წავიდე, სულ ერთი წამით“... ვიცი, რასაც ნიშნავს ეს „ერთი წამით“. გატოპავს მდინარეს და მეორე ნაპირზე გავა. იქ პეპელაა ყვავილზე დასკრული. აფრინდება პეპელა, აფარფატდება. მერე დაღმა დაჰყვება ნაპირებს, ან პირიქით, დინების საწინააღმდეგოდ გასწიოს ეგებ...
განა სულ ერთი არ არის?

ხომ შეუძლებელია, წვეთი ერთი წუთით მოწყდეს ლოლუას, თოვლი ცას,
ისარი მშვილდს... მხოლოდ ერთი წუთით... ყოვლად შეუძლებელია!

...ირგვლივ შემოუარე, გარშემო... სულ ერთია — ყვავილის გარშემო იქნება თუ ზღვის გარშემო. ყვავილიც ისეთივე დიდია, როგორც ზღვა.

პირდაპირ ნუ კი შეირბენ ზღვაში, ნუ კი შეეხეტები ყვავილში, სულში ნუ კი ჩაუძვრები კაცს, შორიახლო გაჰყევი, გვერდიგვერდ. გარშემო უტრიალე. მის მახლობლად იყავი.

დღისით ზღვა სინათლითაა სავსე. შინათლეს ზეცა აძლევს ხოლმე. ღამდამობით სითბოთია პირთამდე. სითბოს დღე უწილადებს.

ზაფხულის ღამეა. კიდე-კიდე მივყვები ნაპირს. ვგრძნობ, როგორ მელამუნება სახეზე ტალღების თბილი სუნთქვა — ზღვის სიცხოველე.

ზედ სანაპირო ხაზის გასწვრივ მივაბიჯებ განზე ფრთებივით გაშლილი

ხელებით: ცალი ხელი მიწაზე დაფენილ ნისლში მაქვს, ცალი — ზღვის ზემოთ. სწორედ ეს არის, მე რასაც მახლობლად ყოფნას ვეძახი. სიახლოვე-თქო, რომ ვამბობ, ეს არის.

განსაკუთრებით ქარიან ღამეებში მიყვარს ზღვის გარშემო ხეტიალი. სიბნელეა. ტალღები სიბნელიდან მოემართებიან. მესმის, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვხედავ. უცებ წამოიყვრიბენ, აშრიალდებიან, თითქოს მოცინარე კბილების მწკრივიაო, წამით გაკრთება თავთხელის საქორწინებულ თეთრი ზოლი და მაშინვე წყვდიადი ჩამოწვება. აღარც სივრცე ჩანს, აღარც საზღვარი. სანამ ისევ არ გაიელვებს ტალღების თეთრი ზოლი — თეთრი კბილების მწკრივი. ზღვის სიახლოვე.

ზვინი, ან თივის ბუღუღი თუ გიძებნიათ ღამით, მინდორში? მინდვრის

ბნელ წიაღში შესული ხელებს წინ რომ იწვდი და ასე ხელისცეცებით აყურადებ: საიდან მოდისო სითბო? ფრთხილად ადგამ რამდენიმე ნაბიჯს,

უსმენ. კიდეც ერთი ნაბიჯი და ისევ ჩერდები, ისევ უსმენ. თითქოს იმ ბავშვობისდროინდელ თამაშს თამაშობ — დამალულ ნივთს ეძებ და ვიღაცის ხმა მიგანიშნებს:

— თბილა... ცხელა... ცხელა...

აი, მარცხენა მხარეს ააფათურე ხელები და იგრძენი, თივის ზვინივით ვეებურთელს სითბოა მარცხნივ. არა, ჯერ ზვინს უნდა შემოვუარო გარშემო. სანამ თივის სითბოში შევრგავდე თავს, საზღვრები უნდა მოვსინჯო, ნაპირ-ნაპირ უნდა გავყვე, იმ წრენილის გასწვრივ უნდა ვიარო, რომელიც წმინდა მარცხენადად რკალავს გამოსხივებულ სითბოს.

თეფშის კიდზე, ქვაბის წკიპზე მიაბიჯებს მზარეული.

მზარეულისთვის კერძი მარტო სავსე მათლაფა ან პირისკენ გაქანებული

კოვზი როდია. იმასაც კერძი ჰქვია, მათლაფის თავზე რომ სურნელებათა ნამქერი ტრიალებს. ოხშივრის პატარ-პატარა ტაიფუნები

რომ აქროლდებიან სამზარეულოს ბიოსფეროებში — ისიც მზარეულის ხელობაა.

ძალზე მეხამუშება უცხო სახლში თავალერილი შესვლა. ჯერ უნდა შევათვალთვალო. უწინარეს ყოვლისა, აუცილებლად ირგვლივ უნდა შემოვუარო. რომ იცოდეთ, ყველა სახლი ასხივებს; ყველას თავისი ნათელი ადგას — ჯილასავით აქვთ ხოლმე გარშემო. ზოგის გამოსხივება

ისეთი სუსტია, ვერც კი შეამჩნევ, მარტო ფანჯრებთან და კარებთანაც იგრძნობა ცოტათი. სამაგიეროდ ზოგიერთიდან ღვარივით

მოედინება, ხეივნებსა და ლობეებში ატანს, კილომეტრებზე ვრცელდება.

მე სახლს ირგვლივ ვუვლი. იმ უხილავ სამანს მივყვები, რომლის იქითაც სახლის სიახლოვე იწყება. სახლში თუ ფუტკარი ყავთ მოშენებული, გამოსხივება შენ მაშინ თქვი. სადამდეც ფუტკარი მიფრინავს, იქამდე აღწევს. ამგვარი სახლის შემოგარენს დიდი გამოსხივების ველი ჰქვია. ამგვარ ადგილებს სამკურნალო თვისებები აქვთ. მე რომ მკითხო, ყოველ ნაშუადღევს ბავშვებს მივიყვანდი იქ და დავაძინებდი. უფუტკრო სახლები ასე შორს ვერ ასხივებენ. მაინც მივუახლოვდები და ქათმის ქოთქოთი გესმის: კვერცხი დავდეო,

ერთ ამბავშია. ვაყურადებ: რას ამბობს? რას კაკანებს? ვაყურადებ და ყველაფერს მშვენივრად ვხვდები: ვერა, ვერ დაიტოვებდა. სხვისთვისაც უნდა ენახებინა! — ამ სიამაყეს, ამ თბილ სიმრგვლეს, — მართლა ლამაზი და ცინცხალი რომაა, პატარ-პატარა ჭორფლებით მოწინწკლულს, გული რომ აქვს ფორთოხალზე უფრო ყვითელი. ჯერ ფარდულთან ვდგავარ, სახლში არ შევდივარ. ფარდულის წინ შეშა ყრია. ფარდულის წინ ჯერაც ტყის გამოსხივება მეფობს. მაგრამ ნაფოტის სუნი ხომ ხეების უკანასკნელი სიმღერაა: აჰა, სამსხვერპლო ბოლიც მოიფუტება საკვამურიდან.

მახლობელია შაშვისათვის არყის ხე, ნეროსათვის მუხის კენწერო,

სარკმლის წინ აყვავებული იორდასალამისათვის სარკმელი. აბა, აივნისა და მერცხლის სიახლოვე ხომ ძველი ამბავია. მახლობელნი ხდებიან სახლები ჩემთვისაც და პარმალზე ვაბიჯებ.

ბავშვი ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ სულ ახლოსაა.

შენც სულ ახლოს ხარ, სულ მალე მივეახლებით ერთმანეთს.

მიხლა კი არა,

მიახლება-თქო

ახლოს ყოფნა.

სიახლოვე.

* *

სადაური სუფრის წესია, თუ ძმა ხარ, სასმისის გალიცლიცება? სავსე ჭიქას თავზე გადმოუვა. სავსე კათხა ზემოდან გადმოქაფდება. საფუარი ვიყავი და საფუარს გადავეყარე. რა ვუყოთ, რა ჯანდაბა მოვუხერხოთ ერთიმეორეს-მეთქი, — ვფიქრობდით. ფქვილი გვჭირდებოდა

და იმიტომ. უფქვილოდ კაპიკი იყო ჩვენი ფასი. ვიცოდით, საფუარს რომ არავინ ეკარებოდა საჭმელად, ყაცი ლუდს სვამს და პურს აყოლებს, საფუარს რაში შეჭამს. თქვენ-თქვენი ფქვილი იპოვეთ, წყალსა და ფქვილში აიზილეთ და კი ბატონოო, — კაცი ასე ამბობს. არადა, რა სულელი ვიყავი მაშინ. მინდოდა, პირდაპირ უმად შევეხრამუნებინე. სულ თითები ეკვნიტა, ქალაქში რომ ვარ გახვეული, იმ ქალაქდიანად გადავესანსლე.

მეტი და მეტი. ერთთავად მეტი და მეტი. სრულყოფილი და დასრულებული კი არა — აღვსებული, წრეგადასული.

განა ზღვა უზომოდ დიდი არ არის? ამოდენა რომ არ იყოს, აღარც ასე ხელალებით იბობოქრებდა, ნაპირებსაც აღარ ჩამოლლევდა ასე გამეტებით.

მთაც მეტისმეტად მაღალია. მიტომ იბუდებს მარტოობა მთაში. რომელი მთა არ ნატრობს დაპატარავებას? მაშ, უფსკრულები და შვავებად ჩამომსკდარი კლდეები რაღაა?

ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდები ადამიანს, კუთვნილზე მეტი რომელსაც ერგო. გინდა სოფლად, გინდა ქალაქად.

ო, გულისწყრომის მეტისმეტობავ — უგუნურებავ კაცთა! რა დაუოკებელი

რამე ხარ! ასპიტის შხამივით გაგილესია ენა, განუსჯელად ბევრი მოგინდომებია საკუთარი მუშტების შემყურეს.

ახლა, ნამეტან სიყვარულს აღარ იკითხავ? —

ვის რაში არგია? ვის რა ოხრად უნდა? ნამოვიდეს, ნულა ჩამოუნგრია

კარი, ხომ ხედავს, არ უღებენ. ნულა მიაქვს ვარდები, ხომ ხედავს, უკან უყრიან. არაო, მაინც მივუტანო. ნეტაი შენ...

მიაბიჯებს კაცი ქუჩაში. კაცში ქარიშხალი ტრიალებს. მირბი-

მორბიან ტალღები. გასაქცევი არსად აქვთ. არც ჯებირი უჩანთ, არც ნაპირი. ერთი პატარა ლოდი არსად ვდია, ზედ რომ მიენარცხონ

და მიილენონ. არადა, სანამ იქნება კაცი ქარიშხლიან ზღვასავით? მთა მიაბიჯებს ტროტუარზე. მისი წიაღი ოქროთია საფსფ, ათასი მინერალებითა და სიმდიდრეებით, ცხელი წყაროებით, მტკნარ თუ ეტყვის

ბარი: დარჩიო, ნუ წახვალ! ხომ ეხვეწება: „დამკარი, დამანგრე, გადამიქელე მწვერვალებიო“. „მინასთან გამასწორეო“, — ეხვეწება. „შენს მკერდში მინდა თავი ჩავრგოო“. — „გამონველე ჩემი წყაროებიო“. — ასე ეხვეწება.

ეხვეწება, ემუდარება.

მთა მიაბიჯებს ტროტუარზე. ეჭვითაც არავინ იცის, წამისწამ ცეცხლი და ლავა რომ ამოაფრქვიოს, შეიძლება. ქალი მუხლებზე დაეცა, იტყვიან: ღირსება დაუკარგიაო. მამაკაცს ძღვნად თაიგული მიაქვს. უკან უბრუნებენ. წავა მერე, დალევს ჯავრიან გულზე, გამობერბეტდება. იმიტომ, რომ მთა მეტისმეტად დიდია. იმიტომ, რომ ზღვა უზომოდ უზარმაზარია.

რა გახდა მერე ამ ზედმეტობანას მოსპობა?!

სულ ცოტაა საჭირო — ერთი ჯერი ფქვილი საფუარისათვის, ძალაყინი

და ნიჩაბი მთისათვის, ერთი პატარა ლოდი, რომელზედაც ტალღა გადაიმსხვრევა.

* *

თქვენი არ იყოს, დიდად ანაც მე გავუნებივრებივარ ბედს, მეც ბევრჯერ მიგანა სიხარულმა.

ამქვეყნიერ სიამებათა რჩევა-რჩევაში ხშირად უბრალო ხერხი გვაავიწყდება. ადვილი და ყველასათვის ხელმისაწვდომი: დახმარების სიხარული.

სახლიდან პირდაპირ თეთრ გზაზე გამოვედი. დავადექი გზას და მივდივარ. შველა რომ სჭირდება, ისეთ კაცს ვეძებდი. ჯიბეში შვებულების ფული მედო, დრო თავზე საყრელად მქონდა. მოკლედ, ეგ ერთი სურვილი მრჩებოდა ასასრულებელი.

გამოვედი სახლიდან და დავადექი თეთრ გზას. აღარც დაღლას ვჩიოდი, აღარც აღარაფერს. გულით მეწადა, დავხმარებოდი ვინმეს. პირველი, რამაც გამოაცა, ადამიანთა უნდობლობა იყო. ხალხს თურმე არ სჯერა, უანგაროდაც რომ შეიძლება კაცმა კაცს დახმარების ხელი გაუწოდოს. — ასე, არაფრის გულისათვის, მოვიდეს ვილაცა და მოგეხმაროს. უმეტესობა იმწუთას იუარებს: „არ გინდათ, არა... რა საჭიროა... თავად მოვუვლით როგორმე“. ერთი-ორი გახსნილად გეტყვის: „ტყუილად იტკიებ, ძმაო, თავს. ჩემთვის არაფერი მაქვს და შენ რა უნდა გადაგიხადო“. ზოგს ვერ გამოასწრებ. — აბა,

აქედან დამეკარგეო! — ისეთს დაგიღრიალებს, გული გაგისკდება. ამნაირებთან რაღას გააწყობ, შორს დაიჭირო, ის ჯობია.

გეტყვი, როგორც უნდა მოიქცე: სათიბს რომ მიადგებით, მინდვრის ბოლოში ფოცხი ეგდება, აილე და, მოგეხმაროთ მინდა-თქო, განაცხადე. პასუხს ნულარ დაელოდები, პირდაპირ მცდელობებს — მოუდექი ზურგში. სამუშაოდ მთელი ოჯახი თუა გამთხულებული ოჯახში ერთი

გასათხოვარი გოგო თუ მაინც პყავთ, კიდევ არა უჭირს რა, — არ გაუკვირდეთ, ეგება, ახალგაზრდა კაცის გამოჩენა. მაგრამ როცა ასეთი საკენკიც არსად ყრია, შენი ახირებულობა ველარანაირ ლოგიკას

ვერ ემორჩილება. თავიდან ხმას არავინ გაგცემს — ვითომ ცოტაა ქვეყანაზე დამთხვეულიო? მოწყინდება და თავის გზას ნახავსო. დააბულულე თივა ერთგან, მეორეს შეუდექი, — უკვე ცნობისნადილი

გაუკრთათ მზერაში: რას შვება, აღარ მიდისო?

არა, არ მიდის. ღვარეულს ღვარეულზე ეზიდება. მართლა უცნაური ვინმეა! სწორედ ამ დროს ერთ-ერთი იმათგანი — ახალგაზრდა ან ხანში შესული — გამოდის ნათიბიდან და ბურქებისკენ მიემართება. ხედავ, სკაბპუტრიან* თუნგულას რომ იღებს, პირზე იყუდებს და სვენებ-სვენებით სვამს. მაშინვე გაუსაძლისი წყურვილი გეუფლება. ოღონდ ახლა სასმელი შემოგთავაზონ!.. ოღონდ ახლა სასმელი შემოგთავაზონ!.. უკვე გრძნობ, რა სასიამოვნოდ გჭრის კბილებს ცივი, ცქრიალა სითხე. კალიებივით მიხტუნაობენ ბურღულის კორკოტელები, სიმღერ-სიმღერით გადადიან ყელში. — ფიქრი თავბრუს გახვევს. გწყურია, საშინლად გწყურია. შეიძლება თუნგულაში

სულაც ზაპტუდენი** ჰქონდეთ ჩაცმებული. რა ჯობია ყინულისით ზაპტუდენს — განსაკუთრებით, ჭოლოსი თუა! ამასობაში იმ კაცმა დალია და ჭურჭელი ისევ ბურქებში ჩადგა. ახლა მთელი ივლისის ხვატი

შენ გიტრიალებს ენაზე, ხახა გიშრება, შუბლზე ხვითქი გადაგდის. გამწარებული ელი, ცალი თვალთ მაინც შემოგხედოს ვინმემ, ნახოს, როგორ იტანჯები! მნიშვნელოვანი წუთი დგება. ავისა და კარგის შეცნობას, ადამიანთა გულისხმიერების შემოწმებას — ყველაფერს ეს წუთი გადაწყვეტს. დაინახავ, რა ფასიცა გაქვს იმათ თვალში, ხარ თუ არა სკაბპუტრისა და ზაპტუდენის ღირსი. თავად ისინი თუ ღირან პატივისცემად? ახლა იმდენად სიცხე აღარ გაწუხებს, გულს უფრო მოლოდინი გიხეტქავს: თუ შემომთავაზებენო? ვიღაცის ხმა კი დინჯად იტყვის: „სტუმარსაც დააღვინე, ელვირ, კაცი რა ხანია გვეხმარება“. სულმოუთქმელად

* სკაბპუტრა — ეროვნული სასმელია. ქერის ბურღულით, რძითა და წყალგარეული მაწვებით მზადდება.

** ზაპტუდენი — ერთგვარი სასმელი — წყალში გაძრული მურაბა.

ენაფები — ნამდვილი კურზემული სკაბპუტრაა, ქვეყნად რომ
ვერაფერი
შეედრება. სვამ. ფქვილის თეთრი კოშტები მიყოლებით იფანტებიან
სხეულში, მერე ზედ გულის კოვზთან მოიკალათებენ პანია
ანგელოზებივით. ფრთებს იქნევენ, ფრთხილებენ ^{გუფე-უკვე}
თანაბრად
გიცემს, თანაბრად და ლაღად. დაგცინის კიდეც: რა განერვიულებდა,
ნეტა ვიცოდეთ?
მორჩა. მიღებული ხარ. გაგირიეს მარაქაში. ახირებულად, იქნება,
მაინც გითვლიდნენ საქციელს, მაგრამ იგრძნეს კია შენი
გულითადობა.
მთავარი ეგ არის. სამეგობროდ განვდილ ხელზე ხელი არ აგვიკრეს,
სტუმართმოყვარე მასპინძლის მარჯვენა შემოგაგებეს. როცა საქმეს
მორჩებით, შინ მიგიწვევენ, სუფრას გაგიშლიან, გაპურმარილებენ.
ეზოში ძალღი აყუფდება, შეუყვრივ, ხმას ჩააკმენდინებ. თუ
დარჩენას
მოისურვებ, არც ღამის გასათევზე გეტყვიან უარს. მაინცდამაინც
საბძელში, გომურის თაფზე? — კი, ბატონო. აგერ, ლეიბი და საბანი,
გაშალეთ და მოისვენეთ. პასპორტს არავინ მოგთხოვს. სიგარეტი არ
მონიოთ. ცეცხლი არ გაგიჩნდესო, — გაგაფრთხილებენ ალბათ.
გარედან
კრუალების ხმა შემოვა. ქვემოთ ძროხა დაიზმუვლებს. ღამით ისევ
სკაბპუტრის თეთრი კოშტები ჩამოგისხდებიან სასთუმალზე
სიმღერითა
და ფრთების ფარფატიტ. გაგელვიძება, — გაიხედავ — განათებულია
უკვე. ძილში რომ სიმღერა გაგესმოდა — თურმე მამლების ყივილია.
მაგრამ, ვთქვით და, არც არავინ მოგაწოდა სასმელი, იქ, მინდორში,
ფოცხის ტარზე ჩამოყრდნობილს, დასიცხულსა და მწყურვალს.
არავინ
ჩათვალა შენი დახმარება სკაბპუტრის ღირსად. უცხოა იმათთვის
სტუმარმასპინძლობა, შენჩემობის გარდა არა იციან რა, როგორც
მსახურს ისე გიყურებენ, გადამთიელად გთვლიან: ყველა
გამვლელ-გამომვლელს ხომ არ მოვალორწკინებთ ჭურჭელსო.
არაფერია. შენ მაგნაირებსაც გაუგებ. თან ჭკუას ისწავლი. მიდი,
გააგრძელე. გაჰყე შენს გზას. იმას დაეხმარე, ვისაც მართლა
დასჭირდება.

* *

ამას წინათ, შუა ქუჩაში მოძრაობის უსაფრთხოებისთვის ორი
თეთრი
ხაზი რომ არის გავლებული, იმ ხაზებს შორის ხე-რევანდის ბუჩქი
დავრგე. ჩვენთან, ქალაქის ქუჩებში, ყოველთვის გახურებული

მოძრაობა; მითუმეტეს, როცა ცხელა. ასეთ დროს ჰაერიც
 გახურებულია
 და არაქათგამოცლილი გამვლელები ძლივსღა სუნთქავენ. მე ვარ
 მშვენივრად ხე-რევანდის ჩეროში მოკალათებული. თავზე ფართო,
 გრილი ფოთლები დამყურებენ, გამოვცქერი ხალხს — ვაკეფრთხები;
 ყველა ფაციფუცობს, ყველა სადღაც ეშურება. ადგილზე არ ყოფნით.
 დრო არ ყოფნით. ჩქარობენ და იმიტომ. ხანდახან მგონია, გვერდს
 განგებ არ უვლიან, განგებ ეჯახებიან ერთმანეთს. მე, როცა
 მეჩქარება, სწორედ მაშინ არ ვჩქარობ. რატომ უნდა დავეტაკო
 ატომს,
 როცა მოლეკულაში ამოდენა ატომთაშორისი სივრცეა. ამბობენ,
 გალაქტიკას შეუძლია თავისუფლად გაიაროს თავისსავე მასშტაბის
 ვარსკვლავთა სისტემაში. ეს ამხელა მზეები ისე კოხტად აუქცევენ
 მხარს ერთი-მეორეს, თითქოს ბანქოს ქალაქსა ჭრიდეს ვინმე.
 არც მე ვეხები მეზობელ ატომებს. ატომთა შორის მივიკვლევ გზას —
 სიცარიელე ჯერ კიდევ ბლომადაა. ხალხი კი იშვიათად ეძებს
 სიცარიელეს. ჯიკაობს, ეხეთქება, მხარს კრავს. გვეჩქარებო და
 იმიტომ.
 ვზივარ ხე-რევანდის ჩრდილქვეშ. ამეებს ვფიქრობ. მიედინება
 კისერგაოფლილთა ნაკადი. სადღაც დან სადღაც მიეშურება —
 გახურებულ ასფალტზე, გახურებულ სიცხე-პაპანაქებაში. ხომ
 შეეძლო
 თითოეულ იმათგანს, ხე-რევანდის ბუჩქი დაერგო, დამჯდარიყო ასე,
 ჩემსავით, სული მოეთქვა. დრო არ აქვთ... თქვენ? თქვენ თუ
 გიცდიათ? სინჯეთ ერთი...

* *

სურათი საიდუმლო სეიფია. შენიღბული კარებია — კედელზე
 მიხატული
 კი არა, ნამდვილი კარები. სახლში არასდროს არ ვნმენდ ხოლმე
 სურათის ჩარჩოებიდან მტვერს. როგორც კი სტუმრები
 გაიკრიფებიან,
 ჩარჩოს ქვედა წიბოზე ნაფეხურების ძებნას ვიწყებ. ა, ბატონო,
 ერთის ნაკვალევი! მეორე.. მესამე... სულ ცოტა სამი კაცი
 მაინცაა ნამყოფი. პირველი ამძვრალა და ნახატის კიდეში
 დასკუპულა.
 ენეოდა. მერე ადგა, პატარაზე გაიარ-გამოიარა, შესასვლელი რომ
 ვერსად ნახა, უკანვე ჩამობრძანდა. მეორემ, ეგერ, იმ ქვამდე
 მიაღწია. დაეჯაჯგურა კიდეც, გადაბრუნება მოუნდომა,
 მაგრამ ძვრა ვერ უყო. — იქვე, თხუნელას ნაჩიჩქნზე,
 ტვიფრივითაა ჩაბეჭდილი ტერფის კვალი. ფარდულშიც შეუჭყეტია
 ჭუჭრუტანიდან. ვერაფერი უნახავს სახეირო და, ყავა მაინც არ
 გამიცვივდეს ქვემოთო, გამობრუნებულა.

მესამე დიდხანს დადიოდა და ეძებდა. ქვასთან, მარჯვენა მხარეს, მწვანე ფოთოლი გდია. იქ დაუკრავს ფეხი, ქვა გადაუბრუნებია და სადღაც გამქრალა. მოკლედ, როცა ჩვენ პაულ პუტინის „ოქროს ქალღმერთზე“ ვკამათობდით: რაიმე გამოკვეთილი კონცეფცია თუ აქვსო, ის კაცი ჩვენთან აღარ იყო უკვე. კარგა ხანს ვათვალიერე სურათი, იქნება გავერკვე, რომელი გზით დაბრუნდა-მეთქი. კვალი ვერსად ვნახე. თითქოს მიწამ უყო პირობა, გაქრა, დაიკარგა. ყველა საღებავი ადგილზეა, პატარა განაკანრი არსადაა, ჩარჩოზეც არაფერი ჩანს.

მოგვიანებით მისი ცოლი მირეკავს: — იაზები ხომ არ გინახავსო. ვნახე-მეთქი, ვპასუხობ. — მგონი, ისევ სურათშია, ჯერ არ გამოსულა. ცოლი მოდის ჩემთან და ორივენი ერთად ვეძებთ — რომელ ქვის ქვეშ? ვეძახით. ბაიბურიც არსაიდან ისმის. გუშინ ყვავილებს ვრწყავდი ფანჯრის რაფაზე. ვხედავ: სურათში ქვების გროვა რაღაც საეჭვოდ შეინძრა. დავაკვირდი და იაზები არ გამოიჩნუა. „სახლი და ნახატი აგერია, თუ როგორაა შენი საქმე?“ — ვეკითხები. „ვის აერია?“ — გაუკვირდა იაზებს, — „მე ამერია? სურათში თავად ცხოვრობ. ის არ იცი, იმ ფარდულს უკან რა არის. წავედი ახლა, ბარგს მოვიტან. საერთოდ მინდა, იქით გადავიდე საცხოვრებლად... ჩემი ცოლი ხომ არსად გინახავს?“ სამი საათის შემდეგ ისიც, მისი ცოლიცა და ოთხივე ჩემოდანიც ფარდულს მოეფარა. სურათზე აღარ ჩანდნენ. მის მერე რაღაც სულ მოუსვენრად ვარ. რაღაც მანვლებს — ეჭვივით, უსიამო წინათგრძნობასავით. იქნებ, მართლა მე მეშლება? იქნებ, თავად ვცხოვრობ სურათში?

* *

ფოსტაში მივდივარ. დღეს ის პატარა კაცუნა მინდა, გამოგიგზავნო, ადრე რომ ვლაპარაკობდით.

— ასეთი დეპეშის მიღება არ შეგვიძლია, — მითხრეს იქ. — გადანერეთ, გეთაყვა!

ვნერ და ბოლოში ისევ იმ ცეროდენას ვხატავ, ამჯერად დაწოლილს ტელეტაიპის ლენტზე უკეთ რომ მოთავსდეს.

— ძალიან გთხოვთ, იქნებ როგორმე გაგზავნოთ! არაო, მეუბნებიან, ასეთი დეპეშის გაგზავნა არ შეგვიძლიაო.

სადაც არ მივედი, ყველგან „რაო, ბატონო?!“ და „ვერა, გენაცვალე!“ მესმოდა. ბოლოს, კიდევ ერთხელ ვცადე. მოვიკრიბე გამბედაობა და შევეხვეწე:

— ძალიან გთხოვთ, იქნებ როგორმე გაგზავნოთ!

— ასეთ დეპეშას ფოსტა არ ღებულობს.

— კაცუნაში ცალკე გადავიხდი. იქნებ როგორმე...

— კაცუნაში ფულს არ იხდიან. ან უფასოდ გზავნიან, ან არ

გზავნიან საერთოდ. — ვიგრძენი, რომ გამიგო. მიხვდა, რაზეც ვეუბნებოდი.

სერიოზული სახით გამომართვა დეპეშა, საჭირო აღნიშვნები და გაგზავნა. ხომ დარწმუნებული ვარ, კაცუნა ქალაქის ფურცელზევე

დარჩა, მხოლოდ ასოები გამოფრინდნენ შენსკენ. მიუხედავად ამისა, ყველა მანდილოსანს, რომელიც ოდნავ მაინც წააგავს იმ ტელეგრაფისტ

ქალს, ძველი ნაცნობივით ვესალმები. იმ ქალმა მე გამიგო.

ბუნება საგნებს ძალზე ჩახლართულად აკავშირებს ერთმანეთთან.

რამდენი საინტერესო კავშირია ქვეყანაზე! ჩვენ კი რომლებს

ვიცნობთ? ყველაზე მარტივებს და პრიმიტიულებს: ხე — ფესვები —

მიწა. გეგმა — სამუშაო — ხელფასი. ვაჟი — ქალი — ქორწილი —

ბავშვი. უფრო უბრალო: ვაჟი — ქალი — ბავშვი.

— რაზე ფიქრობს დანა?

— პურზე.

— დაჭრაზე.

ხედავთ, რა ნათელი და გასაგებია ყველაფერი!

— რაზე ფიქრობს ნავი?

— ცურვაზე.

— ნიჩბებზე.

ხედავთ, ყველას საკუთარი ფუნქცია აქვს მიჩენილი!

მაგრამ ერთმა ცოტა თავისებურად მიპასუხა:

— რაზე ფიქრობს დანა?

— ელნათურაზე.

— ?

— ელნათურაზე. იფ, რა ქათქათა და ჩამრგვალებულიაო... — თან კმაყოფილებით გაანკლაპუნა ენა.

დგება დრო, როცა საგნებიც ისევე საფუძვლიანად შეიძლება აიჭრას

და აიჩეხოს, როგორც ბანქოს ქალაქი. გაიხედავ — შეცვლილია

წესი და რიგი, არეულია მონასტერი, ისეთი კომბინაციები ეწყობა,

რომლებზედაც წარმოდგენა არ გქონდა. ქუდი, მაგალითად, —

აქამდე ამაყად რომ გაჯდა თავზე, მოულოდნელად გულაღმა

ეცემა და მასში გამვლელ-გამომვლელთა ნაწყალობევი ინწყებს

წყარუნს. ვიღაც კაცი ერთი ტბიდან მეორეში ელექტროტუმბოთი

წყალს ქაჩავს, შენ კი იმ წყალს სათითურით ეზიდები უკან. ჰოდა,

ორივენი თანაბარი ძალისა ხართ. სათითური ჯობნის

ელექტროტუმბოს, ქვა ნებივრად კოტრიალობს

მზის გულზე. აქეთ თვალუფუნა კბილის ჯაგრისი ნაჯახს უხეხავს

კბილებს, ნაჯახი მხიარულად იკრიჭება — იქით, ფოლადის

ხერხს მარტოობა უკლავს გულს.

ეს ყველაფერი მხოლოდ თავიდან გვეჩვენება გაუგებარი.

სინამდვილეში ასეა, ჩვენი თვალთ ვხედავთ, რომ ასეა.

საინტერესო რომაა,

ვერც ამას უარყოფთ. დგება დრო და ჩვენი თვალთ ვხედავთ:
იდუმალი კავშირებია საგნებს შორის. ერთმანეთს რომ ვერაფრით
დაუკავშირებ, ისეთ საგნებს შორის.

* *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოფერება, თავზე ხელის გადასმა. ვიცით, ვიცით რა ხილიცაა.
ჩვენთვისაც გადაუსვიათ თავზე ხელი. პატარები როცა
ვიყავით. ახლაც გვახსოვს. ბავშვს რომ მუხლზე შემოისკუპებ,
თავზე ხელს გადაუსვამ, მიესიყვარულები, საალერსო სახელებს
მოუგონებ — რა არის ამაზე ადვილი? არავითარი პასუხისმგებლობა,
არავითარი უხერხულობა — ბავშვია და მოფერებას ვინ
დაგიშლის?

აბა, მოზრდილ ადამიანს გადაუსვი თავზე ხელი. ბებიას ან ბაბუას.
ბიძაშენს, ავად როცაა. როგორ გგონია? — ცრემლი მოადგება
თვალებზე. ჰო, ტირილს დაიწყებს დარცხვენილი.
იმიტომ, რომ ცეცხლი ახლოს იყო. ცეცხლი ყოველთვის ახლოს იყო.
ალისფრად ელაციცებოდა, გულს უკეთებდა, პირდებოდა. ახლოს იყო
სითბო, აგერ, კედელს იქით. ხანდახან კარის რიკლეშიც
შემოყოფდა ენას.

თავზე ხელი გადაუსვი და გაახსენდა.
ძნელი საქმეა — მოხუცებულს გადაუსვა თავზე ხელი.
კაპიკაპიკობით ძნელია ამაგის გადახდა.





პატარა გოგო

ინგლისურიდან თარგმნეს

ელენე გეგელაშვილმა და ლელი აბულაძემ

პატარა გოგოს იგი ისეთ ადამიანად წარმოედგინა, ვისიც უნდა გეშინოდეს, ვისაც უნდა გაუბოდვო. ყოველდღე, სამსახურში წასვლის წინ იგი შემოდიოდა მასთან საბავშვო ოთახში და უგულოდ კოცნიდა. პასუხად ისმოდა „ნახვამდის მამა“. ოჰ, რა შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე პატარა გოგო, როდესაც ეტლის ბორბლების ხმაური მოესმებოდა და მანამდე უგდებდა ყურს, სანამ სულ არ მიწყდებოდა.

საღამოს, როდესაც მამა შინ ბრუნდებოდა, გოგონა გადაეყრდნობოდა კიბის მოაჯირს და მიაყურებდა.

— ჩაი სასტუმრო ოთახში შემომიტანეთ... რა, ჯერ კიდევ არ მოსულა გაზეთი? თუ ისევ სამზარეულოში გაიტანეთ? ქალო, წადი, ნახე იქ ხომ არ არის გაზეთი და ჩუსტებიც მომიტანე.

— კეზი! — დაუძახებდა ხოლმე დედა. — შენ ხომ კარგი გოგო ხარ, ჩადი ქვემოთ და მამას ფეხსაცმელები გახადე.

გოგონა მაგრად ჩასჭიდებდა ხელს მოაჯირს და ნელ-ნელა ჩავიდოდა ქვემოთ. კიდევ უფრო ნელა გაივლიდა პოლს და ფრთხილად გააღებდა სასტუმრო ოთახის კარს.

მამას უკვე სათვალე ეკეთა და ისე ახედავდა გოგონას, რომ ის შიშით აკანკალდებოდა ხოლმე.

— აბა, გაინძერი, კეზი, გამხადე ფეხსაცმელები და გარეთ დააწყე. დღეს კარგად იქცეოდი?

— ა... ა... არ ვიცი, მამა.

— ა... ა... არ იცი? შენ თუ ენის ბორძიკს არ მოიშლი, დედა ეჭიმთან წაგიყვანს.

სხვებთან გოგონას ენა არასდროს ეშლებოდა — დიდი ხანია გადაეჩნია მამასთან კი... ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ცდილობდა სწორად ელაპარაკა.

— რა მოგივიდა? რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი? ქალო, ნუთუ არ შეგიძლია რამე უთხრა ბავშვს, სულ ცხვირჩამოშვებული რომ დადის? გამომართვი გიჭა. კეზი, და მაგიდაზე დადგი. ოღონდ ფრთხილად, რა ბებრუხანასავით გაკანკალებს ხელები. ცხვირსახოცი კი ჯიბეში უნდა ჩაიდარო, და არა კაბის სახელოში.

— კ... კარგი, მამა.

კვირაობით ეკლესიაში გოგონა მამასთან ერთად იჯდა სკამზე და უსმენდა, რა მაღალ, სუფთა ხმაზე მღეროდა იგი, თან უყურებდა, ქადაგების დროს როგორ წერდა მამა რაღაცას დალეული ლურჯი ფანქრით კონვერტის უკანა მხარეზე; თვალებს ამ დროს ოდნავ ჭუტავდა და ხელს სკამზე უკაცუნებდა. ისე ხმამაღლა ლოცულობდა, რომ კეზი დარწმუნებული იყო, ღმერთს მამაჩემის უფრო კარგად ესმის, ვიდრე მღვდლისაო.

„რა დიდი ხელები და კისერი აქვს მამას, განსაკუთრებით პირი, როცა ამოქნარებს“

როდესაც გოგონა მარტო იჯდა თავის ოთახში და მამაზე ფიქრობდა, გოლიათად წარმოედგინა იგი.

კვირაობით, ნასადილევს, ბებია ჩააცმევდა ყავისფერ ხავერდის კაბას და ქვემოთ, სასტუმრო ოთახში ჩაიყვანდა „მამასთან და დედასთან საბაასოდ“. მაგრამ დედა ამ დროს ყოველთვის უურნალ „სკეჩის“ კითხვით იყო გართული. მამა კი ტახტზე იწვა, სახეზე ცხვირსახოცი ეფარა, ფეხები ყველაზე ლამაზ ბალიშზე ედო და ისე მაგრად ეძინა, მისი ხვრინვა მთელ სახლში ისმოდა.

კეზი წამოსკუპდებოდა პიანინოსთან მდგარ სკამზე და თვალს არ აცილებდა მამას, სანამ იგი არ გაიღვიძებდა და გაიზმორებოდა. შემდეგ მამა იკითხავდა, რომელი საათიაო, და კეზის შეხედავდა.

რას მომჩერებიხარ? პატარა ბუსავით რას დაგიჰყევტია თვალები?

ერთხელ, როდესაც გოგონა გზავნილი იყო და გარეთ არ უშვებდნენ, ბებიამ უთხრა, მომავალ კვირას მამაშენის დაბადების დღე არისო. მერე მშვენიერი, ყვითელი აბრეშუმის ნაჭერი მისცა და ურჩია ქინძისთავეების ბალიში შეეკერა და მამისთვის ვჩუქებინა.

გოგონამ ორმაგი ძაფით გულმოდგინედ გაუკერა ბალიშის პირს სამი მხარე. მაგრამ რითი უნდა გაეტენა?

ბებია ამ დროს ბაღში იყო და გოგონა დედის საძინებელ ოთახში შეცუნცულდა, რომ რაღაც ნაკუწები მოეძებნა. პატარა მაგიდაზე, მამის საწოლთან კეზიმ ქაღალდის თხელი ფურცლები დაინახა. აიღო მაკრატელი, ქაღალდები წვრილ-წვრილად დაჭრა და ბალიში გამოტენა. შემდეგ მეოთხე მხარეც ამოუკერა.

იმ საღამოს, სახლში ერთი აურზაური ატყდა. სადღაც გაჭრა ქაღალდის ფურცლები, რომლებზედაც მამას საზეიმო სიტყვა დაეწერა; ამ სიტყვით უნდა გამოსულიყო თავის გამგეობაში ოფიციალურ შეხვედრაზე. მთელი სახლი გადატრიალეს, მოსამსახურეები დაკითხეს, ბოლოს დედა კეზის ოთახში შევიდა.

— კეზი, ხომ არ გინახავს ქაღალდის ფურცლები პატარა მაგიდაზე მამის საწოლთან?

— როგორ არა, — თქვა გოგონამ, — მამიკოს საჩუქრისათვის დამჭირდა და დავხიე.

— რაო! — წამოიძახა დედამ. — ახლავე ჩადი სასადილო ოთახში. ჰოდა, გოგონა სასადილო ოთახში ჩაიყვანეს, სადაც მამა უკან ხელებ-შემოწყობილი ბოლთას სცემდა.

— აბა, რას იტყვი? — უკმეხად იკითხა მან. დედამ აუხსნა.

უჩინულო
გონულოთქა

მამამ სიარული შეწყვიტა და გაოგნებული მიაშტერდა გოგონას.

— შენ გააკეთე ეს?

— ა... ა... არა. წაიჩურჩულა გოგონამ.

— ქალო, ადი ერთი მაგის ოთახში და ის წყეული რაღაც ჩამომიტანე, გოგო კი ახლავე ლოგინში ჩააგდე.

გოგონა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში იწვა. ცრემლები ახრჩობდა. სიტყვის ამოღებას ვერ ახერხებდა. თვალს აყოლებდა ჩამავალი მზის სხივებს, დარბებში რომ ატანდა ჭუჭრუტანებიდან და სევდიან ნაკვალევს ტოვებდა იატაკზე.

ოთახში მამა შემოვიდა. ხელში სახაზავი ეჭირა.

— ახლა უნდა გცემო, — უთხრა მან.

— ა... არა, ა... არა, მამა! — წამოიყვირა გოგონამ და საბნის ქვეშ მოიკრუნჩხა.

მამამ საბანი გადაადრო.

— დაჯექი, — უბრძანა მან, — და ხელები გამოწიე! ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასწავლო ჭკუა, რომ სხვის ნივთებს ხელი არ ახლო!

— მაგრამ ეს ხომ... შენი დ... დ... დაბადების დღისათვის...

სახაზავმა პატარა ვარდისფერი ხელის გულები აუწვა.

რამდენიმე საათის შემდეგ, შალში გახვეული გოგონა ბებიას ეჯდა კალთაში და მის რბილ მკერდზე ედო თავი.

— ბებია, რატომ არიან გაჩენილი ამქვეყნად მამები? — სლუკუნით იკითხა მან.

— აი შენ სუფთა ცხვირსახოცი, ჩემო პატარა. ნახე, რა კარგი სუნი აქვს, ლავანდის წყლით დავნამე. დაიძინე, გენაცვალე, ხვალ დილამდე ყველაფერი დაგავიწყდება. მინდოდა თვითონ ამეხსნა ყველაფერი მამაშენისთვის, მაგრამ ძალიან ცუდ გუნებაზე იყო ამ საღამოს და ყურით კი არ მათხოვა.

მაგრამ გოგონას არ დავიწყებია. ახლა, როგორც კი თვალს მოკრავდა მამას, ხელებს უკან მალავდა და სახე აელეწებოდა ხოლმე.

მათ მეზობლად, დიდ სახლში მაკდონალდების ოჯახი ცხოვრობდა. მათ ხუთი ბავშვი ჰყავდათ. საღამოობით, ბოსტნის ლობის ჭუჭრუტანიდან პატარა გოგო ხედავდა, როგორ თამაშობდნენ ბავშვები მამასთან ერთად დაჭერობანას. მამა შეისვამდა პატარა მაკს მხრებზე და ხარხარით დარბოდა ყვავილნარის გარშემო, ორი გოგონა კი ცდილობდა დაწეოდა მას და პიჯაკის კალთებზე ებლაუტებოდა. ერთხელ კეზიმ დაინახა როგორ მიუშვირეს ბიჭებმა მამას ყვავილების სარწყავი შლანგი და სულ მთლად გაწუწეს. მამა გაწუწეს! მან კი ხელი სტაცა მათ და ლიტინი დაუწყო. ბავშვები სიცილით იხოცებოდნენ.

კეზიმ იფიქრა, ალბათ სხვადასხვანაირი მამები არსებობენო.

ერთ დღეს დედა ავად გახდა და ბებია ქალაქში წაიყვანა ექლმთ.

პატარა გოგო მოსამსახურე ქალს — ელისს დაუტოვეს. დღეებ/მშვიდად ჩაიარა, მაგრამ საღამოს, როდესაც ელისი კეზის ლოგინში აწვევდა, გოგონა უცებ შიშმა შეიპყრო.

— ცუდი სიზმარი თუ დამესიზმრა? — იკითხა მან. — ნშირად მესიზმრება ცუდი სიზმრები და მაშინ ბებია თავის ლოგინში მაწვენს... მეშინია, როცა ბნელა... ყოველ კუთხეში ვიღაც ჩურჩულებს და ჩურჩულებს... უცებ რომ დამესიზმროს...

— დაწვექი და დაძინე! — უთხრა ელისმა, წინდები გახდა და საწოლის თავზე გადაკიდა. — ძილში არ მორთო ახლა ყვირილი და საწყალი მამაშენი არ გააღვიძო.

მაგრამ გოგონას ისევ ის საშინელი სიზმარი დამესიზმრა: ყასაბი დანითა და თოკით ხელში უახლოვდება. აი უცვე სულ ახლოსაა და საზარლად იღიმება, კეზი კი ადგილიდან ვერ იძვრის...

— ბებია, ბებია! — ყვირის გოგონა.

აკანკალებულმა გაიღვიძა. საწოლთან მამა იდგა სანთლით ხელში.

— რა დაგემართა? — ჰკითხა მან.

— ყასაბი... დანით... ბებიასთან მინდა!

მამამ სანთელი ჩააქრო, დაიხარა, გოგონა ხელში აიყვანა და თავის საძინებელ ოთახში შევიდა.

ლოგინზე გაზეთი იდო; მაგიდის ლამპასთან დატოვებული სიგარა თითქმის ჩამქრალიყო. მან გაზეთი იატაკზე დააგდო. სიგარა ბუხარში ისროლა. მერე ფრთხილად ჩააწვინა გოგონა თავის ლოგინში და გვერდით მიუწვა. კეზი ბურანთან ვერ გამორკვეულიყო, ჭერ ისევ ელანდებოდა ყასაბის საშინელი ღიმილი და მამას ეკვროდა. თავი იღლიის ქვეშ ამოუდო და მაგრად ჩასჭიდა ხელი პიჯამაში.

ახლა სიზნელის აღარ ეშინოდა და ნელ-ნელა დამშვიდდა.

— კეზი, გძინავს? ჩამეხუტე და უფრო მალე გათბები.

დაღლილ მამას მალე ჩაეძინა. უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო პატარა გოგო. საბრალო მამა! არც ისე დიდი ყოფილა... თანაც სულ მარტო დარჩა ახლა... მართალია ბებიასავით რბილი არ არის, მაგრამ ეს სასიამოვნოც კია... მამა ყოველდღე მუშაობს და აბა, სად სცალია, მისტერ მაკდონალდით ეთამაშოს... მან კი დაუხია ის მშვენიერი ნაწერი... გოგონა უცებ გაინძრა და ამოიოხრა.

— რა იყო? — ჰკითხა მამამ. — ისევ რამე დამესიზმრა?

— არა, — უთხრა პატარა გოგომ, — თავი შენს გულზე მიდევს და მესმის როგორ ცემს იგი. რა დიდი გული გაქვს, მამიკო, საყვარელო!

მზა და მთვარე¹



ინგლისურიდან

თარგმნა ხატუნა ახობაძე

უთადლისას სკამები მოიტანეს; ერთი დიდი ურიკა სავსე იყო აყირავეებული. პატარა, ოქროსფერი სკამებით. მერე ყვავილებიც მოიტანეს. აივნებიდან რომ გადახედავდი, ყვავილის ქოთნები უცნაური, საოცრად ლამაზი ქუდები გეგონებოდათ. თითქოს ქუდიანი კაცები მოდიან და გამვლელ-გამომვლელს თავს უკრავენო.

ქუდები ეგონა მთვარეს ისინი.

— შეხედე, იმ კაცს პალმა ახურავს თავზე, — თქვა მან. ის ხომ ვერასოდეს არჩევდა სინამდვილესა და ზღაპარს ერთმანეთისაგან.

არავის ეცალა მათთვის. ძიძა ანის ეხმარებოდა. დედიკოს კაბას დასტრიალებდნენ: კაბა ძალიან გრძელი იყო და ილლიებშიაც უჭერდა. თვითონ დედა კი აქეთ-იქით დარბოდა და წამდაუწუმ ურეკავდა მამას — შიშობდა, რამე არ დაგვავიწყდესო. ერთი წუთის მოცლა არ ჰქონდა. ერთთავად ამას გაიძახოდა: „გზიდან მომეცალეთ, ბავშვებო!“

ბავშვებიც ცდილობდნენ ფეხებში არ მობლანდებოდნენ — ყოველ შემთხვევაში, მზე ცდილობდა. მას არ უყვარდა, როცა თავის ოთახში წააბრძანებდნენ ხოლმე. მთვარეს ეს არ ეხებოდა. თუკი ვინმეს ფეხებში გაეხლართებოდა, ხელში აიტაცებდნენ და მანამდე აბურთავებდნენ, სანამ არ აჭყივლდებოდა. მზე მეტისმეტად მძიმე იყო, ისეთი მძიმე, რომ მსუქანი ძია, კვირაობით სადილად რომ დადიოდა მათთან, ეტყოდა ხოლმე: „აბა, ყმაწვილო, მოდი ერთი ვცადო, იქნებ აგწიო!“ მერე კი ილლიებში ამოსდებდა თავის ცერა თითებს, ცოტა ხანს იწვალებდა, ახვნეშდებოდა, ბოლოს კი ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა: „მართლა ტყვიასავითაა“.

სასადილო ოთახიდან თითქმის მთელი ავეჯი გაიტანეს. როიალი კუთხეში მიდგეს, იქვე ყვავილები ჩაამწყვრივეს ქოთნებით, მერე ოქროსფერი სკამებიც შეიტანეს. კონცერტისათვის ემზადებოდნენ. როდესაც მზემ ოთახში შეიხედა, როიალთან ერთი ფერმკრთალი კაცი იჯდა — არა, კი არ უკრავდა, მხოლოდ და მხოლოდ თითს დაარტყამდა ხოლმე რომელიმე კლავიშს და მერე როიალში იხედებოდა. იარაღის ჩანთა როიალზე ედო, შლაპა კი კედელთან მდგარი

¹ მზე და მთვარე არის ბავშვების სახელები: მზე — ბიჭი, მთვარე — გოგონა.

ქანდაკებისათვის ჩამოეფხატა თავზე. ხანდახან დაკვრას წამოიწყებდა, მაგრამ მაშინვე წამოხტებოდა და შიგ ჩაიხედავდა. არა, არ შეიძლება, ეს კაცი „კონცერტი“ იყოსო, გულს იმშვიდებდა მზე.

სამზარეულოში ყოფნას ხომ ნამდვილად არაფერი სჯობდა მზარეულს ერთი კაცი ეხმარებოდა, თავზე ბლამანუეს მაგვარი ქუდი — ეს უნდა მინის სახე წამოქარხლებოდა და ერთთავად იცინოდა. აღარ ბრაზობდა, თითო ნუშის ნამცვარიც კი მისცა მათ. მერე კი კიღობანზე შესვა; იქიდან უკეთ დაინახავდნენ, რა საოცარ რამეებს ამზადებდნენ ვახშმისათვის. მზარეულს შემოჰქონდა საჭმელები, ის კაცი კი თეფშებზე აწყობდა და ალაპაზებდა. მთელ-მთელი თევზები თავიანად, თვალებიანად და კუდიანად დააღაგა თეფშებზე, არც ნაირნაირი საკმაზი დავიწყებია. ეელეც მორთო, შაშხს რაღაც საყელურის მსგავსი გაუკეთა, მერე კი წვრილი ჩანგალიც ჩაარჭო შიგ. კრემზე ნუში და ორცხობილა მოაბნია. საჭმელებს კი ბოლო არ უჩანდა, შემოჰქონდათ და შემოჰქონდათ.

— ოჰ, თქვენ ხომ ნაყინის პუდინგი არ გინახავთ. — უთხრა მზარეულმა მათ, — აბა, მომყევით.

„ნეტავი რატომ გვექცევა ასე ალერსიანად“, — გაიფიქრა მზემ, როცა მინიმ ხელი მოჰკიდა ორივეს და მაცივარში შეახედა.

ოჰ! ოჰ! ოჰ! რა სანახავი იყო პატარა ვარდისფერი სახლი! სახლს თეთრი, დათოვლილი სახურავი, მწვანე ფანჯრები და ყავისფერი კარი ჰქონდა. კარზე თხილი მიეწებებინათ, ვითომდა სახელურიყო.

თხილს რომ მოჰკრა თვალი, მზე უკვე დაღლილი იყო და მზარეულს მიეყრდნო. — ხელი წამავლებინეთ რა, მხოლოდ თითი დამადებინეთ სახურავზე, — იხვეწებოდა მთვარე და თან ცმუკავდა. ისე ვერ მოისვენებდა, ხელით რომ არ შეხებოდა ყველაფერს. მზეს კი არასოდეს ჰქონია ამის სურვილი.

— აბა, შენ იცი, ჩემო გოგონი, ფხიზლად იყავი, არაფერი დააქლდეს სუფრას. — უთხრა მზარეულმა შემოსულ მოახლეს.

— რა სუფრაა! მინი, მოდი ერთი თვალი შეავლე. — თქვა ნელიმ და ყველანი სასადილო ოთახში გავიდნენ. მზე და მთვარე სულ დაფრთხნენ. მაგიდასთან მისვლასაც კი ვერ ბედავდნენ. კართან იდგნენ და თვალებდაჰყეტილი იყურებოდნენ.

ჯერ კარგად არ დაღამებულიყო, მაგრამ სასადილო ოთახში უკვე ფარდები ჩამოეშვათ და სინათლეები აენტოთ. ელექტრონათურები წითელ შუქს ჰფენდა იქაურობას. აღისფერი ბაფთები და ვარდის კონები მიებათ მაგიდის კუთხეებში, მაგიდის შუაში კი ტბა იყო, ზედ ვარდის ფურცლები ტივტივებდა.

— აი აქ უნდა დაიდგას ნაყინის პუდინგი, — თქვა მზარეულმა.

ხილი ვერცხლის ორ ფრთოსან ლომს ეწყო ზურგზე, სამარილეები — პაწაწინა ჩიტები — წყალს სვამდნენ თასებიდან. ჭიქები სულ ერთიანად ციმციმებდა, თეფშებს, დანებსა და ჩანგლებს კი პრიალი გაჰქონდა. სუფრაზე უხვად იყო საუცხოო საჭმელი. პატარა წითელი ხელსახოცები ვარდებივით მოეკეცათ.

— შესაჭმელადაა ეს ყველაფერი? — იკითხა მზემ.

— მაშ რისთვის იქნება? — გაიცინა მზარეულმა. იცინოდა ნელიც. მთვარემაც გაიცინა, ის ხომ ყოველთვის უფროსებს ბაძავდა. მზეს კი არ ეცინებოდა. ზურგზე ხელებდაწყობილი უვლიდა და უვლიდა სუფრას გარშემო, სანამ მიძამ არ დაუძახათ უეცრად:

— აბა, პატარებო, სწორედ თქვენი დაბანისა და ჩაცმის დროა, — ძიძამ ბავშვების ოთახში აიყვანა ისინი.

როცა ძიძა ტანსაცმელს ხდიდა მათ, დედამ შემოიხედა. მხრებზე/თეთრი რალაცა წამოესხა და სახეზე პუდრს ისვამდა.

— მე დაგირეკავ, როცა დრო იქნება და ჩამოიყვანე ბავშვები ჩამოვლენ, ეჩვენებიან სტუმრებს და ისევ უკან დაბრუნდებიან, — უთხრა ძიძას.

ძიძამ მზეს გახადა ტანზე, თითქმის სულ გააშიშვლა, მერე ჩააცვა წითელი და თეთრი ზიზილებით მოქარგული პერანგი, აჭიმებიანი შარვალი გვერდებზე ზონრებით რომ იკვრებოდა, თეთრი წინდები და წითელი წაღები.

— ახლა შენ რუსივით გაცვია, — უთხრა ძიძამ და ქოჩორზე ხელი გადაუსვა.

— მართლა? — ჰკითხა მზემ.

— ჰო. შენ იმ სკამზე დაჯექი წყნარად, მე კი შენს პატარა დაიქოს ჩავაცმევ.

მთვარის ჩაცმას ხომ საშველი აღარ დაადგებოდა ხოლმე. როცა ძიძამ წინდები ჩააცვა, იგი განგებ გადაგორდა საწოლზე გულადმა და როგორც ყოველთვის, ახლაც ფეხების ქნევა დაიწყო. ძიძა ცდილობდა თითებითა და სველი სავარცხლით თმა კულულებად დაეხვდა მისთვის, მაგრამ მთვარე თავს ატრიალებდა წარამარა და ეხვეწებოდა, შენს გულსაბნევში ჩასმული სურათი მაჩვენეო. როგორც იქნა, ჩააცვა ძიძამ. ძალიან მოუხდა ბეწვით გაწყობილი თეთრი ფარფაშა კაბა. საცვლის ტოტებზე ნაზი მაქმანის არშია ჰქონდა შემოვლებული. თუთრ ფეხსაცმელებზე დიდი პომპონები ეკიდა.

— ესეც ასე, ჩემო ცუგრუმელა, — თქვა ძიძამ. — სწორედ ანგელოზს გავხარ, საპუდრეზე რომ ხატავენ ხოლმე.

ძიძა კარს მივარდა.

— ქალბატონო, ერთი წუთით.

დედა ისევ შემოვიდა. თმა ჩამოშლილი ჰქონდა.

— ოჰ, რა ლამაზია! — წამოიძახა მან.

— ლამაზია, მაშ რა! — თქვა ძიძამ.

მთვარემ ოდნავ განზე გასწია კაბის კალთები და ცალი ფეხი კეკლუცად გააცურა წინ. მზეს დიდად არ ადარდებდა, ყურადღებას მიაქცევდნენ მას თუ არა...

მერე მაგიდასთან დასხდნენ, ერთხანს წყნარად თამაშობდნენ. ძიძა კართან იდგა. როცა ეტლებმა დაიწყეს მოსვლა და დაბლიდან სიცილი და ფუსფუსი მოისმა, ძიძამ ჩურჩულით უთხრათ:

— აბა, ახლა წყნარად დასხედით.

მთვარე ვერ ისვენებდა. სუფრა მოსწია თავისკენ და ლამის მთლად გადაძრო მაგიდას. სუფრის ერთი ბოლო ძირს დაეკიდა. მთვარემ თავი ისე დაიჭირა, თითქოს შემთხვევით მოუვიდა.

როგორც იქნა, დარეკეს ზარი. ძიძა სავარცხლით მივარდა ბავშვებს, მზეს ქოჩორი გადაუვარცხნა, მთვარეს ბაფთა გაუსწორა, მერე კი ორივეს უთხრა, აბა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეთო.

ჩადით დაბლა! წასჩურჩულა მან.

ისინიც ჩავიდნენ. რა სისულელეა მთვარესთან ასე ხელიხელჩაკიდებული

სიარულით, ფიქრობდა მზე, მაგრამ სამაგიეროდ, ეტყობა, მთვარეს მოსწონდა ეს ამბავი. მან ხელი ასწია და მარჯნის სამაჯური შეარხია.

სასტუმრო ოთახის კართან დედა იდგა და შავი მარაოთი ინთავებდა. ოთახი სავსე იყო ქალებითა და კაცებით. ქალებს აბრეშუმის შრუტის კონფეტებით და სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდნენ. კაცები კი შავ-ნაწიკლო კუდიან ფრაკებში იყვნენ გამოწყობილნი — მთლად ხოჭოებს ჰგავდნენ! მამაც მათთან იდგა, ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა და ჯიბეში რაღაცას აჩხარუნებდა.

— ამას რას ვხედავთ! — იყვირეს ქალებმა. — ღმერთო, რა ცუგრუმე-ლები არიან! რა კუდრაკები! რა ლამაზები! რა საყვარლები!

ვინც კი მთვარეს ვერ მისწვდა, ყველა მზეს კოცნიდა; ერთმა გამხდარმა მოხუცმა ქალმა ჩლიფინით თქვა:

— რა სერიოზული პატარა თოჯინაა! — და თავში რაღაც მაგარი ჩაუკა-კუნა.

მზემ ოთახი მოათვალიერა: ის „კონცერტი“ ისევ აქ თუ არისო. მაგრამ „კონცერტი“ წასულიყო. სამაგიეროდ ვიღაც მსუქანი, მელოტი ძია მიყრდნობო-და როიალს და იმ გოგონას ესაუბრებოდა, ვიოლინო რომ ჰქონდა ყურთან მი-დებული.

მხოლოდ ერთი პატარა, ჭაღარა, გრძელუღვაშიანი ძია მოეწონა მზეს ნამდ-ვილად. იგი თავისთვის დადიოდა აქეთ-იქით. ბოლოს მზესთანაც მივიდა, ლამა-ზად გადაატრიალა თვალები, უთხრა, გამარჯობა, ყმაწვილოო, და გაშორდა. მა-ლე ისევ მობრუნდა და ჰკითხა: ძაღლები თუ გიყვარსო. კიო, უპასუხა მზემ, მაგრამ ძია ისევ წავიდა. სად არ ეძება მზემ, მაგრამ ველარ იპოვა. იქნებ გარეთ გავიდა ლეკვის მოსაყვანადო, გაიფიქრა მან.

— ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასებო, — უთხრათ დედამ და შიშველი მკლავები მოჰხვია ორივეს, — გაფრინდით ახლა თქვენს პატარა ბუდეში.

ამ დროს მთვარემ ისევ მოიგიჟიანა თავი, ხელები გაშალა ყველას დასანა-ხად და განაცხადა:

— მე მამიკომ უნდა წამიყვამოს.

ეტყობა, ეს ყველას მოეწონა. მამიკოც მაშინვე დასწვდა და ხელში აიტა-ცა. ასე იცოდა მან ყოველთვის.

ძიძას ისე ეჩქარებოდა მათი დაძინება, რომ მზეს ლოცვაც კი შეაწყვე-ტინა:

— ჩქარა გაათავე, გეყოფა!

ცოტა ხნის შემდეგ ისინი უკვე ლოგინში იწვნენ, ოთახში მხოლოდ მაგი-დის ნათურა ბუუტავდა.

— გძინავს? — ჰკითხა მთვარემ.

— არა, — უპასუხა მზემ. — შენ?

— არც მე, — უთხრა მთვარემ.

კარგა ხნის შემდეგ მზეს გაეღვიძა. თითქოს შხაპუნა წვიმა მოდიოდა, ქვედა სართულიდან ტაში ისმოდა.

მთვარე გადმობრუნდა მზისკენ და ჰკითხა:

— გღვიძავს?

— ჰო, შენა?

— მეც. მოდი, ავდგეთ და კიბიდან გადავხედოთ.

ის იყო მზემ და მთვარემ კიბის ზედა საფეხურზე მოიკალათეს, რომ სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და სტუმრები პოლში გამოვიდნენ. მათ ახლა სასადილო ოთახში გადაინაცვლეს. კარი დაიხურა. მალე საცობების ბატქა/ბუთქი და სიცილი გაისმა. მერე ესეც შეწყდა. მზე თითქოს ხედავდნენ, როგორ უვლიდნენ ზურგზე ხელებდაწყობილი სტუმრები მშვენიერ სუფრაზე, ~~გარშემო~~ უვლიდნენ და თვალს ვერ სწყვეტდნენ. ულვაშა ჭაღარა ძიას ყველაზე მეტად პატარა სახლი მოეწონა. როცა მან თხილი დაინახა, ისევ ისე გადაატრიალა თვალები და მზეს ჰკითხა:

„ამ თხილს ხედავო?“

— ასე ნუ აკანტურებ თავს, — უთხრა მზემ მთვარეს.

— მე კი არა, შენ აკანტურებ.

— არა, მე არ ვიცი, თავის კანტური.

— აჰ, როგორ არა, აი ახლაც აკანტურებ.

— არ ვაკანტურებ. მე მხოლოდ შენ გაჯავრებ.

როცა ისევ გაეღვიძათ. მხოლოდ მამის ხმამაღალი ლაპარაკი და დედის გულიანი სიცილი ისმოდა. მამა სასადილო ოთახიდან გამოვიდა, ერთბაშად რამდენიმე საფეხურს გადაეწვლო და კინალამ ზედ დაეცა მათ.

— ოჰო, — თქვა მან. — ქითი, ~~თუ~~ ღმერთი გწამს, მოდი ერთი, ამათ შეხედე.

დედა ოთახიდან გამოვიდა.

— ოჰ, თქვე ეშმაკებო! — ამოსძახა მათ პოლიდან.

— მოდი, დაბლა ჩავიყვანოთ და რაიმეთი გავუმასპინძლოდეთ, — უთხრა მამამ.

მზეს არასოდეს ენახა მამა ასე მხიარული.

— არა, არ შეიძლება, — თქვა დედამ.

— ჰო, რა, მამაკო, ჩავიყვანე ქვევით! — შეეხვეწა მთვარე.

— არა, არა, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, მაინც ჩავიყვან! — იყვირა მამამ.

— შენ ვერ დამიშლი. ქითი, გზა მომეცი, — და მან ერთ ხელში მზე აიყვანა, მეორეში კი მთვარე.

მზეს ეგონა, დედა ძალიან გაბრაზდებოდა, მაგრამ მოტყუვდა. იგი გულიანად იცინოდა.

— ოჰ, რა საძაგელი ბიჭი ხარ, — თქვა დედამ. მაგრამ ამჯერად ეს სიტყვები მზის მისამართით არ იყო თქმული.

— მოდით, ბავშვებო, მოდით, მიირთვით ნარჩენები, — თქვა გამხიარულებულმა მამამ. მთვარე ცოტა ხანს შეჩერდა.

— დედიკო, კაბა გვერდზე გაქვს მოქცეული.

მართლა? — თქვა დედამ. მამამ დაუდასტურა „ჰოო“ და შიშველ მხარზე დაუპირა კბენა. დედამ ხელი ჰკრა.

ისევ მშვენიერ სასადილო ოთახში დაბრუნდნენ.

მაგრამ — ოჰ! ოჰ! ოჰ! ეს რა მომზდარა! ლენტები და ვარდები სულ დაუხსნიათ. პატარა წითელი ხელსახოცები იატაკზე ყრია, თევზები და ქიქები, პრიალი რომ გაჰქონდა, სულ დაუსვრიათ. საჭმელი, ასე ლამაზად რომ მორთო იმ კაცმა, უშნოდ მიყრილ-მოყრილა სუფრაზე. ძელები, ხის ნაფცქვენი და ნაჭუჭი მიმოფანტულა ყველგან. წაქცეული ბოთლიდან რაღაც სითხე იღვრება სუფ-

რაზე, მაგრამ ეს არავის აღარდებს. შუა მაგიდაზე კი პატარა გარდოსტყორი სახ-
ლი დგას ისევ. სადღა აქვს თეთრად დათოვლილი სახურავი და მწვანე ფანჯრე-
ბი! სახლი ღამის მთლად დამდნარა.

— მოდი, — უთხრა მამამ მზეს, თითქოს ვერაფერი მთვარემ
პიყვამის ტოტები აიწია, მაგიდასთან მიფრატუნდა, სკამზე შედგა და გულის-
გამაწვრილებლად აჰყიპინდა.

— აჰა, ნაყინი შეჭამე ცოტა, — უთხრა მამამ და სახურავის ნარჩენს ცოტა
კიდევ ჩამოაფხიკა.

დედამ პატარა ლამბაქი აიღო და მამას მიაწოდა, მეორე ხელი კი კისერზე
შემოსვია.

— მამიკო! მამიკო! — შეჰყვირა მთვარემ. — პატარა სახელური დარჩე-
ნილა, პატარა თხილი. შეიძლება შევჭამო? — პასუხს აღარ დალოდებია, თხილს
გადასწვდა, კარს მოაძრო და შეახრამუნა.

— მოდი, ჩემო ბიჭუნო, — უთხრა მამამ მზეს.

მაგრამ მზე კარს არ მოსცილებია. უცბად თავი ასწია და ხმამაღლა ატირდა:

— რა საზიზღრობაა, საზიზღრობა!

— ხომ ხედავ! — დედამ უსაყვედურა მამას. — ხომ გითხარი!

— მოშორდი აქედან, — მხიარულების ნატამალიც აღარ ეტყობოდა მამას,

— ამ წუთასვე მოშორდი აქედან.

და მზე ღრიალით წაჩანჩალდა თავისი ოთახისაკენ.





თარგმნა გივი ალხაიშვილმა

ყაიბი

დახტის კლოუნი, მაინც დახტის თუმც მწუხარეა,
გვართობს კლოუნი, გვახარხარებს, ჩვენც გვიხარია.

დახტის კლოუნი, არენაზე დასდევს სინათლეს
და სიცილსა და სიცილს შორის სევდას მიათრევს.

სულს დამწუხრებულს ოსტატურად მალავს ნიადაგ,
როგორც ტიკინა ენარცხება ზოგჯერ იატაკს.

ხარხარებს ხალხი, ვის სცალია, ანდა ვინ არჩევს:
კლოუნის სულში სიცილი თუ სევდა იმარჯვებს.

თუმც გული სტკივა, არ დასცდება კლოუნს ვაიმე,
სიცილ-ხარხარის მარად ბრძოლას გააყაიმებს.

გავა კლოუნი, გაიყოლებს დარბაზის სიცილს,
თურმე კლოუნმა უეცარი მოწყენაც იცის.

შენ ეს ქვეყანა
ყვავილნარი გგონია მხოლოდ...

ჩემო ფუტკარო,
ნუ შეფრინდები მოწყენილი პოეტის სულში...

პოეტის სულიც ყვავილია,
მაგრამ რად გინდა —
ამაოების მომწარო თაფლი?!

მოწამეობა და აზროვნება

♥ ინამდებარე ნაშრომი „მოწამეობა და აზროვნება“, რომელიც არსებითად პლოტინის ეხება, ქრისტიანული მოწამეობისა და აზროვნების საწყისი საუკუნეების დიდ ფილოსოფოსს, დაინერა სამ ნაწილად: I. პლოტინი, II. ღმერთი მოსესი, ღმერთი პლატონისა და სოკრატეს სინდისი. III. ჭერუტა და ცხოვრება. ინამდებარე ნაშრომის „მოწამეობისა და აზროვნების“ პირველი ნაწილი სათაურით: „პლოტინი“ დაიბეჭდა ჟურნალ „განთიადის“ 1977 წლის № 5-ში. პირველი ნაწილი წარმოადგენს კვლევას პლოტინის „ენალების“ ერთ-ერთი ტრაქტატისას, რომელსაც ეწოდება „ჩვენი მფარველი დემონების შესახებ“. „მოწამეობა და აზროვნების“ ავტორი იძლევა ცდას გადმოსცეს მეტაფიზიკური საფუძვლები პლოტინისეული სირცხვილისა ადამიანურ სხეულში ყოფნის გამო. „დემონის“ ცნება პლოტინის ფილოსოფიაში ღმერთთან მაკავშირებელი ძალის, ანუ ქრისტიანულ ენაზე „ანგელოზის“ ცნებას შეესაბამება ერთგვარად და უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანური სულის უკვდავებისა და სულთა გარდასხეულების თეორიასთან. პლოტინის მიხედვით დემონი იმქვეყნიური ორეულია ადამიანისა, მისი მფარველი; ფაქტიურად ეს არის ადამიანის წარმმართველი ზეციური პრინციპი, ზეციური ძალი. მფარველი დემონის კოსმიური კანონზომიერებით, სიკვდილის შემდეგ თვითონ ადამიანი ხდება ის, რაც არის მისი დემონი სიცოცხლეში. იგი (დემონი) „არ არის მთლიანად ჩვენ გარეთ, „სხვაგან“, არამედ გარეთ არის იმდენად, რამდენადაც არ არის ჩვენზე მოჯაჭვული, არ არის ჩამწყვდეული ჩვენში“.

ავტორის მიერ პლოტინისეული გაგება დემონისა სოკრატეს დემონის თავისებურ ანალოგიად არის დასახული.

პირველი ნაწილი ინამდებარე ნაშრომისა თავდება დებულებით, რომ პლოტინის დემონსა და სოკრატეს დემონს შორის ისეთივე სხვაობაა, როგორიც მოსესს გამოცხადების ღმერთსა და იოანეს „აპოკალიფსის“ ღმერთს შორის.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ღმერთი მოსესი, ღმერთი პლატონისა და
სოკრატეს სინდისი

როგორ გვესახება სხვაობა მოსესს ღმერთსა და „აპოკალიფსის“ ღმერთს შორის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით უნდა გამოვლინდეს, უფრო ზუსტად: უნდა მომზადდეს ნიადაგი სოკრატეს დემონისა და პლოტინის დემონის შინაგან თავისებურებათა და სპეციფიკურ სახეთა დასადგენად, რადგან თითოეული მათგანი: სოკრატეს დემონიცა და პლოტინის დემონიც უმაღლეს ღვთაებრივ ძალასთან, ღვთაების ნვდომასთან, მის შემეცნებასთან არიან დაკავშირებულნი. მათი (ე. ი. დემონური) მწკდომე-

ლობითი უნარი განვადგომის განსაზღვრება-დახასიათებაში უნდა შეფასდეს და გამოიკვეთოს.

რას წარმოადგენს ღმერთი მოსესი? როდესაც ლაპარაკია მოსეზე და მოსეს ღმერთზე, პირველ რიგში, წყაროდ იგულისხმება ბიბლიურ წიგნთა ის ნაწილი, რომელიც მოსე წინასწარმეტყველის ავტორობით არის ცნობილი და თავად მოსესა და ებრაელი ხალხის ურთიერთობისადმი მიმართებასა და ისტორიულ-ეპოქალურ ერთადყოფნას შეეხება. ვფიქრობ, მართალნი ვიქნებით, თუ ვაღიარებთ სპეციალისტების ცნობას, რომ ეს წიგნები უფრო ეზდრა წინასწარმეტყველის დაწერილი უნდა იყოს, ვიდრე მოსესი. რადგან მოსეზე მესამე პირშია აქ ლაპარაკი, მთხრობელი თავად მოსე არ უნდა იყოს და, როგორც ჩანს, მოსემ, როგორც საგანმა და ობიექტმა ხსენებული წიგნების შინაარსისა, დასახელებით წიგნებად მოსესი (ანუ მოსეს შესახები წიგნებისა), ავტორობაც გაიგივია თავის თავთან. მაგრამ ჩვენთვის აქ მთავარი ეს არ არის. მოსესია თუ ეზდრასი მოსეს სახელით ცნობილი ბიბლიური წიგნები, ჩვენთვის საინტერესოა ღმერთის მოსესეული განმარტება, რომელიც, ბუნებრივია, ორივე შემთხვევაში მოსეანურ ტრადიციულ სიბრძნეზეა დაფუძნებული და ევროპის ლიტერატურაში ჩვენი ცივილიზაციისათვის, ე. ი. მთელი ადამიანური მოდგმის მიმდინარე ისტორიისათვის ერთ-ერთ უძველეს თეოლოგიურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს ღვთაებრივი ძალისა.

ებრაელი ხალხის ეგვიპტური ტყვეობიდან გამოსხნის, ე. ი. ეგვიპტიდან ებრაელი ერის გამოყვანისა, ანუ მთელი ერის სულიერი მომზადებისა და თავად მხსნელის, ე. ი. წინამძღოლის (მოსეს) ზეციური რწმენით „აღჭურვის“ დროს, საღმრთო წერილის სიუჟეტში (უფრო ზუსტად კი „გამოსვლათა“ წიგნში, რომელიც „შესაქმეთას“ მოსდევს, ფაქტიურად, სამყაროს შექმნის ისტორიას) ჩნდება უხილავი სუბიექტი ბიბლიის „ძველი აღთქმისა“, შთამაგონებელი ძალა როგორც თავად ებრაელი ერისა, ასევე მისი წინამძღოლის, ძალა, რომელიც გაიგივებულია სამყაროს შემოქმედთან და ხსენებულია როგორც ღმერთი, უფალი... თუ „შესაქმეთას“ წიგნში მოცემულია დიალოგი სამყაროს შემქმნელსა და პირველ შექმნილ ადამიანს შორის, ე. ი. უფალსა და ადამს შორის, „გამოსვლათაში“ უკვე ადამისაგან წამოსული მთელი ებრაული კაცობრიობის რჩეულს, მოსეს, მიემართება სიტყვა უფლისა.

თავისი სიბამრის, იოთორის ცხვრების დაშწყმსვის დროს, გაიარა რა უდაბნო და მივიდა რა „მთასა მას ღუთისასა ქორებად, ერუენა მას ანგელოზი უფლისაა ცეცხლითა აღისათა მაყლოვანით გამო, და იხილა ვითარმედ მაყლოვანსა აღატყდების ცეცხლი, და მაყლოვანი იგი არა შეინუების... ვითარცა იხილა ღმერთმან რამეთუ მოვალს ხილვად, უნოდა მას უფალმან მაყლოვანით გამო, და პრქუა: მოსე, მოსე, ხოლო მან პრქუა, რაა არს. პრქუა მას უფალმან: ნუ მოვახლები აქა, წარიხადენ კამლნი ფერხთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანა წმიდა არს და პრქუა მას, მე ვარ ღმერთი მამისა შენისა, ღმერთი აბრაამისი, ღმერთი ისაკისი, და ღმერთი იაკობისი“... (გამოსვლათა, თ. 3.).

ამის შემდეგ იწყება შეგონება მოსესი ღმერთისაგან, რომ დათანხმდეს იგი წინამძღოლობას შეჭირვებული ერისას ეგვიპტიდან გამოსხნაში. ღმერთი პირდება მას, რომ იგი განუყრელ იქნება თან მოსესთან და რომ მოსეა მივლინებული და არჩეული ერისთვის უფლისაგან. მოსეს კითხვაზე „ვინა ვარ მე“ (რომ მე გამოვიყვანოო ძენი ისრაელისანი ეგვიპტიი), უფალი უპასუხებს: „მე ვიყო შენთანა... რამეთუ მე მიგავლინებ შენ“ ე. ი. შენ ისა ხარო, ვისთანაც იქნებაო განუყრელად ღმერთი. შენ ხარო ღვთისაგან თანხლებული, ე. ი. ის, რომელსაც აქვს თანხლება ღმერთისა, ანუ რომელსაც იცავს ღმერთი ამ თანხლებით, აქვს მფარველობა ღმერთისა, მივლინებულია ღვთისაგან, მოციქულია ღვთის. როდესაც თავისი ვინაობა დააზუსტა ღმერთთან, მოსემ მაშინ თავად ღმერთის ვინაობის დაზუსტებაც სცადა.

„პრქუა მოსე ღმერთსა: აჰა მე მივიდე ძეთა ისრაელისათა, და ვრქუა მათ: ღმერთმან შამათა თქუენთან მომავლინა მე თქუენდა და მკითხვიდენ, თუ რაა არს სახელი მისი: რაა ვპრქუა მათ. პრქუა ღმერთმან მოსეს: მეტყუელმან: მე ვარ, რომელი ვარ: და თქუა: ესრეთ არქუ ძეთა ისრაელისათა: რომელი არს, მან მომავლინა მე თქუენდა, და პრქუა ღმერთმან მერმე კუალად მოსეს... ესე არს სახელი ჩემი საუკუნოა და სახსენებელი ჩემი თესლითი თესლამდე“ (გამოსვლ. თ. 3.).

როგორც ვხედავთ, შემკითხველი, მოსე, განიმარტება ღვთისგან, როგორც ღვთისაგან თანხლებული, ღვთის თანყოფნის მქონე, თავისივე მიმავლინებელისაგან განუყრე-

მთელ მანძილზე ერთ-ერთ ეპიზოდში პირდაპირ ემუდარება მოსე უფალს: რახან მიციო და ჩამთვალეო შენ რჩეულად, მეჩვენე კიდევო („მჩვენეო დიდება თავისა შენისა“), მაგრამ უფალი უპასუხებს: „ვერ ძალგის პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ არა არს კაცი, რომელმანცა იხილა პირი ჩემი და ცხოვნდა“... სხვა ეპიზოდებს თავი დაეანებოთ. იქ კიდევ სხვა მხარეები ჩნდება განსამარტავი გამოცხადებისა. მოსეს მიერ პირველი შეხვედრა, პირველი „ცეცხლბილვა“, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის მოსეს ღვთისმშობლების პირველი გამოცხადება („გარე მიიტყია მოსე პირი თვისი: რამეთუ ეშინოდა შინედუა წინაშე ღვთისა“, თ. შ.) და მოსიანური ღვთისმსახურების დასაწყისიც. ამ ხილვის შემდეგ მოსემ მთელი ერისთვის უნდა იქადაგოს ეს ღმერთი, რომელიც იხილა („რამეთუ მე მიგავლინებ შენ, რათა გამოიყუანო ერი ჩემი ქუეყანიო, ეგვიპტით, და მსახურებდნენ ღმერთსა მთასა ამას“), და ერმა უნდა ირწმუნოს ეს სახილვე თუ შევხედავთ ამ ეპიზოდს იმ ერის პოზიციებიდან. რომელსაც ეს სარწმუნოება და ისტორია შეეხება, ყოველივე ეს ასედაც მოხდა. მოსეს გამოცხადებებზე დაშენდა მთელი შემდგომი სჯული ებრაელებისა და რელიგია. მაგრამ სხვა, გარეშე პოზიციებიდან შეიძლება სხვადასხვარივად განვიხილოთ ეს მოვლენა. შეიძლება, მაგალითად, შევეცადოთ და ავხსნათ ეს გამოცხადების აქტი ობიექტური ფსიქოლოგიური პოზიციებიდან, როგორც რაღაც შინაგანი დიალოგი მოსესი საკუთარ თავთან თვითშთაგონების ფსიქოლოგიური რაკურსიდან. მაგრამ ეს პოზიცია ბოლომდე ვერ გაუძლებს ამ ეპიზოდის გაანალიზებას. რადგან თუნდაც ეს იყოს დიალოგი მოსესი თავის თავთან, თავის შინაგან, ღრმად მისტიურ „მესთან“, როგორც ღმერთთან, სულერთია, იგი ისეთ შეორე „პიროვნებად“ არის წარმოდგენილი და იმდენად „სხვად“, რომ მოსეს შინაგან მეობასთან მისი გაიგივება „სხვადმყოფობის“ ატრიბუტს მას ვერ მოხსნის. გარდა იმისა, რომ ეპიზოდებით ძალიან მკვეთრად არის ხაზი გასმული სხვადასხვაობაზე შემკითხველისა და მოპასუხის, რომ შემკითხველი არის მივლინებული, მოპასუხე მიმავლინებელი და თანმხლები მივლინებულისა. იმავე „წერილის“ წინარე წიგნის სიუჟეტში აგრეთვე მოქმედებს ასეთი სუბიექტი და ავტორის განმარტებით ის არის ღმერთი შემოქმედი ეს მიმავლინებელი ღმერთიც მოსესი, ლოგიკურია, აღვიქვათ, რომ რადგან არის ღმერთი, არის სწორედ ის შემოქმედი ღმერთი, რომელმაც სამყარო შექმნა, დემიურგი. ამრიგად იგი ყოველის წინარე და ყოველად წინარე სუბიექტია. ყოველგვარი შექმნილი სინამდვილის წინარე. ყველაფერი მისგან, მის მიერ არის არსებობაში მოსული. ხოლო როგორც ირკვევა, იგი თვითონ არის თავად არსებობა, არსებული თავისთავად („არსებული“ ნაგულისხმევია ასომთავრულით), ანუ „არის“-ი თავისთავად. სამყაროს შემოქმედი აღწერილი და გადმოცემულია ადამიანური ნიშნებით: იგი ხედავს, ფიქრობს, მეტყველებს, მოსწონს და ა. შ. ამრიგად, ცნებითი შინაარსი, როგორც არსებობა თავისთავად, რომელიც შემოქმედი ღმერთის დახასიათებაშია წმინდა წიგნთა დამწერის მიერ გადმოცემული, გახეყულია ერთგვარ პერსონიფიკირებულ სამოსშიც და მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიურად რეალური გამოცხადების სურათში ის არ იხილვება, მაინც ადამიანურ პერსონად გაიანზრება, ადამიანურობად აღიქმება. ამის შესახებ უამრავი განმარტებები იქმნებოდა თეოლოგიაში. რას წიშნავს ასეთი განპიროვნებული გადმოცემა უხილავი და ამ შემთხვევაში უპიროვნო, გამოუთქმელი ღვთაებისა? ჩვენი აზრით, მთელი თეოლოგიური განმარტებების დასკვნით მოსაზრებას ამის შესახებ მშვენიერ ფორმულად აყალიბებს დანტე ალიგიერი თავის „ღვთებრივ კომედიაში“, ზეციური ხელთდასხმის აღწერის დროს: „საღვთო წერილიც დათმობაზე მიტომ წავიდა, კაცთ შემეცნებას შეუგუჯა მოძღვრება თვისი, მიტომ ხელ-ფეხი გამოასხა ქვეყნისა გამჩენს“ („სამოთხე“, IV, 53—55).

ამის წინ კი არის წამდღვარებული პასუხი იმაზე, თუ რატომ „წავიდა დათმობაზე საღვთო წერილი“: „იგი, რაც გრძნობებს ეფონება, ადამიანთა ხელმისაწვდომი ხდება შემდეგ გონებისათვის“, — წერს დანტე (იქვე, 51—52).

ამრიგად, აქ ყველაფერი განმარტებულია: ადამიანის გონებისთვის გრძნობადი რეალობა უფრო მისაწვდომია, ვინემ ზეგრძნობადი. ამიტომ ის, რაც ზეგრძნობადია, ე. ი. თუ მიუწვდომელი არა, ყოველ შემთხვევაში უფრო ძნელად საწვდომი მაინც, საღვთო წერილში მოქცეულია მისაწვდომ წრეში, ანუ კაცთა შემეცნებისათვის უფრო შეგუებად, გრძნობად ფორმაში. ეს გრძნობადი ფორმა ამ შემთხვევაში არის ქვეყნის გამჩენის ადამიანური პერსონიფიკაცია, „ხელ-ფეხის გამოსხმა ქვეყნის გამჩენისათვის“ და სხვა ამგვარ

რი. ეს თეოლოგიური იგავური მეტყველება, რომელსაც, უნდა ვიფიქროთ, რომ თავის დროზეც პქონდა თავისი კანონები, შემდგომ, უკვე რელიგიურადაც ახალ და მისგან დაშორებულ საუკუნეებში, მთელ სპეციალურ სიმბოლიკად იქნა აღქმული და გარკვეული კანონზომიერებები და პრინციპებიც დაიძებნა იმ ტრადიციული სიმბოლური პოეტური იეროგლიფების გასაშიფრად, რომლებიც საღმრთო წერილშიაც იყო ხმარებული, და რომელიც მასზე დაშენებულ ახალ აღთქმაშიც უნდა გადასულიყო საჭიროებისამებრ. ეს საყოველთაო უფლება და საშუალება ლიტერატურულ-ესთეტიკური გადმოცემისა ზეგონით მოვლენათა ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა მარტო როგორც სამოსელი ცნებითი შინაარსისა, ანდა როგორც იარაღი რელიგიური ან თეოლოგიური რწმენითი სინამდვილის გახსნისა, არამედ შინაარსი თავისთავად თავის უკიდურეს უფლებამოსილებაში გამჟღავნებული იმ აუცილებელი საზღვრისა, რომელზე გადაბიჯებაც აღარც ესთეტიკურ სიმბოლიკაში აღარ დაიშვება. კერძოდ, შემოქმედი ღმერთის პერსონიფიკაციის საზღვრისა. რას ვგულისხმობთ ამ საზღვარში? მიუხედავად იმისა, რომ მოსეს გამოცხადებაში უფალი ღმერთი ადამიანურ მეტყველებაშია მოცემული, ადამიანური ფსიქოლოგიაც კი შეიძლება მოვნიშნოთ მის სახეში, იგი არასოდეს არ ჩნდება როგორც ადამიანი. იგი უხილავია ხილვაშიც. ამდენად პერსონიფიკაცია მართლაც ესთეტიკური საშუალებაა, და საქმე სწორედ იმაშია, რომ ღვთაება ესთეტიკური საღებავებითაა პერსონიფიცირებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თეოლოგიურ-ესთეტიკური მეტაფორა, „თეოლოგიური“ იგავი, და ეს საშუალება თავის უკიდურეს გამოვლენაშიც არ ღალატობს ჭეშმარიტებას, რომ ღვთაება მოსეს გამოცხადებაში არ არის პერსონიფიცირებული.

ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა შევხებოდით მოსეანური ღმერთის ფილოსოფიურ შინაარსს, როგორც ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთ მძლავრ წყაროსთან დამაკავშირებელ მოვლენას. მოსეს ღმერთისეულ განმარტებას „მე ვარ, რომელი ვარ“-ისა, რომელიც ეგვიპტურ „მკედართა წიგნშია“ იკითხება, ეგვიპტურ სიბრძნეზე განსწავლულ ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევშიც, ჩვენი ფიქრით, ფუნდამენტური მნიშვნელობა უნდა პქონდეს. საკითხის პარმენიდესეული, ხოლო შემდგომ პლატონისეული დაყენება სინამდვილის არსებობად და არარსებობად გაყოფისა სწორედ მოსეანური ინტერპრეტაციაა სამყაროს განმგებ ღვთაებრივი ძალის არსებობად გაგებისა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო პარმენიდე-პლატონი დასჭირდა „რომელი ვარ“-ის ფილოსოფიურ განმარტებას, რომელიც მთელი ევროპული რელიგიების მარადიული ფილოსოფიური ქვაკუთხედი იყო, არამედ საერთოდ მთელი ფილოსოფია ევროპისა, რომელიც ფაქტიურად აღმოცენდა და განვითარდა როგორც რელიგიურისაგან განსხვავებული და ზუსტი აზროვნება, საკუთრივ ცნებით — აზროვნებითი შემეცნება; თავიდან ბოლომდე, პარმენიდედან მოკიდებული პაიდეგერის ჩათვლით, პარმენიდედან და ევროპულად აღქმული ჯიდუ კრიშნამურტის ჩათვლით, ევროპის ფილოსოფია ეს არის „მე ვარ, რომელი ვარ“-ის მარადიული რელიგიურ-ფილოსოფიური ფორმულის ეტაპური ინტერპრეტაციების ისტორია.

პლატონის ღმერთიც, დემიურგი და მამალმერთი მისი „ტიმაიოსისა“ და „პოლიტიკოსის“, იგივე „მე ვარ, რომელი ვარ“-ია, ოღონდ მისი ცნებითი შინაარსია წამოწეული და სამყაროს მარადიული შრის შემეცნების ფორმაც უფრო ცნებით თვისობრიობაშია აყვანილი. შემთხვევითი არ არის, რომ პლატონს უწოდებდნენ ბერძენთა მოსეს. „ტიმაიოსი“ მართლაც არის განათესავებული „მოსეს“ „შესაქმის“ წიგნებთან და შემდგომ მის პირველ, ფილოსოფიური თვალსაზრისით, არსებობისეულ გამოცხადებასთან, მაგრამ საქმე აქ არ თავდება და არც ამით თავდება. პლატონის მიერ დახატული ღმერთკაცი, ფილოსოფოსი მმართველი მისი იდეალური სახელმწიფოსი, ფაქტიურად პლატონის მიერ ნახილვი თავის სუბიექტურ ფილოსოფიურ ნათელხილვაში, ღმერთი ამქვეყნად, კიდევ ერთი ნაბიჯია მოსეს გამოცხადებაში აღქმული ღვთაების პერსონიფიკაციისაკენ. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ აქ უკვე არის პერსონიფიკაცია ღვთაებისა. პერსონიფიკაცია ჯერ არ არის. მაგრამ ყველაფერია უკვე ამისათვის. პლატონის მიერ ცნებით სისტემაში მოცემული უმაღლესი ძალა სამყაროსი, სამყაროს წარმმართველი, შემქმნელი და წესრიგში მომყვანი, არის უპირველესი და უმაღლესი იდეა სიკეთისა. ე. ი. იგი გონითი ძალაა. პლატონის ეს ფილოსოფიური ცნებითი მონაპოვარი აბსოლუტის განსაზღვრებისა ჯერ კიდევ თეოლოგიურ ესთეტიკაშია გახვეული და მიუხედავად მის ცნობიერებაში უკვე ასახული უტოპიური ღმერთკაცისა, მისი აბსოლუტიც უხილავ გონით ძალად არის დარჩენილი; უფრო მეტიც: იგი რიცხვია, რადგან იგი არის უმაღლესი ერთი. თუ მოსესთან აბსო-

ლუტი გამოცხადებრივი, ე. ი. ზეგონითი გზით არის საწვდომი, პლატონის უმაღლესი იდე-
აც რაღაც ნათელმხილველურ გონიომხილველობაშია აღსაქმელი, „თეორიაში“, რომე-
ლიც ფაქტიურად ცოცხალ ადამიანს კი არ ეძლევა, არამედ უკვე საცოცხლის მდგომიერ
სუბიექტს, სხეულისაგან განთავისუფლებულ ფილოსოფოს შემეცნებელს. ასე რომ, თუ
გამოცხადება მოსესი გარკვეულ ინტელექტუალურ ეგზალტირებულ სიტუაციებში და ერთგ-
ვარ ზეფსიქოლოგიურ განწყობას გულისხმობს, პლატონის შემეცნებელს სხეულის მოხ-
სნითა აქვს მიღწეული იგივე კავშირი უმაღლეს იდეასთან.

ადამიანისა და სამყაროს სტრუქტურა პრინციპულად იგივეობრივია. ისევე როგორც
სამყარო შედგება უმაღლესი გონისა, სამყაროს სულისა და სამყაროს სხეულისაგან, ადა-
მიანის არსებაც შედგება გონისა, სულისა და სხეულისაგან, უფრო ზუსტად: გონითი სუ-
ლისა, შეგრძნებითი სულისა და სხეულებრივი სულისაგან. ადამიანის გონი ნაწილია სამ-
ყაროს გონების, ადამიანის სული სამყაროს სულისა, ადამიანის სხეული სამყაროს
სხეულის, და ამიტომ სხეულისაგან განთავისუფლებული გონი უკვე პირდაპირ კავ-
შირდება თავის საკუთარ შრესთან. მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ ეს არ არის. მიუხედავად
„მე ვარ“-ისა და პლატონის „ტიმაიოსისეული“ დემიურგის ფილოსოფიური და თუნდაც
თეოლოგიურ-ესთეტიკური პრინციპული თანხვედრისა, სამყაროს განმგებელი და შემო-
ქმედი ძალის წიაღი უფრო ღრმად არის ნაწვდომი პლატონთან და მისი შემეცნებული
ადამიანური უნარიც ახლებურად არის ამოტივტივებული. მისი უმაღლესი იდეა სიკეთი-
სა არის ის, რაც არის ყოველად ერთი, მაგრამ თვითონ ეს ერთი თავის არსში, კიდევ უფ-
რო მეტაფიზიკურ რაობაში, აღარც არის ერთი; და ამდენად აღარ არის რა ერთი, უკვე
ფილოსოფოსის ლოგიკით, მეტაფიზიკურ წიაღშივე ერთისა გამოშიგნულია რაღაც ცარი-
ელი ადგილი ერთისა, როგორც არაერთისათვის. ეს, რაც შეეხება საკუთრივ ცნებით ინს-
ტრუმენტებს, რომლის კვლევითი გვირგვინიც არის პლატონის „პარმენიდე“. რაც შეეხება
ისევ თეოლოგიურ ესთეტიკას აბსოლუტისას, ამ არაერთისთვის იქაც არსებობს საკუთარი
სამოსელი: ისევე როგორც ადამიანის სულს გააჩნია თავისი გარდასხეულებანი, პლატო-
ნის მიხედვით, სამყაროულ სულსაც გააჩნია თავისი სამყაროული გარდასახულებანი, სამ-
ყაროული წრებრუნვანი. თავისი დიდი ციკლის დასრულების შემდეგ პლატონისეული სამ-
ყაროს შემოქმედი, უმაღლესი გონი ეთიშება რა თავის სამყაროულ სხეულს, გადა-
დის რაღაც ზეგონით მდგომარეობაში, რომელშიაც იგი ისვენებს. ეს მდგომარეობა არის
ლუთაებრივი დუმილი სამყაროსი: სხვანაირად: სამყაროს ეუფლება ბედისწერა და ქაოსი.
პლატონის თეოლოგია რომ მითოლოგიურად გაგვეღრმავებინა, შეიძლება გვეთქვას, რომ
როცა დემიურგი დუმს, სამყაროს მართავს ბედისწერის ღმერთი. ბედისწერის ღმერთი დე-
მიურგზე მაღლა დგას. ცნებით მეტყველებაში ბედისწერა იგივე გონებაა. რამდენადაც იგი
გონებისწინარე შრეა, მისგან იბადება სამყაროს გონება. მაგრამ რამდენადაც იგი გონე-
ბისწინარეა და აღარ არის გონება, იგი იმ დაფარულ რეალობად ისახება, რომელიც პლა-
ტონის შემდგომმა ფილოსოფიამ შემეცნების საკუთრივ ობიექტად გაიხადა, მაგრამ რომ-
ლის ბედისწერულობაც, ჩვენის აზრით, მაინც დაფარული დატოვა და შემეცნებითადაც და-
ტოვა ჩრდილში. მაგრამ ამას ახლა დროებით თავი დავანებოთ. პლატონთან ამოზიდული
და იგავურად მონიშნული ზეგონითი ყოფიერება, რომელსაც „ბედისწერულით“ მოვიხ-
სენიებთ, ადამიანში, როგორც შემეცნებელში, შესაბამისი მწვდომელობითი უნარის ამო-
მზევებასა და გამჟღავნებას მოითხოვდა. თუნდაც ისეთივე იგავური მონიშნუბით, როგორც
თავად ეს ზეგონითი ყოფიერება იყო მონიშნული.⁴ და ასეც მოიქცა პლატონი. პლატონ-
მა მას (ე. ი. ამ მისტიური, ანუ ყოველად იდუმალი ზეგონითი ყოფიერების, ბედისწერული
ყოფიერების მწვდომელობით უნარს) დაარქვა სიზმარეული გამოცხადება. ეს გამოცხადება
სოკრატეს ხვედრია. ეს გამოცხადება მას ეძლევა როგორც შინაგანი ხმა, ძახილი, მონო-
დება, რჩევა და გაფრთხილება („ფაიდონი“). ხშირად იგი აფრთხილებს თავი დაიცვას ავი
ბედისწერისაგან. იგი აფრთხილებს აგრეთვე ზუსტი არჩევანისათვის, რომელიც ახალგა-
ზრდების დამოწაფებას შეეხება: აიყვანოს სიბრძნეში საწვრთნელად ესა და ეს ჭაბუკი
თუ არა? ეს გამოცხადება მას ეძლევა აგრეთვე როგორც შთამაგონებელი ძალა, მაგალი-
თად: ღვთაებისადმი მიძღვნილი საგალობელი შესხმის შესაქმნელად. მაგრამ ძირითა-
დი მისია ამ გამოცხადებისა, რომელიც იცნობა ყველა სხვა მის სახეში, არის სოკრატესმიე-

⁴ ამ საკითხს ჩვენ უკვე შევეხეთ შრომაში: „ადამიანის არსების საკითხი პლატონის ფი-
ლოსოფიაში“ („ქართ. ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები“, თბილისი, 1967, გამოცე-
მა „მეცნიერება“).

რი მონოდება სოკრატესადმი, რომ ემსახუროს იგი ფილოსოფიის მუზას. — მონოდება შენი სულისა მუსიკაა და იღვანე შენც მისთვის — ჩააგონებს ხმა სოკრატეს და სოკრატე აცხადებს, რომ იგი მთელი სიცოცხლე ასრულებს სწორედ ამ გამოცხადებრივ მონოდებებს. ეს გამოცხადებრივი ხმა, სოკრატესთან შინაგან დიალოგს მართავს და იგი ესახება მას როგორც ვიღაც სხვა, არათვითონ, მაგრამ რომელიც თავის თავის გზით ისმინება. იგი განუყოფელია მასთან. მაგრამ მისი მონანილეობა სოკრატეს ქმედებასა და აზროვნებაში გარკვეულ ეგზალტირებულ, გამოცხადებრივ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. გამოცხადებული თავისი დიალოგით სოკრატესთან იწვევს რაღაც პერსონიფიცირებულ წარმოდგენას, მაგრამ იგი არასოდეს არ ელინდება როგორც რაიმე გარეშე. იგი მუდამ სოკრატეს სულში ბუდობს. ყოველ შემთხვევაში ის გარედან არ მოდის. ან თვლემს მასშივე, ან მღვიძარებს, პლატონი მას სოკრატეს დემონს არქმევს და სოკრატეს საკუთარ ღმერთად სახავს, იმ ღმერთად, რომელმაც ფაქტიურად გამოიწვია სოკრატეს გამოცხადება ორთოდოქსალური ბერძნული სარწმუნოების უარყოფლად და ამ თვალსაზრისით უღმერთოდაც. სოკრატეს არ ეპატია სწორედ სახელმწიფოს ღმერთების უარყოფა და საკუთარი ღმერთის, საკუთარი დემონის აღიარება. ერთი რამ ცხადია, რომ ეს პლატონურ-დემონური გზა სოკრატესთვის მართლაც არის რაღაც ბედისწერული ინფორმაციის მომტანი, ისეთი ცოდნისა და სიბრძნის მომტანი, რომელიც აღარ მოიპოვება გონებით. ამდენად იგი სოკრატეს ეძლევა როგორც რაღაც სიზმარეული და გამოცხადებრივი, მაგრამ რა საერთო შეიძლება ჰქონდეს გამოცხადების ამ ბუნებას მოსეანურ გამოცხადებასთან? მოსეს გამოცხადების ჩვენ მიერ განხილულ ეპიზოდში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ „მაყლოვანსა ზედა“ გამოცხადებული უფალი გონითი ერთია სამყაროსი, ეს ინტერპრეტაცია უნივერსუმისა უკვე ბერძნული ფილოსოფიის დამსახურებაა, მაგრამ ერთი რამ აშკარად არის ამოსაკითხი მოწეს ეპიზოდში, რომ გამოცხადებული სამყაროს შემოქმედთან არის გაიგივებული, ე. ი. სამყაროში გარკვეული წესრიგისა და კანონზომიერების დამდგენთან, რაც ისევ და ისევ სამყაროს გამოცხადებული უფლის გონებასთან იგივეობაზე უნდა მიუთითებდეს. მოსეს გარკვეული აზრითი დიალოგი აქვს ამ შემოქმედთან. ჩვენ შევნიშნეთ, რომ გამოცხადებული არ არის ადამიანურად პერსონიფიცირებული, რის გამოც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მოსეს ეს აზრითი დიალოგი მიმდინარეობს საკუთარ თავთან და საკუთარი თავის გზით. მაგრამ როგორ ხდება, რომ ეს თვითდიალოგი მას ეძლევა როგორც დიალოგი ობიექტურად სხვად არსებულის მიმართ, სხვა ინდივიდუალურ უხილავი სუბიექტის, ცეცხლისა და ზერეალური ნათელის თვალისმომჭრელ გამოვლინებაში მყოფის, და რატომ ცეცხლისა და ნათელის? მოკლედ რომ ვიკითხოთ: რატომ ეძლევა თავისი შინაგანიდან ამოკითხული აზრი სხვად და ობიექტურად განსახიერებულ ზებუნებრივ სინათლედ? აშკარაა, რომ გამოცხადების ამ დიალოგში მოსე იღებს გარკვეულ ახალ აზრს, მისთვის ნათდება რაღაც უხილავი და ჯერ არყოფილი მომავალი, და ნათდება როგორც აზრი: აზრი მისი წინამძღოლობისა და შესაძლებლობა ერის გამოხსნისა. ეს აზრი მისთვის აშკარად პირველად ნათდება და თავისი მონუმენტურობით და ღვთაებრიობით იგი მართლაც ჩაედინება მის სულში როგორც რაღაც დიდი სინათლე საერთოდ ადამიანში. რაღაცის გაგება ფსიქოლოგიურად ყოველთვის არის დაკავშირებული რაღაცის განათებასთან გონებაში. თვით ადამიანურ ნებას აღმატებული აზრის შემოსვლა მართლაც არის ერთგვარად შემაკრთობელი მოსეს გამოცხადების მოცემულ რელიგიურ ცდაშიც. ეს აზრი სწორედ მოსეს ნებას იხმობს. თავისი დამაჯერებლობითა და ქვეშარიტებით იგი იწვევს მოსეს გონებაში და დგება როგორც საბოლოოდ აზრითი ნათელი და აზრითი რწმენა. გამოცხადებაც სწორედ იქ თავდება, როცა ის უკვე ჩადგება როგორც აზრი წინასწარმეტყველის სულში. თავდება როგორც გარეშე მზერა ამ წვისა და ცეცხლისა. ამრიგად, მოსესმიერი ხილვა რაღაც აზრითი ქვეშარიტებისა მართლაც არის მის საკუთარ სულში ამოზიდული სინათლე, მაგრამ რამდენადაც იგი უფლის სიტყვებად არის მონოდებული, უნდა გავიგოთ, როგორც ღვთაებრივი რეალობიდან ამოზიდული. თუ ღვთაებრივ რეალობას, ე. ი. იმას, საიდანაც ეს სიტყვები ამონათდება მოსესთვის, თავისი გამოვლენილით შევაფასებთ, იმით, რითაც ის გამოვლინდა: ეს გამოვლენილი — აზრია, და ისიც (საიდანაც ის გამოვლინდა), აზრითი რეალობა უნდა იყოს. რამდენადაც ეს აზრი გასიტყვებულია, მოსეს ინდივიდუალური შინაგანი გზით უნდა იყოს ის ამოზიდული და გასიტყვებული, რამდენადაც ის გასიტყვებული აზრია, სინათლეა და სინათლედ იღვრება მოსეს სულში, რამდენადაც ამ აზრს გამოცხადებრივი ობიექტური ნათება გააჩნია, იგი აღქმადია მოსეს მიერ როგორც მისი მიღმიერი, მო-

სეს ცნობიერების მიღმა არსებული და მისი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი აზრითი ქვეშარიტება. იგი შემოდის რა მოსეს სულში აზრითად, მისსავე გონით ხედვაში, გამოცხადების დროს გახსნილ მის სულიერ ხილვაში, გონით მზერაში, იგი კიდევ ჩაბრუნდება როგორც ღვთაებრივი, ანდა ანგელოზური ცეცხლოვანი სინათლე. ამდენად იგი ერთდროულად არის მოსეს შიგნით და მოსეს გარეთ. რომ აზრითი ქვეშარიტება ანგელოზური გამოცხადებით ეძლეოდა ადამიანს, ყოველ შემთხვევაში ნმინდა ნიგნების ქრისტეობით ასპარეზზე მოცემული ფაქტობრივი კონსტატაციებით თუ ვიმსჯელებთ, და რომ ეს ქვეშარიტება დაკარგულ იქნა, ცხადად ჩანს იქიდანაც, რომ პირველ საუკუნეში ბერძნულ-იუდეური სამყაროს წარმომადგენელი, ფილოსოფოსი ფილონი უკვე დგება იმ აუცილებელი საჭიროების წინაშე, რომ განმარტოს: ანგელოზები, ანუ ღვთაებრივი ძალები ბიბლიისა იგივე იდეები არიანო, რომ იდეა აზრითი სინამდვილეა, რომ ამის განმარტება ფილონისათვის ძნელი არ არის, ეს ნათელია ყველასთვის. მაგრამ რომ ანგელოზური ძალები იდეები იყვნენ, ამის განმარტება და დაჯერება უკვე სიძნელეს შეიცავდა. სამყაროს ფილოსოფიური შემეცნება უკვე უფრო მეტად გასაგები იყო, უფრო ნათელი, ხოლო თავის დროზე უფრო გასაგებყოფის მიზნით შექმნილი თეოლოგიურ-ესთეტიკური იეროგლიფები კი უფრო გაუგებარი, მიუხედავად იმისა, რომ ამ იეროგლიფების უკან შეიძლებოდა იგივე ქვეშარიტება ყოფილიყო ჩასახლებული, რაც ამჯერად ცნებითად სრულიად გასაგები იქნებოდა.

რიგითი აზრითი გამოცხადებები შემოსული ამ თეოლოგიურ საღებავებში არაერთგზის იყო აღწერილი საღვთო წერილში და არაერთგზის იქნა მოწოდებული ახალ აღთქმაშიც, როგორც მაღლიდან მოსული „ბრძანებანი ჩუენებით“, ანდა პირდაპირი მითითებით: ანგელოზისაგან ნაკარნახევი აზრები, ანგელოზური ნააზრევები (გავიხსენოთ თუნდაც იოსების ჩვენება, რომელთან დაკავშირებითაც, როცა მას უნდოდა განტევათ თავისი ცოლისა, რამეთუ თავად მართალი იყო, „ემა ანგელოზი უფლისაა ჩვენებით გამოცხადდა მას და უთხრა: „იოსებ, იოსებ ცოლი შენი სული ნმინდისაგან არს მიდგომილ“), მაგრამ ყოველივე ეს ცალკეული აზრების, ცალკეული ცნებების ზეციური ინფორმაციებია რელიგიურ პლანებში მოცემული. შეიძლება ითქვას აგრეთვე: ცალკეული იდეების. მაგრამ როდესაც შექცნება ეხებოდა უმაღლეს იდეას, უმაღლესი ერთის გაგებას თავის მთლიანობაში, ცალკეული დანაწევრებული ინფორმაციით გამოცხადებებისა, იგი აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო ნაწვდომი არც თავისთავად, არც თავის არსებაში და ადამიანი ეძებდა თავის სულში კიდევ უფრო ღრმად შემეცნების კიდევ უფრო იდუმალ უნარს და განიცდიდა რა დაუოკებელ მოთხოვნილებას უმაღლესი შემეცნებისას, იგი აღვიძებდა კიდევ თავისში ამ უმაღლესი შემეცნების უნარს.

უმაღლესი ერთი, გონითი ერთი ბერძნული ფილოსოფიისა, თავის საკუთარ არსში უნდა ყოფილიყო ნაწვდომი ქვეშარიტად, ე. ი. თავის ნამდვილ სახეში. ისევე, როგორც ყოველი ცალკეული მოვლენის არსს ბერძნები მის „ფაუსის“-ში ეძებდნენ, საჭირო იყო თავად იმ უმაღლესი ერთის, გონითი ერთის არსიც ეძიათ და ეკვლიათ მის „ფაუსის“-ში, მის ქვეშარიტსა და საბოლოო არსში, რომელიც ან უკვე აბსოლუტური იგივეობა იქნებოდა ამ გონითი ერთისა, ან რაღაც მისტიური იგივეობრივი-სხვაობრიობა, რომელიც თანდათანობრივ საფეხურებად დაღმავალ ღვთაებრივ გამოვლინებაშიც შეიმეცნებოდა, როგორც ერთიანი ღვთაებრივი ბუნების ტრანსცენდენტური პრინციპულობა, ანუ როგორც უმაღლესი ღვთაებრივი ძალის შინაგანი აღნაგობის კანონი: თავის თავის იგივეობრიობის, იგივეობრივ-განსხვავებულობის, და განსხვავებულობის განუყრელი და განუთიშავი მთლიანობა. რამდენადაც სტრუქტურული აღნაგობა ადამიანისა და სამყაროსი პლატონთან თანხვედრით მოდებოდა იყო მოცემული, სამყაროს მეტაფიზიკურ პლანში ჩაფიქრებული ძიება არსისა, უმაღლესი გონითი ერთის კიდევ საკუთარი ბუნება-არსების, უკვე თავისთავად გულისხმობდა ადამიანის აღნაგობაში, მის სულიერ სტრუქტურაში აღიარებული უმაღლესი შემეცნებელი სენაკის მიდამოში კიდევ უფრო მივარდნილი და ბნელი საბადოებისაქენ მიკვლევას, კიდევ უფრო ხელუხლები წიაღებისაქენ შემუშებას.⁶

⁶ ამ საკითხს ეხება ჩვენი წლიური შრომა: ყოფიერების არსის საკითხი პლატონის ფილოსოფიაში. 1967 წ. (იხ. ფილოსოფიის ინსტიტუტის, ქართ. ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების შრომები).

⁷ ახ. ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მითითებული: „ადამიანის არსების საკითხი პლატონის ფილოსოფიაში“.

რას წარმოადგენს არსი ამ გონითი ერთისა?

ზემოთ ჩვენ უკვე მივაღწეით იმ ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას, რომ პლატონის ენაზე მშრალი, ლოგიკური, რიცხვითი მეტყველებით ეს არსი უმაღლესი გონითი ერთისა, ანუ ბუნება ერთისა პლატონთან უკვე არის მიგნებული როგორც არაერთი. პლატონისავე მითოლოგიურ მეტაფიზიკურ ეთიკაში კი იგი გადმოცემულია როგორც ბედნიერა, ბედისწერული ყოფიერება. რა უნარი შეიძლება დაუკავშირდეს ამგვარ დაფარულობას სამყაროში? და პლატონი წამოსწევს აზროვნების გარდა კიდევ ერთ ისეთ იდუმალ ნიჭს ადამიანისას, როგორიც არის წინასწარმეტყველება. აზროვნება ყველა ადამიანშია ნათლად მოცემული. ცხადია, არსებობენ სხვადასხვა რანგის მოაზროვნე ადამიანები, მაგრამ თავისთავად აზროვნება უდაო უნარია ადამიანისა. შედარებით უფრო და ბევრად უფრო ბუნდოვანია ადამიანის წინასწარმეტყველური უნარი. იგი უფრო წინასწარმეტყველურ განცდად აღიქმება, უფრო წინათგრძნობად ეძლევა ადამიანს და ეძლევა გონების მიღმიერ შემეცნებად. ისევე როგორც არსებობენ სხვადასხვა რანგის მოაზროვნე ადამიანები, სხვადასხვა სიღრმისა და აზროვნების, სხვადასხვა საჭრისისა, ასევე არსებობენ სხვადასხვა ძალის წინათგრძნობელობით დაჯილდოებულნი. გულთმისნური ნიჭი წინასწარმეტყველებისა, რამდენადაც იგი უგონო, ე. ი. გონებისმიღმიერი მწვდომელობაა მოკლენებისა და სინამდვილის, პლატონის დროისათვის, როგორც ჩანს, უმეტესად ქურუმ ქალებთან იყო დაკავშირებული. ბიბლიაში, მაგალითად, წინასწარმეტყველნი მამაკაცი არიან, როგორც ნესი. პლატონი ლაპარაკობს დელფოს და დოდონის ქურუმ ქალებზე, მათი წინასწარმეტყველური შემეცნებითი სამსახურის ღირებულებაზე. და ლაპარაკობს წინასწარმეტყველებაზე, როგორც „ადამიანურ გონიერებაზე უფრო მშვენიერ“ უნარზე⁷.

„დელფოს წინასწარმეტყველმა და დოდონის ქურუმმა ქალებმა გონისდამკარგავ წინასწარმეტყველურ თავდავიწყებაში ბევრი რაზ კარგი გააკეთეს ელადისთვის, ცალკეული ადამიანებისა თუ მთელი ხალხებისთვის, მისი გაკეთებაც მათ საღი, გონიერი მდგომარეობის დროს, ცხადია, არ შეეძლოთ“⁸. როგორც ვიცით, უმაღლესი გონითი მწვდომელობა, უღრმესი რანგის აზროვნება, პლატონთან სხეულისაგან სრულ განთავისუფლებასთან არის წილნაყარი. სულის გამჭვირვალებამიღწეული, სხეულის საფარჩამოხსნილი ფილოსოფოსი-შემეცნებელი მზერს ჭეშმარიტებასა და მარადიულ სინამდვილეს. მაგრამ რჩება რაღაც სახეობა ცოდნისა, რომელიც მიიწვდომება არა მხოლოდ სხეულის საფარს ჩამოცილებული, არამედ თავად აზროვნების საფარს ჩამოცილებული შემეცნებელის მიერ. აზროვნებისაგან განთავისუფლება წინასწარმეტყველურ ექსტაზში არის წინასწარმეტყველის ზეგონითი შემეცნება, ანუ, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანის გონიერებაზე უფრო მშვენიერი“ ნიჭის მოძრაობა. დელფოსის ტაძრის შესასვლელში ეკიდა წარწერა ქურუმი წინასწარმეტყველისა: „იცან თავი შენი“. როგორც ჩანს, წინასწარმეტყველთა შემეცნებითი ხარისხები თვითშემეცნების ხარისხებთან იყო დაკავშირებული. თვითშემეცნება ანუ თვითჩაღრმავების ხარისხი სამყაროს ფიზიკურ სინამდვილეზე ამაღლების რანგს მოახწავებდა და საკუთარ თავში ჩაღრმავებული მისანი საკუთარი თავის დაკარგვით, თავდაკარგვისა და თავდავიწყების უკიდურესი მგზნებარებით, თავისი შინაგანი წინასწარმეტყველური მხილვარებით, ამ მხილვარებით აღჭურვილი თვალებით, წინასწარმეტყველურ მისტიურ სხეულს თავისი არსებისას ისეთ სიმაღლეზე ისროდა, საიდანაც ერთნაირად, ერთიანი სინათლით ჩანდა სამყაროს დროსივრცული რეალობა, როგორც მისი წარსული და აწმყო, ასევე მომავალი.

მაგრამ პლატონი უწინარეს ფილოსოფოსის მისიით იყო მოვლენილი. კაცობრიობას ცნებითი სინათლით მოპოვებული ცოდნა სჭირდებოდა თავისი მომავლისა.

უდიდესი გუჟანით ფილოსოფოსისა პლატონი იმეცნებდა სწორედ ღვთაების ეთიკურად გადაჯაჭვულ ძალას ადამიანის მომავალზე, მომავალი კაცობრიობის მამოძრავებელ იმპულსებს, ამიტომ მან თავისი მზერა ყველაზე მეტად მიმართა ღვთაების იმ ბუნებათა შესაცნობად, რომელიც ადამიანის იდეალებს მიესადაგებოდა: სახელდობრ: პლატონმა დასვა მონუმენტური კითხვა მოაზროვნე კაცობრიობის წინაშე: როდის შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანი ბედნიერი და საზოგადოებაც ბედნიერი? — როდესაც იგი სამართლიანი იქნებოდა. ასეთი იყო პლატონის პასუხი. უმაღლესი ღვთაების პლატონური განსაზღვრების უნიკალობა სწორედ ამ სამართლიანობის აბსოლუტიზაციაში მდგომარეობდა. ღმერთი

⁷ ფაიდროსი, 244.

⁸ იქვე, 244.

არის არა მარტო სიკეთე-მშვენიერება, არამედ ღმერთი არის სამართლიანობა. სამართლიანი არის მხოლოდ ღმერთი. ღვთის სამართლიანობა პლატონთან ჭეშმარიტებას უტოლდება. ჭეშმარიტი არის ის, რაც სამართლიანია. სამყარო არის ღმერთის გამოვლენა („ტუთეუ პრონოია“), მაგრამ ღმერთის გამოვლენა პლატონთან სამართლიანობის პლანში ჯერ კიდევ მიზანთან არ არის მისული. ადამიანის ცხოვრება, როგორც პლატონი მიიჩნევს, სამართლიანობის გამოვლენის თვალსაზრისით დღემდე ღვთაებრიობას მოკლებული ფორმით არსებობს. ღვთაებრივი გამოვლენა მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც განხორციელდება მის მიერ ამოკითხული ღვთაებრივი იდეალი ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებისა — იდეალური სახელმწიფო. იდეალური სახელმწიფო კი, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი თანაარსებობის იდეალი, აღსრულდება მაშინ, როდესაც ქვეყანას მოველინება ფილოსოფოსი — ღმერთკაცი. ჩვენ ამ საკითხს შორს აღარ გავყვებით. ჩვენთვის აქ საჭირო იყო მკვეთრად მიგვენიშნებინა იმ არსებით ატრიბუტზე, რომლითაც პლატონმა დაახასიათა უმაღლესი ერთის ბუნება: სამართლიანობაზე. კითხვაზე: რატომ შექმნა ღმერთმა სამყარო? — პლატონი უპასუხებს: კეთილი იყო („ტიმაიოსი“). ხაზგასმით არის ყურადღებასამისაქცევი ის გარემოება აგრეთვე, რომ შემოქმედი („ჰო პოეტეს“) და მამალღმერთი („ჰო პატერ“) პლატონისა არის არა მხოლოდ კეთილი, არამედ სამართლიანობით აღჭურვილი კეთილი. აბსოლუტი არის სამართლიანობასთან გაიგივებული სიკეთე. ამდენად სამართლიანობის გამოვლენა სიკეთესთან ერთად ზღვარდაუდებელია. იგი შინაგანი მოთხოვნილებაა ღვთაებრივი ძალისა, რომ გაიღვაროს სამყაროში რაც შეიძლება სრულყოფილად.

როდესაც ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ პლატონის ერთის ბუნებაზე, მის არსზე, როგორც არა-ერთზე, არაფერი გვითქვამს ერთის ეთიკურ ასპექტზე. ეთიკურ პლანში ერთის არსის საკითხი, ჩვენი აზრით, ფილოსოფიის ისტორიაში პლატონის შემდეგ აღარ დამუშავებულა.

ერთი პლატონისა უმაღლესი სამართლიანობაა — ფილოსოფიურ დახასიათებაში. სამართლიანობაა ეთიკურ-ონტოლოგიური რეალობა უმაღლესი ძალისა. ერთის, როგორც „არსებულის“ პრობლემა, თავის თეოლოგიურ დახასიათებაში — მამალღმერთის ატრიბუტს იძენს პლატონთან, მისი ონტოლოგიური არსი მისტიურია და, შეიძლება ითქვას, პლატონისავე დახასიათებით, რომ ამდენად იგი ზეფილოსოფიურიც ხდება, ზელოგიური, და ამიტომ პლატონთანაც მითოლოგიურ პლანში განაგრძობს გამოხატვასა და გადმოცემას. არსი ერთისა, როგორც უმაღლესი გონითი ერთისა, როგორც ზეერთი, ჩვენ ამოვიკითხეთ როგორც უკვე აღარგონითი, ერთგვარად „მითოლოგიურად“ ღვთაებრივი, ბედისწერული ყოფიერება. შესაძლებელია ახლა წავუერთოთ, რომ ჩვენ ამოვიკითხეთ ბედისწერულობა როგორც არსი უმაღლესი სამართლიანობისა. ადამიანის უმაღლესი მწვდომელობითი ნიჭი, გონითი მწვდომელობა თუ მისადაგისი და საკმარისი შეიძლება იყოს სამართლიანობისთვის, მისი ამგვარად ამოკითხული არსისთვის უკვე ვეღარ იქნება სრულყოფილად მისადაგისი. ბედისწერა აღარ მიიწვდომება გონებით. და პლატონი უიდუმალესი და გასაოცარი გუმანით მართლაც წინასწარმეტყველი ფილოსოფოსისა თავის დიალოგებში წამოსწევს რაღაც სრულიად განსხვავებულ უნარს ჩვეულებრივისაგან, განსხვავებულს აგრეთვე დოდონისა და ეფესოს წინასწარმეტყველი ქურუმების ექსტაზებისაგან, განსხვავებულს მათი მაგალითისაგან, და, ამასთან, უნარს, რომელიც ისევ იმ იდუმალ ბედისწერულ ყოფიერებას მიეძღვნება. მაგრამ წამოსწევს არა ფაქტობრივ შემეცნებას ბედისწერისას, არა წმინდა ონტოლოგიურ მხარეს მისას, არამედ მის ეთიკურ დვრიტას, რომელიც ფაქტიურად მასში და მის დახასიათებაში აღარცაა გამოჩენილი. ბედისწერული ყოფიერება რაღაც ზეეთიკური ირეალობაა, რომელსაც შეიძლება ასევე ირეალური მწვდომელობა მიეძღვოს. მაგრამ რატომ ეთიკური გზითა და ეთიკური შუქით იქნას შეკვლეული მის წიაღში? იმიტომ, რომ იგი არის არსი თავად უმაღლესი ეთიკურობისა: სამართლიანობისა. ღვთაების მისტიური შრის წინასწარმეტყველური შემეცნებით შემეცნების შესაძლებლობამ ე. ი. ზეგონითმა შემეცნებამ, ზეგონითი შემეცნების პრინციპულმა შესაძლებლობამ, თვითშემეცნების (ანუ „იცან თავი შენი“-ს) უმაღლესმა გამოვლინებამ, როგორც შემეცნებითმა თვითდაკარგვამ და თავდავინყვებამ, და რაც მთავარია, აბსოლუტის ამოკითხვამ როგორც „სამართლიანობამ“, ჩვენი რწმენით, პლატონი მიიყვანა სოკრატეს დემონურ შემეცნებასთან, რომელსაც თავისი ზუსტი სახელი არც პლატონის დიალოგებში და არც შემდგომ დიდხანს არა პქონდა, და რომელსაც, როგორც აღწერილობას, ინტერპრეტაციულად მოეძებნა შემდგომ და შემდგომ სავარაუდებელი სახელი, და ეს სახელი იყო სოკ-

რატეს „სინდისი“. ამრიგად, სამართლიანობის შეუღწეველი კანონების სამყაროში შესაღ-
ნევად პლატონმა იხმო ადამიანის სინდისი. ცხადია, უმაღლესის სანდომად, უმაღლესი იდე-
ალების სანდომად, თუკი იგი მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო, ფილოსოფოსს უნდა ეხ-
მო კიდევ თავის უმაღლეს სახეობაში. სიზმარეულობა და გამოცხადებრივ ეგზალტაციაში
მყოფელობა სოკრატეს ამ დემონურ მწვდომელობას წარმოსახავდა როგორც შემეცნებას
ცოცხალი ადამიანური სხეულის გარეშე. ფაქტიურად სინდისის შემეცნებითი ძალით მიგნე-
ბული იყო ადამიანის მწვდომელობა სხეულშივე, სხეულის გარეშედ. ეს შემეცნების ის
სიტუაცია, როდესაც სხეული აღარ უშლის ადამიანს ჭეშმარიტებას, მწვდომეობას. რო-
ცა ადამიანი სიზმარშია, ადამიანის სხეულს სძინავს და მისი ხელისშემშლელი უგულე-
ბელყოფილია. ამიტომ სოკრატეს იდუმალი ხმის მღვიძარება სიზმარულ-გამოცხადებრი-
ვია. იგი ისმინება. ობიექტური გამოვლინებები, ისეთი, როგორიც მოსეს გამოცხადების ცეცხ-
ლია „მაყლოვანსა ზედა“, მას არა აქვს. იგი უფრო ზესახიერია, ვინემ „მე ვარ“-ი. ფაქტიუ-
რად, მეტაფიზიკურ სტრუქტურაშიც, თუ შევადარებთ მოსესა და პლატონის აბსოლუტისეულ
მოდელს, „მე ვარ“-ისა და პლატონის დემიურგის თანხვედრას, ცხადია, სოკრატეს დემონი
უფრო მიღმიერი შრიდან წამოსულად წარმოგვესახება ჭეშმარიტად. ბედისწერული ანუ
ქაოტური რეალობიდან, და თეოლოგიურივე კანონიერებაც გამოსახვისა გახდის საჭიროს,
რომ იგი უსახო, ანუ ზესახიერი იყოს. მით უმეტეს, როცა თავად მოსეს გამოცხადების
სუბიექტსაც კი, რომელსაც მეტაფიზიკურად მიენერება პერსონალური შესაძლებლობები,
არა აქვს ძალი ეს შესაძლებლობები განასახიეროს ამქვეყნად. ამრიგად, პლატონთან წი-
ნასწარმეტყველი სწვდება ბედისწერას, ისევე როგორც ფილოსოფოსი ნათელმხილველი —
იდეათა სამყაროს. თუ გონების მიღმა არის ისევ რაღაც სახეობა გონებისა და თუ ის ისევ
გონებაა, მაშინ პლატონის მიერ მიგნებულ იქნა ადამიანის სულში ის იდუმალი პიპოსტა-
ზი გონებისა, ის ზეგონითი სარკე ბედისწერული ყოფიერებისა, რომელიც ისევე მიესადა-
გებოდა ბედისწერას, როგორც ადამიანის გონება-იდებებს. ე. ი. საჭირო იყო მიკვლევა წი-
ნასწარმეტყველური გონების, ზეგონითი გონის საკუთარი სადგურიან ადამიანის სულ-
ში. ამიტომ პლატონმა თავისივე ცხოვრების სპირიტუალური სიტუაციიდან მისტიური
(იდუმალი) უნარებით დაჯილდოებული და უღრმესი სულიერი შრეებით მღვიძარე სოკრატეს
პიროვნება წამოსწია, პიროვნება საკუთარი მოძღვრისა და მასწავლებლის, რომელთანაც
სულიერად იყო გაერთიანებული. წამოსწია მისი პიროვნული თვისობრიობანი, მისი
გამონაკლისი და ზებუნებრივი ნიჭ-მადლნი და ასეთი გამონაკლისი-კონკრეტულით მიაგ-
ნო იმ უზოგადეს დაფარულ ნიჭს ადამიანისას, რომელიც თავისი ბუნებით ყოფიერების
უიდეალურეს შრესთან უნდა ყოფილიყო გადაქსოვილი. როგორც უკვე ვთქვით, ეს იყო
სოკრატეს დემონური ძალი, ანუ სოკრატეს დემონის დღემდე ძნელად ამოსაკითხი ფენო-
მენი.

ვფიქრობ, ნათელია ის ძირითადი საერთო ნიშნები, რომელნიც მოსეს გამოცხადების
ფორმასა და სოკრატეს გამოცხადებას ახლავს. ისევე როგორც მამა-უფლის გამოცხადება
მოსესთან, სოკრატეს საკუთარი ღმერთის — ანუ მისი საკუთარი დემონის გამოცხადებაც
რაღაც იდუმალი ხმაში წარმოსდგება. მოსეს „უფალი“-ც ერთგვარი „დემონია“ მოსესი.
„ასიტყვება აზრისა ორივე შემთხვევაში ერთგვარი ადამიანისეულ განცდაში მოცემული
პერსონიფიცირებული სამოსელია ამ ხმისა. ორივე შემთხვევაში გამოცხადება არის
მონოდება, გამოცხადებული არის მომნოდებელი. თუ სოკრატეს დემონი მოუწოდებს
ფილოსოფიის სამსახურს, მუზათაგან შთაგონებულ გზას სულისას, მოსეს „დემონი“
აგრეთვე შთააგონებს და მოუწოდებს მოსეს თავისი ღვთაებრივი მისიისაკენ, ერის წი-
ნამძღოლობისა და გამოსხნისაკენ. თუ მოსესთვის აზრითი სინათლის მიღება ღვთაებას-
თან, როგორც სამყაროს უმაღლეს აზრით სინამდვილესთან კავშირს ნიშნავს, სოკრატეს-
თვის დემონური სიბრძნის მიღება ხედრისა და ბედისწერული აზრის იერშია მოცე-
მული და ამდენად იგიც სამყაროს აზრითი სინამდვილის ისეთსავე ბედისწერულ მიღმიე-
რებას შეეხება, როგორც ცოდნასაც იგი ფაქტიურად განასახიერებს კიდევ საბოლოოდ. მაგ-
რამ ფაქტი ერთია, რომ არც ერთ შემთხვევაში გამოცხადება აბსტრაქტულ „მინი-
ერ“ სამოსელს არ სცილდება. აზრი აზრითსავე ხორცს არ ისხამს. პერსონიფიკაცია ერთ-
გვარად „მოჩვენებითი“ რჩება. მართალია, სამყაროს შემოქმედი მოსესთანაც და პლატონ-
თანაც პიროვნულ თეოლოგიურ საღებავებშია მოცემული, მაგრამ „მინაზე ჩამოსული“
ანუ გამოცხადებული და გამოვლენილი, როგორც ძალა, იგი აშკარად ავლენს მხოლოდ
იმ უმაღლესი ძალის ძალითობას და არა პიროვნულობას. პიროვნულობის გამოვლენის

ძალა მოსეს გამოცხადებისა და სოკრატეს გამოცხადების სუბიექტებს ჯერ არ შესწევთ. მაგრამ რადგან უმაღლესი ძალა ასე თუ ისე რაღაც ნიშნითა და ფორმით ეცნო ადამიანს, აქ უკვე უბრალოდ თავის განებება და შეჩერება ამ ნიშნებზე და ფორმებზე აღარ შეიძლებოდა. და იწყება როგორც ამ გამოცხადების ბუნების შესწავლა-შემეცნება, ასევე ჩაღრმავება იმ ღვთაებრივი ძალის შემეცნებაში, რომელიც წმინდა წერილთა გზით არაერთხელ ისახებოდა როგორც გამოცხადებაში, და ე. ი. გამოცხადების გზით შეცნობადი. ძველი აღთქმის არსებობისა და ახალი აღთქმის არსებობის ისტორიულ უშუალოდ მიუდებურ წრეებში ჩნდება სპეციალური რელიგიური ფილოსოფიური მომდინარეობა, რომლებიც იწყებენ მტკიცებას შესაძლებლობისას ამ გამოცხადებადი ღვთაების სრული ჩამოსვლისას, სრული გამოვლენისას დედამიწაზე და ამასთან არა მხოლოდ გამოცხადებრივი გამოვლენისას, არამედ პირდაპირ, უშუალოდ მოსვლისას ადამიანში.

ამასობაში ქრისტეს მოვლინების ისტორიული და კოსმიური აქტი ჩნდება. და ერთდროულად განაგრძობენ არსებობას ქრისტეს როგორც მოვლენილი ღმერთკაცის მალეობებიცა და მომლოდინეიც.

ამრიგად, სამყაროს ღვთაებრივი ძალის შემეცნების წმინდა ფილოსოფიური გზა იჭრება. ფილოსოფია კვლავ დგება რელიგიური ქვეყნარტების გაანალიზებათა აუცილებლობის წინაშე. უნივერსუმსა და ფილოსოფოსებს შორის დგება ქრისტი.

სოკრატეს „სინდისი“ და პლატონის დემონი

შემთხვევითი არ არის, რომ სოკრატეს დემონისული შემეცნება, როგორც წინათგრძნობა და წინასწარმეტყველება პლატონის მიერ მოწაფეთა დაშვების, ანუ სოკრატეს მიერ მოწაფეთა აყვანის სწორად გადამწყვეტასთანაა დაკავშირებული. სოკრატეს ირგვლივ მოწაფენი არიან განმგრძობნი და შთამომავლობაში წამლებნი იმ სიბრძნისა, რომელიც სოკრატემ დააგროვა. სოკრატეს არაჩვეულებრივი ალღოთი აქვს მართლაც წინასწარმეტყველვეთა თავისი რჩეული მოწაფის, როგორც თავისი პირველმოციქულის — პლატონის მოსვლის დღესასწაული მასთან. ცნობილია, რომ სოკრატემ პლატონთან შეხვედრის წინ იხილა სიზმრად თეთრი გედი. ხოლო მისი (პლატონის) პირველი წაკითხვით აღფრთოვანებულმა წამოიძახა: — აი, ჩემი გედი! პლატონი მართლაც გადაენა სულიერად თავის სათაყვანებელ მოძღვარს და პლატონის დიალოგებით უკვე ძნელად გაირჩევა იგი თავისი მასწავლებლის ბრძენმეტყველებისაგან. იგი პირდაპირ ჩასახლდა მის სულში და შეიძლება ითქვას, რომ სოკრატეს სულშიც იპოვა თავისი ქვეყნარტი მემკვიდრე — ორეული. „სოკრატეს აპოლოგიის“ შექმნით კიდევ ერთხელ მოგვეცა წერილობითი დასტური იმისა, რომ პლატონმა თავისთავზე იგემა სოკრატეს მიერ შესმული მხანიანი საწამლავიც. მოძღვრისა და მასწავლებლის ასეთი ერთობა, ასეთი რელიგიური მთლიანობა ალბათ საკმარისი იშვიათობით შეიძლება შეგვხვდეს მთელი კაცობრიობის ცხოვრებაშიც. მაგრამ ეს იშვიათობანი არსებობენ. ამასთან ეს მოწაფენი და მოძღვარნი, როგორც ერთი სულიერი ქვის ნატეხნი, ან ერთ სიცოცხლეში ექცევიან, ე. ი. თანამედროვენი არიან, ურთიერთმხილველნი და ურთიერთხიარნი, ანდა დროსივრცით არიან გათიშულნი და, ფიზიკურად ერთმანეთისგან უხილავნი, სულიერად არიან ერთნი.

ერთი რამ არის ფსიქოლოგიურად მაინც საკვირველი და ერთგვარად მესიანისტურიც თავად პლატონის ფენომენში. სოკრატეს გამოცდილებამიღებულმა და დემონთან მის თანხმობაში დაჯერებულმა, სულის იდუმალ სიღრმეებთან მიიახლა და ოცი წელიწადი წერტნა გონება თავისი მომავალი უარმყოფელი მოწაფისა. ოცი წელიწადი წერტნიდა პლატონი არისტოტელეს სულსა და გონებას. თითქოს ესეც ღვთისაგან და ბედისწერისაგან ისევე იყო საჭირო სოკრატე-პლატონისთვის, როგორც იუდას მისტერია ქრისტეს ცეცხლოვანი აღიარებისათვის. არისტოტელეს შებრძოლებამ პლატონთან, რომ წაერთვა მისთვის ქვეყნარტების პურობა, უდიდესი გონითი ტემპერამენტები დასძრა პლატონის ქვეყნარტების დასაცავად და ყოველივე ეს ბედისწერულად, ჩვენის აზრით, ისევე „სინდისის“ პრობლემას, „სინდისის“ ფენომენის კაცობრიულ გამოვლინებას დაუკავშირდა.

დაუშრეტელ განცდათა მომნიჭებელი და დღემდე ამაღელვებელი კითხვა კაცობრიობის განსჯათა საგანძურში, კითხვა, რომ თვითონ ქრისტემ მოციქულთა დონეზე გადაუხსნა თავის მომავალ უარმყოფელს, იუდას, სიღრმენი ღვთაებრივი დაფარულისა, კიდევ

უფრო იდეალურად მოსავს შეცდომის ამოუხსნელობას და ერთგვარად ბედისწერულად ეთიკურ აუცილებლობადაც სახავს ამ შეცდომისეულ ღვთაებრივ შეუცთომლობას.

ქრისტეს გაყიდვა რამდენიმე ვერცხლად იუდას მიერ სიმბოლური სურათის მთელი კაცობრიობისა, რომელიც სხეულის სიკეთისთვის, ამქვეყნიური წარმავალი ღირებულებისთვის, სხეულის წარმავალი სამკაულებისა და სიამოვნებისათვის, ე. ი. სულ რამდენიმე ვერცხლით სიამოვნებისათვის მთელი ღვთაებრივი ჭეშმარიტების „სიმბოლო“ სთმობს. გარეგნულად ქრისტეს სხეულის წამების სურათით მოცემულია „ქვეყნისა“ სხეულის სიკეთეთა ამქვეყნიური უფლებამოსილებით. იუდას აქტში მოცემული მთელი მისტერია ამ სიუჟეტური ტრაგედიისა, ისევე, როგორც მისტერია ძველი ბერძნული თეატრალური ტრაგიკული სანახაობებისა, რომელნიც აგრეთვე ძველი მისტერიალური პრინციპების მიხედვით განმგნდის შინაარსის მატარებელნი იყვნენ საბერძნეთში, თავისივე ბედისწერულ გამიზნულობაში, ფსიქოლოგიურად კათარზისის ლოგიკურ შედეგზე იყო დაფუძნებული: რელიგიური მისტერია იუდასი, მისტერია იუდას გამცემლობისა შედეგად მოიტანს სიძულვილს ამქვეყნიურისადმი და სულიერ კათარზისს მოჰყენს მორწმუნეს, როგორც ტრაგიკული ჯვარცმის გზით, ასევე ჯვარცმულის გამყიდველისადმი სიძულვილის გზითაც. გარდა ამისა უკიდურესად სამარცხვინო გამოვლინება სინდისისა უკიდურეს გზებაში მოიყვანს თვითონ ამ ფენომენის ადამიანურ პოტენციას. ეთიკური ფონი სიბნელისა — იუდა, იყო არა მხოლოდ ბედისწერული, არამედ ზეციურად ჩამოყვანილი ბრძნული შავი ფარდაც, რომელზედაც უნდა გაბრწყინებულიყო მზიური სხეული ჯვარზე გაკრული გამჭვირვალე მაცხოვრისა. იქნებ ეს მარადიული და კოსმიური, ნათელთან ბნელის ხლეჩის გარდუვალი კანონიც მოქმედებდა პლატონისა და არისტოტელეს იმ ეპოქალური შეხლისა და შეტორტმანების მიზეზად, რომელმაც საუკუნეები და უდიდესი თავები დასძრა პლატონის უპირატესი ჭეშმარიტების დასაცავად. ისეთი დიდი შეტოქე პლატონისა, როგორიც არისტოტელე იყო, ჭეშმარიტების საოქრომჭედლო სასწორზე ასაწონად ზეგონებათა, ღვთაებრივი ნათელხილვისა და ჯადოქრული ლოგიკის მფლობელ ოქრომჭედლებს მოითხოვდა. მაკედონელის იმპერიამ თითქმის ნახევარ დედამიწას მოჰყინა უკვე დიდება ბერძნული აზროვნებისა და მეუფება ბერძნული ფილოსოფიისა. და ის იყო გუნდრუკი ათენის გონითი სიბრძნისა მთელ ცივილიზებულ სამყაროში უნდა აელვარებულყო, მთელ ევკლიპტურ აღმოსავლეთში, სირიაში, ბიზანტიაში, პალესტინასა თუ რომში, რომ იერუსალიმიდან ღმერთკაცის ჯვარზე გაკერის ამბავმა იფეთქა. ასე რომ, პლატონისა და არისტოტელეს საპაექროდ მსოფლიო ასპარეზზე გასელას, უფრო სწორად მსოფლიო გავრცელებას, აშკარად ქრისტეს მოვლინებამ უსწრო. კაცობრიობის ცისფერი სისხლი ოდესღაც ბერძნებში დუღდა: ბერძნების აზრით, ყველა არაბერძენი ბარბაროსი იყო.

პლატონს, მპყრობელს მომავალი ევროპული კაცობრიობის სულისა, ნათლისმცემელს მთელი მომავალი საუკუნეების მოაზროვნე ეპოქისა, „მეოროს ღვთისმეტყველებისა“-ს, როგორც იტყოდა იოანე პეტრინი, „ფილოსოფოსთა დღის მწვერვალს“, როგორც იტყოდა ისევ იოანე პეტრინი, წამებაშიღებული მოძღვრის ელზე გადანულს და წამებაშიღებული მოძღვრის სულიდან აფრენილ გედს, მოძღვრისავე სანამღავით „ჯვარცმასთან“ ზიარებულს, მთელი დედამიწისთვის უნდა ემცნო თავისი სიმღერა გედისა და წამება თავისი წმინდანად დასახული მასწავლებლისა, რომ გოლგოთაზე ავიდა და ადამიანების სიყვარულითა და გაცეცხლისფერებული გამჭვირვალე სხეულით, თავისი სიფრიფანა ტანით, უცოდველობით შესაბრალო და უცოდველობითვე მძლავრი, ჯვარზე აღიმართა მოღერებული და მზესავით მბრწყინავი ახალი გედი, აწვდილი თავად ბარბაროსული კაცობრიობიდან — ქრისტე.

რამი მდგომარეობდა პლატონის ის ამაღლებული სიმღერა გედისა, რომელიც პლატონმა ისევ თავისი წამებული მოძღვრის — სოკრატეს პირით ილაღადა თავის ნაწერებში: ჩვენ ვიტყვით: რომ ეს იყო სიმღერა, ანუ ეს იყო ფილოსოფია, რომელიც მართლაც საგალობელივით ითქვა პლატონის მიერ. ეს იყო ფილოსოფია სამართლიანობის, ღმერთის არსებობისა და სამართლიანობის დამყარებისა ამქვეყნად.

პლატონის მიმოსვლადი დიონისე სირაკუზელთან, მისი ოცნება თავისი იდეალის განხორციელებისა ფარდასა ხდის ფილოსოფოსის ნაოცნებარის ჭეშმარიტებას, რომ იგი თავად ყოფილიყო განსხეულება სამართლიანობის შემოქმედი ღმერთკაცისა. მაგრამ პლა-

ტონის ოცნება მიწიერად განუხორციელებელი დარჩა და საუკუნეებში არა ერთმა სცადა შესცილებოდა მას ოცნების როგორგანხორციელების მიგნებაში.

ერთი სიტყვით, ის-ის იყო პლატონის მსოფლიო დამკვიდრება უნდა აღსრულებულიყო და მისი აზრითი მონაპოვარი მთელი კაცობრიობის საკუთრება გამხდარიყო, რომ ბერძნულ-ეგვიპტურ, ბერძნულ-იუდეურ და მთელ ბერძნულ-რომაულ სამყაროში ღმერთ-კაცის ჯვარზე გაკერის ამბავმა იფეთქა. ერთი ადამიანის უზადოებისა და უზუცუურესი სინშინდის ძალით მთელი კაცობრიობის მიერ ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვათა გამოსყიდვის უჩვეულო მისტერიის ამბავი მოედო ქვეყანას. ვინ მყრის ნებას? ვისაც ძალედვა თავის თავზე ეტვირთა კაცობრიობის ცოდვანი, ვინაც კაცობრიობის მისტიკური უცნობი და დაფარული იყო, როგორც საკუთარი უცოდველობის შემძლეობა. და როგორ ვფიქრობთ, იმ დროისათვის განა რაიმე უფრო საინტერესო და სულისათვის უფრო მგზნებარედ მიმზიდველი შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინემ ამგვარი ძე-კაცის „ამბავი“ იქნებოდა? „ამბავი-მითი“? თავისი გამჭვირვალეობით, თავისი უცოდველობით ძე-ღმერთი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო ძე-ღმერთი, ე. ი. კაცი მაშინ შეიძლებოდა ნოდებუ-ლიყო ღმერთად, თუ იგი თავისი ეთიკური ძალით, ზნეობრივი სინშინდითა და სათნოებრივი ენერგიით თავად უმაღლესი ღვთაებრივი ძალისა იქნებოდა. პლატონის ენაზე თავად სამართლიანობა უნდა განსახიერებელიყო მიწაზე, ხოლო ებრაელთა სიბრძნით — მიწაზე უნდა ჩამოსულიყო თავად შემოქმედი და მამა-ღმერთი მოსესი, თავად „მე ვარ, რომელი ვარ“-ი. ამდენად მოსეანურ სიბრძნეს, გარდა ბერძნული ფილოსოფიური განგრძობისა და განვითარებისა, საკუთრივ ახალი რელიგიური განგრძობა დაესახა. ისევე, როგორც ახალი მოვლინება ღმერთისა იყო ახალი გამოვლინება „მე ვარისა“, თეოლოგიურადაც „ძველი აღთქმის“ ქვეშარიტებას ახალი აღთქმა ესაჭიროებოდა, ახალი თეოლოგიური განმარტება. და იოანე ღვთისმეტყველს არც დაჰგვიანებია დიდხანს.

ესმა რა ხმაჲ, თითქოს საყვირით გახშიანებული, რომელიც ამბობდა: მე ვარ, რომელი იყო, რომელ არს და რომელ იქნება, მე ვარ აღფა და ომეგა, საწყისი და სასრული და რასაც ხედავ, დანერე ნიგნად და დაუგზავნე ის აზიის შვიდ ეკლესიას... — და მე მოვბრუნდიო, წერს იოანე — რომ დამენახა ხმა იგი, რომელიც მელაჲწარაკებოდა და მივბრუნდი რა, დავინახე 7 კელაპტარი ოქროსი, და შუაში როგორც მზე, ადამიანი ჩაცმული და შემოსილი თავიდან ბოლომდე, მსგავსი სითეთრით თოვლისა, თვალების მგზნებარებით ცეცხლისა, ხელში შვიდი ვარსკვლავის დამყრობელი და როცა მე მივაკარე მას ხელი: მითხრა: ნუ გეშინია, მე ვარო საწყისი და სასრული. (აპოკ. თ. 1) მე ვიყავი ცოცხალი და მოკვდავი, და ისმინე, მე გავცოცხლდი სამუდამოდ და მიპყრია გასაღები სიკვდილისა და ჯოჯოხეთისა (აპოკ. თავი 1, იქვე). მოხდა ორი რამ: ადამიანის სხეულში შესვლით ქრისტე მისწვდა სიკვდილის საიდუმლოებას, მაგრამ არა მარტო ქრისტე მისწვდა სიკვდილის საიდუმლოებას, არამედ ამ წვდომით, ამ შესვლით ადამიანის სიყვარულიც გამოხატა ღმერთმა ახალი ძალით. სიყვარული, რომელსაც ადამიანთა მხსნელი შეეძლო შეექმნა დედამიწაზე, ღვთაებაშივე მოცემული სიკეთის ტოლი უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, ღმერთი უნდა გააზრებელიყო როგორც თავად სიყვარული. ამიტომ მახარობელთა ენაზე ცნებით ატრიბუტიზაციას „მე ვარისას“ — ანუ მამა ღმერთისას, ემატება კიდევ ერთი არსებითი ხასიათისა და არსებითი მნიშვნელობის ატრიბუტი, და ეს არის: სიყვარული. სიყვარული როგორც ღვთაებრივი ძალის შინაარსი ჯერ კიდევ ბერძნულ ფილოსოფიაში გვხვდება ქრისტეს წინ ნ საუკუნით ადრე. სახელდობრ პარმენიდესთან, ის, რაც ქვეშარიტად არსებულია და ერთი, არის სიყვარული, ეროსი. ყოველივეს ერთად შემაკავშირებელ და ერთობისაკენ მიმზიდველ ძალად ძნელად რომ რაიმე უფრო იკითხებოდეს ადამიანის მიერ, ვინემ სიყვარული. ეს ძალა სიყვარულისა, მალლა მყოფი და მავრთიანებელი, ქრისტიანთაც ისევე ზუსტად აქვთ განცდილი, როგორც პარმენიდეს, ემპედოკლეს, პლატონს.

— „ღმერთი არასადა ვის უხილავს, უკუეთუ ვიყუარებდეთ ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგევს და სიყვარული მისი ჩვენ შორის აღსრულებულ არს“. (იოანე, ეპისტ. 1).

მაგრამ არის ერთი გრანდიოზული სიანლე ქრისტიანული სიყვარულის შინაარსში. ეს არის სინდისი. ქრისტიანული გაგებით სიყვარული არის იქ, სადაც არის გამჭვირვალე სინდისი და გამჭვირვალე მე. ცნება „სინდისისა“ საერთოდ, მისი შინაარსის ისტორიული განვითარებისა და გამოვლენის თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, საოცარია პირდაპირ, ენობრივადაც ის ქრისტეს მოვლინებასთან ერთად ჩნდება. სპეციალისტებმა გადააბრუნეს ამ თვალთ ბერძნული აზროვნება და უმდიდრესი ფსიქოლოგიური განცდების ბერძნული

ლიტერატურა. ერს, რომელსაც ჰყავს გმირად პრომეთე, რომელსაც ჰყავს ოიდიპოსი, ორესტეა, რომელსაც ჰყავს სოკრატე და დასასრულ ჰლოტინი, რომელიც აპოთეოზია სირცხვილისა, არა აქვს ცნება სინდისისა. არსებობს დიდი ლიტერატურა პრობლემათა მქონდათ თუ არა ბერძნებს „სინდისი“? და პასუხი ნათელია: მათ აქვთ სინდისი, გამომხატველი განცდები, შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ სინდისი აზრითად, და ჯერ კიდევ არა აქვთ გამოკვეთილი ეს აზრი სიტყვაში. ამიტომ მათი სინდისი („სინდისის“) რომელიც მაგალითად, დღეს სხვა ენაში წარმატებით განაგრძობს „სინდისად“ არსებობას, თავისი დროისათვის საკუთრივ ამგვარ ენობრივ ფუნქციას ვერ ასრულებს. ჩვენ იმისათვის შევჩერდით სოკრატეს ხმა იღუმაღზეც, რომელიც წინასწარმეტყველური მიგნება იყო ფილოსოფოსისა, ბედისწერული ცოდნის შესამეცნებლად რომ დასახა ადამიანში მოცემული შინაგანი ქეშმარიტი მისიის გამომამხვევებლად. ოღონდ პლატონთან ის მისტიური იყო უფრო და ზეგონითი.

პირველად სინდისი „სინდისის“ მნიშვნელობით პავლე მოციქულის ერთ-ერთ ნერილში ჩნდება. მისი სიტყვიერი გამოვლენა ენაში ქრისტეს მოვლინების აქტთან არის დაკავშირებული. არა მხოლოდ ლოგოსი ჩამოვიდა მისი გზით მიწაზე („პირველითგან იყო სიტყვა“), ლოგოსი, რომელიც იყო „მე ვარ, რომელი ვარ“-ი, არამედ ჩამოვიდა სინდისიც. განსხვავება სიტყვისა, როგორც „მე ვარ“-ისა და განსხვავება აზრისა, როგორც სინდისისა, კაცობრიულ მეტყველებაში ცნებად მოვლინება სინდისისა, ერთმანეთის გვერდით არის განხორციელებული. აქ ერთ გარემოებას გვინდა მივაქციოთ კიდევ ყურადღება: „მე ვარ, რომელი ვარ“-ის მიწაზე ჩამოსვლის თეოლოგიური ინტერპრეტაცია გულისხმობს არა მარტო „ვარ“-ობის, ე. ი. არსებობის სრულყოფილ გამოვლენას დედამიწაზე, ე. ი. ადამიანურ ყოფიერებაში, არამედ „მე“-ს გამოვლენის სრულყოფილებასაც ფაქტიურად ეს ქრისტიანული „მე“ და „სინდისი“ ერთმანეთის ტოლია. უმაღლესი სინდისის მქონე უმაღლესი არსებობის, უმაღლესი მეობის მქონეც არის თუ დავაკვირდებით, მეტაფიზიკური საფუძველი ქრისტიანული თეოლოგიისა, ძველი აღთქმის ფილოსოფიური ქვაკუთხედი — ქვაკუთხედი ქეშმარიტი არსებობისა, როგორც მხოლოდ მარადიული არსებობის აღიარებისა, ძველი აღთქმის ფონზე აგრეთვე ერთიანად შეიცავს მამა-ღმერთის თეოლოგიურ სიმბოლიკაში „მეობასა“ და უმაღლეს ზნეობრიობას. „მე ვარ რომელი ვარ“-ი ერთდროულად არის უმაღლესი მეობაცა და უმაღლესი ღვთაებრივი ზნეობაც სამყაროსი. თვალსაჩინოებისთვის ქრისტიანული საეკლესიო მხატვრობა რიგ გავიხსენოთ, აქ პირდაპირ გვეცემა თვალში ეს იგივეობა ბიბლიური „მე-ვარ, რომელი ვარ“-ისა და ქრისტიანული მამა-ღმერთის: ამასთან „ჰო ონი“ ორთოდოქსული „წარწერა“ ქრისტიანობაში, როგორც მამა-ღმერთისა, ასევე ქრისტესი. განსხვავება ბიბლიურსა და ქრისტიანულს შორის ამ ტოლობაში ყველაზე მეტად ისევ სიყვარულის შინაარსზე მოდის. ქრისტიანული მამა-ღმერთი ბიბლიური უფალის ერთგვარი მრისხანე იერისაგან თავისუფალია. ამ თავისუფლებას მქმნის მისი ავსება სიყვარულის შინაარსით იგი უკვე განკაცებულია და განკაცება, კაცის სხეულის მიღება, უპირველესად ადამიანური სიყვარულის აპოთეოზია სამყაროში. ღმერთი ქრისტიანობისა ეს იგივე ძალაა სიყვარულისა. „რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“ — ამბობს პავლე მოციქული. სიყვარული, რომელიც ადამიანების სულშია გაბნეული, როგორც სინათლე მზისა და რომელიც სადღაც თავის საკუთარ სახეშია შეკრული, ერთია. ერთია როგორც მზე, და ერთია როგორც „მე“.

„ღმერთი არ არის ჯამბაზი — როგორც იტყოდა პლატონი — რომელიც ხან ერთ სახეს მიიღებს და ხან მეორეს, ხან კეთილსა და ხან ბოროტს“. ღმერთი არ არის ჯამბაზი, შეუძლიათ დასძინონ ქრისტიანმა თეოლოგებმა, არ არის ჯამბაზი, რომელიც მიიღებს სახეს, რომელიც მისი არ არის, ან სძულს. ღმერთი ადამიანის სახეს იღებს ქეშმარიტი სიყვარულით ადამიანისადმი. იგი თავდაუჩენებაში მოდის და ამ სიყვარულით დგება წამი, როცა იგი აღარ არის ღმერთი და არის ის, ვინც უყვარს — თავის დანაბადი ადამი, ადამიანი. იგი ერთიანდება ადამთან, რომელმაც უკვე ხანგრძლივად გზა განვლო ღვთისგან გამოცალკევებისა და დაშორების შემდეგ. იგი სიყვარულით დგება თავისივე შექმნილი ადამის სხეულში და მიემგზავრება ადამიანების გულის წიაღებში ჩასასახლებლად, უფრო ახლოს სამყოფად მათთან. სიყვარული ღვთისგანაც ითხოვს პიასლოვებს საყვარელი სამყაროსადმი. ეს მიახლოება მას სხეულში შესვლის გარეშე არ შეუძლია. ადამმა განიცადა მრავალი ტანჯვა და მიიღო მრავალი ცოდნა, რომელიც საკუთრივ ადამიანურია და ღმერთს არა აქვს, მისი სხეული წარმოვალია და მას აღარა აქვს სიყვარული ამქვეყნიური ცხოვრებისა, სიცოცხლე ტანჯვა და იმისათვის, რომ ადამმა არ დაგ-

მოს შემოქმედი, შემოქმედი იჩენს უდიდეს თავგანწირვას და თავად შედის ადამის წარმავალ სხეულში. თავად დგება, რათა ადამმა ისევ შეიყვაროს თავისი წარმავალი სამყოფელი.

განკაცების აქტი არის უმაღლესი გამოვლინება ღვთაებრივი სიყვარულისა ადამიანისადმი. „მე ვარ, რომელი ვარ“ — რომელსაც ადამიანის სახე არა აქვს მოსეს გამოცხადებაში, იოანე ღვთისმეტყველისთვის და პავლე მოციქულისთვის უკვე ჩამდგარია ადამიანურ ჭურჭელში, ე. ი. ადამიანური სხეულის ჭურჭელში, და ამიტომ უკვე ჩამდგარია ადამიანური სიყვარულით ღვთისადმი. „— ახლა უკვე არა მე ვარ, არამედ არის მხოლოდ ქრისტე ჩემში“ — იტყვის სულით ერთიანად ქრისტეზე დაქორწინებული მოციქული. ამდენად ქრისტე, რომელიც არის უკვე ამავსებული მისი რაობისა და არსებისა, ერთგვარად იგივეობრივია პავლესი, და არის ამავე დროს სხვაც. ეს სხვა წარმმართველიცაა მისი და კერპიც მისი. იგი არის მისი ცხოვრების პრინციპი. „გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“, როგორც იტყვის მასზე „სახარება“. ამრიგად, პლოტინის ენაზე რომ ვთქვათ, პლოტინის აზროვნებიდან ამოსვლით, ქრისტე არის მთელი ქრისტიანული კაცობრიობის ერთმეცხრედი დემონი-ლმერთი. ქრისტიანული ფილოსოფია წავიდა ამ სიყვარულად დასახული მამალმერთისა და ძე-ლმერთის შეუვალ ტოლობის გზით. და ეს მაშინ, როდესაც ბერძნული ფილოსოფია, საკუთრივ ბერძნული ცნებითი აზროვნების განვითარების გზაზე, ე. ი. საკუთრივ ფილოსოფიის ისტორიაში, უკვე პლატონთანვე, ზევრთის შემეცნებასთან მისული, ძნელად რომ შეგუებოდა ამ უდიდესი ფილოსოფიური მონაპოვრის დათმობას.

საქმე ჭეშმარიტი ღვთაებრიობის კოსმიურ პლანში ამოკითხვას, ღვთაებრივის ძიებას, როგორც ერთის, ყოვლადობის ძლევამოსილებას შეეხებოდა. სიტყვა „დემონმა“ ქრისტიანულ საუკუნეებში უარყოფითი შინაარსის მნიშვნელობა მიიღო. დასაწყისში, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ უკვე, დემონები თავისი ცნებითი შინაარსით უბრალოდ მაკავშირებლები იყვნენ ადამიანსა და ღმერთებს შორის, მაკავშირებელი ძალები. იმის გამო, რომ არსებობდნენ უარყოფითი შინაარსის შემცველი ძალებიც, დემონებმა მთლიანად დაკარგეს დადებითი ტერმინოლოგიური იერი. მხოლოდ პლოტინთან, ასევე იამბლიხოსთანაც ისმარებიან ისინი კლასიკური მნიშვნელობით, ზებუნებრივი ძალების მნიშვნელობით. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ერთგვარ ტრანსცენდენტურ ლანდშაფტსაც ქმნიან ადამიანური მე-ების ორეულულებისას. ქრისტიანული აზროვნებით სულიერი ქორწინება ქრისტეზე, ფაქტიურად ამ საკუთარი ტრანსცენდენტური „მე“-ს პოვნასა და ზეციური იდეალის მიგნებას ნიშნავს საკუთარ მე-ში, იმ განსხვავებით პლოტინის იდეალისაგან, რომ სიკვდილის შემდეგ ამ იდეალთან იგივეობა-ტოლობას მორწმუნე ვერ აღწევს; ქრისტიანული გაგებით ამის საჭიროება არცაა დგას. რადგან ქრისტე არის ის უმაღლესი და განხორციელებული მიზანი კაცობრიობისა, ის ტოლობა ღმერთთან, რომლის კიდევ ამალეობაც აღარ შეიძლება. ინტერესს მოკლებული არ იქნება შევნიშნოთ, რომ ჩვენის ფიქრით, ის ეგზისტენციალური მოწყვნილობა, რომელსაც დასავლეთის ფილოსოფია აცნობიერებს როგორც ეპოქალურ განწყობას ევროპული კაცობრიობისა, ლოგიკური შედეგია ქრისტიანული ევროპის გზაზე, ე. ი. ქრისტეთი გავლილი საუკუნეების მიზანდასახულ გზაზე უკვე მიღწეული მიზნისა, მაგრამ ამაზე ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ქრისტე, როგორც პლოტინური დემონი, ანუ როგორც ადამიანის ეთიკურ-ინტელექტუალური პრინციპი, როგორც აგრეთვე მისი ეთიკური და ონტოლოგიური პრინციპი, საყოველთაოა და ამიტომ არის სწორედ რელიგიურიც. ღვთაებრივი ძალის პერსონალური პოტენცია, პოტენცია, რომელმაც კაცობრიობის გამოვლენა მოგვცა, აღწევს ისეთ ცენტრალიზაციას თავის გამოვლინებაში, რომ აბსოლუტი ვლინდება როგორც „მე“. ამიტომ ქრისტე არის იგივე სამყაროს შემოქმედი. იგი ჭეშმარიტი „არისი“, „არსებული“ და ე. ი. მაცხოვარი, მომნიჭებელია სიცოცხლისა, არსებობისა. ეს არის „მე“, რომელზეც დამოკიდებულია მთელი კაცობრიობისეული, ინდივიდუალობებში დანაწევრებულად მოცემული სიცოცხლე. მსოფლმხედველობრივად იგი აერთიანებს უკვე თავისი მეობის ქვეშ

ფაქტიურად მთელი ადამიანების სიცოცხლეს. ყოველ შემთხვევაში მსოფლმხედველობრივად მას აქვს ამის პოტენცია სწორედ მთელი კაცობრიობისათვის, როგორც ადამიანებისთვის. პლოტინისთვის არც ინტელექტუალური, არც ეთიკური და არც ონტოლოგიური პრინციპი ადამიანის „მე“-სთვის ასეთი საყოველთაო დემონი არ ყოფილა. მისი პრინციპი, ანუ მისი დემონი ინდივიდუალურია: ეს წინააღმდეგობა მთლიანად სხვადასხვა სისტემაზე ნარმოგვიდგენს ქრისტიანულსა და პლოტინურ მეტაფიზიკას. წინააღმდეგობა პლოტინსა და ქრისტეს შორის უპირველესად ჩნდება ქუ ღმერთი ქრისტეშთან გატოლებაში. პლოტინისთვის არასოდეს არ არის მე ტოლი მამის, [[რადგან ქრისტე ყოველთვის არის თავის თავში შემცველი თავისი შედეგისა და თავის თავისა. პლოტინისთვის მიზეზი მეტია შედეგზე. გარდა მაგისა, ის, რაც არის მამა-ღმერთი თავის არსებაში, ანუ ის, რაც არის უმაღლესი ერთი წინაქრისტიანულ სიბრძნეში, საიდანაც ამოდის ქრისტეც და პლოტინიც, ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. პლოტინის თვალსაზრისით, ქრისტიანობას აკლია ფილოსოფიური სიზუსტე. მას არ ესმის ზუსტად, რა არის უმაღლესი და რა არის ერთი. უფრო კონკრეტულად, ქრისტიანობა პლოტინის ცნობიერებაში სცდება პლატონის მოპოვებული ფილოსოფიური სიბრძნის გზას, რომელსაც მივყავართ ჭეშმარიტ ღვთაებრიობასთან.

ბერძნულ ფილოსოფიაში უკვე დიდი ხანია მიგნებული იყო ის ფილოსოფიური ჭეშმარიტება, რომ ყოველივე არის ერთი; და რომ ის, რაც ყოველობაა, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ორი ყოველობა ერთმანეთს ლოგიკურადაც გამოირიცხავს. ყოველობის გაერთება გამოიწვია ყოველობის გადაცხება და გამოუცნობში ჩაძირვა. როგორ არსებობს ის ერთი? მისი ონტოლოგიური ბუნება შეუცნობელია, — წერს პლატონი. ეთიკურ პლანში კი ეს ერთი არის სიკეთე. „ჩვენ მას ვუწოდებთ პირველს, რამდენადაც ის უმარტივესია და თვითმკმარი და არ შესდგება მრავალი ნაწილისაგან“. რომ იგი შესდგებოდეს ნაწილთაგან, მაშინ დამოკიდებულიც იქნებოდა იმ ნაწილებზე, რომელთაგანაც იქნებოდა შემდგარი.

და ამასთან არც იქნებოდა რაიმე სხვაში, რადგანაც ყოველივე, რაც რაიმე სხვაშია, აგრეთვე მომდინარეობს კიდევ რაღაც სხვიდან. ხოლო თუ იგი არ არის რაიმე სხვისაგან (მომდინარე) ან რაიმე სხვაში (მდებარე), ან რაიმენაირი შემადგენლობის მქონე, აუცილებელია ვიგულისხმოთ, რომ აღარაფერი არ არის მის მიღმა (მასზე მაღლა).¹⁰

ამიტომ საჭირო აღარ არის უკვე სხვა საწყისთან მისვლა, არამედ (საჭიროა უკვე მისი გამოცხადება საწყისად. შემდეგ არის გონი, რომელიც პირველად აზროვნებს, ხოლო შემდეგ სული, მომდევნოდ გონისა;¹¹ და ჩვენ გონით სამყაროში ვერ დავადგენთ ვერც უფრო მეტ პრინციპს, ვერც უფრო ნაკლებს. ხოლო თუ უფრო ნაკლები პრინციპის დადგენას შევეცდებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ან გავაიგივოთ გონი და სული, ანდა პირველი და გონი. ეს კი შეუძლებელია.¹² თუ ვინმე შეეცდება გაამრავლოს ეს სამი პრინციპი, ესეც ამაოა, რადგან არავის შესწევს ძალი მიაგნოს რაიმე უფრო მარტივს, ვიდრე ის ყოველობის მიღმიერი პირველია, (ე. ი. ის ერთი — დ. ზ.), რომელზეც ჩვენ უკვე ვთქვით.

პლოტინის გარშემო დისკუსიის საგანი იყო პლატონის დემიურგის, როგორც მეტაფიზიკური პიპოსტაზის შინაარსი, როგორც პროფ. არმსტრონგი წერს „ნათესაობა დემიურგის ინტელექტისა და უნივერსუმის ინტელექტუალური მოდელის“. პლატონის ერთი ტიმაიოსისეული პასაჟის გამო დემიურგს განასხვავებდნენ და თიშავდნენ ინტელექტისაგან, სამყაროსეული გონისგან. თითქოს ერთი იყო გონი, რომელიც შეიცავდა მთელ სინამდვილეს, და მეორე — განსხვავებული მისგან, რომელიც ჰქმნიდა ამ სინამდვილეს, და რომელიც აწესრიგებდა. მაგრამ პლოტინის მიხედვით მათ, რომელნიც სთიშავდნენ დემიურგს, ე. ი. შემოქმედს ინტელექტისაგან, მხედველობაში ჰქონდათ სული სამყაროსი, ნაცვლად გონისა.¹³ და სულის მოძრაობას გონისაგან ურევდნენ გონის სიმრავლეში. ე. ი. სულის სხვადასხვა მოძრაობას აღიქვამდნენ სხვადასხვა გონებად, გონებათა სიმრავლედ.

მთელი ამ მსჯელობიდან, აშკარაა, რომ პლოტინი იღებს პლატონის დემიურგის იდეას

¹⁰ Plotinus II (Loeb classical Library). გვ. 224

¹¹ იქვე

¹² იქვე

¹³ იქვე

და თავის მეტაფიზიკურ მოდელში უიგივეს მას სამყაროს გონებას. ამასთან ხელუხლებლად ტოვებს რა პირველ პრინციპს, უმარტივესს, აშკარა ხდება, რომ პლატონის მთელი ფილოსოფიური სისტემის წიაღში კითხულობს ამ პრინციპსაც, ამასთან როგორც განსხვავებულს და არა იგივეობრივს დემიურგთან. ამდენად: ერთი, ანუ პირველი პლოტინისა სრულიად ცხადად გვამყარებინებს კავშირს იმ მითოლოგიურ სიმბოლურ პასაჟებთან, რომლებიც პლატონთან სწორედ ზევონებით ღვთაებრივ მდგომარეობებში გვამოხატავენ, და რომელზედაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

შეშლილობა

გარდა ამ შემოქმედი ღმერთისა, რომელზეც პლატონი ლაპარაკობს „ტიმაიოსში“, ლაპარაკია აგრეთვე ღმერთებზე, რომლებიც ამ უმაღლესი შემოქმედის მიერ არიან შექმნილნი. პლოტინისთვის არც აქაა რაიმე წინააღმდეგობის შემცველი. დემიურგიული ძალის, როგორც სამყაროს მეორე რანგისეული საწყისის წარმოჩენა პლოტინის მიერ მთელ ეგვიპტურ სიბრძნეზე აღმოცენებულ მოძღვრებებში შეიმჩნეოდა სხვადასხვა ფორმით. გნოსტიკოსებმა მკვეთრად გათიშეს უმაღლესი ღვთაება დემიურგისაგან, თუ დემიურგი თეოლოგიურად ფორმდებოდა როგორც მამა-ღმერთი, მათი უმაღლესი ღვთაება იყო რაღაც მამა-ღმერთის წინარეული საწყისი, პრე-მამა, წინარეარსებობა, არარა. თუ რაოდენ უშუალო სხვადასხვაობაშია მოქცეული ქრისტიანული ღმერთი და პლოტინური უმაღლესი საწყისი, ნოდებულის მის მიერ როგორც „პირველი“ ანუ „ერთი“, საოცრად მკვეთრად მოჩანს იმ ნეოპლატონურ ქრისტიანულ სინთეზში, რომელსაც იოანე პეტრიწის რელიგიური აღმსარებლობა წარმოადგენს. თუ იოანე პეტრიწი როგორც ქრისტიანულმსარებელი და ფილოსოფოსი, ერთ შემთხვევაში გვთავაზობს განმარტებასა და განსჯას „წყალობითა უფლისა ქრისტესითა“, მეორე შემთხვევაში იგივე გადმოსვლა მაღლისა ციდან მის მიერ სახელიდება, როგორც „შენვენა მადლითა ერთისათა“.

მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის აუცილებელი ტოლობა ქრისტიანული თეოლოგიისათვისაც იყო განმარტების საგანი. მაგრამ როგორც ზელოგიკური ჭეშმარიტება, იგი მტკიცების გარეშე მისაღებად ცხადდებოდა. მამა-ღმერთის უმაღლესობაში ეჭვის შეტანა კი მთლიანად არყევდა ქრისტიანული ფილოსოფიის საფუძვლებს.

არადა, მთელი გნოსტიციზმი და ნეოპლატონიზმი სწორედ მამა-ღმერთის მიღმიერი საწყისების შემეცნებაზე აღმოცენდა. პლოტინის მიხედვით, ის არაერთი, რომელიც პლატონის მიერ იყო მიგნებული გონითი ერთის არსად, ქრისტიანობამ დაკარგა; ამით მან დაკარგა უდიდესი მეტაფიზიკური მონაპოვარი პლატონისა, რომელიც ფაქტიურად საიდუმლოდ იყო მოცემული მის წინარეში. ხოლო თუ ეს წამდვილად ასე იყო, თუ ეს ზე-დემიურგიული იდეა ღვთაებრივი ძალისა პლატონთან იყო ნაგულისხმევი, როგორც საიდუმლო სიბრძნე, მაშინ იგი როგორღაც უნდა ასახულიყო უძველეს თეოლოგიურ ინტერპრეტაციაშიც იმ ძალისა, რომელთანაც ცნებითად ამჟღავნებდა ნათესაობას პლოტინის უმაღლესი გონითი შემოქმედი, ჭეშმარიტად არსებული იდეა სიკეთისა. ეს ცოდნა პლოტინისთვის თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება უნდა ყოფილიყო და ამ თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებით უნდა მონოღებულყო მის მიერ მისი ზეარსებული ღვთაებრიობაც. ამისათვის ჩვენ ერთხელ კიდევ შევავლოთ თვალი ბიბლიურ შემოქმედს, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი მოსეს გამოცხადებასთან დაკავშირებით და რომელსაც ამჯერად საკუთრივ დემიურგიულ პასაჟში წარმოგიდგენთ:

„თქუა ღმერთმან: ექმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“ და შექმნა კაცი, ხატად და მსგავსად საკუთარი თავისა“ (შესაქმეთა, თ. 1).

და შემდგომ:

„და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი“ (შესაქ. თ. 1). ამის შემდეგ მოდის ადამის გვერდიდან შექმნა ცოლისა მისისა. აქ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მრავლობითი რიცხვის ხმარებაზე ადამის მიმართ. ადამი, როგორც ხატი უფლისა, არის დედაკაცური და მამაკაცური საწყისის ერთიანი გამომხატველი. იგი ადამიანია ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. ევას შექმნა ღვთისაგან ცოლად მისად, ფაქტიურად მისივე არსებიდან ევას გამოცალკეებაა. ამრიგად პირველი ადამი, ე. ი. ადამიანის ვიდოსური ხატი, ბიბლიურად ქალურისა და ვაჟური საწყისების მთლიანობაშია წარმოდგენილი. ორი ბუნების ერთ იდეალურ რაობაში. მაგრამ ამჯერად ჩვენ ეს მხარე არ გვაინტერესებს ამ პასაჟისა. არამედ ის, რომ ღმერთი, რომელიც ქმნის ამ თავისხატისეულ და თავის მსგავსებისეულ ადამს, თავის არსებაშიც

იხეითვე ორბუნებოვნების იდეალური მთლიანობა უნდა იყოს, როგორც თავად მისი პირველი შექმნილი.

თუ ჩვენ ხელთა გვაქვს სარკე, რომელშიაც დემიურგი იმზირება, და არა გვაქვს საშუალება შევხედოთ თვითონ დემიურგს, არამედ შეგვიძლია ჩვენც ჩავიხედოთ იმ სარკეში დემიურგის აღსაქმელად, ბუნებრივია, რომ სარკეში არეკლილ ორბუნებოვნების კვალდაკვალ დემიურგიც ორბუნებოვან ერთში გვექნება აღსაქმელი. ანგარიშგასაწევია ის მომენტიც, რომ ბიბლიის ტექსტში არა მხოლოდ ადამს მიემართება მრავლობითი რიცხვი, არამედ ღმერთი — უფალიც თავის თავზე შეტყველებს მრავლობითი რიცხვში. ჩვენი დაკვირვებით, ეს მრავლობითობა გარეგნული საფარველია იმ თეოლოგიური ცნებითი შინაარსისა, რომელიც დემიურგში გულისხმობს არა ერთიან, უმაღლეს ბუნებას ღვთაებრიობისას, არა ყოველად სიმარტივეს ღვთაებისას, არამედ ორსაწყისოვან ერთსაწყისიერებას, რომლის მიღმა ლოგიკურად უნდა იდგეს ახალი და უფრო მიღმიერი, ნამდვილი ერთი. ერთი, რომელიც ყოველგვარ დედურ-მამურ საწყისიერებაზე მაღლა დგას. თეოლოგიურ-ესთეტიკური სიმბოლიკა ამ რანგის ღვთაების, როგორც მხოლოდ მამა-ღმერთის, ეპოქალური აზროვნების სოციალურ ბეჭედს ატარებს და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ბიბლიური მამა-ღმერთის ნეკნში ისევა შეფარული დედაუფალი, როგორც ევა იყო შეერთებული და გარდამთლიანებული პირველი ადამის არსებასთან. ამრიგად, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ პლოტინმა არა მარტო მამა ღმერთის უმაღლესობა უარყო სამყაროს შეტაფიზიკურ აღნაგობაში, არამედ უარყო უმაღლესობა დედა-უფლისაც და ჭეშმარიტი ღვთაებრიობის სამყოფელი წაიღო ორივეზე მაღლა. წაიღო იქ, სადაც ორივე, ისევე როგორც მთელი მათგან დანაბადი სინამდვილე, არსებობს როგორც ჭეშმარიტი ერთი.

ქრისტე, რომელიც არის ქრისტიანული სამების ნევრი, როგორც მამა-ღმერთის ტოლი, ქრისტიანულ იდეომალებაში იმ დაფარული უფლის ტილიც არის, რის გამოც უფლებამოსილია ატაროს ტიტული პირველი ადამისა და ე. ი. ზოგადად ადამიანური მოდგმის ღმერთკაცისა.

ამ თვალსაზრისით ნეოპლატონიზმი ჯერ კიდევ გაუცნობიერებელია კაცობრიობის მიერ, ჯერ კიდევ შესასწავლი. მხოლოდ მე-20 საუკუნეში, თავისთავად, ჩვენ ვიტყვოდით, კოსმიური ძალით ცნაურდება ის შედეგი, რომელიც ქრისტიანული თეოლოგიის პლოტინურმა უარყოფამ მოიტანა. ჩვენის ფიქრით, იგი ცნაურდება აღმოსავლური და დასავლური აზროვნების სინთეზში, მეოცე საუკუნის „რელიგიურ ნიჰილიზმში“, თეოსოფიური წრეების მიერ მესიად აღიარებული ფილოსოფოსისა და მორალისტის, ჯიდუ კრიშნამურტის ნააზრევში¹⁴; ყოველგვარი რელიგიური სისტემისა და ფილოსოფიური სისტემების უარყოფაში (რომელსაც სხვა დროს შეეხებით).

მამა-ღმერთის მამაღმერთობა, როგორც თეოლოგიურ-ესთეტიკური სამოსელი, ერთიანად გამოადგა მთელ რიგ რელიგიურ სისტემებს — ებრაულ-იუდეურს, ასევე ბერძნულ წარმართობასა და ქრისტიანულ რელიგიას. ფაქტიურად მთელი ეს ხელშესახები ისტორია კაცობრიობისა, რელიგიათა ეპოქალური გარდასახვებითა და ამ რელიგიებზე გადაჭდობილ ცივილიზაციათა გარდასახვებით, შეიძლება წოდებულ იქნას კიდევ მამაღმერთულ ცივილიზაციათა ისტორიად.

აზროვნების ის სოციალური ბეჭედი, რომელიც ადევს სამყაროს თეოლოგიური გააზრების სიმბოლიკას, არა მხოლოდ საკუთრივ ანთროპოლოგიური, არამედ პატრიარქალური ბეჭედი, პლოტინის თეოლოგიურ ესთეტიკასაც გასდევს, და, მართალია, იგი შემეცნებისა და ლოგიკის იბიექტური ჭეშმარიტებით მიიკვლევს გზას ერთისაკენ, რომელიც მამა-ღმერთ დემიურგზედაც მაღლა დგას და მის ორბუნებოვან ერთობაზეც. მაინც იმ მიღმიერ ერთსაც ისევ „მამას“ არქმევს და ყოფილ მამაღმერთულ რეალობასაც ისევ — „ძეს“ (იხ. პლოტინის ტრაქტატი „სილამაზის შესახებ“). მხოლოდ ძველი, ძალიან ძველი მითოლოგიური აზროვნებით შექმნილი ფრაგმენტები ეგვიპტისა, თუ საბერძნეთის, თუ ძველი აღმოსავლეთის სიბრძნის ძეგლები, კვლავ ამჟღავნებენ დედური სიმბოლიკის ნიშნებს, პლოტინური ერთის ანუ ქრისტიანული მამაღმერთული რეალობის კიდევ უფრო მიღმიერი შრის მისადაგისად.

გაირკვა რა გონითი პიპოსტაზის ადგილი სამყაროს მთელ მისტურ მეტაფიზიკურ

¹⁴ კრიშნამურტის შესახებ იხ. Шахнович, М. И. «Совр. мистика в свете науки». Ак. Н. М. Т. 1955. Изд. «Наука», 33-122.

მოდელში, გაირკვა როგორც გონითი ერთის, როგორც უმაღლესი გონითი პიპოსტაზის ადგილიც გონითი ღმერთების სიმრავლეში, და ასევე სამყაროს სულის პიპოსტაზირებული მონაკვეთიც გონითი ღმერთების განსულიერებულ სიმრავლეში. ამრიგად, პლოტინის მთელი მსოფლმხედველობრივი სურათის ფონზე დემონი პლოტინისა, როგორც ღმერთი გამოცხადებული, წარმოგვიდგა როგორც განსულიერებული ანუ, პლოტინის სიმბოლიკაში, აფროდიტული პიპოსტაზის „მოსაზრება“, აფროდიტულ იერარქიაში, განსულიერებული ღვთაებრივი ერთეული ინდივიდუალური და პერსონიფიცირებული ღვთაება პროტინი ალარაფერი გვითქვამს იმაზე, რომ სამყაროს მეტაფიზიკური მოდელის პლოტინისეული თეოლოგიური ესთეტიკა ისეთივე პირობითობებზეა აგებული, როგორც ბიბლიური ესთეტიკა. თუ ბიბლიური მამალმერთული პიპოსტაზი ცნებითად თანხედრილია პლატონისა და პლოტინის ნამდვილი ყოფიერებისა, ესთეტიკურად ის უკვე აღარ არის თანხედრილი და ძალიან კარგად ეს მოჩანს უკვე მსოფლიო გონის განსულიერებულ პიპოსტაზში.

თუ მსოფლიო გონი ბერძნულ ფილოსოფიაში ბერძნულ-მითოლოგიური სამოსით შეიძლება მოგვევლინოს, — სიმბოლურად, რა თქმა უნდა — და მოგვევლინოს ზევსად, მსოფლიო სული პლოტინისთვის შეიძლება მოგვევლინოს, როგორც ქალღმერთი აფროდიტა. აფროდიტული პიპოსტაზი სამყაროს სულისა პლოტინთან ნათესაურია ქრისტიანობის სულიწმიდურ პიპოსტაზთან.

სახეზე გვაქვს რა პლოტინის უნივერსუმის მთელი მეტაფიზიკური მოდელი, უნდა გაირკვეს პლოტინის დემონის, როგორც ღმერთის პრობლემა ამ ერთიან მოდელთან მიმართებაში და, ამრიგად, ღირებულებითი ადგილი პლოტინური დემონისა უნივერსუმის სტრუქტურაში, ადამიანის უმაღლესი პრინციპისა და უნივერსუმის უმაღლესი პრინციპის ურთიერთმიმართებაში. ბუნებრივია, რომ პლოტინი ვერ დასაბავს უნივერსუმიდან გათიშულ ადამიანურ სტრუქტურას. მისთვისაც, ისევე როგორც პლატონისთვის, ადამიანი მთელი თავისი აღნაგობით გამოჭრილია უნივერსუმის მოდელიდან. თუ პლოტინისთვის სამყაროს დემიურგიული პრინციპი უარყოფილია როგორც უმაღლესი და, ამრიგად, პირველ ღვთაებრიობად დასახულია ზეპიროვნული ერთი, ისმის კითხვა, რა მიმართებაშია ადამიანის უმაღლესი პრინციპი უნივერსუმის ამ ზეპიროვნულობასთან. პლოტინის ერთი პლოტინისავე ლოგიკაში არასოდეს არ ჩამოდის ადამიანში, არასოდეს არ ხდება უმაღლესი პრინციპის გატოლება ადამიანის უმაღლეს პრინციპთან. იდეა ადამიანისა არასოდეს არ ემთხვევა სამყაროს პიროვნულ იდეას, ისინი არასოდეს არ სახლდებიან ერთდროულად ერთ ადამიანში. ამქვეყნიური ცენტრალიზაცია ერთისა, განკაცება ერთისა ადამიანურ არსებაში, არ ხორციელდება. ამიტომ ის, რაც პლოტინისთვის არის გაღმერთება, უნდა ვეძიოთ გატოლებად ერთის ქვემოთ, ერთის დაღმავალ იერარქიაში, მოცემულ ძალებთან.

რას გულისხმობს პლოტინი ადამიანის ღმერთადქცევაში, როდესაც უმაღლესი რანგის ადამიანურ არსებას ღვთაებრივი დემონის მფლობელ არსებად წარმოადგენს და ასეთი განსხეულების დასრულების შემდეგ კი ღმერთად?

მსოფლმხედველობრივად უარყო რა მამა-ღმერთისა და ძის ქრისტიანული ტოლობა, პლოტინი გამძაფრებით დადგა ადამიანის ღმერთობის პრობლემის წინაშე. მას არ შეუძლია შეეგუოს უმაღლესი ღმერთის უკვე ჩამოსვლას მიწაზე, ჩამოსვლას, რომელიც უკვე განხორციელებულია, და ამასთან განხორციელებულია სადღაც, იუდეური მოდგმის იესოს სხეულში. კაცობრიობა იწყებს აღზემებას ამ ღვთაებრივი სხეულის მოვლინებისას და პლოტინს სძულს საკუთარი სხეული, რომელიც არ არის ერთადერთი, ისევე როგორც უმაღლესი ერთი. მას სძულს იგი, როგორც საშინელი დაშორება იმ ერთიდან, დაშორება, რომელშიაც დგას იგი, ჭეშმარიტი პლოტინი. და იგი იწყებს მთელი სამყაროს სურათის აღქმას ისეთ მისტიურ სფეროებში, ისეთ საფეხურებში, რომლებშიაც ქრისტიანული უმაღლესი ღმერთი უმაღლესობას აკარგავს. პლოტინი მის მიღმა, ქრისტიანული ღმერთის მიღმა აღმოაჩენს მთელ იერარქიულ სართულს კიდევ უფრო მაღალი რანგების ღმერთებისას. უმაღლესი ერთი, პირველი, პლოტინისთვის არის მზეზე უფრო მზე, რომელიც თავის წიაღიდან ასხივებს თავის პირველ ერთეულებს, ერთებს. ეს ერთი არიან ღმერთნი. ამის შემდეგ გადადის იგი ერთი თავის იმ მისტიურ განსხეულებაში, რომელსაც არის სამყაროს გონი, ჭეშმარიტი არსებული და ქრისტიანულ მამალმერთული იერარქიის შესატყვისი პიპოსტაზი. თუ ქრისტე არის ტოლი ამ პიპოსტაზისა, პლოტინი თავის ჭეშმარიტ არსს მასზე მაღლა აღმოაჩენს ერთისა და ერთეულთა მისტიურ ღვთაებრიობაში, ხოლო

ქრისტიანულ მამა-ლმერთს, როგორც ერთ ღმერთს, ღმერთების სიმრავლეში მოქცეულს, ერთადერთობის უპირატეს მანტიას მოხსნის.

ამრიგად, გზა უპირატესობისთვის, რომელზეც ქრისტეს გზით მისთვის დაკვეთილი აღმოჩნდა ამქვეყნიად, აღმოჩენილ იქნა მის მიერ იმქვეყნიურ უპირატესობაში. გზა შეუცნობელში თავისუფალი იყო. ამქვეყნიური მინიერი, უპირატესობისთვის ქრისტესთან შებრძოლების აქტი მან გადაიტანა მამა-ლმერთთან შებრძოლებაში, ღმერთობაში უპირატესობა მან წაართვა მამა-ლმერთს სხვა — ღმერთთა შორის, ერთადერთის მაგიერ ერთ-ერთად გამოაღება იგი და ამით ქრისტესაც მოეხსნა ამქვეყნიური უპირატესობა პლოტინის გვერდით.

უმაღლესი ღვთაებრიობის ზეპიროვნული აღსარებით და ერთის პერსონალური ღვთაებრიობის გაუქმებით პლოტინის მისტიური ფილოსოფია აღმოსავლეთის რელიგიურ მოძღვრებებს დაემსგავსა, მოძღვრებებს, რომლებსაც გააჩნიათ არა ერთღმერთის ტოლი ღმერთკაცი, არამედ უერთღმერთო სამყაროს ღმერთთა პლეადური იერარქიები.

როგორ ესახება პლოტინს ადამიანის ღმერთთან მიმსგავსების ან ღმერთთან ყოფნის გზა? „მზეს არა აქვს უკეთესი გაგება ყოფიერებისა, ვინემ ჩვენა გვაქვს, ადამიანებს“. (ენნ. II, 9, თავი 5) — წერს პლოტინი. რა შეიძლება იყოს უკეთესი ხატი გონითი უნივერსუმისა, თუ არა ადამიანური გონება? რა შეიძლება იყოს უკეთესი ხატი გონითი ცეცხლისა, ვინემ არის ცეცხლი აქ? ან უკეთესი ხატი გონითი მზისა, ვინემ ხილული მზეა?

პლოტინი მთელ ხილვად სამყაროზე აღმატებულ თვისობრიობას, რა თქმა უნდა, ადამიანში ხედავს. ადამიანი მზეზე მაღლა დგას თავისი გონებით, გაგებით.

მაგრამ სამყარო თავად თავის უმაღლეს არსში არის არა გონითი, არამედ ამ გონითზედაც კიდევ ამაღლებული. თუ ადამიანი, როგორც ფენომენი, გონითი წარმართულობისაა, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სამყარო, რომელშიაც ადამიანი იმყოფება, უფრო მაღალი რანგის გონითი წარმართულობაა და თუ ადამიანი უნდა ისწრაფოდეს სრულყოფილებისაკენ, უნდა ისწრაფოდეს იმისკენ, რათა დაემსგავსოს პრინციპს, რომლის უმაღლეს წარმართულობაშიც იგი იმყოფება. (ენნ. I, თავი I) — როგორც პლატონი ამბობს, წერს პლოტინი, სამართლიანნი და წმინდანნი ვხდებით გონიერების გზით (ენნ. „სათნოების შესახებ“ I, 2. თ. I). ეს არის ღმერთთან მიმსგავსების გზაც (იქვე). ღმერთთან მიმსგავსება არის პლოტინის ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა. მისი უადრესი დიალოგი „სათნოებათა შესახებ“ სპეციალურად ამ პრობლემისადმი მიძღვნილი და პლატონის სათნოებრივი პრინციპების განგრძობას წარმოადგენს. ისევე როგორც პლატონისთვის, პლოტინისთვისაც გზა გაღმერთებისკენ, ანუ ღმერთთან უახლოესი მიტოვებისკენ, არის ეთიკური გზა, ღმერთს შეიძლება ემსგავსო სათნოებით. სხვანაირად: ღმერთის მსგავსება შეიძლება მიიღო სათნოებათა ხარისხის ღვთაებრივი ამაღლებით. მაგრამ ისმის კითხვა: რომელ ღმერთს მიგვამსგავსებს სათნოება? ანუ: რომელს სამი უმაღლესი ღვთაებრივი პრინციპიდან: ერთს, გონს, თუ სამყაროს სულს? სხვანაირად პლოტინი იტყვოდა: ე. ი. ერთს, ზევსს, თუ აფროდიტეს? რამდენადაც უმაღლესი ერთი არის წმინდა ეთიკური ძალა, მარტივი სიკეთე, ბუნებრივია, რომ გზაც ამ უმაღლესისაკენ სათნოების ასეთივე შინაარსის შემცველ გზად ვიგულისხმოთ. მაგრამ პლოტინი აქ განასხვავებს ღმერთთან მიმსგავსებისა და ღმერთად ქცევის მომენტებს. ჩვენი განვითარების უმაღლეს საფეხურზე სათნოების მისია არის განთავისუფლება ჩვენი დაბალი რანგის მეობიდან: არა კეთილ ადამიანებად ქცევა, არამედ თავად ღმერთებად.

„მიზანი არის არა უცოდველყოფნა, არამედ ღმერთთან ყოფნა“, — იტყვის პლოტინი. მიზნის ამგვარი განმარტებითაც აშკარაა, რომ მთელი პლოტინის აზროვნება მიმართულია რაღაც ზექრისტიანულისაკენ.

„არა უცოდველ ყოფნა, არამედ ღმერთად ყოფნა“ უკვე ამჟღავნებს იმ ნაგულისხმევს პლოტინისას, რომ უცოდველ ყოფნა არც საკმარისი და არც იგივეობრივი არ არის ღმერთად მყოფობისა, რომ შეიძლება იყო უცოდველი, მაგრამ არ იყო ღმერთი. ეს მაშინ, როდესაც მესიის მოსვლა განიმარტებოდა როგორც უცოდველის მოსვლა, ისეთი კაცის მოსვლა, რომელსაც თავისი უცოდველობით და სიღრმით უცოდველი სულისა უნდა დაეტია თავისში მთელი ცოდვანი კაცობრიობისა.

ასეთი დებულებით ღმერთად ყოფნის, ან ღმერთად ქცევის გზა თითქოს ერთგვარად სცდება კიდევ ეთიკურ გზას, რომელიც დასაწყისში პლოტინმა დასაბა პლატონთან ერთად; ბუნებრივია, რომ განესხვავა რა უმაღლესი ღვთაების გადმოცემაში, პლოტინი უნ-

და განსხვავებულიყო კიდევ თავისი კანონმდებელი მოძღვრებისაგან ადამიანის ღმერთად ქცევის ეთიკური განხორციელების გადმოცემაშიც.

თავის უმაღლეს რანგში ადამიანი პლოტინის მიხედვით შეიძლება იყოს ან ღმერთი, ან ორმაგი არსების დემონი (გაორებული სულის არსება) (ან ის, ვისაც ახლავს ვინმე სხვა, მფლობელი სხვადასხვა სათნოებისა. ენნ. I, 2. თ. 6).

ეტიკური

თუ ის არის საბოლოოდ და მარტივად ღმერთი, ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო კმათ-
თაგანია, რომლებიც მოსდევნ პირველს. პლოტინი აქ აშკარად ამ პირველს პლა-
ტონის წარმოსახულ პოეტურ მითოლოგიურ სახეში ხედავს, ჭეშმარიტების სამზერად
მფრინავრაშებიანი ეტლების ზეციური დოლით რომ დახატა პლატონმა.

რა არის ის კონკრეტული სათნოება („არეტე“), რომელიც ადამიანს შეიძლება პქო-
ნდეს ამ უმაღლესი მდგომარეობის მიღწევის დროს, ე. ი. თავის უმაღლეს დონეზე? ეს არის
სიბრძნე და მჭვრეტელობითი ცოდნა, რომელიც გააჩნია გონებას. გონს იგი უფრო უშუა-
ლოდ გააჩნია, ვიდრე სულს. თითოეული მათგანი კი (ე. ი. ცოდნა სიბრძნისა და გონე-
რების) ორია, ერთ შემთხვევაში, როგორც მოცემული გონებაში, და მეორე შემთხვევაში,
როგორც მოცემული სულში. ის, რომელიც გონებაშია — სათნოება არ
არის, ის, რომელიც სულშია — სათნოებაა. მაშასადამე, სიბრძ-
ნე და მჭვრეტელობითი ცოდნა სულში მოცემული სათნოებაა, გონება-
ში მოცემული კი არა. გონების სიბრძნე და გონების ცოდნა არ არის სათნოება. სათნოება
არის სიბრძნე სულისა. მაშინ ისმის კითხვა: რა არის სიბრძნე და ცოდნა, როცა იგი
გონებაშია მოცემული: ის არის ქმედება (ენერგია) გონისა და ის, რაც იგი არის, რაც არის
თვით გონება. (სათნოება) ხდება ის მაშინ, როცა მოდის მისგან და აგრძელებს არსებობას
სხვაში. არც თვით სამართლიანობა და არც რაიმე სხვა ამგვარი, გონში არ იქნება სათ-
ნოება, არამედ იქნება სახეობა ამ სათნოებისა, პარადიგმა, ე. ი. პირველფორმა. მისგან
სულში გადასული კი უკვე იქნება სათნოება.¹⁵

ამრიგად, ჭეშმარიტი თვითსამართლიანობა სულში, ეს არის ქმედება სულისა გო-
ნების მიმართულებით, ქმედება გონებისკენ, სულისმიერი თვითშემონშება თავისი არსე-
ბობისა გონებისაკენ მიბრუნებით; სიმამაცე სულისა ეს არის მისი თავისუფლება ვნებები-
სგან, შესაბამისად იმ უმაღლეს პრინციპთან მიმსგავსებისა, რომელსაც ის ჭვრეტს: გო-
ნითი პრინციპის, ბუნებით ვნებათაგან თავისუფალი პრინციპის; ეს ვნებათაგან თავისუფ-
ლება სულში სათნოებიდან არის მომდინარე.

ეს სათნოებანი სულში ისევე შეიცავენ ურთიერთს, როგორც მათი პარადიგმები გო-
ნში. მზერა, მიმართული გონისაკენ, სულში არის სიბრძნე და ცოდნა, ანუ სათნოებანი
სულისა.¹⁶

როდესაც ადამიანი აღწევს უმაღლეს პრინციპებს, იგი მოქმედებს კიდევ მათ შესა-
ბამისად; იგი, რამდენადაც შესაძლებელია, შორდება თავის შედარებით დაბალ ბუნებას
და აღარ ცხოვრობს იმ კარგი კაცის ცხოვრებით, რომელსაც სამოქალაქო სათნოებანი
მოითხოვენ. იგი უკან სტოვებს ამ სამოქალაქო („შე პოლიტიკე არეტე“) სათნოებას და ირ-
ჩევს სხვა ცხოვრებას, ცხოვრებას ღმერთებისას. რადგან ის, რომელსაც ჩვენ უნდა ვემსგავ-
სოთ, ღმერთთა ცხოვრებაა და არა კაცთა. მსგავსება წესიერ კაცობაში იგივეა, რაც სურ-
ვილი იმ ორი სურათის მსგავსებისა, რომლებშიც ერთი და იგივე საგანია დახატული. მიმ-
სგავსება ღმერთებთან კი მიმსგავსებას ნიშნავს ჩვენგან განსხვავებული სახისადმი (პარა-
დიგმისადმი).¹⁷

ამრიგად, თუ დავაკვირდებით, პლოტინის აღწერაში ადამიანის უმაღლესი რანგი წარ-
მოდგენილია ან როგორც ერთი ღმერთთაგანი, და ე. ი. ნაგულისხმევია ადამიანი მიწიე-
რი განსხეულების შემდეგ, ან როგორც დემონური სულის თანხლებაში მყოფი; და ე. ი.
მიწიერ განსხეულებაში, მაშინ როცა მისი ორეული ჭეშმარიტი რაობა, მისი ტრანსცენდე-
ნტური სახეობა ზეციურ ნიაღშია მოცემული. პლოტინის მიერ დემონური სულის თანხ-

¹⁵ პლოტინი. „სათნოების შესახებ“.

¹⁶ იქვე

¹⁷ იქვე, თ. 7.

ლებაში მყოფი ფაქტიურად პირდაპირ ხასიათდება როგორც უმაღლესი რანგის ადამიანური მყოფობა. ეს არის მყოფობა, როდესაც ადამიანი ერთდროულად არის მცხოვრები მინისა და ცის, ერთდროულად არის ადამიანიც და ღმერთიც. პლოტინის დემონი, მისი მიღმერთი ქვეშარიტი არის არის მისი წარმმართველი პრინციპი. დემონური პრინციპი საერთოდ წარმმართველი, მამოძრავებელი პრინციპია. დემონი პლოტინისთვის არის განგება. იგი განაგებს ადამიანის ცხოვრების გზას. რამდენადაც თავის უმაღლეს სახეობაში დემონური პრინციპი თვით იმ ზეგონითი ღმერთების იგივეობრივია — და ამასთან ინდივიდუალური, ამდენად უმაღლესი ადამიანური პრინციპიც პლოტინისათვის ზეგონითი გონიერებაა. თუ სოკრატესთვის იგი მისტიურად იდუმალ ხმაში ცნაურდება, და ზეგონითი ლეოთაებრივი სიბრძნე ამოაქვს სულიდან, თუ ქრისტიანულ თეოსოფიაში ქრისტეს შემდეგ ეს იდუმალი ხმა თავად იმოსება ქრისტეში, როგორც სამყაროული სინდისი, პლოტინთან იგი მრავალრიცხოვან მისტიურად შოარსებზე ღმერთების იერარქიაში რჩება და ჩრდილოვით გადაბმული განაგრძობს ყოფნას ადამიანურ სხეულებში განსხვავებულ უმაღლესი რანგის „მე“-ებზე. ფაქტიურად ეს მისტიური განუყრელი „ჩრდილი“ პლოტინისა, ზეციური „ჩრდილი“, რომელიც ნამდვილ რაობას გვიხატავს ფილოსოფოსისას, ხოლო მინაზე მოსულს მას ჩრდილად აღგვაქმევენებს იმ ნამდვილი არსისას, არის ისევე გონითი რაობის უმაღლესი სახეობა, რომელიც მინიერ ეთიკურ პლანში გაიზრება ისევე როგორც სინდისი — უმაღლესი წარმმართველი.

ეს წარმმართველი, პლოტინის მიერ სახელდებული დემონად, რამდენადაც გაიზრება როგორც სხვა, არაიგივე პლოტინის ამქვეყნიური მეობისა, ამ მეობასთან იგივეობრივ-სხვაობრავე ყოფიერებაში ქმნის ერთგვარ ორსახოვნებას ერთი სულისას, დემონურ წყვილს ადამიანურ-ლეოთაებრივი არსებისას, რომელიც ჩვენის ფიქრით ფუნდამენტური ინფორმაცია უნდა იყოს პლოტინისაგან პარაფსიქოლოგიურ იდუმალებათა ამოსაკითხავად. როგორც ცნობილია, პარაფსიქოლოგია განსხვავდება ფსიქოლოგიურ საფუძვლებს იკვლევს. იოლი როდია გაიხსნას პლოტინისეული თეალსაზრისები მონაფე-მოძღვართა ცხოვრებაში მინიშნებული იგივეობრივი და განსხვავებული განსხვავებებისა. მაგალითად, პითაგორისეული განცდა პერმოტიმოსობისა და სხვა (პითაგორა თვლიდა, რომ თავის მინა განსხვავებაში პერმოტიმოსი იყო, ე. ი. ხედავდა თავის თავს მასში).

„დიდი მასწავლებელი“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება მონაფეთა მიერ „უმაღლესი მე-ს“ გამოსახატავად. „უმაღლესი მე“ ბუდისტურ მისტიკაში იმას შეესაბამება, რაც ბრაჰმანისტებთან ითარგმნება როგორც „მე“, ხოლო გნოსტიკოსებთან როგორც ქრისტე. ასეთი დემონური წყვილის მაგალითს მიეკუთვნება პლოტინური მოძღვრების შუქზე ელენა ბლავატკაიას და მისი მასწავლებლის ემპირიულ-ტრანსცენდენტური ორეულიც.

გავიხსენოთ სახარებისეული პასაჟიც ჰავლე მოციქულისა: — ეხლა უკვე მე კი აღარ ვარ, არამედ მე ვარო ქრისტე. დემონური წყვილების თეოსოფიური კონსტატაციები მეცნიერების ენაზე აუხსნელია. ერთი რამ ცხადია, რომ უმაღლესი პრინციპი, როგორც იდეალური „მე“ ფილოსოფოსისა, როგორც წარმმართველი პრინციპი, და ამქვეყნიურ ეთიკურ პლანში როგორც სინდისი, გამოცხადებადია, მას „დამოუკიდებელი“ მისტიური „სხეულიც“ მოეძებნება, გამოცხადებაში ხილვადი. ცხადია, ამ ხილვას ეგვიპტელი ქურუმი ქალის „მზერა“ ესაჭიროება. რამდენადაც ასეთი რანგის არსება დაცლილია ამქვეყნიური ცხოვრებისაგან, მისი შინაარსიც, მისი მისიაც არის ამიტომ დაცლილი ეთიკური გააზრებისაგან. ამიტომ აღარც ჰქვია მას ფაქტიურად სინდისი, თუ ამ პრინციპს ადამიანების ცხოვრებაში გადავითანთ, მით უმეტეს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების პლანში, აქ იგი, კვლავ იქცევა რა ადამიანის ქვეშარიტი რაობის მომპოვებელ ძახილად, მონოდუზად, სინდისის მისიასაც მაშინვე დაიბრუნებს. ასეთია ამ პრინციპის ანალოგია, როგორც დაკარგული პრინციპისა თანამედროვე ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის ნააზრევში.

რამდენადაც პლოტინთან ეს პრინციპი ადამიანური „მეობის“ ორეულია, იგი ინდივიდუალური გონითი სინათლეა: სამყაროს ემანაციაში ეს არის ერთი და იგივე გონითი სხივი, განყვეტილი ორად და დრო-სივრცით გათიშული, სხივი, რომლის ერთი ნაწილი მინაზე დაშვებული და განსხვავებულია. ამიტომ ეს განსხვავებული ნაწილი თავის იდეალში ისევე თავის საწყისს ელტვის. იმ საწყისში ის ღმერთია, მინაზე კი დაშორებულია ღმერთობას. სხეული არის ბორკილი, რომლითაც იგი დაბმულია მინაზე და დადასტურებულია, რომ ოდესღაც, ზეცაში ცხოვრების დროს მისი სული დაშორდა პირველ ქე-

შმარტებას. და პლოტინს რცხვენია თავისი არსებობისა სხეულში: ღვთაებრივი დემონის ეს მინიერი პლოტინური ტვირთი მისი ჭეშმარიტი მეობის შეურაცხყოფელია. იგი შეურაცხყოფილია სხეულში ყოფნით. ეს სირცხვილი არის კვლავ მისი ბორკილი, რომლითაც იგი ვერ თავისუფლდება სხეულისაგან. ეს სირცხვილი არის პლოტინის ტანჯვა, რომლისაგანაც მის გონებას ისევ ქრისტე იხსნის; მაგრამ ეს ხდება მის გარეშე, ხალეუნების შემდეგ. მას გაათავისუფლებს ისევ ადამიანის სხეულში შესული ღვთაების ეპოქალური აზრი. მისი ჭეშმარიტი მიმდევარნი, უკვე ქრისტიანნიც და ანტიქრისტიანნიც, განმზადდნენ არიან სულიერადაც და აზრითადაც მისი განთავისუფლებისათვის ამ სირცხვილისგან. — გონი ისევა გაღვთაებრივებული ერთით, როგორც სული გონით და სხეული სულით, — იტყვის პროკლე. ამდენად იგი სხეულის ღვთაებრიობას აღიარებს. ხოლო დიონისე არეობაგელი, ველარ ამოიკითხავს რა სირცხვილის კოსმიურ შესატყვისს, ველარ ამოიკითხავს რა უმაღლესი ღვთაებისაგან ვარსკვლავურ გუმბათში ყოფნის სირცხვილს, განმარტავს: შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ზეციური მშვენიერების ჰარმონია სამყაროს ვარსკვლავიანი ცის სხეულებრივი მშვენიერების გარეშე („ღვთ. სახ.“).

ნახილი მესამე

ჭრება და ცხოვრება

პლოტინისეული უარი ადამიანურ სხეულზე, რომელშიაც ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით შევიდა ღმერთი, ფაქტიურად უარია მთელი ვარსკვლავიანი სამყაროს სხეულზეც.

ხოშ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პლოტინი თავისი მსოფლმხედველობითა და ფსიქოლოგიით დაშორდა თვით ღვთაებრივ ბუნებასაც, რადგან ღვთაება თავისი ემანაციის კანონით, თავისი გარდუვალი კოსმიური მრწამსით, ისევე როგორც უნდა შევიდეს თავისივე შექმნილ სამყაროულ სხეულში, შედის დასასრულ სხეულთა შორის უმშვენიერეს სხეულშიც, ანუ ადამიანურ სხეულში. კოსმიურ პლანში ეს ლოგიკური თანმიმდევრობაა. ხოშ არ ეთიშება პლოტინი ღვთაებრივის კოსმიურ კანონიერებას?

არის მისი აღზევება და შეურაცხყოფის განცდა თავისებური ფსიქოლოგიური მომენტი მისი პიროვნებისა, თუ არის ეს შეგნებული მსოფლმხედველობრივი პათოსი?

პლოტინი ნამებამდე შეურაცხყოფილია. იგი ენამება სხეულში ყოფნით. მას მიაჩნია, რომ ყოველგვარი შეურაცხყოფა და გაუპატიურებაც კი სხეულისა სასურველია, რადგან სხეულია თვითონ ყოველგვარი შეურაცხყოფელი ბოროტების წყარო და მიზეზი. თუ ადამიანებისთვის სხეული სიამოვნების საგანია, თუ ადამიანები ჩვეულებრივ სხეულით იღებენ ამქვეყნიურ სიამეთ (არა მხოლოდ სხეულის გზით, ცხადია!), პლოტინისთვის სხეული ტანჯვის საგანია. სხეულთან იყო დაკავშირებული აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის რიგი მისტერიები სრულყოფილების საიდუმლო გზებისა, ეგვიპტისა თუ ინდოეთის, რომელთა შესახებ აქ ვერ შევძლებთ სიტყვა გავაგრძელოთ. ერთი რამ კი შეიძლება ითქვას, რომ თვით დიონისური ჯრგები, რომლებიც სხეულის თრობით იყო წარმართული, აღეგორია იყო მისტიური სპირიტუალური თრობისა, რომლითაც თავდავინყება და ნირვანულ ნეტარებაში გარდასახვა რიტუალურად იყო მიღწეული. პლოტინისთვის მთელი ეს რეალობა უაზროა. სხეულის რაიმე აზრიანობის გზა ჩაჭრილია. იგი ავად არის მთელი სხეულით, მაშინაც, როცა ჩვეულებრივი, ადამიანური თვალსაზრისით არ არის ავად. მისთვის უსიამოვნოა არა მარტო მშობლების გახსენება, არამედ მშობლიური ქვეყნისა და დაბადების ადგილისაც. მას შეურაცხყოფად მიაჩნია, რომ ვინმემ დახატოს და სადღაც, რაღაც მასალაზე თუ ტილოზე გადაიტანოს მისი შეურაცხყოფელი გამოსახულება. მისთვის საზიზღარია დედაც, რომელმაც ჩვეულებრივი ადამიანური საშოდან დაბადა იგი, დაბადა მისი შეურაცხყოფელი მინიერი სახეობა. და მისთვის ზედმეტია ყოველგვარი ღვთისმშობელიც, რომელიც განადიდებს დედობას. რომ გადავსეროთ დიდი სივრცე და დრო პლოტინიდან და დანტე ალიგიერი გავიხსენოთ, რომელმაც თავისი ღვთაე-

ბრივი პოემა დედური საწყისის სადიდებლად შექმნა, რომ გავიხსენოთ დანტეს ის სიტყვები, რომლებშიაც ღვთისმშობლისა და ქრისტეს დანტეანური გაგებაა ჩამოყალიბებული: კაცობრიობის სიცოცხლიდან არავინ არ ამალღებულაო ჯერ ისეთ სიმაღლემდე, როგორზედაც ამალღდა ეს ორი სული, ქრისტე და ღვთისმშობელი, — მეტისმეტი სიმკვეთრით დაგვიდგება წინ საშინელი და უმძიმესი უფსკრული, რომელიც სუფევს პლოტინსა და დანტე ალიგიერის ეთიკურსა და მეტაფიზიკურ პათოსებს შორის. დასასრულ, თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, როგორც მისი მოწაფე გადმოგვცემს, იგი ატარებს სხეულის ფიზიკურ გვემაში. ინყლულებს სხეულს, უარს ამბობს ნამაღზე და შეურწმალბაზე და მიაბარებს მინას ამ საზარელ დამნაშავეს ერთი თავისი მოწაფის ხელით რომის მახლობლად, მყუდრო და ჩუმ აგარაკზე. პლოტინი მოწამეა და ეწამება ერთისათვის: თავისი ღმერთისათვის, რომელსაც პლოტინის მიერ აღიარებული სახელი პქვია: პლოტინური ერთისათვის. ვამბობთ: პლოტინის ღმერთისათვის, ან ნეოპლატონური ერთისათვის, რომელშიაც ჩანს წარმომავლობა ამ ღმერთისა პლატონიდან. პლოტინის ამ სხეულისადმი მიყენებულ გვემასა და წამებას უცნაურად გადააქვს ჩვენი ასოციაცია ყველასათვის კარგად ცნობილ, ქრისტიანული მოწამეობის ერთ-ერთ პირველთაგან წარმომადგენელზე, რომელსაც V საუკუნის ქართველი მწერალი, სასულიერო მოძღვარი, იაკობ ცურტაველი აღწერს: ეს გახლავთ წარმოშობით სომეხი დედოფლის შუშანიკის წამების პასაჟები, სადაც შუშანიკის მიერ სხეულის საზარელი, თითქმის ავადმყოფური თვითგვემაა მოცემული. შუშანიკს მატლი დაეხეა საპყრობილეში. ეს იყო მისი წამების მეშვიდე წელს. იგი ეწამებოდა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. „და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა, მიიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებადცა, რომელთა მისთა და დაუცხრომლად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერხნი მისნი და თხრამლი აღმოსდითოდა. და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ, რომელ-იგი აღიღო ხელითა თვისითა და მიჩუენებდა მე და კმადლობდა ღმერთსა“, — წერს იაკობ ცურტაველი. შუშანიკისთვის, მიუხედავად მისი წაგვემი სხეულის ამ საზარელი და ამათიური სურათისა, სხეული, როგორც ასეთი, საზარელი არ არის. აქცენტი მისი განწყობისა არის მომავალ საიქიო ცხოვრებაზე, რომელსაც იგი სიხარულით მიეცრფის. და ეს მატლებიც, შეიძლება ითქვას, მას უყვარს, რადგან მათ მისთვის უკვდავება მოაქვთ. ისინი არიან „დასაბამნი მარადიული სიხარულისა“. „ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნ იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკუდების“. და მე, ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდე ფრიად. მრქუა მე რისხვით: „ხუცეს, რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმა აქავე ამას ცხოვრებასა“. და მე მიუგე და ვარქუ: „ძაძისა სამოსელი მცირედლა შეგერაცხაა საგულისხმებლად? და ან მატლთა მაგათთვის მხიარულ ხარ!“ მთელი საშინელი სურათის შუშანიკისეული კრეფო აქვეა ფორმულის სახით მოცემული:

„...ჭირისა ამისა წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატანჯველთა ამათ წილ განსუენებაჲ, გუემათა ამა ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა — მივემთხვიო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა“.¹⁸

აპათიას შუშანიკისთვის არ იწვევს არა მარტო საღი სხეული, არამედ არც ეს მატლშესეული სხეული. არ იწვევს არა მარტო მასში, არამედ არც მის თანამორწმუნეებსა და მიმდევრებს: ეს წანამები და ესთეტიკურად უსიამოვნო სხეული მათთვის არის პატიოსანი, შემდგარი „პატიოსანთა ძუალთაგან“ და „პატიოსანთა ნაწილთაგან“. საერთოდ ქრისტიანი მოწამის თაყვანისცემა ხომ ვრცელდება არა მხოლოდ მის სულზე, არამედ მის სხეულზეც.

„...აღვილე გუამი იგი ფრიად დამაშურალი და დაჭმული მატლთა — აღწერს იაკობ ხუცესი. — და განვბანეთ იგი მატლისა მისგან მინოვანისა და თხრამლისაგან. და შევემოსეთ მჩურითა მით... და დაეპყრძალენით წამებულნი იგი და დიდებულნი და პატივისცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა“.

მართალია, სომეხი დედოფლის ეს წამება-გვემანი ერთგვარი მონოფიზიტური პათოსით სუნთქავს, უფრო ერთბუნებოვანი ძე-ღმერთის იდეალი იგულისხმება თითქოს დედოფლისეული ცხოვრებისა და წამების წესში და ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, იგი ქარ-

¹⁸ იხ. „ჩვენი საუწყე“, ტ. I, გვ. 24.

თულ ქრისტიანულ ნამებათა გზასაც შორდება, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ის არის აქ ჩვენთვის, რომ თუნდაც მონოფიზიტური სულის ქრისტიანობაშიც კი არამხოლოდ სულია მონაშის საკულტო რიტუალების საგანი, არამედ სხეულიც. უფრო მეტიც, გუამიც, ქრისტიან ნმინდანთა გუამები ხდებიან საგანნი სასწაულთმოქმედების. და არაერთგზის მიკარებანი ნმინდა გვამებისა აღინერება განკურნებისა და ~~განწმენდის~~ სასწაულებად. შორ მაგალითებს არ გავუყვები, ისევ ქართველ ნმინდანებს გაეცნოთ ~~ქართველ~~ გორგი ათონელსა და ექვთიმე ათონელს, რომელთა გვამნიც, როგორც ნმინდანნი და სასწაულმოქმედნი, მიხეილ თამარაშვილის ცნობით, დაკრძალვიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ რომში გადაუსვენებიათ. პეტრე იბერიელს, რომელსაც აგრეთვე უკავშირებენ მონოფიზიტურ აზროვნებას, განუყრელად დაჰქონდა თან ლუსკუმით ქალაქიდან ქალაქში ფერფლი თუ ნანილნი თავისი საკერპო და სათაყვანებელი ნმინდანების გვამებისა და ამ ფერფლზე დამხობილი ლოცულობდა თავისი უდიდესი ექსტაზების მლოცვარებით.

ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ სულის უპირატესობა სხეულთან და სულის უკვდავების ზარ-ზეიმი ქრისტიანობისა არ ნიშნავდა სხეულის უარყოფას და პირიქით: ნმინდა გვამების კულტი ქრისტიანული აღდგომის მისტერიას ეხმაურებოდა — და მიწიერი სიცოცხლის ამალღებისაკენ უხმობდა ცოდვით დამძიმებულ კაცობრიობას. შემდგომი ევროპული ინტერპრეტაციები ქრისტიანობისა ქრისტიანობის წინააღმდეგ უმთავრესად ჭაბუკური იყო და სიცოცხლის დამთრგუნველად აცხადებდა ღმერთკაცს, რომელიც სწორედ სიცოცხლის ასამალღებლად მოვიდა ამქვეყნად. სულისა და სხეულის პარმონია (ცხადია, სულის ბრწყინვალე უპირატესობით სხეულთან, და თვითონ აგრეთვე სხეულის გამოცხადებით სულად, სხეულებრივ სულად), რომელიც თავის დროზე კლასიკურ ფორმაში პლატონმა მოგვცა, ამასთან არა როგორც მხოლოდ ფილოსოფია, არამედ როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რადგან მოძღვრება ამ პარმონიის შესახებ ადამიანთა ცხოვრების გზასა და იდეალსაც გულისხმობდა, პლოტინმა დაკარგა და კაცობრიობას იგი (ეს პარმონია) სწორედ ქრისტიანობის გზით დაუბრუნდა. მართალია, ქრისტიანობამ არა მარტო კაცობრიობის ისტორია გაჰყო ქრისტეს წინარე და ქრისტეს შემდგომ სიცოცხლედ ადამიანებისა, არამედ ქრისტეს შემდგომი ქრისტიანული კაცობრიობაც დაჰყო სასულიერო და საერო კაცობრიობად, მაგრამ ქრისტიანობის ჭეშმარიტი არსი მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის (ქრისტეს ერთბუნებოვანობისა და ორბუნებოვანობის) ბრძოლაში გამოვლინდა ყველაზე მეტად და გამოვლინდა დიოფიზიტობის გამარჯვებით. უფრო მეტიც: ქრისტიანობამ თავისში დაიტია ევროპული, სახელდობრ ვერმანული, პროტესტანტული სახეობაც ქრისტიანობისა, სადაც საერო ცხოვრება პარმონიულად არის შერწყმული სასულიერო ცხოვრებასთან.

ქრისტიანობა ადამიანის განდიდების რელიგიაა. პლოტინი და ქრისტიანობა სწორედ ადამიანის გაგებაში შორდებიან ერთმანეთს და შორდებიან ძალიან მწვავედ. პლოტინის ღმერთები ყოველთვის არიან მაინც განწირულნი ადამიანთა ცხოვრებაში სამონაწილეოდ. ამიტომ მას არც ღმერთების ხვედრი იზიდავს საბოლოოდ მას იზიდავს ის უმონაწილეო ყოფიერება უმაღლესი ღვთაებისა, რომელიც არასოდეს ჩამოდის სიმრავლეში, მას იზიდავს არყოფნა. ანუ ერთი. ამიტომ, თუ გავიხსენებთ, რომ მისი ღემონი — ღმერთი, იმქვეყნიურ სიცოცხლეში თავის მაღალ ღემონს იგულისხმებს კიდევ, კოსმიურ პერსპექტივაში, ცხადი ხდება, რომ პლოტინი უარს ამბობს თვით ღვთაებრივ პიროვნულობაზეც. იგი უნდა დაიკარგოს იმ ერთში თავისი ღვთაებრივი მეობის თვითმცვლელობით. ამ თვალსაზრისით იგი ყველაზე მეტად ტიბეტის ცნობილ ასკეტებს მოგვაგონებს, რომლებიც სიცოცხლეშივე ათეული წლებით ფიზიკურად დამარხული სხეულით არსებობენ და ნირვანის სამარადისო ხარისხზე მუშაობენ. თითოეული ასკეტი ერთ თავის სიცოცხლეში, რომელიც აბსოლუტურად მხოლოდ აზროვნებას და მისტურ მეტაფიზიკურ ჭვრეტას ეძღვნება, მთელი თაობების აზროვნებით ქმედებას ათავსებს. მისი შედეგი, აზროვნებითი მონაპოვარი ერთი სიცოცხლისა კი არ არის, არამედ იმ მრავალი ასეული სიცოცხლისა, რომელიც ერთ ადამიანურ არსებობაში, ადამიანურ ყოფაში მხოლოდ ნანილს მიისაკუთრებს ჭეშმარიტი აზროვნებისთვის.

ტიბეტის ეს განდევნილი ანონასწორებენ კაცობრიულ სიცოცხლეს გონისას. იმ კაცობრიობისას, რომელსაც აზროვნებისთვის არ სცალია. თუ ადამიანთა დიდ ნანილს, ცხოვ-

რების საზრუნავში ჩაძირულს, თითქმის აღარ რჩება დრო ფიქრისათვის, ისინი ერთიანად ფიქრისთვის მიძლენილნი, თავისუფალნი არიან ცხოვრებისეული სრულვისაგან. ამ გზით კაცობრიობის გონით ლანდშაფტში, რომელიც მთელ დედამიწას აკრავს მარავანდედად, ისევე როგორც, შესაბამისად, თითოეულ ადამიანს, ისინი ჰქმნიან სასწორს მთელი კაცობრიობის ნონასწორობისას, რომლის გარეგნული გამოხატულებაც დედამიწის ფიზიკური ნონასწორობაა სამყაროში და პარმონიული დინება მთელ ფარსკელსავე.

ეს ყოველივე მათი თვალსაზრისით. მაგრამ შემთხვევითი არ იყო, რომ სპარსულ-ინდურ საიდუმლო ცოდნათა ნყურვილით ანთებული პლოტინი რიგით მხედრად მიჰყვა იმპერატორ გორდიანს აღმოსავლეთში სალაშქროდ.

პლოტინის ეს ბიოგრაფიული პასაჟი აღმოსავლეთით ვნებისა მთელ მის მსოფლმხედველობას ბეჭდად აზის.

შემთხვევითი არ არის, რომ პლოტინის არსი სწორედ ქრისტიანულ არსთან ხვდება კონფლიქტში. პლოტინისა და ქრისტიანობის დაპირისპირება ერთგვარად დასავლური და აღმოსავლური რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნებების დაპირისპირებაც არის — აღმოსავლური უცენტრო უსასრულობისა და დასავლური „ცენტრის ფილოსოფიის“ დაპირისპირება (სამყაროს ცენტრისეული ფილოსოფიის მწვერვალი ფაქტიურად ქრისტიანული მსოფლმხედველობაა).

პლოტინში ხდება ბერძნული ფილოსოფიის აშკარა გადახრა აღმოსავლური მისტიკის შიმართულებით და ქრისტიანობის მისი შეპირისპირება უკვე ნიშნავს აღმოსავლურისა და დასავლური აზროვნების კარდინალურ შეპირისპირებას, ევროპისა და აზიის რელიგიური ტემპერამენტების შეჯახებას. ფაქტიურად, პლოტინის მიმხრობით, პლოტინში მთელი აღმოსავლეთი უპირისპირდება ქრისტიანს.

ქრისტიანული მეტაფიზიკა პლატონის ფილოსოფიაზე დაყრდნობით უმაღლეს ღვთაებრიობას, რომელსაც ზეპიროვნულად გაიაზრებს, უმონანილო ეიდოსად, სამყაროში მისი მონანილეობის გარდუვალობასაც აღმოაჩენს და ამიტომ მთლიანობაში მას ფილოსოფიურად უმონანილო-მონანილედ წარმოსახავს.

ამიტომ თავის ამქვეყნიურ ღმერთს, შესაბამისად იმქვეყნიურისა, სახარების ავტორი ამქვეყნიურად უმონანილო-მონანილე მამისაგან წარმოშობილად სახავს. მისტერია იესოს მამის უმონანილეობისა და მონანილეობისა ერთდროულად სწორედ ამაში მდგომარეობს. იოსები (მამა იესოსი) უმაღლესი ღვთაების, როგორც მამა-ღმერთის, ამასთან როგორც უმონანილოდ მონანილე ღვთაების მიწიერი ალეგორიაა.

პლოტინთან ყველა ეს ნანამძღვარი მოხსნილია. მისი იდეალი საკუთრივ უმონანილო ღვთაების იდეალია, ამასთან მონანილე ღვთაებრიობასთან განცალკევებული და ჰიპოსტაზირებული უმონანილო ღვთაებრიობის იდეალი. ამიტომ ღვთაების მონანილეობა ადამიანთა ცხოვრებაში და სიკეთე მისთვის სამყაროს ქვედა იერარქიებშია დარჩენილი. უმაღლესი ღვთაება მისგან მოითხოვს და მიისადაგებს სათნოების უმაღლეს სახეობას, რომელსაც პლოტინისთვის უკვე მჭვრეტელობა ჰქვია.

მჭვრეტელობა — როგორც უმაღლესი სიბრძნე შეიძლება ნოდებულ იქნას აღმოსავლურ სიბრძნედ. ბუდიზმისათვის სიკეთეზე მაღლა დგას მჭვრეტელობა და ჭვრეტის გზით მოპოვებული ნირვანა. ამიტომ საჭირო არის კიდევ განმეორებით გავიხსენოთ ის ტიპეტის განდევგინი, თავიანთი ერთი სიცოცხლით უმაღლეს სათნოებას რომ ემსახურებიან, როგორც მჭვრეტელობას, და ამგვარი ჭვრეტით სიცოცხლე-დამარბულნი სიბრძნის მწვერვალებზე აღიან.

თავისი ერთი სიცოცხლით, როგორც აღვნიშნეთ, თითოეული განდევგინი თავის თავში აქცევს უამრავი სიცოცხლისა და უამრავი თაობების მჭვრეტელობით ენერგიას. სიცოცხლის სრული უარყოფით და ჭვრეტის აბსოლუტიზაციით ისინი ერთ მჭვრეტელობაში აქცევენ ფაქტიურად ადამიანის მთელ მჭვრეტელობით შემძლეობას, რომელიც თაობებში უნდა გამოვლინდეს. ე. ი. თუ ამქვეყნიურად ერთი ადამიანის სიცოცხლესაც კი არ გადიან, სამაგიეროდ რამდენიმე თაობის სიცოცხლით ცხოვრობენ ისინი გონითად, ჭვრეტი-თად. რამდენიმე თაობის სიბრძნეს აგროვებენ წინასწარ და შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს გამძლეობაში, ე. ი. რაც უფრო დიდხანს იქნებიან დამარბულნი ფიზიკურად და უფრო დიდხანს იქნებიან ჭვრეტაში (ჭვრეტისთვის მათ არ სჭირდებათ სხეული, გავიხსენოთ თუნდაც დემოკრიტე, რომელმაც თვალები დათხარა იმისათვის, რომ გაემძაფრებინა თავისი აზროვნება), მით უფრო მაღალრანგოვანია მათი სიბრძნის ხარისხიც. უმა-

დღეს ხარისხში ისინი უტოლდებიან უმაღლესი ზეციური იერარქიის ინდივიდუალურ არსებობას, ღვთაებრივ „მე“-ებს; შეიძლება ითქვას დასავლეთის ფილოსოფიის ენაზე, ღმერთებს. ასეთი თვითდამარხული ასკეტების აღდგომა წამიკითხავს 23 წლის შემდეგ, ე. ი. 23 წელიწადი იყო დამარხული უსინათლო მღვიმეში ტიბეტის დიდი ჭვრეტოსანი ბრძენაკაცი. მისი აღდგომა „მკვდრეთით“ არის ზეიმი დაბალი რანგის განდევნილი ~~მღვდელი~~ ^{მღვდელი}.

პლოტინს თითქოს არა აქვს საშუალება განახორციელოს ეს თვითდამარხვა ქრისტიანულ ეკლესიასთან, იგი ვერ აღწევს იმპერატორ გორდიანის გზით ინდური სიბრძნის იდუმალსა და ჯერ კიდევ მისთვის მოსაპოვებელ სადგურს სიბრძნისას. მისი პრინციპი უმაღლესი სათნოებისა მჭვრეტელობითი პრინციპია, ისევე როგორც ეს აღმოსავლეთის რელიგიურ ფილოსოფიურ ინსტიტუტსა და განდევნილობის საარაკოდ ქცეულ ტიბეტურ მღვიმეებში მოიზრება.

ამ თვალსაზრისით, ე. ი. პლოტინისა და აღმოსავლური სიბრძნის ნათესაური სულის თვალსაზრისით, პლოტინი არა მარტო თავად უპირისპირდება ქრისტიანულ მოძღვრებას, რომელიც პირველ რიგში შენდება როგორც ახალი ბიბლიური აზროვნება, ძველ აღთქმაზე დამყარებული ახალი აღთქმისეული მოძღვრება, პლოტინის არსებაში ერთმანეთს უპირისპირდება არა მხოლოდ დასავლური და აღმოსავლური აზროვნება, არამედ ერთმანეთს უპირისპირდება დასავლური და აღმოსავლური რელიგიური ნესიც ცხოვრებისა.

დასავლური, როგორც ქრისტიანული ნესი, თავის იდუმალებას ჯერ კიდევ ბიბლიური ადამის, როგორც ადამიანის პირველი ფენომენის, მითოლოგიურ იეროგლიფში ფარავს. ეს იეროგლიფი არის სირცხვილისა და სიბრძნის იეროგლიფი. ადამის სირცხვილი სხეულის პირველ გაცნობიერებასთან არის დაკავშირებული. სხეულის შეგრძნებასთან მიძალებული სირცხვილის გრძნობა ენათესავება პლოტინის სირცხვილსაც. მაგრამ ადამის სირცხვილი სხვა გზით წარიმართება. მისი ფენომენი სრულიად უპირისპირდება სწორედ პლოტინის სირცხვილისეულ განცდასაც და ადამისა და პლოტინის დაპირისპირებაც ხდება სწორედ ამ ნათესაურ ფენომენში. სანამ ადამზე გავაგრძელებდეთ მსჯელობას, ერთი საკითხია კიდევ გასახსენებელი და დასაზუსტებელი პლოტინის სირცხვილთან მიმართებით.

ცნობილია, რომ სირცხვილის განცდა ცოდვის შეგრძნებასთან არის დაკავშირებული. ამბობენ, ბერძნებს ცოდვის შეგრძნება არა ჰქონდათ. მოარული ზედაპირული მეცნიერების წარმომადგენელნი ამას ხსნიან სიტყვა სინდისის უქონლობით. ცნება „სინდისისა“ მართლაც ქრისტეს შემდგომ ჩამოყალიბდა, როგორც ცნება, მიუხედავად იმისა, რომ ეტიმოლოგიური ძირი ამ ცნებისა, სიტყვა „სინდისი“ თავისთავად ბერძნულია და სხვა ენებში ბერძნულიდან არის გადასული (მაგ. ქართულში!).

მართლაც არ არის ბუნებრივი, მაგალითად, პრომეთეში ვეძებოთ რაიმე შეგრძნება ცოდვისა. პირიქით: უნინ მის ღმერთში შეიძლება ვეძებოთ ცოდვილობა და დანაშაული ცოდვისა: დანაშაული ცეცხლის დასაკუთრებისა.

ცოდვის ფორმულირებანი და განცდები ბერძნებისათვის სხეულთან იყო დაკავშირებული და მათ ჰქონდათ ყოველთვის საკუთარი „წარმართული“ გაგება სინდისისაც და ცოდვისაც. ასე მაგალითად, ბერძნებისათვის სხეული იყო ყოველგვარი ბოროტების მიზეზი და სხეულის თრგუნვის ფილოსოფიაც ბერძნებთან დამკვიდრდა, მაგრამ უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი და თავის კლასიკურ მოძღვრებას, სხეულისა და სულის პარმონიის მოძღვრებას დაშორდა. ცხადია, ეს პარმონია სულის უპირატესობით იყო ნაქადაგები და იგი კლასიკურ პლატონიზმად შეიძლება სახელდებულ იქნას. შემდგომი მიმდევრობანი სხეულის თრგუნვის უკიდურესობაში გადაიზარდა და პარმონია დაკარგა. ასეთი მიმდევრობა იყო პლოტინიც. პირველი ეტაპი ადამიანის დამოკიდებულებისა საკუთარი სხეულისადმი, როგორც ბოროტებისადმი, მის მიერ სხეულის განცდა როგორც ბოროტების, ერთგვარად ადამ-ევური განცდაც არის. რამდენადაც სხეულის გამო სირცხვილი პირველად ადამმა და ევამ იგრძნეს, მაგრამ არა მთლიანად. არა ისეთი უკიდურესობით. არის რაღაც ადამ-ევური პლოტინის ამ განცდაში, ნაწილი ადამ-ევური განცდისა. სხეული არის წყარო სირცხვილისა. ისევე როგორც ბოროტებაც არის წყარო სირცხვილის. მაგრამ სირცხვილის გაანალიზება, მიზეზის ძიება, უსათუოდ აღარ მიდის სხეულის ბოროტებასთან. სხეულით შემოსვა ბერძნულად იგივე ბოროტებით შემოსვაა, ხოლო ბიბლიურად იგივე ცოდვით შემოსვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მთელი კოსმიური ეტაპის ასახვაა ადამიანის ცხოვრებაში.

როდესაც დგება საკითხი ცოდვის ახლებურად გააზრების, რომ ცოდვა სხეულისაგან კი არ მოდის, არამედ სულიდან, და რომ ცოდვილყოფნა სწორედ სულიერი განწყობის გზით შეიძლება მოიხსნას, მაშინ სხეულიც იძენს ღვთაებრივად გამოცხადების შესაძლებლობას და ქრისტეს მოვლინების აქტიც დგება. რადგან: ქრისტიანული მსოფლმხედველობით, სწორედ იმ ადამ-ვეურ სხეულში შედის ღმერთი და სწორედ იმ სირცხვილის საბოლოო გაუქმებასა და ამით სხეულის აღდგომის განხორციელებას უკავშირდება ქრისტიანული გიურადაც თუ დაეკვირდებით ამ ცნებას „აღდგომა“ — იგი უკავშირდება ცოდვით მოსილ სხეულში შესვლის საპირისპიროდ გვევლინება. თუ გავიხსენებთ, პლატონის პოეტურ-მითოლოგიურ სახეში მფრინავრაშებიანი ეტლების ჩამოვარდნას მინახე, ფრთების მომსხვრევა, ეს არის დაბადება. ე. ი. „აღდგომა“ უპირისპირდება „დაცემას“, „ჩამოვარდნას“. ფაქტიურად, ბიბლიის სიუჟეტი აგრძელებს ამ ჩამოცვენილი და ფრთებდატეხილი ადამიანის ისტორიას, მის თვალის გახელას, აღქმას სხეულში და სირცხვილის განცდას. რამდენადაც მიზეზი ამ ჩამოვარდნისა სულის ამღვრევა იყო, იგი ასევე მოიპოვება სულიერი განწყობით და მოიპოვება არა მარტო იმქვეყნად, არამედ ამქვეყნადაც. მაგრამ ჭეშმარიტების მოპოვების ეს გზა უკვე სრულიად ახალი გზაა.

ადამისა და ევას თვალის გახელა და ხილვა, რომ ისინი არიან შიშველნი, სხეულის გაცნობიერებას ნიშნავს. ამ შეგნებას სირცხვილი მოაქვს. როგორც აღვნიშნეთ, სირცხვილის მეტაფიზიკა ადამისათვის თავის საწყისში იგივეობრივია პლოტინის სირცხვილის. დაბადება პლატონის „ფაიდროსის“ მითოლოგიური ეპიზოდით ზეციურად ჭეშმარიტებასთან დაშორებას ნიშნავს, ხოლო სახეობრივად: ფრთების დამტყრევას, სიმძიმით ქვედაზიდვას, გამჭვირვალეების სიმსუბუქის დაკარგვას, დაშორებას იმ უმაღლესიდან, რომელიც უმაღლესი გამჭვირვალეა და შენს სიმღვრივეში ველარ აღწევს.

ჭეშმარიტების ჭერუტის ხარისხით უკვე ზეცაშივე დაქვეითება „გვირგვინდება“ დაბადებით. ამიტომ დაბადების გაცნობიერება, „თვალის გახელა“ და სხეულში აღმოჩენა საკუთარი თავისა უკვე ნიშნავს რაღაც სამარცხვინოს ადამიანისათვის.

პლოტინის სირცხვილი აპოთეოზია ამ სირცხვილის ზოგადადამიანური განცდისა და არის ამავე დროს აღრჩევა სულისა უკან დაბრუნებისთვის. ამიტომ საგანი მისი სირცხვილისა და დასტური მისი დაქვეითებისა — სხეული — მისი სიძულვილისა და ზიზლის საგანი ხდება.

ადამის სირცხვილი არის უაპათიო. ანუ: იგი არ გადადის ზიზლში. იგი ცოდვის შეგნებაა. აქედან იწყება ცოდვის განცდა. სწორედ ასეთი სირცხვილია გზა ახალი გზის ძიებისა სიბრძნისაკენ. და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სირცხვილია მისთვის გზა სიბრძნისა.

ადამისათვის მჭვრეტელობითი გზა სიბრძნისაკენ, ანუ გზა უკან დაბრუნებისა, პლოტინური აღრჩევა სულისა უკან დაბრუნებისკენ და ამ დაბრუნებით ღმერთად ქცევისაკენ, დამთავრებულია. გზა სიბრძნისაკენ ამჯერად მისთვის არის ცხოვრება.

ერთგან პლატონი წერს, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფია დაიწყო პრომეთემ. რომ პირველი ფილოსოფოსი იყო პრომეთე. პრომეთე სიბრძნის ჩამომტანია ღვთისაგან. სიმბოლურად ეს სიბრძნე ცეცხლით გამოიხატება მითში. ის ცეცხლი ღვთის ზელშია და პრომეთე მომტაცებელია ცეცხლისა. ამასთან ეს ცეცხლი მას თავისთვის არ უნდა. მითიურად პრომეთეს ეს ცეცხლი ადამიანებისათვის მოაქვს. პრომეთეში პირველი დიდი ადამიანური სიკეთეა ხორცშესხმული და იგი თითქმის დაპირისპირებულია ღვთაებასთან, როგორც უფრო კეთილი ძალა ადამიანებისთვის. პრომეთემ ადამიანებს ცოდნა მოუტანა, სიბრძნე მოუტანა ღვთაებრივი ზღუდეებიდან და აკრძალული სიმაღლეებიდან. ამ აქტით პრომეთე პირველი დიდი ცოდვილიც არის. ეს ცოდვა ღმერთთა პოზიციებიდან არის ცოდვა და პრომეთე ისჯება კიდეც როგორც ცოდვილი, ისჯება მითიური სიუჟეტის მიხედვით კავკასიას კლდეებზე მიჯაჭვით; ანუ პირველი ჯვარცმით. განსხვავებით მეორე და ნამდვილი ჯვარცმისაგან, იგი ღმერთების მიერ არის წამებული და არა ადამიანებისაგან. ასე თუ ისე, პრომეთეს ცოდვა და დანაშაული ცოდნის მოტაცებაა ღვთისაგან.

ბიბლიის სიუჟეტში, ადამისა და ევას პირველ სიუჟეტურ რეალში, ცოდვისა და დანაშაულის აქტი ხორციელდება აგრეთვე. დანაშაულის ჩამდენი აქ ევაა. პირველცოდვილი და განწირული „ჯვარცმისთვის“. ამ შემთხვევაში კი საუკუნო წყევლისთვის.

ევა ისჯება ცოდნისათვის, ცხოვრების ხისაგან ნაყოფის მოწყვეტისთვის.

აქ ცოდნა, ისევე როგორც პრომეთესთან, უფრო ზუსტად: ცოდნის მოტაცება, ანუ აკრძალული, ამასთან ღვთაებისაგან აკრძალული ცოდნის მოტაცება, ევას ცოდვაა. ამ ცოდვას მოსდევს სირცხვილის განცდა და გაცნობიერება სხეულში მყოფელობისა. ფაქტიურად ცოდვა აქ სიცოცხლეში გარდასახვის ანალოგიურია. სხეულში არსებობა, სიცოცხლეში გარდასახვა ანგელოზური ანუ ზეციური ყოფიდან, ცოდვასთან არსებობის ნილნაყარი... ცოდნაში გადასვლა ცოდვის განცდაში გადასვლაა. ევასათვის სიცოცხლე უკვე ცოდვაა, რადგან სიცოცხლე მხოლოდ სხეულში შესვლით შეიძლება გავაცნობიეროთ. სიცოცხლე იწყება სხეულში შესვლით. ანუ სიცოცხლესთან ერთად იწყება ცოდვა. მაგრამ ეს ცოდვა უკვე ცოდნაა განსხეულება, სხეულით შემოსვა უკვე სირცხვილია და ცოდვების საგანია სხეულით შემოსვა ფაქტიურად ცოდვით შემოსვის ტოლია აქ. მაგრამ ცხოვრება მხოლოდ სხეულით შემოსვით შეიძლება განხორციელდეს. ცხოვრება განსხეულებული სულის გზაა. და მიუხედავად იმისა, რომ განსხეულება ცოდვილიანიც არის, ბიბლიური სიუჟეტითვე, ლოგიკური მსჯელობითვე ნათქვამია, რომ სწორედ ცოდვილობით ვახდა შესაძლებელი მოპოვება სიბრძნისა.

ღმერთი უფალი იტყვის იმაზე, რომელმაც მონყვიტა ნაყოფი ცხოვრების ხისა, აკრძალული ხისა, რომ ისინი, რომელთაც იგემეს ნაყოფი კეთილისა და ბოროტისა, „გახდნენ მეცნიერ სიბრძნისა, ვითარცა ღმერთნი“.

ეს სიბრძნე ცოდვის ჩადენამდე მხოლოდ ღმერთის საკუთრება იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრება (და ფაქტიურად ცოდვაც, როგორც ცოდნა) ეკუთვნოდა ღმერთს. ღმერთი იდგა სამყაროს სხეულში და პქონდა სხეული და პქონდა თავისი შესაფერისი სხეულოვანი ცხოვრებაც — სამყაროული ცხოვრება. ადამიანი მინაზე, ბიბლიური აღწერით, ცხოვრებას იწყებს თავისი არსებობის მეორე ეტაპზე, ახალ ეტაპზე, რომელიც დედამიანაზე მისი სხეულებრივი მოვლინების ეტაპია.

თუ მანამდე მისი სულიერი საზრდო მხოლოდ ჭვრეტაში იყო, „ცაში“ (გაიხსენეთ ისევ პლატონის ზეციური მხედრიონის სურათი), ამ ახალ ეტაპზე მან უნდა დაიწყოს ახალი ტიპის არსებობა. და უნდა მოძებნოს თავისი სულიერი საზრდოს მოსაპოვებლად, თავისი ზეციური სიბრძნის მოსაპოვებლად, სწორედ იმ დაკარგული ზეციური სიბრძნის მოსაპოვებლად, ახალი გზა. ეს გზა ბიბლიური მისტიკით არის ცხოვრება. თავისი შინაარსით ბიბლიაში იგი განიმარტება როგორც „ერთადყოფნა“, „ერთქმნა“, ანდა უფრო ზუსტად „გაერთიანება“. ეს არის ორად ქცეული ერთი ადამიანური სანყისის, ადამევური (ტირით!) სანყისის, ადამურ და ევურ სანყისად ქცეული ორი სანყისის ხელახალი მიწიერი გაერთიანება. ერთიანი ზემინიერი ყოფნა მათი, ერთად ყოფნა იყო. ისინი ერთნი იყვნენ. ადამი და ევა იყო ერთი. ამქვეყნიური გაერთიანება არის გზა გაანგელოზებისა, არის გზა განწმენდის. ადამი და ევა ერთიანობაში კვლავ აღწევენ თავიანთი ზეციური ყოფნის იგივეობას ამქვეყნიად. ამდენად გაერთიანება არის გზა განწმენდის, ხოლო რადგანაც გაერთიანების ძალა სიყვარულში ამოიკითხება, სიყვარულია ძალა განწმენდის. ანგელოზურ ერთიანობაში, ისინი, ანუ იგი, ადამ-ევური „ერთი“ კვლავ ძალქმნილია სიბრძნესთან ზიარების. ამრიგად, ერთიანობა ადამისა და ევასი, მთლიანობა, არის ბიბლიური მისტიკა, რომელიც ასახავს ამქვეყნიურ ჭეშმარიტ ხატებას ადამიანის ეიდოსისას.

ზეციური დედანი ამ ხატისა ჩვენ უკვე განვიხილეთ როგორც ორბუნებოვანი სანყისი, ადამ-ევური ღვთაებრივი სანყისი, ანუ ბიბლიის ენაზე ღმერთი-შემოქმედი. თეოლოგიურ ხილვად სიმბოლიკაში: მამა-ღმერთი. ფარულად მამა-ღმერთისა და დედა ღმერთის მთლიანობა. ადამისა და ევას გათიშულობა ორ სანყისად არ არის მხოლოდ ფიზიკური გათიშულობა. ამ განყოფაში უნდა იფარებოდეს კოსმიური იდუმალება თვით განუყოფელის კოსმიური განყოფისა, სულის განყოფისა: ამიტომ ადამ-ევური მთლიანობა სულიერი მთლიანობის დაბრუნებასაც მიაჩნებებს. სულიერი მთლიანობა — სულიერი მძლავრების, შემეცნებითი პოტენციის სრულყოფის და სიბრძნესთან ზიარების სრული შემძლეობის მთლიანობაა. რამდენადაც ეს სულიერი მთლიანობა ანგელოზური ბუნების მიღებაა, ამდენად ეს გზა გაერთიანებისა არის გზა გაანგელოზებულის ჭვრეტისაც.

სულის „განყოფის“ მისტიკა კოსმიური და ზეადამიანური მისტიკაა უნდა იყოს.

სამყაროს ემანაციურ მოდელში ეს არის თავის პირველ სახეობაში სამყაროს გონითი ერთის გამოსვლა თავისი თავიდან და სულის ყოფიერებაში შემოსვლა. გონითი ერთი ორბუნებოვანია (მამა-ღმერთიც დედა-ღმერთული არსით ავსებული მთლიანობაა ბიბლიურად), თავის ემანაციურ მოდელში იგი გადადის თავის თავის განცალკევებულ ყოფიერებაში, სულის ყოფიერებაში. ეს ხდება ისევე, როგორც მის ამქვეყნიურ ხატში ორბუნე-

ბოვანი პირველი ადამიანი, ადამ-ევური ერთი, ან „ადამი“ (ბიბლიის იეროგლიფი!) ითი-
შება თავისი თავიდან (თავისი ნეკნიდან, ბიბლიური იეროგლიფით!) და განიყოფება თავ-
ვისი თავიდან, რის შედეგადაც ვიღებთ უკვე ორ სანყისს, ორ ადამიანს, ორ სხვადას-
ხვა ბუნებას. დრო-სივრცის კოსმიურ პლანში ეს გათიშვა ხდება ზოგჯერ დიდი დამორე-
ბით, დიდი მოწყვეტით — როდესაც ერთი ნაწილი რჩება ზეციურ იერარქიებში და მეორე
ნაწილი სხეულდება.

ასეთი ადამ-ევური წყვილი შემდეგ დემონურ ხასიათს ატარებს. პლო-
ტინური ტერმინოლოგიით, რადგან ზეციური ორეული უსათუოდ წარმართულია თავი-
სი მინიერი ნახევრისა და მას დემონად ევლინება. ასეთი დემონური წყვილი ამიტომ
ზეციურ-მინიური ადამ-ევური წყვილიც შეიძლება იყოს. ეს წყვილი არის ერთი, ამავე
დროს არის ორი (გავიხსენოთ პლოტინის დემონის გამოცხადების, მაგალითი!). მინიერი
ორეული მისი სხვა არის იმდენად, რამდენადაც მინაზე გაგზავნილი სხივია და მინაზე სა-
მოქმედო სხეულებრივი ქურჭელიც აქვს შედენილი. იგივეა იმდენად, რამდენადაც ის
მინიერი ორეული თავის ქმშარიტ არსებობაში მასთან იგივეობრივია. სხეულებრივი, ანუ
მინიერი მისიის მოხდის შემდეგ, შესაძლოა, ღვთაებრივი მისიის, იგი როგორც „მე“, რო-
გორც გონითი სინათლე, უმთლიანდებოდეს თავის ზეციურ ორეულს.

ძე-კაცის მოვლინების ქრისტიანულ მისტიკაში თვით ძე-ღმერთია ასეთი მინიერი
ორეული მამა-ღმერთის. ამიტომ იგი ტოლია მისი და ზეცაში დაბრუნების შემდეგ ფაქ-
ტიურად იგივეა, რაც მამა-ღმერთი. იგი თანხედრილი სხვაა. ისევე, როგორც ეს იყო
მის მოვლინებამდე დედამინაზე. დემონური წყვილი ქრისტესი და მამა-ღმერთისა სახა-
რების ენაზე ასეა მოცემული: „ესე ჩემი მოძღვრებაა არა ჩემი არს, არამედ მომავლინე-
ბელისა ჩემისა“ — ამბობს ქრისტე.

როდესაც დემონური წყვილი სპირიტუალური სამყაროს, მამა-ღმერთის შემდგომ იე-
რარქიებთან არის დაკავშირებული, მრავალგზისი განსხვავებით შეიძლება წარმოგვიდ-
გეს კაცობრიობის სიცოცხლეში.

მამა-ღმერთისა და ქრისტეს დემონურ წყვილში იგულისხმება რა ისეთი მამა-ღმერ-
თული ერთი, რომლის ნეკნებშიაც დედა-ღმერთია შეფარული; ქრისტეშიაც იგულისხმე-
ბა მამაკაცის სხეულში მოვლინებული ანდროგინული სრულყოფილება. ასე რომ
ქრისტეშიაც არის შეფარული დედა-ღმერთი.

თავისი მამაზეციური პროფილით სიმბოლურად იგი ქორწინდება ეკლესიაზე. იგი
არის ზეციური სიძე მთელი ქრისტიანული სამყაროსი და მთელი ეშელონებიც წმინდა-
ნი მონაზონი ქალებისა არიან რძალნი ზეცისანი. ეს არის ერთი იდეა ზეციური საქმრო-
სი მრავალი მორწმუნის ქორწინებად მასზე. ამასთან ეს არის ქორწინება მორწმუნისა
ზეციურ მოძღვრებაზე. რწმენა აქ სიყვარულთან არის გაერთიანებული. ამიტომ მოძღ-
ვარი არის ერთი, მორწმუნე მრავალი, სიძე ერთი, ეკლესია მრავალი. ბერძნულ-კლასიკუ-
რი ფილოსოფიის შუქზე ეს არის ქორწინება, რომელიც ალეგორიაა პირველი მეტაფიზი-
კური და კოსმიური ქორწილისა მამა-ღმერთისა და შექმნილ სამყაროს შორის, შემოქმე-
დის ქორწინებისა ზეცის ვარსკვლავიერ გუმბათზე.

ისევე პლოტინის დიდი მეშვეიდრის — პროკლეს სიტყვები რომ გავიხსენოთ ამ სამ-
ყაროული ეკლესიის შესაფასებლად, — „გონი ისევეა გაღვთაებრივებული ერთით, რო-
გორც სული გონით, და სხეული სულით“, — ჩვენ დავინახავთ იმ სევდიან ქმშარი-
ტებას, იმ სევდიან სურათს ლოგიკური ქმშარიტებისა, რომ პლოტინის აზროვნება და-
მარცხდა მისსავე ბრწყინვალე მიმდევართა ნააზრევში.

სხეულის ღვთაებრიობის აღიარება პროკლესთან გრანდიოზული და შემამფოთე-
ბელი თვითმკვლელობაა პლოტინურად ანთებული ფილოსოფოსისა, უკვე საშინელი მარ-
ცხია მთელი პლოტინიზმისა პროკლესში, რომელიც არ იხვევს უკან პლოტინის რელიგიური
მრწამსიდან: ერთისავე ლტოლვითა და მისტიური ვნებით განმორებული ქრისტესაგან,
ერთის მორწმუნე, უკვე შექმნის საფუძველს დიონისე არეოპაგელის ქრისტიანული აღმსა-
რებლობისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ვეღარ ამოვიკითხავს რა სირცხვილის კოსმიურ შესა-
ტყვისს, პროკლესაგან უკვე ფილოსოფიურად უფლებამოსილი და „ერთი“-სავე განგებით
შეპყრობილი დიონისე იტყვის უკვე ქრისტეს ადამიანური სხეულის სასარგებლოდ:

„შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ზეციური მშვენიერების მარმონია სამყაროს ვარ-
სკვლავიანი ცის სხეულებრივი მშვენიერების გარეშე“.

პროკლესი შეუცნობლად შესახლებული ცეცხლი ქრისტიანობისა დიონისე არეოპაგელ-

ში ინთება ჩირაღდანით, დიონისე არეოპაგელი ხდება ქრისტიანული ეთიკის უპირველესი სჯულმდებელი. მართალია, მისი ეთიკა ადამიანური ცხოვრების მიღმა, მაგრამ ეს მიღმა ქრისტიანული ცეცხლით არის ანთებული და დიონისე არეოპაგელი ხდება ევროპული აზროვნების, ფილოსოფიური და რელიგიური აზროვნების ტრადიციული სიმბოლო. საპირისპიროდ აღმოსავლური მჭვრეტელობითი გზისა, საპირისპიროდ კლერიკალური მონასტისა, რომ ჭვრეტაშია სიბრძნე და სიბრძნეშია ბედნიერება. დიონისე არეოპაგელი გადაიყვანს მთელ პლოტინს იმ ევროპულ მერიდიანზე, რომლითაც ბედნიერება სიკეთეში, სათნოებასა და სიყვარულშია, რომ უმაღლესი სიბრძნე ეს ადამიანის სიყვარულია. და მაინც არსებობს უჩვეულო ჭეშმარიტება კაცობრიობისა, რომელსაც პქვია პლოტინი, და რომელსაც რცხვენია აგრეთვე ვარსკვლავების.

ვარსკვლავებით გაჭედული დიდი სფერო სამყაროსი მისთვის არის ისევე ძვირფასი აკლდამა ფარაონისა და მისი ჭეშმარიტი სიცოცხლე მისტიური არარაობის ნათელში გათანგული არის მაინც იმ ვარსკვლავიანი აკლდამის მიღმა.

პლოტინის და საერთოდ მთელი ნეოპლატონიზმის ნაწილში ღმერთი: „ერთი“, უფრო მიღმიერი იყო და ამ თვალსაზრისით უფრო მაღლა მყოფიც. ქრისტიანობის მამა-ღმერთი, შემოქმედი მეტაფიზიკურად, უფრო დაღმა მდებარედ იგულისხმებოდა. ქრისტიანული რელიგია ემყარებოდა იმ ფილოსოფიურ მონაპოვარს, რომელიც ევროპული ფილოსოფიის წინარედ და საერთოდ წმინდა ფილოსოფიის აღმოცენების წინარედ არსებობდა, შესაბამისი ფორმებით. ასე რომ, ქრისტიანობის ფილოსოფიური საძირკველი წინარე ეპოქების დამსახურება იყო, რომელმაც უკვე რელიგიური ფრთებშესხმაც და კოსმიური განხორციელებაც ერთდროულად მიიღო. პლოტინისა და ნეოპლატონიზმის ფილოსოფიური ნვდომა უფრო შორს მიდიოდა სამყაროს მეტაფიზიკურ ნიაღში, და მიუწვდომელის ახლებური ფილოსოფიური ჭეშმარიტება შემოქმედდა კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ ეს ახალი, ისევე როგორც ყოველი ახალი, მიღწეულისა და ჯვარცმით მოპოვებულისაგან განსხვავებული იყო. არა მარტო განსხვავებული, ერთგვარად დაპირისპირებულიც. დაპირისპირებული მისტიური სიმართლით, რომელიც ჯვარცმის ფილოსოფიამ საკუთარ მირონში განაზავა და ყოველივე დაუმორჩილა ამ გზით წამებული ღმერთის რელიგიურ იდეას. ეს განზავება ასევე კოსმიური ლოგიკით იყო მომზადებული.

ის მისტიური ჭეშმარიტება, მისტიური ერთი, რომელიც დედა უფალზეც და მამა უფალზეც მაღლა იდგა, პლოტინის ცნებათა ფილოსოფიური ტემპერამენტით ამოზიდული უიდუმალესი „მიღმა“, მარტო დარჩა. რელიგიური განხორციელება, „რეალიზაცია“ მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანთა წარმოსახვასა და ეთიკაში მას არ შეეძლო. იგი, როგორც სარწმუნოება, ერთეულთა ხვედრად დარჩა და ნეოპლატონიკოსთა ღმერთად იქნა წოდებული. როგორც მისტიურ-ფილოსოფიური ჭეშმარიტება, შესაძლოა, იგი შემდგომში ცივილიზაციებმა აითვისონ არა პლოტინური ეთიკით, ცხადია, არამედ საკუთრივ მისტიური უმაღლესი რეალობის სიმართლით.

მხოლოდ იოანე პეტრიწი, რომელიც სტრიქონებს შორის შემოგვავებებს ქრისტეს თაყვანისცემას, და „შენეწითა უფლისა ქრისტესითა“ განგვიმარტავს ძნელად განსამარტებელს, სტრიქონთ შორისვე ჩართავს საფიცრად შეწვენასა და წყალობას ერთისაგან.

ფრანგულიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა

ლადო გუდიაშვილი

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ლადო გუდიაშვილი თავის თანამემამულეთა მცირე ჯგუფთან ერთად იმყოფება პარიზში, ზატვის შესასწავლად, დიახ, შესასწავლად და არა იმიტომ, რომ ზოგ-ზოგებივით არაფერს დაერიდოს, ოღონდ კი როგორმე თანამედროვე მხატვრის დიპლომი ჩაიგდოს ხელში. მოვეშვათ ამ კადნიერსა და მიაშიტ ადამიანებს; მოვეშვათ მათ, ვინც მხატვრობაში მხოლოდ მოდერნიზმს ხედავს. ცოცხალ ხელოვნებასთან ასეთებს არაფერი ესაქმებათ! სტატიკური აკადემიზმისა და რუკოლუციურობისავეს გონებისმიერი გატაცების საპირისპიროდ ცოცხალ ხელოვნებას ღრმად სწამს წარსული — ახლოც და შორეულიც. რამეთუ სწორედ წარსულიდან იღებს სათავეს მომავლის გზები. ასე და ამრიგად, არაფერი ეკროპულ თუ ზღვისგაღმგელ ყმანვილივით, ლ. გუდიაშვილმაც მოისურვა თავისი ადგილი დაეკავებინა დიდსა და ვნებებით აღსავსე პარიზის სახელოსნოში, რომელსაც ერთადერთ სკოლად მიიჩნევენ მე-19 საუკუნიდან. სწორედ ამ საუკუნეში შეიძინა ფრანგულმა ფერწერამ ის ელვარება, რაც თავისი გაკვეთილებით დღესაც იმორჩილებს მსოფლიოს ყველა ტემპერამენტს, განსაკუთრებით კი მათ, ვისთვისაც ბუნებას დაუზღაღღებია უნარი ამოიცნოს საკუთარი პიროვნება.

მიგოსი, იყო ისეთი ბანა, როცა არსებობდა ფრანგული ხასიათის ევროპული მხატვრობა. ახლა აღარ არის, ფრანგული სკოლა ცდილობს თანდათანობით გააცოცხლოს ყველა ეროვნული მანერა. საქმე ის არის, რომ ჩვენმა ცოცხალმა ხელოვნებამ საძირკველი შეურყია აკადემიზმი, დაუბრუნდა რა იმ სათავეებსა თუ პრინციპებს, რომელნიც თავისუფლებას ჰპირ-

დებთან მხატვრის პიროვნებას. ვინ იცის, იქნებ არც ისე სისულელეა, ამ წარმტაცი დაპირების მიღმა დაინახო ის, რაც ხალხთა მომავალი თავისუფლებისა და მათი ეროვნული კერების საიმედო დაცვის იმედს იძლევა წმიდათაწმიდა სახელის ღირს ერთიანსა და ერთადერთ კავშირში.

მოაზროვნე და ცეცხლოვანმა მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა ჩვენს სკოლაში შეითვისა ყველაფერი, რისი შეთვისებაც შეიძლებოდა. მსაფარი კი ის არის, რომ მხატვარმა ძირისძირობამდე შეიცნო ის, რაც შეითვისა, ყველამ იცის, როგორ არ მიყვარს მე მხატვართა დაყოფა იერარქიებად. იქნებ ეს დაყოფა კანონზომიერია საერთოდ, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. როდესაც სიტყვა ჩამოვარდება ლ. გუდიაშვილზე, იგი ამ როლში უხდა წარმოიდგინო, რომელსაც ასრულებს, ე. ი. დაინახოთ მხატვარი, ვინც არა მარტო შეისისხლხორცა ჩვენი მოსაპოვარი და უზიარა სიახლეს, არამედ მხატვარი, კისაც მოტენციურად ხელენიფნია შექმნას ან დაუბრუნოს მამულს ეროვნული ხელოვნება.

ამრიგად, ჩვენს სკოლაში აღზრდილ ტფილისელ ახალგაზრდა მხატვარს უკვე ძალუძა დღესვე წარმოგვიჩინოს თავისი ტემპარიტი ხელოვნება, თანაც ისეთი ხელოვნება, რომლის მსგავსი შესაძლოა ჯერაც არ უჩილაეს ტფილისს. ვფიქრობ, მისი მონდომებას ამოიღ არ ჭაუვლია.

ახლო აღმოჩვეულების ხელოვნება, რომლის კოსტროლიც მხოლოდ არქეოლოგთა პრივილეგიათ მოაზნდათ, ახლა უკვე მარტო ოვალური სპარსული ზარდახშები და ანტიკვარული განსყულობანი როდია!

ლადო გუდიაშვილის ფერწერა ცოცხალი ხელოვნების უნაპირო ზღვას ერწყმის. მისი მხატვრობა გამსჭვალულია ქრისტიანული გრძნობით, რომელიც ერთი მისხლითაც არ უშლის ხელს სკეპტიციზმითა და ოპტიმიზმით აღსავსე სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულს, სიცოცხლისა, რომლის ვიიონიც ომარ ხაიამი იყო.

თუკი თვალს გადავაყვებთ ლ. გუდიაშვილის ნახატებსა და სურათებს, მაშინვე აღმოვაჩენთ, — რეალიზმისა და შთაგონების წყალობით მხატვარმა როგორ დააღწია თავი დეკორატიულობას, რაც აქამდე მისებურად არავის გამოსვლია. თუმცა იყო შემთხვევა, როცა ევროპა შეეცადა მიეთვისებინა რამდენიმე არაბესკა.

ლ. გუდიაშვილი ერთი სურვილით არის შეპყრობილი — გახდეს მხატვარი. ჩვენ კი ვიცით, რასაც ნიშნავს ეს სახელწოდება ლე

ლაკრუას შემდეგ, კურბეს, სერას, სეზანის შემდეგ. ამრიგად, მას სურს გახდეს მხატვარი და ამავე დროს ბრწყინვალე ახერხებს დარჩეს პოეტი თავისი იდეალური გუნებითა და ეროვნული ინსტიტუტებით. ჩვენ შევიყვარებთ ამ მხატვარს. **ქრისტეშვილი**

ლ. გუდიაშვილს არაფერს არ უკადრებ. მორიასს ებაძე, ბრძენსა და პოეტს, რომელმაც ჭეშმარიტი კრიტიკის ნიმუშები დაგვიტოვა და რომელიც საკუთარ თავსაც კი უკრძალავდა ვინმეს ან რაიმეს შედარებას.

არის თუ არა ლადო გუდიაშვილი ნინამორბედი იმ ხელოვნებისა, რომელსაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ერი მოუვლენს მსოფლიოს ხელ? ვფიქრობ, ჩემი ტფილისელი „თეთრი და ვარდისფერი“ მეგობარი ღირსია ამ დიდებული ბედისა.

1924 წლის 25 დეკემბერი.

□

მორის რეინალი

ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

ლადო გუდიაშვილი

რაკილა ჩვენ არა მარტო გონების, არამედ გულის მეშვეობითაც ვაკონინებთ ჩვენი პატარა მსწრაფლწარმავალი ჭეშმარიტებების ერთობლიობას. ამიტომ ფუჭია იმის მტკიცება, თითქოს ჩვენი გონებისმიერი ჭეშმარიტებანი პიერარქიულად უნდა მისდევდნენ ჩვენსავე გრძნობისმიერ ჭეშმარიტებებს. რასაკვირველია, ჩვენი სიჭაბუკის ურყევი სიმკაცრე სწორედ ამას მოითხოვს, მაგრამ გონებრივი სიმწიფის ასაკს მიღწეულნი უფრო ლმობიერნი და, მაშასადამე, უფრო სამართლიანნიც ვხდებით გრძნობისმიერ სისუსტეთა მიმართ, რომელთა მიზეზები,

ერთის შეხედვით, თითქოს საბოლოოდ გეტოვებენ, თუმცაღა ჩვენ, შესაძლოა, უწინდებურადვე ვაზროვნებდეთ და არც მათ პლასტიკურ გამოყენებაზე ვაცხადებდეთ უარს. ამჯერად, ჩვენ შეგვიძლია თვალნათლივ დავრწმუნდეთ იმაში, რომ საბრალო ადამიანებს, რომლებსაც განგებამ მხოლოდ რამდენიმე ათეული წელი უწყალობა საიმისოდ, რათა თავიანთი საქმეებითა და შესტებით, დიახ, უწინარეს ყოვლისა, შესტებით, ამძიმებდნენ ამ ცოდვილ მინას, — არას არგიათ იმის მტკიცება, თითქოს ხელოვნების ყველაზე წმინდა ლოგიკით შექმნილი ნაწარმოებნი უფრო მალ-

ლა იდგნენ იმ ქმნილებებზე, რომლებიც ჩვენი პირადი გრძნობების სფეროდან იღებენ დასაბამს. სწორედ ამ აზრს ეჭვშეუვალი სიცხადითა და, თანაც, თითოეული ჩვენგანის გრძნობებლობისათვის ყველაზე სასიამოვნო ფორმით დაგვიმტკიცებს ემოციური ლადო.

თუმცა ლოგიკა, ანუ ის, რასაც ამ სახელით ვიცნობთ, გვიჩვენებს, რომ ხელოვნება, რომელიც თავისი საკუთარი საშუალებებით საზრდოობს, უფრო მეტადაა დამოკიდებული წარმოსახვის გამომგონებლობაზე, ვიდრე ხელოვნება, რომელიც ყოველდღიურობის ემოციურ მონაცემებს ეყრდნობა. და მართლაც, ამნაირი ხელოვნება ჩვენ გვაახლოებს, ან, უფრო ზუსტად, გვაზიარებს არა იმ ბუნებას, რომელიც თავისი თავის რეპროდუცირებასა თუ გარემოებას ახდენს, არამედ იმ ბუნებას, რომელიც ქმნის. აქედან გამომდინარე, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის აგვამაღლებს; და მაინც, ნურავინ წაგვართმევს იმის თქმის ნებას, რომ ხანდახან უსიამოვნო როდია დაბლა დაშვება. ჩვენი სისუსტით გამოწვეული თავბრუდახვევა მომწუსხველია. თუმცა ჩვენ ყოველთვის ვამჯობინებთ, ქარიშხლით აბობოქრებულ ზღვას ნაპირიდან ვუცქიროთ. იგეც არ იყოს, ჩვენ ისე ძლიერ მოგვწონს საკვირადღეო მოცლილობით ტკბობა, რომ ვისურვებდით, ერთგვარი მზის საათის მეშვეობით, უსასრულოდ გაგვეგრძელებინა ეს განცდა, რათა, ამრიგად, სულის მოთქმის საშუალება მიგვეცა მხატვრისათვის. ნაცვლად იმისა, რომ თმებით ექაჩებოდეს წარმოსახვას, თუკი, რა თქმა უნდა, წარმოსახვა პირიქით არ სჩადის აჭას.

მაგრამ ნუ შევამკობთ ზიზილ-პიპილებით ჩვენს სათქმელს. ანგარიში გავუწიოთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ არსებობს „ისეც“ და „ისეც“ და რაკი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება აღარ გვაინტერესებს. დაე, ფაქტებმა მარტივად მისდიონ ერთმანეთს. თავდაპირველად დაფუშვათ, რომ არსებობს მხოლოდ ხელოვნების კონცეფციები, რომლებიც, თავის მხრივ, მისდევნენ და არაფრით არ ჰგვანან ერთმანეთს. შემდგომ ამისა, გავიაზროთ ხელოვნების ყოველი ფორმა, რათა განვაფიქროთ ჩვენი გემოვნება, დავხვეწოთ ჩვენი გრძნობებლობა და, ამის მეშვეობით, თავი დავადნოთ გულმოყვრებას, რასაც გარდუვალად გამოიწვევდა მხოლოდ ერთი, ერთადერთი კონცეფციის აღიარება. მეტიმეტი სიყვარული ხელოვნების მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმის მიმართ სხვა არა არის რა, თუ არა სისუსტე, ისევე როგორც ნებისმიერი ერთადერთი ვნება, მთელი მისი სიწმინდის მიუ-

ხედავად. თავი აარიდო მის მომწუსხავ ზემოქმედებას, იმის იმედით, რომ შეინარჩუნო საკუთარი გრძნობების დამოუკიდებლობა, ფასდაუდებელი სიკეთე გახლავთ. იგეც არ იყოს, ჩვენ ვიმარჯვებთ მაშინაც კი, როცა ვმარცხდებით; ვიმარჯვებთ არა მარტო იმიტომ, რომ შევინარჩუნეთ ჩვენივე თავი, არამედ იმიტომაც, რომ, ქედუხრელნი და ნეტარებით აღვსილნი, საზიფათო გზით მიველტვოდით ჩვენივე შესაძლებლობების განვითარებას.

მაგრამ მივუბრუნდეთ ჩვენი მხატვრის უცნაურსა და ვნებით მთრთოლავ შემოქმედებას, რომელიც ერთბაშად აყენებს ჩვენს წინაშე ხელოვნების ორ უაღრესად საინტერესო პრობლემას. უწინარეს ყოვლისა, ლადო გუდიაშვილმა მთელი თავისი ხელოვნება საკუთარი გრძნობებლობის სამსახურში ჩააყენა და არა პირიქით, როგორც ამას ძალზე გართულებული ფორმით მოითხოვს მხატვრული შემოქმედების ლოგიკა, — თავისი გრძნობებლობა — საკუთარი ხელოვნების სამსახურში. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ტემპერამენტის ეს თავისებურება, რამაც ნიჭიერების წყალობით, საშუალება მისცა მხატვარს შეენარჩუნებინა თავისი ორიგინალობა. იგეც არ იყოს, გუდიაშვილის შემოქმედება, გრძნობებლობის პრობლემის გარდა, რასაც ზემოთ ორიოდ სიტყვით შევხებით, ჩვენს წინაშე სვამს ეთნიკური ხასიათის საკითხსაც, რაც არანაკლებ აქტუალურია. ამრიგად, მხატვრის ემოციებს რომ ვიზიარებთ, რომლებსაც საკუთარი ქმნილებების გრაფიკული სინატიფე აღვიძებს მასში. ჩვენ უსინანულოდ ვნებდებით მის ქართულ ხილვათა ვნებიან ხიბლს. ასე რომ, გარკვეული მხატვრული ტრადიციებისადმი მთელი ჩვენი მიდრეკილების მიუხედავად, ტრადიციებისა, რომელთა შერყევაც დროის ვრავითარმა გამოცდამ ვერ შესძლო, ჩვენ შევიყვარებთ საქართველოს, თუმცა ახე ცოტა რამ ვიცით მასზე. ჩვენ შევიყვარებთ. უწინარეს ყოვლისა, მის სულს, მთელი ჩვენი უცოდინარობის მიუხედავად, როგორც უყვართ სათაყვანებელი საგანი. და ამის მიზეზი იქნება მხოლოდ გუდიაშვილის ხელოვნების მომწუსხველი და მომაჯადოებლად მაცთური ძალმოსილება.

სენტ-ბევი წერდა, რაოდენ სასარგებლოა მოგზაურობა, რომელიც აფართოებს თვალსაწიერს და ზღუდავს პატივმოყვარეობას. და თუ მე გინვევთ ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ფერწერულ სამყაროში სამოგზაუროდ, მხოლოდ იმიტომ, რომ, ჩემის აზრით, ამ ფერწერას შეუძლია არა მარტო გაამდიდროს ჩვენი მხატვრული გემოვნება, ანდა ლა-

ვამი ამოსდოს ჩვენს ლათინურ პატივმოყვარეობას, არამედ თავისი მაცნური ხიბლით შემოქმედება მოახდინოს ჩვენს გრძნობებზე, ხიბლით, რომელსაც, რა თქმა უნდა, საერთო არა აქვს რა რაციონალურ მომენტთან, მაგრამ სამაგიეროდ, მოკლებული არ არის გრძნობადი შთაგონებისა და გრაციოზული თვითგამოვლენის უიშვიათესსა და უდახვეწილეს უნარს. თქვენ დარწმუნდებით, რარიგ სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, ახლო მეგობრებთან ერთად, ხელოვნების ჩვენეული, ანუ ეთნიკური კონცეფციების მიღმა გადახვეწა; თქვენ დარწმუნდებით, რარიგ მათრობელია განუცდელ გრძნობათა მორევში დანთქმა, თქვენ დარწმუნდებით, რომ თქვენს გრძნობელობას და თქვენს გონებას არაფერი დააკლდება ამ გრძნობად ხელოვნებასთან თანაზიარების შედეგად, რომელიც ამდენი უხილავი ძაფით უკავშირდება ევროპას და, იმავედროულად, ასე უშუალოდ ესაზღვრება აზიას; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქმე ეხება ჩვენთვის ძალზე უცხოა და შორეულ გრძნობებს, რომლებითაც შეუძლებელია არ აღეფრთოვანდეთ; შემდეგ იმიტომ, რომ მოგზაურობისას ყველაზე მივარდნილ კუთხეშიც კი შეხვდები ხოლმე ნაცნობებს, და ბოლოს, იმიტომ, რომ რაგინდ იშვიათიც უნდა იყოს ჩვენს სულში აღძრული განცდები, ყოველთვის მოვასწრებთ იმას, რომ კვლავინდებურად დაუბრუნდეთ ჩვენსავე თავს და საკუთარ ფეხზე დადგომა შეეძლოთ.

მე ვეკითხები ჩემს თავს: რა ვიცი საქართველოს შესახებ? ეს იდუმალი ქვეყანა, რა კუთხითაც უნდა შეხედო, უნინარეს ყოვლისა, ძალზე შორეული ჩანს. თუ ჩემი ბავშვობისდროინდელ გეოგრაფიულ სახელმძღვანელოებში აღწერილ მოგზაურობებს ვენდობით, საქართველო იქ მდებარეობდა, სადაც, უეჭველად, დღესაც მდებარეობს, — ორ ზღვას შუა, რომელთაგან ერთს, ღმერთმა იცის რა-ტომ, შავს უწოდებენ, ხოლო მეორეს — კასპიისას, რომელიც, თუ რუკას დავხედავთ, ყალფზე შემდგარი ცხენის თავ-კისურს მოგვაგონებს. ჩვენს საბავშვო ატლასებზე ამ ადგილს რომ ვხატავდით, ქალაქის სიბრტყეზე ფანქრის წვერით ვიმეორებდით მთაგრეხილების ხეულებს. ეს კავკასიონის ქედი გახლდათ. იყო აგრეთვე ვარდისფერი თბილისი, ნავთის სუნით გაჟღენთილი ბაქო, შავი ზღვის პორტი — ბათუმი და, ბოლოს, ირანის საზღვარი. გარდა ამისა, მახსოვს ორიოდ სტრიქონი „კორნევილის ზარებიდან“; ეს იყო პირველი პიესა, რომლის სანახავადაც ჩამიყვანეს თეატრში. ვიღაცა მღეროდა:

„სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს...
ვნებით მათრობდნენ მწველი თვლები
ქართველი ქალების, ჩერქეზი ქალების“, და
ა. შ.

ვამც არ იყოს, ჩემმა აღზრდამ, შემოინახა რამდენიმე ფერადი სურათი, რომლებსაც მოსახლეობაში ავრცელებდნენ სავაჭრო ფირმები და რომლებზედაც თვალწარმოვა სამოსელში გამონყობილი ქართველი ქალები იყვნენ გამოხატულნი. მახსოვს, რამდენ ხანს ვინახავდი ერთ-ერთი მათგანის პორტრეტს, რადგანაც ის მაგონებდა ერთ გოგონას, რომელიც ძალიან მომწონდა. ისიც შევიტყვე, რომ ამ ქალებს სილამაზის ბადალი არ მოეძებნებოდა მთელი დედამიწის ზურგზე. ესაა და ეს. ისლა ჯამრჩენია. ვაღიარო, რომ ჩემი მოგზაურობა მხოლოდ და მხოლოდ ამ თეატრალური, კარტოგრაფიული და სანტიმენტალური შემეცნებით შემოიფარგლება. მას აქეთ, ვახუშტის წყალობით, ვერაფერი ახალი ვეღარ გავიგე, მაგრამ ჩემმა მახსოვრობამ შემოინახა ამ შორეული ქვეყნით აღძრული საკმაოდ იდუმალი შთაბეჭდილება, რომელშიაც ერთმანეთს ერწყმიან ფერადი რუკების, მაღალი მთების, ქალაქთა უცნაური და მზიური კლერადობის მქონე სახელების, ბრწყინვალე მოცეკვავეებისა და ბოლოს ყველაზე მკაფიოდ, გრძელ ჩოხებში გამონყობილი და ლაპლაპა ქაშრებით წელდამშვენებული თვინიერი და იმავდროულად, მძვინვარე მეომრების მოგონებანი.

ყველაზე საგულისხმო ის გახლავთ, რომ გუდიაშვილის შემოქმედებას, პირწმინდად ქართული მოტივებით გამსჭვალულს და ყოველთვის ჭეშმარიტად ზომიერი ადგილობრივი კოლორიტით ამეტყველებულს, ოდნავადაც არ გადაუსხვავდებია ჩემი ბუნდოვანი, ბავშვობისდროინდელი წარმოდგენა საქართველოზე, რისთვისაც გულწრფელად მადლობელი ვარ მისი.

რაც შეეხება ჩვენს დიდებულ მხატვარს, ამ საკითხში მე დღეს უკეთა ვარ ინფორმირებული. ლადო გუდიაშვილის ოჯახი წარმოშობით თრუსო-კობი-ყანობის თემიდან იყო თვითონ იგი 1892 წელს დაიბადა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში. ხატვა დამოუკიდებლად დაიწყო, შემდეგ კი კერძო სასწავლებელში ეუფლებოდა ხატვის ხელოვნებას. მაგრამ მხოლოდ ძველი ქართული მხატვრობის, ფრესკებისა და უნატიფესი ჩუქურთმების გაცნობამ, რომელთა ნიმუშებიც უხვადაა ზარზმისა და ოშკის ტაძრებში, მიანიჭა მხატვრის მგრძნობიარე სულს ის პლასტიკური გამომსახველობა, რამაც შემდეგ ხორცი შეისხა მის შემოქმედებაში. სიტაბუკეში, როცა მი-

სი მხატვრული გემოვნება ყალიბდებოდა, ლადო გუდიაშვილს სულს უხუთავდა მეტიმეტად ტლანქი რუსიფიკატორული პოლიტიკა, რასაც ცარიზმი ახორციელებდა საქართველოში, სადაც არ არსებობდა არავითარი ეროვნული სამხატვრო დანებსებულება. მიუხედავად ამისა, მან შესძლო შეენარჩუნებინა და თავისუფალი მომავლისათვის შემოენახა თავისი პიროვნული სამყარო. ამ დროის მოლოდინში მთელს თავის ნიჭსა და უნარს ის წარსულის შესწავლასა და მშობლიური ქვეყნის ხელოვნების წვდომას ახმარდა; ცდილობდა წარმოეჩინა მისი არსი, ისე რომ არც გაეყალბებინა და არც ბრმად გაემეორებინა იგი. პირველმა გამოფენებმა, რაკილა ვარდისფერ თბილისშიც ეწყობა ხოლმე ვერნისაფები; იმთავითვე დაანინაურეს იგი, როგორც ახალი თაობის საუკეთესო მხატვარი. საქართველოს მთავრობამ, ახალგაზრდობის მიუხედავად, საპატიო მისია დააკისრა მას: ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების შესწავლა. ცოტა უფრო გვიან, იგი — უკვე საქართველოს რესპუბლიკის ლაურეატი — საზღვარგარეთ მიაგლინეს სასწავლებლად. მან აირჩია პარიზი, იქ მოისურვა თავისი ცოდნისა და ნიჭის განვითარება, ნიჭისა, რომელიც პირველი გამოჩენისთანავე აღიარეს „საშემოდგომო სალონში“, „დამოუკიდებელთა სალონსა“ და საფრანგეთის, ბელგიისა და ამერიკის სხვა საგამოფენო დარბაზებში, სადაც მას უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

მაგრამ, მოდით, თვალი გადავაფლოთ ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას.

ის, რასაც გვიჩვენებს მხატვარი თავის ქმნილებებში, უაღრესად ეროვნულია. ესაა ქართული სინამდვილიდან აღებული ყოველდღიური ცხოვრების სცენები. ქალები, მეომრები, საოცრად მეტყველი თვალებით, მაღალ მთებს შორის მცხოვრები ძალგულოვანი, მამაცი ხალხი, ვნებიანად რომ ენაფება სიცოცხლის სიტკბოს კრიალა ცის ქვეშ, თავიანთი კავალკადებითა და თავგადასავლებით. ერთგან იბრძვიან, მეორეგან ქეიფობენ, ცეკვავენ. ვნებით თვრებიან, და ყოველივე ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ცხენდაცხენ“ ხდება, რადგან ცხენი უდიდეს როლს თამაშობს ქართველის ცხოვრებაში. ლადო გუდიაშვილი ამ პატარა სცენებს ჯადოქრული ბრწყინვალეობით ასულიერებს და ისეთი ცხოველმყოფელი გრძნობით ავსებს, რომელიც ერთიანად გვაფორიაქებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ანელებს იმ იდუმალი მიზიდულობის ძალას, რასაც განვიცდით ჩვენთვის ესოდენ უცხო საზოგადოებასთან შეხების წყალობით.

მაშ, დააკვირდით ამ ტილოებს, თვითონვე გაეცანით ლადო გუდიაშვილის სურათებს, ცხოვრების სიღრმეში ღრმად წვდომის შედეგად რომ არიან შექმნილნი ცეცხლოვანი გრძნობელობა და შემქმნელის უფრო დამიხსნის მათი აღწერისა და წარმოსახვის მხოლოდ მთელი შთაბეჭდილების ნახდენა შეუძლო. ეგეც არ იყოს, მე აქ მხოლოდ იმისთვისა ვარ, რომ ამ ესოდენ თვითმყოფი ნიჭის მქონე მხატვრის საწყისებსა და მიზანდასახულობაზე გელაპარაკოთ. შეიძლება ითქვას, რომ მთელი თავიანთი სინატიფისა და მოქნილობის მიუხედავად, ლადო გუდიაშვილის პერსონაჟები გარკვეულ მიდრეკილებას ამჟღავნებენ გახევებული, ჰიერატულიკული პოზებისაკენ, რაც ბიზანტიისაგან იღებს დასაბამს და რითაც, საერთოდ, აღბეჭდილია ქართული ხელოვნება. ამავე დროს, ლადო მათ ისევე აცოცხლებს, როგორც ქართული ხუროთმოძღვრება აცოცხლებს ბიზანტიურს წრისა და სამკუთხედის დახვეწილი ურთიერთშერწყმით. გუდიაშვილის გმირების თვით ყველაზე ძუნწი შესტებიც კი ერთგვარად მომრგვალებულია, მაგრამ ეს არაა უნიათო სიმრგვალე, რადგან მაშინაც კი, როცა მათთვის სასურველ ბიზანტიურ ტენდენციას ინარჩუნებდნენ, ქართველებს არ ავიწყდებოდათ სპარსეთის საზღვრის სიახლოვე, სპარსული ხელოვნება კი მათ თავს ახვევდა ფერთა სიხასხასესა და შუქჩრდილის თამაშს, არაბესკების დახვეწილ გრებილებს და საგნის კოლორიტულ აღქმას. ყოველივე ეს შეისისხლხორცა ქართულმა სულმა. გუდიაშვილის ფუნჯი პოეტური შტრიხებით ხატავს ადამიანს, ხან პეროიკულ, ხან კიდევ ელეგიურ იერს ანიჭებს მას; მხატვრის გმირები ლეგენდების პაერით სუნთქავენ, სადაც სიკეთე თრგუნავს სისასტიკეს, და პოლოს, ისინი ინარჩუნებენ ცხოვრებისადმი სანტიმენტალურ დამოკიდებულებას. როცა ზეციური ადგილს უთმობს ამქვეყნიურს, ამბობენ, ოდესღაც თურქებთან საბრძოლველად მიმავალი სპარსელი მეომრები მთელ ტირადებს მღეროდნენ ღვთაებრივი ფირდოუსის „მეფეთა ნიგნიდანო“. ასევე, შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ გუდიაშვილის გმირებიც ყოველ წამს მზად არიან ესა თუ ის ხალხური ბალადა დააგუგუნონ. მეშინია, ვაითუ პიანობლიზაცია დამწამონ-მეტქი, თორემ ვიტყვდი, რომ ამ ადამიანებს არ შეუძლიათ უარი უთხრან თავიანთ თავს იმ სიამოვნებაზე, რათა ფიცხლად მოახტნენ ცხენს და თავიანთი სახლიდან მეგობრის სახლამდე გასავლელი ორიოდ მეტრი გზა ჭებებით გადაიარონ. ეს ძალზე ნიშანდობლივი დეტალი გახლავთ; იმ-

დენად, რომ ჩემი შთაბეჭდილება, ან უკეთესად რომ ვთქვათ, განცდა, რომელსაც ჩემში იწვევს საქართველო ლადო გუდიაშვილის შემოქმედების წყალობით, — მარწმუნებს, რა სრულიად შეინარჩუნა თავისი თვითმყოფო ქართულმა ხელოვნებამ, მიუხედავად დამპყრობელთა გავლენისა ბრძოლების ქარცეცხლში გამოვლილი საუკუნეების მანძილზე. ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ურიცხვი უბედურების, გარეშე მტერთა შემოსევებისა და შინააშლილობების მიუხედავად, რისი მსხვერპლიც შეიქმნა საქართველო, მან დღემდე შეინარჩუნა თავისი რელიგია, თავისი ლიტერატურა, თავისი ენა და ხელოვნება, აი, რატომ გვევლინება გუდიაშვილის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად ის უტყუარ სიკერპე, რომლითაც ის წარმოაჩენს თავის ეროვნულ გრძნობელობას, სიკერპე, რომლითაც ესოდენ ჯიუტად აღბეჭდილია მთელი მისი შემოქმედება; სიკერპე, რომლითაც ის პატივს მიაგებს არსებულ ტრადიციასა შორის ყველაზე პატივსაცემ ტრადიციას.

სწორედ აქ აღიძვრის ჩვენი მხატვრის შემოქმედების ყველაზე საინტერესო პრობლემა. ფრანგული ხელოვნების პრიმატი, ან უფრო სწორად, იმ ხელოვნებისა, რომელიც საფრანგეთში იქმნება, ჩვეულებრივ, აიძულებს უცხოელებს თავიანთი გრძნობელობის ეთნიკური თავისებურებანი მსხვერპლად შესწირონ პარიზის მიერ ნაკარნახევ ტენდენციებს. ასე და ამრიგად, ისინი ხელს უწყობენ ერთგვარად უნიფიცირებული ხელოვნების შექმნას, რომელიც უფრო ინტელექტუალურია, ვიდრე ემოციური; ეს ხელოვნება მხოლოდ ასუსტებს ეროვნულ თავისებურებებს. თუმცა პირწინადად როდი შლის მათ, ვინაიდან ფრანგული გემოვნება ყოველთვის ავლენს ამ ფრიად თვალსაჩინო უცხოურ თავისებურებათა ნაკვალევს, რომელნიც, თავის მხრივ, ესოდენ დამახინჯებულნი ჩანან. ასე რომ, ხელოვნების ამნაირი ინტერნაციონალიზაცია ყოველთვის იწვევს ერთგვარი ორაზროვნებისა და უხერხულობის განცდას. მთელი ეს ბაროკო მოკლებულიც რომ არ იყოს გარკვეულ გრაციოზულობასა და მომხიბვლელობას, მაშინაც კი არ ღირს მისი ნაქეზება. ეს კონიუნქტურა რომ მიგვეღო, სულ მალე შეუძლებელი გახდებოდა ერთმანეთისაგან გაგვეჩიოა იაპონური, ესპანური ან. თუ გნებავთ, რუსული ხელოვნების ძირითადი თავისებურებანი; აუცილებელი იქნებოდა ესთეტიკიდან ამოგვეშალა ის ფუნდამენტური რასობრივი საკითხები, რომლებზედაც მსჯელობს ტენი; უკვალოდ გაქრებოდა ყოველი ერისათვის დამახასიათებელი ლი-

რიზმი, და ბოლოს, ამოიწურებოდა მარადიულ ცნებათა განახლებისა და გადახალისების ყოველგვარი შესაძლებლობა, რის გარეშეც შეუძლებელია თვით ხელოვნების პროგრესი; მოკლედ, ფერწერა იქნებოდა „ესპერანტოს“ საშუალებებით გამოთქვა თავისი სათქმელი.

ვიმეორებ. გუდიაშვილის დამსახურება სწორედ ის გახლავთ, რომ შესძლო მთლიანად შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული გრძნობელობა, მიუხედავად იმ მხატვრული ცთუნებებისა, რასაც მას თავს ახვევდა პარიზული გემოვნება. რასაკვირველია, არავინ მოითხოვს ეკზოტიზმით გატაცებას, და ქმნილებას, რომლის ნახატის კოლორიტისა და კომპოზიციის თვისებებსაც შეუძლიათ სულის სიღრმემდე შეგვძრან, ჩვენ ყოველთვის ვამჯობინებთ იმ ნაწარმოებს, რომელიც, თავისი ჭეშმარიტი ბედის მიუხედავად, მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობას აღგვიძრავს მაგრამ თავისი ქვეყნის სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტით შთაგონებული ლადო გუდიაშვილი ყოველთვის ინარჩუნებს პროფესიონალი ხელოვანის თვისებებს: ის ქართველად რჩება, მას შემდეგ, რაც პარიზში ეზიარა ოსტატობის სხვადასხვა რეცეპტს, რომლებიც აქ მთელი მსოფლიოს მხატვართა მცდელობამ დააგროვა დღეს უკვე ვეღარ შეგვხვდებით ვერც ერთ პარიზელს, ამ სიტყვებით რომ მიმართავდეს უზბეკს: „კი მაგრამ, როგორ შეიძლება სპარსელი იყო?“ ხელოვანს არა აქვს თავისი ეთნიკური ტემპერამენტისაგან განდგომის უფლება. მეტსაც გეტყვით, ვინც ცდილობს დაესესხოს გრძნობელობის მისთვის უცხო და უჩვეულო ფორმებს, ვერასოდეს თავს ვერ დააღწევს გარკვეულ სნობიზმს. ხელოვნების ინტერნაციონალის ერაჯერ კიდევ არ დამდგარა და ხელოვნებისავე საკეთილდღეოდ, ნურც დამდგარიყოს. ამ აზრს მთლიანად გვიდასტურებს გუდიაშვილი.

ლადოს შემოქმედება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მან ყველა სამზარეულოს ნახელავს გაუსინჯა გემო და მხატვრული ხელოვნების ყველა უახლეს მიდნევას ეზიარა. თავმოყმონედ ხატავდა იგი პარიზელთა საყვარელ ნატურმორტებს, ხოლო ფანქრით შესრულებული მისი ზოგიერთი თვალსაჩინო ნამუშევარი პლასტიკურ იდეათა ასოციაციისაკენ იმნაირ მიდრეკილებას ამჟღავნებს, რაც ანტიკურობის შემდეგ დავინწყებას მიეცა და ხელახლა აღორძინდა ჩვენს დროში. მაგრამ მხატვარმა იგრძნო მძლეთამძლე აუცილებლობა იმისა, რომ ქართული ხალხური ხელოვნების მონაცემებზე დაეფუძნებინა საკუთარი შემოქმე-

დება, ეს ხელოვნება კი, თავისი განვითარების პროცესში, გულგრილი არ დარჩენილა რუსულ და სპარსულ გავლენათა მიმართ. აქედან — პერსონაჟთა მისეული დაჯგუფებანი, თავიანთი ნატიფი ფორმებით, ღრმად გამჭვირვალე ფერებითა და, ცოტა არ იყოს, ბრტყელი ნაკვთებით, ასერიგად რომ გვაგონებენ ხან ბიზანტიურ ხელოვნებასა და ხანაც სპარსულ მინიატურებს. რაც შეეხება პერსპექტივას, ამ პატარა, უმნიშვნელო გამოგონებას, ისეთსავე ვინროსა და შეზღუდულს, როგორიც არისტოტელესათვის ეგზომ სასურველი სამი ერთიანობის პრინციპი გახლავთ, აქ ის ადგილს უთმობს უფრო თავისუფალსა და, ამდენად, გრაფიკული თუ პლასტიკური მიგნებებით უფრო ნაყოფიერ კონსტრუქციას. გუდიაშვილის ნახატი, მოხდენილი და ძალუმი, მოქნილი, მაგრამ არა უნიათო, ენერგიული, მაგრამ არა უხეში, ცოცხალი, მაგრამ არა კონფუსიური, ყოველთვის მოძრაობს ჩვენი გრძნობელობის პლასტიკურ სანყისთა კადრში, რათა ცხადყოს ხაზობრივი აღმოჩენები, რომლებიც ასე მჭიდროდ და ორგანულად უკავშირდებიან ფერადოვან, მაგრამ სავსებით საღ წარმოსახვას.

ახლა კი დროა ხელი მივყოთ იმ ემოციურ ბუნების განსაზღვრას, რომელიც თავს იჩენს ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში. ეს ბუნება უფრო სანტიმენტალურია, ვიდრე მხატვრული, მაგრამ სასწრაფოდ უნდა დავსძინოთ ისიც, რომ საპირისპირო მოვლენა ქართველი მხატვრის ნამუშევრებში ჩვენს გაოგნებას გამოიწვევდა, რადგანაც ძალზე უცნაურსა და უჩვეულო სიხარულს განვიცდით, როცა მათი მაცდური ხიბლის მახეში ვებმებით ხოლმე. ის ფაქტი, რომ ფრანგული სანტიმენტალური ხელოვნება ასე ხშირად გვღლის, იმით აიხსნება, რომ ჩვენ არასოდეს არ შეგვიძლია საკმარისად დავივიწყოთ წარმოსახული სიუჟეტი, რათა, ამრიგად, მხოლოდ ქმნილების პლასტიკური თვისებებით დავტკბეთ. ამ შემთხვევაში სავსებით კანონზომიერია ლაბრიურის სიტყვები: „ყველაფერი უკვე ნათქვამია, და ჩვენ ყოველთვის მეტისმეტად გვიან მოვდივართ“. რამდენიმე მარადიული პატარა ანეკდოტი, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს მშვენიერ ფორმალურ კომპოზიციებს, ხშირად მდარე მიმბაძველობად იქცევა, რომლის განახლების ძალიც არავითარ ფორმალურ ძიებას არ შესწევს. მაგრამ გუდიაშვილის შემოქმედებაში თავს იჩენს არა მოდური ფერწერის, არამედ ახალი გრძნობელობის ცნება, მისი ყველაზე დახვეწილი გამოვლინებების თანხლებით. მხატვრულობა, თავისთავად, ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს ახალ შინაარსს, ის

მხოლოდ ცვლის გარეგნულ ასპექტს, გუდიაშვილის შემოქმედება კი მართლოდენ თავისი ასპექტით როდი გვიზიდავს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ მისი კომპოზიციების პერსონაჟები ინტენსიური ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელიც გრძნობელობისაგან იღებს დასაბამს და რომლის გამოვლინებანიც ჩვენს განცდილებას კი არ იწვევენ, არამედ გვაცდუნებენ და გვაღელვებენ. ასე გგონია, მხატვარი ძელგ ლეინოს გვთავაზობს, რომელიც ბევრი რამით ჰგავს ჩვენს ლეინოებს, მაგრამ, ამასთან, ისეთი სპეციფიკური თვისებებით აქვს, ერთიანად რომ შეგძრავს და თავბრუს დაგახვევს. რა არის ეს, თუ არა ბედისწერის დაღი, რომლითაც აღბეჭდილია მხატვრის მიერ წარმოსახული პირქუში ჯგუფები და გაღეული სახეები? რაღაც ტრაგიკული, უჩვეულო სინაზით შემოზრული, დაუოკებლად გვიზიდავს ამ იდუმალი სცენების წიაღიდან. ამ შავი თვალების ყველა სტუმარი განიარაღებულია: ასე გგონია, რომც გინდოდეს, მაინც ვერ შესძლებს თავდაცვას; თუმცა არც ფიქრობ ამაზე, ისე მიჰყვები დინებას, და თუ ჩემს თავზე ვიტყვოდი რამეს, ვიცი, რომ დამენანება მათთან განშორება.

თუმცა რა საჭიროა თავდაცვა? უფრო გონივრულია აჰყვე გრძნობას, როცა საამისო საშუალებები ღირსეული ჩანს. განა სწორედ ეს არ ითქმის გუდიაშვილის ქმნილებების მიმართ? მას რომ ყველაზე ვულგარული საშუალებები გამოეყენებინა, რათა, ამრიგად თავს მოეხვია ჩვენთვის თავისი დახვეწილი გრძნობელობის ზემოქმედება, ჩვენ უთუოდ პირს ვიბრუნებდით მისგან, მაგრამ გუდიაშვილის გოროზი და სინდისიერი შემოქმედება მთლიანად აკანონებს მის მიერ გამოყენებულ ცთუნების ყველა საშუალებას. არტიზტიზმი, რომლითაც აღბეჭდილია გუდიაშვილის ყოველი ტილო და ყოველი ნახატი, მისი პირადი გამოცდილებისა და წინაპართა მიმართ დიდი პატივისცემის მაუწყებელია. ასე იხსნება მისი განთავისუფლებული გრძნობელობის წინაშე უსასრულობისაკენ მიმავალი გზები. ახალი ჭეშმარიტებანი, ან, უფრო ზუსტად, ახალი მიგნებები მხოლოდ მისი წილხვედრია. ვისი გულიც ყველაზე ერცელია და ყველაზე ნაყოფიერი. საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ ისეთი გენიალური მათემატიკოსი, როგორიც გახლდათ პასკალი, რათა ეს ეთქვა: „რამდენადაც ფუჭია და სასაცილო ის, რომ გონებას გულს მოსთხოვოს თავის პირველსაწყისთა დასაბუთება, რათა დაემორჩილოს მათ, იმდენადვე სასაცილოა გულის

მხრივ — გონებას მოსთხოვოს თავისი თანაფარდობების დასაბუთება, რათა აღიაროს ისინი“.

ლადო გუდიაშვილმა შესძლო თავის შემოქმედებაში ურყევი წონასწორობა დაემყარებინა გონების მონაცემებსა და პირადი გრძნობელობის იმპულსებს შორის, რაკილა არაფერს

არ უმსხვეპრლა თავისი ინტელექტი. ასე შექმნა მან ორიგინალური და უჭკნობი ნაწარმოებები. მისი იშვიათი დამსახურებაა ისიც, რომ შესძლო შეედრა, მოეხიბლა და მოენადირებინა თვით ისინიც კი, ვინც რა ხანია ირწმუნა გრძნობისმიერი ხელოვნების კრახი.



ამთანდომ პართაგავა

დღეიანი ლადო გუდიაშვილის გვერდით

როდესაც ფუნჯს ხელში ავიღებდი, პალიტრის გარშემო მაშინვე მაყურებელთა ორეულები შემოიკრიბებოდნენ. რა იყო ეს, თუ არა გაურკვეველობა და ამავე დროს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე და, რაც მთავარია, ეს იყო სურვილი მაყურებლის როლში გამოსვლისა, რათა „სხვისი თვალთ“ უკვე გამერჩია სურათის ავ-კარგი.

ერთხელ გავბედე და გუდიაშვილის თვლებით შევხედე ჩემს ნახატებს... წამიერად შევკრთი კიდეც — თითქოს ტილოზე ყველაფერი დაინგრა, თითქოს ფერები და ხაზები ერთმანეთში გადაიხლართნენ... გონს რომ მოვედი, ჩემი დიდი მსაჯული და მოძღვართ-მოძღვარი უკვე „ოთახში აღარ იყო...“

სულ იმის ცდაში ვიყავი, რომ ეს სურვილი სინამდვილედ მექცია. მსურდა მხოლოდ ერთხელ, ბოლიდის გაელვებასავით მას თვალი შეველო ჩემი ნახატებისათვის.

და აი, ჩემი და ჩემი ძმის ცხოვრებაშიც ამოანათა ამ დიდმა ვარსკვლავმა, დიდმა პატრიარქმა და ფერთა წერის უგვირგვინო მეფემ; მიზეზი ამისა გახდა ჩვენი ნახატების გამოფენა თბილისის ხელოვნების სახლში.

გამოფენის გახსნის წინა დღით, გულისფანცქალით დავაჭირე თითი დიდი შემოქმედის სახელოსნოს ელექტროდილას. კარი თვით ბ-ნმა ლადომ გაძილა: მივესალმე, მომესალმა, მოსაწვევი ბარათი გავუწოდე და, ის იყო წამოსვლა დავაპირე, მხატვარმა შემაჩერა და მითხრა:

— მოითმინეთ, სად მიგეჩქარებათ? ვისა-

უბროთ. ტყუპი ძმების მხატვრობა საინტერესო უნდა იყოს...

გაცნობისა და საუბრის პირველ წუთებს ისეთი სიახლოვე და გულახდილობა მოჰყვა, როგორც მხოლოდ დიდი ხნის მეგობრებს ჩვევიათ.

ბატონი ლადო დაბეჯითებით შემპირდა გამოფენის გახსნაზე მოსვლას, რაც მან მისთვის ჩვეული პატიოსნებით შეასრულა კიდეც...

მკვირცხლად შემოაბიჯა დარბაზში ბ-მა ლადომ; ღიმილით მიესალმა ყველას და მაშინვე სურათების დათვალიერებას შეუდგა.

მხატვარს ისევე გემოვნებით, ისევე დახვეწილად ეცვა, როგორც ეს მისი პარიზისდროინდელ სურათებზე გვინახავს; სწორედ იმდროინდელი გემოვნება და დახვეწილობა შემორჩენოდა უკვე ასაკში შესულ, 74 წლის მხატვარს. ისეთი სიმსუბუქით დააბიჯებდა დარბაზში, თითქოს იატაკს არც ეხებოდა. ანდამატივით იზიდავდა ყველას მისი პიროვნება; სულგანაბულნი ისმენდნენ მის მოსაზრებებს, რომელთაც იგი ასე გულახდილად უზიარებდა გამოფენაზე მოსულთ.

გადაწყდა კატალოგის გამოცემა, რომლის რედაქტორობა ლადო გუდიაშვილმა იდო თავს. მომზადდა საჭირო ფოტორეპროდუქციები და შოთა ნიშნიანიძის წერილი შესაბამისი რუსული თარგმანით. როცა ყველაფერი მხატვარს წარუდგინე, პოეტის ხელწერა პირველსავე სტრიქონებშივე ენიშნა ბ-ნ ლადოს, როგორც არაპროფესიონალის, მაგრამ ამაღლებული და პოეტური თვალთ შექმნილი სტრიქონები.

მხატვარმა ტექსტი მაგიდაზე დადო, ოდნავ გაიღიმა და კმაყოფილებით წარმოთქვა: — მხატვრისა და პოეტის მეგობრობა თითქოს ცხოვრების აუცილებლობითაა ნაკარნახევი. შემოქმედების ეს ორი ფრთა ისევე კარგად ეგუება ერთმანეთს, ისევე პარმონიულად ერწყმის და ხელს უწყობს ერთმანეთის მოძრაობასა და წინსვლას, როგორც არწივის მარჯვენა და მარცხენა ფრთა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თურმე თქვენც პოეტებთან მეგობრობთ, მეც ასეთივე ბედი მხვდა წილად. ყველაზე საუკეთესო და ერთგული მეგობრები, ჩემი მოჭირნახულენი და თაყვანისმცემლები პოეტებში მყავდა. „ცისფერყანწლებიდან“ დაწყებული თანამედროვე ახალგაზრდა პოეტების ჩათვლით არაერთ ბრწყინვალე პოეტს ვმეგობრობდი: გალაკტიონი, ტიცციანი, გოგლა, პასტერნაკი, მაიაკოვსკი, ესენინი...

ამასვე ვიტყვი ფიროსმანზეც. თუ მისი სახელი დღეს ესოდენ პოპულარულია, ერთი გადამწყვეტი სიტყვა ამაში ქართველ პოეტებს ეკუთვნის...

ამის შემდეგ ათი თვე არ მინახავს ბ-ნი ლადო.

ათი თვის შემდეგ კი, კატალოგით ხელდამშვენებული, ისევ ვესტუმრე გუდიაშვილს.

შევეურებდი ბ-ნ ლადოს, — თავისი სახელოსნოს კედლებივით მრავალჭირნახულსა და გამობრძმედილს, მოღლილსა და, ამავე დროს, სულით უბერებელ ღმერთკაცს და სინანულისა და სიამაყის გრძნობა ერთდროულად მეუფლებოდა. ორი ისტორია იდგა ერთმანეთის პირისპირ, დღეს უკვე ერთად შერწყმული და განივთებული ისტორია. თითქოს იმთავითვე ისტორიული მისია დაეკისრა მუხრან-ბატონის ყოფილ სასახლეს და, უშუალოდ იმ დარბაზს, რომელიც შემდეგში გუდიაშვილის შემოქმედების ტაძრად იქცა...

ვინ იცის, რამდენი პატრონი გამოუცვლია ამ ჭერსა და ფუძეს.

აქ ცხოვრობდა რუსი თავადი — გალიცინი მეუღლესთან — ბაგრატიონის ქალთან ერთად.

აქ გაითქვა 1832 წლის შეთქმულება.

ამ ჭერქვეშ სტუმრობდნენ პუშკინი, გრიბოედოვი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, მანანა და მაიკო ორბელიანები...

მომდევნო წლებში აქ ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილის დის სოფიოს ვაჟი — გიორგი სუმბათაშვილი, უშვილძირო კაცი, რომელმაც სიკვდილის წინ ლადო გუდიაშვილს ბარათაშვილების ნაქონი ანტიკვარული ნივთები უსახსოვრა.

აქ, 1936 წ. სახელოსნოს მაღალ კედელს სახელდახელო ლექსი მიაწერა პაოლო იაშვილმა, რომლის სტროქონები თავიანთი ავტოგრაფებით დაამშვენეს ტიცციან ტაბიძემ, კოლაუ ნადირაძემ, ზორის პასტერნაკმა და ნიკოლოზ ტიხონოვმა.

მოგვიანებით აქ მოსულან გალინა ულანოვა, როკუელ კენტი, ფრიდრიხ დიურენმატი, სენატორები იუნგ სკოტი და ედუარდ კენედი, დანიის დედოფალი მარგარეტ მეორე პრინციტურთ, ლუერის მუზეუმის დირექტორი — იუბერ ლანდაისი, ჯონ პრისტლი, ჯონ აპდაიკი, იაპონელი გამომცემელი რიოხეი კომიამა და მრავალი სხვ.

1972 წ. თებერვლის ერთ მშვენიერ დღეს ბ-ნ ლადოს სასურველ სტუმრად ვახლე თბილისის კინოფესტივალის მონაწილე, გაზ. „ლიტერატურნაია როსიას“ ხელოვნების განყოფილების გამგე, დიდად ერუდირებული პიროვნება და ნიჭიერი ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრა პისტუნოვა.

გუდიაშვილის შემოქმედებით აღფრთოვანებულმა დაწვრილებით გაანდო თავისი სურვილი ძვირფას მასპინძელს, — რომ აპირებდა მის შესახებ ვრცელი წერილის მოთავსებას გაზ. „ლიტერატურნაია როსიას“ ფურცლებზე, მაგრამ პირველ ყოვლისა იგივე წერილის გამოქვეყნებას შეეცდებოდა გაზ. „პრავდაში“. სტუმარმა ქალმა სიტყვა საქმედ აქცია.

„პრავდაში“ გამოქვეყნებულმა წერილმა კიდევ უფრო გაზარდა მხატვრის ავტორიტეტი და მისი სახელი მსოფლიო მერიდიანებს მიაწვდინა.

ერთხელ გუდიაშვილს წყნეთში საკუთარ აგარაკზე ვესტუმრე. მან სახელდახელოდ შემომატარა ორსართულიანი დასასვენებელი სახლის ოთახები, მერე კი ხის კიბეებით ვარდების სურნელით სავსე ეზოში ჩამიყვანა.

ეს სახლი, რომელიც წყნეთში განაპირა ადგილას დგას, ყურადღებას მხოლოდ თავისი უბრალოებით იქცევს. ვერავინ იფიქრებს, თუ მის ჭერქვეშ დიდი შემოქმედი ცხოვრობდა, ქართული ხელოვნების საგანძურს დღენიადაგ თავისი გენიალური ტილოებით რომ ამდიდრებდა.

ნაშუადღევ იყო. დასავლეთის ძლიერი ქარი მთებიდან მოერეებოდა მონაცრისფრო ღრუბლებს. წამინამ იცვლებოდნენ ცისა და მიწის დეკორაციები. ნებით თუ უნებლიეთ ხეები იფერთხავდნენ ყვითელ ფოთლებს, რომელთა კორიანტელში ჩაძირულიყვნენ მხატვრის „მამათა მიძინების სავანესავით“ მყუდრო ეზო, პატარა ორსართულიანი სახლი

და თვით დიდოსტატის ხელით დარგული ვარდები. შინაურულად ჩაცმულ მხატვარს თავზე სომბრერო ეხურა, და, თავნება ქარს რომ არ მოეტაცა, წამდაუნუნ ხელს იკიდებდა. თანაც ვარდების წამებას უყურებდა.

— ძალიან მიყვარს ჩემი დარგული ვარდები, — გაბრწყინებული თვალებით შემომხედა ბ-მა ლადომ, ჩემს თვალწინ საოცარი მეტამორფოზა ხდება: თავდაპირველად, როდესაც ვარდის შტო იღვიძებს, მისგან კოკორი გამოიბუტება, მერე კოკორი თეთრ ფურცლებად იშლება და თანდათან ყვითლდება. საოცარი ფერისცვალება, საოცარი ფერთა თამაში!...

რაც წყნეთში ამოვედით, სოფლის მეურნეობასაც მოვკიდე ხელი, — ახლა ბილიკის მოპირდაპირე მხრისკენ წამიყვანა ბ-მა ლადომ. — აი, ეს მალლარი ვენახი რამდენიმე წლის წინათ დაერგე: იშვიათი ჯიშისა გამოდგა, შავი ქლიავივით მსხვილ მარცვლებს ისხამს. პირდაპირ საკბეჩი ყურძენია, მოშავო-მოლურჯო ფერისა, დამწიფებასაც ასწრებს და საჭმელადაც გემრიელია.

ხარობდა დიდი მხატვარი მისი დარგული ვაზით, ვარდებით, ხეხილით, მწვანე და იშვიათი სიმყუდროვის ეზოთი და ეს სიხარული ჩემთვისაც უნდოდა გაენანილებინა.

მცირე სიჩუმის შემდეგ მან სახლის ქვედა სართულისკენ მიმახედა, რომლის გარე კედლებს დიდებული კომპოზიციები ამშვენებდა. როდესაც ნახატის პირისპირ დავდექით, მხატვარმა განაგრძო: — ესეც ერთგვარი ექსპერიმენტი: მინდოდა გამეგო, რამდენად გამძლეა ცემენტის ღია კედელზე ჩვეულებრივი სამღებრო ფერით შესრულებული ნახატი. ამათგან აღმოსავლეთის მხატვრობა ფანერით შევნიღბე, რათა იგი დაცული იყოს მზისა და ქარ-წვიმის ზემოქმედებისაგან; წინა კედლის მხატვრობა კი ღია ცის ქვეშ დარჩება მუდამ... ათოვს, აწვიმს, ქარი სცემს და, ცხადია, მალე გაფუჭდება კიდევ. ვნახოთ, რამდენ წელიწადს გაძლებს.

კომპოზიცია თითქოს ნაცნობი იყო: ტან-წერწეტა ქალიშვილი ნახევარპროფილში — თავზე მზის განიერი ქუდი: თითქოსდა ვედრებით მალლა აპყრობილ თითებზე ხილით სავსე სინი უჭირავს, ხოლო მის წინ დგას შველი და ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებს უსასრულობას...

აივანზე რომ ავედით, მხატვარმა პოლანდიური პასტელი — „რუბენსი“ და სხვა უცხოური ზეთის ფერები მიჩვენა, რომლებიც იმ ზაფხულს საჩუქრად მიეღო საზღვარგარეთიდან.

— სიმართლე გითხრათ, „რუბენსის“ ფე-

რები თვალთაც არ მინახავს, ერთხანს თითქოს შეხებაც ვერ გავბედე, შემდეგ გადავწყვიტე შავი ქაღალდის ხმარება და, ოი, საკვირველება: ვიპოვე რაღაც ახალი გზა... აი, ეს პირველი ნახატი, ეს — მეორე, მესამე... მეათე... ისინი, მართადათ, ერთმანეთს გვანან ფერებითა და ტექნიკით. შესრულებით, მაგრამ მიმაჩნია, რომ გვარიანადაც განსხვავდებიან ჩემი წინა პერიოდის შემოქმედებისაგან. გადავწყვიტე, ამ ახალი გზით მივსულიყავი გალაკტიონთან. პირველი, ვინც მისი ლირიკული გმირებიდან გავაცოცხლე, მერი გახლავთ. ჩემი მიზანი ამ ქალის ფსიქოლოგიური პორტრეტის გადმოცემა იყო; ამისათვის მთელი დატვირთვა თვალებსა და თითებზე გადავიტანე. ნახატი პორტრეტული ხასიათისაა, ერთფიგურიანი, და ხაზების მხრივ აქაც არ ვლაღატობ ჩემს ახალ ხელწერას...

ასე მოხდა საუბედუროდ: გალაკტიონის თხოვნა მხოლოდ თვრამეტი წლის შემდეგ შევასრულე, მაგრამ ეს სიზარმაცით როდი მომივიდა: საქმე ის გახლავთ, რომ არა და არ შემიძლია შეკვეთით ხატვა, — სინანულით აღმოხდა ბ-ნ ლადოს.

როგორ დახატა დიდოსტატმა გალაკტიონის უკვდავი მუზა — მერი შერვაშიძე — წარმოდგენით თუ პარიზული შთაბეჭდილებებით? ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი მიკითხავს გუდიაშვილისათვის, კარგად ვიცოდი, მხატვრები ერიდებიან ამგვარ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, ცდილობენ ერთგულად დაიცვან თავიანთი გულის საიდუმლო... მე მხოლოდ ეს ვიცი: გალაკტიონის შეკითხვაზე, — ხომ არ შეხვედრია ლადო პარიზში ერთ ლამაზ ქალს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მერი შერვაშიძე იქნებოდაო, მხატვარმა მოკლედ უპასუხა:

— დიახ, მე შევხვდი მერი შერვაშიძეს პარიზში. იგი კაფე „როტონდაში“ მოიყვანა მხატვარმა საველ სორინმა და ჩვენ ერთად დავლიეთ ყავა.

ცხადი იყო, რომ ამის შემდეგ ბ-ნ ლადოს თავისუფლად შეეძლო მერის პორტრეტის ზეპირად დახატვა და დახატა კიდევ წყნეთში 1973 წელს.

დემონური სახე აქვს მერი შერვაშიძეს, აისბერგივით ლამაზი, მაგრამ ცივი და განდგომილი. შავი ქაღალდით შექმნილი ფაქტურა თითქოს მღვიმის შთაბეჭდილებას ქმნის, საიდანაც ამ ქალის ორეულია ამოტივტივებული.

გუდიაშვილის ოჯახში შემორჩენილია მერი შერვაშიძის ახალგაზრდობის ფოტოსუ-

რათი. ბოშა ქალაქით ღამაში სახე და „გე-
დივით ათლილი ყელი“ ამ ფოტოსურათზეც
მხოლოდ და მხოლოდ სიამაყეს ასხივებს. ნი-
კოლოზ II-ის ცოლის ყოფილი ფრეილინა იმ-
პერატორის მიერ მისდამი წარმოთქმულ სი-
ტყვეებს იმეორებს თითქოს: «Княжна, греш-
но быть такой красивой!»

აი, ამ ამაყ სულს ხელიც არ ჩამოურთმე-
ვია პოეზიის მეფისათვის... მას შემდეგ, რაც
მერი შერვაშიძემ ერთ ღამაზე ოფიცერს —
გიგუშა ერისთავს დაუკავშირა თავისი ბედი
და მასთან ერთად ქუთაისის მთავარანგელო-
ზის ეკლესიაში დაინერა ჯვარი, მგოსანი
შლეგად იქცა და კაფეში შესული მხოლოდ
იმიტომ ყიდულობდა ორ ჭიქა შამპანურს,
მერის სახელზე ერთი ხელუხლებლად რომ
დაეტოვებინა სუფრაზე...

გადიოდა დრო, გალაკტიონი კი მერის სა-
ხეს ვერა და ვერ ივინყებდა... და აი, ერთ
დღეს დაგრუნტული, სახატავად გამზადებუ-
ლი ტილოთი მიადგა ლადო გუდიაშვილის
სახელოსნოს:

— ლადო, ძამიკო, ამ ტილოზე ან მე დამ-
ხატე ან მერი შერვაშიძე... შენ ხარ ჩემი
დმერთი!..

გაეცინა დიდ მხატვარს, სწორედ ისე, ულ-
ვაშებში ჩაიცინაო, რომ იტყვიან.

— კი მაგრამ, ეს ტილო მაინც რაღად
გინდოდა? როგორმე შევძლებდი მაგ ზო-
მის ტილოს შოვნას...

გალაკტიონმა მომცრო ზომის ტილო სახე-
ლოსნოს კედელზე მიაყუდა და ნამით შედ-
გა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, და მხატვარს
მიუბრუნდა: — პო, მართლა, ძამიკო: ახლა
ერთი წუთით გავივრებ ქალაქში და მალე
დავბრუნდები უკან; ამასობაში ფუნჯი და
ფერები მოამზადე...

გავარდა პოეტი სახელოსნოს კარებში, სას-
წრაფოდ ჩაირბინა კიბეები და... მას შემდეგ
ლადოსთან აღარასოდეს მისულა.

ეს მოხდა 1955 წელს.

მხატვარი სიყვარულით მისჩერებოდა თა-
ვის ახალ ნამუშევარს და, უშუალოდ „რუ-
ბენსის“ პასტელით შესრულებულ კომპოზი-
ციებს, რომელთაც ახალი სტილით გაემდი-
დრებინათ გუდიაშვილის ხელწერა. ის თით-
ქოს ჩემგან მოითხოვდა შეფასებას, და მეც
ისლა დამრჩენოდა, რომ მიმელოცა მისი შე-
მოქმედების მეორედ აღმოჩენა.

მან მადლობა გადამიხადა და მორიდებით
მითხრა: — კვებნაში ნუ ჩამომართმევთ და
მეც სწორედ ასე ვფიქრობდი, ნინოც... ახა-
ლმა ფერებმა და შავმა ქალაქმა ჩემდა უნე-
ბურად მხატვრობის გარკვეულად ახალი სტი-
ლი მაპოვნინეს.

დავხატე „ლურჯა ცხენებიც“, მაგრამ ეს
ტილოც ზეთის ფერებით შევასრულე, — მხა-
ტვარი ფეხზე წამოდგა და კედელზე მიყუდე-
ბული ტილო ჩემკენ შემოაბრუნა, ბო-
ლომდე დამთავრებული არ არის, მაგრამ
შეიძლება საერთოდ სწორედ ისევედო ხელი.
გალაკტიონის ცხოვრებაში დაუთმავრებე-
ლი დარჩეს...

„ლურჯა ცხენებში“ პოეტი იმ ძალას გუ-
ლისხმობს, რომელიც მას ბარათაშვილივით
„ბედის სამძღვარს“ გადაატარებდა. ეს არის
ძიებისა და აღმოჩენების, სრბოლისა და ბე-
დის დამოურჩილებლობის ჰიმნი, ნამდვილი
მუსიკა და არა უბრალო ალიტერაციისმაგვა-
რი წყობილსიტყვაობა... მე ბავშვობაში ვიო-
ლინოზე დავკრას ვსწავლობდი და მხატვარ
ბაგბუუქ-მელიქოვთან ერთად საოჯახო კონ-
ცერტებში ვღებულობდი მონაწილეობას; ასე
რომ, მუსიკასთან ბევრი რამ მაკავშირებს...
გახსოვთ სტრიქონები? — „ვით ცეცხლის ხე-
ტიალი, როგორც ბედის ტრიალი, ჩქარი
გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენე-
ბი“. ჩემი ნახატები ამ სტრიქონების განწ-
ყობით შევქმენი და ვცდილობდი ისევე ამა-
ღლებულად გადმომეცა ყველაფერი, როგორც
ეს პოეტს შეეფერება...

კარგად არც კი შემეხედა სურათისათვის,
მხატვარმა იგი ისევ კედლისკენ შეაბრუნა.
როგორც ჩანდა, მისი სიძლიერით კმაყოფი-
ლი არ იყო, თუმცა ფუნჯი მეტად აღარ უხ-
ლია მისთვის და იმავე სახით გამოაქვეყნა
ეურნალ „დროშაში“, ხოლო შემდეგ ისიც
და „ჯვარისწერაც“ საჩუქრად გადასცა გალა-
კტიონის სახლ-მუზეუმს სოფელ ჭყვიშში...

ჩვენ პატარა და ნახევრადბნელ ოთახში შე-
ვედით, მის დასავლეთ კედელზე ვეება, თით-
ქმის მთელი კედლის ზომის ტილო იყო ლუ-
რსმნებით მიკრული. მთელი კომპოზიცია შავ
ფანქარში აეგო მხატვარს, ხოლო ფიგურე-
ბის ერთი ნაწილი ფერშიაც კი დამთავრები-
ნა. ანაზდად მისი „არმაზის სარკოფაგიდან“
გამახსენდა; თითქოს რაღაც საერთო არსე-
ბობდა მათ შორის. სიუჟეტი აქაც წარსული-
სადმი იყო მიძღვნილი: საფლავიდან მკვდრე-
თით აღმდგარი ქალი ნახატის შუა მონაკვე-
თში იდგა.

— ამ ზაფხულზე მე და ნინო ბათუმში ვი-
სვენებდით, — მითხრა ბატონმა ლადომ, —
სადაც ერთ-ერთ არქეოლოგიურ ვათხრებზე
მიგვინვიეს. გამოაცა მიკვლეული სამარხის
სიმიდირემ და მრავალფეროვნებამ... აი,
სწორედ ამ ვათხრებმა მიკარნახა სიუჟეტი,
რომელსაც ალბათ გაისისთვის დავამთავ-
რებ; წელს უკვე ვეღარ მოვასწრებ, ხომ

ხედავს, ტილო დიდია და მუშაობის დროს კიბეებზე მიხდება დგომა.

მორჩა თუ არა გალაკტიონისადმი მიძღვნილი ნახატების ჩვენებას, დიდოსტატმა ახლა სხვა დანარჩენი სურათებიც გადმოაღება, რომლებიც ასევე იმ ზაფხულს შეექმნა შავ ქაღალდზე „რუბენის“ პასტელით.

არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ ამ ქაღალდის ისტორია, რომელიც დიდი სამამულო ომის დღეებთანაა დაკავშირებული: რამდენადაც გადმოცემით ვიცო, იგი ომის დროს შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან ღამომობით ქალაქების შუქსანილობად. უზარმაზარი რულონების განი ხუთ-ექვს მეტრამდე აღწევდა, წონა კი ზოგიერთისა რამდენიმე ტონას. ფიზიკურად გამძლე და სუფთა, დახვეწილი ზედაპირის მქონე ქაღალდი ამასთანავე ბრწყინვალე სახატავე მასალადაც გამოიყენება.

ჩანდა, ბ-ნმა ლადომ არც ისე დიდი ხნის წინ „აღმოაჩინა“ ეს ქაღალდი, ვინაიდან გასულ წლებში ასეთ მასალაზე არც ერთი ნახატი არ შექმნა შესრულებული...

ტექნიკისა და ხელნერისათვის აქაც არ ეღალატა მხატვარს: იგივე კოლორიტი, იგივე მოშავო-მოლურჯო ფონი, მხოლოდ განწყობა და შინაარსი იყო სულ სხვა.

პირველი ნახატი — „ნაზიბროლა არმაზელი“ — განასახიერებდა ყელმალალი სახის, ოდნავ პროფილში მიბრუნებულ ქალიშვილს. მოყვითალო-ხუჭუჭა თმას ორგანულად შერწყმოდა ღამაში ფარშევანგი, რომლის გრძელი კუდი ყვითელ კულულებს დაჰფენოდა ზემოდან.

ეს იყო ერთადერთი ერთფეგურიანი კომპოზიცია, ორი ნახატი: „მაიმუნი ვარ“ და „მარჩიელი მტრედით“ კი მრავალფეგურიან კომპოზიციებს წარმოადგენენ.

პირველ მათგანზე სამი სტილიზებული და ყელმალალი ფიგურებია გამოსახული; ორი ქალი და ერთი ახალგაზრდა მამაკაცი. ისინი ყურს უგდებენ ქუდოსან მაიმუნს, რომელიც ფეხმორთხმული ზის წინ და პირით მუსიკალურ საკრავზე უკრავს.

მესამე ნახატზეც ორი ქალი და გრძელწვერა და ჭალარათმიანი მოხუცი მამაკაცია წარმოდგენილი. აქცენტი გადატანილია მარჩიელობის მაგიურ დახასიათებასა და მის სარიტუალო წესზე. ნახატზე მონანილეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობაა ხაზგასმული, ჩანს მარჩიელობის შესაბამისი ნივთებიც: მაგიდაზე დაგდებული ყვავილი, ხანჯა-

ლი და ადამიანის თავის ქალა, რომელზედაც მოხუც კაცს ზემოდან მარცხენა ხელის თითები დაუნწყია...



მისაღებ ოთახში ქ-ნი ნინო ხელსაქმით იყო გართული. ჯერ გაუთავებელ ზამთარზე ჩამოაგდო საუბარი, მერე იმაზე ილაპარაკა, მეუღლის გამოსაჯანმრთელებლად რამდენი გაჭირვება გადახდა თავს: — ქვეყანა გადავარუნე და, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ეს დავარდნილი ადამიანი ფეხზე დავაყენე.

სახელოსნოს მხრიდან რბილი ნაბიჯების ხმა მოისმა და მისაღებში ბ-ნი ლადო გამოჩნდა. შორიდანვე გამომიწოდა ხელი, მომიკითხა, მოვიკითხე; ცოტა გამხდარი მეჩვენა, სხვა მხრივ კარგად გამოიყურებოდა.

— რატომ აგვიანებთ ხოლმე მოსვლას? — ჩვეულებრივ მისაყვედურა დიდმა მხატვარმა, — ჩვენ რა მეგობრები ვართ, თუ ერთმანეთთან მისცლა მოგვერიდება! აი, მე თქვენთვის ერთი გრაფიკული ნახატი მაქვს და ახლა წარწერით უნდა გაჩუქოთ...

ამ სიტყვებით მხატვარი მოპირდაპირე ოთახში გავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ნახატი გამოიტანა, მაგიდაზე დადო და ზედ წარწერის გაკეთებას შეუდგა.

მოულოდნელმა და ფასდაუდებელმა საჩუქარმა ძლიერ გამახარა. გახარებული, ალბათ, ისე გამოვიყურებოდი, როგორც ერთ დროს თვით ბ-ნი ლადო, როდესაც პარიზში, კაფე „როტონდაში“ თავისი გრაფიკული ნახატი აჩუქა დიდმა მხატვარმა ამედეო მოდილიანმა.

მე დავყურებდი ქალიშვილის ოდნავ ტონირებულ, გრაფიკულ პორტრეტს, მის სათნო და სიკეთით სავსე თვალებს, დატალღულ თმას და ფართო, ამოჭრილ კაბის გულისპირს. ბ-ნმა ლადომ ნახატის ქაღალდში შეფუთვა არჩია, ფეხზე წამოდგა და ისევ იმ ოთახში გავიდა, საიდანაც ნახატი გამოიტანა. ამ შემთხვევით ისარგებლა დიასახლისმა და მე მომიბრუნდა: — ხედავთ, ავთანდილ, როგორ დაუნაღვლიანდა თვალები ლადოს? ასე იცის ხილმე: რამდენ ნახატსაც გაასაჩუქრებს, იმდენ გულს გააყოლებს თან; თითქოს ენანება სულიერ შვილებთან სამუდამო დამშვიდობება...

ამ ზაფხულზე ბათუმში ვაპირებთ გახიზნას რამდენიმე თვით. გადამწყვეტილი მაქვს მოგონებები დავნერო. უკვე ზღვა მასალა დამიგროვდა და ახლაც საჭიროა მათი წესრიგში მოყვანა, წიგნებად ჩამოყალიბება. აქ

ამის გაკეთება შეუძლებელია: ყოველდღე სტუმრები, ოჯახური საქმეები, დრო კი მიდის, დავბერდით, როდისღა უნდა ვწეროთ, როდისღა უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი? ლადო ამ მხრივ სამაგალითოა: ხატავს და ხატავს შეუსვენებელივ. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულსა და აღტაცებას გამოთქვამენ ჩვენი სტუმრები. აი როკუელ კენტის სიტყვები: „საქართველოს სიყვარულს ლადო გუდიაშვილს უნდა ვუმაღლოდე: მე აღელვებული ვარ ამ დიდი ხელოვანის ჭეშმარიტი შემოქმედებით“.

„საოცრად მაღელვებენ ლადო გუდიაშვილის შესანიშნავი გრაფიკული ნამუშევრები. მისი ფერწერული ტილოების ხილვისას ისეთი გრძნობა მიპყრობს, თითქოს დიდებულ სამლოცველო ტაძარში შევდიოდე“, — წერს ჯეიმს ოლდრიჯი, ახმედ ფაიზი კი უმატებს: „შევეცადე მეძია სილამაზე, გულმა კი მითხრა: ნურსად ეძებ, იგი აქ არისო“.

დიასახლისმა მოზრდილი საქალაქადე გადაშალა, სადაც მოთავსებული იყო მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა წერილები და შთაბეჭდილებები. მათ შორის იყო იაპონელი გამომცემლის რიოხეი კომიამასა წერილი.

თბილისში ყოფნისას რიოხეი კომიამამ გუდიაშვილის „ლეგენდარულ სახელოსნოში“ ლეგენდარული მხატვარი აღმოაჩინა.

ჯერ კიდევ 1972 წელს რიოხეი კომიამამ ტოკიოში იაპონურ ენაზე გაქოსცა გუდიაშვილის გრაფიკული ნამუშევრებისადმი მიძღვნილი წიგნი: „ჩემი ლადო გუდიაშვილი“, ტექსტიც თავად დაწერა და, სილამაზისა და სიბრძნის გაგებით იგი პირველმა ჩარლი ჩაპლინისა და პიკასოს გვერდით დააყენა.

ბატონმა ლადომ მითხრა: ჩემს მხატვრობას ვუმაღლი, რომ მან, უკვე ასაკს მიღწეული კაცი, საკუთარ ბავშვობასთან დამაბრუნა... როგორც ყველა მხატვარი, ბავშვობაში მეც მეოცნებე ვიყავი. ერთხელ ყვარელში წავედი, სადაც დავხატე ჩემი პირველი პატარა პეიზაჟი ზეთში. ეს წახმატი დაკარგული მეგონა, მაგრამ სრულიად შემთხვევით, 1957 წელს — თბილისში ჩემი დიდი პერსონალური გამოფენა რომ მოეწყო, მომიტანა ვინმე რუსიშვილმა... ეს იყო უდიდესი ბედნიერება, ჩემი ბავშვობის განმეორება, მისი აღმოჩენა.

ერთ-ერთ აღმანახში გამოსატყვევებლად, საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი რამდენიმე გრაფიკული პორტრეტიც შეირჩა, მათ შორის: „შოთა რუსთაველის პორტრეტი“, „ბექა ოპიზარი“, „პასტიერნაკი“ და „შაგანე“. ეს უკანასკნელი ყველაზე პატარა, მაგრამ შთაბეჭდავი სურათია. შაგანე, ლამა-

ზი ქალიშვილი, რომელსაც მიუძღვნა ესენინმა უკვდავი სტრიქონები, გუდიაშვილმა, რათქმა უნდა, ამავე სტრიქონების შთაგონებით დახატა...

ესენინი გუდიაშვილმა პარიზში გაიცნო. ერთხელ მიაშბო: „მოულოდნელად ქალაქში ხმა დაირბა, რომ პრეტორიან პარიზში საგასტროლოდ ჩამოვიდა მსოფლიოში ცნობილი ბალეტის მოცეკვავე აისიდორა დუნკანი, სერგეი ესენინის მეგობარი, ზოგჯერ მის მეუღლედაც რომ მოიხსენიებდნენ ხოლმე. დუნკანმა პირველმა უარყო ფეხსაცმელებით თამაში და სცენაზე ფეხშიშველი გამოდიოდა. ცეკვა და ფეხსაცმელი მისთვის განუცხადებული ცნებები იყო. თავისი იდეის განსამტკიცებლად მან პარიზში, ძმასთან ერთად, რომელსაც კარგად ვიცნობდი, საბალეტო სტუდიაც დააარსა, სადაც მომავალ მოცეკვავეებს ფეხშიშველა თამაშს ასწავლიდნენ.“

ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა, ფრანგმა მხატვარმა ფერედერიმ შენატყობინა, დუნკანი საგასტროლოდ ჩამოვიდათ, და მთხოვა ერთად წავსულიყავით ბალეტის სანახავად თეატრ „ტროკადეროში“, თან ესენინს გაგაცნობო, დამპირდა.

და აი, ჩვენ ფოიეში ვდგავართ. ანაზდად ჩემმა მეგობარმა ვილაც ლამაზი ახალგაზრდა ყმაწვილი შეაჩერა, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდა ლოჟისაკენ, და რუსულად უთხრა: — სერგეი, აი, გუდიაშვილი, რომლის შესახებაც მე უკვე გესაუბრეთ, გაიცანით!... მე და ესენინმა ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და მცირე საუბრის შემდეგ გავშორდით.

აისიდორა ბრწყინვალედ გამოვიდა; ასრულებდა სხვადასხვა საბალეტო ვარიაციებს. ცეკვავდა ფეხშიშველი და ყოველ წუთს მაყურებელთა ხანგრძლივ ტაშს იმსახურებდა...

ვის შეეძლო ასე პოეტურად გადმოეცა დუნკანის ცეკვა, თუ არა ადამიანს, რომელიც თავად იყო ცეკვის ნამდვილი ჯადოქარი? ეს მისი მეორე ხელოვნება, ცალკეული ფრაგმენტების სახით, მოცემულია ლადოს პარიზის დროინდელ ფოტოსურათებზე, სადაც აღბეჭდილია ეგვიპტის ფარაონებისადმი მიძღვნილი თეატრალური მსვლელობები, რაც მოკლედ, მაგრამ შემოქმედის თავდავიწყებითაა აღწერილი მხატვარ ტარიელ ხერხეულიძის 1930 წლის ჩანაწერებში:

„...იგი ცეკვავს შმაგი გრაციით, რთული არაბესკებით ამტვრევს ტანს. ცეკვავს მთელი მისი არსება, ყოველი კუნთი, თვალები, წარბები.“

ველურის ექსტაზით ანდა ბავშვური გულუ-

ბრყვილობით თავდავინყებულ ეძლევა მოქნილ რიტმს.

ის თითქმის ცეკვის ღმერთმა ჩაითრია თავის კლანჭებში, მბრძანებლობს და ათამაშებს მას, როგორც ფოლადის ზამბარას...

ის აქნევს მხრებს და მხრები გამოხატავენ რაღაც ეჭვსა და შეძრწუნებას, ვნებიანად ამოძრავებს თეძოებს, ეროტიულად ზნექს მუცელს და გაბოროტებულად ათამაშებს კისრის კუნთებს...

ეს ლადო ცეკვავს „კინტაურს“...

სწორედ ამ ცეკვის მაღალოსტატურობამ განაპირობა მარჯანიშვილის მიერ გუდიაშვილის თეატრში მიწვევა საკონსულტაციო სამუშაოებზე.

ის იყო, გუდიაშვილის სახელოსნოდან წამოსასვლელად მოვემზადე, რომ ბ-მა ლადომ წამით შემაჩერა და გულახდილად გამანდო:

— უკვე 80 წლისა შევსრულდი. ამასთან დაკავშირებით ათასგვარ წინადადებას მაძლევენ; საიუბილეოდ ოპერის თეატრში მიწვებიან შეხვედრას, მაგრამ ყველაფერზე მოჭრით ვამბობ უარს: მე იუბილეების კაცი არა ვარ; არ შემიძლია ქათინაურებისა და გადაჭარბებული ხოტბის მოსმენა...

ბოლოს და ბოლოს, ასე გადანყდა: გადავიხადო ჩემი დაბადების დღე ჩემსავე სახელოსნოში, ყველაზე ახლობელ და კეთილისმსურველ ადამიანთა შორის... მობრძანდით თქვენც ჩემთან.

ასე მოვხვდი დიდი მხატვრის — ლადო გუდიაშვილის საიუბილეო საოჯახო ვახშამზე...

კარებში დიასახლისი თავაზიანად ეგებებოდა მოწვეულ სტუმრებს, იქვე იდგა თავად ბ-ნი ლადო, რომელსაც ყველა მომსვლელი ხელის ჩამორთმევითა და მხურვალე ამბორით ულოცავდა დაბადების დღეს. უსურვებდა ხანგრძლივ სიცოცხლეს.

მხატვარი აშკარად დაღლილი იყო; თითქმის უხერხულადაც კი გრძნობდა თავს. თვალნათლივ ჩანდა, რომ ასეთი თავყრილობა, ასეთი ზარზემიური განცდა მისი სტიქია არ იყო, რომ სწორედ ასეთი საღამოები ბოროტად უმძიმებდა სულს. მხოლოდ მარტოობა, სიჩუმე, ფიქრი, ფუნჯი და პალიტრა იყო მისი სარბიელი; მხოლოდ მათ გარეშეცვაში თავისუფლდებოდა ყოველგვარი უხერხულობისაგან.

მოწვეულთა დიდი ნაწილი ჯგუფებად და ერთეულებად გაფანტულიყო სახელოსნოს ყველა კუთხეში; მათი უმეტესობა გუდიაშვილის ოჯახის უახლოესი ნათესავი ან

მეგობრები იყვნენ.

სტუმრები ხან როიალთან, ხან რომელიმე სურათის წინ დგებოდნენ და მათ მიერვე „მოტაცებულ“ მხატვართან იღებდნენ სურათს. საქმე მართლა მოსწრებაზე იყო: მცირედენი მოუქნელობდა და უკვე არსებული კადრი და მხატვრის გვერდით სულ სხვა ჯგუფი იკავებდა ადგილს. იქით მიჰყავდათ გაოგნებული მხატვარი, მიჰყავდათ მისდა დაუკითხავად.

ბოლოს დარბაზში უჩა ჯაფარიძე და ირაკლი აბაშიძე შემოვიდნენ და მასპინძლებმა სუფრასთან მიგვიწვიეს. მაგიდის თავში, როგორც მომავალი თამადა, ირაკლი აბაშიძე დასვეს, მის გვერდით — ბატონი ლადო. შემდეგ თანდათანობით ჩამწკრივდნენ სხვა სტუმრებიც.

თამადამ ჭიქების ავსება ბრძანა. ზოგმა შამპანური დაისხა, ზოგმა კონიაკი, ზოგმაც მუჭი წითელი ფერისა და იშვიათი არომატის ღვინო, რომლის ტექნოლოგია, როგორც ეს ერთხელ ბ-მა ლადომ მიაშპო, ეკუთვნოდა გალის რაიონში მცხოვრებ რუსის ქალს. რთი თურმე მაღლარი ვენახის ყურძნიდან ქმნიდა ამ დიდებულ სასმელს და ას-ას ბოთლს ყოველწლიურად უგზავნიდა გუდიაშვილების ოჯახს. მხატვარი ჩვეულებრივ ამ ღვინოს სვამდა და საპატიო სტუმრებსაც სიამოვნებით სთავაზობდა.

საღამოს თერთმეტ საათზე ყველანი ტელევიზორის საყურებლად გავედით. პროგრამა მხატვრის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემას ითვალისწინებდა, რომლის ავტორი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, სწორედ ტელეგადაცემის დაწყების წინ შემოვიდა გუდიაშვილის სახელოსნოში... სცენარის ავტორმაც და გადაცემის ოპერატორმაც მარლენ კიტიამ მხურვალე სადღეგრძელოები დაიმსახურეს...

სუფრა განახლდა და მხოლოდ ლამის პირველ საათზე დამთავრდა. ხელის ჩამორთმევით ვეთხოვებოდით პურად მასპინძელს, ნაცნობ-მეგობრებს. ესვამდით დამშვიდობების სადღეგრძელოებს... შევყურებდით რვა ათეული წლით დამძიმებულ მხატვარს და სინანულის გრძნობა მეუფლებოდა. იგი, მართალია, მხნედ გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც იდუმალი სევდა ჩასდგომოდა თვალებში...

მარტო მივყვებოდი წვიმიან ქუჩას. ნახევარ ქალაქს უკვე ეძინა; გუდიაშვილის სახლის მაღალი სარკმლებიდან კი ისევ იღვრებოდა ნათელი შუქი, რომელიც მძლავრად ეფინებოდა არა მარტო კეცხოველის ქუჩას, არამედ მთელ საქართველოს.

შეხვედრა ფიროსმანთან

მოპოვნება

მპერიალისტური ომი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა პირველად შეხვედრი ფიროსმანს. კარგად მახსოვს, მხატვართა საზოგადოების კრებაზე მოვიყვანეთ. გულხელდაკრეფილი იჯდა და გარინდებული და გაქვავებული ერთ წერტილს მისჩერებოდა. სახე ფარულ სიყვარულსა და გაკვირვებას გამოხატავდა. ასე იჯდა მთელი სხდომის განმავლობაში და ხმა არ ამოუღია. სხდომის გათავების შემდეგ შემოეხვივნენ მხატვრები და დაუწყეს გამოკითხვა. პასუხს იძლეოდა მოკლედ, ლაპარაკობდა ცოტას. დაინტერესდა ორატორებით. „ჰოდა, რა გვინდა, ძმებო, იცით? — თქვა მან, — უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასათვის იყოს ახლოს. ავაშენოთ დიდი სახლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე. თქვენ კი ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ“.

შემდეგ სხდომაზე ფიროსმანიშვილი არ გამოცხადებულა, ცხოვრობდა, როგორც გაგვეგო, სადღაც დიდუბეში, მაგრამ ვერავინ იპოვა. გაიარა წელიწადმა. ფიროსმანიშვილი გაქრა და მის შესახებ არაფერი ისმოდა.

მხატვართა საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება — აღმოჩინათ ხელეწიწრო ნევრებისათვის მატერიალური დახმარება. გადაწყდა, ნიკო ფიროსმანიშვილისათვის მიეცათ დახმარება 200 მანეთის რაოდენობით. ფულის გადაცემა მე მომანდეს. ეს იყო ფიროსმანის ცხოვრების უკანასკნელი წლები. მივიღე ფული და დავინჯე ფიროსმანიშვილის ძებნა. დაახლოებით ვიცოდი სად ცხოვრობდა. ბევრი ვიარე, ბევრ ეზოში შევყავი თავი და გამოვიკითხე, მაგრამ სულ ამაოდ. დაღონებული ვბრუნდებოდი, რომ ერთი ეზოდან მომესმა საშინელი ყვირილი (ლანძღვა), ხმაური და ბავშვების ჭივილ-ხივილი. დაინტერესებული ამ გარემოებით გადავედი მეორე მხარეს და მივადექი იმ ალაყაფის კარებს, საიდანაც

ხმაური მომესმა. წინ ბნელი იყო და იქნათ კი მზით სავსე ეზო მოჩანდა. სანახაობა იყო მეთად შესაბრაღისი. ეზოს ბავშვები — ასე ათამდე — ქვებს უშენდნენ ერთი ოთახის კარებს, სადაც ცხოვრობდა აბუჩად აგდებული კაცი. ეს კაცი, საშინლად გაჯავრებული, გამოსტა ოთახიდან, გამოუდგა ბავშვებს, სწრაფადვე გაბრუნდა გაჯავრებული ლანძღვა-გინებით და ჩაკეტა კარები. დაფიქრებულმა ამ ამბით გადაწყვიტე, რომ ნიკო უნდა ყოფილიყო ეს ცხოვრებით დაჩაგრული და ბავშვების მიერ აბუჩად აგდებული კაცი. ერთ ბავშვს ვკითხე მისი ვინაობა და მან მიპასუხა — ეს „შალაპაი პიანიცა, ჭიგოპისცა“ არისო. მე გამეხარდა, რადგან მივაგენ იმას, ვისაც ვეძებდი. თან შემანუხა მისმა ასეთმა ყოფამ. დავაკაკუნე. გამოჩნდა ნიკო.

ნიკო ფიროსმანი იყო მაღალი ტანისა, შეჭალარავებული და უკან გადავარცხნილი თმით. საშუალო წვერი და ქვევით დაშვებული უღვაშები პქონდა, ფერმკრთალსა და მოტეხილ სახეს კულტურული კაცის სიბრძოლისა და სინყნარის იერი ეფინა. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი და ჭუჭყიანი, საღებავებით მოთხუპნული შარვალი. ერთი სიტყვით ჩემ წინ იდგა „ბოსიაკური“ და ლოთური ცხოვრებით გატეხილი და დაბეჩავებული, უღარიბესი უბნის მცხოვრები.

— ვინ გნებავთ? — შემეკითხა ჩაფიქრებული.

ბატონი ფიროსმანიშვილი.

— მე ვარ, გთხოვთ, — გააღო კარები. დავილუნე და შევედი.

უეცრად შემაჩერა და მკითხა:

— როგორ მოხვედით, როგორც მტერი, თუ როგორც მოყვარე?! — და თან მიყურებდა თვალების არაჩვეულებრივი გამომეტყველებით.

„ხომ არ გაგიყდა?“ — გავიფიქრე გუნებაში, ხმამაღლა კი ვუთხარი:

— არა, თქვენც მხატვარი ხართ და მეც,

რა მტერი უნდა იყოს მე თქვენი? მე გუდია-
შვილი ვარ, არ გახსოვართ?..

— დიახ, დიახ, — დაიწყო მან თითქო ცა-
ხცაბით. — გთხოვთ, მობრძანდეთ, გთხოვთ,
ლადო, არა?

— დიახ, ლადო.

— დაბრძანდით, ძმობილო! აი, ასე, ეს არის
ჩემი ოთახი, როგორცა ხედავთ. ო! ო! რო-
მელია თქვენი სახელი? ლადო, დიახ, ლადო!
შეიძლება, წყალი დალიოთ? — დაასხა ჭიქაში
და მომიტანა. — ბოდიშს ვიხდი, რომ ლი-
მონათი არა მაქვს. — სწრაფად შევათვალიე-
რე ოთახი. ეს იყო კიბის ქვეშ მოთავსებული,
რამდენიმე ნაბიჯი სიგრძისა და სიგანის პა-
ტარა ოთახი. დგომა შეუძლებელი იყო. კუ-
თხეში სანოლი იდგა. ზედ ჭუჭყიანი ქვეშა-
გები ელაგა, კედელზე პატარა კოლოფი
იყო ნიკრული — ეს იყო „შკაფი“. მეორე კუ-
თხეში ეყარა სხვადასხვა ხელსაწყო მღება-
რისა და მხატვრისა: ვედრო, მუშაბა, სა-
ღებავები, ფუნჯები და სხვა.

— თქვენ იცნობთ ძმებს ზდანევიჩებს? —
მკითხა მან უეცრად. — მათ ბევრი სურათი
აქვთ ჩემი. მე ბევრს ვმუშაობდი, თბილი-
სის სარდაფები ჩემი მოხატულია. ამით
ვცხოვრობ... შეიძლება მიირთვათ რამე. იქ-
ნებ პური... აი, გთხოვთ, — და გამოიღო
„შკაფიდან“ ხმელი პურის ნატეხი. მე მა-
დლობა ვუთხარი.

— ასე, ასე, ჩემო ძმობილო, ძვირფასო
ლადო, როგორ გეძახიან — ლადო, არა? მო,
ლადო!... — გაჩერდა, ჩაფიქრდა. უეცრად
ფეხზე წამოიჭრა. დაიწყო რაღაცის ძებნა.
კუთხეში ნახა გაქონილი, ჭუჭყიანი ქალა-
ლდი.

— ხედავთ? — გაშალა გაზეთ „სახალხო
ფურცლის“ ნომერი, სადაც მისი სურათი
იყო მოთავსებული. — ჩემი პორტრეტი. მე
გადამიღო ვიღაც გოგოლაშვილმა და შე-
მდეგ გაზეთში მოათავსა.

ვუთხარი ნიკოს, რომ ეს სურათი ნანახი
მქონდა.

ეხლა რაზედ მუშაობთ? — ვკითხე შე-
მდეგ.

— არაფერს არ ვაკეთებ. ვასრულებ მხო-
ლოდ შენაკვეთს რესტორანში. სიღარიბეში
ვცხოვრობ. ხშირად მატყუებენ და არ მაძ-
ლევენ ფულს.

ამოვირე ფული და გადავეცი. ისიც ვუთ-
ხარი, ვისგან იყო. შეჩერდა და გაცეცხული
გაქვავდა. ხმა ველარ დასძრა. არ იცოდა,
როგორ გადაეხადა მადლობა.

— ცოტა არის, — ვუთხარი, — მაგრამ ამ
ფულით შეიძლება პატარა ხანს ცხოვრება.
იყიდეთ საღებავები.

ავდექი და მოვემზადე ნამოსასვლელად.
კუთხეში რაღაც შევამჩნიე.

— ეს რა არის?

— საღებავები, ჩემო ძმარ. მუშაობა ასე
უნდა. თქვენ კოსტიუმებში და გაღმსტუკებ-
ში მუშაობთ და გოლფერის ქურბებზე-
დაც დასეირნობთ, — გაჩერდა, შეიძლე-
ბა, უნდა ჩაიცვა ძველი ფართუკი, ანთო ლა-
მა და მოაგროვო ჭვარტლი. უნდა დაფეცა
ფეხით კირი და გააკეთო უმარილი, აილო
დიდი ფუნჯი და შეღებო კედლები თეთრი
ან შავი ფერით, ძირიდან ჭერამდე. ძმარ
ლადო! თქვენ ლადოს გეძახიან, არა? ო, ასე
კარგია, ძლიერ კარგია. მაშ, როგორ უნ-
და მოვიქცეთ ახლა? ავაშენოთ სახლი თუ
არა? ავაშენოთ და შევიკრიბოთ იქ. ვიქნე-
ბით ერთად, თორემ რა არის ეხლა? დახა-
ტავ სურათს, ნაიღებ სარდაფში, გაჭმევს,
დაგაღვივებს მისი პატრონი ღვინოს და
სურათს კი დაიტოვებს. და ასე ყოველთვის.

მერე ნიკომ მაჩვენა სურათები: „ლომი“
და „თამარ დედოფალი“.

— აქ ბავშვები მიშლიან ხელს. ყვირიან და
ქვებს ისვრიან ფანჯრებში, მანვალებენ ულ-
მერთოდ. მაშასადამე, თქვენ მიდიხართ? ნა-
ვიდეთ... იცით რა? — თქვა მან წყნა-
რად, — ნავიდეთ სარდაფში, დავლიოთ...

მე ვუთხარი, რომ ღვინოს არა ვსვამ-
დი.

— არა უშავს, ღიმონათს მაინც და-
ლევთ.

კიდევ უარით ვუპასუხე. სახეზე წყენა შე-
ვნიშნე. სახლში რომ დავბრუნდი, მეტად და-
მალონა ჩემმა საქციელმა, მაგრამ რაღა გა-
ენწყობოდა.

სადგურის მოედნამდე ერთად ვიარეთ.
გზაში ბევრი მელაპარაკა თავის ჭირ-ვარამ-
ზე და თანაც მაჩვენებდა სარდაფებს, სა-
დაც მისი სურათები იმყოფებოდა. გზაში
ერთი საინტერესო ამბავი მითხრა:

— გუშინ ღამე გვიან დავბრუნდი სახლ-
ში. ცოტა გადავკარი ძმებთან და როცა და-
ვბრუნდი, სახლის კარები ღია დამხვდა. შე-
ვედი შიგ და ვხედავ, ვიღაც უზნეო ქალსა და
კაცს სძინავთ ჩემს ტახტზე, აბა, გავჯავრდი
ძალიან, ნაცარი ფეხი და დავაფეთე. წამო-
დგნენ კაცი და ქალი, დაბერივნ და კარგად
მიმბრეგვეს, — სიცილით მაჩვენა თვალის
ძირში ჩალურჯებული ადგილი, ფანარი და-
მასვესო.

— ამ ჩხუბში რომ ვიყავით, „დვორნიკმა“
და გოროდოვოიმ უჩასტკაში წაგვიყვანეს და
დილაშდის უჩასტკის კუტუსკაში ვიჯექი. ასე,

¹ იგულისხმება ძმები ზდანევიჩები.

ძმარ ლადო, ასე, აი, ამნაირი შემართება და მიშლიან მუშაობას ხან რა, ხან ვინ.

— ძმარ ლადო! ლადო, ხომ? ბევრი რამ მაქვს ამნაირი სათქმელი, მაგრამ ვის ვუთხრა — არც ძმა მყავს და არც მოყვარე — ვის გავუზიარო ჩემი ცხოვრება.

ამ ამბებით დაინტერესებულს, ძალიან მსურდა, რაც შეიძლებოდა გზა გაგრძელებულიყო, რათა მეტი ეამბნა ჩემთვის მისი ცხოვრების ამბები. მე შევეკითხე, — ნიკო, ცოლი გყავთ? — მან შემაჩერა და ღიმილით მითხრა.

— არა, ცოლი არასოდეს მყოლია და არც ოჯახი მქონია. დავრჩი ხალასტოი. ხომ იცი, ცოლს მოვლა უნდა, თუ არა, გიღალატებს, ან სხვა ბიჭი შეუყვარდება, არა? — მეკითხება. მეც დავუთანხმე.

— ხან ამ ოხერ კუთხეში ვარ, ხან ქალაქის მეორე ბოლოში დავხეტები. ვცხოვრობ და თანაც ვმუშაობ. როგორც დიდუბეში, ხომ ნახე? ასე, ძმარ ლადო! ხო, იმაზე მოგახსენებ. ერთი ქალი იყო, ერთ პადვალში ემსახურებოდა, ჭურჭელს რეცხამდა, სახეზე კარგი იყო, რამდენჯერაც ჩავიდოდი, სულ მიცინოდა, თურმე რა ვიცი, „ზნაკომეცა“ უნდოდა ჩემთან. მე კი არშიყოფა არ მეხერხება, რუსის ქალი იყო, სახელად მარუსკა ერქვა, მეც თვალში მომივიდა და ერთხელ რომ ჩავედი, მუშტრის თვალთ შევხედე. მანაც იგრძნო ეს და ერთ დღეს შევხვდით კიდევ ერთმანეთს. ნავედით მუშტაიდის ბაღში, მტკვრის პირას. იქ მე ღმერთგამწყრალმა ბევრი ვფარშიყე და ჩემ ვრემენოი საყვარლად გავიხადე. სახელიც გამოვუცვალე — „მარგარიტა“ დავარქვი. მისი სურათიც დავხატე. ერთხელ ძმებმა სურათის ანგარიშში ლაზათიანად დამათრეს და ჩემზე შტუკა ითამაშეს. საღამო ხანი იყო. ამ ჩვენმა ძმებმა — ისაკამ და ვანუამ — შეზარხოშებულები მეცა და მარგარიტაც ჩაგვსვეს ფაიტონში და დიდის შაი-პუით გავწიეთ ორთაქალისაკენ.

ძმარ, ლადო! ლადო, არა?! ორთაქალაში არ გიქეიფნია? — მეკითხება მე, — მე უარით ვუპასუხე. — ძალიან კარგი ცრცხალი იცის, ჩიჭი-ბიჭი, კიტრები, მოთაღი, მწვანელი, წითელი ღვინო და დათვი ღიმილათს სვამს, როგორც შენ.

მე გამეცინა ამ სიტყვებზე. — თანაც ბევრი დეჭკები უყავთ. — უცბად შემომხედა და ღიმილით შემეკითხა: — ყმანვილო, რამდენი წლისა იქნებით?... განა ერთი ლაზათიანი დევკა შენც არ შეგერგება საყვარლად!? მერე რა მოხდება, შახის ბიჭი ხარ და არავინაც არ გაიგებს. აი ჩემსაჭრე-ნეტურმე ნუ იტყვი — ამ ორ დემუტრეს-ჭეჭრე მტრული გადაუხდიათ და იმდენი ვიქეიფეთ, რომ დილის ხაშის გემოც დამეკარგა და სადღაც უცნობ უბანში, უცნობ ქუჩაში ამოვყავი თავი. ასე, ლადო! ბევრი სახუმარო ამბავი გადამხდენია თავს.

ამ ლაპარაკით სადგურის მოედანზე მივედით კიდევ. ბევრი მეხვეწა, სარდაფში ჩაეყოლოდი, — ერთი რუმკა დავლიოთო. მადლობა გადავუხადე და გამოვემშვიდობე. გაგზრუნდი და იქვე ახლო, ტელეფონის ბოძს ამოვეფარე. ჩემმა ცნობისმოყვარეობამ მაიძულა ვყოფილიყავი მოწმე მისი მოქმედებისა. ნიკო გაგზრუნდა სახლისაკენ, მაგრამ უცებ მოგზრუნდა, მიიხედ-მოიხედა და, მე რომ ველარ დამინახა, სარდაფში ჩაქანდა, მე კი სახლისაკენ გამოვწიე.

მას აქეთ დიდხანს ველარ შევხვდი, ვეძებდი, ვიყავი სახლშიც, მაგრამ შინ ვერ მივუსწარი, ვეძებე სარდაფებშიც — იქაც ვერ შევისწარი.

გავიდა ამ შეხვედრის შემდეგ თითქმის წელიწადი. ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ დასდო დახმარება ღირსშესანიშნელობისათვის გადმოცეს დაახლოებით 300 მანეთი. გავემართე ისევ მისკენ, მაგრამ თავისი ოთახიდან გადასულიყო. ახლა იქ პატარა დუქანი მოეთავსებინათ და წინანდელი მობინადრისა არაფერი იცოდნენ, რამდენიმე ბავშვმა იკისრა ფიროსმანიშვილის მოძებნა, გავყვეი მათ, შემოვიარეთ დიდუბე.

— დიდი ხანია არ დაგვინახავსო, — გვპასუხობდნენ შეკითხვაზე მედუქნეები და რესტორნის პატრონები. ვერაფერი გვითხრეს სამისამართო მაგიდაშიც. მას შემდეგ ფიროსმანიშვილი სამუდამოდ დაიკარგა.

თავისი წუთისოფელი ნიკომ სადღაც, მიგდებულ სარდაფში დაასრულა 1918 წელს, მაგრამ რა დღეს მოკვდა, რა პირობებში, ან ვინ დამარხა, ეს გამოურკვეველი დარჩა.




მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექნოდაქტორი რ. იმნაიშვილი. გადამცემა წარმოებას 3. 4. 81 წ., ზელმოწერილია დასაბეჭდად 30. 6. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×103¹/₁₆ სააღრ. თაბახი 24. დაყვ. სასტ. თაბახი 28,5. საღებავის გატ. 29,4. ტირ. 10.000. შეკვ. № 1643.

ფასი 1 მან.

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, 380008, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ლ. გუდიაშვილი

ბ. პასტერნაკი

ლ. გუდიაშვილი

ჩაიკოვსკი






6112/158
16 F3 2



ქართული
ბიბლიოთეკა

ლ. გუდიაშვილი
გამა და გიორგი ოპიზაგაძე



ქალი ნაკადულთან

ლ. გუდიაშვილი